

საქართველოს სახალხო დამცველის
2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება
იბეჭდება ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით

საქართველოს
სახალხო დამცველის
ანგარიში

**საქართველოში
ადამიანის უფლებათა და
თავისუფლებათა დაცვის
მდგომარეობის შესახებ**

2009
წლის მეორე ნახევარი

www.ombudsman.ge



შესავალი	7
სახალხო დამცველი და მისი აპარატი	10
სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა სახალხო დამცველთან არსებული პრობლემები	12
პრევენციის ეროვნული მექანიზმი	
სასჯელაღსრულების დაწესებულებები	14
ღრუბრით მოთავსების იზოლაციონები, ჰაუპტკასტები	32
წანმართელობის უფლების დაცვა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში	38
ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი	102
ბავშვთა სახლების მონიტორინგი	109
სასამართლო ხელისუფლება და ადამიანის უფლებები	
სამართლიანი სასამართლოს უფლება	137
სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება	154
საკონსტიტუციო სარჩელები	156
სამართალდამცავი ორგანოები და ადამიანის უფლებები	
შინაგან საქმეთა სამინისტრო (პოლიცია)	162
პროკურატურა	171
სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები	
შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება	174
გამონათვის თავისუფლება	183
რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა	187
ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია	194

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები

საკუთრების უფლების აღიარება	197
სათანადო საცხოვრებლის უფლება	204
სოციალური უზრუნველყოფის უფლება	210
სანარჩოო ტრავმამიღებულ პირთა უფლებები	213
დევნილთა უფლებები და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებები	220
ბავშვთა უფლებები	228
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	249
რეპრესირებულთა უფლებრივი მდგომარეობა	265

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2009 წლის მეორე ნახევარში (1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშს. ანგარიში წარედ-გინება საქართველოს პარლამენტს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

ანგარიში ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ასევე მიმოხილულია მოქალაქეთა კონკრეტულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ხარისხი. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა უფლებადარღვევის არაერთი ფაქტი. სახალხო დამცველმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თითოეულ ამ ფაქტზე მოახდინა სათანადო რეაგირება და რეკომენდაციებით მიმართა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს. გაანალიზდა ცალკეულ ორგანოთა პრაქტიკა, ასევე კანონმდებლობა და მასში ასახული ცვლილებები, რომლებმაც გავლენა იქონია ქვეყანაში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიში ეხება უფლებათა და თავისუფლებათა ფართო სპექტრს. სახალხო დამცველსა და მის აპარატს ყოველდღიურ საქმიანობაში უწევს სხვადასხვა სამართლებრივი შეფასების გაკეთება. შესაბამისად, სახალხო დამცველი და მისი აპარატი მიმართავს საჯარო დაწესებულებებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს როგორც სამოქალაქო-პოლიტიკური, ასევე მოქალაქეების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დასაცავად.

ანგარიშში აღნიშნულია კონკრეტული სახელმწიფო ორგანოები, რომელთან ურთიერთობაშიც სახალხო დამცველი აწყდება გარკვეულ პრობლემებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში, ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის ადგილების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე გაანალიზებული იქნა მდგომარეობა სასჯელალსრულების დაწესებულებებში, პოლიციის დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ჰაუპტგახტებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ბავშვთა სახლებში. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ერთ-ერთ პრობლემურ სფეროდ კვლავ სასჯელალსრულების სისტემა რჩება. ძირითად პრობლემებს შორის უნდა დავასახელოთ სასჯელალსრულების დაწესებულებების მკვეთრი გადატვირთულობა, რაც პატიმართა დიდი რაოდენობითა და ინფრასტრუქტურის უკმარისობით არის გამოწვეული. ზოგიერთ დაწესებულებაში გადატვირთულობის გამო გაუსაძლისი პირობებია, რაც რიგ შემთხვევებში შეიძლება შეფასდეს როგორც პატიმრებისადმი არაადამიანური და ღირსების



შემლახავი მოპყრობა. გარდა ამისა, სერიოზულ პრობლემად რჩება პატიმრების ხელმისაწვდომობა შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე. სასჯელაღსრულების სფეროში არსებული ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს პატიმრების ადეკვატურ მკურნალობას, რაც დასტურდება არა მარტო სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებითა და მონიტორინგის შედეგებით, არამედ ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით. მონიტორინგის შედეგად, ასევე გაანალიზდა საანგარიშო პერიოდში სასჯელაღსრულების სისტემაში პატიმართა სიკვდილობის კონკრეტული მიზეზები.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში იმატა პატიმრების საჩივრების რაოდენობამ, რომლებიც ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას უკავშირდება. გარდა ამისა, დაფიქსირდა კონკრეტული პატიმრის თვითმკვლელობის ფაქტი საეჭვო გარემოებებში. აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გამოძიება იყოს რაც შეიძლება გამჭვირვალე და ეფექტური, რათა საქმეზე დადგინდეს ჭეშმარიტება.

პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს გამოავლინა არაერთი პრობლემა, რომლებიც დაკავშირებულია მოძველებულ ინფრასტრუქტურასა და თავისუფლების აღკვეთის არასათანადო პირობებთან. მწვავე პრობლემად რჩება ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირების ხანგრძლივი დროით მოთავსება დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

არაერთი უფლებადარღვევის ფაქტი დაფიქსირდა ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის შედეგად. გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები, მადეგრადირებული გარემო, რომელიც არანაირად არ უწყობს ხელს პაციენტების გამოჯანმრთელებასა და მათ საზოგადოებაში დაბრუნებას.

მონიტორინგის დროს ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებში დაფიქსირდა მრავალი სტანდარტისა და კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები. ამგვარი დაწესებულებებისათვის კვლავ მწვავედ დგას საყოფაცხოვრებო პირობების, შენობათა სიძველისა და ამორტიზებულიობის საკითხი, რაც ბავშვებისათვის არასათანადო საცხოვრებელი პირობების არსებობას განაპირობებს. რიგ დაწესებულებებში არის მძიმე სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული მდგომარეობა უარყოფით გავლენას იქონიებს ბავშვთა განვითარებაზე. პრობლემებია ზოგადად ბავშვებთან პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მიდგომისა და მოპყრობის კუთხით. ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის კვალიფიკაციას, მოუნესრიგებელ დოკუმენტაციასა და მრავალ საკანონმდებლო ხარვეზს, რომლებიც სისტემაში არსებობს.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ანგარიშში დეტალურად ავსახეთ სასამართლო სფეროში არსებული პრობლემები. გავაანალიზეთ, როგორც სისხლის, ასევე ადმინისტრაციული სამართალწარმოება. გამოიკვეთა რიგი პრობლემატური საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების განსამტკიცებლად. ასეთი პრობლემური საკითხებია: მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების არასაკმარისი დასაბუთებულობა, დაცვის უფლების ეფექტური განხორციელება, ადმინისტრაციული საქმისწარმოებისას დადგენილებების შაბლონური ფორმის გამოყენება, დადგენილებებში სამართალდარღვევის არასაკმარისი ასახვა და პროცესის ზედაპირულობა.

ანგარიშში ასევე ვრცლად არის მიმოხილული შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციონირება და მასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, ყურადღება გავამახვილეთ გასული წლების ანგარიშებში ასახულ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია გამოძიების გაჭიანურებასა და ზოგადად არაეფექტურ გამოძიებასთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე პრობლემა არა მარტო შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში იკვეთება, არამედ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილისთვისაც დამახასიათებელია. სახალხო დამცველის სახელზე შემოსული განცხადებებიდან ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს პოლიციის მიერ ეჭვმიტანილის დაკავებისას დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას, ისევე, როგორც საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას

გარკვეულ პროცესუალურ დარღვევებს. ამავე ანგარიშში ასახულია პოლიციის მოსამსახურეთა მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტები.

ანგარიშში ასევე მიმოხილულია საანგარიშო პერიოდში შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებული საკითხები. ყურადღება გამახვილებულია როგორც ამ უფლების ეფექტური განხორციელების შესაძლებლობაზე, ასევე არსებული კანონმდებლობისა და საკანონმდებლო ინიციატივების შეფასებაზე. დეტალური შესწავლის შედეგად აშკარაა, რომ ამ სფეროში ხარვეზები კვლავ რჩება.

2009 წლის მეორე ნახევარში კვლავ აქტუალური იყო ჟურნალისტების მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ანგარიშში დეტალურად არის მიმოხილული დევნილთა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, რეპრესირებულთა, სანარმოო ტრავმამილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა. ასევე საკუთრებისა და სათანადო საცხოვრებლის უფლებების რეალიზაციის საკითხები.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს გადადგამს მოცემული უფლებადარღვევების აღმოსაფხვრელად, დარღვეული უფლებების აღდგენისა და ზოგადად ამ კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, რაც აუცილებელი წინაპირობაა კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

2009/2

სახალხო დამცველი და მისი აპარატი

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დანაწესის შესაბამისად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი“.

2009 წლის 31 ივლისს საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, 5 წლის ვადით საქართველოს სახალხო დამცველად გიორგი ტულუში აირჩია. საქართველოს სახალხო დამცველის მოვალეობის განხორციელებას გიორგი ტულუში 2009 წლის 17 სექტემბრიდან შეუდგა.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის უზრუნველყოფისათვის იქმნება საქართველოს სახალხო დამცველის სამუშაო აპარატი, რომლის სტრუქტურას, მუშაობის წესსა და ორგანიზაციას განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი სამუშაო აპარატის დებულებით“.

ამდენად, საქართველოს კონსტიტუციითა და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელებაში საქართველოს სახალხო დამცველს ხელს უწყობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2009 წლის 16 ივლისს შეტანილი დამატებების¹ გათვალისწინებით, ასევე აპარატის სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზაციისა და მობილურობის უზრუნველყოფის მიზნით, 2009 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის №45 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ახალი დებულება. 2009 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს სახალხო დამცველის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში განხორციელდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია, კერძოდ:

- ა. ლიკვიდირებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტი და მასში შემავალი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი;

¹ 2009 წლის 16 ივლისს „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი დამატებების შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

- ბ. ლიკვიდირებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პოლიტიკისა და ინფორმაციის დეპარტამენტი და მასში შემავალი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი;
- გ. განხორციელდა ადმინისტრაციული და ფინანსური სამსახურის რეორგანიზაცია;
- დ. ლიკვიდირებული იქნა დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველო;
- ე. განხორციელდა ბავშვის უფლებათა ცენტრის რეორგანიზაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მოქმედი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შინაგანანესი და შესაბამისად, დამტკიცდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ახალი შინაგანანესი.

ამდენად, 2009 წლის 6 ნოემბრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მუშაობს ახალი სტრუქტურის ფარგლებში.

2009 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს სახალხო დამცველის №45 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, ანალიტიკური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით:

1. მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტი;
2. მართლმსაჯულების დეპარტამენტი²;
3. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი³;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
5. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი;
6. ბავშვის და ქალის უფლებათა ცენტრი (სამმართველო);
7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი (სამმართველო).

გარდა ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებისა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია სახალხო დამცველის სამდივნო და სახალხო დამცველის მოადგილის სამდივნო. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებობს ტოლერანტობის ცენტრი⁴.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის ორგანიზაციის წარმართავს 66 საჯარო მოსამსახურე. ამათგან 35 არის საჯარო მოხელე, 26 დამხმარე მოსამსახურე და 5 შტატგარეშე მოსამსახურე.

ამჟამად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ახალი სტრუქტურის ფარგლებში ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით, მიმდინარეობს მუშაობა აპარატში ერთიანი საქმისწარმოების კომპიუტერული პროგრამის შემუშავებაზე. გარდა ამისა, შემუშავების პროცესშია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგლამენტი. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგლამენტით განისაზღვრება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საჯარო მოსამსახურეების უფლებამოსილებათა განხორციელების წესი, ერთიანი საქმისწარმოების პროცედურა, რომლის შესრულებაც სავალდებულო იქნება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ყველა მოსამსახურისათვის.

² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამმართველოს ლიკვიდაციის შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტს დაექვემდებარა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისები (ქ.გორის ოფისი, ქ.ქუთაისის ოფისი, ქ.ზუგდიდის ოფისი და ქ.ბათუმის ოფისი).

³ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ასრულებს სპეციალური პრევენციული ჯგუფის ფუნქციებს.

⁴ საქართველოს სახალხო დამცველის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მოკლე აღწერილობა იხილეთ დანართში №1 საქართველოს სახალხო დამცველი და მისი აპარატი.



სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობა სახალხო დამცველთან, არსებული პრობლემები

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, „სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს, თანამდებობის თუ იურიდიულ პირს, ყოველმხრივ დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომლებიც მას თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად ესაჭიროება. გარდა ამისა, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველს გააჩნია მთელი რიგი უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქმის შესასწავლად სხვადასხვა სახის ინფორმაციისა და მასალების მიღებას.

ამავე კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული მასალების, საბუთებისა და სხვა სახის ინფორმაციის სახალხო დამცველისთვის გადაცემის ვადები. 24-ე მუხლის მიხედვით კი, „სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია, ერთი თვის ვადაში განიხილოს და წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს განხილვის შედეგები“.

22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში მითითებული უნდა იყვნენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თანამდებობისა და იურიდიული პირები, რომელნიც არღვევდნენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არ ითვალისწინებდნენ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ამ უფლებათა აღდგენის ღონისძიებათა შესახებ.“

სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილი წერილებისა და რეკომენდაციების უგულვებელყოფა, პასუხის ან შესაბამისი ქმედების განხორციელების დაგვიანება, აგრეთვე სახალხო დამცველის მიერ ასეთი ორგანოებისათვის კორესპონდენციის განმეორებით გაგზავნა ხელს უშლის სახალხო დამცველის აპარატის ეფექტურ მუშაობას და აბრკოლებს დარღვეული უფლების აღდგენას.

შესაბამისად, აღნიშნულ თავში მოცემულია ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა კონკრეტულ სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას. სახალხო დამცველის აპარატსა და საჯარო დაწესებულებებს შორის განხორციელებული კორესპონდენციის ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგიერთი ორგანო სა-

სახლბო დამცველთან ურთიერთობისას თავს არიდებს მათზე „სახლბო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

საანგარიშო პერიოდში სახლბო დამცველის აპარატს პრობლემები ექმნებოდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მხრიდან, რომლის სხვადასხვა რანგის მოხელეები, როგორც წესი, აგვიანებდნენ სახლბო დამცველის მიერ მათთვის გაგზავნილ წერილებზე პასუხს ან საერთოდ არ პასუხობდნენ მათ. აღნიშნული პრობლემა ეხება ყველა ტიპის დოკუმენტს, რომლებიც გაიგზავნა სამინისტროში.

მსგავსი ტიპის პრობლემები არსებობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურასთან, თუმცა, ეს სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. ცალკეულ შემთხვევებში მთავარი პროკურატურა თავს არიდებს, სახლბო დამცველს აცნობოს რეკომენდაციების განხილვის შედეგების შესახებ. ასევე არის შემთხვევები, როდესაც ოფიციალურ წერილებზე არ ხორციელდება ადეკვატური რეაგირება. აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთობაში გამოიკვეთა რამდენიმე სახის პრობლემა:

- ფაქტებზე გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმაციის გაუცემლობა/დაგვიანებული პასუხი;
- წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ სახლბო დამცველის რეკომენდაციებზე პასუხის გაუცემლობა;

მსგავსი სახის პრობლემები გამოიკვეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობისას. საქართველოს სახლბო დამცველის აპარატს არ მიუღია პასუხი 2009 წლის 25 მაისისა და 2009 წლის 03 დეკემბრის მიმართვებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებული მოქალაქისათვის ჩხრეკისას ჩამორთმეული ნივთების შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს პრობლემები, რომლებიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურთან ურთიერთობას უკავშირდება. სახლბო დამცველის აპარატმა 2009 წლის 13 ივლისს გაგზავნილი წერილით გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე არ გასცემს აღნიშნული სამსახური საჯარო რეესტრის ამონაწერს კონკრეტულ მოქალაქეზე. სახლბო დამცველის აპარატმა განმეორებით სამჯერ მიმართა აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოს (2009 წლის 11 სექტემბერს, 2009 წლის 16 ნოემბერს და 2010 წლის 28 იანვარს), თუმცა, სახლბო დამცველს არც ამ წერილებზე მიუღია პასუხი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივმართავ დასახელებული უწყებების ხელმძღვანელ პირებს, ქვემდებარე დაწესებულებებში გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს კანონით დადგენილ ვადებში მათზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და სახლბო დამცველის აპარატთან შესულ კორესპონდენციაზე დროულ და ჯეროვან რეაგირებას.

2009/2

ზოგადი მდგომარეობა სასჯელალსრულების დაწესებულებაში

წინამდებარე ანგარიში ასახავს ეროვნული პრევენციის მექანიზმის სტატუსით სახალხო დამცველის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2009 წლის მეორე ნახევარში განხორციელებულ სასჯელალსრულების დაწესებულებების მონიტორინგის შედეგებს, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

2009 წლის მეორე ნახევარში სასჯელალსრულების დაწესებულებებში განხორციელდა 34 გეგმური და 112 არაგეგმური ვიზიტი, რა დროსაც მონახულე-ბულ იქნა 500-ზე მეტი პატიმარი.

საანგარიშო პერიოდში სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან წერილობით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: პატიმრების რაოდენობა (სხვადასხვა კატეგორიის მითითებით), პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებისათვის წარდგენილი და შედეგად გათავისუფლებული მსჯავრდებულების რაოდენობა, წახალისებებისა და დისციპლინური/ადმინისტრაციული სახდელის სტატისტიკა (დანესებულებების მითითებით), ხანმოკლე შვებულებით სარგებლობის შემთხვევები, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის სტატისტიკა, საპრობის რეჟიმზე გადაყვანილ მსჯავრდებულთა რაოდენობა (დანესებულებების მითითებით), ექიმის მიერ საკვების უზარისხობასთან დაკავშირებით გაკეთებული მიმართვების სტატისტიკა (დანესებულებების მითითებით) და სხვა.

ასევე მონიტორინგის დაწყებამდე ყველა დაწესებულების ადმინისტრაციას შესავსებად გაეგზავნა სპეციალური კითხვარი მათ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. კერძოდ, კითხვები შეეხებოდა დაწესებულებების ინფრასტრუქტურას და ფუნქციურ დატვირთვას, სეირნობის, შხაპის მიღების, ამანათის მიღების, პაემნის, ტელეფონით, მაღაზიით სარგებლობის პროცედურებს, იმ სასნაველო, სარეაბილიტაციო, დასაქმების ან სამკურნალო პროგრამებს, რომლებიც დაწესებულებაში მოქმედებდა საანგარიშო პერიოდში, ასევე სპეციალური კატეგორიის პატიმრებს (სხვა ქვეყნის მოქალაქეების, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს). ასევე მოთხოვნილ იქნა დაწესებულებების შინაგანაწესის, დღის წესრიგის და სხვა დოკუმენტაციის ასლები.

დანესებულებებიდან მიღებული კითხვარები ხშირად არასრულად იყო შევსებული. რამდენიმე შემთხვევაში საჭირო გახდა კითხვარების ხელმეორედ გაგზავნა ზოგიერთი ინფორმაციის მოპოვების ან დაზუსტების მიზნით. ასევე არასრულად იქნა მონოდებული გამოთხოვილი დოკუმენტაცია.

საანგარიშო პერიოდში გეგმური მონიტორინგი განხორციელდა 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში. მონიტორინგის ფარგლებში მონახულე-ბული იქნა თვრამეტივე სასჯელალსრულების დაწესებულება.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეხვდნენ და გაესაუბრნენ პატიმრებს, დანესებულებების დირექტორებს, თანამშრომლებს, სამედიცინო პერსონალს.

ივლის-აგვისტოს მონიტორინგისგან განსხვავებით, ამჯერად სახალხო დამცველის რწმუნებულებს არცერთ დანესებულებაში არ შექმნიათ პრობლემა კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას. ისინი დაუბრკოლებლად დაიშვებოდნენ და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ სასჯელსრულების დანესებულებების ტერიტორიაზე. მათ ასევე ეძლეოდათ საშუალება, თავიანთი შეხედულებისამებრ შეერჩიათ პატიმრების მონახულების ადგილები, გასაუბრებოდნენ მათ კონფიდენციალურად, დანესებულების თანამშრომლების დაუსწრებლად.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი მონიტორინგის შემდეგ იმატა არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა. მონიტორინგის ჯგუფისთვის ცნობილი გახდა რამდენიმე ასეთი შემთხვევა. მოპოვებული მასალები და პატიმრების ახსნა-განმარტებები რეაგირებისთვის გადაეგზავნა სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს ან/და საქართველოს მთავარ პროკურატურას. ყველა შემთხვევაზე დაწყებული გამოძიება, თუმცა არა ნამდბის ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით.

არასათანადო მოპყრობის ყველა ის შემთხვევა, რომლებიც სახალხო დამცველისთვის გახდა ცნობილი, შეეხებოდა ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის ან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებას.

2009 წლის 12 დეკემბერს ქუთაისის N2 დანესებულების კარცერში თავი ჩამოიხრჩო მსჯავრდებულმა. აღნიშნულზე სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა), თუმცა გვამზე აღმოჩენილია სიცოცხლის დროს მიყენებული დაზიანებები, რომლებზეც სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაშიც არის საუბარი.⁵ აღნიშნული გარემოება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გამოძიების მხრიდან.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს, პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანოს და უზრუნველყოს სასჯელსრულების დანესებულებებში მომხდარი ფაქტების სწრაფი და ეფექტური გამოძიება.

ზოგიერთი სასჯელსრულების დანესებულების საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები იმდენად ცუდია, რომ აღნიშნულ დანესებულებებში განთავსებული პატიმრები, შეიძლება ითქვას, რომ არაადამიანურ და ღირსების შემლახავ პირობებში იმყოფებიან. მიუხედავად იმისა, რომ აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა ახალი სასჯელსრულების დანესებულებები, კვლავ პრობლემად რჩება დანესებულებები, რომლების დახურვის რეკომენდაციაც იქნა გაცემული სახალხო დამცველის ანგარიშებში. ესენია თბილისის N1, ბათუმის N3 და ზუგდიდის N4 საპყრობილებები, ასევე, ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დანესებულება. ასევე, უმძიმესი მდგომარეობაა ქსნის N7 დანესებულებაში, რომლის ინფრასტრუქტურა და საყოფაცხოვრებო თუ ჰიგიენური პირობები კვლავ არაადამიანურად დასუსტებულია. აღნიშნული პრობლემების მოგვარება, ასევე სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა შეუძლებელია დანესებულების კაპიტალური გარემონტების გარეშე.

თავისუფლების აღკვეთა უნდა ხორციელდებოდეს იმ მატერიალურ და მორალურ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ღირსების პატივისცემას. ევროპული ციხის წესების⁶ ერთ-ერთი

⁵ სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამსახურის დასკვნა N407. დაიწყო 12.12.2009, დასრულდა 12.01.2010, გვ.8: „მარჯვენა მხრის უკანა ზედაპირზე, მარცხენა თეძოს ფრთის და მარჯვენა მუხლის მიდამოში აღენიშნება ნაჭდევები (სიცოცხლისდროინდ, 4-5 დღისაა).“
⁶ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია (2006)2 ციხის ევროპული წესების შესახებ.



საბაზისო პრინციპია, რომ „ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ არის გამართლებული რესურსების ნაკლებობით“.⁷ სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ დაპატიმრებული პირები არ უნდა კარგავდნენ ადამიანური ღირსების შეგრძნებას, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა.

2009 წლის 20 ოქტომბერს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომელშიც მე-3 მუხლის დარღვევად შეფასდა განმცხადებლის ყოფნა გადატვირთულ და არაჰიგიენურ საკანში, ასევე – სუფთა ჰაერისა და განათების ნაკლებობა. გადაწყვეტილება შეეხება N5 საპრობილეს, რომელიც ლიკვირებული იქნა, თუმცა ზემოთ ჩამოთვლილ დანესებულებებში არანაკლებ შემამფოთებელი ვითარებაა ჰიგიენური პირობების და გადატვირთულობის თვალსაზრისით.

„პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემისა და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე განმარტოების მოთხოვნებს. ასევე დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს“⁸.

„ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან, ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიციონერების ჯეროვანი სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს“⁹.

ხშირია ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპრობილის ნაწილში განთავსებულ მსჯავრდებულთა კოლექტიური განცხადებები, რომლებიც, სხვა საკითხებს შორის, შეეხება საყოფაცხოვრებო პირობებს, არაადეკვატურ და არადროულ სამედიცინო მომსახურებას და ჰიგიენური საშუალებების მიუწოდებლობას. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების საპრობილეს იზოლირება გაუკეთდა საპირფარეშოებს და საკნებში დამონტაჟდა გამწოვები, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება საკნების კედლები, რომლებიც დაფარულია ცემენტის სქელი, უსწორმასწორო ფენით, ე.წ. „შუბით“. მსჯავრდებულთა გადმოცემით, იმ საწოლებზე წოლა, რომლებიც მიდგმულია კედელთან, შეუძლებელია.

ქსნის დაწესებულების საერთო და მკაცრ რეჟიმზე მყოფი მსჯავრდებულების ნაწილი განთავსებულია ადრე არსებულ სასადაილოს შენობაში, სადაც საცხოვრებელი სადგომები გამოყოფილია ერთმანეთისგან ლურჯი ბრეზენტით და მსჯავრდებულების მიერ გაკეთებული სამსართულიანი საწოლებით. ე.წ. ცენტრალურ ბარაკში იგივე მდგომარეობაა. ტერიტორიაზე განთავსებულ საერთო საპირფარეშოში გასარემონტებელია საკანალიზაციო სისტემა, რის გამოც მიმდებარე ტერიტორიაზე დგას სპეციფიკური სუნის. მსჯავრდებულთა დიდ ნაწილს ეზოში გაშლილ კარვებში უწევს ცხოვრება, სადაც ასევე კატასტროფული სანიტარიულ-ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო პირობებია. აღნიშნულს ისიც განაპირობებს, რომ ქსნის დაწესებულების საერთო და მკაცრი რეჟიმის ნაწილში გადატვირთულობა და მსჯავრდებულებს მორიგეობით უწევთ ძილი.

N3 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება განთავსებულია ყოფილ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე. დაწესებულება აშენდა 1952

⁷ მე-4 წესი.

⁸ 18.1 წესი

⁹ 18.2 წესი

ნელს და გარემონტდა 1975 წელს, მისი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. აღნიშნული დაწესებულების შექმნის შემდგომ კოსმეტიკური რემონტი გაუკეთდა მხოლოდ პირველ სართულს, სადაც განლაგებულია ადმინისტრაციის თანამშრომლების ოთახები და სამედიცინო ნაწილი. დაწესებულებაში ძირითადად განთავსებული არიან ის მსჯავრდებულები, რომელთაც დარჩენილი აქვთ სასჯელის მოხდის მცირე ვადა და ხანდაზმული მსჯავრდებულები. მონიტორინგის დროს დაწესებულებაში განთავსებული იყო 41 ხანდაზმული. აღსანიშნავია, რომ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ხანდაზმულებს სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით უნდა შეექმნათ გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები. სახალხო დამცველის აპარატიდან 2009 წლის 11 აგვისტოს წერილობითი მიმართვა გაეგზავნა სასჯელსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, მოენოდებინა ინფორმაცია, იმყოფებოდნენ თუ არა ხანდაზმული მსჯავრდებულები გაუმჯობესებულ პირობებში და რაში გამოიხატებოდა აღნიშნული, თუმცა აღნიშნულ წერილზე პასუხი სახალხო დამცველის აპარატში არ შემოსულა, ხოლო მონიტორინგის შედეგად არ ჩანს, რომ ამ კატეგორიის მსჯავრდებულები სარგებლობდნენ რაიმე სახის გაუმჯობესებული პირობებით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, კანონის შესაბამისად უზრუნველყოს ხანდაზმული პატიმრების გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები.

რუსთავის N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების I, II, III და IV საცხოვრებელი კორპუსების დათვალიერებით ირკვევა, რომ იქ არსებული საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს რემონტს. ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსებში განათება ხდება ხელოვნური გზით, ვინაიდან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს მათ ბუნებრივ განათებას. ვენტილაცია ხდება ბუნებრივად, თუმცა არასაკმარისად. ზოგიერთ საკანში მოშლილია ონკანი, ზოგში არ არის ნათურები.

N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არის ბარაკული სისტემის საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. არ არის ცენტრალური გათბობის სისტემა და მსჯავრდებულები სარგებლობენ ელექტროგათბობლებით.

არასრულწლოვანთა აღმზრდელი დაწესებულებაში არის ერთი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც შედგება 7 საცხოვრებელი ოთახისაგან (25-27 ადგილიანი). დაწესებულება საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. საცხოვრებელ კორპუსს არ აქვს სავენტილაციო სისტემა. თითოეულ არასრულწლოვანზე გამოყოფილი ფართი არ შეესაბამება „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სტანდარტებს.

ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში არის ერთმანეთისგან იზოლირებული სამი საცხოვრებელი კორპუსი, რომლებიც შედგება 78 პალატისგან. საცხოვრებელი კორპუსები საჭიროებს რემონტს და მათი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არის ცუდი. გათბობა ხდება ელექტროგათბობლების საშუალებით. 2010 წლის იანვრიდან დაგეგმილია დაწესებულების კორპუსების ეტაპობრივი გარემონტება.

N7 საპყრობილეში არის 25 საკანი, მათი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ნორმალურია, თუმცა საპირფარეოებში არ არის ელექტროგაყვანილობა, რის გამოც მსჯავრდებულებს საპირფარეოს განათება სანთლის მეშვეობით უწევთ. ფანჯრები არის მცირე ზომის, რის გამოც საკნების ბუნებრივი განიავება არ ხდება სათანადოდ, ხოლო ცენტრალური სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკნების განიავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზაფხულის განმავლობაში საკნებში არის უჰაერობა. საკნების განათება ხდება მხოლოდ ხელოვნური გზით, ვინაიდან ფანჯრების ზომა ვერ უზრუნველყოფს საკნის ბუნებრივ განათებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპყრობილე საჭიროებს რემონტს და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.



N6 სერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დანესებულების ძველი სარეჟიმო კორპუსების საკნებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადაამაკმაყოფილებელია, კერძოდ, ვენტილაცია არ ხდება, კედლები ნესტიანია, ჩამოყრილია ბათქაში, განათება ხდება მზუჭუტავი ნათურებით, ხოლო ბუნებრივი განათება არ არის საკმარისი, იატაკი ბეტონისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, უმოკლეს დროში უზრუნველყოს N1, N3, N4 საპყრობილებების, ასევე N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დანესებულების ლიკვიდაცია; ასევე გაატაროს სხვა სასჯელაღსრულების დანესებულებებში, მათ შორის, ქსნის N7 დანესებულებაში დამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

2009 წლის 11 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს გაეგზავნა წერილობითი მიმართვები, მოეწოდებინა ინფორმაცია, თუ რომელ სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებზე მიუთითებს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი¹⁰, რომელი სამართლებრივი აქტით განისაზღვრება მსჯავრდებულის საცხოვრებელი სადგომის ინფრასტრუქტურა, ასევე, საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის (ცალ-ცალკე) სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის საერთო საცხოვრებლის ინფრასტრუქტურა და მოწყობის წესი. აღნიშნულ წერილებზე პასუხი სახალხო დამცველის აპარატში არ შემოსულა. ხსენებული ინფორმაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც უმოკლეს დროში დაგეგმილია ახალი დანესებულებების ექსპლუატაციაში შესვლა. უცნობია, რა ნორმების მიხედვით ხდება ამ დანესებულებების დაპროექტება და მშენებლობა.

მონიტორინგის ჯგუფისთვის ასევე შეუძლებელი გახდა დანესებულებების სარემონტო სამუშაოების და პერსონალის (მათ შორის, სამედიცინო) რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N42 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ V თავის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის N42 ბრძანებულება ეწინააღმდეგება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მე-7 მუხლში ზუსტადაა მითითებული, რა კატეგორიის ინფორმაცია შეიძლება იყოს მიკუთვნებული სახელმწიფო საიდუმლოს კატეგორიას.

გადატვირთულობა

სასჯელაღსრულების სისტემაში გადატვირთულობა კვლავ პრობლემად რჩება. აღნიშნული პრობლემა პატიმართა სწრაფად მზარდი რაოდენობითა და ინფრასტრუქტურის უკმარისობითაა გამოწვეული.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2 კვ.მ-ზე ნაკლები“.

მიუხედავად კანონის იმპერატიული მოთხოვნისა, ზოგიერთი სასჯელაღსრულების დანესებულება არათუ ვერ უზრუნველყოფს თუნდაც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტის დაცვას (რომელიც ევროპულ სტანდარტებზე (4 კვ.მ) გაცილებით დაბალია), არამედ არ იძლევა საშუალებას, ყოველ მსჯავრდებულს ჰქონდეს საკუთარი საწოლი, რაც წარმოადგენს მსჯავრდებულთა

¹⁰ „სასჯელაღსრულების დანესებულებაში მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი სადგომი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას“.

უფლებების უხემ დარღვევას. მონიტორინგის დროს გადატვირთულობის პრობლემა გამოიკვეთა შემდეგ დაწესებულებებში: N1 საპყრობილე – 1209 პატიმარი¹¹ (ლიმიტი – 750); N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება – 2905 პატიმარი¹² (ლიმიტი – 2500); N4 საპყრობილე – 578 პატიმარი¹³ (ლიმიტი – 305); N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება – 388 პატიმარი¹⁴ (ლიმიტი – 370); N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება – 3082¹⁵ (ლიმიტი – 2744); N8 საპყრობილე – 3790 პატიმარი¹⁶ (ლიმიტი – 3672); ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება – 733 პატიმარი¹⁷ (ლიმიტი – 540); N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება – 2731 პატიმარი¹⁸ (ლიმიტი – 1600).

როგორც სახალხო დამცველის წინა მოხსენებაში იყო აღნიშნული, გადატვირთულობა პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასთან, რომელიც „ნულოვან ტოლერანტობას“ ითვალისწინებს ყოველგვარი დანაშაულის მიმართ, განურჩევლად მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა. აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველმა, 2009 წლის 1 ნაწილის ანგარიშში, რეკომენდაცია მისცა შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, თუმცა ჯერჯერობით ამ მხრივ ცვლილება არ აღინიშნება.

გადატვირთულობის პრობლემის მოგვარება არ შეიძლება, განვიხილოთ მხოლოდ ყოველი პატიმრის საკუთარი საწოლით უზრუნველყოფის კუთხით. მრავალი სხვა პრობლემა, მათ შორის, პატიმრების ჯანმრთელობის დაცვა, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები, დასაქმებისა და განათლების პროგრამების შემუშავება და წარმატებით განხორციელება ვერ მოხერხდება პატიმრების ძალიან დიდი რაოდენობის გამო. ამის გამო სახალხო დამცველი თავის ყოველ მოხსენებაში მიუთითებს, რომ მხოლოდ ახალი დაწესებულებების აშენება გადატვირთულობასა და მასთან პირდაპირ დაკავშირებულ პრობლემებს ვერ გადაჭრის.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს, სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში პრიორიტეტი მიანიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეებს.

კონტაქტი გარე სამყაროსთან

„პატიმრებს ნებართვა უნდა მიეცეთ, რაც შეიძლება ხშირად იქონიონ ურთიერთობა წერილით, ტელეფონით თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებით თავიანთ ოჯახებთან, სხვა პირებთან და გარე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დაენიშნოთ პაემნები ამ ადამიანებთან“¹⁹.

¹¹ 2009 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით
¹² 2009 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით
¹³ 2009 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით
¹⁴ 2009 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით
¹⁵ 2009 წლის 4 დეკემბრის მდგომარეობით
¹⁶ 2009 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით
¹⁷ 2009 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით
¹⁸ 2009 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით
¹⁹ 24.1-ე წესი



„პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები მაქსიმალურად ნორმალურ გარემოში“²⁰.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები, დადგენილი წესით და სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით ისარგებლოს საერთო სარგებლობის ტელეფონით, თუ სასჯელალსრულების დაწესებულებას ამისი ტექნიკური შესაძლებლობა გააჩნია“²¹.

იმავე კანონის თანახმად, „მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გაცნობის შესაძლებლობა. 2. სასჯელალსრულების დაწესებულებაში ხდება რადიოსა და ტელევიზიის ტრანსლაცია. მსჯავრდებულთათვის რეჟიმით გათვალისწინებული შეზღუდვების შესაბამისად მათ შეიძლება ჰქონდეთ პირადი რადიომიმღები, ტელევიზორი, ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონი, საბეჭდი საშუალება, თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდეს. აღნიშნული ტექნიკის გამოყენების ხარჯებს (ელექტროენერჯისა და სხვა) იხდის მსჯავრდებული. 3. მსჯავრდებულს შეუძლია საკუთარი სახსრებით გამოიწეროს სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, რელიგიური, მხატვრული ლიტერატურა, გაზეთები და ჟურნალები“²².

პაემნები

2007 წლის ანგარიშში, საქართველოს ხელისუფლების მიმართ, წამებისა და არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) აღნიშნა, რომ „პაემნების ოთახი საშუალებას არ იძლევა, რომ პატიმრებსა და მის ნათესავებს შორის რაიმე ფიზიკური კონტაქტი განხორციელდეს. ყველა დაწესებულებას აქვს გარკვეული რაოდენობის ოთახები (1 ზუგდიდის N4 ციხეში, 12 რუსთავის სასჯელალსრულების დაწესებულება N2-ში, 13 რუსთავის N6 საპყრობილეში), რომლებშიც პატიმრები დამცავი მინით გამოყოფილი არიან და კომუნიკაციისათვის იყენებენ ტელეფონს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს რუსთავის სასჯელალსრულების დაწესებულება N2, სადაც ვიზიტი ჩვეულებრივ ოთახში ხდება.

კომიტეტი დარწმუნებულია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ამგვარი მეთოდი გამართლებულია უსაფრთხოების და გამოძიებასთან დაკავშირებული ინტერესებით. თუმცა ყველა კატეგორიის პატიმართათვის ღია ვიზიტები უნდა იყოს წესი, ხოლო დახურული მკაცრი წესები – მხოლოდ გამონაკლისი. CPT რეკომენდაციას უწევს შესაბამის ორგანოებს, პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტების საკითხი გადაიხედოს ისე, რომ პატიმრებს შესაძლებლობა მიეცეთ, მიიღონ მნახველები შედარებით ნაკლებად მკაცრ პირობებში, რაც მხოლოდ ინდივიდუალურ გარემოებებზე დაფუძნებით იქნება შესაძლებელი. ამავდროულად, კომიტეტი სთხოვს დაწესებულებებს, გაზარდონ პაემნების ოთახების რაოდენობა, ეს უკანასკნელი მოწოდება კი განსაკუთრებით ეხება ზუგდიდის N4 საპყრობილეს.“

მიუხედავად აღნიშნული რეკომენდაციისა, კიდევ უფრო გახშირდა პაემნის ოთახების მინით გადატვიხვა. გამონაკლისს წარმოადგენს N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, სადაც პაემნის ოთახები მინით არის გადატვიხნული, თუმცა პაემანი მაინც პირისპირ ხდება, არასრულწლოვანთა აღმზრდელითი დაწესებულება, ქალთა და არასრულწლოვანთა N5 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება და რუსთავის N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება. ქსნის N7 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულების საპყრობილეში პაემნის ოთახი მინით არის გა-

²⁰ 24.4-ე წესი
²¹ 50-ე მუხლის 1 პუნქტი
²² 51-ე მუხლი

დატიხრული, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, ადმინისტრაცია ნებას აძლევს პატიმრებს, შეხვდნენ ოჯახის წევრებს პირისპირ.

დანესებულებების დირექტორები ზემოაღნიშნული ბარიერების არსებობას უსაფრთხოების ზომებით ხსნიან. ვასაგებია, რომ ზოგ შემთხვევაში ბარიერების არსებობა გამართლებულია სხვადასხვა მოსაზრებით, თუმცა, როგორც CPT აღნიშნავს, ამგვარი შეზღუდვები ინდივიდუალურად უნდა საბუთდებოდეს და არ უნდა ჰქონდეს ზოგადი ხასიათი. დანესებულების ადმინისტრაციას შეუძლია, პირადი ჩხრეკითა და ვიზუალური დაკვირვებით მინიმუმამდე დაიყვანოს ის რისკები, რომლებიც თან ახლავს პატიმრის კონტაქტს ოჯახის წევრებთან. თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ პირადი ჩხრეკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა ატარებდეს დამამცირებელ და ღირსების შემლახავ ხასიათს.

პატიმრებთან საუბრის დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა კონტაქტური (გრძელვადიანი) პაემნების არარსებობაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2009 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენებაში წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესულიყო დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ყველა კატეგორიის მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე.

სახალხო დამცველმა ასევე რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, ახალ სასჯელაღსრულების დანესებულებებში უზრუნველყო გრძელვადიანი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გათვალისწინება.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე.

სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები იმის გამო, რომ მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით არსებულ დანესებულებაში განთავსების გამო, ისინი მოკლებულნი არიან პაემნის უფლებით სარგებლობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულის ოჯახის წევრები გადაადგილებას ვერ ახერხებენ ჯანმრთელობის ან ფინანსური მდგომარეობის გამო. სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ პატიმრობის კოდექსის ძალაში შესვლა, რომელშიც ექსპლიციტურადაა განსაზღვრული მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს განთავსების პრინციპი, თუმცა, კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებიდან გამომდინარე, შეიძლება პრაქტიკაში აღნიშნული დისპოზიცია არაეფექტური აღმოჩნდეს.

სატელეფონო საუბრები

CPT-ს 2007 წლის ანგარიშის 94-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „სატელეფონო ხაზების შეზღუდული რაოდენობის გამო პატიმრები იძულებულნი არიან, მიმართონ ციხის დირექტორს თითოეული ზარისათვის ნებართვის მისაღებად. ბევრი პატიმარი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მათ 3 თვეში მხოლოდ ერთი ზარის განხორციელების საშუალება ეძლევა“. აღნიშნულიდან გამომდინარე, CPT-მ მოუწოდა შესაბამის თანამდებობის პირებს, რომ გადადგან საჭირო ნაბიჯები მისჯილი პატიმრების სატელეფონო მომსახურებით უზრუნველსაყოფად.“

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის დროს ყურადღება გამახვილდა ტელეფონით სარგებლობის უფლების განხორციელებაზეც. ამ მხრივ კვლავ მძიმე მდგომარეობაა ზუგდიდის N4 საპრობილეში, სადაც ტელეფონები უკვე რამდენიმე თვეა დამონტაჟებულია, თუმცა მათი ჩართვა, როგორც ადმინისტრაციამ განმარტა, ვერ მოხერხდა გაურკვეველი მიზეზების გამო; ბათუმის N3



საპრობილემო ტელეფონი არის, თუმცა, როგორც ადმინისტრაცია და მსჯავრდებულები განმარტავენ, ყოველი წვიმიანი ამინდის შემდეგ (რაც ბათუმში ძალიან ხშირია) ტელეფონი ითიშება და შეკეთებას რამდენიმე დღე სჭირდება; ქ.თბილისის N8 საპრობილემო მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, კვირაში 3 წუთით ისარგებლონ ტელეფონით.

2008 წლის II ნახევრის მონიტორინგის დროს მსჯავრდებულებს შეეძლოთ, ტელეფონის საშუალებით დაჰკავშირებოდნენ საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრებს, თუმცა 2009 წელს, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით, სატელეფონო ზარების განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. შედეგად, ის პატიმრები, რომელთა ოჯახის წევრებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ, ვერ სარგებლობენ სატელეფონო საუბრის უფლებით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უზრუნველყოს ყველა პატიმრის უფლების რეალიზაცია სატელეფონო საუბრებზე, მათ შორის, იმ პირების ინტერესების გათვალისწინებით, რომელთა ახლობლები არ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე.

პრესის, ტელე და რადიომაუწყებლობის ხელმისაწვდომობა

CPT-მ ასევე მოუწოდა საქართველოს მთავრობას, „ნება დართოს პატიმრებს ჰქონდეთ ტელევიზორები და რადიოები.“ ტელევიზორების არარსებობა კვლავ პრობლემად რჩება სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2009 წლის 29 დეკემბერს, სახალხო დამცველისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრის შეხვედრისას საუბარი იყო სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებაში წარმოდგენილ რეკომენდაციებზე, მათ შორის, ტელემაუწყებლობის ხელმისაწვდომობაზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, კერძოდ, დაბა – ქსნის N7 დაწესებულების საპრობილემო. 2010 წლის 6 იანვარს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.mcla.gov.ge) განთავსდა ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ „სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ქსნის N7 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების მსჯავრდებულებს დამდეგი შობა მიულოცა და „სამსუენგი“-ს ფირმის 20 ტელევიზორი გადასცა. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტელევიზორების აუცილებლობაზე სახალხო დამცველის, გიორგი ტულუშის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში იყო საუბარი და მან სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა.“

სახალხო დამცველი მოხარულია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება რუსთავეის N6 საერთო, მკაცრი და საპრობილემო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება (სადაც ტელევიზორები მხოლოდ უვადო თავისუფლებადაკვეთილ და სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრებს აქვთ), მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება (სადაც ზოგიერთი პატიმარი წლების განმავლობაში იმყოფება), N8 საპრობილემო (სადაც განთავსებული არიან როგორც განსასჯელი პირები, ასევე მსჯავრდებულები), სადაც ტელევიზორები აქვთ მხოლოდ სამეურნეო ნაწილში მომსახურე პატიმრებს, ქუთაისის N2 საპრობილემო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება, სადაც ტელევიზორები აქვთ მხოლოდ არასრულწლოვან და ქალ მსჯავრდებულებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისის N7 საპრობილემო, სადაც არ ხდება სატელევიზიო არხების ტრანსლაცია, არამედ ცენტრალიზებულად ირთვება DVD-ები გასართობი პროგრამებითა და ფილმებით.

ზოგიერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადმინისტრაციის ამორჩევით ხდება რადიოს არხების ტრანსლირებაც. საანგარიშო პერიოდში დაბა – ქსნის N7 სასჯელაღსრულების დაწესებულების

საპრობლეში მხოლოდ საპატრიარქოს რადიოს და შემდეგ რადიო „იმედის“ მოსმენა იყო შესაძლებელი, N7 საპრობლეშიც ადმინისტრაცია ირჩევს, რომელი არხის მოსმენის საშუალება მისცეს მსჯავრდებულებს. იგივე პრობლემა დგას რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

პატიმრობის კოდექსის ძალაში შესვლასთან ერთად შესაძლებელია, ზემოაღნიშნული პრობლემაც მოგვარდეს, ვინაიდან კანონი პირდაპირ ითვალისწინებს პატიმართა უფლებას ტელევიზორის ქონაზე.



პრესა, როგორც წესი, პატიმრებს მიეწოდებათ ამანათით და მისი შექმნა შესაძლებელია დაწესებულებების მალაზიაშიც. გამონაკლისის სახით უნდა აღვნიშნოთ ქუთაისის N2 სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც პრესის მიღება მხოლოდ ამანათით არის შესაძლებელი, დაწესებულების მალაზიაში კი ჟურნალ-გაზეთები არ იყიდება.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უზრუნველყოს პრესის ხელმისაწვდომობა.

მიმონერის უფლება

პატიმრებს აქვთ ოჯახთან წერილის გაგზავნისა და მიღების საშუალება, თუმცა იმ დაწესებულებებში, სადაც ტელეფონით სარგებლობა საკმარისი რეგულარობით ხდება, პატიმრები იშვიათად სარგებლობენ ამ უფლებით.

განცხადებები და საჩივრები

CPT-მ თავისი 2007 წლის მოხსენების²³ 101-ე პარაგრაფში აღნიშნა, რომ „მიუხედავად მონიტორინგის გაუმჯობესებისა, დელეგაციის მიერ გამოკითხული ბევრი პატიმარი სკეპტიციზმს გამოთქვამს საჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით. ბევრი პატიმარი კონფიდენციალურად ვერ ახდენს საკუთარი საჩივრის გაგზავნას, გამომდინარე იქიდან, რომ მათ უწყვეტ ღია ფორმით გადაცემა საკუთარი საჩივრების ციხის თანამშრომლებისათვის. დელეგაციამ შენიშნა, რომ დაწესებულებაში არის საჩივრების ყუთი, თუმცა პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ საკითხის მიმართ. აღნიშნული იქნა ასევე ისიც, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ემუქრებიან პატიმრებს სხვადასხვა ფორმით, რათა მათ არ გაგზავნონ საჩივარი ციხის ადმინისტრაციის გარეთ რომელიმე თანამდებობის პირთან. ასევე იყო ბრალდება იმ პირების მისამართითაც, რომელთაც ეს საჩივრები ეგზავნება და აღნიშნა, რომ არ ხდება ამგვარ წერილებზე დროულად პასუხის გაცემა“.

CPT რეკომენდაციას უწევს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, რომ გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა მოხდეს პატიმრების იმ უფლების დაცვა, რომელიც საჩივრების კონფიდენციალობას შეეხება.

საჩივრის ყუთები თითქმის ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია. გამონაკლისს წარმოადგენს ქ.თბილისის N8 საპრობლე და ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება.

მონიტორინგის დროს პატიმრები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ დანერგულ საჩივრებს ზოგჯერ არ იბარებენ ან არ აგზავნიან. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საჩივრებს, რომლებიც შეეხება დაწესე-

²³ მოხსენება საქართველოს ხელისუფლებას ნამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ 2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე; სტრასბურგი, 2007 წლის 25 ოქტომბერი.



ბულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების უფლების დარღვევას. ხშირია შემთხვევები, როდესაც დანესებულების ადმინისტრაცია აგზავნის პატიმრების საჩივრებს, თუმცა ამ უკანასკნელთათვის მიუწვდომელია გაგზავნილი წერილის ნომერი, რაც გაუგებრობებს ინვესს და კიდევ ერთხელ ადასტურებს სასჯელალსრულების სისტემაში მოქმედი სოციალური სამსახურის უუნარობას.

ხშირად სასჯელალსრულების დანესებულებების ადმინისტრაციებიდან სახალხო დამცველის აპარატში მსჯავრდებულთა და პატიმართა მიერ გამოგზავნილი განცხადებები შემოდის ღია მდგომარეობაში. აღნიშნული განცხადებები არის დაუთუქავი და თავფურცლად ახლავს სასჯელალსრულების დანესებულების დირექტორის ხელმოწერა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის N620 ბრძანების თანახმად, „ადმინისტრაციის ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციის, იუსტიციის სამინისტროს, სასჯელალსრულების დეპარტამენტის, სახალხო დამცველის, დამცველის ან პროკურორისათვის გაგზავნილი მსჯავრდებულთა კორესპონდენცია. ადმინისტრაცია ვალდებულია არა უგვიანეს სამი დღის ვადისა გადააგზავნოს იგი დანიშნულებისამებრ. ეს განცხადებები და საჩივრები არ ექვემდებარება შემოწმებას და დადგენილი წესით ეგზავნება ადრესატს.“

აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2008 წელს მიმართა რეკომენდაციით სასჯელალსრულების დეპარტამენტს, უზრუნველყო ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარება. რეკომენდაციის შედეგად ზოგიერთი სასჯელალსრულების დანესებულებიდან შემოსულ განცხადებას აღარ ახლავს თავფურცელი დანესებულების დირექტორის ხელმოწერით, თუმცა წერილები არ ილუქება პატიმრის თანდასწრებით. გამონაკლისს წარმოადგენს ის სპეციალური კონვერტები, რომლებიც სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა დაარიგა და რომლებიც უკვე დალუქულ მდგომარეობაში გადაეცემა ადმინისტრაციას.

პატიმართა ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობების შესახებ

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „მსჯავრდებულს წერილობითი ფორმით უნდა გააცნონ მისი უფლებები და მისდამი მოსამსახურეების მოპყრობის წესები, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური და სხვა სახის მოთხოვნები.“

CPT-ს ანგარიშის 102-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „პატიმრებთან საუბრის შედეგად დადგინდა, რომ ისინი იღებენ ძალიან მცირე ინფორმაციას ან საერთოდ არანაირი ინფორმაცია არ მიეწოდებათ საკუთარ უფლებებზე. ზოგიერთ დაწესებულებაში, რომელსაც დელეგაცია ეწვია (რუსთავის №6 საპყრობილე), იყო გარკვეული ინფორმაციის მატარებელი პოსტერები გამოკრული შესასვლელებში, თუმცა ინფორმაცია არ იყო ახალი და არც საკმარისად დეტალური.“ CPT მიიჩნევს, რომ პატიმრებს სისტემატურად წერილობითი სახით უნდა მიეწოდებოდეთ განახლებული ინფორმაცია საკუთარ უფლებებთან, სამართლებრივ პროცედურებთან დაკავშირებით. ასევე ინფორმაცია, რომელიც შეიცავს შესაბამის ცნობებს მათი ვადამდე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობების შესახებ. ყველანაირი სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრისათვის გასაგებ ენაზე.

მიუხედავად აღნიშნული რეკომენდაციისა, პატიმრების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ თითქმის არ ხდება. N8 საპყრობილეში საკნებში გამოკრულია მხოლოდ პატიმრის მოვალეობები. პატიმრებს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან ხშირად მარტო იმის გამო მოუთხოვიათ შეხვედრა, რომ კონსულტაცია მიეღოთ საკუთარი უფლებების შესახებ. აღნიშნულს, როგორც წესი, უნდა ახორციელებდეს დანესებულების სოციალური სამსახური.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნისა და მათი პროფესიული ღონის ამაღლების მიზნით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სასჯელაღსრულების დაწესებულებების დირექტორებს, ჯეროვნად უზრუნველყონ პატიმრების ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

რესოციალიზაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „მსჯავრდებულ პატიმრებს უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურებსა და სპეციალურ პროგრამებში, რომლებიც დაეხმარება მათ, მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან სამართალმორჩილი ცხოვრებისაკენ ნორმალურ საზოგადოებაში“²⁴.

„იმ პატიმართა შემთხვევაში რომლებიც დიდი ვადით რჩებიან ციხეში, მიღებული უნდა იქნას ზომები რომლებიც თანდათანობით მოახდენს მათ დაბრუნებას თავისუფალ, ჩვეულებრივ საზოგადოებაში“²⁵.

„ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლების წინა პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით ზედამხედველობის ქვეშ ძლიერ სოციალურ დახმარებასთან კომბინაციაში“²⁶.

„ციხის ადმინისტრაციამ შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლოს სხვადასხვა სააგენტოსა და ორგანოსთან, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას და ეხმარებიან გათავისუფლებულ პატიმრებს საზოგადოებაში თავიანთი ადგილის დამკვიდრებაში, განსაკუთრებით კი საყოფაცხოვრებო და სამსახურებრივ სფეროში“²⁷.

„ასეთი სოციალური სამსახურების ან სააგენტოების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, შევიდნენ ციხეში და დაეხმარონ მათ გათავისუფლებისათვის მომზადებაში, აგრეთვე გათავისუფლების შემდეგ უზრუნველყოფის გეგმის შემუშავებაში“²⁸.

სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და პატიმართათვის ნორმალური, ადამიანური სამყოფელისა და პირობების შექმნის შემდეგ იქნება შესაძლებელი თავისუფლებააღკვეთილ პირთა რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიღწევა.

აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ მოიხსნება გადატვირთულობის პრობლემა, დაწესებულებებში სათანადოდ გადამზადებული თანამშრომლების ნაკლებობა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის შეზღუდვა. ასევე, აუცილებელია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სოციალური სამსახურის გაძლიერება და კადრების შესაბამისად გადამზადება.

²⁴ 107.1 წესი
²⁵ 107.2 წესი
²⁶ 107.3 წესი
²⁷ 107.4 წესი
²⁸ 107.5 წესი



სასჯელალსრულების დაწესებულებაში პატიმრების ყოფნამ არ უნდა გამოიწვიოს მათი უარეს მდგომარეობაში ჩაყენება, არამედ უნდა დაეხმაროს მათ ჯანმრთელობის, ინტელექტუალური და სოციალური ფუნქციონირების შენარჩუნებაში. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება, იმუშაონ და ისწავლონ, რაც მათ დაეხმარება, გათავისუფლების შემდეგ ინტეგრირება მოახდინონ საზოგადოებაში და თავი იგრძნონ სრულყოფილ მოქალაქეებად.

პატიმრებმა დღეები არ უნდა გაატარონ უქმად და მონოტონურად. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც მათი კეთილდღეობისათვის, ასევე სასჯელალსრულების დაწესებულების ნორმალური მართვისათვის. თუ პატიმრები არ არიან დაკავებულები რაიმე საქმიანობით, დიდია ალბათობა, რომ ისინი გახდებიან დამრღვევები და ასოციალურები. აღსანიშნავია, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებებში სასჯელს იხდიან პირები, რომლებმაც დანაშაული სწორედ მძიმე სოციალური პირობების გამო ჩაიდინეს. ზოგ მათგანს არ აქვს სათანადო განათლება, არ გააჩნია ის უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელიც გამოადგებათ სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ.

პატიმრებისათვის სამუშაო ადგილების შექმნას რამდენიმე მიზანი აქვს, კერძოდ: ნახალისება, თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, გარკვეულწილად ფინანსური შემოსავალი და მიღებული ცოდნა, რომელსაც გამოიყენებენ გათავისუფლების შემდეგ.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „CPT მოუწოდებს საქართველოს მთავრობას რომ შექმნას სხვადასხვა სამოქმედო პროგრამა ციხეში მყოფი მისჯილი და მიუსჯელი პატიმრებისთვის, მიზანი უნდა იყოს ის, რომ ნებისმიერი კატეგორიის პატიმარმა შეძლოს გარკვეული დროის გატარება (დაახლოებით 8 საათის მაინც) საკნის გარეთ და ჩართული იყოს სხვადასხვა სახის საინტერესო, აზრიან სამუშაოში. რაც შეეხება კონკრეტულად პატიმართა მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ფუნდამენტური ცვლილება უნდა მოხდეს, მუშაობის თვალსაზრისით პატიმართათვის მნიშვნელოვანია არა იმდენად მოგება, ანაზღაურება, რამდენადაც ეს სამუშაოები ემსახურება უფრო მეტად რესოციალიზაციის და სარეაბილიტაციო მიზანს²⁹“.

განათლება

მიგვაჩნია, რომ სასჯელალსრულების სისტემაში განათლების უფლების უზრუნველყოფა პრიორიტეტი უნდა გახდეს, რაც, პირველ რიგში, დადებითად აისახება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესზე.

ევროპული ციხის წესების თანახმად, „ყოველი სასჯელალსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით³⁰“.

„პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პატიმრებს, რომელთაც წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლის საჭიროება აქვთ და რომელთაც აკლიათ საბაზისო და პროფესიული განათლება³¹“.

„განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრების განათლებას³²“.

²⁹ მოხსენება საქართველოს ხელისუფლებას წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ 2007 წლის 21 მარტიდან 2 აპრილამდე.

³⁰ 28.1 წესი

³¹ 28.2 წესი

³² 28.3 წესი

„განათლებას არ უნდა მიენიჭოს ნაკლები სტატუსი, ვიდრე მუშაობას ციხის რეჟიმის ფარგლებში და პატიმრები არ უნდა ჩააყენონ ფინანსურად ან სხვაგვარად არახელსაყრელ პირობებში საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მიღების გამო“³³.

დადებითად უნდა აღინიშნოს ზოგიერთ სასჯელალსრულების დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები. მაგალითად, N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში არის კომპიუტერული კურსები (5 კომპიუტერით), სასწავლო პროცესში ჩართული იყო 30 მსჯავრდებული; N4 საპყრობილეში კომპიუტერული კურსებია არასრულწლოვნებისთვის, სასწავლო პროცესში ჩართულია 7 არასრულწლოვანი მსჯავრდებული; არასრულწლოვანთა აღმზრდელით დაწესებულებაში არის GCRT-ის მიერ შექმნილი მინანქრის სახელოსნო, სადაც ჩართულია 25 არასრულწლოვანი მსჯავრდებული, ხეზე კვეთის სახელოსნოში – 30 არასრულწლოვანი მსჯავრდებული, საანგარიშო პერიოდში წამების, ძალადობისა და გამობატული სტრესული ზემოქმედების მქონე პირთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „ემპათია“-ს მიერ დაფინანსებული იყო თიხაზე მუშაობის შემსწავლელი კურსი, თუმცა აღნიშნული პროექტი უკვე დასრულდა. არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შესაძლებლობა აქვთ, ისწავლონ სასკოლო პროგრამის მიხედვით. N3 საპყრობილეში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის არის სასწავლო პროგრამა „ადვოკატირება და განვითარება“, ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტილისტის, გობელენის, კომპიუტერული, თექის, მზარეულის, მასაჟისა და მაკიაჟის კურსები, „ნამოიწყე საკუთარი საქმე“ სასწავლო პროგრამა და მოდელირებისა და ჭრა-კერვის კურსები, სადაც გადამზადებას გადის 4 არასრულწლოვანი გოგო, რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშემწყობი სასწავლო პროგრამა „ქალი და ბიზნესი“, ასევე არასრულწლოვანი გოგონებისთვის ფუნქციონირებს სკოლა. N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კურსები. N3 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში კომპიუტერული კურსები ტარდება კვირაში 3-ჯერ და სასწავლო კურსს გადის 8 მსჯავრდებული.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ქალებს და არასრულწლოვნებს მეტ-ნაკლებად აქვთ საშუალება, სასჯელალსრულების დაწესებულების პირობებში მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება, რასაც ვერ ვიტყვით მამაკაც მსჯავრდებულებზე – სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის განათლება ჯერაც ხელმიუწვდომელია. ის იშვიათი პროგრამები, რომლებიც სასჯელალსრულების დაწესებულებებში გვხვდება, წყვეტილ ხასიათს ატარებს და მსჯავრდებულთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვისაა ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს და საქართველოს განათლების მინისტრს, ერთობლივი ძალისხმევით შეიმუშაონ და დანერგონ მსჯავრდებულთათვის დისტანციური სწავლების პროგრამები.

„ყოველ დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ბიბლიოთეკა ყველა პატიმრის სარგებლობისთვის, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი როგორც გამაჯანსაღებელი, ისევე საგანმანათლებლო რესურსებით, წიგნებითა და სხვა საშუალებებით“³⁴.

„სადაც შესაძლებელია, ციხის ბიბლიოთეკა უნდა მოეწყოს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის სამსახურებთან თანამშრომლობით“³⁵.

³³ 28.4 წესი
³⁴ 28.5 წესი
³⁵ 28.6 წესი



„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის თანახმად, „სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შექმნას პირობები, რათა მსჯავრდებულებმა მიიღონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლება. ადმინისტრაცია ვალდებულია, დაწესებულებაში მოაწიოს ბიბლიოთეკა, რომელშიც უნდა იყოს როგორც საგანმანათლებლო ლიტერატურა, ასევე მსჯავრდებულთათვის გასაგებ ენაზე პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა, ევროპული პენიტენციური წესები. მსჯავრდებულებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სოციალური ადაპტაციის სასწავლო ჯგუფებში, რომელთა შექმნაც სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მოვალეობაა“.

სასჯელალსრულების დაწესებულებების უმეტესობაში, მიუხედავად ბიბლიოთეკების არსებობისა, ლიტერატურა ხშირად ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელიც სასჯელალსრულების დაწესებულებების ბიბლიოთეკებში მოიპოვება, ხშირად ბევრად უფრო მაღალი მხატვრული ღირებულებისაა, ვიდრე ქართულენოვანი. ბიბლიოთეკებში მწირია ქართველი თუ უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებები, რომ არაფერი ვთქვათ, თანამედროვე მწერლების ნაშრომებზე.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, უზრუნველყოს სასჯელალსრულების დაწესებულებების ბიბლიოთეკების აღჭურვა კანონის შესაბამისად.

შრომა

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის XII თავი განსაზღვრავს მსჯავრდებულთა შრომით საქმიანობაში ჩაბმას. დღეის მდგომარეობით შრომის უფლებით მსჯავრდებულების მცირე ნაწილი სარგებლობს.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხანათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას“³⁶.

N10 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გახსნილია თონე, სადაც დასაქმებულია 1 პატიმარი და ეძლევა ხელფასი. მონიტორინგის ჯგუფს აღნიშნული დაწესებულების დირექტორის მოადგილემ განუცხადა, რომ დაწესებულების მალაზიას ემსახურება 1 მსჯავრდებული და ხელფასის სახით ეძლევა 50 ლარი, თუმცა შპს „მეგაფუდის“ მენეჯერთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მსჯავრდებულს ხელფასს არ უხდია; N8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების საცხოვრებელ დასაქმებულია 3 მსჯავრდებული და ხელფასის სახით თითოეულს 250 ლარი ეძლევა; N3 საპყრობილის საცხოვრებელ დასაქმებულია 2 მსჯავრდებული, ხელფასი – 250 ლარი; ქალთა და არასრულწლოვანთა საერთო და საპყრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულების სამკერვალოში დასაქმებულია 30 მსჯავრდებული, რომლებიც, ადმინისტრაციის განმარტებით, თვეში საშუალოდ 200-250 ლარს გამოიმუშავენ, თუმცა მსჯავრდებულებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ანაზღაურების სახით თვეში 100 ლარს იღებენ; N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულების თონეში დასაქმებულია 2 მსჯავრდებული.

შესაბამისად, სასჯელალსრულების დაწესებულებებში ანაზღაურებადი სამუშაო აქვს მხოლოდ 38 მსჯავრდებულს, რაც ძალიან მცირეა, რადგან საქართველოში 20671 პატიმარი იხდის სასჯელს³⁷.

³⁶ 26.2 წესი

³⁷ 2009 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა დასაქმების სრულფასოვანი რეალიზაცია პირდაპირ არის დაკავშირებული კერძო ბიზნესის დაინტერესებულთა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა 2009 წლის პირველი ნახევრის მოხსენებაში წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც იმ მენარმეებისთვის, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, უზრუნველყოფდა საგადასახადო შეღავათების დანესებას.

სახალხო დამცველი წინადადებით მიმართავს საქართველოს პარლამენტს, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა მენარმეებს, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, განესაზღვროთ საგადასახადო შეღავათები.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, შეიმუშაოს მსჯავრდებულთა მასობრივი დასაქმებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხა.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე პერსონალი

„ციხის მართვის ორგანოები უნდა იღწოდნენ ციხის ყველა კატეგორიის პერსონალის ყურადღებით შერჩევისთვის, რადგან ციხის კარგი მუშაობა დამოკიდებულია ამ თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე, ჰუმანურობაზე, კომპეტენტურობაზე და პირად თვისებებზე“³⁸.

აუცილებელია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყურადღებით შეირჩეს კადრები. მათ კარგად უნდა ჰქონდეთ გათავისებულება, რომ მათზე დამოკიდებული როგორც პატიმრების, ასევე მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, პატიმრების უფლებების დაცვა და მათთვის შესაძლებლობის მიცემა, რათა ციხეში გატარებული დრო გამოიყენონ დადებითად და გათავისუფლების შემდგომ შეძლონ ინტეგრაცია საზოგადოებაში. აღნიშნული მიზნის მიღწევას პროფესიონალიზმი და პიროვნული პატიოსნება სჭირდება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამუშაოდ მაღალკვალიფიციური კადრის მიზიდვისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია მათთვის შესაბამისი ანაზღაურების დანესება და ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნა.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო მოხსენების რეკომენდაციები ასევე შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა სოციალურ გარანტიებს და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

აღნიშნული რეკომენდაციის პასუხად, სახალხო დამცველის აპარატში 2009 წლის 11 დეკემბერს სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრიდან შემოვიდა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ცენტრმა 2005 წლის 08 ნოემბრიდან დღემდე მოამზადა 3350 სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელი და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სისტემის 370 ოფიცერი. მათი განმარტებით, სასწავლო პროცესი ხორციელდება 16 სპეციალიზებული პროგრამის მიხედვით.

სასწავლო ცენტრის დირექტორის მიერ მონოდებული ინფორმაციითა და ლიტერატურით იკვთება, რომ სასწავლო პროგრამა დაგეგმილია სწორად და მიზანმიმართულად, თუმცა მონიტორინგის შედე-

³⁸ პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური ნუსები, 42 (1) ნუსი.



გად ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევაში ჩატარებული ტრენინგი ვერ აღწევს სასურველ შედეგს შემდეგი გარემოებების გამო: თანამშრომლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ დღისით ისინი ტრენინგს ესწრებიან, მაშინ, როცა წინა ღამით სასჯელალსრულების დაწესებულებაში მორიგეობენ. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სასჯელალსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს. გადამზადების პროგრამების არაეფექტურობის ერთ-ერთი მიზეზი ასევე კადრების ხშირი ცვლაა.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, უზრუნველყოს სასჯელალსრულების დაწესებულებების შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტება, ასევე შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე თანამშრომელთა წახალისება და მათი სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესება.

წინადადებები საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა ამჟამად მოქმედი შეკრებითობის პრინციპი შეიცვალოს შთანთქმის პრინციპით;
- პატიმრობის კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი დამატებები, რომლებიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა უფლებას გრძელვადიან პაემნებზე;
- შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა მენარმეებს, რომლებიც იზრუნებენ მსჯავრდებულთა დასაქმებაზე, განესაზღვროთ საგადასახადო შეღავათები.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავარ პროკურორს:

- პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანოს სასჯელალსრულების დაწესებულებებში მომხდარი ფაქტების სწრაფი და ეფექტური გამოძიება;
- სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიკის განსაზღვრისას საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაულების შემთხვევაში პრიორიტეტი მიანიჭოს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ, უფრო მსუბუქ სასჯელის სახეებს;

საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს და საქართველოს განათლების მინისტრს:

- ერთობლივი ძალისხმევით შეიმუშაონ და დანერგონ მსჯავრდებულთათვის დისტანციური სწავლების პროგრამები.

საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- კანონის შესაბამისად განსაზღვროს ხანდაზმული პატიმრების გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები;
- უმოკლეს დროში უზრუნველყოს N1, N3, N4 საპრობაციოების, ასევე N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ლიკვიდაცია; ასევე გაატაროს სხვა სასჯელალსრულების დაწესებულებებში, მათ შორის, ქსნის N7 დაწესებულებაში დამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შექმნისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელი ღონისძიებები;
- გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სოციალური მუშაკების დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნისა და მათი პროფესიული ღონის ამალგების მიზნით;
- შეიმუშაოს მსჯავრდებულთა მასობრივი დასაქმებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხა; უზრუნველყოს სასჯელალსრულების დაწესებულებების შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტება, ასევე შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე თანამშრომელთა წახალისება და მათი სოციალური და შრომითი გარანტიების გაუმჯობესება.

საქართველოს სასჯელსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს:

- უზრუნველყოს ყველა პატიმრის უფლების რეალიზაცია სატელეფონო საუბრებზე, მათ შორის, იმ პირების ინტერესების გათვალისწინებით, რომელთა ახლობლები არ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე;
- უზრუნველყოს სასჯელსრულების დანახვებულებების ბიბლიოთეკების ეკიპირება კანონის შესაბამისად.

სასჯელსრულების დანახვებულებების დირექტორებს:

- ჯეროვნად უზრუნველყონ პატიმრების ინფორმირება მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

2009/2

დროებითი მოთავსების იზოლაციები, ჰაუბტვახტები

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დროებითი მოთავსების იზოლაციების და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რეგიონალური სამმართველოების მონიტორინგის ანგარიში

2009 წლის ოქტომბერში სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფმა ეროვნული პრევენციული მექანიზმის ფარგლებში განახორციელა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დროებითი მოთავსების იზოლაციებისა და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რეგიონალური სამმართველოების მონიტორინგი, რა დროსაც შემოწმდა თბილისის N1 და N2, რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგის, სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, გორის, ქარელის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ჭიათურის, თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის, სამტრედიის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, ხობის, ზუგდიდის N1, ზუგდიდის N2, ფოთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ბათუმისა და ქობულეთის დროებითი მოთავსების იზოლაციები და ვაზიანის, ახალციხის, გორის, სენაკისა და ბათუმის ჰაუბტვახტები³⁹.

აღსანიშნავია, რომ არცერთ დროებითი მოთავსების იზოლაციაში და არცერთ ჰაუბტვახტში მონიტორინგის ჯგუფის წევრებს დაბრკოლებები არ შეჰქმნიათ, დაწესებულებების ადმინისტრაციამ სრულად ითანამშრომლა მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან.

დროებითი მოთავსების იზოლაციებისა და ჰაუბტვახტების შემოწმებისას გამოყენებულ იყო ევროპული ციხის წესები⁴⁰ და CPT-ს მიერ საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციებში⁴¹ ჩამოყალიბებული სტანდარტები.

დროებითი მოთავსების იზოლაციები

საგულისხმოა, რომ დროებითი მოთავსების იზოლაციების რემონტი და ახლის მშენებლობა ჯერ კიდევ 2003 წლიდან დაიწყო. აღნიშნულის მიუხედავად, უმეტესი იზოლაციის ტექნიკური მდგომარეობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

2009 წლის 24 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა შსს ადამიანის უფლებათა დაცვის მთავარ სამმართველოს ყველა იმ სამართლებრივი აქტის ასლის წარმოდგენის მოთხოვნით, რომლებიც არეგულირებს დროებითი მოთავსების იზოლაციებში მოთავსებული პირის

³⁹ მდგომარეობა დაწესებულებების მიხედვით იხ. დანართში.
⁴⁰ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC 2006(2).
⁴¹

ყოფნის პირობებს. აღნიშნულ წერილზე პასუხი არ მიგვიღია. როგორც ადგილზე ვიზიტებისას გაირკვა, იზოლაციის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N117 ბრძანებით, რომლითაც დამტკიცებულია დაკავებულ და პატიმრობაში აყვანილ პირთა დროებითი მოთავსების იზოლაციის მუშაობის ინსტრუქცია, თუმცა ამ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული ის ნორმები და სტანდარტები, რომლებსაც იზოლაციის ინფრასტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს.

2009 წლის 30 ოქტომბერს შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ყველა დროებითი მოთავსების იზოლაციის შესახებ. კერძოდ: ბოლო ექვსი თვის მანძილზე თითოეულ დმი-ში მოთავსებული პირების რაოდენობა, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისა, ასევე ქალების, მამაკაცების და არასრულწლოვნებისა, რაოდენობის მითითებით; რამდენ პირს აღენიშნებოდა სხეულის დაზიანება დმი-ში მოთავსების დროს, რამდენს ჰქონდა პრეტენზია სამართალდამცავ ორგანოებთან და რამდენი შემთხვევა გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს რეაგირებისთვის; რამდენმა პირმა მიიყენა თვითდაზიანება; შენობის აშენებისა და ბოლო სარემონტო სამუშაოების თარიღი.

შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოდან 2009 წლის 26 ნოემბერს მიღებულ პასუხში მოთხოვნილი ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი. პასუხი მოცემულია სქემის სახით, რომელშიც, ხშირ შემთხვევაში დაკავებულ პირთა საერთო რაოდენობა არ ემთხვევა ადმინისტრაციული წესით, ადმინისტრაციული პატიმრობაშეფარდებული და სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების ჯამს. ერთ-ერთ დმი-ში მოთავსებულ პირთა საერთო რაოდენობა კი დაზიანებებით შესულ პირთა რაოდენობაზე ნაკლებია.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე შეამოწმეს დმი-ში განთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნები და პირველადი სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ყურნალები 2009 წლის 1 ივნისიდან. დათვალიერდა ინფრასტრუქტურა, მათ შორის: საკნები, საგამოძიებო ოთახები, ინვენტარი, საკვების შენახვის პირობები. ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა პირის მოთავსების პროცედურა, კვებისა და შხაპის მიღების, სეირნობის პროცედურები და პერიოდულობა.

მოპყრობა

მონიტორინგის დროს არ დაფიქსირებულა დროებითი მოთავსების იზოლაციებში მოთავსების შემდეგ მიღებული დაზიანების არცერთი შემთხვევა. სამაგიეროდ, ძალიან ხშირია, როდესაც პირი დმი-ში ხვდება დაზიანებებით, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში მაშინაც კი როდესაც, პირის განცხადებით, მან დაზიანება მიიღო დაკავების დროს, იგი სამართალდამცავი ორგანოების მიმართ პრეტენზიას არ გამოთქვამს.

ძნელია იმაზე მსჯელობა, რამდენად მიზანმიმართულად ხდება პოლიციის მიერ დაკავებულ პირზე ფიზიკური ზემოქმედება და რამდენად პროპორციულია დაკავებულის გამოყენებული ძალა განუხლები წინააღმდეგობისა. ფაქტია, რომ უკანასკნელი თვეების მანძილზე გახშირდა დაკავების დროს დაზიანებების მიყენების შემთხვევები.

აღსანიშნავია, რომ ყოველი ასეთი შემთხვევა აღრიცხება დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნებში, თუმცა ზოგიერთი იზოლაციის ადმინისტრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში უგზავნის შეტყობინებას პროკურატურას, თუ დაკავებული თავად გამოთქვამს პრეტენზიას.

ზუგდიდის დმი-ში ჩატარებული მონიტორინგის დროს ჩვენ მიერ შერჩევითად იქნა დათვალიერებული ერთ-ერთი დაკავებული. როდესაც დაკავებულმა გაიგო ჩვენი ვინაობა, გვთხოვა, აღმოგვეჩინა დახმარება. მისი გადმოცემით, დაკავების დროს და ასევე ჩვენების მიცემისას, იგი სასტიკად სცემეს



სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა. სხეულზე აღენიშნებოდა საკმაოდ ინტენსიური სხვადასხვა სახისა და ლოკალიზაციის დაზიანებები. ჩვენ მიერ შედგა შესაბამისი ოქმი და შეივსო დაზიანებათა აღწერის ფორმა №5. აღნიშნული ფაქტის შესახებ სახალხო დამცველმა 2010 წლის 4 მარტს რეაგირებისთვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. პროკურატურიდან 2010 წლის 19 მარტს მიღებული პასუხის თანახმად, საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება 144¹ მუხლის (წამება) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით შსს-ს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებისას ეჭვმიტანილის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტზე.

სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით დროებითი მოთავსების იზოლატორების უმრავლესობა არ აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს. უმეტეს შემთხვევაში ინფრასტრუქტურის სიძველის გამო არ ხერხდება სისუფთავის დაცვა. ახალაშენებულ იზოლატორებშიც კი, ზოგჯერ, საპირფარეშოები არ არის იზოლირებული. ხშირად წყალი მიეწოდება საპირფარეშოს თავზე დამონტაჟებული მილით.

უმრავლეს შემთხვევაში არ ხდება გადასაფარებლების გარეცხვა. იმ დროებითი მოთავსების იზოლატორებშიც, სადაც გადასაფარებლები ირეცხება, აღნიშნული არ ხდება საკმარისი რეგულარობით იმისთვის, რომ ყოველ დაკავებულს სუფთა გადასაფარებელი მიეწოდებოდეს. აღნიშნული ქმნის ინფექციური, დერმატოლოგიური და სხვა დაავადებების გავრცელების საფრთხეს. გამოწვევისა და ჩოხატაურის დმი, სადაც ყოველ დაკავებულს მიეწოდება სუფთა გადასაფარებელი.

საყოფაცხოვრებო პირობები

იზოლატორებში მოთავსებულ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებიც ვერ აკმაყოფილებს ვერანაირ სტანდარტს. მათ უმრავლესობაში არ არის საკმარისი განათება და ვენტილაცია, ზოგიერთ მათგანს საერთოდ არ აქვს ფანჯარა ან იგი იმდენად მცირე ზომისაა, რომ ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივ ვენტილაციას და განათებას. ბევრ დმი-ში არ არის გათბობა, არ ხდება საკმარისი რეგულარობით დასუფთავება. ამ მხრივ გამოწვევისა და ჩოხატაურის დმი, სადაც საყოფაცხოვრებო პირობები და-მაკმაყოფილებელია, დაცულია სისუფთავე.

მარნეულის, ამბროლაურისა და თბილისის N1 და ბათუმის დმი-ს ზოგიერთი საკნის გარდა თითოეულ დაკავებულზე გამოყოფილი ფართი არ აკმაყოფილებს 4 კვ.მ. სტანდარტს.

დაკავებულებს სძინავთ საერთო ფიცარნაგზე ან რკინის ორსართულიან საწოლზე. მხოლოდ თბილისის N1 იზოლატორში საწოლებზე არის ლეიბები. დანარჩენ შემთხვევაში დაკავებულებს მხოლოდ გადასაფარებელი მიეწოდებათ, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც სტანდარტის უხეში დარღვევა იმ პირობის მიმართ, რომლებიც 72 საათზე მეტი ვადით არიან განთავსებულნი იზოლატორში. არცერთ იზოლატორში დაკავებულებს/პაციმრებს არ მიეწოდებათ თეთრეული.

დმი-ს პირობებში ასევე ძნელია პირადი ჰიგიენის დაცვა. ბევრ იზოლატორში არ არის საშხაპე. ხშირ შემთხვევაში დაკავებულებს არ მიეწოდებათ ისეთი აუცილებელი ნივთები, როგორებიცაა კბილის ჯაგრისი და პასტა, ერთჯერადი სამართებელი, პირსახოცი. აქედან გამომდინარე, შს მინისტრის N117 ბრძანებაში დაკავებულთათვის განსაზღვრული ვალდებულება, „დაიცვან [...] სანიტარიულ-ჰიგიენური წესები, საკნებში დაიცვან მუდმივი სისუფთავე“⁴² ძნელი შესასრულებელია.

⁴² თავი 4, 4.1

ასევე პრობლემურია დაკავებულების სეირნობის საკითხი. იზოლაციის უმრავლესობას საერთოდ არ აქვს სასეირნო ეზო. სხვა შემთხვევაში, ეზოს არსებობის პირობებშიც, არ ხდება დაკავებულების სუფთა ჰაერზე გაყვანა, რაც რამდენიმეთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობის შემთხვევაში ასევე შეიძლება სტანდარტის უხეშ დარღვევად შეფასდეს.

მხოლოდ თბილისის N1 და N2 დროებითი მოთავსების იზოლაციებს ემსახურება ექიმი, რომელიც ახდენს დაზიანებით შემოსული პირის დათვალვას და სამედიცინო მომსახურების განწევას, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტის მიწოდებით შემოიფარგლება. სხვა შემთხვევაში, საჭიროებისამებრ ხდება სასწრაფო დახმარების გამოძახება, რაც აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. ასევე საჭიროების შემთხვევაში ხდება პირის გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში.

ყველა დმი-ში დაკავებულებს მიეწოდება სტანდარტული საკვები — პური, კონსერვის პაკეტი და პაკეტის სუპი. აღნიშნული საკვები არასრულფასოვანია, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ პირს შეიძლება, რამდენიმე თვის მანძილზე მოუწიოს დროებითი მოთავსების იზოლაციაში ყოფნა, რა დროსაც სრულფასოვანი საკვების მიღების ერთადერთი საშუალება ამანათებია, რომლებიც დაკავებულის ახლობლებს მიაქვთ.

იზოლაციის დიდ უმრავლესობაში არ არის მაგიდა და სკამები. რამდენიმე მათგანში მხოლოდ მაგიდებია დამონტაჟებული, რაც საშუალებას არ აძლევს დაკავებულს/პატიმარს, საკვები მიიღოს შესაბამის პირობებში.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს

- პროკურატურის ინფორმირება მოხდეს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირს დაზიანებები მიღებული აქვს დაკავებისას ან დაკავების შემდგომ პერიოდში;
- ყველა დროებითი მოთავსების იზოლაციაში შეიქმნას ევროპული ციხის წესებით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო პირობები, კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნეს საკმარისი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია, გათბობა;
- მოხდეს საპირფარეშოების იზოლირება და პირსაბანების დამონტაჟება;
- ყოველი დაკავებული, პირველ რიგში კი, 72 საათზე მეტი ხნით განთავსებული პირები, უზრუნველყოფილი იქნეს ცალკე საწოლით და შესაბამისი თეთრეულით;
- ყოველ დაკავებულზე გათვალისწინებული იქნეს 4 კვ.მ. ფართი;
- შეიქმნას პირობები პირადი ჰიგიენის დაცვისათვის – დაკავებულებს საშუალება მიეცეთ, საკმარისი რეგულარობით მიიღონ შხაპი, მიეწოდებოდეთ პირადი ჰიგიენის ნივთები, სუფთა გადასაფარებლები;
- მოხდეს სეირნობის უფლების სრული რეალიზაცია;
- დაკავებულებს მიეწოდებოდეთ სრულფასოვანი საკვები;
- საკნებში მოხდეს მაგიდებისა და სკამების დამონტაჟება;
- იმის გათვალისწინებით, რომ დროებითი მოთავსების იზოლაციები არ აკმაყოფილებს ხანგრძლივი მოთავსებისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს, სასურველია, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირების განთავსებისათვის შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები რეგიონულ დონეზე.

შედეგები

შედეგების მონიტორინგის შედეგების შეჯამებისას დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის ჯგუფს არ შეხვედრია სხეულის დაზიანების არცერთი ფაქტი და პატიმრებს არ გამოუთქვამთ პრეტენზია შედეგების ადმინისტრაციის მიმართ.



2009 წლის 24 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში გაიგზავნა წერილობითი მიმართვა, მოენოდეზინათ ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების ამსახველი დოკუმენტაცია, რომლითაც ხელმძღვანელობს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული ჰაუპტვახტების ადმინისტრაცია. მიღებული პასუხის თანახმად, „სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამხედრო მოსამსახურეთა თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთას და ადმინისტრაციული პატიმრობის უზრუნველყოფას. დღიდან ჩამოყალიბებისა მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული საკითხისა და კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. პირველ რიგში, მოხდა ძველი, ამორტიზირებული და ფუნქციის შეუსაბამო ჰაუპტვახტების რიგ შემთხვევებში სრული დემონტაჟი, ხოლო რიგ შემთხვევებში გარემონტება“. თუმცა მონიტორინგის შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პასუხი არ ასახავს რეალობას, ვინაიდან სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონალურ სამმართველოებში არსებული ჰაუპტვახტების ინფრასტრუქტურა მოძველებულია და მათში ნებისმიერი სტანდარტის მიღწევა ან ნორმის დაცვა შეუძლებელია.

ზემოაღნიშნული პასუხით ასევე გვაცნობეს, რომ თავდაცვის მინისტრის N147 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტების) ფუნქციონირების შესახებ“⁴³ წარმოადგენს ჰაუპტვახტების ფუნქციონირების სამართლებრივ დოკუმენტს. მიუხედავად ამისა, თავდაცვის სამინისტროს განმარტებით, ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რათა აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისა და წამებისა და არა-ადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აღკვეთის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტების გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა წევრი სახელმწიფოებისათვის შეიმუშავა რეკომენდაცია ევროპული ციხის წესების შესახებ⁴⁴, რომლის სტანდარტები ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ყველა ადგილზე, მათ შორის, ჰაუპტვახტებზეც. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად: „პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების, პატივისა და შეძლებისდაგვარად, ასევე, განმარტოების მოთხოვნებს. დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით, ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათებისა და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით“.

გარდა კახეთი-ქვემო ქართლის ჰაუპტვახტისა, არცერთ ჰაუპტვახტში არ არის დაცული ზემოაღნიშნული მოთხოვნები, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონალური სამმართველოების ჰაუპტვახტების საკნებში ფანჯრების ზომა არასაკმარისად უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას, ხოლო შიდა ქართლის ჰაუპტვახტის საკნებს ფანჯარა საერთოდ არ აქვს. ასევე, კახეთი-ქვემო ქართლის ჰაუპტვახტის გარდა, არსად არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის N147-ე ბრძანების მე-15 მუხლში განსაზღვრულია ჰაუპტვახტში სადისციპლინო წესით დაპატიმრებულების უფლებები, კერძოდ, „პატიმრებს საკანში ყოფნისას უნდა ჰქონდეთ საცვლები, სამუშაო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. დანარჩენი ნივთები ინახება საკნის გარეთ, ჰაუპტვახტის დადგენილი წესით. ძილის დროს პატიმრებს მიეცემათ დათბილული ქურთუკი და ნება ეძლევათ გაიხადონ ფეხსაცმელი, ხოლო საკანში +18 გრადუსზე დაბალი ტემპერატურის დროს დათბილული ქურთუკი მიეცემათ დღისითაც“.

⁴³ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 2 მაისის ბრძანება.
⁴⁴ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 11 იანვრის რეკომენდაცია REC(2006)2.

აღნიშნული დისპოზიცია არეგულირებს პატიმართა უფლებებს ისეთი პირობებისთვის, როგორც არსებობაც საერთოდ დაუშვებელია არსებული სტანდარტებით. უმჯობესია, ბრძანებით განისაზღვროს მინიმალური ტემპერატურა, რომელიც უნდა იყოს საკანში და არა ის, თუ რა დამატებითი ნივთები შეიძლება ჰქონდეს პატიმარს იმის გამო, რომ ადმინისტრაცია ვერ ახერხებს მისთვის ნორმალური პირობების შექმნას.

ევროპული ციხის წესების თანახმად, სანიტარული მოწყობილობები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ თითოეულმა პატიმარმა შეძლოს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროებისამებრ, სისუფთავისა და წესიერების პირობებში.

ჰაუპტვახტების უმრავლესობაში არც ზემოაღნიშნული წესია დაცული – სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის ჰაუპტვახტების საკნებში საპირფარეშოები და სასმელი წყლის ონკანი არ არის დამონტაჟებული.

ევროპული ციხის წესების თანახმად⁴⁵, ყოველი პატიმარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით და ცალკე სათანადო ქვეშაგებით, რომლებიც მონესრიგებულ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და შეიცვალოს იმდენად ხშირად, რომ მისი სისუფთავე იქნეს დაცული.

აღნიშნული მოთხოვნის მიუხედავად, კახეთი-ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს ჰაუპტვახტის გარდა თეთრეული პატიმრებს საერთოდ არ ეძლევა. მეტიც, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონალურ სამმართველოების ჰაუპტვახტების საკნებში საწოლების ნაცვლად საღამოს საათებში შეაქვთ ფიცრები, რომლებზეც პატიმრები იძინებენ, ხოლო შიდა ქართლის ჰაუპტვახტის საკნებში არის ხის ფიცრანაგები. მხოლოდ აღნიშნულიც მონიშნავს, რომ ამ ჰაუპტვახტებში ადამიანის ნორმალური ყოფნისთვის შესაფერისი პირობები არ არის შექმნილი.

რეკომენდაცია:

- უზრუნველყოფილი იქნეს სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონალური სამმართველოების ჰაუპტვახტების ლიკვიდაცია;
- დანარჩენ ჰაუპტვახტებში არსებული მდგომარეობა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ევროპის ციხის წესების სტანდარტებთან იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც აღნიშნულ ანგარიშშია მოცემული.



⁴⁵ 21-ე წესი

ჯანმრთელობის უფლების დაცვა თავისუფლების აღკვეთის აღბილავში

ჯანდაცვა სასჯელაღსრულების სისტემაში

ეკვივალენტური სამედიცინო დახმარების განევა⁴⁶

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მიხედვით, „სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური წარმოადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ნაწილს. სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დონე არ უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის საერთო სისტემის დონეზე ნაკლები.“ მიუხედავად კანონის ამ მოთხოვნისა, სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტურობის უზრუნველყოფა საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში კვლავ რჩება ერთ-ერთ უმწვავეს და გადაუჭრელ პრობლემად.

პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების დანერგვის აუცილებლობას შეეხება არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია:

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R(98)7 ნვერი სახელმწიფოების მიმართ, ციხეებში სამედიცინო მომსახურების ეთიკური და ორგანიზაციული ასპექტების შესახებ (სტრასბურგი, 1998 წ. 20 აპრილი);
2. პატიმრობის მინიმალური სტანდარტები – (მიღებულია გაეროს პირველ კონგრესზე, ქ. ჟენევა 1955 წ. და რატიფიცირებულია ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუციებში 663 C (XXIV) 1957 წლის 31 ივლისს და 2076 (LXII) 1997 წ. 13 მაისს);
3. პატიმართა მოპყრობის ძირითადი პრინციპები – (მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 45/111, 1990 წლის 14 დეკემბერს);
4. ევროპის ნამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტი (CPT), მე-3 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (93) 12.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, სამედიცინო პრაქტიკა საზოგადოებაში და ციხეების პირობებში უნდა წარმართოს მსგავსი ეთიკური პრინციპებით. პატიმართა ძირითადი უფლებების პატივისცემა მოიცავს მათთვის ზოგადად საზოგადოებისათვის ეკვივალენტური პრევენციული მკურნალობისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების განევას. საერთაშორისო სტანდარტების შესა-

⁴⁶ გულისხმობს ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოში არსებულ ზოგადად სამედიცინო მომსახურებს სტანდარტებს.

ბამისად, სამედიცინო მომსახურება ციხეებში უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის ნაწილი და მასთან შესაბამისი. ციხეების სამედიცინო სამსახური უნდა უზრუნველყოფდეს სამედიცინო, ფსიქიატრიულ და სტომატოლოგიურ დახმარებას და ახორციელებდეს პროფილაქტიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ პროგრამებს იმ დონეზე, რომელიც შეესაბამება ზოგადად ქვეყანაში საზოგადოების სამედიცინო უზრუნველყოფას. ექიმებმა, რომლებიც ციხეში მუშაობენ, თითოეულ პაციმარს უნდა მიანოდონ იმავე სტანდარტების ჯანდაცვის მომსახურება, როგორც ხორციელდება ციხის გარეთ პაციენტებისადმი. CPT თავის ანგარიშებში უდიდეს ყურადღებას ამახვილებს და ცალკე თავსაც უძღვნის სამედიცინო მომსახურების ეკვივალენტურობის საკითხს.

შეჯამების სახით, ყველა ამ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ პაციმრები იღებენ იმავე სტანდარტების სამედიცინო მომსახურებას, რომელიც არსებობს მოცემულ ქვეყანაში, დისკრიმინაციის გარეშე.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრინციპადაა აღიარებული „წინასწარ პაციმრობაში და სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში მყოფ პაციენტთა ... დისკრიმინაციისგან დაცვა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას“. იმავე კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, „დაუშვებელია სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პაციენტის დისკრიმინაცია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას.“ იმავე კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად: „წინასწარ პაციმრობაში ან სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისათვის სამედიცინო დახმარება ... განხორციელდება ამ კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა პრაქტიკულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს. „პაციმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლში ასევე ხაზგასმულია ეკვივალენტური სამედიცინო დახმარების აუცილებლობის პირობა (სასჯელაღსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დონე არ უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის საერთო სისტემის დონეზე ნაკლები).

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ეროვნული თუ საერთაშორისო სტანდარტებისა, ფაქტია, რომ ზოგიერთი კანონქვემდებარე აქტი აშკარად ეწინააღმდეგება მოხსენიებულ სტანდარტებს, უხეშად არღვევს თავისუფლებადაკვეთილი პირის უფლებას ჯანმრთელობაზე და საბოლოო ჯამში ქმნის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებათა მიწოდების პროცესში პაციენტის დისკრიმინაციის ნათელ მაგალითებს პაციმრობის ნიშნით.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის შესაბამისად „სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა წინასწარ პაციმრობაში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირისათვის ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით“. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების განმავლობაში დარღვეულია კანონის აღნიშნული მოთხოვნა და სამედიცინო მომსახურება ფინანსდება სასჯელაღსრულების სისტემის ბიუჯეტიდან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 მარტის №119/ნ „2009 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მიხედვით, ჯანდაცვის სამინისტროს გავლით დაფინანსებულია მხოლოდ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კომისიის საქმიანობა. აღნიშნული ნორმის დარღვევა ქმნის ერთგვარ უთანასწორობას სამოქალაქო და პენიტენციური ჯანდაცვის სისტემებს შორის, რაც არღვევს ჯანდაცვის ეკვივალენტურობის პრინციპს.

ზოგადი მედიცინის შესაძლებლობები, რომლებიც ადგილობრივ სამედიცინო ნაწილებს აქვთ, მოიცავს სხვადასხვა სახის მანიპულაციას და პროცედურას, როგორებიცაა: ინტრავენური გადასხმები, ინიექციები, შებვევები, მცირე ქირურგიული მანიპულაციები, სტომატოლოგიური მანიპულაციები



და ა.შ. მიუხედავად ამისა, ამ სერვისების მიწოდების პროცესშიც იკვეთება მომსახურებათა მიღების გეოგრაფიული არათანასწორობა, რაც კონკრეტული ჯანდაცვის მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე უფლების დარღვევად უნდა მივიჩნიოთ. უფრო კონკრეტულად, ადგილობრივ სამედიცინო ნაწილებს ზოგჯერ მკვეთრად განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ და ის სერვისი, რომელიც შეიძლება პატიმარს მიენოდოს ერთ დაწესებულებაში, აბსოლუტურად ხელმიუწვდომელია სხვა დაწესებულებაში, რაც, თავის მხრივ, ქმნის ჯანდაცვის მომსახურებათა გეოგრაფიული და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის დისბალანსს. აღნიშნულს გარკვეულწილად განაპირობებს ადგილზე არსებული ჯანდაცვის ადამიანური რესურსებისა და სამედიცინო აღჭურვილობის სიმწირე, ასევე, მედიკამენტების შესაძენად განსაზღვრული ლიმიტები, რომლებიც გაურკვეველი პრინციპითაა დადგენილი და შეუსაბამოა არსებულ რეალობასთან.

ციხეების სამედიცინო ნაწილებში პრაქტიკულად არ არსებობს სრულყოფილი გადაუდებელი დახმარების საშუალებები. ზოგან ვხვდებით მხოლოდ ცალკეულ აღჭურვილობას, რომელთა გამოყენებაც შეუძლებელია სრული კომპლექტის არარსებობის გამო. მაგალითად, ზოგიერთი უფროსი ექიმი აცხადებს, რომ მათ აქვთ საინტუბაციო მილები, თუმცა არ აქვთ ლარინგოსკოპი; ან აქვთ ამბუს პარკი და არ აქვთ ნილაბი. ასეთ შემთხვევაში გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა შესაძლებლობის მინიმალურ ზღვარზეა.

რაც შეეხება რუტინულ ინსტრუმენტულ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს, დაწესებულებათა დიდ ნაწილში ხშირად ხდება პორტატული რენტგენის აპარატის, ექოსკოპის ან ლაბორატორიის მისვლა. აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დადებითი დინამიკა აღინიშნება. მაგალითად, დასავლეთის რეგიონის ციხეებისათვის განისაზღვრა იმ სპეციალისტთა არსებობა, რომლებიც ამგვარ მომსახურებას გაუწევენ პაციენტებს. მათთან გაფორმდა შესაბამისი კონტრაქტებიც.

სამედიცინო მომსახურებაზე პატიმრის ხელმისაწვდომობა⁴⁷

ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მოქცეულია 18 დაწესებულება, მათგან 2-ს აქვს სამკურნალო დაწესებულების სტატუსი, ხოლო დანარჩენ 16 დაწესებულებაში ამა თუ იმ ფორმით მოქმედებს სამედიცინო ნაწილები და მათში დასაქმებულია სამედიცინო პერსონალი. აღნიშნული 16 დაწესებულება პატიმრებს უწევს ამბულატორიულ სამედიცინო დახმარებას. რაც შეეხება სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას, ასეთი მომსახურება არ აქვთ:

- N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებას (ქ. რუსთავი);
- თბილისის N7 საპყრობილეს;
- თბილისის N8 საპყრობილეს;
- არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებას.

თბილისის N8 საპყრობილის მთავარმა ექიმმა, ჩვენთან საუბრის დროს, არაერთხელ განაცხადა, რომ სტაციონარის ტიპის სამედიცინო ნაწილის საჭიროება არ არსებობს. ამ მოსაზრებას მონიტორინგის ჯგუფი ვერ გაიზიარებს ადგილზე შექმნილი სიტუაციისა და არსებული პრობლემების გათვალისწინებით. მეორე მხრივ, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც არანაკლებ ასი მსჯავრდებული იმყოფება, უნდა მოეწყოს სტაციონარული სამკურნალო პუნქტი სადღეღამისო სამედიცინო დახმარების გასაწევად“. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ 4 დაწესებულებაში სტაციონარული სამკურნალო პუნქტის არარსებობა კანონის დარღვევაა. გარდა ამისა, საქართველოს ზოგიერთ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (მაგალითისათვის მოგვყავს ზუგდიდის N4 საპყრობილე) არსებული სტაციონარ-

⁴⁷ გულისხმობს ძირითადად ექიმთან შეუზღუდავი კონტაქტის უფლებას.

რული პუნქტის არსებობა მხოლოდ ფორმალბას წარმოადგენს და თავისი ფუნქციური დანიშნულებით არ გამოიყენება.

როგორც წესი, ყველა სასჯელალსრულების დანესებულებაში არის იმის შესაძლებლობა, რომ პატიმარმა ისარგებლოს ექიმის კონსულტაციით ან სამედიცინო პერსონალის მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. მორიგე სამედიცინო პერსონალის არსებობა უზრუნველყოფილია ყველა დანესებულებაში, თუმცა რამდენიმეში ხარვეზი ამ მხრივ მაინც შეინიშნება. კერძოდ, ღამით რჩება მხოლოდ ექთანის ან არასამუშაო საათებში, გარკვეულ პერიოდებში, საერთოდ არ არის სამედიცინო პერსონალი.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ნაწილებში დასაქმებული პერსონალი სპეციალობათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ზოგიერთ შემთხვევაში გვხვდება ისეთი სპეციალობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის N136/6 ბრძანებით – „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“. რაც შეეხება სტომატოლოგიურ დახმარებას, ამ მხრივ, 2009 წლის მეორე ნახევარში მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა. სასჯელალსრულების დანესებულებების დიდმა უმრავლესობამ მიიღო ახალი სტომატოლოგიური ინვენტარი და მასალები. მიუხედავად ამისა, სისტემა კვლავ განიცდის ექიმ-სტომატოლოგთა ნაკლებობას. განსაკუთრებით აღნიშნული ტენდენცია თვალსაჩინოა დასავლეთის რეგიონში განთავსებულ ციხეებში, სადაც ერთი სტომატოლოგი რამდენიმე დანესებულებას ემსახურება და ბუნებრივია, ყოველდღიურად ვერ ახერხებს ყველა დანესებულებაში მისვლას. ერთ-ერთი სტომატოლოგის განცხადებით, ამგვარ ვითარებაში იგი ვერ იწყებს სრულყოფილი მკურნალობის კურსს, ვინაიდან იცის, რომ სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით უახლოეს დღეებში აღარ ექნება პაციენტის ნახვის შესაძლებლობა.

წინა საანგარიშო პერიოდებში სტომატოლოგიური დახმარება შემოიფარგლებოდა ძირითადად კბილის ექსტრაქციით. საანგარიშო პერიოდში მკვეთრად იმატა თერაპიული სტომატოლოგიური მანიპულაციების რიცხვმა. დანესებულებებმა მიიღეს, ასევე, მშრალი სიცხის სტერილიზატორები, რომელთა დადგმის შემდეგ ინფექციური დაავადებების ფართოდ გავრცელების რისკი შედარებით შემცირდა.

ყველა დანესებულებას არ ჰყავს პროვიზორი ან ფარმაცევტი და ამ ფუნქციას უფროსი ექიმი ან ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი მედდა ასრულებს. რაც შეეხება სამედიცინო პერსონალს, ამ მხრივაც რამდენიმე დანესებულებაში მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი (თბილისის №7 საპყრობილე), თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამ მხრივ დადებითი ძვრები უკვე შეინიშნება.

რაც შეეხება სხვა სამედიცინო პერსონალს (სანიტარი, ტექნიკური პერსონალი, ლაბორანტები და ა.შ.), ასეთი არსებობს მხოლოდ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში და მათი მომსახურება პრაქტიკულად ხელმოუწვდომელია სასჯელალსრულების დანესებულებათა აბსოლუტური უმრავლესობისათვის.

დანესებულებებში ფსიქიატრის ან ფსიქიატრიის დარგში გამოცდილი საშუალო სამედიცინო პერსონალის არსებობის მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. იმ ფონზე, როდესაც სასჯელალსრულების სისტემაში მრავლადაა ამა თუ იმ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი, სისტემაში სულ რამდენიმე ფსიქიატრია დასაქმებული (სულ 5, მათგან 3 – მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში, ხოლო თითო-თითო – აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებში). ამ პროფილის ექიმ-სპეციალისტთა რაოდენობა აბსოლუტურად არაადეკვატურია, რაც წარმოადგენს იმის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, რომ ფსიქიატრიული დახმარება საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ღრმა კრიზისის განიცდის. იგივე შეიძლება ითქვას ექიმ-ნარკოლოგზეც – მხოლოდ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში მუშაობს ერთი დამოუკიდებელი საექიმო



საქმიანობის სუბიექტი ამ სპეციალობით. მდგომარეობას ნაწილობრივ აუმჯობესებს თბილისის №8 საპრობილემო მოქმედი პროგრამა და ზოგიერთ დანესებულებაში ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები.

სასჯელალსრულების დანესებულებებში ადგილზე პრაქტიკულად არ მუშაობენ ექიმი ეპიდემიოლოგები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამედიცინო დეპარტამენტის ერთ წარმომადგენელს), რის გამოც გადამდებ დაავადებებზე ზედამხედველობის დანესება პრაქტიკულად შეუძლებელი და არაეფექტურია.

მონიტორინგის დროს ადგილობრივი სამედიცინო ნაწილების უფროსმა ექიმებმა განგვიცხადეს, რომ საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ნაწილს საშუალება აქვს, მონივიოს სპეციალისტები გარედან. მიუხედავად ამისა, არსებული სტატისტიკის განხილვა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ამგვარი სამედიცინო მომსახურების წილი, საერთო ჯამში, მინიმალურად შევაფასოთ, რაც ვერ ავსებს ჯანდაცვის საჭიროებათა აქტუალურ დეფიციტს. დანესებულებების ტერიტორიაზე გარე სპეციალისტთა დაშვების საკითხი დღემდე პატიმართა და მათი ოჯახის წევრების უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს და დამოკიდებულია სასჯელალსრულების დეპარტამენტის ან ცალკეულ დანესებულებათა ხელმძღვანელების კეთილ ნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული უფლება პატიმარს კანონით აქვს მინიჭებული. მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი უფროსი ექიმი საერთოდ ვერ ხედავს ექიმ-სპეციალისტთა სამოქალაქო სექტორიდან შემოსვლის აუცილებლობას, რაც მცდარი მიდგომაა და უნდა გამოსწორდეს. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 38 განმარტავს, რომ „სასჯელალსრულების დაწესებულებაში მისვლისთანავე მსჯავრდებული გადის სამედიცინო შემოწმებას“. იმავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, „მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება წელიწადში ერთხელ მაინც. დაავადებულ მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა“. რაც შეეხება კანონის აღნიშნული მოთხოვნის მონიტორინგს, აღმოჩნდა, რომ წელიწადში ერთხელ პატიმართა გეგმური შემოწმება არსად არის პრაქტიკაში მიღებული, ხოლო დანესებულებაში შესვლისას პატიმართა შემოწმებას სხვადასხვა დანესებულებაში განსხვავებულად უდგებიან, თუმცა არსებობს საერთო ტენდენციებიც. კერძოდ, უმრავლეს დანესებულებაში პატიმართა შესვლისას სამედიცინო შემოწმებას ფორმალური ხასიათი აქვს. ხილვადი დაზიანების გარდა ექიმი პრაქტიკულად არც ახდენს პატიმრის სხეულის დათვალიერებას. სამედიცინო ანამნეზის შეგროვება და ჯანდაცვის საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება პრაქტიკულად არსად ხდება. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დანესებულება, სადაც ამ მიმართულებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა.

როგორც წესი, დანესებულებაში რაიმე საინფორმაციო ბუკლეტი ან საშუალება, რომელიც პატიმარს შემოსვლისთანავე გააცნობს სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობებს და ჰიგიენურ ნორმებს, არ არსებობს, თუმცა ზოგან არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ პატიმრებს დაურიგონ სხვადასხვა სახის ბეჭდური მასალა, უპირატესად გავრცელებული დაავადებების ან სხვა სახის სამედიცინო პრობლემების შესახებ.

პატიმართა გადაყვანა შესაბამისი პროფილის საავადმყოფოში

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპებიდან გამომდინარე, თუ ადგილობრივად შეუძლებელია ჯანდაცვის მომსახურებათა გარკვეული პაკეტის მიწოდება, მაშინ უნდა არსებობდეს ხელშეკრულება სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დანესებულებებთან, რომლებიც მომსახურებას განახორციელებენ სახელმწიფო საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებები, როგორც ჩვენთვის ცნობილია, დადებულია სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი უფროსი ექიმებისათვისაც კი უცნობია, თუ რა სახის მომსახურება ხელმისაწვდომი კონკრეტულ შემთხვევებში. აღსანიშნავია, რომ ხშირად მომსახურების განევა ხდება ერთჯერადად და დამატებითი მომსახურებისათვის იქმნება გარკვეული შეფერხებები და ბარიერები, რაც ორგანიზაციულ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად, 2009 წლის საანგარიშო პერიოდში პრაქტიკულად

შეუძლებელი იყო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში თავისუფლებაალკვეთილი ქალის გადაყვანა, მაშინაც კი, როცა ამის აბსოლუტური აუცილებლობა არსებობდა. აღნიშნული მდგომარეობა კონკრეტული ბენეფიციარების მიმართ უნდა ჩაითვალოს, როგორც არაჰუმანური მოპყრობა.

რაც შეეხება პაციენტთა გადაყვანას მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და სამოქალაქო ტიპის სტაციონარებში, ამ მხრივ ქვეყნის მასშტაბით არაერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობს. გადაყვანილ პაციენტთა სტატისტიკის შესწავლა წარმოადგენდა მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთ ამოცანას.

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავი გარკვეულწილად არეგულირებს პატიმართა მოძრაობას სხვადასხვა დაწესებულებაში, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხი დარეგულირებული იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №717 ბრძანებით „სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ“. აღნიშნული ბრძანება ძალადაკარგულად გამოცხადდა იუსტიციის მინისტრის 01/21/2010 №12 ბრძანებით. აღნიშნულის სანაცვლოდ, პრაქტიკულად 2009 წლის ბოლოს, (2009 წლის 29 დეკემბერს) საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №902 ბრძანებით დამტკიცდა „სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაწესებულებიდან საერთო პროფილის საავადმყოფოში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დაავადებულ პატიმართა და მსჯავრდებულთა გადაყვანის ახალი წესი. აღნიშნულს ჩვენ შემდეგ ანგარიში შევხებით.

რაც შეეხება 2009 წელს მოქმედ №717 ბრძანებას, სახალხო დამცველის წინა საპარლამენტო ანგარიშებში გამოთქმულია მთელი რიგი შენიშვნები და წინადადებები იმ სამედიცინო ხასიათის ხარვეზების შესახებ, რომლებიც დაუყოვნებლად მოითხოვდა გამოსწორებას. კერძოდ, ბრძანების პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ „...პატიმართა გადაუდებელი სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და მკურნალობის მიზნით გეგმური წესით გადაყვანა განხორციელდეს...“, იგივე ნათქვამია მე-2 პუნქტშიც, რომ გადაუდებელი შემთხვევის დროს გეგმური წესით გადაყვანა განხორციელდეს და ა.შ. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ იუსტიციის სამინისტროსაც, რომ სამედიცინო თვალსაზრისით საქმე შეეხება აბსურდულ ჩანაწერს, რაც ადამიანის სიკვდილის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლის მიზეზი შეიძლება გახდეს, ვინაიდან გადაუდებელ შემთხვევებში გადაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ გადაუდებელი წესით, ხოლო გეგმურ შემთხვევებში – გეგმური წესით. თუ მხედველობაში მივიღებთ არსებულ რეალობასაც, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ასევე ქალაქის სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილ და შემდგომ გარდაცვლილ პატიმართა საქმეების ანალიზით ნათელი ხდება, რომ შემთხვევათა გარკვეულ ნაწილში სიკვდილი დადგა გადაყვანიდან პირველ დღეს ან რამდენიმე საათში. აღნიშნული ბრძანება კი წარმოადგენდა სწორედ ამ სიტუაციის გარკვეულწილად „გამამართლებელ“ საფუძველს. შექმნილი ვითარების ფონზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება №717 ბრძანების გაუქმებას და მის ნაცვლად სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №902 ბრძანების მიღებას, რომელიც ამ მნიშვნელოვან ხარვეზს მთლიანად ასწორებს.

გარდა ამისა, ახლად გამოცემული ბრძანებით დარეგულირებულია (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი) პატიმართა სასამართლო სამედიცინო და ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გადაყვანის საკითხიც, რაც წინა პერიოდში პრაქტიკულად გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა.

მონიტორინგის პროცესში დეტალურად იქნა შესწავლილი ავადმყოფ პატიმართა მოძრაობა სასჯელალსრულების დაწესებულებიდან მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებ-



ბაში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სდ-ში და ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში. რაც შეეხება მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში გადაყვანილ პატიმრებს, მთავარი ექიმის განმარტებით, მას არ გააჩნია სტატისტიკური ინფორმაცია სასჯელაღსრულების სხვადასხვა დანესებულებიდან თვეების მიხედვით მიღებულ პატიმართა და მათი ნოზოლოგიური სპექტრის შესახებ. ასეთი აღრიცხვა არ ნარმოებს.

ყველაზე ხშირად გამოვლენილი დაავადებები

რაც შეეხება უპირატესად გამოვლენილ დაავადებებს, პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დანესებულებაში უფროსი ექიმები გამოყოფენ:

- ტუბერკულოზს;
- ვირუსულ ჰეპატიტებს;
- ქირურგიულ პათოლოგიებს (ბუასილი, თიაქარი, აპენდიციტი);
- თვითდაზიანებებსა და სხვადასხვა სახის ტრავმას;
- უცნობი ეტიოლოგიის ცხელებასა და მწვავე რესპირაციულ დაავადებებს (სეზონურად);

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის დროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის უფროსის ინფორმაციით, სულ სისტემაში ინტერფერონით 28 პაციენტი მკურნალობს ვირუსულ ჰეპატიტს. პაციენტების ნაწილს მკურნალობენ ადგილზე, სასჯელაღსრულების სხვადასხვა დანესებულებაში, ხოლო ნაწილი მკურნალობას იტარებს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში.

“DOTS” პროგრამაში ჩართული იყო 438 პაციენტი. “DOTS+” მკურნალობის სქემაში კი – სულ 6 პაციენტი. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეობს „Global Foundation“-ის ფინანსური მხარდაჭერით. ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობაზე კონტროლი და მკურნალობის დასრულების მონიტორინგი ნარმოებს კურატორი ფტიზიატრის მიერ, რომელიც დადის და ადგილზე ამონებს აღნიშნულ მონაცემებს. კურატორობა ამ მხრივ აღებული აქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ტუბჯგუფს. “DOTS+” მკურნალობის სქემას მონიტორინგს უწევს ინფექციონისტი და კომისიის წევრები.

სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია

რაც შეეხება ციხის სამედიცინო პერსონალის სამედიცინო კომპეტენციასა და პროფესიულ დონეს, არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ სერიოზული პრობლემები არსებობს. აღნიშნულის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს პაციენტისადმი მონოპროფილურ მიდგომაში (არ არსებობს შესაბამისი სპეციალობის ექიმთან ხელმისაწვდომობა), შეზღუდულ მატერიალურ რესურსებში (ვერ დაინიშნება ყველა აპრობირებული გამოკვლევა ან მედიკამენტი, რომლებიც ადეკვატურია კონკრეტულ სიტუაციაში) და უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემის არარსებობაში. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ პენიტენციურ სისტემაში მომუშავე ექიმთა აბსოლუტურ უმრავლესობას საანგარიშო პერიოდში არ გაუვლია არცერთი პროფესიული ტრენინგი ან მომზადება (უწყვეტი სამედიცინო განათლება / უწყვეტი პროფესიული განვითარება), რომელიც აკრედიტირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ. სამედიცინო განათლება კი, თავის მხრივ, აუცილებლად მოიცავს ამ კომპონენტს. გარდა პროფესიული გადამზადებისა, ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს შორის მხოლოდ ერთეულებს აქვთ გავლილი ამა თუ იმ სახის რაიმე ტრენინგი, ზოგადად ციხეებში ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, მონიტორინგის დროს აღმოჩნდა, რომ ციხეში მომუშავე ექიმთა დიდი უმრავლესობა საერთოდ არ იცნობს საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობას ან საერთაშორისო დოკუმენტებს. მათ უდიდეს ნაწილს საერთოდ არ აქვს წარმოდგენა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ან საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მიერ გამოცემულ კანონქვემდებარე აქტების შესახებ, რომლებიც მათთვის პროფილურია და პენიტენციური ჯანდაცვის საკითხებს არეგულირებს. აღნიშნული კრიზისული ვითარება, რა თქმა უნდა, განპირობებულია ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისაგან უწყებრივი სეპარაციითა და ექიმთა ავტონომიურობის უკიდურესად დაბალი დონით.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების სტატუსი

სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო სამსახურის გამართული საქმიანობისათვის საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების (მმსდ) შეუფერხებელ ფუნქციონირებას. **ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან და ძირეულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბოლო რამდენიმე წელია, აღნიშნული დაწესებულება არ არის ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება და არ წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტს.**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულება არის „საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას და რომლის ფუნქციაა: ... პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა, დაავადებათა პროფილაქტიკა ან/და მკურნალობა ან/და პაციენტების რეაბილიტაცია ან/და პალიატიური მზრუნველობა“. იმავე მუხლის მიხედვით, „სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, წესები და ნორმები“. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის მიხედვით, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება, იურიდიული თვალსაზრისით, ნამდვილად ვერ ჩაითვლება სამედიცინო დაწესებულებად, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ იგი არ არის იურიდიული პირი და ამასთან, არ წარმოადგენს ლიცენზირებულ დაწესებულებას, შესაბამისად, ფაქტობრივად არ იზიარებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ წესებსა და ეროვნულ მარეგულირებელ ნორმებს. **მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება საერთოდ არ არსებობს იურიდიულად, ვინაიდან მას არ გააჩნია არანაირი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.** აღნიშნული საკითხი უკვე მესამე წელია, აქტიურად ფიგურირებს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებებში.

სახალხო დამცველის მიერ არაერთხელ იქნა გაცემული რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების სტატუსი და იგი მოექცეს ქვეყნის ჯანდაცვის ერთიან სივრცეში, თუმცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები აპელირებდნენ 2005 წლის 25 ივნისის საქართველოს კანონით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, რომელშიც 2006 წლის 25 მაისს შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონით განსაზღვრულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.“ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში შეიძლება ჩატარდეს ქირურგიული ოპერაცია, პაციენტს დაენიშნოს მკურნალობა, რეაბილიტაცია ან ნებისმიერი სახის სხვა სამედიცინო ღონისძიება, იმავე სახის საქმიანობები ასეთივე წარმატებით შეიძლება ჩატარდეს სასჯელაღსრულების დეპარ-



ტამენტიის სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფშიც, (მაგალითად, სპეცმომზადების სამსახურში, უსაფრთხოების სამსახურში, ან სულაც შტაბში) და ეს ყველაფერი შესაძლებელია „გამართლდეს“ იმავე საკანონმდებლო ცვლილებით.


ლიცენზირებისა და ნებართვების კანონში აღნიშნული ცვლილების შეტანამ თავისთავად შექმნა კანონის ძირითად პრინციპებთან შეუსაბამობა და ალოგიკურობა. კერძოდ, კანონის დასაწყისშივე გაცხადებულია, რომ ლიცენზირებით რეგულირების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი და პრინციპია „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა“, მეორე მხრივ, ამ ცვლილების ამოქმედებამ გამოიწვია სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის მოხსნა ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველ დაწესებულებაზე, რომლის შედეგი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უხეშ ხელყოფას, რისი ფაქტებიც დღემდე არ არის შესწავლილი და გამოძიებული და ეს მდგომარეობა კვლავაც გრძელდება.

მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადების დროს ვერ იქნა გათვალისწინებული და გააზრებული ის ნორმა, რომელსაც აწესებს საქართველოს კონსტიტუცია; კერძოდ, მისი 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ცალსახადაა გაცხადებული, რომ „**სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას**“. სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ უპირველეს მექანიზმად კი საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, კერძოდ, მისი მე-16 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში დადგენილია „სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება“. უფრო მეტიც, იმავე კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად, „**სამედიცინო დაწესებულებას ეკრძალება სამედიცინო საქმიანობა სათანადო ლიცენზიის გარეშე**“.

გარდა აღნიშნულისა, თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე მკურნალობას გადის ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო პაციენტების მკურნალობა და სხვა სახის სამედიცინო მომსახურების განწვევა დაშვებულია არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, ეს უკვე ქმნის თავისუფლებააღკვეთილ პირთა დისკრიმინაციის პრეცედენტს სამედიცინო მომსახურების მიღებისას სწორედ პაციენტობის ნიშნით. აღნიშნული შედეგი კი უხეშად არღვევს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და ზოგადად, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

სასჯელალსრულების დაწესებულებათა მედიკამენტებით მომარაგება

სასჯელალსრულების დაწესებულებათა მედიკამენტებით მომარაგების მხრივ უკეთესი მდგომარეობა იყო 2009 წლის პირველ ნახევარში, თუმცა მეორე ნახევრისათვის გაუმჯობესების ტენდენცია ვერ შენარჩუნდა. მედიკამენტებით უზრუნველყოფა სასჯელალსრულების სხვადასხვა დაწესებულებაში ხორციელდებოდა სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან. თითოეულ დაწესებულებას დადგენილი ჰქონდა ყოველთვიურად მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხის ლიმიტი, რომლის ფარგლებში მთავარ ექიმს უნდა შეედგინა მოთხოვნა. მედიკამენტების მოთხოვნასა და მოწოდებას შორის ბალანსი, არსებული ლიმიტის ფარგლებში, წლის განმავლობაში შენარჩუნებული იყო, თუმცა ბოლო თვეებში შეინიშნა ბალანსის დარღვევის ტენდენცია. უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილი ლიმიტები (ლარებში) არის ბუნდოვანი და ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა პრინციპებს ემყარება. ამ მხრივ გამოვლინდა „პრივილეგირებული“ სასჯელალსრულების დაწესებულებები და ისინი, რომლებშიც მედიკამენტების ნაკლებობის გამო შეიქმნა რთული ვითარება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია თვის განმავლობაში მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხის წილი 1 პაციენტზე.



როგორც ჩანს, აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო ყველაზე მცირეა გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. საშუალოდ, ყველა საპყრობილის გათვალისწინებით, 1 პატიმარზე თვის განმავლობაში წამლების შესაძენად იხარჯება 2.08 ლარის ოდენობის თანხა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკული თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ არის 1 პატიმარზე წამლების შესაძენად დაიხარჯება 1 ლარი თუ 3 ლარი. ნებისმიერ შემთხვევაში პაციენტს დააკლდება წამალი, ანუ მის მიმართ განეული სამედიცინო დახმარება არაადეკვატურია. მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხების სიმცირის გამო ექიმებს უწევთ შეუსაბამო წამლების დანიშვნა ან ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ არ უნიშნავენ მედიკამენტებს. თუ გადავხედავთ სამედიცინო ნაწილში შემოტანილი მედიკამენტების ნუსხას, იმთავითვე თვალში საცემია, რომ შეძენილი პრეპარატების უმრავლესობის ღირებულება საკმაოდ დაბალია. ასეთი პრეპარატების გამოყენება იმ ურთულესი კლინიკური შემთხვევების დროს, რომლებსაც ციხეებში ვხვდებით, შედეგი არ მოაქვს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობას.

მაგალითისათვის, ისეთი ფართოდ გავრცელებული დაავადება, როგორცაა ფილტვების ანთება (პნევმონია), ხშირია როგორც სამოქალაქო, ისე სასჯელალსრულების სექტორში. 2009 წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა 20%-ს, ექსპერტიზის დასკვნით, აღენიშნებოდა სწორედ ეს დაავადება. საქართველოში მოქმედი სტანდარტის⁴⁸ შესაბამისად, მოზრდილებში პნევმონიის სამკურნალოდ მიზანშეწონილია ამოქსიცილინის და მაკროლიდის კომბინაცია. შედარებით უფრო მძიმე შემთხვევებში მკურნალობა უნდა ჩატარდეს ფართო სპექტრის ბეტა-ლექტამური ანტიბიოტიკებით ან მეორე-მესამე თაობის ცეფალოსპორინით, მაკროლიდთან ერთად. საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მედიკამენტების ფასების მიხედვით, ერთკვირიანი მხოლოდ ანტიბიოტიკოთერაპია დაახლოებით 50-100 ლარის ფარგლებში ჯდება. თუ ამას დავუმატებთ სხვა ჯგუფის პრეპარატებსაც, რომლებსაც ექიმი უწერს პნევმონიის მქონე პაციენტებს, ასევე მკურნალობის გახანგრძლივების შესაძლებლობას, სხვა თანმხლები დაავადებების მართვას, მაშინ ცხადი ხდება, რომ მკურნალობის ღირებულება მხოლოდ მედიკამენტების ხარჯზე საკმაოდ სოლიდურ თანხას მიაღწევს. თუ გადავხედავთ ადგილობრივი სამედიცინო ნაწილის აფთიაქებში არსებულ მედიკამენტებს, დავრწმუნდებით, რომ ასეთი შედარებით „ძვირად ღირებული“ ანტიბიოტიკები იქ ან საერთოდ არ მოიპოვება, ან არასაკმარისი რაოდენობითაა, ანუ არსებული მომარაგება არ არის გათვლილი სერიოზული კლინიკური შემთხვევების მართვაზე. აღნიშნულის გამო შემთხვევა ან რთულდება ან განიცდის ქრონიზაციას, რაც პაციენტთა ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას მკვეთრად ამძიმებს. ფაქტია, რომ თითოეული პაციენტისათვის გამოყოფილი 2-ლარიანი ლიმიტი ამ ვაკუუმს ვერ

⁴⁸ იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/6 ბრძანება „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.



შეავსებს და ხშირად მხოლოდ 1 ან 2 პაციენტის ადეკვატურმა მკურნალობამ შესაძლოა მთლიანად მოითხოვოს მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თვიური თანხა.

ასეთი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისას, ზოგიერთი პაციენტი მედიკამენტებს იღებს გარედან (ოჯახიდან). მიუხედავად ამისა, დაწესებულებაში მედიკამენტის შეტანა სირთულეებს უკავშირდება. გარდა სტანდარტული ხანგრძლივი პროცედურებისა, შეტანა-არშეთანის საკითხი გარკვეულწილად დამოკიდებულია დაწესებულების ადმინისტრაციის კეთილ ნებაზეც. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა, პაციენტებს შესაძლებლობა მიეცეთ, საკუთარ საბანკო ბარათზე დარიცხული თანხით შეიძინონ (გამოიწერონ) ნებისმიერი აპრობირებული მედიკამენტი, რომელიც მათი ადეკვატური მკურნალობისათვისაა აუცილებელი და რომლის მისაღებადაც არსებობს დასაბუთებული სამედიცინო ჩვენება.⁴⁹

სასჯელალსრულების სისტემაში ჩატარებული მონიტორინგის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებებში მოწყობილია 2 აფთიაქი. ერთი – დახურულ საზღვრებს მიღმა (მაგალითად ადმინისტრაციულ შენობაში), ხოლო მეორე – დახურულ ზონაში (როგორც წესი, სამედიცინო ნაწილის ერთ-ერთ ოთახში). გარე აფთიაქიდან ყოველდღიურად ხდება მედიკამენტების გამოწერა და შიგნით შეტანა. ადგილობრივი ფარმაცევტი/პროვიზორი (ასეთის არსებობისას) და მთავარი ექიმი ერთობლივად ადგენენ იმ მედიკამენტთა ნუსხას, რომლებიც ადგილობრივ აფთიაქში უნდა განთავსდეს. აფთიაქიდან მედიკამენტების გაცემისა და აღრიცხვის მიზნით იწარმოება სპეციალური ჟურნალები. ნამლები ყოველდღიურად გამოაქვთ აფთიაქიდან. პაციმარმა თავის განკარგულებაში შეიძლება იქონიოს მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი და სხვა სახის პრეპარატები მხოლოდ დანიშნულების მიხედვით.

რაც შეეხება მედიკამენტების დატოვება-არდატოვების საკითხის გადანყვეტას, ეს უკანასკნელი ემყარება პრინციპს, რომ პაციმარს არ უნდა დარჩეს ამპულირებული სამკურნალო საშუალებები, ასევე, აკრძალულია ფსიქოტროპული და მისი მსგავსი პრეპარატების მიწოდება. არ უნდა დარჩეს დიდი რაოდენობით ნებისმიერი პრეპარატი. ასევე, კონტროლდება ის შემთხვევები, როცა არსებობს იმის ეჭვი, რომ პაციმარმა შესაძლოა, დააგროვოს მედიკამენტები მათი არამიზნობრივი გამოყენების მოტივით.

პაციენტის თანხმობა და კონფიდენციალურობა⁵⁰

მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სამედიცინო მომსახურების მიწოდების დროს პაციენტის თანხმობის, კონფიდენციალურობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკითხები. აღნიშნული პრინციპები ძალზე მნიშვნელოვანია და პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენადაა დაცული პაციენტის უფლება ჯანმრთელობაზე.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილდა იმ საკითხზე, თუ სად უტარდება სამედიცინო გამოკვლევა/გასინჯვა ან სხეულის დათვალიერება პაციენტებს შემოსვლისას, ამბულატორულად და ასევე საჭიროების (სასწრაფო/გადაუდებელ) შემთხვევებში.

როგორც ირკვევა, ექიმი ახალმოყვანილ პაციმარს არ ნახულობს პირისპირ. აღნიშნულ პროცედურას ესწრება ციხის სხვა პერსონალი, ხშირად მომყვანი პირი და ზოგჯერ სხვა პაციმრებიც. შესაბამისად, პირველადი სამედიცინო შემოწმება მიმდინარეობს ყველა საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტის დარღვევით. დარღვეულია კონფიდენციალურობის უფლება როგორც გასაუბრების, ასევე ხილვადობის თვალსაზრისით. ამავდროულად, პაციმრის შემოწმების ოქმს ექიმთან ერთად ადგენს და

⁴⁹ შესაბამისი სპეციალობის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის ჩანაწერი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

⁵⁰ გულისხმობს, პაციენტის ან გამოსაკვლევი პირის ინფორმირებულ თანხმობას ნებისმიერ სამედიცინო მანიპულაციაზე; ასევე კონფიდენციალობის სრულ დაცვას.

ხელს აწერს მომყვანი ბადრავის წარმომადგენელი და მიმღები დაწესებულების არასამედიცინო პერსონალი, ანუ ეგრეთ ნოდებული ოპერატიული მორიგე ინსპექტორი. აქედან გამომდინარე, წამების პრევენციის სტანდარტები დაწესებულებების მიმღებ ნაწილში უხეშად არის დარღვეული როგორც სამედიცინო შემონმების კონფიდენციალურობის თვალსაზრისით, ასევე სამედიცინო შემონმების მიზნობრიობის გათვალისწინებით. პატიმართა სამედიცინო შემონმება უნდა მიმდინარეობდეს არასამედიცინო პირების მხრიდან სმენადობისა და ხილვადობის ფარგლებს მიღმა, თუკი უსაფრთხოების გამო ხილვადობას არ ითხოვს ექიმი.⁵¹

ციხეში განთავსებული პატიმრების განმეორებითი კონტაქტი ექიმთან ხშირად ხორციელდება გარეშე პირების თანდასწრებით. საპყრობილეთა უმრავლესობაში ექიმ-პაციენტის ურთიერთობას თვალს ადევნებს მორიგე ოფიცერი ან ციხის სხვა თანამშრომელი. ზოგიერთი დაწესებულების უფროს ექიმს მონიტორების შეკითხვა უცნაურადაც კი ეჩვენა, ვინაიდან მათ ვერ წარმოუდგენიათ პატიმრებთან პირისპირ კონტაქტი გარეშე პირების მეთვალყურეობის გარეშე. ზოგიერთი ექიმის განმარტებით, აღნიშნულ პროცედურას პირისპირ ახორციელებს პატიმართან, თუმცა პატიმრებთან გასაუბრებამ საპირისპირო შედეგი აჩვენა. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა საყურადღებოა და დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. ზოგიერთ საპყრობილეთში ექიმთან გვეშური კონსულტაციის საინტერესო მეთოდია შემუშავებული. მაგალითისათვის, ბათუმის №3 საპყრობილეთში პაციენტმა უნდა დაწეროს განცხადება ექიმის მოთხოვნის თაობაზე და აღნიშნული ჩაბაროს სოციალური სამსახურის წარმომადგენელს. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი სამედიცინო პერსონალთან კონტაქტი. ასეთი ფაქტები მრავლადაა სხვადასხვა დაწესებულებაში. ამ ფონზე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად უნდა ჩაითვალოს ქალთა და არასრულწლოვანთა №1 დაწესებულება, სადაც კონფიდენციალურობისა და საექიმო საიდუმლოს შენახვის საკითხს მეტად ფაქიზად და გულსყურით ეკიდებიან, რაც, ერთი მხრივ, ამ დაწესებულების კონტინგენტის სპეციფიკიდან, ხოლო მეორე მხრივ, სამედიცინო პერსონალისა და ადმინისტრაციის მხრიდან საკითხისადმი სწორი დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს.

ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPT) მე-3 ზოგადი ანგარიშის მიხედვით, „თავისუფალი ნების გამოხატვა და კონფიდენციალურობის პატივისცემა მიეკუთვნება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. ისინი ასევე უკიდურესად მნიშვნელოვანია ურთიერთდობის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის, რაც აუცილებელი პირობაა ექიმისა და პაციენტის ურთიერთობისათვის, განსაკუთრებით კი ციხეში, სადაც პატიმარს არ შეუძლია თავისუფლად აირჩიოს მკურნალი ექიმი.“ რაც შეეხება კონფიდენციალურობას, იმავე დოკუმენტში ნათქვამია: „საექიმო საიდუმლო უნდა იქნეს დაცული ციხეებში ზუსტად ისევე, როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილებს გარეთ. მკურნალი ექიმი პასუხს აგებს პაციენტის სამედიცინო ანკეტის შენახვაზე. პატიმრის ყოველგვარი სამედიცინო გამოკვლევა (მიღებისას ან უფრო მოგვიანებით სტადიაზე) უნდა ტარდებოდეს მოსმენითი დისტანციის ფარგლებს გარეთ და თუ გამოკვლევის ჩამტარებული ექიმი თვითონ არ მოითხოვს, ციხის მეთვალყურეთა მხედველობის არის მიღმა. ასევე, პატიმრები უნდა გამოიკვლიონ მარტო და არა ჯგუფურად.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა დიდ უმრავლესობაში უხეშად ირღვევა კონფიდენციალურობის სტანდარტები.

მონიტორინგის ჯგუფი დაინტერესდა ასევე საკითხით, მიეწოდებათ თუ არა პატიმრებს სათანადო ინფორმაცია გამოკვლევისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ და რამდენად ინფორმირებული არიან პატიმრები თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ უტარდებათ. როგორც შესწავლამ აჩვენა, პატიმრების საკმაოდ დიდი ნაწილი საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას არასრულფასოვნად ფლობს, თუმცა ისინი უკეთ არიან ინფორმირებულნი იმ გამოკვლევებისა და სამედიცინო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა მათ ჩაუტარდეთ. აღნიშნულ ინფორმაციას ზოგჯერ იღებენ ექიმისაგან, ზოგჯერ – ერთმანეთისაგან ან

⁵¹ CPT-ის ანგარიში საქართველოს ხელისუფლებას, 2001 წ.



იმ პირებისაგან, რომლებიც მათ ხვდებიან (ადვოკატი, უფლებათა დამცველები, ოჯახის წევრები). მიუხედავად იმისა, რომ ყველა უფროსი ექიმი ადასტურებს იმის შესაძლებლობას, რომ პაციენტებს საშუალება აქვთ, გაეცნონ თავიანთ ისტორიას, მონიტორინგის ჯგუფი აღნიშნულს არ ადასტურებს. სამედიცინო ჩანაწერების სანახავად საჭიროა უდიდესი ძალისხმევა პაციმართა მხრიდან. აღნიშნული ხშირად შესაძლებელი ხდება ადვოკატის ან სახალხო დამცველის აპარატის ჩარევით. რაც შეეხება კომენტარების გაკეთებას სამედიცინო ისტორიაში, ასეთი რამ პენიტენციური სისტემისათვის უცხოა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (III თავი) ამის უფლებას იძლევა, ვინაიდან იმავე კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, „წინასწარ პაციმრობაში ან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.“

პაციმრები, ხშირ შემთხვევაში, ნაკლებად ან საერთოდ არ არიან ინფორმირებული მკურნალობის ან გამოკვლევის ალტერნატიული გზების შესახებ; არ ყოფილა აღმოჩენილი არცერთი შემთხვევა, როდესაც სამედიცინო დოკუმენტაციაში საკუთარ კომენტარებს აფიქსირებს პაციმარი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.

რაც შეეხება პაციმრის თანხმობის მოპოვებას სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისას დროს, ამ მხრივ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია მხოლოდ მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში. საპრობლემოა უფროსი ექიმებს ზოგჯერ უკვირთ კიდევ, თუ რატომ ვეკითხებით ასეთი ფაქტების შესახებ.

ადგილობრივი სამედიცინო ნაწილების უმრავლესობის მიერ მონოდედული ინფორმაციით, სამედიცინო ინფორმაცია პაციმრის შესახებ გაიცემა მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში. როგორც პრაქტიკა უჩვენებს, ინფორმაციას უპირატესად მოითხოვენ (წერილობითი სახით) ადვოკატები, ოჯახის წევრები, სახალხო დამცველის აპარატი, ასევე საგამოძიებო და საექსპერტო დაწესებულებები. რაც შეეხება პაციმრის გათავისუფლების შემდეგ ამონაწერს, ასეთი ფორმა არ გაიცემა და პრაქტიკაში არ გვხვდება. რაც შეეხება სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვას, აღნიშნული საკითხი პრაქტიკულად დაურეგულირებელია. სამედიცინო დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინახება სამედიცინო ნაწილში. პაციმრის დაწესებულებიდან გადასვლის ან გათავისუფლების შემდეგ ხშირად გაურკვეველია, თუ სად უნდა წაიღონ ინფორმაციის მატარებელი. ზოგიერთი უფროსი ექიმი ანარმობს არქივს, რომელსაც 5 წლის განმავლობაში ინახავს, ზოგიერთი აბარებს ადმინისტრაციას, ზოგიც არ აქცევს ამ დოკუმენტებს ყურადღებას ან პირად საქმეში აკრავს. ნებისმიერ შემთხვევაში, ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებისათვის (არასამედიცინო პერსონალი).

მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, მოქმედი ავადმყოფობის ისტორიები არასამუშაო და გამოსასვლელ დღეებში ხელმიწვდომელია. აღნიშნულს იმით ამართლებენ, რომ მკურნალ ექიმს ეშინია დოკუმენტის დაკარგვისა. აღნიშნული მიდგომა კატეგორიულად არასწორ ქმედებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან პაციენტის სამედიცინო ბარათი უნდა ინახებოდეს მორიგე ექიმთან, რათა საჭიროების შემთხვევაში და ხშირად, გადაუდებელი აუცილებლობისას, არ მოხდეს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის პრინციპის დარღვევა. ასევე, დროულად დაფიქსირდეს დაავადების ის ნებისმიერი გამოვლინება, რომელიც შეიძლება აღინიშნოს ლამის მონაკვეთში ან არასამუშაო დროს.

რაც შეეხება მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათების შენახვას, დაწესებულების მთავარი ექიმის გადმოცემით, დაწესებულებას აქვს არქივი, რომელიც განთავსებულია შენობის 0 სართულზე. არქივში მუშაობს სამტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომელი – არქივარიუსი. რაც შეეხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 ივლისის ბრძანებას N198/6 „სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო ჩანაწერების შენახვის წესის შესახებ“, ამ დოკუმენტს

დანესებულებაში არ იცნობენ და სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვა დადგენილი წესით არ წარმოებს. როგორც აღმოჩნდა, არქივარიუსი არ არის პასუხისმგებელი პირი ინფორმაციის გაცემაზე. თუ საჭირო გახდა წარსულში წარმოებული დოკუმენტაციის ასლის ან ინფორმაციის გაცემა, ამ შემთხვევაში ინფორმაციას ამზადებს მოქმედი განყოფილების (რომელშიც ინვა პაციენტი) გამგე-არქივარიუსის ფუნქციას, ამ შემთხვევაში, მხოლოდ დოკუმენტაციის შენახვა წარმოადგენს.

პროფილაქტიკური სამუშაო⁵²

როგორც უკვე აღინიშნა, დანესებულებაში შემოსვლისას პაციენტის ჯანმრთელობის ზუსტი მდგომარეობა პრაქტიკულად არ აღინერება. იგივე მიდგომა დომინირებს შემდგომში, ყოველ ახალ დანესებულებაში გადაყვანისას ან გაყვანის შემდეგ უკან დაბრუნებისას. ამ მხრივ არსებული ჩანაწერები, როგორც წესი, ყველა დანესებულებაში არ არის ან იმდენად არასრულყოფილია, რომ საჭიროების შემთხვევაშიც კი მათი გამოყენება არაეფექტურია. იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტს ჰქონდა სხეულის დაზიანება ან განაცხადა ფსიქიკური ზეგავლენის შესახებ ექიმთან, აღნიშნული იშვიათად ფიქსირდება შესაბამის დოკუმენტაციაში.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალადობის ფაქტების აღრიცხვა ყველა დანესებულებაში არ ხდება და ამ მიმართულებით განსხვავებული პრაქტიკა და მიდგომა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ დანესებულებათა უმრავლესობას აქვს დაზიანების აღრიცხვის შურნალი, მისი წარმოება ბევრგან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. თითქმის არსად არის გამიჯნული თვითდაზიანების, ურთიერთდაზიანების, საყოფაცხოვრებო ტრავმებისა და სხვა პირთა მიერ მიყენებული დაზიანებების შემთხვევები. განსხვავებულია ასევე შურნალის შენახვის წესი და პირობები. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ასევე არ არის დაფიქსირებული იმ პირის კომენტარი, რომლის მიმართაც კეთდება ჩანაწერი. ზოგიერთ დანესებულებაში დაზიანებებს ცალკეული ოქმის სახით აღრიცხავენ და ამ ოქმებზე სამედიცინო პერსონალს შემდგომში ხელი აღარ მიუწვდება. დაზიანებათა ტიპებისა და ხასიათის შესახებ არცერთი ექიმი არ აწარმოებს სტატისტიკურ ინფორმაციას. საინტერესო პრაქტიკას („ტრავმების შურნალის ჩამონერა“) ნავენყდით ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში. ადგილობრივი უფროსი ექიმის განმარტებით, „ასეთი შურნალი იყო, მაგრამ შიგ არაფერი ტარდებოდა, ცარიელია. მართლაც, ჩვენ ასეთი რამე (დაზიანებები) არ გვინახავს“. ოდნავ მოგვიანებით გაირკვა, რომ ვინაიდან შურნალი იყო ცარიელი და მასში არაფერი ტარდებოდა, იგი, მართლაც, გადაეცა კანცელარიას. მონიტორინგის ბოლოსთვის მონიტორინგის ჯგუფმა მიმართა კანცელარიას მოთხოვნით, რომ წარმოედგინათ ე.წ. დაზიანებების შურნალი. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ წარმოგვიდგინეს სტანდარტული ფორმით დახაზული საკანცელარიო დავთარი, რომლის გვერდებზე დაწვრილია და ზონარგაყრილია. შურნალი გახსნილია 2007 წელს. ჩანაწერი ამ წელს არ არის გაკეთებული; 2008 წლის ბოლოს გაკეთებულია ჩანაწერი, რომ გაუგრძელდეს ვადა 2008 წლისათვის; 2008 წელსაც არცერთი შემთხვევა არ არის გატარებული. საბოლოოდ კი, როგორც ჩანს, მიღებულია გადაწყვეტილება შურნალის ხმარებიდან ამოღებისა და შესანახად კანცელარიისათვის გადაცემის შესახებ. ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაზიანების შურნალი არ იწარმოება თბილისის N8 საპრობილეში. ამგვარი ინფორმაციის მოწოდებისაგან ადმინისტრაციამ არაერთხელ შეიკავა თავი.

ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPI) მე-3 ზოგადი ანგარიშის მიხედვით, სამედიცინო პერსონალს პენიტენციურ სიტყმაში შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს პაციენტთა მიმართ ძალადობის გამოყენების პროფილაქტიკაში ტრავმებისა და დაზიანებების სისტემატური რეგისტრაციის გზით და აუცილებელ შემთხვევაში, ზოგადი ინფორმაციის გადაცემით შესაბამის ინსტანციებში. ასევე შესაძლებელია, მხოლოდ, როგორც წესი, პაციენტის თანხმობის შემთხვევაში, კონკრეტულ შემთხვევებზე ინფორმაციის გადაცემა. დაზიანების ნებისმიერი ნიშნები ციხეში შესვლისთანავე დაწვრილებით უნდა იქნეს რეგის-

⁵² ძირითადად მოიცავს სამედიცინო მუშაკების პასუხისმგებლობას არამართო მკურნალობაზე, არამედ სოციალურ და პროფილაქტიკურ დახმარებაზეც.



ტრირებული ისევე, როგორც ნებისმიერი, ამ გარემოებასთან დაკავშირებული, პატიმრის განცხადება და ექიმის დასკვნა. შემდეგში პატიმრისათვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ამგვარივე მიდგომა უნდა ხორციელდებოდეს პატიმრის მიმართ, რომელზეც იყო განხორციელებული ძალადობა ციხის ტერიტორიაზე, ყოველი სამედიცინო გასინჯვისას ანდა პატიმრის დაბრუნებისას ციხეში მას შემდეგ, რაც იგი იმყოფებოდა პოლიციის ნაწილში გამოძიებისათვის. სამედიცინო მუშაკები პერიოდულად უნდა ადგენდნენ სტატისტიკურ ანგარიშებს ტრავმათა და დაზიანებათა შესახებ და აწვდიდნენ ამგვარ ანგარიშებს ციხის ადმინისტრაციას, იუსტიციის სამინისტროსა და ა.შ.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ დარღვეულია წამებისა და ძალადობის, არაჰუმანური მოპყრობის პრევენციის სტანდარტები: კერძოდ, დოკუმენტირებისას არ გამოიყენება „სტამბოლის პროტოკოლის“ პრინციპები, რაც საქართველოს წამების საწინააღმდეგო გეგმის⁵³ თანახმად, აუცილებელი უნდა იყოს; დაზიანებათა რეგისტრაციის ჟურნალის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, გაურკვეველია, თუ ვინ, სად, რატომ, ვის მიერ, რა გარემოებაში მიიღო დაზიანება, რა შედეგები მოჰყვა ამ დაზიანებას, ასევე, არ არის სათანადოდ დასკვნები ამ დაზიანებათა შესახებ. ხშირ შემთხვევაში გაურკვეველია, არის ეს დაზიანება მოყვანამდე მიღებული, თუ – საპატიმროში, არის თვითდაზიანება, თუ სხვის მიერ – მიყენებული; მედ. პერსონალს არ აქვს წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს ტერმინი „თვითდაზიანება“, ხშირ შემთხვევაში აქ გულისხმობენ იმ დაზიანებასაც, რომელიც პატიმარმა სხვისი დაზიანების გარეშე, თუმცა ტრავმის შედეგად მიიღო.

2009 წლის მეორე ნახევარში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სასჯელ-აღსრულების დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა პატიმართა მხრიდან თვითმკვლელობის მცდელობის რამდენიმე ფაქტს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა (ქუთაისის N2 დაწესებულებაში), ჩვენი მონიტორინგის განხორციელების პროცესშიც დაფიქსირდა. ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა გაგვერკვია, ასეთ შემთხვევებში როგორია სამედიცინო პერსონალის ტაქტიკა და რა ზომები ტარდება ამგვარ ქმედებათა პროფილაქტიკისათვის. როგორც გაირკვა, ზოგადად, ციხის პერსონალისათვის არ არსებობს რაიმე საინფორმაციო საუბრები ან სწავლება ამგვარი ქმედებების პრევენციასთან დაკავშირებით. თუ თვითმკვლელობის მცდელობის დროს პატიმარმა მიიყენა სერიოზული დაზიანება, მაშინ ეს უკანასკნელი გადაჰყავთ სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო თუ შემდგომი დაკვირვებით ირკვევა, რომ პატიმრის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, ამ შემთხვევაში პატიმარი შეიძლება, მაქსიმუმ, სამედიცინო ნაწილში იყოს გადაყვანილი. 2009 წლის განმავლობაში დაფიქსირდა პატიმართა სუიციდის 2 ფაქტი. ერთ-ერთი მათგანი განხორციელდა წლის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე – წლის მეორე ნახევარში. აღნიშნულ ფაქტებზე დაწყებულია გამოძიება და შედეგები ჯერ ცნობილი არ გამხდარა.

ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPT) მე-3 ზოგადი ანგარიშის მიხედვით, პენიტენციური დაწესებულების კომპეტენციის სფეროში შედის, ასევე, თვითმკვლელობათა აღკვეთა. სამედიცინო პერსონალი პასუხისმგებელია ამ საკითხზე ინფორმაციის გავრცელებაზე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა შორის, ასევე, შესაბამისი ზომების მიღებაზე. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შემოსვლისას პატიმართა გამოკვლევასა და მიღების პროცედურას მთლიანად. სათანადოდ ჩატარებული ეს პროცედურები ხელს უწყობენ თუ მთლიანად არა, იმ პატიმართა გარკვეული ნაწილის გამოვლენას, რომლებიც შეადგენენ თვითმკვლელობის რისკის ჯგუფს, ასევე, რამდენადმე ხელს უწყობენ შფოთვის მოხსნას, რომელიც დამახასიათებელი განცდაა ყოველი ახალშემოსული პატიმრისათვის. იმისდა მიუხედავად, თუ რა ფუნქციას ასრულებს ციხის პერსონალი, მას უნდა შეეძლოს (რაც გულისხმობს სპეციალურ მომზადებას), გამოიცნოს მოსალოდნელი თვითმკვლელობის ნიშნები. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ თვითმკვლელობის რისკი მომატებულია უშუალოდ სასამართლოს წინ ან მის შემდეგ, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში – გათავისუფლების წინა პერიოდშიც.

⁵³ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 12 ივნისის N301 ბრძანებულება „საქართველოში წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2008-2009 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

თვითმკვლელობის რისკის მქონე პირის გამოვლენისას ის უნდა იქნეს აყვანილი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმ ხანგრძლივობით, რომელიც საჭიროა მისი მდგომარეობიდან გამომდინარე. ამგვარი პირებისათვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვითმკვლელობის განხორციელების საშუალებები (ფანჯრის გისოსები, გატეხილი მინა, ჰალსტუხი და სხვა).

მონიტორინგის ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილდა კონკრეტულ დანესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის თვალსაზრისით, ასევე შეფასდა, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული მდგომარეობა ადამიანურ ღირსებას. ამ მიმართულებით ძირითადი მონაცემები მოცემულია ზოგადი მონიტორინგის თავში, რაც შეეხება მდგომარეობას სამედიცინო პუნქტებში, ამ მხრივ მდგომარეობა ზოგიერთ დანესებულებაში საგანგაშოა. მაგალითისათვის მოგვყავს მდგომარეობის მოკლე აღწერა ზუგდიდის №4 საპრობილის სამედიცინო ნაწილში: ე.წ. სამედიცინო ნაწილის სტაციონარული ნაწილი განთავსებულია საპატიმრო კორპუსში, მედპერსონალის ოთახიდან საკმაოდ მოშორებით, საპატიმრო კორპუსის მე-2 სართულზე. ამ მიზნით გამოყოფილია ორი საპატიმრო საკანი: „ს1“ და „ს2“. ექიმის განმარტებით, ერთი პალატა განკუთვნილია ბკ(+), ხოლო მეორე – ბკ(-) პაციენტებისათვის. ამ ორ „პალატას“, რა თქმა უნდა, პირობითად შეიძლება ეწოდოს „სამედიცინო სტაციონარი“. შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ამ პირობებში შესაძლებელია ავადმყოფთა ადეკვატური მკურნალობისა და მოვლის უზრუნველყოფა. „პალატა ს1“ წარმოადგენს ტიპურ საკანს, სადაც მონიტორინგის დროს იმყოფებოდა 2 პაციენტი. საკანში განთავსებულია 6 სანოლი სამი ორსართულიანი ნარის სახით. საკანი სარემონტოა. აქვს ერთი, ორმაგი ლითონის ცხურით დაფარული ფანჯარა, რომლიდანაც არ შემოდის საკმარისი სინათლე. სარკმლის ჩარჩოში არ არის ჩასმული მინა. პირსაბანი გამოსულია მწყობრიდან. აქვე არის ე.წ. ტუალეტიც, რომელიც წარმოადგენს დაახლოებით 1მ. კედლით ამოშენებულ შემოფარგლულ ტერიტორიას, არ აქვს კარი, არ არის გამყოფი ფარდაც კი. ტუალეტიდან გამოდის არასასიამოვნო სუნი. ხის იატაკი ალაგ-ალაგ დაზიანებულია. საკანში არსებული ორივე პატიმარი აცხადებს, რომ ისინი დაავადებულნი არიან ტუბერკულოზით. ისინი წვანან ბინძურ თეთრეულში. საკანში არის დიდი რაოდენობით ჭიანჭველები, რომლებიც ყველგან დადიან. არიან ასევე ტარაკნები და მღრღნელები. სამედიცინო დანიშნულების საკანი „ს-2“, წლის მეორე ნახევარში ჩატარებული მონიტორინგის დროს, არ იყო განკუთვნილი ავადმყოფი პატიმრებისათვის. საკანში განთავსებულია 8 სანოლი. საკანში იმყოფებიან ქალები. ადმინისტრაციის განმარტებით, მათთვის საგანგებოდ იქნა გამოყოფილი სამედიცინო დანიშნულების საკანი დროებით. თუმცა ქალები აცხადებენ, რომ უკვე ერთ წელზე მეტია, ამ პირობებში იმყოფებიან. ოთახში დგას ერთი გრძელი მერხი, რომელიც მაგიდის მოვალეობას ასრულებს. ოთახის მარცხენა კუთხეში არის ტუალეტი, რომელიც ასევე არ არის იზოლირებული. ოთახში ბუნებრივი განათებისა და აერაციის წყაროა მინებჩაუსმელი ერთი ფანჯარა, რომელიც კარის პირდაპირ კედელზეა გამოჭრილი. ქალების განმარტებით, საკნის ხშირი სტუმრები არიან მორიელები, ტარაკნები, თავგვები და ვირთხები. ამ პირობებში შეუძლებელია სანიტარიული პირობების დაცვა.

საგანგაშო სიტუაცია ასევე ხონის N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დანესებულების სამედიცინო ნაწილშიც. იატაკი პალატებში ალაგ-ალაგ დაზიანებულია, ხის ან ქვის საფართაა დაფარული. ზოგან ნახევრად აყრილ პარკეტს ცვლის ალაგ-ალაგ ამოშვერილი ქვები. სანიტარიული წესრიგის დამყარება პალატებში მათი სიძველის გამო პრაქტიკულად შეუძლებელია. დერეფნის მარცხენა მხარეს განლაგებულ პალატებში ფანჯრები შედარებით დიდია და ოთახებიც უფრო ნათელია. ოთახებში (პალატებში) არ არის წყალი ან სანიტარიული კვანძი. სამედიცინო დანიშნულების ავეჯი ამორტიზებული და დაზიანებულია. არათუ პალატებში, არამედ მთელ სამედიცინო ნაწილში საერთოდ არ არის ნიჟარა და ონკანი, თუ არ ჩავთვლით ეზოს გარეთ მდებარე ტუალეტსა და საშხაპს. ეზოში არის ერთი პალატა, რომლის კარების ჩარჩო ამომძვრალია და კედელი დანგრეული, იმგვარად, რომ ქმნის „გამოქვაბულის“ შთაბეჭდილებას. აქვე არის ტუალეტი და ე.წ. „საშხაპე“. ეზოში არის შესასვლელი კიდეც ერთ პალატაში, რომელსაც მართალია, კარი და ფანჯარა აქვს ჩასმული, მაგრამ შეიმჩნევა საკმაოდ დიდი ღრიჭოები, რომლებითაც ოთახის შიდა გარემო უკავშირდება ღია სივრცეს. ოთახში არ არის წყალი, კედლები ნაწილობრივია შეღესილი, ჭერი დაქანებულია, ფანჯრის მინები ვერ ავსებს ჩარჩოს და აქედანაც თავისუფლად შემოდის ჰაერი. აღწერილ პირობებში პრაქტიკულად შეუძლე-



ბელია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა. პალატა-საკნების ფართი სტანდარტით (როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო) არ შეესაბამება მასში განთავსებულ პაციენტთა რაოდენობას.

როგორც ირკვევა, სასჯელალსრულების დეპარტამენტს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება კერძო დაწესებულებებთან, რომლებიც ვალდებული არიან, პერიოდულად მოვიდნენ დაწესებულებაში და ჩაატარონ სანიტარიული დამუშავება. სხვადასხვა სასჯელალსრულების დაწესებულებას სხვადასხვა კონტრაქტორი ემსახურება. აღნიშნული კონტრაქტორები დაახლოებით თვეში ერთხელ მიდიან ადგილზე და ახორციელებენ სადებიზინფექციო და სადერატიზაციო ღონისძიებებს, თუმცა, ზოგიერთი დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, ატარებენ დებიზინფექციასაც. კონტრაქტორები ამუშავებენ სამედიცინო ნაწილს, საპრობიოტიკების ტერიტორიებს, საკნებს, სველ ნერტილებს. დაწესებულებათა დიდ ნაწილში საკნების დამუშავება სავალდებულო არ არის. მუშავდება ასევე სამზარეულო და დერეფნები. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დაწესებულებაში აღნიშნული ღონისძიებები პრაქტიკულად არაეფექტურია შენობის სიძველისა და ფიზიკური მდგომარეობის გამო.

დაწესებულებათა უმრავლესობა პატიმრებს აწვდის პირველადი ჰიგიენის ნივთებს. აღნიშნული ნივთების შეძენა შესაძლებელია, დაწესებულებათა მალაზიებშიც. პატიმართა პირადი ჰიგიენის თვალსაზრისით უდიდეს პრობლემად რჩება თეთრეული, რომელიც პერიოდულად არ ირეცხება და თუ ასევე გავითვალისწინებთ პატიმრების მიერ შხაპის მიღების სიხშირეს და შესაძლებლობას, ნათელია, რომ ამ მხრივ დაწესებულებათა უმრავლესობაში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი. მაგალითისათვის, გეგუთის №8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების სამედიცინო ნაწილის მონიტორინგისას, სამედიცინო ნაწილში მყოფ პატიმრებთან გასაუბრების შედეგად, გაიკვია, რომ მიუხედავად მათი სამედიცინო ნაწილში ყოფნისა, პაციენტები არ არიან კმაყოფილი სამედიცინო მომსახურების დონით. რამდენიმე პალატაში პაციენტებს არ აქვთ თეთრეული, რამდენიმე პალატაში თეთრეული იმდენად ბინძურია, რომ მისი ფერის გარჩევაც კი ძნელია. გარდა ამისა, თითქმის არცერთ დაწესებულებაში არ არის დალაქი. ამ ვაკუუმს, ზოგიერთ შემთხვევაში, ავსებს პატიმრებიდან საგანგებოდ ამ საქმისათვის გამოყოფილი პირი.

საბოლოოდ, ჯამში აღმოჩნდა, რომ დაწესებულების ექიმი არ ან ვერ აკონტროლებს დაწესებულების ამგვარ სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. უფროსი ექიმების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს მათ მოვალეობაში არ შედის.

რაც შეეხება ეპიდემიოლოგიური პრობლემების არსებობას, რომელთაც აწყდება ექიმი, მათი უმრავლესობა ცდილობდა დეტალების მოყოლისგან თავი შეეკავებინა, თუმცა გამოიკვეთა, რომ ცალკეულ დაწესებულებებში არსებობს ჰაერისა და წყლის დაბინძურების შემთხვევები. ასევე, ყოფილა შემთხვევები, როდესაც აღინიშნა პატიმრების გარკვეული ნაწილის ავადობა კვებითი ინფექციით, მუნით. თითქმის ყველგან კვლავ არსებობს დატილიანების ფაქტებიც. რაც შეეხება ბალღინჯოებისა და სხვა პარაზიტების გავრცელებას, აღნიშნული პირდაპირპროპოციულია დაწესებულების ფიზიკურ მდგომარეობასა და გადატვირთულობასთან. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა, ისეთი ინფექციური დაავადების ფაქტებიც, როგორებიცაა ჯილეხი, ნითელა; ვენერული დაავადებები: გონორეა და ათაშანგი.

სასჯელალსრულების დაწესებულებებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ფსიქოჰიგიენის საკითხებს. პატიმრებთან (განსაკუთრებით მალალი რისკის ჯგუფებთან) გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ ემოციური დაძაბულობის, დეპრესიის ან თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების შემთხვევაში მათ არ ჰქონდათ საშუალება, ესაუბრა და მიეღოთ სათანადო გულთბილი დამოკიდებულება და დახმარება როგორც ექიმის, ასევე სხვა პერსონალის მხრიდან. ექიმების განმარტებით, პატიმრები რაიმე სოციალური თერაპიის ან პრევენციის პროგრამებში ჩართულნი არ არიან (რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევის გარდა), დაწესებულებებში ფსიქიატრები არ მუშაობენ, ხოლო ამა თუ იმ დაწესებულებაში მყოფი ფსიქოლოგი მოქმედებს როგორც სოციალური სამსახურის წარმომადგენელი და სამედიცინო პერსონალთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ყველა უფროსი ექიმი განმარტავს, რომ ისინი და მათი ექიმები დღეში სამჯერ (ყოველი დარიგების წინ) ახორციელებენ საკვების ვარგისიანობისა და ხარისხის შემოწმებას, საკვების ნიმუშებს ინახავენ გარკვეული პერიოდით. საკვების ვარგისიანობის შესახებ ექიმი ხელს აწერს სპეციალურ ყურნალში. სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან მიღებული ოფიციალური წერილის შესაბამისად, 2009 წლის განმავლობაში, ექიმის მიერ საკვების ან მისი რომელიმე ცალკეული კომპონენტის წუნდების ფაქტი არ დაფიქსირებულა. აღნიშნულს ადასტურებს ყველა უფროსი ექიმი, შესაბამისად, რეაგირებისათვის ინფორმაცია დაწესებულების ადმინისტრაციამდე არ მისულა. მთავარი ექიმები პირადად ახორციელებენ კომუნიკაციას სამზარეულოს წარმომადგენლებთან და აწვდიან რეკომენდაციებს, რომლებიც სრულდება. მაგალითად, ბოლო პერიოდში გაიცა მითითება საკვების ცხიმოვანობის ან მარილიანობის შემცირებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ დაწესებულებაში საკვების კონტროლის ფუნქციას ასრულებს ექთანი. აღნიშნულს სისტემატური ან ფრაგმენტული ხასიათი აქვს.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მუშაობს დიეტექიმი. კვებას ამ დაწესებულებაშიც უზრუნველყოფს სასჯელალსრულების დეპარტამენტის კონტრაქტორი – შპს „მეგაფუდი“. დაწესებულების მთავარი ექიმის ინფორმაციით, საკვების ვარგისიანობა მოწმდება დღეში 3-ჯერ, ყოველი დარიგების წინ დიეტოლოგის მიერ. რაც შეეხება საკვების წუნდების ფაქტს, მთავარი ექიმის ინფორმაციით, დაფიქსირდა ერთი ასეთი ფაქტი, რომელიც ექიმების ჩარევის შედეგად გამოსწორდა და პრობლემა ამოიწურა. 2009 წლიდან, ადგილობრივი ექიმების და მთავარი ექიმის ძალიან ხშირად, შემოღებულია დიეტური მაგიდები, რაც ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა წარსულში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და საანგარიშო პერიოდში ეს პრობლემა ნაწილობრივ დარეგულირებულია. სასჯელალსრულების სხვა დაწესებულებებში დიეტური მაგიდებით პაციენტთა უზრუნველყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი და დღემდე გადაუჭრელი პრობლემაა.

მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების შენობის დაპროექტებისა და ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის დროს აშკარაა, რომ არავის გახსენებია და არც ყოფილა გათვალისწინებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N298/6 ბრძანება „საავადმყოფოების, სამშობიარო სახლებისა და სხვა სამკურნალო სტაციონარების მოწყობის, გამართვისა და ექსპლუატაციის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ“. ამავე ნორმატიული აქტის მიხედვით, უწყებრივ დაქვემდებარებაში მყოფ საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებსა და სხვა სამკურნალო სტაციონარებში სანიტარიული წესებისა და ნორმების დაცვას აკონტროლებენ წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე. **სამკურნალო დაწესებულება განთავსებულია ნაგავსაყრელთან ახლოს.** ნაგავსაყრელზე სიტემატურად ხდება საყოფაცხოვრებო და სხვა ტიპის ნარჩენების წვა, რომლის შედეგად წარმოქმნილი კვამლი პირდაპირ ვრცელდება დაწესებულების ტერიტორიაზე. მონიტორინგის დროს არაერთხელ იყო დაფიქსირებული შემთხვევა, როდესაც შენობა მთლიანად კვამლში იყო გახვეული. დაწესებულების ე.წ. პალატებში არ არის სამედიცინო დაწესებულებისათვის აუცილებელი ვენტილაციის სისტემები დამონტაჟებული, ანუ დარღვეულია მოთხოვნები შენობის „გათბობის, ვენტილაციის, მიკროკლიმატისა და ჰაერის გარემოსადმი“. ეს იმ დროს, როდესაც ზემოთ აღნიშნული კვამლის გამო, შენობის ცალ მხარეს განსაკუთრებით, პრაქტიკულად შეუძლებელია ფანჯრის გაღება და ოთახის განიავება. არ არის უზრუნველყოფილი პალატის, განყოფილების ძირითადი სათავსოების ჰაერის რაციონალური ცვლის ორგანიზაცია. არ არის ასევე გათვალისწინებული დაწესებულების ინსოლაციის, ხმაურისაგან დაცვის პრინციპები. სამკურნალო დაწესებულების ფანჯრების ორიენტაცია არ შეესაბამება საავადმყოფოებისათვის დადგენილ ჰიგიენურ ნორმებსა და წესებს. ჰიგიენური თვალსაზრისით არ არის გათვალისწინებული დაწესებულების შენობის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი და კონსტრუქციული თავისებურებები. არასტანდარტულადაა განთავსებული რენტგენის კაბინეტი და საოპერაციო ოთახები. ასევე არ არის გათვალისწინებული ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საავადმყოფოები შენობის შიგა მოწყობასთან დაკავშირებით. დარღვეულია მოთხოვნები სანიტარიულ-ტექნიკური, სამედიცინო, ტექნოლოგიური და სხვა აღჭურვილობის, ავეჯისა და ინვენტარისადმი. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში არ არის დაცული მოთ-



ხოვნები ბუნებრივი და ხელოვნური განათებისადმი, მოთხოვნები მომუშავე სამედიცინო პერსონალის შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობებისადმი, სათავსოების, დანადგარებისა და ინვენტარის სანიტარიული რეჟიმი. აქედან გამომდინარე, იგი არ შეესაბამება საქართველოში დადგენილ ეროვნულ სანიტარიულ-ჰიგიენურ სტანდარტებს.

ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტი (CPT) მე-3 ზოგად ანგარიშში მიუთითებს სამედიცინო პერსონალის მიერ პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარების აუცილებლობაზე – „პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო მუშაკების ამოცანას შეადგენს არა მარტო ავადმყოფთა მკურნალობა, არამედ ისინი პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ სოციალურ და პროფილაქტიკურ დახმარებაზე. სამედიცინო პერსონალი ციხეებში მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს სხვა სამსახურებთან, უნდა ახორციელებდეს კონტროლს კვებაზე (რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და საკვების განაწილება), ჰიგიენის ნორმების დაცვაზე (ტანსაცმლისა და თეთრეულის სისუფთავე, გამდინარე წყლისა და სანიტარიული მოწყობილობების ხელმისაწვდომობა), გათბობაზე, განათებასა და ვენტილაციაზე საკნებში. შრომა, გასერება და ფიზიკური ვარჯიშები სუფთა ჰაერზე ასევე შედის მის კომპეტენციაში“.

რაც შეეხება გადამდები დაავადებების გავრცელების საკითხს, აღმოჩნდა, რომ არ ხდება პატიმართა და პერსონალის ინფორმირება გადამდები დაავადებებისა და მათი პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ. ეპიდემიოლოგიური კონტროლი და ეპიდსიტუაციის ანალიზი ხშირად მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზუსტი სტატისტიკა გადამდები დაავადებების გავრცელების, ასევე, მათი მიზეზების ანალიზის შესახებ არ მოიპოვება, თუმცა ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული თავისებურებები ცალკეულ დაწესებულებებში. ტუბერკულოზის გავრცელება სასჯელაღსრულების სისტემაში საკმაოდ დიდია. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებათა უმრავლესობა აწარმოებს ტუბსკრინინგს, არსებული შედეგების გათვალისწინებით, მხოლოდ აღნიშნული ღონისძიებები ეფექტური არ არის და დამატებით აქტივობებს მოითხოვს. ისევე, როგორც წინა წლებში, 2009 წლის საანგარიშო პერიოდშიც, ტუბერკულოზი კვლავ არის პატიმართა სიკვდილობის მთავარი მიზეზი.

ტრანსმისიული დაავადებების განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს ვირუსული ჰეპატიტების მზარდი ტალღა საქართველოს ციხეებში. უფროსი ექიმების მიერ მონოდეზული ინფორმაციით, ჰეპატიტების მასობრივი სკრინინგპროგრამები არ ტარდება, რის გამოც ინფიცირების შემთხვევათა დიდი ნაწილი გამოვლინების გარეშეა. ექიმების აზრით, პატიმართა დაახლოებით 30-60%-ს აღნიშნება ვირუსული ჰეპატიტი. სამედიცინო ბარათებში ექიმები აფიქსირებენ დიაგნოზს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლაბორატორიული გამოკვლევა ადგილზე ჩატარდა ან პატიმარი წარმოადგენს ლაბორატორიული კვლევის შედეგს წარსულში ჩატარებული კვლევის შესახებ (პოზიტიური ჰეპატიტი). საპატიმრო ადგილებში უპირატესად გავრცელებულია C ვირუსული ჰეპატიტი, თუმცა ექიმებს დაფიქსირებული აქვთ ასევე B ვირუსული ჰეპატიტით და B + C ჰეპატიტის შემთხვევებიც. ერთეული შემთხვევების სახით აღწერილია A და B + C ჰეპატიტის შემთხვევებიც. აღნიშნული ტენდენციების შესახებ ვრცელადაა საუბარი ანგარიშის იმ თავში, სადაც პატიმართა სიკვდილობის საკითხებია განხილული.

რაც შეეხება აივ ინფექციას, ამ მხრივ სკრინინგი შედარებით უფრო ეფექტურია. პაციენტებს, საჭიროების შემთხვევაში, უტარდებათ სათანადო მკურნალობა და მიენოდებათ შესაბამისი მედიკამენტები. აივ ტესტირება ნებაყოფილობითია. რაც შეეხება აივ ინფიცირებულთა სტიგმატიზაციას, ამ მხრივ საქართველოს ციხეებში საკმაოდ ნოყიერი ნიადაგია შექმნილი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს დისკრიმინაციული ჩანაწერი საქართველოს კანონში „პატიმრობის შესახებ“. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „სასჯელაღსრულების დაწესებულების სამკურნალო განყოფილებაში განცალკევებით ათავსებენ შიდასით და სხვა არამართვადი ინფექციური სენით დაავადებულებს.“ გარდა ამისა, როგორც ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, აივ/შიდასით დაავადებულთა გარდაცვალების შემთხვევაში, არ ხდება გვამების სასამართლო-სამედიცინო წესით გამოკვლევა და სიკვდილის მიზეზის დადგენა. პრაქტიკაში კი შიდასით დაავადებულებს განცალკევებით ადმინისტრაცია არ ათავსებს, თუ ამას არ მოითხოვს თვით ინფიცირებული ან სხვა პატიმრები. რუსთავის №2

დანესებულებაში ჩატარებული ერთ-ერთი მონიტორინგის დროს დაფიქსირდა ფაქტი, როდესაც პაციმრები კატეგორიულად მოითხოვდნენ აივ ინფიცირებული პირის გაყვანას მათი საკნიდან, ხოლო თვით დაავადებული იძულებული იყო, იგივე მოეთხოვა სხვა პაციმართა მხრიდან არსებული დამოკიდებულებისა და მათი ქცევის გამო.

რაც შეეხება პაციმართა იზოლაციას სამედიცინო ჩვენებით, როგორც უფროსი ექიმები განმარტავენ, აღნიშნულ ღონისძიებას მიმართავენ საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც პაციენტს უეცრად გამოეხატება სიყვითლე, დიაგნოზის დადასტურებამდე ცალკე ათავსებენ. მსგავსი ტაქტიკა გამოიყენება ტუბერკულოზზე ექვის მიტანის შემთხვევაშიც, თუ ამ ღონისძიებათა გატარების საშუალებას საპრობილის გადატვირთულობა არ უშლის ხელს.

ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPI) მე-3 ზოგადი ანგარიშის მიხედვით, „სამედიცინო პერსონალი ციხეებში უნდა უზრუნველყოფდეს გადამდებ დაავადებათა (განსაკუთრებით ისეთი, როგორც არის ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი, კანის ინფექციები) შესახებ ინფორმაციის რეგულარულ გავრცელებას როგორც პაციმართა, ასევე ციხის თანამშრომელთა შორის. საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია, ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება იმ პირებს, რომლებთანაც დაავადებულ პაციმარს ჰქონდა რეგულარული კონტაქტი (თანამესაკნეები, ციხის პერსონალი, ხშირი მნახველები). რაც შეეხება შიდსს, პაციმარს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი კონსულტაცია როგორც ტესტირებამდე, ასევე, თუკი ეს საჭიროა, შიდსზე ყოველი ტესტირების შემდეგაც. ციხის პერსონალი პერიოდულად უნდა გადიოდეს სპეციალურ მომზადებას აუცილებელი პროფილაქტიკური ზომების შესახებ, ასევე – კორექტულ დამოკიდებულებაზე იმ პაციმართა მიმართ, რომელთაც აღმოაჩნდათ აივ ტესტის დადებითი შედეგი. პერსონალმა უნდა მიიღოს შესაბამისი ინსტრუქციები იმის შესახებ, რომ დაუშვებელია ინფიცირებული პაციმრების დისკრიმინაცია, ასევე აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სეგრეგაცია აივ ინფიცირებული პაციმრის, თუკი ის თავს კარგად გრძნობს, დაუშვებელია.“

ჰუმანიტარული თანადგომა / პაციმართა განსაკუთრებული კატეგორიები

მონიტორინგის ჯგუფის მიერ ყურადღება გამახვილდა სასჯელალსრულების დანესებულებაში ქალ პაციმართა მიმართ მოპყრობაზე. ქალები განთავსებულნი არიან ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დანესებულებაში, რუსთავის №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულებაში, ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში, ბათუმის №3 საპრობილში და ზუგდიდის №4 საპრობილში. რაიმე სახის დისკრიმინაცია ქალ პაციმართა მიმართ არ გამოვლენილა. პირობების მიხედვით, ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა შექმნილი ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დანესებულებაში. აქ სამედიცინო მომსახურების დონე ყველაზე უფრო მეტად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შიდა ბრძანების საფუძველზე, 1 ექიმი და 1 ექთანი მივლინებულნი არიან №1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დანესებულებაში, თუმცა ირიცხებიან ადგილობრივ პერსონალში. რუსთავის №1 დანესებულებაში ქალთა კონტინგენტის ძირითადი ნაწილის გადაყვანა განხორციელდა 2009 წლის 19 აპრილს მომხდარი ინციდენტის შემდეგ. რაც შეეხება დანესებულებაში უპირატესად გამოვლენილ დაავადებებს, მთავარი ექიმის განმარტებით, ეს არის ძირითადად გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, სასუნთქი სისტემის დაავადებები, გინეკოლოგიური დაავადებები, ონკოლოგიური დაავადებები, უროლოგიური დაავადებები და ორთოპედიული პათოლოგია. ხშირია, ასევე, ქირურგიული პრობლემები (აპენდიციტი), მათ შორის, თვითდაზიანებები. ქალთა კონტინგენტს, გინეკოლოგის მომსახურება გარანტირებულად აქვს.

რუსთავის №1 დანესებულებაში ქალები მოკლებულნი არიან ადგილზე სტაციონარულ მომსახურებას. დანესებულებაში 2007 წელს სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით დახურული სტაციონარული სექცია დღემდე არ გახსნილა.



ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში იმყოფებიან ასევე ქალი პატიმრები. დანესებულებას არ ჰყავს სპეციალურად გამოყოფილი გინეკოლოგის შტატი. რაც შეეხება ქალთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პრობლემებს, ექიმის განმარტებით, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით არაფერი შეცვლილა. ამ პერიოდში არცერთ ქალს არ უმშობიარია, არ ჰყავთ მეძუძური დედა; არცერთ ქალს არ ჰყავს თან ახალშობილი, რის გამოც პედიატრიული დახმარება ამ მხრივ არ დასჭირვებიათ.

ბათუმის №3 საპრობილეში სასჯელს იხდიან პატიმარი ქალებიც. დანესებულებაში არ მუშაობს გინეკოლოგი და არც კონსულტანტია გათვალისწინებული. საჭიროების შემთხვევაში, ქალს გადაიყვანენ ბათუმში, შესაბამის დანესებულებაში. ქალთა კვების რაციონი იგივეა, რაც მამაკაცი პატიმრებისა. მათი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კი გაცილებით უკეთესია საპრობილის საერთო მდგომარეობის ფონზე. გინეკოლოგის კონსულტაცია 2009 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. ორსული ქალი საანგარიშო პერიოდში არ ჰყოლიათ. ქალთა ჰიგიენის სპეციფიკური საკითხები დარეგულირებულია. რამდენიმე პაციენტი აყვანილია ფსიქო-ნევროლოგიურ მეთვალყურეობაზე.

რაც შეეხება ზუგდიდის №4 საპრობილეს, აქ ქალთა ყოფნა უტოლდება არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. ქალთა ყოფნის სპეციფიკური საკითხები არ არის დარეგულირებული, მათი ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემები პრაქტიკულად იგნორირებულია, ხოლო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები – არაადამიანურად დასუსტებულია.

საანგარიშო პერიოდში რუსთავის №1 დანესებულებაში გარდაიცვალა ერთი ქალი პატიმარი, რომლის სიკვდილის მიზეზი გახდა თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა. ქალთა ჯანმრთელობის პრობლემები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ **მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში არ არის ქალთა განყოფილება.** №5 დანესებულებიდან ქალაქის სტაციონარებში გაყვანის სტატისტიკის გათვალისწინებით, აღნიშნული ვაკუუმი გარკვეულწილად კომპენსირებულია, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ 3 სასჯელალსრულების დანესებულებაზე, განსაკუთრებით კი – ზუგდიდისა და ბათუმის საპრობილეებზე.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ ასევე იქნა აქცენტი აღებული სხვადასხვა სასჯელალსრულების დანესებულებაში მყოფ არასრულწლოვან პატიმრებზე. არსებული მდგომარეობით, მოზარდი პატიმრები იმყოფებიან ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დანესებულებაში, ქალთა და არასრულწლოვანთა №5 დანესებულებაში, ბათუმის №3 საპრობილეში, ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულებასა და ზუგდიდის №4 საპრობილეში.

არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დანესებულების სამედიცინო ნაწილის პერსონალი შედგება 3 ექიმის და 3 ექთნისაგან. ექიმებიდან ერთი მთავარი ექიმი (სპეციალობა – შინაგანი მედიცინა), ერთი ნევროპათოლოგი და ერთი სტომატოლოგი. პედიატრი დანესებულებაში არ მუშაობს. ასევე არასრულწლოვანები ადგილზე მოკლებულნი არიან სტაციონარული ტიპის სამედიცინო მომსახურებას. ასეთის აუცილებლობისას ისინი გადაჰყავთ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებაში. დანესებულებას საკუთარი ფსიქიატრი არ ჰყავს, თუმცა ამ დეფიციტს გარკვეულწილად ავსებს წამების ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედებების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“, რომელიც დანესებულებაში ახორციელებს პროგრამას და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ფსიქიატრები სისტემატურად სტუმრობენ დანესებულებას. ნარკოლოგის კონსულტაცია, ექიმის განმარტებით, 2009 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ დასჭირვებიათ. უპირატესად გამოვლენილ დაავადებათაგან მთავარი ექიმი გამოყოფს მწვავე რესპირაციულ დაავადებებს (განსაკუთრებით სეზონურად), კანის დაავადებებს (მუნი, პოდერმიტი და დერმატიტი), სტომატოლოგიურ დაავადებებს, მსუბუქ ნევროლოგიურ დაავადებებს და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს (გასტრიტი). ინტერფერონით მკურნალობაზე არცერთი პატიმარი არ იმყოფებოდა არც მონიტორინგის დროს და არც საანგარიშო პერიოდში. „DOTS“ ან „DOTS+“ პროგრამა დანესებულებაში არ მიმდინარეობს. დანესებულებაში მუშაობს ფსიქოლოგი, თუმცა ეს

უკანასკნელი ქვემდებარებით დანესებულების სარეჟიმო სამსახურს ეკუთვნის და სამედიცინო სამსახურთან კავშირი არ აქვს. ექიმის განმარტებით, მოზარდებს ასაკსპეციფიკური რაიმე სამედიცინო ან ფსიქოლოგიური პრობლემა არ აქვთ.

ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დანესებულებაში არასრულწლოვნები იმყოფებიან ცალკე კორპუსში (განსასჯელები). ამავე დანესებულებაში ოფიციალურად ფუნქციონირებს არასრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა და პატიმართა დანესებულება. მონიტორინგის მომენტში დანესებულებაში იმყოფებოდა 4 მსჯავრდებული და 2 წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი გოგონა. მოზარდთა ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემებიდან აღსანიშნავია ძვალ-სახსართა სისტემის მხრივ არსებული პათოლოგიები: ართრიტები, მოტეხილობები; ასევე კანის დაზიანებები, მწვავე რესპირაციული დაავადებები. არასრულწლოვანთა შორის საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა მუნის შემთხვევებიც. ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ჰყავთ 3 არასრულწლოვანი გონებრივი ჩამორჩენილობით.

ქუთაისის №2 საპრობილისა და მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის სპეციფიკას განსაკუთრებული ყურადღება არ ექცევა. 2009 წლის ივლისის ბოლოს გეგმური მონიტორინგის დროს, მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ მონახულებული იქნა 12 არასრულწლოვანი, რომლებიც გახდნენ გამოხატული ფსიქოფიზიკური ზემოქმედების მსხვერპლი საპრობილის თანამშრომლებისა და სპეცდანიშნულების რაზმის მხრიდან. კიდევ სამი არასრულწლოვანი მონიტორინგამდე რამდენიმე ხნით ადრე გადაყვანილი იქნა თბილისში, ქალთა და არასრულწლოვანთა N5 დანესებულებაში. მოზარდები გასინჯული იქნენ ექიმთა მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ და დადგინდა მათი ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმები. მათ დიდ ნაწილს აღენიშნებოდა სხეულის ზოგადი დაუფიქრობა, რამდენიმეს აღენიშნებოდა თავის ტვინის შერყევა და ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა. აღნიშნულ ფაქტზე საპრობილის ადმინისტრაცია კომენტარს არ აკეთებს, ხოლო სამედიცინო პერსონალი აცხადებს, რომ მათთვის უცნობია ამგვარი დაზიანებების არსებობა, შესაბამისად, არასრულწლოვნები არ მოუნახულებიათ და არც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინიათ ვინმესთვის. არ არის დოკუმენტირებული არცერთი დაზიანება.

ბათუმის №3 საპრობილეში, უფროსი ექიმის განმარტებით, არასრულწლოვან პატიმრებთან ყოველ ხუთშაბათს მუშაობს ფსიქოლოგი. გარდა ამისა, არასრულწლოვნებისათვის მოქმედებს დაწყებითი განათლების პროგრამა. არასრულწლოვნები საპრობილეში მოთავსებისას და მის შემდგომ პერიოდში ფსიქიატრს არ უნახავს. ექიმის განმარტებით, არასრულწლოვნებს უტარდებათ პერიოდული სამედიცინო შემოწმება. არასრულწლოვანთა თანხმობით, ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მიწოდებათ ოჯახის წევრებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს. ექიმის განმარტებით, მოზარდ პატიმართა სპეციფიკური ჯანმრთელობის პრობლემას წარმოადგენს სტომატოლოგიური დაავადებების განსაკუთრებული სიხშირე, რომელთა სრულყოფილი გადაჭრა ვერ ხერხდება. რაც შეეხება არასრულწლოვანთა საცხოვრებელ პირობებს, მონიტორინგის ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც არაადეკვატური და მოზარდისათვის შეუფერებელი. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციის მხრიდან რაიმე ქმედითი ნაბიჯი აღნიშნულის გამოსასწორებლად ჯერ არ გადადგმულა.

ზუგდიდის №4 საპრობილეში არასრულწლოვანთა მიმართ რაიმე განსაკუთრებული და ასაკსპეციფიკური მიდგომა არ არსებობს. არასრულწლოვან პატიმრებთან ფსიქოლოგი არ მუშაობს, სტომატოლოგის ხელმისაწვდომობის პრინციპი დარღვეულია. მოზარდები რაიმე სპეციალურ პროგრამაში ჩაბმულნი არ არიან. მათი სამედიცინო მანიპულაციებისა და გამოკვლევის დროს კონფიდენციალურობის დაცვა გამონაკლის შემთხვევაში ხდება შეძლებისდაგვარად. ექიმის განმარტებით, „ყველა მოზარდი პატიმარი ჯანმრთელია“. ერთ-ერთი მათგანი ყრუ-მუნჯია.

მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა **ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრებს**. მათი გამოვლენა სასჯელალსრულების დანესებულებებში არაორგანიზებულია და კვალიფიციური ფსიქიატრიული დახმარების არარსებობის გამო შეზღუდულად ხდება. დანესებუ-



ლებში შესვლისთანავე მათ ფსიქიატრი ვერ ნახულობს. ფსიქიატრის კონსულტაცია შესაძლებელია დაახლოებით თვეში ერთხელ მოსული კონსულტანტის მიერ ჩატარებული გასინჯვების სახით. მიუხედავად იმისა, რომ უფროსი ექიმები განმარტავენ საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის კონსულტაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ასეთი ფაქტი არსებული ჟურნალების დათვალიერების შედეგად არ გამოვლენილა. დანესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არსებობს რაიმე სპეციალური პროგრამები ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდასაჭერად, ან რეაბილიტაციის პროგრამები, რომლებიც გულისხმობს სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარების სხვადასხვა ღონისძიებებს. ზოგადად, დანესებულებაში არსებული რეჟიმი, პირობები, ურთიერთობები ფსიქიკური აშლილობების მქონე პაციენტების მიმართ შეუფერებელია და ნეგატიურად მოქმედებს პაციენტის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. აღნიშნულის გამო ფსიქიკურად დაავადებულ პირთა ყოფნა სასჯელ-აღსრულების დანესებულებებში უნდა შეფასდეს, როგორც არაადამიანური მოპყრობა.

ფსიქიკური აშლილობების მქონე პაციენტთა შორის გაცილებით მაღალია თვითდაზიანების ან თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტები. რაც შეეხება კონფლიქტებს, როგორც პერსონალთან, ასევე ერთმანეთთან, ამ მხრივ მდგომარეობა არ არის ძიმი. დანესებულების უფროსი ექიმების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არცერთ დანესებულებაში არ არსებობს ცალკე გამოყოფილი საკანი ამგვარი კონტინგენტისათვის. არ არსებობს ფსიქიკური პრობლემების გამოვლენის სტატისტიკა, ასევე ის, თუ რა პრობლემები ვლინდება კონსულტაციების დროს. არ გამოვლენილა ასევე თვითმკვლელობის რისკის მქონე პირების კონტინგენტი. ცალკე არ იწარმოება თვითდაზიანებათა სტატისტიკა.

მონიტორინგის ჩატარების დროს გამოიკვეთა, რომ ციხის პერსონალი, მათ შორის, სამედიცინო მუშაკები, გათვითცნობიერებული არ არიან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებში. შესაბამისად, არ არსებობს პრობლემის ეფექტური გადაჭრის გზებიც. 2009 წლის განმავლობაში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო პაციენტის გადაყვანა სამოქალაქო ტიპის ფსიქიატრიულ დანესებულებაში. ასევე, არ არსებობდა მექანიზმი იმ მსჯავრდებულთა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისა, რომლებიც ფსიქიკურად დაავადდნენ სასჯელის მოხდის პერიოდში. ამ მხრივ, პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს „პაციენტობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2009 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილება.

პირებს, რომელთაც გამოუვლინდათ სულიერი დაავადების ნიშნები, 2009 წლის მეორე ნახევარში აგზავნიდნენ მსჯავრდებულთა და პაციენტთა სამკურნალო დანესებულებაში. აღნიშნული დანესებულების ფსიქიატრიული განყოფილება სულ 3 ექიმითა და კომპლექტებული და გაშლილია 39 სანოლზე. აღსანიშნავია, რომ განყოფილებაში გადმოჰყავდათ მხოლოდ მამაკაცი პაციენტები და მსჯავრდებულები. ქალ პაციენტთათვის ასეთი სერვისი პენიტენციური სისტემის შიგნით ხელმიუწვდომელია. მსჯავრდებულთა და პაციენტთა სამკურნალო დანესებულების ფსიქიატრიული განყოფილების ანგარიშის მიხედვით, 2009 წლის მანძილზე ფსიქიატრიულ განყოფილებაში შემოვიდა 132 პაციენტი (72 1-ელ და 60 მე-2 ნახევარში). გაენერა 141 (76 1-ელ და 65 მე-2 ნახევარში). ფსიქიკური სფეროს მხრივ გამოვლენილი ნოზოლოგიების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

- ორგანული აშლილობები – 29;
- ფსიქოპათიური ნივთიერებებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები – 1;
- შიზოფრენია, შიზოტოპური აშლილობა – 10;
- აფექტური აშლილობები – 26;
- ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოტროპული აშლილობანი – 7;
- პიროვნული და ქცევითი დარღვევები – 44;
- გონებრივი ჩამორჩენა – 6;
- ეპილეფსია – 2;
- რეაქტიული ფსიქოზი – 7.

ფსიქიატრიულ განყოფილებაში 2009 წლის განმავლობაში გარდაიცვალა 1 ავადმყოფი (სუიციდი).

არსებული ვითარების ანალიზით, რომელიც მონიტორინგის დროს იქნა გამოვლენილი საქართველოს ციხეთა სისტემაში, საყურადღებოა შემდეგი საკითხები: **მთელ სისტემას ემსახურება 5 ფსიქიატრი.** მათ შორის 3 მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, ხოლო თითო-თითო – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. ეს უკანასკნელნი არ იმყოფებიან მუდმივ შტატში (ხელშეკრულებით აყვანილი კონსულტანტები). დაწესებულებებში ერთგვარად წარმოებს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა აღრიცხვიანობა ადგილზევე დამკვიდრებული წესით, კონსულტანტ-ფსიქიატრის ჟურნალის მიხედვით, თუმცა რაიმე გარე კონტროლის დაწესება ან ამ საკითხის საფუძვლიანი მონიტორინგი შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს სამედიცინო ბარათები, სათანადო წესით წარმოებული, ასევე – ცალკე რაიმე აღრიცხვის სტანდარტები. ცალკეულ შემთხვევაში გამოვლენილი იქნენ პაციენტები ფსიქოზური აშლილობებით ან/და ქცევის უკიდურესი დარღვევებით ან/და სუიციდის მცდელობით, რომელნიც საჭიროებენ სტაციონარულ დახმარებას, ან/და რომლის ადგილიც საპატიმრო დაწესებულებაში არ არის, თუმცა ისინი კვლავ რჩებიან ამგვარ დაწესებულებაში. პრობლემები, რომლებიც ექიმთან საუბრისას იქნა გამოვლენილი, ეხება, ასევე, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას, ვინაიდან ადგილობრივი ექიმების გადმოცემით, არის შემთხვევები, როდესაც მათ გადაჰყავთ ამგვარი პატიმრები ფსიქიატრიულ განყოფილებაში, თუმცა იქიდან მალევე აბრუნებენ პრაქტიკულად იმავე მდგომარეობაში. რაც შეეხება მოსაზღვრე მდგომარეობებისა და სხვა ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებს, რაიმე სახის რეაბილიტაციური პროგრამები ან ადეკვატური მკურნალობის შესაძლებლობა ამ დაწესებულებებში არ არის. ამავე დროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე აქტების გაუმართაობა, რაც ცალკე ანალიზისა და მონიტორინგის საგანი უნდა გახდეს, ქმნის მნიშვნელოვან პრობლემებს ციხეთა სისტემაში პირველადი დიაგნოსტიკისა და შემდგომი სწრაფი და ადეკვატური რეაგირების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხის მოგვარება ციხის ექიმის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. მაგალითისათვის მოგვყავს ის სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც ცალკეულ ციხეებში იქნა მოპოვებული: ქუთაისის №2 დაწესებულების სტაციონარულ ნაწილში განთავსებული იყო 2 ფსიქიკური პრობლემის მქონე პირი, დანარჩენ პატიმრებზე სტატისტიკური ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ. ამგვარი ინფორმაციის მოსაპოვებლად გადავხედეთ ფსიქოტროპული მედიკამენტების დანიშნულებებს, რომლებიც ინახება უფროს ექთანთან. ფსიქოტროპული მედიკამენტების დაფასობა ცალკეული პაციენტებისათვის ხდება აფთიაქიდან, რაც უნდა შესაბამისად შედარდეს ფსიქიატრის კონსულტაციის ჟურნალს, საიდანაც უნდა გამხროვდეს პაციენტთა სახელი და გვარი, კონსულტაციის რიგითობის გამოკლებით. ამგვარი „მანიპულაციის“ ჩატარება მონიტორინგის დროს პრაქტიკულად შეუძლებელია და მოითხოვს დიდი დროის ხარჯვას. ამგვარად, ამ დაწესებულებაში რაიმე სახის ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებზე შეუძლებელია. გეგუთის №8 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის მიხედვით, 22 პატიმარი არის ეპილეფსიით დაავადებული, ხოლო 73 ფსიქიკური პრობლემების მქონე პირია. ხონის №9 დაწესებულების სამედიცინო ნაწილის მიხედვით, ძირითადად აღრიცხვაზე იმყოფება 8 ფსიქიკური პრობლემების მქონე პირი, რომელთაც აქვთ ძირითადად ც.ნ.ს. ორგანული დაზიანებით გამოწვეული აშლილობანი. ზუგდიდის №4 საპრობილეში არსებობს ჟურნალი – „ფსიქოპათიური და სხვა ფსიქიკური გადახრებით დაავადებულ პატიმართა აღრიცხვის ჟურნალი“, რომელშიც 2009 წელს 5 პაციენტია გატარებული. ამავე დროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟურნალის დასახელებაში მოხსენიებული ტერმინები მოძველებულია და საერთაშორისო სტანდარტებით არ იხმარება. ასე მაგალითად, ტერმინი „ფსიქოპათიის“ ნაცვლად იხმარება ტერმინი პიროვნული (პერსონოლოგიური) აშლილობანი, ხოლო „გადახრების“ ნაცვლად – ტერმინი ფსიქიკური აშლილობა. ბათუმის №3 საპრობილის სამედიცინო ნაწილის მონაცემებით, 7 პატიმარი არის ფსიქიკური პრობლემების მქონე. სავარაუდოდ, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები არ არის რეალური, თუკი გავითვალისწინებთ ეპილეფსიით დაავადებულთა ფსიქიკურ პრობლემებს და ასევე, ნამალდამოკიდებულების მქონე პირთა ფსიქიკურ პრობლემებს. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ფსიქიკური პრობლემებისა და მათ შორის, დამოკიდებულების პრობლემების მქონე პირთა საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი ევროპულ ციხეებში უტოლდება დაახლოებით 63%-ს. შესაბამისად, ჩვენს ციხეთა სისტემაში ეს რაოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები თუ არა მეტი, შესაბამისი კანონმდებლობისა და ცხოვრების დონის გათვალისწინებით.



ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტის (CPT) მე-3 ზოგადი ანგარიშის მიხედვით, „პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ყოველთვის ეყოლება თავის პაციენტთა შორის არამდგრადი ფსიქიკის მქონე პირები, აუტსაიდერები, რომელნიც იზრდებოდნენ არაკეთილსამედო ოჯახებში, ჰქონდათ ხანგრძლივი შეხება ნარკოტიკებთან, კონფლიქტში იყვნენ სახელისუფლებო სტრუქტურებთან, ერთი სიტყვით, იყვნენ ხელმოცარულნი სოციალური თვალსაზრისით. ამგვარი პაციენტები არიან მღელვარენი, მიდრეკილნი თვითმკვლელობისაკენ, არაიშვიათად გამოირჩევიან მიუღებელი სექსუალური ქცევით, დროის უმეტეს ნაწილს ვერ აკონტროლებენ თავს და ვერ უვლიან საკუთარ თავს. ამგვარი პაციენტების მოთხოვნილებანი სცილდება საკუთრივ სამედიცინო მომსახურების ფარგლებს, თუმცა ციხის ექიმს შეუძლია ხელი შეუწყოს მათთვის სოციალური თერაპიის პროგრამების შემუშავებას. ამგვარი პროგრამები ჩვეულებრივ ხორციელდება ციხის სპეციალურ განყოფილებებში, რომელნიც ორგანიზებულია ზოგადსამოქალაქოს მსგავსად, კვალიფიცირებული სპეციალისტის ხელმძღვანელობით. ამგვარი პროგრამები ეხმარება პაციენტებს, გადალახონ დამცირების განცდა, ზიზღი და სიძულვილი საკუთარი თავის მიმართ, ავითარებენ პასუხისმგებლობის განცდას და ამზადებენ საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის. ამგვარ პროგრამებს კიდევ ეს უპირატესობა აქვთ, რომ მათი განხორციელება მოითხოვს ციხის პერსონალის აქტიურ მონაწილეობასა და დაინტერესებას.“

რაც შეეხება **წამალდამოკიდებულების მქონე პირებს**, მათი რაოდენობა სასჯელის მოხდის ადგილებში ასევე საკმაოდ მაღალია. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ალკოჰოლიზმით, ნარკომანიითა და ტოქსიკომანიით დაავადებული პაციენტები.

წამალდამოკიდებულების პრობლემების შემთხვევაში პაციენტებს არ უტარდებათ სათანადო მკურნალობა და კონსულტაცია. გარედან კონსულტანტის მონვევის შემთხვევები 2009 წლის მეორე ნახევარში პრაქტიკულად არ დაფიქსირებულა.

ამგვარი პაციენტებისათვის თბილისის №8 საპყრობილეში მოქმედებს მეტადონის პროგრამა, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი პერსონალით და მათ საერთო არაფერი აქვთ დანესებულების სამედიცინო ნაწილთან ან პერსონალთან. მათი საქმიანობის, საშტატო განრიგისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ მთავარ ექიმს ინფორმაცია არ აქვს. პაციენტების პროგრამაში ჩართვის საკითხებს მხოლოდ პროგრამის პერსონალი განსაზღვრავს.

ქუთაისის №2 და რუსთავის №6 დანესებულებებში არის „ატლანტისის“ პროგრამა, რომელიც არ არის სამედიცინო პროგრამებთან კოორდინაციაში და ვერ უზრუნველყოფს წამალდამოკიდებულების მქონე პირთა ადეკვატურ მკურნალობასა და რეაბილიტაციას.

წამალდამოკიდებულ პირთა აღრიცხვის ყურნალი არ არის დანესებულებათა სამედიცინო ნაწილებში. ციხეთა სისტემაში არ არის რაიმე ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა. არ დაფიქსირებულა ჩანანერებში გარედან სამოქალაქო ექიმების კონსულტაციები, მედიკამენტების მიღებაზე არ წარმოებს სრული კონტროლი.

რაც შეეხება წამალდამოკიდებული პირების მიერ მონყობილ ექსცესებს, ექიმები ამას თითქმის ყველა დანესებულებაში უმნიშვნელოდ მიიჩნევენ და ყურადღებას არ ამახვილებენ. ექსცესების პრევენციის მიზნით რაიმე ღონისძიება დანესებულებებში არ ტარდება. ექიმი ყოველთვის ცდილობს, რომ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში სარეჟიმო სამსახური კონფლიქტში არ ჩაერთოს და პრობლემა შეძლებისდაგვარად გადაწყვიტოს საკუთარი ძალებით.

ინფორმაცია **გადამდები დაავადებებისა და განსაკუთრებით საშიში ინფექციების** მქონე პაციენტების შესახებ შესწავლილია ყველა დანესებულებაში. აღნიშნულ საკითხებზე საუბარია მოხსენების სხვადასხვა თავში. ამ მხრივ ყურადღება გამახვილდა აივ/შიდსის, ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების, ვირუსული ჰეპატიტებისა და სხვა ინფექციური დაავადებების მიმართულებით. ამ ტიპის ინფექციების გავრცელების პროფილაქტიკის მიზნით რაიმე განსაზღვრული და დაგეგმილი ღონის-

ძიებები უმნიშვნელოა. რაც შეეხება ვენერულ დაავადებებს, მათი გავრცელება, როგორც აღმოჩნდა, არ არის დიდი და კონტროლირებადია.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ დადგენილი იქნა, რომ სხვადასხვა სასჯელალსრულების დაწესებულებაში იმყოფებიან პირები, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა. ამ კატეგორიას, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება: ავთვისებიანი დაავადებები, პაციენტები ტუბერკულოზით, ნევროლოგიური მყარი ნარჩენი მოვლენების მქონე პაციენტები და ა.შ. როგორც გაირკვა, 2009 წლის განმავლობაში სულ 4 პატიმარს გადაევადა სასჯელი მძიმე ან განუკურნებელი დაავადების გამო. მიუხედავად ასეთი დაავადებების სიმრავლისა, პაციენტები კვლავ იხდიან სასჯელს შეუფერებელ და ადამიანის ღირსებისათვის შეურაცხყოფელ პირობებში. მათთვის არ არის გამოყოფილი კვალიფიციური მომვლელი, ყველა მათგანს არ აქვს ყავარჯენი და ეტლი, რის გამოც მოკლებულნი არიან დამოუკიდებელი გადაადგილების საშუალებას. ამგვარი პაციენტებისათვის სპეციალური მოვლის პირობების არარსებობის გამო ექიმები უდიდეს სირთულეებს აწყდებიან და ხშირად უძღვრებიან არიან კონკრეტულ შემთხვევაში ამ კატეგორიის პაციენტის ჯანმრთელობის საჭიროებათა მოგვარებაში. ზოგიერთ დაწესებულებაში ასევე ნანახი იქნა მძიმე ფსიქიკური დაავადების მქონე პირები, რომელნიც ვერ უვლიან საკუთარ თავს, ვერ ახერხებენ სიტუაციაში გარკვევას, აქვთ არაადეკვატური საქციელი ან გონებრივად არიან ჩამორჩენილნი. ზემოთ აღწერილი კატეგორიის კონტინგენტის არსებობა სასჯელალსრულების დაწესებულებებში, მით უმეტეს, არსებული მკურნალობისა და მოვლის, ასევე, სოციალური ადაპტაციის პირობების გათვალისწინებით, უნდა მივიჩნიოთ არაჰუმანურ მოპყრობად.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების სპეციფიკური საჭიროებებიდან მონიტორინგის ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე. კერძოდ, პრაქტიკულად ვერ იქნა ნანახი შემთხვევა, როდესაც დაკმაყოფილდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის თხოვნა სამედიცინო ან ფსიქიატრიულ/ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. ექსპერტიზა ან დაგვიანებით ტარდება, ან საერთოდ არ ინიშნება. დაგვიანებით ჩატარებული ექსპერტიზის შემთხვევაში კი ვეღარ ხდება იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა პატიმრისათვის. ახლად შემოსულ პატიმრებს ხშირად უძნელდებათ ადაპტაცია, არ მიენოდებათ ადეკვატური სამედიცინო დახმარება და ირღვევა მათი უფლება ჯანმრთელობაზე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოგვყავს ბათუმის №3 საპყრობილის მაგალითი: ჩვენ მიერ დათვალეირდა საკარანტინო ოთახი, სადაც ათავსებენ ახლად შემოყვანილ პატიმრებს. **ოთახში 6 საწოლია განთავსებული, თუმცა ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში მასში 22 პატიმარი იმყოფებოდა.** ცხადია, საკარანტინოს გადატვირთულობის გამო პატიმრებს დარღვეული აქვთ ძილი. თანმხლები პირების გადმოცემით, დღის განმავლობაში დაახლოებით 7-8 პატიმარი შემოდის. პატიმრების საშუალო დაყოვნება კარანტინში 10 დღეა. მიუხედავად ამისა, გადატვირთულობის გამო, ზოგჯერ იძულებულნი არიან, უფრო ადრე „დაშალონ“ კარანტინი – გადაიყვანონ პატიმრები ჩვეულებრივ საკენებში. რაც შეეხება ექიმთან კონტაქტს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში შესაძლებელია ელემენტარული სტანდარტების დაცვაც კი. ამ თვალსაზრისით კრიტიკული სიტუაციაა შექმნილი ხონის №9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში. მონიტორინგის ჯგუფი დაინტერესდა იმ პირობების და გარემოს შესწავლით, რომელშიც ხდება ახლად შემოსულ პაციენტთა პირველი კონტაქტი სამედიცინო პერსონალთან. აღნიშნული წარმოადგენს იმ ნაგებობის ტერიტორიას, სადაც კარცერებია განთავსებული. ვინრო შესასვლელით კარის გავლით ვხვდებით ძველი შენობის დერეფანში. კარის მხარეს კედელზე დატანებულია მცირე „სარკმელი“. დერეფნის მარცხენა მხარეს განთავსებულია ოთახი, სადაც ექიმი ნახულობს ახლად შესულ პატიმარს. ოთახში სამი მცირე ზომის ფანჯარაა, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ განათებას და აერაციას. ქერზე კუსტარულად დამონტაჟებულია ელექტროგანათების ნყარო (ნათურა). ოთახში განთავსებულია საწოლი, სეიფი, მაგიდა და სკამი. იატაკზე დასხმულია ცემენტი. ქერი ალაგ-ალაგ ჩამოშლილია. ოთახში არის სპეციფიკური სუნი. მის გვერდით, შემოსასვლელი კარების მარცხენა მხარეს, არის მეორე, უფრო მცირე ზომის ოთახი, რომელსაც კარი არ აქვს და სავარაუდოდ, ამ სათავსოს არც არანაირი დანიშნულება არ გააჩნია. შიგნით მოჩანს ჩამოშლილი კედლები და



ჭერი. ოთახში ერთი მცირე ზომის ფანჯარაა დატანებული. შემოსასვლელი კარის მარჯვენა მხარეს განთავსებულია შედარებით დიდი ზომის ოთახი, რომლის წინა კედელში ჩაშენებულია ფართო ფანჯრები, რომლებიც დერეფანში გამოდის. თანმხლებ პირთა გადმოცემით, აღნიშნული წარმოადგენს კორპუსის მორიგის მოსასვენებელ ოთახს. ამ ოთახის მხარესვე, დერეფანში, არის საპირფარეო, რომელიც მოძველებულია და მასში სანიტარული პირობების დაცვა შეუძლებელია. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ახლად შემოსული პირის სრულყოფილი და ადეკვატური სამედიცინო დათვალიერების ჩატარება. მდგომარეობას ართულებს ის ფაქტიც, რომ როგორც აღმოჩნდა, სამედიცინო პერსონალის გარდა, პროცედურას ესწრება ფაქტობრივად ყველა პირი, რომლებიც ამ მომენტისათვის მორიგეობენ სასჯელალსრულების დაწესებულებაში.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, უკიდურესად მინიმალურია პატიმართა მიერ საკუთარი ექიმის შემოყვანაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. საკუთარი ექიმის შემოყვანას უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთათვის. აღნიშნულის გამო უხეშად ირღვევა საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით პაციენტისათვის მინიჭებული უფლებები.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ განსაკუთრებული ყურადღებით იქნა შესწავლილი სასჯელალსრულების დაწესებულებებში ეპილევსიით, შაქრიანი დიაბეტითა და ბრონქული ასთმით დაავადებულ პატიმართა მდგომარეობა. აღნიშნულის შედეგები დეტალურად იქნება ასახული სპეციალურ ანგარიშში. როგორც აღმოჩნდა, ამ მხრივაც არსებობს სერიოზული პრობლემები, რომელთა გადაჭრა წლიდან წლამდე არ ხდება.

ექიმთა პროფესიული დამოუკიდებლობა, კომპეტენტურობა, სამედიცინო დოკუმენტაცია

ევროპის წამებისა და არაადამიანური, ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის პრევენციის კომიტეტი (CPT) მე-3 ზოგადი ანგარიშის გამოქვეყნებისას, ხაზგასმით მიუთითებდა ციხის ექიმთა პროფესიული კომპეტენტურობის შესახებ. კერძოდ, ანგარიშში ნათქვამია, რომ „ციხის ექიმებს და ექთნებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური მომზადება, რათა შეძლონ გამოიცილონ ციხის პათოლოგიის განსაკუთრებული ფორმები და მიუსადაგონ მკურნალობის მეთოდები ციხის პირობებს. მათ უნდა გამოიზიარონ პროფესიული უნარ-ჩვევები ძალადობის პრევენციისათვის და, შეძლებისდაგვარად, აკონტროლონ მისი გამოვლინება“.

რაც შეეხება ექიმთა ავტონომიურობას. სამედიცინო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის, რომ სამედიცინო პროფესია უნდა იყოს დამოუკიდებელი, ვინაიდან არცერთ სახელმწიფოს არ გააჩნია კომპეტენტურობა, მართოს იგი. აღნიშნული კონცეფცია ფართოდაა გაშლილი საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობაში. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლში ნათქვამია, რომ „...სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას სამედიცინო პერსონალმა უნდა... ა) იმოქმედოს მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად; გ) პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი...“ იმავე კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, „ექიმის პროფესია თავისი არსით თავისუფალი პროფესიაა. ნებისმიერ ვითარებაში დაუშვებელია, ხელისუფლების წარმომადგენელმა ან კერძო პირმა მოსთხოვოს ექიმს ამ კანონში მოცემული პრინციპების, საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პირის თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. ყოველგვარი ქმედება, რომელიც ხელს უშლის სამედიცინო პერსონალს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“. იგივე აზრია გატარებული „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში: „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას არის თავისუფალი და დამოუკიდებელი. აკრძალულია, პირმა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისაგან მოითხოვოს ამ კანონში მითითებული პრინციპებისა და საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პირის თანამდე-

ბოზისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, აგრეთვე აღმსარებლობისა“. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად განსაზღვრავს „ექიმისა და სხვა სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის ცნობას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში“.

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ მოწოდებული წამების ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო, „სტამბოლის პროტოკოლი“, ხაზს უსვამს ექიმთა დამოუკიდებლობისა და პროფესიული ავტონომიურობის აუცილებლობას. სახელმძღვანელო ექიმებს განიხილავს, როგორც „ორმაგი ვალდებულების“ მქონე პირებს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ჯანდაცვის მუშაკებზე დაკისრებულია ორგვარი ვალდებულება: მათი უპირველესი ვალია პაციენტების მიმართ, ხელი შეუწყონ პაციენტთა ინტერესების ყველაზე სრულ გათვალისწინებას, ხოლო საერთო ვალი საზოგადოების მიმართ – უზრუნველყონ მართლმსაჯულების განხორციელება და არ დაუშვან ადამიანის უფლებათა დარღვევა“. დილემები, რომლებიც ამ ვალდებულებათა ორგვარი ხასიათიდან გამომდინარეობს, განსაკუთრებით მწვავე ხდება პოლიციის, შეიარაღებული ძალების ორგანოებში და უსაფრთხოების სხვა სამსახურებში ან პენიტენციურ დაწესებულებათა სისტემაში მომუშავე მედიკოსებისათვის. მათი დამქირავებლებისა და კოლეგების ინტერესები, რომლებიც მედიკოსები არ არიან, შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს პატიმრობაში მყოფ პაციენტთა საუკეთესო ინტერესებთან. მათი შრომითი ურთიერთობების ხასიათის მიუხედავად, ჯანდაცვის ყველა მუშაკის ვალია, იზრუნოს ადამიანებზე, რომელთა შემონახვა ან მკურნალობა მას უნევს. არ შეიძლება სახელშეკრულებო საფუძველზე ან რაიმე სხვა მოსაზრებით მედიკოსების დავალდებულება, არ დაიცვან თავიანთი პროფესიული დამოუკიდებლობა. მათ მიუკერძოებლად უნდა შეაფასონ პაციენტის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ინტერესები და მოიქცნენ ამ ინტერესების შესაბამისად. გაეროს მიერ პირველად დაფიქსირდა, რომ ორმაგი ვალდებულებებისა და ზემოთ აღნიშნულ ფრაგმენტში განხილული მოსაზრებების გამო პენიტენციური დაწესებულების ექიმები არიან – „ექიმები – რისკის ზონაში“!

აქედან გამომდინარე, რისკის ზონაში მყოფმა ექიმებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მიუხედავად იმ გარემოსი, სადაც მუშაობენ, უზრუნველყონ პროფესიული ვალის ზედმინეწით შესრულება.

აღნიშნული საკითხის ეთიკურ მხარეს არეგულირებს მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის მადრიდის დეკლარაცია პროფესიული ავტონომიისა და თვითრეგულირების შესახებ.⁵⁴

მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილობრივი სამედიცინო პერსონალი, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უმკლავდება შექმნილ პრობლემებს, რისი მიზეზიც სისტემურ პრობლემებთან ერთად, კონკრეტული ფაქტორებიც არის. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბი სი აი“ პენიტენციური სისტემიდან წავიდა, სამედიცინო პერსონალი გადავიდა სასჯელალსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში. საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის №60 ბრძანების შესაბამისად (სად-ის დებულების დამტკიცების შესახებ), დეპარტამენტში ჩამოყალიბდა სამედიცინო სამსახური და სამედიცინო პერსონალი მთლიანად მისი დაქვემდებარების ქვეშ მოექცა. სამსახურებრივი დაქვემდებარების გამო ციხის ექიმები ხშირად ექცევიან მათი უშუალო „უფროსის“ (ციხის ადმინისტრაცია) ზეგავლენის ქვეშ, რაც ნეგატიურად აისახება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. **შემთხვევათა დიდ ნაწილში სწორედ სასჯელალსრულების დაწესებულებათა ოფიციალური პირები (და არა ექიმები) განსაზღვრავენ პატიმარი პაციენტის ჯანმრთელობის დაცვის „საჭიროებებს“**, ახდენენ პაციენტთა გადაყვანას ერთი დაწესებულებიდან მეორეში, მათ შორის, სამკურნალო დაწესებულებებში, წყვეტენ, დაუშვან თუ არა პატიმრის მიერ მოთხოვნილი სამოქალაქო სექტორის ექიმი სასჯელალსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე, გასცემენ უფლებას ან ზღუდავენ პაციენტი პატიმრისათვის მედიკამენტების მიწოდება-არმიწოდებას. იხილავენ და განსაზღვრავენ, თუ რა შემთხვევაში

⁵⁴ მიღებულია მსოფლიოს 39-ე სამედიცინო ასამბლეის მიერ 1987 წლის ოქტომბრს (მადრიდი, ესპანეთი). სარედაქციო გადახედვა მოხდა 2005 წლის მაისში, 170-ე საბჭოს სხდომაზე, დივონ ლე ბენში.



და როდის უნდა ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო / ფსიქიატრიული ექსპერტიზა, ეცნობიან სამედიცინო დოკუმენტაციას, ესწრებიან ექიმ-პაციენტის კომუნიკაციას, წყვეტენ, თუ ვის და რა მოცულობით უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას პაციენტის სამედიცინო ნაწილში გადაყვანის შესახებ და ასე შემდეგ. ასეთ პირობებში ექიმის როლი პრაქტიკულად მინიმალურია. უფუნქციოდ დარჩენილი ექიმი ამ ფონზე ცდილობს რა, შეინარჩუნოს სამსახური, მდუმარე თანხმობით ატარებს ადმინისტრაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მდგომარეობის სიმძიმე იმით გამოიხატება, რომ არა მარტო ექიმი, არამედ პაციენტიც უფლებაყრილი რჩება. ასეთ სიტუაციებში პაციენტები ხშირად მომართავენ სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით, რომელთა შესწავლა და ანალიზი კვლავ ზემოთ აღწერილი მანკიერი წრის არსებობას ადასტურებს. ექიმები განიცდიან ზენოლას არა მარტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან, არამედ თანამდებობრივად მათზე მაღლა მდგომი კოლეგებისაგან. აღნიშნულის დადასტურების თვალსაზრისით მაგალითს წარმოადგენს თბილისის №7 საპყრობილეში მომხდარი ინციდენტი, რომელიც სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარმოებული მონიტორინგის შეწყვეტით დასრულდა, ვინაიდან მთავარმა ექიმმა არ მოინდომა კითხვებზე პასუხის გაცემა, რადგან მონიტორინგის დროს მას დაუკავშირდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამედიცინო სამსახურის უფროსი და მისცა სიტყვიერი მითითება, რომ შეწყვიტა საუბარი მონიტორინგის ჯგუფთან. აღნიშნული ინციდენტის შესახებ საუბარი იყო სახალხო დამცველის 2009 წლის I ნახევრის ანგარიშში.⁵⁵

ექიმთა პროფესიული დამოუკიდებლობის შეზღუდვის კიდევ ერთ ამკარა ფაქტორად მიგვაჩნია ის მომენტი, როდესაც დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პირდაპირ მონაწილეობს პაციენტთა დასჯის ფაქტებში. აღნიშნული პრაქტიკა ფართოდაა ფესვგადგმული პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში. სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, განმეორებითი მონიტორინგის დროს, ზოგიერთმა უფროსმა ექიმმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია შეასრულეს და დასჯის ფაქტებში აღარ მონაწილეობენ, თუმცა რიგ დაწესებულებებში ამგვარი პრაქტიკა მაინც გრძელდება. საკითხი ეხება დასჯის მიზნით პაციენტის მოთავსებას კარცერში. ჩვენ მიერ არაერთი დაწესებულებიდან იქნა ამოღებული ე.წ. „ცნობის“ ფორმა, რომლის მიხედვითაც სტანდარტულ ტექსტს აქვს შემდეგი სახე:

„მსჯავრდებული ----- არის ფიზიკურად ჯანმრთელი, შრომისუნარიანი და შეიძლება კარცერში მოთავსება“.

ცნობის ხელმოწერი ერთადერთი პირი არის დაწესებულების ექიმი. აღნიშნულ შემთხვევაში ექიმი, თავისი ხელმოწერით, პრაქტიკულად იძლევა სანქციას, რომ პაციენტი გადაყვანილი იქნეს კარცერში, ვინაიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დასჯის განხორციელების საშუალებას იძლევა.

ზოგიერთ დაწესებულებაში ცნობა არ ივსება, თუმცა დადგენილებას კარცერში ჩასმის შესახებ ასევე ხელს აწერს ექიმი. ექიმის განმარტებით, მისი ხელმოწერა აუცილებელია იმისათვის, რომ გაირკვეს „...გაძლებს თუ არა პაციენტი კარცერში და შესაძლებელია თუ არა მისი მოთავსება კარცერში...“. აღნიშნული დადგენილება იდება პირად საქმეში.

აღნიშნული პრაქტიკა უხეშად არღვევს არა მარტო საექიმო ეთიკის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, არამედ აბსოლუტურ წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის ჯანდაცვის კანონმდებლობასთან. კერძოდ, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ეკრძალება:

- ა. პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ისეთ ქმედებებთან, რომლებიც დაკავშირებულია ... სასჯელში მონაწილეობასთან, თანამონაწილეობასთან, წაქეზებასთან ან წაქეზების მცდელობასთან, აგრეთვე, ამგვარ მოქმედებებზე დასწრება;

⁵⁵ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, 2009 წლის პირველი ნახევარი, გვ.57.

- ბ. პატიმართან, დაკავებულთან ან დატყვევებულთან პროფესიული ურთიერთობა, თუ ამის ერთადერთი მიზანი არ არის მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასება, დაცვა ან გაუმჯობესება და ეს ურთიერთობა ენინააღმდეგება სამედიცინო ეთიკის პრინციპებს;
- გ. პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულის დაკითხვის ხელშეწყობისათვის ისეთი მეთოდებით, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებენ მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ან მდგომარეობაზე; ე) პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულის ნებისმიერ შემზღუდავ მოქმედებაში მონაწილეობა, თუ ეს უკანასკნელი არ არის განსაზღვრული სამედიცინო ჩვენებებით, არ არის აუცილებელი მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის, სხვა პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულის ანდა ბადრავის უსაფრთხოებისათვის და საშიშროებას უქმნის პატიმრის, დაკავებულის ანდა დატყვევებულის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აკრძალვები ძალაშია საგანგებო მდგომარეობის დროსაც, შეიარაღებული კონფლიქტებისა და სამოქალაქო დაპირისპირების ჩათვლით“.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზიდან ჩანს, პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სამსახურების კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი სწორედ ექიმთა კომპეტენტურობისა და ავტონომიურობის დაბალი ხარისხია.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მიხედვით, „ექიმი და სხვა სამედიცინო პერსონალი ვალდებულია: ა) დადგენილი წესით აწარმოოს ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში; არასამუშაო ადგილზე სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას წერილობით ასახოს და დანიშნულებისამებრ გადასცეს ინფორმაცია გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ“. ამავდროულად მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი – „სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესს ამტკიცებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“. ექიმის მიერ სამედიცინო ჩანაწერების წარმოების ვალდებულება მოცემულია საქართველოს კანონში „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 56). აღნიშნული მუხლის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ „სამედიცინო ჩანაწერები ადეკვატურად უნდა ასახავდეს პაციენტის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს.“ კანონის აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, ჯანდაცვის პირველად დაწესებულებებში სამედიცინო დოკუმენტაციის უნიფიცირებულად წარმოებისა და გამოყენების მონესრიგების, დოკუმენტაციის ერთიან სისტემაში მოყვანისა და სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის ამსახველი ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 22 აგვისტოს „პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში პირველადი სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმების, მათი წარმოებისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ №224/ნ ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულია უნიფიცირებული ფორმები (მათ შორის, პაციენტის სამედიცინო ბარათი – ფორმა №IV-001/ა). აღნიშნულის მსგავსად, 2009 წლის 19 მარტს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი. უკანასკნელი ბრძანება ძალაში შედის 2010 წლის 1 იანვრიდან და იგი სრულად ჩაანაცვლებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედ სტაციონარის ავადმყოფის სამედიცინო ბარათებს.

სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების სავალდებულობა და წარმოების წესის დაცვა წარმოადგენს არა მხოლოდ ფორმალურ ვალდებულებას, არამედ ამ დოკუმენტაციის მიხედვით შესაძლებელია შეფასდეს განეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოფილი იყოს სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა. სამედიცინო დოკუმენტაციის ხარვეზები შეიძლება გახდეს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მყარი მოშლის ან პაციენტის სიკვდილის მიზეზი. აქედან გამომდინარე, დოკუმენტაციის წარმოებას ერთ-ერთი საკვანძო მნიშვნელობა აქვს სამედიცინო მომსახურების განევის დროს.

როდესაც საუბარია პენიტენციურ სისტემაში ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების აუცილებლობაზე, ცხადია, რომ აღნიშნული უპირობოდ ითვალისწინებს სასჯელალსრულების დაწესებულებების



ბებში ჯანდაცვის იმავე დოკუმენტაციით სარგებლობის აუცილებლობას, რომელიც უნიფიცირებულად ინარმოება ქვეყანაში მოქმედ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში. თუ გავითვალისწინებთ ასევე ჩანაწერს, „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში (მუხლი 37), რომლის მიხედვითაც, „სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური წარმოადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ნაწილს“, ნათელი ხდება, რომ ამბულატორიული და სტაციონარული ბარათის ნარმოება პენიტენციური სისტემის სამედიცინო რგოლებში უნდა ხდებოდეს იმავე წესისა და პრინციპების დაცვით, როგორც მიღებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში. ის, რომ სასჯელალსრულების სისტემის სამედიცინო ნაწილები უნდა აწარმოებდნენ სამედიცინო დოკუმენტაციას, საკმაოდ კარგადაა ასახული საერთაშორისო სტანდარტებში. მაგალითისათვის მოგვყავს ამონაწერი ნაშრომის პრევენციის კომიტეტის მე-3 ზოგადი ანგარიშიდან (CPT/Inf (93) 12): „აუცილებელია შეიქმნას თითოეული პაციენტის სამედიცინო ანკეტა, რომელიც უნდა შეიცავდეს დიაგნოსტიკურ ინფორმაციას, მიმდინარე ჩანაწერებს პაციენტის მდგომარეობის ცვლილებების შესახებ და ყველა იმ გამოკვლევის შესახებ, რომლებიც მას ჩაუტარდა. პაციენტის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში ანკეტა უნდა გაეგზავნოს იმ სამედიცინო დაწესებულების ექიმებს, სადაც იგზავნება პატიმარი. გარდა ამისა, თითოეული ჯგუფის სამედიცინო პერსონალმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური ჩანაწერები ჟურნალში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პაციენტთან დაკავშირებულ ცალკეულ შემთხვევებზე. ასეთი ჩანაწერები სასარგებლოა იმ თვალსაზრისით, რომ გვიქმნის საერთო წარმოდგენას მოცემულ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ და იმავე დროს, აშუქებს იმ პრობლემებსაც, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მომავალში.“ ამ სტანდარტით გათვალისწინებული პირობების დაცვა შესაძლებელი იქნებოდა ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებათა სრული იმპლემენტაციის პირობებში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრინციპიდან გადახვევის პირველი ნათელი მაგალითი იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2002 წლის 24 ივნისის N486 ბრძანებით დამტკიცებული სასჯელალსრულების დეპარტამენტის სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო ნაწილების დოკუმენტაციის დროებითი ფორმები (სულ 27 ფორმა). აღნიშნული ფორმები თვისობრივად და არსობრივად განსხვავებულია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმებისაგან. განსხვავებულია, ასევე, მათი შევსების, შენახვისა და ნარმოების წესებიც. დამამედებელი იყო თავად ის ფაქტი, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტაციის ფორმებს ეწოდება „დროებითი“, თუმცა 7 წელია, მათი გადახედვა და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასთან ჰარმონიზაცია არ მომხდარა.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების აღნიშნულ ეტაპზე, მაშინ, როდესაც პენიტენციური სისტემის სამედიცინო სამსახურის სრული გარდაქმნა და მუშაობის სტილის შეცვლა დაგეგმილი, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 10 ნოემბრის ბრძანება N771, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო ბარათის ფორმა.

აღნიშნული ბრძანების გამოცემა წარმოადგენს კიდევ ერთ ამკარა პრეცედენტს, რომ პენიტენციური ჯანდაცვა ხელოვნურად იმიჯნება ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისაგან. საქართველოში მოქმედი ყველა ექიმი ვალდებულია, განუხრელად დაიცვას ჯანდაცვის იურიდიული და ეთიკური ასპექტები, მაშინ, როცა პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობის სუბიექტებს უკვე ბრძანებით ევალებათ, აწარმოონ გაურკვეველი სტრუქტურისა და შინაარსის სამედიცინო დოკუმენტაცია იმ ფონზე, როდესაც არ აწარმოებენ ძირითად სამედიცინო დოკუმენტაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა, საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 10 ნოემბრის N771 ბრძანება გაუმართავია იურიდიული თვალსაზრისითაც. როგორც ბრძანების დასაწყისიდანვე ჩანს, დანართი მტკიცდება „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 21-ე პუნქტის თანახმად. კანონის აღნიშნული დებულება კი ითვალისწინებს შემდეგს – „საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს უფლება აქვს, ამ კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე

გამოსცეს ბრძანება, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამავე კანონის დებულებებს“. რაც შეეხება ამ კანონით გათვალისწინებულ საკითხთან სამედიცინო ბარათის კუთვნილების საკითხს, საკმარისია ისევე და ისევე მოვიყვანოთ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო სამსახური წარმოადგენს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ნაწილს“, ხოლო „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, „სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესს ამტკიცებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“. ფაქტია, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმები აშკარად წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განმგებლობაში მყოფ საკითხს, ხოლო სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ცდილობს, გადაფაროს სხვა სამინისტროს რეგულირების სფერო, რითაც ამავე დროს აშკარად ახდენს პატიმარ პაციენტთა დისკრიმინაციას ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების განვითარების დროს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიყენება იგი.“ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონი ავალეს ჯანდაცვის სამინისტროს, მოაწესრიგოს და დაადგინოს სამედიცინო დოკუმენტაციის სფეროს საკითხები. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, „თუ ნორმატიული აქტი მიღებულია (გამოცემულია) საკითხზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის თანახმად განეკუთვნება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებას ან მიღებულია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ან დარღვეულია შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებისა (გამოცემისა) და ამოქმედებისათვის დადგენილი პროცედურა, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს.“


სიკვდილობა და მასზე მოქმედი ფაქტორები საქართველოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში 2009 წლის მეორე ნახევარში:

სიკვდილობას პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უკვე რამდენიმე წელია, სწავლობს. 2006-2009 წლებში აღნიშნულ სისტემაში გარდაცვლილია 370 პატიმარი. წელიწადში, საშუალოდ, 90 პატიმარი კვდება. სიკვდილობის საერთო სურათზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად მოგვყავს ბოლო წლების სტატისტიკა, თვეების მითითებით:

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
2006	6	3	10	6	3	5	8	12	14	6	10	6	89
2007	10	12	10	9	7	7	11	6	6	8	8	7	101
2008	5	3	8	5	12	16	9	6	6	6	7	7	90
2009	12	9	7	3	14	10	4	3	5	6	7	10	90
სულ	33	27	35	23	36	38	32	27	31	26	32	30	370

აღნიშნული მონაცემები გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:






საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, რამდენიმე წყაროზე დაყრდნობით, გამოთვლილია, რომ 2009 წლის მე-2 ნახევარში საქართველოში გარდაცვლილია 35 პატიმარი (1 ქალი და 34 მამაკაცი). თუ მხედველობაში მივიღებთ 2009 წლის სრულ სტატისტიკას, წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილთა რაოდენობა საერთო წლიური სიკვდილობის 39%-ს შეადგენს. თვეების მიხედვით გარდაცვლილთა რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

4	3	5	6	7	10
ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი

რაც შეეხება პატიმართა გარდაცვალების ადგილს, ჩვენ მიერ დამუშავებული წყაროების მიხედვით, გარდაცვლილთაგან 22.85% გარდაიცვალა სად მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში და სად ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, 28.58% გარდაიცვალა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში (სად საპყრობილებსა და დაწესებულებებში), ხოლო გარდაცვალების ადგილი 48.75%-ში იყო სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებები. წარმოდგენილი ინფორმაცია ასახულია დიაგრამაზე:



რაც შეეხება გარდაცვალების ზუსტ ადგილებს, სასჯელადსრულების დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებისა და სამოქალაქო ტიპის სტაციონარების მითითებით, აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში:

№	გარდაცვალების ადგილი	რაოდ.	%
1.	მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულება	5	14.28%
2.	ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება	3	8.57%
3.	N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება (ქ. რუსთავი)	1	2.86%
4.	N2 საერთო, მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულება (ქ. რუსთავი)	3	8.57%
5.	N6 საპყრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (ქ. რუსთავი)	1	2.86%
6.	თბილისის N 3 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულება	2	5.71%
7.	N9 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (ხონი)	1	2.86%
8.	N2 საპყრობილის და მკაცრი რეჟიმის დაწესებულება (ქ. ქუთაისი)	2	5.71%
9.	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი	3	8.57%
10.	კლინიკა „ჰოსპი“	1	2.86%
11.	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი	1	2.86%
12.	ლუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი	11	31.43%
13.	ნეიროქირურგიის ცენტრი	1	2.86%
სულ:		35	100%

გარდაცვლილთა საშუალო ასაკმა 46 ± 4 შეადგინა. რაც შეეხება გარდაცვლილთა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფას, აღნიშნული წარმოდგენილია ცხრილში:

≤ 20	1	2.85	%
21-30	5	14.29	%
31-40	7	20.01	%
41-50	9	25.71	%
51-60	9	25.71	%
61-70	1	2.85	%
70 ≥	3	8.58	%

2009 წლის მეორე ნახევარში პატიმართა გარდაცვალების მიზეზების შესასწავლად საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარდა სამედიცინო მონიტორინგი საქართველოში მოქმედ თვრამეტივე სასჯელალსრულების დაწესებულებაში. ინფორმაცია გარდაცვლილი პატიმრებისა და გარდაცვალების მიზეზების შესახებ გამოთხოვნილი იქნა ასევე საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტიდან. გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები გამოთხოვნილი იქნა ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. არსებული მასალები შეჯერდა და გაანალიზდა.

როგორც ირკვევა, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, სიკვდილობის მთავარ მიზეზად კვლავ ტუბერკულოზი რჩება. 2009 წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილთა 37%-ს ფილტვების ტუბერკუ-




ლოზი აღნიშნებოდა. 2009 წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილთა შორის ტუბერკულოზი 60%-ს აღნიშნებოდა, ამდენად, აღნიშნული დაავადებით განპირობებული სიკვდილობა 2009 წლის მეორე ნახევარში კლების ტენდენციას ავლენს.

სასჯელალსრულების დაწესებულებებში უპირატესად გავრცელებულ დაავადებათა შორის კვლავ სახელდება ვირუსული ჰეპატიტი (უპირატესად HCV). ამ მხრივ, თუ 2009 წლის პირველ ნახევარში ვირუსული ჰეპატიტი გარდაცვლილთა 41%-ს აღნიშნებოდა, მეორე ნახევარში ვირუსული ჰეპატიტი აღნიშნებოდა 34.2%-ს. ე.ი. ამ მიმართულებითაც აღინიშნება კლების ტენდენცია.


2009 წლის მეორე ნახევარში აღინიშნება ავთვისებიანი სიმსივნეებით გარდაცვლილ პაციმართა რაოდენობის მატების ტენდენცია, კერძოდ, მეორე ნახევარში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 5%-ით მოიმატა.

პაციმართა გარდაცვალების მიზეზები, დაავადებათა ჯგუფების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში და დიაგრამაზე:

1.	სასუნთქი სისტემის დაავადებები (- ტბ)	20.01	%	29
2.	ტუბერკულოზი (ფილტვის და ექსტრა/პ)	15.86	%	23
3.	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	11.74	%	17
4.	ინფექციური დაავადებები	10.34	%	15
5.	ტრავმატიზმი / ნაძალადევი სიკვდილი	8.27	%	12
6.	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავ.	8.27	%	12
7.	სხვა	6.89	%	10
8.	საშარდე სისტემის დაავადებები	6.2	%	9
9.	ნერვული სისტემის დაავადებები	5.54	%	8
10.	ავთვისებიანი სიმსივნეები	4.13	%	6
11.	ენდოკრინული სისტემის დაავადებები	2.75	%	4



როგორც გრაფიკული გამოსახულებიდან ჩანს, ყველაზე ხშირად გარდაცვლილებს აღნიშნებოდათ სასუნთქი სისტემის დაავადებები (გარდა ფილტვის ტუბერკულოზისა). ამ ჯგუფში გაერთიანდა პნევმონია, პლევრიტი, ბრონქიტი, პნევმო/ჰიდრო-თორაქსი, პნევმოციროზი და ფილტვის ემფიზემა. აღნიშნული დაავადებების პროცენტული წილი ჯგუფში წარმოდგენილია გრაფიკზე:



პნევმონიის დიაგნოზი არცთუ ისე იშვიათად იქნა დასმული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიერ გასულ საანგარიშო პერიოდებშიც. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილთა საექსპერტო დასკვნების მიხედვით, რომლებიც ნაწილობრივ პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციასაც იხილავს, ფილტვების ანთება საპყრობილის ექიმთა მიერ ხშირ შემთხვევაში არ არის ამოცნობილი და ამგვარი პაციენტები უყურადღებოდ რჩებიან. ანთებას ხშირად ორმხრივი ხასიათი აქვს, რაც განსაკუთრებით ამძიმებს პაციენტის მდგომარეობას და სუნთქვის უკმარისობას იწვევს. პნევმონიების განვითარება ასევე ხშირია ხანგრძლივად მწოლიარე პაციენტებში, რომლებიც სხვა მიზეზის გამო გადიან სტაციონარული მკურნალობის კურსს. ასეთ შემთხვევაში პნევმონიით გამოწვეული ინტოქსიკაცია ხშირად ხდება სიკვდილის უშუალო განმაპირობებელი ფაქტორი. რამდენიმე შემთხვევაში პნევმონია დაფიქსირდა ქრონიკული “C” ჰეპატიტის ფონზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ **პნევმონია წარმოადგენს სასჯელალსრულების დაწესებულებებში ერთ-ერთ ისეთ ნოზოლოგიას, რომლის მკურნალობაც ადგილობრივი შესაძლებლობებით უდიდეს სირთულეებთანაა დაკავშირებული.** აღნიშნულის გამო მიზანშეწონილია, პნევმონიის ამოცნობის შემთხვევაში პაციენტები გადაყვანილი იქნან სამკურნალო დაწესებულებაში. ადგილობრივი ძალებით პნევმონიის მკურნალობის სირთულე დაკავშირებულია სამედიცინო ნაწილთა სააფთიაქო ბაზების არაადეკვატურობასთან. კერძოდ, ნაწილების შესაძენად გამოყოფილი თანხების მკაცრი ლიმიტაციის ფონზე ადგილობრივ ექიმებს პრაქტიკულად არ აქვთ იმისი საშუალება, რომ გამოიწერონ ძვირადღირებული ანტიბაქტერიული პრეპარატები. ამ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე პაციენტის ადეკვატური მკურნალობა შეაგებდა არსებულ ლიმიტს. პაციენტთა ნაწილს ზოგიერთ სიტუაციაში თავად შემოაქვს (ოჯახებს) მედიკამენტები საპყრობილებში, თუმცა ეს გზაც შეზღუდულია და გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. გარდამავალი ლონისძიების სახით, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უპრიანია, პაციენტებს მიეცეთ საშუალება, ექიმის დანიშნულებით გამოიწერონ ადეკვატური მედიკამენტები თუნდაც საკუთარ ბარათზე დარიცხული თანხის საფასურად. აღნიშნული რეკომენდაცია დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს და მდგომარეობის სრულ გამოსწორებამდე უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

გარდაცვლილთა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებში ასევე ხშირად ვხვდებით პლევრიტის დიაგნოზს. ხშირ შემთხვევაში, პლევრიტი თან ახლავს პნევმონიას და სავარაუდოდ, მის გართულებას წარმოადგენს, რაც შედეგია ფილტვების ანთების არაადეკვატური მკურნალობისა და დიაგნოსტიკისა. პლევრიტი ხშირად ექსუდაციურია (ჩირქოვან ფიბრინული), რაც მკვეთრად ამძიმებს პაციენტის მდგომარეობას განხილულ შემთხვევებში (არ ვგულისხმობთ ტუბერკულოზურ პლევრიტებს).

პნევმოთორაქსით ფილტვების მძიმედ მიმდინარე პროცესი გართულდა რამდენიმე შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ადეკვატური ზომები პაციენტების მიმართ პრაქტიკულად არ იქნა გატარებული.



რაც შეეხება ფილტვის ემფიზემას, 2009 წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილთა საექსპერტო დასკვნების მიხედვით, დაფიქსირებულია 6 შემთხვევაში. ემფიზემას ზოგჯერ კეროვანი ხასიათი აქვს და ხშირად თანხვედბა მორფოლოგიურად დადგენილ ექსუდაციური ბრონქიტის დიაგნოზს. ერთ შემთხვევაში ექსპერტიზის მიერ დადგენილია ანთრაქოზის დიაგნოზიც. რაც შეეხება ისეთ მორფოლოგიურ მდგომარეობას, როგორცაა პნევმოციროზი, ესეც რამდენიმე შემთხვევაშია დადგენილი და წარმოადგენს არაადეკვატურად მართულ ფილტვების დაავადებათა გართულებას.

რაც შეეხება ტუბერკულოზის გავრცელებას და მის შედეგობრივ როლს პათიმართა სიკვდილობაში, აღსანიშნავია, რომ ფილტვების ტუბერკულოზი აღენიშნებოდა 35-იდან 13 გარდაცვლილს. მათგან 6 შემთხვევაში გარდაცვლილი პათიმრები დაავადებულნი იყვნენ ტუბერკულოზის მულტირეზისტენტული ფორმით. ტუბერკულოზური ინფექციის არაადეკვატური მართვის პირდაპირ შედეგად უნდა ჩაითვალოს ტუბერკულოზის ექსტრაპულმონური შემთხვევების რაოდენობის ზრდა ბოლო პერიოდში. 2009 წლის მე-2 ნახევარში გარდაცვლილი პათიმრების დაახლოებით 7%-ს აღენიშნებოდა ლვიძლის, თირკმლის, მიოკარდიუმის, პლევრისა და ნერვული სისტემის ტუბერკულოზი, რაც სიკვდილის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. ფილტვის ტუბერკულოზთან საკმაოდ ხშირად გვხვდება ფილტვების კაზეოზური პნევმონიაც, რაც პროცესის მძიმედ მიმდინარეობას მიუთითებს.

ტუბერკულოზის მქონე პაციენტთა გარდაცვალების მიზეზებს შორის უნდა აღინიშნოს ის, რომ რამდენიმე შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი გახდა ჰემორაგიული შოკი და მწვავე ანემია, რომლის მიზეზიც, თავის მხრივ, იყო დაავადებული ფილტვიდან სისხლდენა. აღსანიშნავია, რომ ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაშიც კი არ არსებობს ფტიზიო-ქირურგიული დახმარების შესაძლებლობა. ამგვარად, ასეთი პაციენტები პრაქტიკულად სასიკვდილოდ არიან განწირულნი.

ტუბერკულოზური ინფექცია ხშირად თან ხვდება ვირუსულ ჰეპატიტსა და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებას. 2009 წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილი პათიმრებიდან 3-ს აღენიშნებოდა ტუბერკულოზი და აივ ინფექცია კომპლექსში, ხოლო 6 პათიმარს – ვირუსული ჰეპატიტი და ტუბერკულოზური ინფექცია ერთად. აღნიშნული ტენდენცია არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას, არამედ საერთაშორისო კვლევებითაც დადასტურებულია აღნიშნული ინფექციების თანხვედრა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ მოწყვლად ჯგუფებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ამგვარი კომპლექსის ერთობლიობაში განვითარება.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფილტვის ტუბერკულოზით გარდაცვლილ პაციენტთა მინიმუმ 47%-ს დადგენილი ჰქონდა მულტირეზისტენტული ფორმა. მათგან 50% გარდაიცვალა ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში, ერთი პაციენტი საერთოდ არ გადმოიყვანეს მკურნალობის დასაწყებად, ხოლო დანარჩენი პაციენტები გარდაიცვალნენ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში და ასევე ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. აღსანიშნავია, რომ მულტირეზისტენტული ფორმით გარდაცვლილთა მაჩვენებელი 2009 წლის მე-2 ნახევარში გაცილებით მაღალია პირველ ნახევართან შედარებით, რის გამოც აუცილებლად მიგვაჩნია, გაანალიზდეს „DOTS+“ პროგრამის მიმდინარეობის თავისებურებები და ტენდენციები და მის დაგეგმვაში უფრო აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები და დაწესებულებები.

ტუბერკულოზის მაღალი პრევალენტობა ციხეებში ახალი არაა და იგი საერთაშორისო დონეზეც რჩება პენიტენციური სისტემის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად. მიუხედავად საქართველოს ციხეებში ამ მხრივ განხორციელებული არაერთი პროექტისა, რომლებსაც ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი უწევდა კოორდინაციას, პრობლემა არათუ გვარდება, არამედ უფრო ღრმავდება. ამის ნათელი მაგალითია 2009 წელს ტუბერკულოზით გარდაცვლილ პათიმართა განსაკუთრებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. აღნიშნულის მიზეზად მიგვაჩნია სტანდარტული ტუბსანინა-აღმდევო ღონისძიებების პირდაპირ გადმოტანა საქართველოს რეალობაში, ადგილობრივი სპეციფი-

კისა და თავისებურებების გათვალისწინებლად. არ არის შეფასებული და გაანალიზებული ტუბერკულოზის გავრცელების რისკი; სამედიცინო პერსონალი საჭიროებს გაღრმავებულ მომზადებას ამ კუთხით. ცალკეული მოკლევადიანი ტრენინგები ამ პრობლემას ვერ გადაჭრის იმ ფონზე, როდესაც სახეზეა მდებარეობის მიერ ტუბერკულოზური ინფექციის მართვის ძირითადი უნარ-ჩვევების ან არცოდნა, ან გამოყენების შეუძლებლობა მათი უკიდურესად დაბალი კლინიკური ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის პირობებში.

ტუბერკულოზური ინფექციის მართვაში ხშირია ორგანიზაციული შეცდომებიც. ერთ-ერთი გარდაცვლილის (ა.ჭ. №69) საექსპერტო დასკვნიდან ირკვევა, რომ ქუთაისის №2 დაწესებულებაში დაისვა ფილტვების დისიმინირებული ტუბერკულოზის დიაგნოზი რღვევის ფაზაში. პირველი რიგის პრეპარატებით მკურნალობის დაწყებისას მდგომარეობა დამძიმდა. განვითარდა ფილტვ-გულის უკმარისობა და სხვა გვერდითი მოვლენები, რის გამოც მკურნალობა შეწყდა. მოგვიანებით დადასტურდა რეზისტენტობა პირველი რიგის პრეპარატების მიმართ. დღის წესრიგში დადგა პაციენტის „DOTS+“ პროგრამაში ჩასმის საკითხიც. ადგილობრივი ექიმის ჩანაწერით ირკვევა, რომ ვინაიდან აღნიშნული პროგრამა ქუთაისის №2 დაწესებულებაში არ ხორციელდება და პაციმარი არ არის მსჯავრდებული, ვერ ხერხდება მისი გადაყვანა ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. აღნიშნულის შემდეგ, კოორდინატორთან შეთანხმებით, გაგრძელდა კვლავ პირველი რიგის პრეპარატებით მკურნალობა. საბოლოო ჯამში პაციენტს განუვითარდა ტუბერკულოზის ექსტრა-პულმონური ფორმებიც (ღვიძლის, თირკმლის და მიოკარდის), რის ფონზეც პაციენტი მოკვდა! წარმოდგენილი მაგალითი ნათლად მოუთითებს, პირველ რიგში, ორგანიზაციული მხარის უხეშ ხარვეზს. საინტერესოა, რატომ არ მოხერხდა პაციენტის გადმოყვანა მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში? სადაც ასევე მიმდინარეობს „DOTS+“ პროგრამა. ნაცვლად აღნიშნულისა, პაციენტს კვლავ პირველი რიგის პრეპარატებით მკურნალობდნენ, რაც იმთავითვე ცხადი იყო, რომ მას ვერ განკურნავდა, თუმცა გააღრმავებდა მდგომარეობას გვერდითი ეფექტების გაძლიერების ხარვეზე.

ტუბერკულოზური ინფექციის აქტივობა ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ამოუცნობიც რჩება. რუსთავის №2 დაწესებულებაში მყოფი პაციმარი მ.ტ. გარდაიცვალა სამკურნალო დაწესებულებაში გადაუყვანლად. სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ადგილობრივი სამედიცინო ნაწილის ჟურნალში ჩაიწერა დიაგნოზი „სასუნთქი გზების სიმსივნე, კისრის წინა ზედაპირზე ტრაქეოსტომიული ხვრელი, ხორხის აპარატი არ აღინიშნება“. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერი არაკვალიფიციურია, გვამის გაკვეთის შედეგად დადგინდა ფილტვებში ხაჭოსმაგვარი შიგთავსის მქონე კერები (რაც ტუბერკულოზისთვისაა დამახასიათებელი) და ასევე ღვიძლში ხაჭოსებური კონსისტენციის წარმონაქმნები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პაციენტს აღენიშნებოდა როგორც ფილტვის, ისე ფილტვგარეშე ტუბერკულოზი და მისი ადეკვატური მკურნალობა ხანგრძლივი დროის მანძილზე არ მიმდინარეობდა.

2009 წლის განმავლობაში რამდენიმე პაციენტი (მათ შორის ერთი – მე-2 ნახევარში) ნერვული სისტემის ტუბერკულოზისაგან დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წარმოდგენს ტუბერკულოზის უმძიმეს ფორმას და ძნელია იმისი თქმა, რომ პაციენტი ადეკვატური მკურნალობის ფონზე გადარჩებოდა, ფაქტია, რომ საქმე გვაქვს ინფექციის შორსნასულ და არაადეკვატურად მართულ შემთხვევასთან, რომლის პროფილაქტიკა ნამდვილად შეიძლებოდა.

ახლად აშენებულ სასჯელსრულების დაწესებულებებში ნაკლებადაა გათვალისწინებული განათებისა და აერაციის სისტემების მნიშვნელობა, რაც ტუბერკულოზის გავრცელების ერთ-ერთ მძლავრ რისკის ფაქტორს წარმოადგენს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ქმედითი და „აგრესიული“ ღონისძიებების გატარება, თუ არსებობს იმისი ნება, რომ ტუბავადობა და სიკვდილობა შემცირდეს.

სიხშირით მესამე ადგილს იკავებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლებიც სიკვდილობის 11.7%-ს შეადგენს. ამ ჯგუფში გაერთიანებულ დაავადებათაგან 2009 წლის მეორე ნა-



ხევაში გვხვდება გულის იშემიური დაავადება, მიოკარდიუმის ინფარქტი (ცალკეა გამოტანილი) და კარდიომიოპათია. ჯგუფში ნოზოლოგიათა განაწილება წარმოდგენილია გრაფიკულად:



გულის იშემიური დაავადების ესა თუ ის ფორმა აღნიშნებოდა გარდაცვლილ პაციმართა დაახლოებით 1/3-ს. აღნიშნული გამოიხატება გულის სისხლძარღვოვანი ელემენტების ათეროსკლეროზულ დაზიანებაში, კორონაროსკლეროზში და სხვა. დადგენილია ასევე იშემიური დაავადების გამო მიოკარდიუმში განვითარებული უხეში ცვლილებების მაღალი დონე. რამდენიმე შემთხვევაში, საექსპერტო დასკვნის მიხედვით, აღინიშნებოდა პოსტინფარქტული ნაწიბურები, რომლებიც პაციენტის სიცოცხლეში ვერ იქნა ამოცნობილი და შესაბამისად, უყურადღებოდ დარჩა. აღნიშნული ნაწიბურების ფონზე რამდენიმე შემთხვევაში განვითარებულია ტრანსმურული ინფარქტებიც, რომლებიც სიკვდილის უშუალო მიზეზი გახდა. მიოკარდიუმის იშემიური დაზიანებების სიხშირე 2009 წლის მეორე ნახევარში გაზრდილია პირველ ნახევართან შედარებით. მონიტორინგის დროს დაფიქსირდა, რომ კვალიფიციური კარდიოლოგიური დახმარება სასჯელალსრულების დაწესებულებებში პრაქტიკულად არ არსებობს. არ ხდება პაციმართა სკრინინგი, რისკჯგუფების გამოვლენა და დადასტურებული დიაგნოზის შემთხვევაშიც კი, პაციენტთა ადეკვატური მკურნალობა. პაციენტები ხშირად თავად ინიშნავენ წამლებს ან აგრძელებენ იმ მედიკამენტების მიღებას, რომლებიც პაციმართამდე დაუნიშნა კარდიოლოგმა. ამ სიტუაციაში პრეპარატის დოზისა და საერთოდ მიღების მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა პრაქტიკულად არ ხდება. მეორე მხრივ, ადგილობრივი სამედიცინო ნაწილები პაციენტებს ვერ სთავაზობენ კვალიფიციურ დახმარებას. თითქმის არცერთ სამედიცინო ნაწილს (გამონაკლისი ერთეულების გარდა) არ აქვს კარდიოგრაფიკი კი. ზედმეტია ლაპარაკი მიოკარდიუმის იშემიის თანამედროვე, ლაბორატორულად (ფერმენტებით) დადასტურების შესაძლებლობაზე. მუდმივი სტრესისა და არსებული სუბსტრატული დაზიანებების პირობებში ვითარდება ამ ტიპის დაავადებები, რომლებიც მაღალ პროცენტში ფატალურია ადამიანისათვის. პაციენტთა მართვის არაორგანიზებულობისა და არაეფექტურობის ერთ-ერთ მაგალითად მოგვყავს 54 წლის გარდაცვლილი პაციენტის ბ.კ.-ს შემთხვევა. როგორც საექსპერტო დასკვნიდან ირკვევა, თბილისის №8 საპყრობილიდან მსჯავრდებულთა და პაციმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანილი იქნა ბ.კ., რომელიც საავადმყოფოში შესვლიდან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. სასამართლოსამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზია მარცხენა პარკუჭის უკანა კედლის მიოკარდიუმის ტრანსმირული ინფარქტი. პაციენტს ასევე დაუდგინდა მრავლობითი პოსტინფარქტული ნაწიბურები მარცხენა პარკუჭზე და ძვიდის არეში, ასევე, მიოკარდიუმის სხვა მძიმე დაზიანებები (კარდიოსკლეროზი). ეს უკანასკნელი უტყუარად ადასტურებს იმის ალბათობას, რომ გარდაცვლილი პაციმართი საყურადღებო (სავარაუდოდ მძიმე) კარდიოლოგიური პაციენტი იყო. საფიქრებელია, რომ მის მდგომარეობას ჯეროვნად არ მიექცა ყურადღება, რამაც სიკვდილი გამოიწვია. იმის თქმა, რომ თუნდაც ადეკვატური მკურნალობის პირობებში პაციენტი არ მოკვდებოდა, რა თქმა უნდა, ძნელია, თუმცა ასეთ პირობებში პაციენტს გადარჩენის საკმაოდ მაღალი შანსი ჰქონდა.

კარდიოლოგიური დაავადებებიდან ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა დილატაციური კარდიომიოპათია და ერთ შემთხვევაში – გულის რითმის მოშლა. ორივე პაციენტი გარდაიცვალა სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში.

სისპირით მეოთხე ადგილზე გამოდის ინფექციური დაავადებები. ამ ჯგუფში გავაერთიანეთ ვირუსული ჰეპატიტები და აივ ინფექცია. ვირუსული ჰეპატიტი, როგორც უკვე ითქვა, აღენიშნებოდა გარდაცვლილ პაციენტთა 34%-ს. აივ ინფექცია კი აღენიშნებოდა 3 გარდაცვლილ პაციენტს.

ვირუსული ჰეპატიტებიდან, გარდაცვლილთა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, აბსოლუტურ უმრავლესობას აღენიშნებოდა HCV-ვირუსი, ხოლო 1 შემთხვევაში ასევე მითითებული იყო -HBV. უნდა აღინიშნოს, რომ ვირუსული ჰეპატიტი ტუბერკულოზური ინფექციის შემდეგ ყველა საპყრობილისათვის წარმოადგენს რიგით მეორე უსერიოზულეს პრობლემას. ჰეპატიტებით ავადობის სკრინინგი ადგილზე არ მიმდინარეობს და გამოკვლევის (სადიაგნოზო) ჩატარებისათვის პაციენტებს უდიდესი ძალისხმევის დახარჯვა უნევთ. ასევე, გვიანდება გამოკვლევის შედეგები. უდიდეს სიძნელებთანაა დაკავშირებული მკურნალობის დაწყება. ეტიოტროპული მკურნალობა სულ რამდენიმე პაციენტის მიმართ ხორციელდება. უკეთეს შემთხვევაში, პაციენტებს ენიშნებათ ღვიძლის დამცავი საშუალებები. მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტიც, რომ თითქმის არცერთ დაწესებულებაში არ არსებობს ადეკვატური კვება, რასაც მკურნალობისა და პროგნოზისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ვირუსული ჰეპატიტი 2009 წლის მეორე ნახევარში გარდაცვლილ პაციენტთა მესამედს აღენიშნებოდა. მათ მესამედს კი განვითარებული ჰქონდა ღვიძლის ციროზი, პორტული ჰიპერტენზია, ენცეფალოპათია და აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები.

ჰეპატიტი რომ სასჯელალსრულების სისტემის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, იმითაცაა ხაზგასმული, რომ 2009 წლის 25 ივნისს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან ერთად ერთობლივი ბრძანება გამოსცა (№267-219/ნ), რომლითაც დამტკიცებულია სასჯელალსრულების დაწესებულებებში მყოფ „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტთა და მსჯავრდებულთათვის სამედიცინო მომსახურების განევის სტრატეგია. ბრძანების მიხედვით, ბრძანების გამომცემ სამინისტროებს დაევალებათ, ამ ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი დაუყოვნებლივ დარეგულირებას და გადაწყვეტას მოითხოვს, ბრძანების გამოცემიდან 10 თვის შემდეგ სამოქმედო გეგმა არ არის შემუშავებული, ხოლო სასჯელალსრულების დაწესებულებებში კვლავ საგანგაშო მდგომარეობა რჩება.

სასჯელალსრულების დაწესებულებებში ასევე ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს **აივ ინფექცია/შიდსი**. საქართველოს ციხეებში 2009 წლის განმავლობაში 5 შიდსით დაავადებული პაციენტი გარდაიცვალა. მათგან 3 წლის მეორე ნახევარში. მიუხედავად იმისა, რომ შიდსით დაავადებულთა გამოვლენა და მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობს, არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რაც უპირველეს ყოვლისა, აივ ინფექციის გავრცელების პრევენციას გულისხმობს. ამ მხრივ ყველაზე ნაკლებია გაკეთებული, მიუხედავად იმისა, რომ აივ პრევენცია პაციენტთა არსებული პირობების და გარემოს პირდაპირპროპორციულია. უკვე მესამე წელია საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენებებში ფიგურირებს პირდაპირი მითითება იმის თაობაზე, რომ შეწყდეს გარდაცვლილ აივ ინფიცირებულ პაციენტთა დისკრიმინაცია დაავადების ნიშნით. წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდშიც არ ხდება გარდაცვლილ აივ ინფიცირებულთა სასამართლო სამედიცინო გამოკვლევა და დასკვნებში პირდაპირ არის მითითებული, რომ აღნიშნულის გამო სიკვდილის მიზეზი ვერ დადგინდა. მოგვყავს ციტატა ერთ-ერთი გარდაცვლილი პაციენტის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დოკუმენტიდან: მრ. „შიდსით დაავადებულთა გვამების უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო **გვამის გამოკვლევა (გაკვეთა) არ ჩატარებულა, რის გამოც სიკვდილის მიზეზის დადგენა შეუძლებელია**. გარეგნული დათვალიერებისას სახის არეში აღენიშნებოდა 2 ნაჭდევი, რომელიც განვითარებულია სიკვდილის დადგომამდე არანაკლებ 4 დღით ადრე.“



პატიმარი ჩ.კ. – გარდაიცვალა ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში, გვამი ასევე არ გაკვეთილა, ლ. სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დასკვნა არ წარმოგვიდგინა.

პატიმარი ჭ.ა. – გარდაიცვალა ქუთაისის №2 დაწესებულებაში და გაიკვეთა სასამართლო-სამედიცინო ნესით. სავარაუდოდ, ექსპერტიზისათვის არ იყო ცნობილი, რომ იგი აივ ინფიცირებული იყო.

ის, რომ აღნიშნული დაავადებით გარდაცვლილ პატიმართა გვამები არ იკვეთება, 2009 წლის პირველ ნახევარში გვაცნობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციამაც. წინა წლებისაგან განსხვავებით, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ზოგჯერ არ წარმოებს „C“ ჰეპატიტით დაავადებულ გარდაცვლილთა აუტოფსიაც. აღნიშნული პირად საუბარში დაადასტურა ბიუროს ხელმძღვანელმაც. ერთ-ერთი გარდაცვლილი პატიმრის ნ.მ.-ს ექსპერტიზის დასკვნაში კი ვკითხულობთ – „სათანადო მეთოდისა და უსაფრთხოების პირობების არარსებობის გამო აღნიშნული დიაგნოზით („C“ ჰეპატიტი) გვამი სასამართლო-სამედიცინო წესით არ გაკვეთილა.“

სისხშირით შემდეგ ადგილზე ტრავმატიზმითა და ნაძალადევი სიკვდილის შემთხვევები. ამ ჯგუფში გაერთიანებული არიან: 1 პატიმარი, რომლის სიკვდილიც განვითარდა მარყუჟზე ჩამოკიდების შედეგად, 2 პატიმარი, რომელთა სიკვდილის განვითარებაში წამყვანი მომენტი იყო ქალა-ტვინისა და გულმკერდის ტრავმები, ხოლო დანარჩენი 9 პატიმარი შეირჩა მათ გვამებზე არსებული სხვადასხვა ტიპის დაზიანების არსებობით.

2009 წლის 12 დეკემბერს, ქუთაისის №2 დაწესებულებაში, ოფიციალური ვერსიით თავი ჩამოიხრჩო ა.ქ.-მ. სასამართლო სამედიცინო დიაგნოზია მექანიკური ასფიქსია, განვითარებული ზემო სასუნთქი გზების მარყუჟით გადაკეტვის შედეგად. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სტრანგულაციური ღარი სიცოცხლისდროინდელია. გარდა ამისა, გვამს მარჯვენა მხრის უკანა ზედაპირზე, მარცხენა თეძოს ფრთისა და მარჯვენა მუხლის მიდამოში აღენიშნება ნაჭდევი (სიცოცხლისდროინდელი, 4-5 დღისაა). ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, პნევმონიის დიაგნოზიც.

2009 წლის 19 სექტემბერს, ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა პატიმარი გ.უ. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა არ გაცემულა. საავადმყოფოს მიერ დასმულია დიაგნოზი – ქალა-ტვინის დაზიანებული ტრავმა, მარცხ. ტრავმული სუბდურული ჰემატომა, ინტრავენტრიკულური სისხლჩაქცევა, თავის ტვინის შეშუპება, კომა GCS 3ბ., გულსისხლძარღვთა, სუნთქვისა და თირკმლის მწვავე უკმარისობა, ენდობრონქიტი II ხ. პატიმრის გარდაცვალების გარემოებები საყურადღებოა და შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

იმავე საავადმყოფოში 2009 წლის 18 ნოემბერს გარდაიცვალა პატიმარი მ.ვ. ამ შემთხვევაშიც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არ გაცემულა, ხოლო საავადმყოფოს დიაგნოზია: „გულმკერდის დაზიანებული ტრავმა, VII; VIII; IX; X ნეკროზის მოტეხილობა, ორივე ქვ.კიდურის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა მრავლობითი ექსკორაციებით, მარცხ.მუხლის სახსრის ჰემარტროზი, მძიმე სეფსისი, პოლიორგანული უკმარისობა“. ეს უკანასკნელი შემთხვევაც შემდგომ შესწავლას მოითხოვს.


სისხშირით მე-6 ადგილზეა საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ღვიძლის ციროზი, ბილიარული სისტემის დაავადებები და პეპტიკური წყლულოვანი დაავადება. პეპტიკური წყლულოვანი დაავადების მქონე ყველა პაციენტი გარდაიცვალა სამოქალაქო ტიპის სამკურნალო დაწესებულებაში. მათგან ერთ-ერთს აღენიშნებოდა გასტროდუოდენური სისხლდენა.

სისხშირით მე-7 ადგილზეა დაავადებათა ჯგუფი „სხვა“, რომელშიც ჩვენ მიერ გაერთიანდა სისხლდენისა და სეფსისის შემთხვევები. სისხლდენის შემთხვევები აღწერილი იყო (3 შემთხვევა) მოხსენების წინა ნაწილში, როგორც ფილტვის ტუბერკულოზის გართულება. 3 შემთხვევაში სისხლდენა

განვითარდა საქმლის მომწოდებელი ტრექტის ზედა ნაწილიდან და გამოიწვია ჰიპოვოლემიური მდგომარეობა, რომელსაც ერთ-ერთი განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება სიკვდილის განვითარებაში.

რაც შეეხება სეფსისის 4 შემთხვევას, ყველა პაციენტი გარდაცვლილია ლუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. მათ მიმართ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები სასამართლო-ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ არ მოგვეწოდება. შესაბამისად, საკითხის შესწავლა მტკიცებულებათა შემდგომ მოპოვებასა და გაანალიზებას მოითხოვს.

შემდეგ ადგილზეა საშარდე სისტემის დაავადებები, რომლებიდანაც უპირატესად გამოვლინდა პიელონეფრიტი, ნეფროსკლეროზი და ნეფროციროზი. აღნიშნულ დაავადებათა პროცენტული განაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე:



აღნიშნულ პათოლოგიებს, რომლებიც დადასტურებულია ჰისტოლოგიურად, გარკვეული როლი მიუძღვის პაციენტთა სიკვდილის დადგომაში და სავარაუდოდ, პაციენტის სიცოცხლეში ისინი, სამედიცინო თვალსაზრისით, იგნორირებული იყო.

ნერვული სისტემის დაავადებები სიხშირით მე-9 ადგილზეა. ამ ჯგუფში გაერთიანებულია თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, თავის ტვინისა და მისი გარსების ანთებითი დაავადებები და პოლირადიკულონეიროპათია.

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის პრობლემა წარმოდგენილია იშემიური და ჰემორაგიული ინსულტის, სისხლძარღვოვანი ანევრიზმის გახეთქის, ასევე, ქალა-ტვინის დახურული ტრავმის შედეგად განვითარებული სუბდურული და ინტრავენტრიკულური სისხლჩაქცევის სახით. შემთხვევათა უმრავლეს ნაწილში სიკვდილის მიზეზი იყო თავის ტვინის შეშუპება, ტვინის ღერის დისლოკაცია და ჩაჭედვა, რაც დასტურდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით. პაციენტთა გარდაცვალების დიაგნოზებში ასევე ფიგურირებს ენცეფალიტი და მენინგიტიც, ხოლო ერთ შემთხვევაში კლინიკურად დადასტურებულია პოლირადიკულონეიროპათიის დიაგნოზი.

როგორც უკვე აღინიშნა, 2009 წლის მეორე ნახევარში გამოიკვეთა ავთვისებიან სიმსივნეთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. მიუხედავად ამისა, ონკოლოგიურ დაავადებათა ჯგუფი სიხშირით მე-10 ადგილზეა და იგი მოიცავს შემდეგი სახის სიმსივნეებს: ხორხის, სწორი ნაწლავის, პანკრეასის, ფილტვის, თავის ტვინისა და ღვიძლის. გარდაცვლილთა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, ყველა მათგანს (7 პაციენტი) აღენიშნებოდათ სიმსივნეების შორსნასული, პრაქტიკულად ტერმინალური ფორმები. ყველა შემთხვევაში აღინიშნებოდა სიმსივნის შორეული მეტასტაზირება ორგანიზმში. პაციენტები იყვნენ უმძიმეს მდგომარეობაში, გამოხატული კახექსიითა და პალიატიური ჩარევის ნიშნებით. მიუხედავად ამისა, არცერთი პაციენტის მიმართ არ აღძრულა შუამდგომლობა სასჯელის

საქართველოს

გადავადების ან ვადამდე ადრე გათავისუფლების შესახებ, რაც არაჰუმანურ მოპყრობად უნდა ჩაითვალოს. ონკოლოგიური პროფილის პატიმართა უმრავლესობა გარდაიცვალა ლუდუშაურის სახ. ეროვნულ სამედიცინო ცენტრში.

ენდოკრინული სისტემის დაავადებები შეგვხვდა ყველაზე ნაკლები სიხშირით და წარმოდგენილია შაქრიანი დიაბეტის 2 შემთხვევისა და 1 ფარისებრი ჯირკვლის დაავადების (ჩიყვი) სახით. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, ენდოკრინული პათოლოგია სიკვდილთან პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არ იყო, თუმცა ამძიმებდა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას და აჩქარებდა პათოლოგიური პროცესის განვითარებას.

წინადადებები და რეკომენდაციები

წინადადებები საქართველოს პარლამენტს

- „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლში შევიდეს შესაბამისი ცვლილება აივ/შიდსით დაავადებულ პატიმართა მიმართ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (სეგრეგაციის დაუშვებლობა) მოპყრობის უზრუნველსაყოფად;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს შესაბამისი ცვლილება და/ან დამატება იმგვარად, რომ სასჯელალსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება განხორციელდეს სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებების მსგავსად.

საქართველოს მთავრობას:

- „პაციენტის უფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მოთხოვნების შესრულების მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო ასიგნებებში აისახოს სასჯელალსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხარჯები;
- პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, მასში დასაქმებული ადამიანიური რესურსები, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში გამოვიდეს სასჯელალსრულების სისტემის დაქვემდებარებიდან და მოხდეს მათი რეინტეგრაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში.

საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- დაჩქარდეს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 25 ივნისის „სასჯელალსრულების დაწესებულებებში მყოფ „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პატიმართათვის/მსჯავრდებულთათვის სამედიცინო მომსახურების განვების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ N267-N219/6 ერთობლივი ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა;
- სასჯელალსრულების სისტემის ექიმებს მიეცეთ საშუალება, აქტიური მონაწილეობა მიიღონ უწყვეტი პროფესიული განათლების/უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამებში;
- ციხის ექიმთათვის საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და მასში შესული ცვლილებების ცნობადობის სავალდებულოობის უზრუნველსაყოფად მოეწიოს რეგულარული ტრენინგები.

საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს:

- „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნეს შემდეგ სასჯელალსრულების დაწესებულებებში სამედიცინო პუნქტის გახსნა:

- N1 საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება;
- თბილისის N7 საპყრობილე;
- თბილისის N8 საპყრობილე;
- არასრულწლოვანთა აღმზრდელი დაწესებულება.
- კანონქვემდებარე აქტით დაარეგულიროს სამოქალაქო სექტორის ექიმ-სპეციალისტთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დაშვების წესი და პირობები;
- უზრუნველყოს სამოქალაქო ტიპის სამედიცინო პროფილის დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გაფორმება გეოგრაფიული ნიშნით;
- ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების სერვისები ეკვივალენტურად ხელმისაწვდომი გახადოს წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირებისთვის;
- უმოკლეს ვადაში გადაიხედოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სამკურნალო დაწესებულებების სტატუსი და ისინი ჩამოყალიბდეს სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტებად;
- შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 10 ნოემბრის ბრძანებაში N771, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პენიტენციური ჯანდაცვის დაწესებულებებში სამედიცინო დოკუმენტაციის უნიფიცირებულად წარმოება და გამოყენება, სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესებთან ჰარმონიზაცია, მონესრიგება და დოკუმენტაციის ერთიან სისტემაში მოყვანა.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს:

- რისკის ზონაში მყოფ ექიმებს, „საქართველოს კანონის საექიმო საქმიანობის შესახებ“ 93-ე მუხლის გათვალისწინებით, შეექმნათ საქმიანობისათვის განსაკუთრებული პირობები, ადეკვატური სამუშაო პირობები და ანაზღაურება, შეიქმნას მათი სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები, შემოღებული იქნეს შეღავათები რისკის ზონაში მომუშავე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტებისთვის; დაანესოს უმკაცრესი კონტროლი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პენიტენციური სისტემის დაწესებულებაში მყოფი ექიმების ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა კლინიკური გადანყვეტილების მიღების პროცესში;
- „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ექიმთა მონაწილეობა ან იძულება, მონაწილეობა მიიღონ თავისუფლება აღკვეთილ პირთა დასჯის საკითხებში, ასევე – ნებისმიერ ქმედებაში მონაწილეობა, რომლის ერთადერთ ინტერესს არ წარმოადგენს დაკავებული პირის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასება, დაცვა ან გაუმჯობესება და ეს ურთიერთობა ეწინააღმდეგება სამედიცინო ეთიკის პრინციპებს.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს:

- იმ დაწესებულებებში, სადაც განთავსებული არიან ქალი პატიმრები და არ არსებობს გინეკოლოგიური მომსახურება, უზრუნველყოფილი იქნეს გინეკოლოგის შტატის დაშვება და ქალთა ჯანმრთელობის სპეციფიკური პრობლემების ადეკვატური მოგვარება;
- ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულება უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური რაოდენობის სამედიცინო პერსონალით, რათა შესაძლებელი გახდეს 24 სთ-ის განმავლობაში მინიმუმ ერთი ექიმის და ერთი ექთნის მორიგეობა 4-დღიანი გრაფიკით;
- სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმთა სპეციალობები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 18 აპრილის N136/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ საექიმო სპეციალობათა ნუსხასთან;
- ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყოს სრულ განაკვეთზე მინიმუმ ერთი სტომატოლოგის შტატის დაშვება;



- გაძლიერდეს სასჯელალსრულების სისტემის ფსიქიატრიული სამსახური ადამიანური რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით, მედიკამენტებით; უზრუნველყოფილი იყოს ფსიქიკური პრობლემების მქონე ქალ პატიმართა ადეკვატური სტაციონარული ფსიქიატრიული მომსახურება;
- უზრუნველყოს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულთა გეგმური სამედიცინო შემოწმების ჩატარებისა და შესაბამისი ინფორმაციის სამედიცინო დოკუმენტაციაში ასახვის კონტროლი;
- ციხეების სამედიცინო ნაწილები აღიჭურვოს ყველა ძირითადი საშუალებით, რათა შესაძლებელი გახდეს მსჯავრდებულთა სრულყოფილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიწოდება; აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულებების სამედიცინო პერსონალისთვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი გადამზადება;
- განხორციელდეს სასჯელალსრულების სამედიცინო სისტემაში კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა;
- უზრუნველყოს ექიმ-პაციენტის ურთიერთობის დროს კონფიდენციაურობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და საექიმო საიდუმლოს დაცვის პრინციპის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაცვის კონტროლი ყველა სასჯელალსრულების დაწესებულებაში;
- უზრუნველყოს თვითდაზიანებისა და სუიციდის რისკის მქონე ყველა პატიმრის ექიმ-ფსიქიატრის მიერ სავალდებულო წესით შემოწმება, პროფილაქტიკური სამუშაო და საჭიროების შემთხვევაში, ადეკვატური მონიტორინგი;
- ყველა სასჯელალსრულების დაწესებულების სამედიცინო პუნქტებში გამოიყოს ერთი პასუხისმგებელი ექიმი, რომელიც მომზადდება და პასუხისმგებელი იქნება ეპიდემიოლოგიური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლზე, როგორც ამას ითვალისწინებს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი;
- უზრუნველყოს სასჯელალსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დიეტური კვების დანიშვნისას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის N237/6 ბრძანების მოთხოვნების შესრულება;
- მსჯავრდებულთა და პატიმართათვის სამედიცინო მომსახურების განევის დროს უზრუნველყოს თანაბარი გეოგრაფიული და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, ასევე, ეკვივალენტური ხარისხის სასჯელალსრულების ყველა დაწესებულებაში;
- სასჯელალსრულების ყველა დაწესებულებაში, სადაც განთავსებულნი არიან ქალი პატიმრები და არასრულწლოვნები, უზრუნველყოს პატიმართა ამ განსაკუთრებული კატეგორიებისათვის ადეკვატური პირობების შექმნა;
- გაიზარდოს (საწყის ეტაპზე მინიმუმ გაორმაგდეს) სასჯელალსრულების დაწესებულებაში განთავსებულ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კომპონენტი, ამასთან, დამყარდეს და გაღმავდეს კავშირები სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან;
- წამალდამოკიდებულების მქონე პირები უზრუნველყოს კვალიფიციური ნარკოლოგიური დახმარებით. ამ მიზნით დაინერგოს და გაფართოვდეს სასჯელალსრულების დაწესებულებებში ნარკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით მიმდინარე სპეციფიკური პროგრამები;
- დაწესოს გადამდები და განსაკუთრებით საშიში ინფექციების პროფილაქტიკის, აღრიცხვის, ადეკვატური მკურნალობისა და მართვის სისტემები, უზრუნველყოს ადეკვატური ეპიდემიოლოგიური კონტროლი და ყველა იმ ღონისძიების დაცვა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;
- იმ პირების მიმართ, რომელთათვისაც შეუთავსებელია ხანგრძლივი პატიმრობა, გაატაროს ადეკვატური ზომები: საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდეს სასამართლო ექსპერტიზა, მიიმე და განუკურნებელ დაავადებათა დადასტურების შემთხვევაში, აღიძრას შუამდგომლობები

სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად, სასჯელალსრულების დაწესებულებებში შეიქმნას მათთვის შესაფერისი პირობები, უზრუნველყოფილი იყვნენ დამატებითი საშუალებებით გადაადგილებისა და სოციალური ადაპტაციისათვის, დაენიშნოთ მომვლელი;

- უზრუნველყოს პენიტენციური სისტემის დაწესებულებებში სიკვდილობის მიზეზების ანალიზი და შეფასება და წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები და ხედვა შექმნილი ვითარებისა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის უფროსს:

- სასჯელალსრულების დეპარტამენტსა და შპს „მეგაფუნდ“ შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 17 სექტემბრის „სამკურნალო დიეტების დამტკიცების შესახებ“ N258/ნ ბრძანების მოთხოვნების გათვალისწინება.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს:


- უზრუნველყოფილი იქნეს აივ/შიდსით დაავადებულ გარდაცვლილ პატიმართა სასამართლო სამედიცინო წესით გამოკვლევა და სიკვდილის მიზეზის დადგენა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს:

- ჩაატაროს სასჯელალსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებებისა და სამედიცინო ნაწილების ტოტალური მონიტორინგი და მოამზადოს სპეციალური ანგარიში აღნიშნულთან დაკავშირებით.


დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირების სამედიცინო მომსახურება

დროებითი მოთავსების იზოლატორების მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო საკითხებს. საანგარიშო პერიოდში დმი-ებში შემოსულ დაკავებულ პირთაგან დაახლოებით 24.3%-ს აღენიშნა სხეულის ამა თუ იმ ფორმის დაზიანება. რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებლის თავისებურებანი წარმოდგენილია დიაგრამაზე:




2009/2

დმი-ში განთავსებულ დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნების მონაცემებით, დაკავებულ პირთა 63.24%-მა დაზიანება მიიღო დაკავებამდე, 8.34%-მა – დაკავების დროს. დაკავების შემდეგ დაზიანების მიღების შესახებ განაცხადა 0.23%-მა. ჟურნალის მონაცემებით, დაკავებულთა 1.57%-ს არ ახსოვს, თუ როდის მიიღო დაზიანება; 0.55% აღნიშნულს არ განმარტავს, ხოლო 26.15%-ში აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალში საერთოდ არ არის რეგისტრირებული.




რაც შეეხება სხეულის ფიზიკური დაზიანების სახეებს, დაზიანების ყველაზე ხშირი ფორმაა ნაჭდევი (48.11%). სიხშირით შემდეგ ადგილზეა სისხლნაყენი (15.19%) და ჭრილობა (14.62%), რასაც მოჰყვება სხეულის ამა თუ იმ უბნის ჰიპერემია (სინითლე) – 8.15%-ში და დაჟეჟილობა – 6.87%. რაც შეეხება დაზიანების სხვა სახეებს, ისინი 1%-ზე დაბალია და წარმოდგენილია სიხშირით შემდეგი თანმიმდევრობით: დამწვრობა – 0.65% , სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა – 0.41% და მოტეხილობა – 0.19%. შემთხვევათა 5.81%-ში დმი-ის თანამშრომლის მიერ დაზიანების დაკონკრეტება არ მომხდარა (მიუთითებდნენ მხოლოდ – „დაზიანება“).



თავისებურებები. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ხშირად დაზიანება არის სახის მიდამოში (33.24%), სიხშირით შემდეგ ადგილზეა ზედა კიდური (29.90%), ქვედა კიდური (15.96%), ზურგის მიდამო (8.11%), კისერი (4.1%), მუცელი (3.28%), ქალასარქველისა (2.55), და გულმკერდის მიდამო (2.37%). მთელი საქართველოს მასშტაბით, შორისის ან გენიტალიების დაზიანების შემთხვევები არსად ყოფილა აღწერილი. შემთხვევათა 0.53%-ში დმი-ის თანამშრომლის მიერ არ ხდება დაზიანების ლოკალიზაციის დაკონკრეტება და მითითებულია პირდაპირ, რომ „აღნიშნება სილურჯე“ ან „სხეულის ზედა ნაწილებში აღნიშნება ჭრილობა“.

2009 წლის მეორე ნახევარში, ჯანმრთელობის საჭიროებათა გამო, დმი-ის თანამშრომლების მიერ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოძახებული იქნა 18.6% შემთხვევაში. სასწრაფოს გამოძახების სიხშირე განსაკუთრებით მაღალია შიდა ქართლის რეგიონში, ხოლო მინიმალურია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში.

რეგიონების მიხედვით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების მაჩვენებლები წარმოდგენილია დიაგრამაზე:



განსხვავებული სიტუაცია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების თვალსაზრისით, დაფიქსირდა ქალაქ თბილისის N2 დმი-ში. აღნიშნულის მიზეზია ის ფაქტი, რომ მხოლოდ ამ დანესებულებაში მუშაობს ექიმი, რომელიც ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტას თავადვე არეგულირებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ახდენს „033“-ის ბრიგადის გამოძახებას.

რაც შეეხება სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და თბილისის დმი-ის ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზებს, მთელი საქართველოს მასშტაბით, სიხშირით პირველ ოთხეულში მოხვდა: ნარკოლოგიური პრობლემები (25.12%); ნევროლოგიური პრობლემები (18.23%); ტკივილის სინდრომი (15.77%) და არტერიული ჰიპერტენზია (11.9%). რაც შეეხება სხვა დიაგნოზებს, სიხშირის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

5.	ტრავმატოლოგია/ორთოპედია	5.06 %
6.	ქირურგიული პრობლემები	5.06 %
7.	ნეიროციკულ. დისტონია	4.69 %
8.	სასუნთქი სისტ. დაავადებები	4.17 %



9.	ვეგეტონეეროზი	3.69 %
10.	კუჭ-ნაწლავის დაავადებები	3.69 %
11.	სტომატოლოგ. დაავადებები	2.76 %
12.	ინფექციური დაავადებები	1.98 %
13.	ნეფროლოგია/უროლოგია	1.95 %
14.	გულის დაავადებები	1.56 %
15.	ფსიქიატრიული პრობლემები	1.55 %
16.	ალერგიული დაავადებები	1.40 %
17.	ენდოკრინული დაავადებები	1.34 %
18.	ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებ.	0.84 %
19.	არტერიული ჰიპოტონია	0.52 %
20.	ჰიპერტენზია	0.29 %
21.	სისხლძარღვთა დაავადებები	0.21 %
22.	ორსულობა	0.02 %

რაც შეეხება დმი-ებში არსებულ ზოგად ტენდენციებს, სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალებში ჩანაწერები ხშირად არ არის დანომრილი, ხოლო გვერდების დიდ ნაწილში დატოვებულია თავისუფალი ადგილი. აღნიშნულის გამო შესაძლებელია ჟურნალში ჩანაწერის მიმატება, თუ ამის „საჭიროება“ დადგება დღის წესრიგში. ერთ-ერთ ჟურნალში სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჩანაწერები, ზოგიერთ შემთხვევაში, ხარვეზითაა დანომრილი. ჟურნალების მიხედვით, 189 გამოძახებიდან ექიმის მიერ 23-ჯერ გაიცა რეკომენდაცია პაციენტის სტაციონარში გადაყვანის შესახებ, როგორც შემდგომი მკურნალობის, ასევე კონსულტაციების ჩატარების ან გამოკვლევის მიზნით. შემთხვევათა დაახლოებით 17%-ში ექიმის რეკომენდაცია შესრულდა, ხოლო დაახლოებით 21%-ში დამდგარი შედეგი ჩანაწერების მიხედვით უცნობია. ექიმის რეკომენდაცია არ შესრულებულა შემთხვევათა 62%-ში. შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ სამედიცინო დახმარება აღმოჩენილი იქნა ადგილზე. აღნიშნულს მნიშვნელოვან ხარვეზად მივიჩნევთ, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ პაციენტებისადმი განეულ დახმარების ამსახველი ჩანაწერების მიხედვით, ექიმი იშვიათად იძლევა რეკომენდაციას პაციენტისათვის დამატებითი გამოკვლევის ჩატარების ან სტაციონარში გადაყვანის შესახებ. აღნიშნული იმ ფონზე ხდება, როდესაც ჩანაწერებში მრავლადაა აღწერილი შემთხვევები, როდესაც დაკავებული პირი მოყვანილია ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ. ასეთ სიტუაციებში, როდესაც სახეზეა სხეულის მრავლობითი დაზიანება და დაჟეჟილობები, მიზანშეწონილია მინიმუმ ქირურგის კონსულტაცია და რუტინული ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარება მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია იმისი შანსი, რომ მხედველობიდან იქნეს გამორჩენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გართულებები (განსაკუთრებით, მუცლის, გულმკერდის, ქალა-ტვინის დახურული ტრავმებისას). სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმთა ჩანაწერებიც, ხშირ შემთხვევაში, ასევე მნიშვნელოვან ხარვეზებს მოიცავს. შეუსაბამოა გამოყენებული სამედიცინო ტერმინოლოგია და ზოგიერთ შემთხვევაში, არაადეკვატურია გატარებული სამედიცინო ღონისძიებები. მაგალითისათვის ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით ექიმი წერს, რომ „პაციენტი უჩივის მარცხენა ყურის ბიბილოს ფორმის შეცვლას“. დიაგნოზის სახით კი ექიმს გამოაქვს „ყურის ბიბილოს ციანოზი“. ჩანაწერს ხელს აწერენ ექიმი და ექთანის იგივე ბრიგადა შემდგომში აკეთებს ჩანაწერს, რომლის აღწერილობით ნაწილში აღნიშნულია, რომ პაციენტს აღენიშნება მარჯვენა თვალბუდის სისხლნაჟღენთი, ხოლო დიაგნოზის სახით გამოტანილია „შაკიკი“. სამედიცინო თვალსაზრისით, ეს ჩანაწერები არალოგიკური და შეუსაბამოა!

დმი-ის თანამშრომელთა მიერ გაკეთებული ჩანაწერები, რომლებიც დაკავებული პირის სხეულის დაზიანებების აღწერას შეეხება, ასევე არაკვალიფიციური და შეუსაბამოა. ხშირ შემთხვევაში შეუძ-

ლებელია იმის გაგება, თუ რას გულისხმობს პოლიციის თანამშრომელი!. არაზუსტადაა მითითებული სხეულის მიდამო და ასევე დაზიანების ხასიათი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, დმი-ის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგი და მიეცეთ სათანადო მეთოდური რეკომენდაციები აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რათა დაზიანებების აღწერა მოხდეს ერთიანი მიდგომით. იმ შემთხვევაში, როდესაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმი იძლევა რეკომენდაციას პაციენტის სტაციონარში გადაყვანის შესახებ, აღნიშნული ზოგიერთ შემთხვევაში არ სრულდება, რისი დასტურიცაა განმეორებითი ჩანაწერები, იმავე პაციენტთან გამოძახებული სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექიმთა მიერ.

ზოგიერთ დმი-ში საკმაოდ მაღალია ქირურგიული და ტრავმატოლოგიური პრობლემებიც, რომელთა გადაწყვეტა ადგილზე ვერ მოხდება, თუმცა პაციენტთა სტაციონარში გადაყვანისა და ექიმის რეკომენდაციის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. დაკავებულ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საკმაოდ მაღალი რისკი იქმნება, როდესაც სტაციონარში გადაყვანა არ ხდება ან გვიანდება ისეთი დიაგნოზებით, როგორებიცაა: გულის იშემიური დაავადება, დახურული ტრავმები, ქირურგიული პათოლოგიები (თიაქარი, სისხლდენა) და ა.შ.

რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა ჟურნალში ჩანაწერის შესწორების ფაქტიც. მაგალითად, ერთ-ერთ ჟურნალში, შემთხვევა რეგისტრ. №003225-ში – თავდაპირველად მითითებული იყო, რომ დაკავებულს სხეულის დაზიანება არ აღენიშნებოდა. აღნიშნულის შემდეგ ჩანაწერში გადაშლილია „არ“, თუმცა რა სახის დაზიანებაა, აღარ არის მითითებული. მიუხედავად ამისა, ირკვევა, რომ გამოძახებული იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. შემთხვევა რეგისტრ. №003260-ში. ამ კონკრეტულ სიტუაციაში მითითებულია, რომ დაკავებულს მარცხენა თვალთან აღენიშნება სილურჯე და შესიება, ორივე მუხლზე ნაკანრები მიიღო დაკავებისას, წინააღმდეგობისას ძირს დაეცა. მიუხედავად ამისა, გრაფაში მაინც მითითებულია, რომ დაკავებულს სხეულზე დაზიანება არ აღენიშნება. რეგისტრ. №003302: „სხეულზე დაზიანება არ აღენიშნება, დაავადებას არ უჩივის, მას ამ დროისათვის სასწრაფო დახმარება არ ესაჭიროება.“ მიუხედავად ამისა, შემდგომ მითითებულია, რომ „კარგად დაკვირვებისას ყელზე აღმოაჩნდა მცირე ნაკაწრები, რომლებიც არ ახსოვს, სად მიიღო.“

გორის მონაცემებით, 2009 წლის 23 ოქტომბერს დმი-ში შემოყვანილი იქნა დაკავებული. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ გაისინჯა აღნიშნული პირი, დაესვა თავის ტვინის შერყევისა და ნეკნების მოტეხილობის დიაგნოზი. გაიცა რეკომენდაცია პაციენტის სტაციონარში გადაყვანის შესახებ. 2009 წლის 23 ოქტომბერს, ს.ს. „გორმედის“ მიერ, ვ. სავანელის ხელმოწერით გაიცა ცნობა №1241, რომელშიც მითითებულია: „*ეძლევა შ/ქართლის დმი-ს მასზე, რომ ქ. გორის ს/ს „გორმედის“ ცენტრალურ საავადმყოფოში შემოსულ ავადმყოფი ქ.ბ. ამჟამად ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებს მისი მდგომარეობიდან გამომდინარე.*“ როგორც მომდევნო ჩანაწერებიდან ირკვევა, აღნიშნულ პირთან სასწრაფო 4-ჯერ იქნა გამოძახებული მომდევნო პერიოდში. ცნობიდან არ ჩანს, რა დიაგნოზი დაესვა პაციენტს ან რა გამოკვლევები ჩაუტარდა! ერთ-ერთი ჩანაწერიდან ირკვევა, რომ დაკავებული პირი გადაყვანილი იქნა სამედიცინო დანესებულებაში, სადაც ექიმის მიერ გაიცა ცნობა. ცნობაში მითითებულია, რომ დაკავებულ პირს აღენიშნება „*მოწითალო-მოლურჯო ფერის სისხლნაყლენთი მარჯვენა თვალბუდის არეში.*“ დოკუმენტიდან ასევე ირკვევა, რომ პაციენტი „*უჩივის სისხლიან პირღებინებას ალისფერი სისხლით*“ და მას აღენიშნება ვირუსული „*C*“ ჰეპატიტი და ციროზი. მიუხედავად ამისა, ექიმი მიიჩნევს, რომ პაციენტი „*ამ ეტაპზე ქირურგიულ განყოფილებაში სტაციონირებას არ საჭიროებს.*“ აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს ექიმის მიერ გამოვლენილ არაკვალიფიციურობასა და გულგრილობაზე! რეგისტრაციის ჟურნალში უხვად მოიპოვება სამედიცინო დანესებულების მიერ გაცემული ცნობები, რომლებიც პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას უნდა ასახავდეს. მიუხედავად ამისა, ცნობების შინაარსი არასრულყოფილია და არ შეესაბამება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ფორმებს. ცნობების უმრავლესობაში მითითებულია, რომ მაგალითად, „*ამ ეტაპზე სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებს*“, ან „*მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია მისი გადაყვანა დმი-ში.*“ ამასთან, არ არის მითითებული არც დიაგნოზი და არც მიზეზი, რისთვის იქნა მიყვანილი პაციენტი სამკურნალო დანესებულებაში. აღნიშნულ ცნობათა უმრავლესობა გაცემულია



„სს გორმედი – გორის ცენტრალური საავადმყოფოს“ მიერ. ერთ-ერთ პაციენტს, რეგისტრაციის ჟურნალის მიხედვით, აღნიშნებოდა „წინამხრის 4 სმ ნაკვეთი ჭრილობა, სისხლმდენი“. აღნიშნულთან დაკავშირებით, სარეგისტრაციო ჟურნალში დევს „გორმედის“ მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ პაციენტი შეყვანილი იქნა თერაპიულ განყოფილებაში. დიაგნოზი მითითებული არ არის. ასევე აღნიშნულია, რომ მას ჩაუტარდა ინფუზიური თერაპია და დაბრუნებული იქნა დმი-ში. საინტერესოა, თუ რატომ მოხვდა სისხლმდენი ჭრილობის მქონე პაციენტი თერაპიულ განყოფილებაში. ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, რომელსაც არც დაწესებულების სახელი ანერია და არც რეგისტრაციის ნომერი აქვს, ირკვევა, რომ ცნობა მიეცა ზ.ხ.-ს, მასზედ, რომ იგი 23/09/2009 იმყოფებოდა გორის პოლიკლინიკაში, საჭიროებდა 2 კბილის ექსტრაქციას, რაზედაც პაციენტმა თავი შეიკავა. დასკვნის სახით ექიმი წერს, რომ „პაციენტი შეიძლება მოთავსდეს დმი-ში“. ექიმის ხელმოწერა პრაქტიკულად არ იკითხება. ცნობას დასმული აქვს ბეჭედი, რომელზეც გაძნელებით იკითხება – „გორის ფასიანი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა“. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით ირკვევა, რომ ექიმები ხშირად ადგილზე ატარებენ ისეთ მანიპულაციებს, რომელთა ჩატარებაც, არსებული პირობებისა და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, დაუშვებელია!

გორის ჟურნალში გაკეთებული ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ პაციენტი ფ., დაბადებული 19.. წელს, აღრიცხვაზეა შპს „ფსიქა“-ში. დიაგნოზი – ხანგრძლივი ბოდვითი აშლილობა. პაციენტს დაენიშნა ტრიფტაზინი, ციკლოდოლი, მელეფსინი. ექიმი მიიჩნევს, რომ პაციენტი სტაციონარულ მკურნალობას არ საჭიროებს. ცნობას ხელს აწერს დაწესებულების დირექტორი. რეგისტრაციის ჟურნალიდან ირკვევა, რომ ზემოთ აღნიშნული პირი, პოლიციის დაუმორჩილებლობის გამო, მოყვანილი 12 დეკემბერს დმი-ში. მას შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 25 დღის ვადით და გათავისუფლდა 2010 წლის 6 იანვარს. საფიქრებელია, რომ პაციენტი საჭიროებდა ფსიქიატრიულ დახმარებას, რის ნაცვლადაც იგი დაპატიმრებული და მას არ მიენიჭებოდა ადეკვატური სამედიცინო მომსახურება, რაც წარმოადგენს არაჰუმანური მოპყრობის მაგალითს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ირკვევა, როგორც სასწრაფო დახმარების, ასევე სამედიცინო დაწესებულებათა ექიმები დაკავებული პირების მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში, იჩენენ გულგრილობას. ნაცვლად იმისა, რომ მათ მიერ გაკეთებული ჩანაწერები სრულყოფილად ასახავდეს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას, გატარებულ სამედიცინო ღონისძიებებს, დიაგნოზსა და ა.შ. ექიმი, ხშირ შემთხვევაში, დასკვნის სახით სანქციას იძლევა პაციენტის დასჯისათვის. აღნიშნული უხეშად ეწინააღმდეგება საექიმო ეთიკის ნორმებს, ასევე, უხეშად ირღვევა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც უკრძალავს ექიმს პირის დასჯასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში მონაწილეობას.⁵⁶ მსგავსი შემთხვევების განმეორების შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ჟურნალების მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენჯერ იქნა გამოძახებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა „033“. ჟურნალში არსებული გრაფების მიხედვით მასში უნდა მოიპოვებოდეს შემდეგი ინფორმაცია: სარეგისტრაციო ნომერი, თარიღი, დაკავებულის გვარი და სახელი, სამედიცინო ხასიათის ჩივილები, დაზიანებები, დიაგნოზი, განეული დახმარება, მედიკამენტები, ექიმი/ექთანა. მიუხედავად ამისა, ჟურნალის გრაფები, უმრავლეს შემთხვევაში, არასრულყოფილად შევსებული. ჟურნალები, როგორც წესი, დანომრილია, თუმცა საკმაოდ ხშირია სარეგისტრაციო ნომრების გადასწორების და შესაბამისად, ნუმერაციის არევის შემთხვევები. დაკავებული პირის სხეულზე არსებული შესაძლო დაზიანებების შესახებ ჟურნალში ჩანაწერს, სავარაუდოდ, ექიმი აკეთებს, თუმცა არსებული ჩანაწერების განხილვით ეს უკანასკნელი არსებითად არ განსხვავდება პოლიციის თანამშრომლების (არასამედიცინო პერსონალი) მიერ გაკეთებული ჩანაწერებისაგან, რაც მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული. არასრულყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმა-

⁵⁶ უფრო ვრცლად აღნიშნული პრობლემა მიმოხილულია სასჯელალსრულების დაწესებულებების სამედიცინო მომსახურების ქვეთავში.

რების ექიმთა მიერ პაციენტისათვის განეული სამედიცინო დახმარების ეპიზოდების ამსახველი ინფორმაცია, რაც ექიმთა ზერეულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს სამედიცინო ჩანაწერების მიმართ. საქართველოს სხვა დმი-ების ანალოგიური ჟურნალებისაგან განსხვავებით (სადაც შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩანაწერი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმთა მიერ კეთდება), თბილისის დმი-ის ჟურნალების წარმოება, უპირატესად, ადგილობრივი ძალებით ხდება. ჟურნალში მოცემული ინფორმაცია ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: პირველი კატეგორიის ინფორმაცია ასახავს ყოველი დაკავებული პირის სხეულზე არსებულ შესაძლო დაზიანებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მეორე კატეგორია ასახავს იმ სამედიცინო პრობლემებს (დაავადება), რომლებიც შესაძლოა შეექმნათ დაკავებულებს როგორც დმი-ში ყოფნის, ისე შესვლის დროისათვის. არსებული დაზიანებების კლასიფიკაცია და სრულყოფილი ანალიზი ჩვენ მიერ უკვე წარმოდგენილი იყო ანგარიშის პირველ ნაწილში, ამდენად, შევეხებით მხოლოდ იმ ძირითად დაავადებებსა და სამედიცინო პრობლემებს, რომლებთანაც გამკლავება უნევთ დმი-ში მყოფ ექიმებს.

თბილისის N2 დმი-ის ჟურნალების მიხედვით ექიმი იშვიათად იძლევა რეკომენდაციას პაციენტისათვის დამატებითი გამოკვლევის ჩატარების ან სტაციონარში გადაყვანის შესახებ, თუმცა ჩანაწერებში მრავლადაა აღწერილი შემთხვევები, როდესაც დაკავებული პირი მოყვანილია ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემებით. სხეულის მრავლობითი დაზიანებისა და დაჟეჟილობებისას, მიზანშეწონილია მინიმუმ ქირურგის კონსულტაცია და რუტინული ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩატარება მაინც. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდია იმისი შანსი, რომ მხედველობიდან იქნეს გამორჩენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გართულებები (განსაკუთრებით, მუცლის, გულმკერდის, ქალა-ტვინის დახურული ტრავმებისას). სტაციონარში გადაყვანის რეკომენდაციას ექიმი მხოლოდ ერთეულ და გამონაკლის შემთხვევებში იძლევა, რაც მეტად ნეგატიურ მხარედ უნდა განვიხილოთ. როგორც ანგარიშის პირველი ნაწილიდან ჩანს, ყოველ მე-5 დაკავებულ პირს (საშუალოდ) აღენიშნება სხეულის დაზიანება, ხოლო მათ დაახლოებით 56 პროცენტს – ნაჭდევი ან ჭრილობა, ანუ როდესაც კანის მთლიანობა დარღვეულია და ადგილი აქვს სხვადასხვა ინტენსიობის სისხლდენას. ამ სიტუაციის ფონზე ანტიტეტანური ვაქცინაციის მხრივ მდგომარეობა საგანგაშოა. ვაქცინაციის საკითხი მხოლოდ ერთეულ შემთხვევებშია დასმული, ხოლო სხვა სიტუაციებში პაციენტები ამ სერვისის გარეშე რჩებიან. აღსანიშნავია, რომ ტეტანუსის განვითარების მილიონამდე ფაქტი რეგისტრირდება ყოველწლიურად მსოფლიოში და სიკვდილობა 50%-ს აღწევს, ანუ პაციენტის სიკვდილის რისკი საკმაოდ მაღალია.

დაფიქსირდა ტენდენცია, როდესაც ხდება ჭრილობის ქირურგიული დამუშავება ადგილობრივი ექიმის (არა ქირურგი) მიერ დმი-ის პირობებში. 7 შემთხვევაში ასეთი ჩანაწერი გვამცნობს, რომ დამუშავებისათვის ექიმმა გამოიყენა „იოდი, ლეიკო, სპირტი, ბამბა, ბინტი და ბრილიანტის მწვანე“. მიგვაჩნია, რომ დმი-ის პირობებში ჭრილობას ქირურგიულად არ უნდა დამუშავებდნენ. პაციენტი ამ შემთხვევაში უნდა სარგებლობდეს უსაფრთხო და კვალიფიციური ქირურგიული დახმარებით. ჩანაწერების მიხედვით, ექიმი, რომელიც ვერ ახდენს ჭრილობის კლასიფიკაციასაც კი, არ უნდა მონაწილეობდეს და ახორციელებდეს მის „დამუშავებას“! ერთ-ერთ შემთხვევაში სარეგისტრაციო ჟურნალში მითითებულია, რომ პაციენტს, სავარაუდოდ, აღენიშნება ჭრილობა, რომელიც დამუშავებულია ჯერ კასპის, ხოლო შემდეგ თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში. ჭრილობას (როგორც დაზიანების) ამ შემთხვევაში ვერ აღწერენ იმ მოსაზრებით, რომ მას ადევს ნახვევი და მოითხოვენ იმ ქირურგის წერილობით ცნობას, რომელმაც კასპში ჭრილობა ქირურგიულად დაამუშავა. ერთ-ერთ შემთხვევაში ჟურნალში მითითებულია, რომ ჭრილობა ადგილზე დამუშავდა ექიმის მიერ და ადევს ნახვევი. აღნიშნული შემთხვევაც სამედიცინო მომსახურების არასაკმარის დონეზე მოუთითებს და კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამედიცინო მომსახურება დაკავების ადგილებში მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და სრულყოფას საჭიროებს. რაც შეეხება ფსიქიკური პრობლემების მქონე დაკავებულებს, ჩვენ მიერ მოძიებული იქნა ერთეული ასეთი შემთხვევები. (რეგისტრაციის N374 გ.გ.) – ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ აღნიშნული პირი „არის არაადეკვატური, აგრესიული, ყვირის, იქნევს ხელებს, აღენიშნება ჰალუცინაციები, იყენებს თვითდაზიანებებს.“ აღნიშნულის შემდეგ, ჟურნალში გვხვდება ჩანაწერი, რომ „შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე,



გამოძახებული იქნა „033“ სტაციონარში გადასაცვანად“. მიუხედავად ამისა, შემდგომი დინამიკა პაციენტის მდგომარეობასთან დაკავშირებით არ ჩანს. ასევე, ერთ-ერთ შემთხვევაში (რეგისტრაციის N622 ნ.მ.) პაციენტს „ანამნეზში აქვს პარანოიდული შიზოფრენია და ეპილევსია, პირიდან ამოსდის ალკოჰოლის სუნი, დაზიანება არ აღენიშნება“. აღნიშნულის გარდა ვხვდებით ჩანაწერს, რომ „მომყვანი გაფრთხილებულია, რომ დაკავებულის გადმოცემით მას აღენიშნება შიზოფრენია – პარანოიდული ფორმა. იმყოფება რეგისტრირებულ მკურნალობაზე და საჭიროებს დანიშნული პრეპარატების მოტანას“. აღნიშნულ შემთხვევაშიც დღის ნესრიგში არ დამდგარა ფსიქიატრის კონსულტაციის ჩატარების აუცილებლობა, რაც სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს. პაციენტი მ.ს.-ს (რეგისტრაციის N572) დმი-ში განუვითარდა ეპილევსიური გულყრა, რა დროსაც დავარდა და მიიღო სხვადასხვა მიდამოს დაზიანებები, მათ შორის, სისხლმდენი ჭრილობები ცხვირის, შუბლის არეში და ნახეთქი ენაზე. პაციენტს ჭრილობის ადეკვატური დამუშავება არ ჩასტარებია, არ დამდგარა საკითხი ანტიტიეტანური პროფილაქტიკის შესახებ, არ მომხდარა ნევროპათოლოგის კონსულტაციის ჩატარება, არამედ, როგორც ჩანაწერიდან ირკვევა, პაციენტს მიეცა 1 აბი ფინლესინი, რაც ამ მდგომარეობის ადეკვატურ მართვად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

სამეგრელოს რეგიონში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის მიერ რამდენიმე შემთხვევაში ჩანაწერები გაკეთებულია არა სახელმწიფო ენაზე (რეგისტრაციის ჟურნალში №262, 267) და პრაქტიკულად არც იკითხება. აღნიშნული წარმოადგენს მინიშენლოვან ხარვეზს და ამავედროულად, კანონდარღვევასაც. საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო ჩანაწერები უნდა შესრულდეს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად“. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმის მიერ გაკეთებული ჩანაწერები ხშირად აქაც არაადეკვატურია, მაგალითად, „სხეულის ზოგადი ტრავმული დაზიანება, უპირატესად ქალატეინის ტრავმა“. ჩანაწერიდან გაუგებარია, თუ რას ნიშნავს „უპირატესად“ ან რას გულისხმობს ამ ჩანაწერის გამკეთებელი. ჟურნალში ასევე ნანახი იქნა შემთხვევა, როდესაც (რეგისტრაციის ჟურნალში №261) ექიმი საერთოდ არ წერს დიაგნოზს. ერთ-ერთ შემთხვევაში ჟურნალიდან ირკვევა, რომ დაკავებული პიროვნება ქალია (რეგისტრაციის ჟურნალში №256 18.07.2009 პაციენტი მ.ჯ.) და მისი დიაგნოზია „ტკივილის სინდრომი, ორსულობა, გესტაციური ასაკი 16 კვირა“. ექიმი ამ შემთხვევაში არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს „ტკივილის სინდრომი“. ასევე არ არის აღწერილი არანაირი ნიშნები, რომლებიც წარმოადგენს შეგვიქმნის დედის ან ნაყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ექიმი არ ითხოვს გინეკოლოგის კონსულტაციას ან სხვა რაიმე სახის დამატებით სამედიცინო ღონისძიებას. არსებული პირობების გათვალისწინებით არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორსულობა შეწყდეს, ანუ როგორც დედის, ისე ნაყოფის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს. ასეთ სიტუაციაში პაციენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებლობა უნდა მივიჩნიოთ არაჰუმანურ მოპყრობად. ერთ-ერთ შემთხვევაში (რეგისტრაციის ჟურნალში №284, გვ.72) მითითებულია, რომ „ადგილზე დამუშავდა ჭრილობა“. ამ შემთხვევას არ აქვს დაკავებულის გვარი და სახელი მითითებული. გარდა იმისა, რომ გაურკვეველია, ვის მიმართ ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება, არსებულ პირობებში „ჭრილობის დამუშავება“ წარმოადგენს აშკარად შეუსაბამო და არაადეკვატურ სამედიცინო დახმარებას. გარდა ამისა, დმი-ის თანამშრომლები ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ ან მხოლოდ ნაწილობრივ აღწერენ დაკავებული პირის სხეულზე არსებულ დაზიანებებს. ამის ნათელი მაგალითია ზუდგიდის დმი-ში განხორციელებული ორივე მონიტორინგის დროს ნანახი შემთხვევები. ერთ შემთხვევაში (რეგისტრაციის ჟურნალში №001261), პირის მიმართ აღწერილია დაზიანების მინიმალური ნიშნები სახეზე, ბარძაყის უკანა ზედაპირზე და მუხლებზე. ჩვენ მიერ დათვალეირებული აღნიშნული პირი (მისივე თანხმობით) და აღმოჩნდა აბსოლუტურად სხვა ხასიათის და გაცილებით ფართო ლოკალიზაციის დაზიანებები. გარდა ამისა, დმი-ში გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით, დაკავებულმა დაზიანებები მიიღო – „ფეხბურთის თამაშის დროს, დაეცა 2-3 ჯერ“. ეს უკანასკნელი არადაამაჯერებელია და არსებული დაზიანებების ხასიათიდან გამომდინარე, წარმოუდგენელ მექანიზმს ასახავს (სტამბოლის პროტოკოლი, სანდოობის ხარისხი – „0“), განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ დაკავებული პირის კომენტარებსაც, რაც ასევე აბსოლუტურად წინააღმდეგობრივია.

ზუდგიდის დმი-ში ჩატარებული მონიტორინგის დროს ჩვენ მიერ შერჩევითად იქნა დათვალეირებული ერთ-ერთი დაკავებული. როდესაც დაკავებულმა გაიგო ჩვენი ვინაობა, გვთხოვა, აღმოგვეჩინა

დახმარება. მისი გადმოცემით, დაკავების დროს და ასევე ჩვენების მიცემისას იგი სასტიკად სცემეს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა. სხეულზე აღენიშნებოდა საკმაოდ ინტენსიური სხვადასხვა სახისა და ლოკალიზაციის დაზიანებები. ჩვენ მიერ შედგენილი იქნა შესაბამისი ოქმი და შევსებული იქნა დაზიანებათა აღწერის ფორმა №5.

ოზურგეთის დმი-ში, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სარეგისტრაციო ჟურნალში, ყურადღებას იპყრობს 27.09.2009 წ. გაკეთებული ჩანაწერი 49 წლის დაკავებულ ვ.ჯ.-ს მიმართ. სასწრაფოს ექიმი მიუთითებს თავის ტკივილზე, ნევროზულ მდგომარეობასა და სმენის დაქვეითებაზე. რაც შეეხება ტრავმის მიღების მექანიზმს, ექიმისავე ჩანაწერით ირკვევა, რომ დაკავებულს აღნიშნული მოვლენები დაეწყო მარცხენა ყურის არეში ძლიერად დარტყმის გამო. სარეგისტრაციო ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერიდან (რეგისტრაციის №000409) ირკვევა, რომ დაკავებულ პირს მარცხენა ყურის მიდამოში აღენიშნება სინთლე, რის გამოც გამოძახებული იქნა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა. აქვე მითითებულია, რომ დაკავებულს გააჩნია პრეტენზია ურეკის პოლიციის თანამშრომლების მიმართ. ურეკის განყოფილებაში მიყვანისას მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მას შეუძლია კონკრეტული პიროვნების ამოცნობაც. როგორც შემდგომი ჩანაწერებიდან ირკვევა, დაკავებული გათავისუფლდა 2009 წლის 29 სექტემბერს, 01:40 წ. (დაკავების თარიღი 27.09.09 11:10) ოზურგეთის რ. პროკურატურის პროკურორის დადგენილების საფუძველზე. აღნიშნულმა შემთხვევამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმით, რომ აღწერილი დაზიანება და მისი მიყენების მექანიზმი წარმოადგენს ნამების ერთ-ერთ საყოველთაოდ ცნობილ მეთოდს, რომელსაც „ტელეფონო“ ეწოდება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული ფაქტი გამოძიებული იქნეს დეტალურად.

სენაკის დმი-ს რეგისტრაციის წიგნის მიხედვით, ერთ-ერთ პაციენტს (გ.გ.) აღენიშნებოდა სისხლდენა საჭმლის მომნელებელი ტრაქტიდან, ასევე, დიაგნოზში მითითებულია ფილტვის კავერნული ტუბერკულოზი. მიუხედავად იმისა, რომ ექიმი ითხოვს პაციენტის ჰოსპიტალიზაციას, ჩანაწერების მიხედვით, დაკავებული პირი საავადმყოფოში არ გაუყვანიათ. ამ ფონზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა წერს – „მუცელი დიფუზურად პალპაციით მტკივნეულია, მუცლის ქვედა ზედაპირზე აღნიშნება სისხლჩაქცევები. სისხლიანი ლებინება, სისხლიანი ნახველი, სისხლიანი შარდი“. ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პაციენტს გაუკეთდა დიციონი. ამ მდგომარეობის პაციენტის სტაციონარში გადაუყვანლობა უნდა ჩაითვალოს უხემ შეცდომად და მინიმუმ უნდა შეფასდეს, როგორც არაპუმანური მოპყრობა, ვინაიდან პაციენტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა აშკარად დადგა უდიდესი რისკის ქვეშ!

ყოველივე ზემოთ აღწერილის გათვალისწინებით ვლინდება, რომ დმი-ებში დაკავებულთა ჯანმრთელობის საკითხები მეტ ყურადღებას მოითხოვს.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს

- მკაცრად გაკონტროლდეს დმი-ში მთავსებულ პირთათვის სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალებში რეგისტრირებული ჩანაწერების ნუმერაცია;
- დაწესდეს მკაცრი კონტროლი, რათა დმი-ში მოთავსებულ პირთა სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოება მოხდეს უნიფიცირებული წესით ჯანდაცვის საკითხების მიმართ;
- დმი-ის თანამშრომელთა მიერ მკაცრად გაკონტროლდეს და არ იქნეს დაშვებული სამედიცინო ჩანაწერების არასახელმწიფო ენაზე გაკეთება, რითაც უხეშად ირღვევა „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი.
- დმი-ის თანამშრომლებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები და მიეცეთ სათანადო მეთოდური რეკომენდაციები, რათა დაზიანებების აღწერონ კვალიფიციურად და უნიფიცირებული მიდგომით;
- გაკონტროლდეს მდგომარეობა, რათა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ან სხვა ექიმების მიერ ადგილზე არ ჩაატარონ ისეთი მანიპულაციები, რომელთა წარმართვაც, არსებული პირობებისა და ექიმთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით, დაუშვებელია;



- დმი-ში ფსიქიკური პრობლემების მქონე დაკავებულ პირთა შეყვანის ნებისმიერ შემთხვევაში, ეს უკანასკნელნი უზრუნველყოფილი იყვნენ კვალიფიციური ფსიქიატრიული დახმარებით;
- შეწყდეს ექიმთა მიერ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლით დაწესებული აკრძალვების პრაქტიკაში გატარება და ასეთის დაფიქსირების შემთხვევაში დაისვას აღნიშნულ ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- დმი-ში მოთავსებულ პირთა მიმართ (რომლებსაც დაზიანების სახით აღნიშნებათ კანის ან ლორწოვანი საფარველის მთლიანობის დარღვევა, სისხლდენა ან სხვა ყველა საჭირო შემთხვევაში), 48-72 საათის განმავლობაში სავალდებულო წესით და სამედიცინო მდგომარეობის გათვალისწინებით ჩატარდეს ანტიტეტანური ვაქცინაცია.

სამედიცინო მომსახურება ჰაუპტვახტებში

ვაზიანის ჰაუპტვახტი

ვაზიანის ჰაუპტვახტში ჩატარებული მონიტორინგის დროს მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა სამედიცინო პერსონალს, ადმინისტრაციას, თანამშრომლებს, დაკავებულებს. დათვალიერდა არსებული ინფრასტრუქტურა, შემოწმდა სამედიცინო დოკუმენტაცია. ადგილობრივი ექიმის ინფორმაციით, ჰაუპტვახტში მუშაობს 3 ექიმი, რომლებიც ყოველ მესამე დღეს მორიგეობენ 24-საათიანი რეჟიმით. ექთანს არ ჰყავთ. ექიმის კაბინეტი წარმოდგენილია 2 მცირე ფართობის ოთახისაგან. პირველი არის პაციენტთა მისაღები და მეორე – ექიმის მოსასვენებელი. მისაღები ოთახის ფართობია დაახლოებით 8მ². ოთახს აქვს ფანჯარა, საიდანაც შემოდის დღის შუქი. ოთახში მიჯრითაა განთავსებული ტახტი, ექიმის სამუშაო მაგიდა, ტუმბო, სამედიცინო საგორებელი მაგიდა და 2 სკამი. ოთახში დამონტაჟებულია ხელსაბანი. ექიმის მოსასვენებელ ოთახში განთავსებულია სანოლი, სეიფი, სკამი, კარადა და ვენტილატორი. ექიმის გადმოცემით, წამლების ინახება სეიფში.

წარმოდგენილი იქნა ჟურნალები, რომლებსაც აწარმოებს ჰაუპტვახტის სამედიცინო ნაწილი. ესენია:

1. ჰაუპტვახტში შემოსულ სამხედრო მოსამსახურეთა ყოველდღიური სამედიცინო შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი №28;
2. ჰაუპტვახტში ამბულატორიულ ავადმყოფთა აღრიცხვის ჟურნალი №24;
3. ჰაუპტვახტის საპროცედურო ჟურნალი №27;
4. ჰაუპტვახტში მოთავსებულ სამხედრო მოსამსახურეთა შხაპის მიღების ჟურნალი №45;
5. საკვების ხარისხიანობისა და სასადილოს სანიტარიული მდგომარეობის ყოველდღიური შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი №41;
6. ფიზიკური დატვირთვისაგან გათავისუფლების აღრიცხვის ჟურნალი №44;
7. პრევენციის ჟურნალი №40;
8. ყოველდღიური დასუფთავების ჟურნალი №46;
9. მედიკამენტებისა და ხარჯვადი სამედიცინო ქონების ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი №23;
10. მედიკამენტებისა და ხარჯვის ყოველთვიური აღრიცხვის ჟურნალი №22;
11. სამედიცინო აპარატურისა და ინვენტარის აღრიცხვის ჟურნალი №26;
12. შემოსული სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი №43;
13. გასული სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი №42;
14. შემოსული საქმეები №66;
15. გასული საქმეები №65;
16. აქტების სარეგისტრაციო ჟურნალი №48;
17. მორიგეობის გადაბარების ჟურნალი №47.

საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი არ არსებობს, შესაბამისად, ამგვარი ფაქტების შესაძლო განხორციელების დროს სამედიცინო ინფორმაცია დაუფიქსირებელი

ხდება. ექიმის მიერ მონოდებული ინფორმაციით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც შემოსულა დაკავებული სისხლნაჟლენთებითა და ნაჭდევებით. თუ ტრავმის ხასიათი სერიოზულია, მაშინ ასეთ დაკავებულებს გზავნიან გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

ექიმის ინფორმაციით, მედიკამენტებით მომარაგება ხდება სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან, სადაც აღნიშნულ საკითხს კოორდინაციას უწევს ექიმი-ოფიცერი. მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხის რაიმე ლიმიტი დანესებული არ არის. ნამლებს იღებენ ყოველკვარტალურად, მოთხოვნის შესაბამისად. ექიმის მიერ მონოდებული ინფორმაციით, მედიკამენტების მისაღებად ხდება განაცხადის წარდგენა, რომელიც მიდის კოორდინატორთან და საბოლოოდ, ბაზიდან ხდება მომარაგება. ნამლების მოთხოვნასა და მონოდებას შორის ბალანსი, ექიმის აზრით, დაახლოებით 90%-ს შეადგენს. მოხმარებული მედიკამენტების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას ექიმი წარუდგენს ისევე სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს.

ექიმის გადმოცემით, ადგილზე სისტემატურად ხდება საკვების ვარგისობის შემოწმება. საანგარიშო პერიოდში საკვების ნუნდების ფაქტის შესახებ ექიმი არ მიუთითებს.

რაც შეეხება სანიტარიულ-ჰიგიენურ პროცედურებს, ექიმის ინფორმაციით, გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება (შენყდა 16 სექტემბერს) კომპანია „დრ. როდგერ კონტრაქტედ ქლინინგ“-თან, რომელიც ახდენდა სანიტარიული ღონისძიებების ორგანიზებას. ხელშეკრულებით კომპანია 3 თვეში ერთხელ უნდა მოსულიყო და დაემუშავებინა ტერიტორია. შესაბამის ჟურნალში არსებული ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ვიზიტი მხოლოდ ორჯერ განხორციელდა (2009 წლის 23 იანვარი და 16 სექტემბერი). კომპანია ატარებდა დეზინფექციას, დეზინსექციას და დერატიზაციას საკუთარი გეგმის მიხედვით და ექიმის მითითებებით.

რაც შეეხება დაკავებულ პირთა შემოყვანას ჰაუპტვახტში, ექიმის გადმოცემით, დაკავებული შემოყვანით სამედიცინო ნაწილის ექიმის ცნობითა და კვების ატესტატის თანხლებით. ექიმი ნახულობს შემოყვანილ პირს, რის შემდეგაც იგი გადაჰყავთ სასამართლოში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმი ზოგჯერ ათავისუფლებს დაკავებულს ფიზიკური დატვირთვისაგან. აღნიშნულისათვის მხედველობაში მიიღება სამედიცინო ცნობა, რომელიც გაცემულია სამხედრო ნაწილის ექიმის მიერ. მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პაციენტის გორის ჰოსპიტალში გადაყვანა ბოლო 6 თვეში არ დასჭირვებიათ.

სამედიცინო ნაწილში წარმოებს მცირე სამედიცინო მანიპულაციები: ინიექცია, გადასხმა და სხვა. სტომატოლოგიური დახმარება ადგილზე არ წარმოებს და მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლის მიცემით შემოიფარგლება.

დაკავებულთა სამედიცინო მონიტორინგისას მათ მიმართ ამბულატორული სამედიცინო ბარათი არ ინარმოება, მიუხედავად იმისა, რომ ჰაუპტვახტი დაკავებულებს უწევს მხოლოდ ამბულატორიულ სამედიცინო დახმარებას. ჰაუპტვახტში მომუშავე სამივე ექიმის სპეციალობაა „შინაგანი მედიცინა“, ხოლო ერთ-ერთს ასევე აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობით „პედიატრია“.

ექიმის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ლეტალობის შემთხვევები არ ჰქონიათ. ექიმის მიერ წარმოდგენილი იქნა III და IV კვარტლის სამედიცინო ანგარიშები (ფორმა N8/1), რომელთა მიხედვითაც ირკვევა ის სამედიცინო სახის პრობლემატიკა, რომელთან გამკლავებაც მოუხდათ ექიმებს 2009 წლის მეორე ნახევარში (საანგარიშო პერიოდი). როგორც ირკვევა, მომართვების საერთო რაოდენობამ შეადგინა 1487. მათგან ტრავმა დაფიქსირდა 1 შემთხვევაში. რაც შეეხება ავადობის სპექტრს, წარმოდგენილია ცხრილში:

1.	ნერვული სისტემის დაავადებები	32.07	136
2.	თვალისა და მისი დანამატის დაავადებები	2.84	12
3.	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	0.47	2
4.	სუნთქვის ორგანოების დაავადებები	27.35	116



5.	საჭმლის მომწოდებელი სისტემის დაავადებები	24.52	104
6.	კანისა და კანქვეშა უჯრედის დაავადებები	4.72	20
7.	ძვალკუნთოვანი სისტემის დაავადებები	2.59	11
8.	შარდსასქესო სისტემის დაავადებები	0.47	2
9.	ტრავმები	0.23	1
10.	სხვა	4.74	20
სულ		100%	424

ექიმმა გამოთქვა სამუშაო პირობების გაუმჯობესების სურვილი, რაც აბსოლუტურად მისაღებია. კერძოდ, სამედიცინო დანიშნულების ოთახისათვის უნდა გაიზარდოს ფართობი და ასევე, ექიმთა მორიგეობა უნდა დაწესდეს ყოველ მე-4 დღეს (როგორც ეს მიღებულია სხვა სამედიცინო დანიშნულებებში).

ისევე, როგორც სენაკის ჰაუპტვახტიში, მონიტორინგის დროს ჩვენი ყურადღება აქაც მიიპყრო ე.წ. „ცნობის“ ფორმამ, რომელსაც ავსებს ექიმი. ცნობა წარმოადგენს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პირმა გაიარა სამედიცინო შემონმება (ნაწილის დასახელება) სამედიცინო პუნქტში და შემონმების მომენტისათვის დაესვა დიაგნოზი (როგორც უმრავლეს შემთხვევებში, დიაგნოზის სახით იწერება – „პრაქტიკულად ჯანმრთელი“). საბოლოო ჯამში, ცნობა იძლევა დასკვნას, რომ სამედიცინო ნაწილის ექიმის რეკომენდაციით პირი „**ვარგისია ჰაუპტვახტიში მოთავსებისათვის და მას არ აქვს შეზღუდვები.**“ აღნიშნული პრაქტიკა შეუფერებელია საექიმო ეთიკის ნორმებისათვის, გარდა ამისა, იგი არღვევს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის 54-ე მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ეკრძალება – „პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ისეთ ქმედებებთან, რომლებიც დაკავშირებულია ... სასჯელში მონაწილეობასთან.“

გორის ჰაუპტვახტი

გორის ჰაუპტვახტიში მონიტორინგი ჩატარდა 2009 წლის მეორე ნახევრის პერიოდში არსებული მდგომარეობის შეფასების და ანალიზისათვის. ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა ჰაუპტვახტის ექიმს, ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს. დათვალიერდა არსებული ინფრასტრუქტურა, შემონმდა სამედიცინო დოკუმენტაცია.

ჰაუპტვახტიში მუშაობს 1 ექიმი, ექთანი არ ჰყავს. ექიმს მუშაობა უწევს ყოველდღე, კვირის გარდა. ექიმს აქვს კაბინეტი, რომელშიც ჰაუპტვახტიში მოთავსებულ პირებს უწევს სამედიცინო დახმარებას. ექიმთა მორიგეობა ჰაუპტვახტიში არ ხდება. საჭიროების შემთხვევაში, არასამუშაო საათებში მას იძახებენ სახლიდან. შვებულება ექიმს აღნიშნულის გამო ჯერ არ ჰქონია.

ჰაუპტვახტიში დაკავებულებს შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ამბულატორიული სამედიცინო დახმარება. სტაციონარული მომსახურება ადგილზე არ ხორციელდება. მონიტორინგის მომენტისათვის, სარეგისტრაციო ყურნალის მიხედვით, 2009 წლის მეორე ნახევარში ჰაუპტვახტიში შეუყვანიათ სულ 94 დაკავებული. დაკავებულთა უმრავლესობას დაზიანება ან რაიმე დაავადება არ აღენიშნებოდა და შესაბამისად, მიჩნეული იყვნენ პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებად. 5 შემთხვევაში ექიმის მიერ დაფიქსირებული იყო დიაგნოზები:

- მარჯვენა მუხლის ართრიტი;
- ქვედა მარჯვენა მხარეს მე-6 კბილის კარიესი;
- მარცხენა მუხლის ქრილობა (რეკონვალესცენციის პერიოდი);
- ასთმური ბრონქიტი;
- არტერიული ჰიპერტენზია.

საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი ისევე, როგორც სხვა ჰაუპტვახტებში, აქაც არ არსებობს, შესაბამისად, ამგვარი ფაქტების შესაძლო განხორციელების დროს სამედიცინო ინფორმაცია დაუფიქსირებელი რჩება.

დაკავებულთა სამედიცინო მონიტორინგისას მათ მიმართ ამბულატორიული სამედიცინო ბარათი არ ინარმოება, მიუხედავად იმისა, რომ ჰაუპტვახტი დაკავებულებს უნეეს მხოლოდ ამბულატორიულ სამედიცინო დახმარებას. ექიმი ანარმოებს შემდეგი სახის ჟურნალებს:

- პირადი შემადგენლობის სამედიცინო შემონმების ჟურნალი;
- მედიკამენტების აღრიცხვისა და გაცემის ჟურნალი;
- ინვენტარის აღრიცხვის ჟურნალი;
- ამბულატორიული ჟურნალი.

შემოსულ დაკავებულს თან მოჰყვება ცნობა სამედიცინო ნაწილიდან, რომელიც ასახავს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, ექიმის გადმოცემით, იგი მაინც ყველა შემოსულ პირს სინჯავს. დაკავებულების ჰაუპტვახტში ყოფნის პერიოდშიც ექიმი აწესებს სამედიცინო მონიტორინგს მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე დაკავებულები მათ არ ჰყოლიათ. ექიმი ანარმოებს ჰაუპტვახტში მოთავსებულ პაციმართა სამედიცინო შემონმების ჟურნალს, რომლის მიხედვითაც ბოლო პერიოდში დაფიქსირდა კატარული ანგინის ერთი შემთხვევა და 1 ცეფალგია. სხვა სახის რეგისტრაცია ან ჩანაწერი ჟურნალში არ მოიპოვება.

ექიმის გადმოცემით, ადგილზე შესაძლებელია განხორციელდეს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ინიექცია, გადასხმა, შეხვევა და მიკროტრავმების დამუშავება. საანგარიშო პერიოდში სტაციონარში გადაყვანილია 1 დაკავებული, რომელსაც აღენიშნებოდა ბრონქული ასთმა. ექიმის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ლეტალობის შემთხვევები არ ჰქონიათ.

ექიმის ინფორმაციით, მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით მომარაგება ნარმოებს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიდან. ექიმი მოთხოვნას წერს დეპარტამენტის სახელზე, რაც წარმოადგენს მედიკამენტებით მომარაგების საფუძველს. ნამლების მოხმარების შესახებ ექიმი ინფორმაციას ასახავს ყოველთვიურ და ყოველკვარტალურ ანგარიშებში. სამედიცინო დანიშნულების საგნებიდან, ექიმის ინფორმაციით, მათ აქვთ: ნნევის აპარატი, ფონენდოსკოპი, ამბუსპარკი, ციფრული თერმომეტრი და ენის დამჭერი. სამედიცინო ოთახში ასევე არის მცირე ქირურგიული კომპლექტი, შესახვევი მასალა და არტამენები.

ისევე, როგორც სხვა ჰაუპტვახტებში, არსებული პრაქტიკის მიხედვით, დაკავებული პირის სასჯელში ექიმს უნებურად უნეეს მონაწილეობა, აწერს რა ხელს ცნობას, რომლის მიხედვით, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი ვარგისია ჰაუპტვახტში მოთავსებისათვის. ექიმის გადმოცემით, საჭიროებისას იგი ასევე მიმართავს შესაბამის პირებს რეკომენდაციით, რომ დაკავებულს შეუწყდეს სასჯელი.

ტიპური სამედიცინო პრობლემებიდან ექიმი ასახელებს ზაფხულში „ფეხების გადაყვლეფას“, ანგინას, ცისტიტს, იშიაზსა და რადიკულიტს, ასევე, მწვავე რესპირატორულ დაავადებებს (აქვს სეზონური ხასიათი) და ა.შ.

ექიმის ინფორმაციით, საკვები ჰაუპტვახტში მოაქვთ სამხედრო ნაწილიდან. მისი ვარგისიანობას ექიმი ადგილზე ამოწმებს. საანგარიშო პერიოდში მის მიერ საკვების წუნდების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდში შედარებით გამოსწორდა ჰიგიენური პირობები. შხაპის მიღება ხდება კვირაში ერთხელ, ნარჩენები გააქვთ პერიოდულად. სანიტარიული სამსახური ადგილზე ჯერ არ მოსულა. მათ აქვთ „ქლორიანი კირი“, რომელსაც ხსნიან წყალში და ამგვარად ახდენენ სველი წერტილების დეზინფექციას. დეზინსექცია და დერატიზაცია ტერიტორიაზე მიზანმიმართულად არ ტარდება.



ბათუმის ჰაუბტვახტი

ბათუმის ჰაუბტვახტში მონიტორინგი ჩატარდა 2009 წლის მეორე ნახევრის პერიოდში არსებული მდგომარეობის შეფასებისა და ანალიზისათვის. ვიზიტის დროს მონიტორინგის ჯგუფი შეხვდა ჰაუბტვახტის ექიმს, ადმინისტრაციას, დაკავებულებს და თანამშრომლებს. დათვლიერდა არსებული ინფრასტრუქტურა, შემოწმდა სამედიცინო დოკუმენტაცია.

ადგილობრივი ექიმის ინფორმაციით, ჰაუბტვახტში მუშაობს 1 ექიმი, ექთანი არ ჰყავს. ექიმს მუშაობა უწევს ყოველდღე, კვირის გარდა. მისი სამუშაო საათებია 9.00-დან 18.00-მდე, აქვს შესვენება 13.00-იდან 14.00 საათამდე. არასამუშაო დღეებში მას მუშაობა უწევს გამოძახებით.

ექიმის კაბინეტი 1 მცირე ოთახია, სადაც ხდება პაციენტთა მიღება. ოთახში განთავსებულია ტახტი, ექიმის სამუშაო მაგიდა, წამლების კარადა და სკამები. ოთახში განათების წყაროა პატარა ფანჯარა.

საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ტრავმების აღრიცხვის ჟურნალი ისევე, როგორც სხვა ჰაუბტვახტებში, აქაც არ არსებობს, შესაბამისად, ამგვარი ფაქტების შესაძლო განხორციელების დროს სამედიცინო ინფორმაცია დაუფიქსირებელი რჩება.

ექიმის ინფორმაციით, მედიკამენტებით მომარაგება წარმოებს თავდაცვის სამინისტროდან. მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხის რაიმე ლიმიტი დაწესებული არ არის. წამლებს იღებენ ყოველკვარტალურად, მოთხოვნის შესაბამისად. ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მედიკამენტების მისაღებად წარადგენენ განცხადებას, რომელიც მიდის კოორდინატორთან და საბოლოოდ, ბაზიდან ხდება მომარაგება. მოხმარებული მედიკამენტების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას ექიმი წარადგენს ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშების სახით.

სამედიცინო დანიშნულების საგნებიდან ექიმის ინფორმაციით, მათ აქვთ: წნევის აპარატი, ფონენდოსკოპი, სამედიცინო ჩანთა M-18, ლარინგოსკოპი, ანატომიური პინცეტი, ამბუს პარკი, საინტუბაციო მილი, ქირურგიული მაკრატელი, მებალის საკვეთი, საკერავი ძაფები, ციფრული თერმომეტრი და ესმარქის ოყნა.

ექიმის გადმოცემით, ადგილზე შესაძლებელია პირველადი სამედიცინო დახმარებია, ინექცია, გადასხმა, შეხვევა და მიკროტრავმების დამუშავება. საანგარიშო პერიოდში სტაციონარში გადაყვანილია 1 დაკავებული, რომელსაც აღენიშნებოდა ბრონქული ასთმა. ექიმის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში ლეტალობის შემთხვევები არ ჰქონიათ.

ძირითადი დაავადებები, რომელთა გამოც მიმართავენ პაციენტები, ექიმმა ჩამოაყალიბა შემდეგი თანმიმდევრობით: კარიესი და პულპიტი, ცეფალგია, სოკოვანი დაავადება (უპირატესად ქვედა კიდურებზე), მწვავე რესპირაციული დაავადება (უპირატესად ცივ სეზონზე).

რაც შეეხება მცირე ტრავმებს, მათ ამუშავენ ადგილზე. ფსიქიკური პრობლემების მქონე პირები არ ყოფილან იდენტიფიცირებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთი ხასიათის პრობლემებს, როგორებიცაა კლასტროფობია და ემოციური დაძაბულობის მდგომარეობა. აღნიშნული განსაკუთრებით გახშირდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის პერიოდის შემდგომ.

ექიმის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი ჟურნალები, რომლებიც ქმნის სამედიცინო დოკუმენტაციას:

1. პაციენტის სამედიცინო შემთხვევის ჟურნალი (დაკავებულს მოჰყვება ცნობა – სამხედრო ნაწილის ექიმის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, დაკავებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მიიჩნევა ვარგისად ჰაუბტვახტში მოთავსებისათვის);
2. სამხედრო მოსამსახურეთა სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალი (აღრიცხება ამბულატორულად განეული პირველადი დახმარების შემთხვევები);

- 3. გახარჯული მედიკამენტების ჟურნალი (მონმარებული მედიკამენტების ხარჯვის აღრიცხვა);
- 4. მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალი (მიღებული მედიკამენტების აღრიცხვა);
- 5. დაბანის ჟურნალი (ექიმმა აქვე განმარტა, რომ საბანოდ გამოყოფილია კვირის, როგორც წესი, ორი დღე – სამშაბათი და პარასკევი);
- 6. ტერიტორიაზე ჩატარებული პრევენციული სამუშაოების ჟურნალი;
- 7. შემოსული და გასული სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვის წიგნი;
- 8. ინვენტარიზაციის ჟურნალი;
- 9. ფიზიკური დატვირთვისაგან გათავისუფლების ჟურნალი;
- 10. სამედიცინო კომისიის შემონმების შედეგების აღრიცხვის ჟურნალი.

დაკავებულთა სამედიცინო მონიტორინგისას, მათთვის ამბულატორიული სამედიცინო ბარათი არ ინარმოება, მიუხედავად იმისა, რომ ჰაუბტვახტი დაკავებულებს უნეეს მხოლოდ ამბულატორიულ სამედიცინო დახმარებას.

მონიტორინგის ჩატარების თარიღისათვის შემოსულთა ჟურნალში სულ 47 პირი იყო რეგისტრირებული. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას უნერია – „პრაქტიკულად ჯანმრთელი“. ერთ-ერთ დაკავებულს მითითებული ჰქონდა დიაგნოზი – ქრონიკული გასტრიტი.

ექიმის გადმოცემით, ამბულატორიულ მიღებაზე მოდიან არამარტო დაკავებულები, არამედ პირადი შემადგენლობაც. მომსახურებულ პირთა თანაფარდობა შემდეგნაირად გამოიყურება: 20% – პირადი შემადგენლობა / 80% – დაკავებულები.

რაც შეეხება სანიტარიულ-ჰიგიენურ პროცედურებს, ექიმის ინფორმაციით, სადღეინფექციო ლონისძიებები ადგილზე არ ტარდება. ასევე არ ჩატარებულა დეზინსექციაც, ხოლო სადერატიზაციო სამუშაო 10 სექტემბერს ჩატარდა.

ჰაუბტვახტის დათვალერების დროს აღმოჩნდა, რომ საპატიმრო საკნებში არსებული მდგომარეობა შეუსაბამოა ადამიანის პატივისა და ღირსებისათვის, ასევე, ამ საკნებში ადამიანის მოთავსებამ შეიძლება, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მკვეთრად ნეგატიურად იმოქმედოს.

ექიმის ინფორმაციით, საკვები ჰაუბტვახტში მოაქვთ სამხედრო ნაწილიდან. ვინაიდან საკვები ადგილზე არ მზადდება, მისი ვარგისობას ექიმი არ ამონმებს.

ზაფხულობით უფრო ხშირია დიარეის შემთხვევები, პაციენტები ექიმს მიმართავენ დიარეის, გულისრევისა და მუცლის ტკივილის ჩივილებით. ადგილობრივ ექიმს კავშირი აქვს სამხედრო ნაწილის სამედიცინო სამსახურთან. რაც შეეხება დაკავებულ პირთა შემოყვანას ჰაუბტვახტში, ექიმის გადმოცემით, დაკავებული შემოყვავთ სამედიცინო ნაწილის ექიმის ცნობით და კვების ატესტატის თანხლებით. ექიმი ნახულობს შემოყვანილ პირს, რის შემდეგადაც აფიქსირებს ინფორმაციას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში კი ათავისუფლებს დაკავებულს ფიზიკური დატვირთვისაგან. აღნიშნულისათვის მხედველობაში მიიღება სამედიცინო ცნობა, რომელიც გაცემულია სამხედრო ნაწილის ექიმის მიერ.

ისევე, როგორც სხვა ჰაუბტვახტებში, არსებული პრაქტიკის მიხედვით, დაკავებული პირის სასჯელში ექიმს უნებურად უნეეს მონაწილეობა, ანერს რა ხელს ცნობას, რომლის მიხედვით, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი ვარგისია ჰაუბტვახტში მოთავსებისათვის. ექიმის გადმოცემით, მისი რეკომენდაციით უკვე დასჯილი პირების სასჯელის შეცვლა არასდროს მომხდარა.

სენაკის ჰაუბტვახტი

სენაკის ჰაუბტვახტში მონიტორინგი 2009 წლის მე-2 ნახევარში განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის სამჯერადი მისვლით ტერიტორიაზე. ჰაუბტვახტი განთავსებულია იზოლირებულ შენობაში.



დანესებულებაში მუშაობს ექიმი, რომელიც ადგილზე იმყოფება სამუშაო საათებში. ექიმის გადმოცემით, მისთვის შენობაში გამოყოფილია ცალკე სამუშაო ოთახი. პაციენტებისადმი წარმოებს მხოლოდ ამბულატორული დახმარების განევა. ჩვენ მიერ დათვალეირდა ჰაუბტვახტის ტერიტორია, დაკავებულთა საკნები, ეზო და თანამშრომელთა სამუშაო ოთახები. გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ექიმს, დაკავებულებს. შემომნდა არსებული სამედიცინო დოკუმენტაცია.

ჰაუბტვახტის ექიმის მიერ წარმოდგენილი იქნა 14 ჟურნალი.

საპროცედურო ჟურნალის წარმოება დაწყებულია 2009 წლის 5 იანვრიდან. ჟურნალი ასახავს ჰაუბტვახტის ექიმის საქმიანობას, პაციენტთა მიღებას მომართვის საფუძველზე და ინფორმაციას ჩატარებული პროცედურების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ჟურნალში გაკეთებულია 275 ჩანაწერი. საყურადღებო შემთხვევებიდან აღსანიშნავია რამდენიმე შემთხვევა: ერთ-ერთ მათგანში (რეგისტრაციის N183) ექიმის მიერ დასმულია მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი და ითხოვს პაციენტის სტაციონარულ გამოკვლევას; (რეგისტრაციის N198) – ექიმის მიერ დასმულია მარჯვენამხრივი საზარდულის თიაქრის, ალგიური სინდრომის დიაგნოზი; (რეგისტრაციის N263) ექიმის მიერ დასმულია მარჯვენა მტევნის ლატერალური ზედაპირის კანის აბსცესი. ექიმი იქვე მიუთითებს – „აბსცესი გავკვეთე, ჭრილობა დავამუშავე და შევუხვიე“.

აბანოში გაყვანის აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით ირკვევა, რომ დაკავებულები აბანოში გაჰყავთ კვირაში ერთხელ. დაბანის დღეებია: ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი. მაგალითისათვის, 2009 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში, დასაბანად გაყვანილია 134 დაკავებული. თითოეულ გაყვანაზე გაჰყავთ დაახლოებით 4-6 პირი.

საკვების ხარისხიანობის და სასადილოს სანიტარიული მდგომარეობის ყოველდღიური შემოწმების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით, ხდება საუზმის, სადილისა და ვახშმის შემოწმება ექიმის მიერ. საკვები ჰაუბტვახტში ადგილზე არ მზადდება, გადმოაქვთ სამხედრო ნაწილიდან. საკვების ნიმუშების შენახვა ადგილზე არ ხდება. ექიმის მიერ მონოდეტული ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში მის მიერ საკვების ნუნდების ფაქტი არ არის დაფიქსირებული. ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით კი ირკვევა, რომ ყველა შემთხვევაში, საკვები დაგემოვნებით ხარისხიანია და საკვების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. აღსანიშნავია, რომ საკვების ადგილზე შემოწმება შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში არ ხდება, ვინაიდან ექიმი ამ პერიოდში სამსახურში არ იმყოფება. ექიმის ნაცვლად ზოგჯერ აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს მორიგე ოფიცერი. ექიმის ინფორმაციით, მის მიერ რამდენჯერმე იქნა გაცემული სიტყვიერი რეკომენდაცია საკვების მომზადების პროცესთან, კერძოდ, მის მარილიანობასთან დაკავშირებით.

ფიზიკური დატვირთვა-გათავისუფლების აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით რეგისტრირებულია 45 შემთხვევა, როდესაც ექიმი რეკომენდაციას იძლევა ფიზიკური დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ. ჟურნალის მიხედვით ფიზიკური დატვირთვისაგან გათავისუფლების საფუძველად მიჩნეულია, მაგალითად, პოსტოპერაციული მდგომარეობა, ტრავმის მიღება ანამნეზში, ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობა და ა.შ. აღნიშნულის შესახებ ისინი უთითებენ ჯანმრთელობის ცნობაში, რომელიც ლაზარეთისადმი გაიცემა.

სამხედრო მოსამსახურეთა სამედიცინო აღრიცხვის ჟურნალში ჩანაწერი კეთდება დაკავებული პირის ჰაუბტვახტში შემოსვლისას. შემოსვლის დროს ხდება ყველა პაციენტის გასინჯვა. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულია 305 დაკავებული სამხედრო მოსამსახურის შემოყვანა. მათგან დაახლოებით 10%-ს მიწერილი აქვს სამედიცინო დიაგნოზი, ხოლო დანარჩენ ნაწილს მიწერილი აქვს – პრაქტიკულად ჯანმრთელი. ექიმის განმარტებით, თავდაპირველად ისინი შემოსულ პირებს სინჯავდნენ პარასკეობით, რის შემდეგაც აკეთებდნენ შესაბამის ჩანაწერებს. 2009 წელს კი მიიღეს მითითება, რომ უნდა შემოწმებულიყო ყველა დაკავებული შემოსვლისთანავე და ამ პერიოდიდან ინარმოება აღნიშნული ჟურნალიც.

სამედიცინო აპარატურისა და ინვენტარის აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით 2009 წლისათვის ჰაუპტვახტის სამედიცინო კაბინეტში მიუღიათ შემდეგი ინვენტარი: სფიგმომანომეტრი – 1, ციფრული თერმომეტრი – 2, ლახტი – 3, საინსტრუმენტო მაგიდა – 4, ფონენდოსკოპი – 5, ესმარხის ოყნა – 6, ენის დამჭერი – 7, მეზალის საკვეთი – 1, ქირურგიული მაკრატელი – 1, ანატომიური პინცეტი – 1, საინტუბაციო მილი – 1, ამბუს ტომარა – 1, ლარინგოსკოპი – 1, სკალპელის ტარი – 1, სამედიცინო ჩანთა M-18 – 1. წლის ბოლომდე სამედიცინო დანიშნულების სხვა რაიმე ინვენტარი არ მიუღიათ.

სამედიცინო კომისიის შემონმების შედეგების აღრიცხვის ჟურნალი სამივე მონიტორინგის დროს ცარიელი დაგვხვდა, რასაც ექიმი ხსნის იმ მიზეზით, რომ კომისია ჯერ ადგილზე არ მოსულა.

ამბულატორიულ ავადმყოფთა აღრიცხვის ჟურნალში გატარებული დაგვხვდა სულ 5 პაციენტი შემდეგი დიაგნოზებით: მწვავე ბრონქიტით, ურეთროციტიტით და ა.შ. ექიმის განმარტებით, აღნიშნულ ჟურნალში ტარდებიან ის პაციენტები, რომლებიც იტარებენ მკურნალობის ხანგრძლივ კურსს.

მედიკამენტების და ხარჯვადი სამედიცინო ქონების ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალი ინარმოება იმ მიზნით, რომ მოხდეს ყოველდღიურად გახარჯული მედიკამენტების აღრიცხვა და დარჩენილი ნაშთის გამოთვლა. ხარჯვის ტენდენციების გათვალისწინებით, ადგილობრივი ექიმი წერს მოთხოვნას მედიკამენტებით მომარაგების თაობაზე.

სტაციონარულ მკურნალობაზე გაგზავნილ და სისტემატური საექიმო დაკვირვების მყოფ პირთა აღრიცხვის ჟურნალი ინარმოება იმ დაკავებულთა რეგისტრაციისათვის, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იგზავნიებიან სტაციონარულ მკურნალობაზე. ჟურნალის მიხედვით ასეთი შემთხვევა საანგარიშო პერიოდში სულ 5 იყო. პაციენტი მ.ი., დაესვა მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი, გაიგზავნა ფოთში, ეროვნული გვარდიის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც პაციენტს გაუკეთდა ოპერაცია – აპენდექტომია; პაციენტი კ.კ. – დაესვა გულის იშემიური დაავადების და 2 ხ. ჰიპერტენზიის დიაგნოზი. ჩანანერის მიხედვით, პაციენტი გადაყვანილი იქნა ქუთაისის საქალაქო საავადმყოფოში. პაციენტი ვ.დ. – დიაგნოზი – გულის იშემიური დაავადება; პაციენტი ლ.კ. – მწვავე ბრონქიტი, პაციენტი გ.ტ. – მწვავე ცისტიტი. სამივე პაციენტი ჯერ გაიგზავნა სამხედრო ნაწილის ლაზარეთში, ხოლო ამის შემდეგ ცისტიტის დიაგნოზის მქონე დაბრუნდა ჰაუპტვახტში, კარდიოლოგიური პრობლემის მქონე პაციენტი გადაყვანილი იქნა ქუთაისის საავადმყოფოში, ხოლო ბრონქიტის დიაგნოზის მქონე პირი – ფოთის ჰოსპიტალში.

ჰაუპტვახტში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული პრევენციული სანიტარიული სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით ირკვევა, რომ 2010 წლის განმავლობაში ამგვარი სამუშაოები სულ 6-ჯერ ჩატარდა. 2009 წლის პირველ ნახევარში – 3-ჯერ, ხოლო საანგარიშო პერიოდში – 3 ჯერ (29.07.09 – დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია, სამუშაოები ჩაატარა კონტრაქტორმა ორგანიზაციამ – შპს „დრ. როდჯერ კონტრაქტ ქლინიგ“-მა), (21.10.09 – ჩატარდა დეზინფექცია, აგრეთვე დაიყარა თაგვის ნამალი სამმართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე. სამუშაოები ჩაატარა ადგილობრივმა ექიმმა), (14.12.09 – ჩატარდა დერატიზაცია ადგილობრივი ექიმის მიერ).

ყოველკვირეული სამედიცინო შემონმების აღრიცხვის ჟურნალი – ასახავს იმ გეგმური სამედიცინო შემონმებების შედეგებს, რომლებიც ტარდება ყოველი კვირის პარასკევ დღეს. არსებული ჩანანერების მიხედვით საანგარიშო პერიოდში ამგვარი შემონმება გავლილი აქვს 358 პირს.

სამკურნალო საშუალებებისა და ხარჯვადი სამედიცინო დანიშნულების საქონლის სააღრიცხვო ჟურნალი ინარმოება ხარჯვადი მასალების მოხმარების დასაფიქსირებლად. აღნიშნულ ჟურნალში აისახება, ასევე, დახარჯული მედიკამენტები და მათი რაოდენობა.

შემოსული და გასული სამედიცინო დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი ახდენს ყველა იმ დოკუმენტის რეგისტრაციას, რომლებსაც ექიმი აწერს ხელს. მაგალითად, მოთხოვნა მედიკამენტებზე,



გასული სამედიცინო ცნობები, მოთხოვნა სადებინფექციო საშუალებებზე, სამედიცინო მოხსენებები, ანგარიშები და შეტყობინებები და ა.შ.

ექიმის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა „სახელმძღვანელო – საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებისა და სამკურნალო დაწესებულებების სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საქონლით უზრუნველყოფის შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია გაერთიანებული შტაბის უფროსის 2008 წლის 28 იანვრის №66 ბრძანებით. ექიმის განმარტებით, ამ დოკუმენტით ისინი ხელმძღვანელობენ შესაბამის სფეროში.

ჰაუპტვახტის ექიმის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით მოხდა იმ ძირითადი სამედიცინო მიზეზების ანალიზი, რომლებიც განსაზღვრავენ ავადობას. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე ხშირ ჯანმრთელობის პრობლემას წარმოადგენს ნეიროცირკულარული დისტონია, სასუნთქი სისტემის დაავადებები, სტომატოლოგიური პათოლოგია, კუჭ-ნაწლავის სისტემისა და ოტორინოლარინგოლოგიური პრობლემები. ავადობის სრული სპექტრი, ძირითადი მიზეზების ჯგუფის სახით, წარმოდგენილია ცხრილში და გრაფიკულად:

1.	ნ.ც.დ	19.39	58
2.	არტერიული ჰიპერტენზია	2.67	8
3.	ტკივილის სინდრომი	12.04	36
4.	პულმონოლოგია	15.05	45
5.	გასტროენტეროლოგია	12.37	37
6.	ნევროლოგია	3.03	9
7.	ნეფროლოგია / უროლოგია	2.34	7
8.	ტრავმატოლოგია / ორთოპედია	2	6
9.	ალერგოლოგია	4.34	13
10.	ოტორინოლარინგოლოგია	9.36	28
11.	ინფექციური დაავადებები	2.67	8
12.	სტომატოლოგია	12.74	38
13.	დერმატოვენეროლოგია	1.34	4
14.	ოფთალმოლოგია	0.66	2
სულ		100%	299

ექიმის გადმოცემით, გარდა ამ ჟურნალებისა, პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციას არ აწარმოებენ. არ ინარმოება 2006 წლის 22 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის ფორმები. აღნიშნულის გამო დარღვეულია სამედიცინო დოკუმენტაციის უნიფიცირებულად წარმოებისა და გამოყენების, დოკუმენტაციის ერთიან სისტემაში მოყვანისა და სამედიცინო დაწესებულებების მუშაობის ამსახველი ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის პრინციპები, რაც მოთხოვნილია საქართველოს ჯანდაცვის კანონმდებლობით.

მონიტორინგის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ასევე ე.წ. „ცნობის“ ფორმამ, რომელსაც ავსებენ და მოიხმარენ. ცნობა წარმოადგენს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პირმა გაიარა სამედიცინო შემოწმება (ნაწილის დასახელება) სამედიცინო პუნქტში და შემოწმების მომენტისათვის დაესვა დიაგნოზი (როგორც უმრავლეს შემთხვევებში, დიაგნოზის სახით იწერება „პრაქტიკულად ჯანმრთელი“). საბოლოო ჯამში, ცნობა იძლევა დასკვნას, რომ სამედიცინო ნაწილის ექიმის რეკომენდაციით პირი „ვარგისია ჰაუპტვახტში მოთავსებისათვის და მას არ აქვს შეზღუდვები“. ცნობას ხელს აწერს ექიმი. აღნიშნული პრაქტიკა შეუფერებელია საექიმო ეთიკის ნორმებისათვის, გარდა ამისა, იგი

არღვევს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ არსებული პრაქტიკა უნდა შეწყდეს და ექიმმა აღარ მოანეროს ხელი არანაირ დოკუმენტს, რომელიც სასჯელის დანიშვნის სანქცირებას ახდენს.

რეკომენდაციები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსს:

- უზრუნველყოს ჰაუპტვახტებში წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება 2006 წლის 22 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებული ფორმების მიხედვით;
- აღმოფხვრას ექიმების პირდაპირი ან ირიბი მონაწილეობა პირისათვის სადამსჯელო ღონისძიების შეფარდებაში.

2009/2

ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგი

ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოს ფსიქიატრიულ (სტაციონარულ) დაწესებულებებში



მონიტორინგის ვიზიტების ადგილი და დრო

ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე მონიტორინგს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სახალხო დამცველის აპარატი 2006 წლიდან ახორციელებს.

2010 წლის 8-28 იანვარს სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში მონიტორინგის ვიზიტები განხორციელდა საქართველოს 6 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში:

1. მ.ასათიანის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი – თბილისი;
2. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი – თბილისი;
3. ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო – ბედიანი;
4. ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო – სურამი;
5. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი – ქვიტირი;
6. ბათუმის რესპუბლიკური ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო – ბათუმი;

მონიტორინგის შედეგები – ზოგადი მიმოხილვა

მონიტორინგის დროს მ.ასათიანის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში სტაციონირებული იყო – 223 პაციენტი, თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში – 49 პაციენტი, ალ. ქავთაძის სახ. სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში – 82 პაციენტი, ბედიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში – 102 პაციენტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში – 471 პაციენტი, ბათუმის რეს-პუბლიკურ ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოში – 86 პაციენტი;

სისტემური საკითხები

2010 წლისთვის ფსიქიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 10 257 900 ლარამდე. შედარებისთვის: სახალხო დამცველის მიერ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის მონიტორინგის დაწყებისთვის (2006წ.) აღნიშნული მაჩვენებელი 4 950 000 ლარს შეადგენდა. დაფინანსების ზრდა მისასაღებელია, თუმცა მონიტორინგის შედეგებიდან ჩანს, რომ ასეთი ზრდა პროპორციულად არ აისახება მკურნალობის, მოვლის, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სტაციონარში პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობებზე, ასევე არაზუსტია და რეალურ საჭიროებებს ვერ უპასუხებს სტაციონარულ დაწესებულებებზე დაფინანსების განაწილების მექანიზმი.

2009-2010 წლის მონაცემებით ფსიქიატრიული დახმარების სახელმწიფო პროგრამას დამატება შემდეგი კომპონენტები:

- ბავშვთა ასაკის პაციენტთა მომსახურება;
- ურგენტული სტაციონარული მომსახურება;
- ფსიქოპატიენტური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება;
- თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვის „მეთოდოლოგიური“ კომპონენტი.

აღნიშნული კომპონენტების პროგრამაში დამატება პოზიტიური ნაბიჯია. შემდგომში საჭიროა ძალისხმევა მათი განხორციელებისთვის და დაფინანსების მატების ტენდენციის შენარჩუნება.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით შეიცვალა და უფრო მოქნილი გახდა დაფინანსების მოდელი – სტაციონარების დაფინანსება გლობალური ბიუჯეტის სქემით ხდება 2008 წლის მაისიდან. დაწესებულების დაფინანსების მოდელის შეცვლამ („პაციენტ/დღე“ დაფინანსების პრინციპიდან „გლობალური ბიუჯეტირების“ პრინციპზე გადასვლა) შეამცირა პაციენტთა დაყოვნების შემთხვევები. მკურნალობის პროცესი გახდა უფრო მეტად ორიენტირებული პაციენტის განერაზე, თუმცა ჰოსპიტალგარე სერვისების განუვითარებლობა ხელს უშლის პაციენტების რეინტეგრაციას საზოგადოებაში.

ჰოსპიტალგარე სერვისები არ არის განვითარებული, რის გამოც პაციენტთა დიდი ნაწილი, რომელიც სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას არ საჭიროებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში რჩება, ხოლო განერილი პაციენტების დიდი ნაწილი ასეთი სერვისების დეფიციტის გამო მალევე ბრუნდება სტაციონარში და საჭიროებს ხელახალ ჰოსპიტალიზაციას. ეს ერთგვარი ჩაკეტილი წრეა ფსიქიატრიაში.

დაწესებულებებს არ ჰყავს საკმარისი კვალიფიციური პერსონალი. განსაკუთრებით ეს პრობლემა საშუალო და დაბალი სამედიცინო პერსონალის შემთხვევაში აისახება.

საყოფაცხოვრებო პირობები

დაწესებულებებში ზოგად პრობლემას ინფრასტრუქტურის მდგომარეობა წარმოადგენს, კერძოდ, პაციენტთა პალატები, სადაც ისინი დროის ყველაზე დიდ ნაწილს ატარებენ, ცუდ მდგომარეობაშია.



ვენტილაციის სისტემების არარსებობის გამო განყოფილებებში არის მძიმე სუნი, განათება არასაკმარისია, გათბობა არაადაქმნაყოფილებელია. გათბობა ნორმალურია მხოლოდ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ზოგადად ცუდ მდგომარეობაშია ტუალეტებისა და სააბაზანოების მდგომარეობაც.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სტაციონარში პაციენტისთვის პირადი სივრცის უქონლობა – პაციენტებს არ აქვთ საკმარისი ინვენტარი პირადი ნივთების შესანახად, არ აქვთ პირადი ტანსაცმელი, პირადი კუთხე და განმარტოების შესაძლებლობა. სარემონტო სამუშაოების დაგეგმვისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს განყოფილებებისა და პალატების მცირე, დიფერენცირებულ ერთეულებად გადაკეთების შესაძლებლობა, რათა პაციენტები უფრო ღირსეულ, პერსონიფიცირებულ და თერაპიულ გარემოში მკურნალობდნენ. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობდა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისების ეფექტიანობასაც.

მოუწესრიგებელია პირადი ჰიგიენის საკითხი. ჰიგიენური ნივთები და საშუალებები პაციენტთა უმრავლესობას არ აქვს. ზოგიერთ განყოფილებაში ტუალეტის გამოყენების შემდეგ პაციენტს ხელის დაბანაც კი არ შეუძლია. ქალებს ხელი არ მიუწვდებათ ჰიგიენურ საფენებზე და მათ ნაცვლად დახეულ ჩერებს იყენებენ. აბაზანებში საერთო ღრუბელი გამოიყენება.

რიგ დანესებულებებში კვლავ პრობლემად რჩება კვების საკითხი. ზოგადად, ვერცერთ დანესებულებაში (ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გარდა) კვების პროცესის მენეჯმენტი სწორ, ჯანმრთელ, რაციონალურ, დაბალანსებულ კვებას ვერ უზრუნველყოფს. პაციენტებისთვის დიეტა, კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების გათვალისწინებით ინდივიდუალურად არსად არის შედგენილი.

სეირნობის საშუალება შეზღუდულია და ეზოში გატარებული დრო არ ეთმობა არანაირ დაგეგმილ ფიზიკურ აქტივობას. ბიბლიოთეკა ყველა დანესებულებას არ აქვს. ყველა დანესებულებაში არ არის ასევე მოგვარებული ტელევიზორის პრობლემა.

მკურნალობა, მოვლა და რეაბილიტაცია

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ფსიქიატრიულ სტაციონარებში შექმნილი გარემო არათერაპიული, მადეგრადირებული და შემაფრხეებელია პაციენტების გამოჯანმრთელებისათვის. გამიჯნული არ არის საჭიროებები მათთვის, ვინც კლინიკურ ფსიქიატრიულ დახმარებას საჭიროებს და მათთვის, ვინც საჭიროებს საცხოვრისსა და მხარდაჭერ სერვისებს.

პაციენტთა ფსიქიატრიული დახმარება, უპირატესად, ფარმაკოთერაპიით შემოიფარგლება. დანესებულებებში ფსიქოსოციალური რეაბილიტაციური სერვისების ნილი მცირეა, თუმცა რეალურად ის გაცილებით მეტ პაციენტს ესაჭიროება. მკურნალობის პროცესში ინდივიდუალური სამკურნალო გეგმები არ გამოიყენება. ფარმაკოთერაპია, ფსიქოთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება და რეაბილიტაციური პროგრამები არ არის კოორდინირებული ერთი და იმავე პაციენტის შემთხვევაში. ფსიქოტროპული მედიკამენტებით მომარაგება საკმარისია, თუმცა ახალი თაობის ფსიქოტროპული მედიკამენტები ნაკლებად გამოიყენება.

მონიტორინგის ჯგუფის ექსპერტების დაკვირვებით, ფარმაკოთერაპიული ზედოზირების ტენდენცია არ შეინიშნება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან დანესებულებებს მიღებული აქვთ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული გზამკვლევი. გამოკითხული პერსონალი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გზამკვლევის გამოყენება არსებული დაფინანსების პირობებში შეუძლებელია.

ლია. პერსონალი ასევე აღნიშნავს გზამკვლევების გამოყენებისთვის სპეციალური სწავლების საჭიროებას.

ზოგადად, ძირითად პერსონალსა და პაციენტებს შორის არსებული შეფარდება დაწესებულებებში მისაღებია, თუმცა იმ განყოფილებებში, სადაც პაციენტები ხანგრძლივად არიან სტაციონირებული, საშუალო და დაბალი სამედიცინო პერსონალის სიმცირე შესამჩნევია. ასევე არასაკმარისია კლინიკური ფსიქოლოგების, ფსიქოთერაპევტებისა და ოკუპაციური თერაპევტების რაოდენობა, რომლებიც პაციენტის მკურნალობის პროცესში მულტიდისციპლინური მიდგომის მონაწილეები უნდა იყვნენ.

სტაციონირებული პაციენტების რეკრეაციული აქტივობა უკიდურესად მწირია. გრძელი ვადით ჰოსპიტალიზებული პაციენტის ერთი ჩვეულებრივი დღე დაწესებულებაში არ არის სტრუქტურირებული და ძირითადად კვებით, მედიკამენტების მიღებითა და ზოგჯერ ტელევიზორის ყურებით შემოიფარგლება. ეზოში სეირნობის შესაძლებლობა შეზღუდულია. პაციენტები არ არიან დაკავებული არანაირი ფიზიკური აქტივობებით შენობის გარეთ.

წინა წლებთან (2006-07-08) შედარებით მოგვარებულია ურგენტული სამედიცინო დახმარების პრობლემა. 2009 წლიდან ფსიქიატრიული დახმარების პროგრამა ფარავს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების ურგენტულ სტაციონარულ მომსახურებასაც.

კვლავ პრობლემად რჩება სომატური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებებს დაქირავებული ჰყავთ თერაპევტები და ქირურგები (კონსულტანტები), სომატური დაავადებების შემთხვევაში ადეკვატური სამედიცინო დახმარება მაინც არ არის ხელმისაწვდომი. აღნიშნული პრობლემა ძირითადად განპირობებულია დაფინანსების მექანიზმის არარსებობით. პრობლემად რჩება ასევე სტომატოლოგიური მომსახურებაც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დაწესებულებაში პაციენტების გარდაცვალების შემთხვევები. გარდაცვალების შემთხვევებთან დაკავშირებულ ჩანაწერებში გარდაცვალების მიზეზებად არა დიაგნოზები, არამედ კლინიკური სინდრომებია დასახელებული. სიკვდილის მიზეზების დასადგენად არ არის ჩატარებული არც აუტოფსიკური გამოკვლევა.

დამამცირებელი მოპყრობა

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ პაციენტთა დიდი ნაწილი პერსონალის მოპყრობით კმაყოფილია. პაციენტები უარყოფენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და უხეშობას პერსონალის მხრიდან.

მონიტორინგის ჯგუფს პაციენტთა მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ პაციენტებისგან საჩივრები არ მიუღია, თუმცა ქვემოთ მოტანილი გარემოებები საჭიროებს ყურადღების გამახვილებას.

ნიშანდობლივია, რომ ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს არ აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი სურვილისამებრ დატოვონ დაწესებულება. კლინიკურ განყოფილებებში ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს გარესამყაროსგან ჩაკეტილი კარები აშორებთ.

დაწესებულებებში უმეტეს შემთხვევაში პაციენტის ძლიერი აღზნების კუპირებისთვის გამოიყენება ფიზიკური შეზღუდვა და ფარმაკოლოგიური ჩარევა. მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო რამდენიმე საჩივარი ფიზიკური შეზღუდვისას ძალის გადამეტებაზე.

სამედიცინო პერსონალს სპეციალური წვრთნა ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების შესახებ გავლილი არ აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული პერსონალის ნაწილი (საშუალო და დაბალი



მედპერსონალი) წინა ნლებთან შედარებით უკეთ არის ინფორმირებული ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შესახებ.

იმ პაციენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომელთა მიმართ ფიზიკური შეზღუდვა ან ფარმაკოლოგიური ინექციები გამოიყენეს, ცხადია, რომ პაციენტები ხშირად ამ ღონისძიებებს აღიქვამენ, როგორც სასჯელს. მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა იყოს დანერგილი პაციენტთან კრიზისის შემდგომი შეხვედრების და განმარტებების, ინფორმირების პრაქტიკა, რაც დაწესებულებებში დანერგილი არ არის. ეს გააუმჯობესებდა პაციენტსა და სამედიცინო პერსონალს შორის ურთიერთობას და თანამშრომლობის შესაძლებლობას.

პაციენტები გამოკითხვისას აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ სამედიცინო მანიპულაციები მათი თანხმობის გარეშე სხვა პაციენტების თანდასწრებით უტარდებათ, რაც მათი უფლებების დარღვევაა.⁵⁷

დაწესებულებათა უმრავლესობაში გამოვლინდა პაციენტების შრომის გამოყენების ფაქტები, როდესაც პაციენტები პერსონალის მოვალეობაში შემავალ სამუშაოს ასრულებდნენ.

უფლებაცვითი გარანტიები და სოციალური პრობლემები

მონიტორინგის შემდეგ, ზოგადი შეფასების მიზნით, შეიძლება ითქვას, რომ პაციენტის ღირსებისა და პიროვნების აღიარება და პატივისცემა არ არის რეზიდენციული ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის დამახასიათებელი.

რიგ დაწესებულებებში სოციალური მომსახურება არ არის სათანადოდ ორგანიზებული, შესაბამისად, ვერ სრულდება ამ ინსტიტუტის წინაშე არსებული ამოცანები: პენსიებთან, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან, პირად ქონებასთან, თავშესაფართან და მეურვეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. გამოკითხული პაციენტების ნაწილს აქვს სირთულეები და პრეტენზიები მეურვეებთან და მათი ინტერესების დაცვა სოციალური მუშაკის არარსებობის შემთხვევაში ვერ ხორციელდება. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სტაციონარში მოთავსებული არაიდენტიფიცირებული პირები, რომელთათვისაც ვერ ხერხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის აღდგენა.

პაციენტთა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ისინი არ არიან ინფორმირებული საკუთარი უფლებების შესახებ. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფმა პაციენტებმა არ იციან საკუთარი უფლების შესახებ – რომ სურვილისამებრ შეუძლიათ დატოვონ დაწესებულება.

სტაციონირებისას ინფორმირებული თანხმობის ჩამორთმევა, უმეტესად, ფორმალურ ხასიათს ატარებს. ერთი მხრივ, მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის ბარათები ხელმოწერილი დევს პაციენტთა სამედიცინო დოკუმენტაციაში, მეორე მხრივ კი, პაციენტები შეზღუდული არიან თავისუფალ გადაადგილებაში საავადმყოფოს ტერიტორიაზე. მათ ეზოში თითქმის არ უშვებენ, განერა მათი სურვილის მიხედვით არ ხდება.

მონიტორინგის დროს პერსონალთან გასაუბრებისას მიღებულ პასუხებში ასეთი პოზიცია ფიგურირებს: პაციენტი როგორც კი ითხოვს განერას, დაწესებულება მაშინვე მიმართავს სასამართლოს არანებაყოფლობით მკურნალობაზე გადაყვანის მოთხოვნით.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ პაციენტებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ უფლებაცვით მექანიზმებზე დაწესებულების შიგნით თუ გარეთ. არ იციან, ვის უნდა მიმართონ საჩივრით, რა პრო-

⁵⁷ იხ. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 30: „სამედიცინო მომსახურების განწესების დასაშვებია მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე პირთა დასწრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პაციენტი თანახმა ან მოითხოვს სხვა პირთა დასწრებას“.

ცედურა საჩივრის განხილვისთვის და სხვა. მონიტორინგის მონაცემებით იმ პაციენტთა დიდ ნაწილს, რომელიც არანებაყოფლობით არის სტაციონირებული და არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, ხელი არ მიუწვდება იურიდიულ დახმარებაზე.

დაფიქსირდა ფაქტები, როცა პაციენტები აღნიშნავენ, რომ უნდათ დანესებულების დატოვება, მაგრამ არ აძლევენ ამის უფლებას. ამავე პაციენტებს ხელი აქვთ მონერილი მკურნალობის ინფორმირებულ თანხმობაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ობიექტური პრობლემა, რომელიც ხელს უშლის პაციენტთა განერას – სოციალური სირთულეების გამო პაციენტთა ნაწილის განერა სტაციონარიდან ვერ ხერხდება. პაციენტები ითხოვენ განერას, თუმცა პრობლემა ის არის, რომ „გასანერ“ პაციენტებს ან თავშესაფარი არ აქვთ, ან ნათესავები უარს აცხადებენ მათ მიღებაზე და მათი შემოსავლებიც არ იძლევა დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობას. ასეთი პაციენტები იმყოფებიან უკიდურესად დამორტყუნებულ გარემოში.

ტელეფონი პაციენტებისთვის ყველა დანესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი. ხშირად პერსონალის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რომ პაციენტებმა ტელეფონით ისარგებლონ.

ექიმები ჩივიან, რომ პოლიციას ხშირად არასწორად მოჰყავს მოქალაქეები – საყოფაცხოვრებო კონფლიქტის იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც რეალურად ფსიქიკური დაავადების გამწვავება არ არის სახეზე. თუ კონფლიქტის ერთ-ერთ მონაწილეს ფსიქიატრიული დაავადების გამოცდილება აქვს, ეს საკმარისია, რომ პატრულმა და სასწრაფო დახმარების სამსახურმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანოს.

პოზიტიური მაგალითია მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტში არტთერაპიის განყოფილებაში არსებული პაციენტების მშობელთა გაერთიანება „აფრა“, რომლის წევრებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო აქტივობებში. აღნიშნულ აქტივობებს ატარებენ ფსიქიატრები და ფსიქოლოგები.

რეკომენდაციები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გაიზარდოს ფსიქიატრიული დახმარების პროგრამის ბიუჯეტი, რათა გაიზარდოს სამედიცინო პერსონალის ანაზღაურება და შესაბამისად გაჩნდეს მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე;
- გაუმჯობესდეს პაციენტთა საყოფაცხოვრებო და სამკურნალო პირობები, განვითარდეს ფსიქოსოციალური სერვისები, განვითარდეს თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული მომსახურება, უზრუნველყოფილი იქნეს ხელმისაწვდომობა ადეკვატურ სამედიცინო მომსახურებაზე სომატური დაავადებების შემთხვევაში;
- შემუშავდეს ფსიქიატრიულ დანესებულებებში მომუშავე საშუალო და დაბალი მედპერსონალისთვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტრენინგ-პროგრამები;
- უზრუნველყოფილი იქნეს პაციენტებისთვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო პირობები, გარემონტდეს სანიტარიული კვანძები, განიტვირთოს ის პალატები, სადაც პაციენტთა რაოდენობა ჭარბია. გარემონტდეს პალატები და აღიჭურვოს საჭირო ინვენტარით;
- უზრუნველყოფილი იქნეს პაციენტებისთვის სათანადო გათბობის პირობები;
- გაუმჯობესდეს კვების პირობები. უზრუნველყოფილ იქნას სასადილოებში უკეთესი პირობები, საკმარისი სივრცე და ინვენტარი;
- გაუმჯობესდეს პაციენტების უზრუნველყოფა პირადი ჰიგიენის ნივთებითა და საშუალებებით;
- გაიმიჯნოს და მოხდეს სერვისების დიფერენცირება მათთვის, ვინც საჭიროებს კლინიკურ



ფსიქიატრიულ დახმარებას და მათთვის, ვინც საჭიროებს საცხოვრის და მხარდაჭერ სერვისებს;

- შეიქმნას ადაპტირებული საცხოვრისები, სადაც პაციენტთა მოვლის და მხარდაჭერი მკურნალობის პროცესი მორგებული და ორიენტირებული იქნება პაციენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე, რეაბილიტაციური სერვისების მიწოდებაზე და მისი რეინტეგრაციის შესაძლებლობებზე საზოგადოებაში;
- მკურნალობის პროცესში გაზრდილი იქნეს არამედიკამენტური მეთოდების წილი. დაინერგოს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციური აქტივობები, რათა პაციენტებმა არ დაკარგონ მოტივაცია, ცხოვრების, ურთიერთობის, სოციალური აქტივობის ელემენტარული უნარ-ჩვევები;
- სტაციონარში მოთავსებული პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება სომატური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზრუნველყოფად;

ფსიქიატრიული დაწესებულებების დირექტორებს:

- პაციენტებისთვის შეიქმნას მინიმალური პირადი სივრცე, საცხოვრებელი და სამკურნალო გარემო იყოს უფრო პერსონიფიცირებული;
- სარემონტო სამუშაოების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნეს განყოფილებებისა და პალატების მცირე, დიფერენცირებულ ერთეულებად გადაკეთების შესაძლებლობა;
- ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების შემდეგ პაციენტს განემარტოს ამ ღონისძიების აუცილებლობა და მიზანი, რათა ფიზიკური შეზღუდვა დასჯის სახით არ იყოს აღქმული პაციენტის მიერ;
- გამკაცრდეს კონტროლი, რათა აღკვეთილი იქნეს პაციენტთა მიმართ რაიმე ფორმით დამამცირებელი მოპყრობისა და მათი ღირსების შელახვის ფაქტები;
- დაინერგოს მკურნალობის პროცესში ინდივიდუალური სამკურნალო გეგმების გამოყენება და მულტიდისციპლინური მიდგომა;
- პაციენტები ჩაერთონ საკუთარი მკურნალობის პროცესში და მიეცეთ საჭირო ინფორმაცია მკურნალობის შედეგების, პროგნოზისა და გვერდითი მოვლენების შესახებ;
- გაიზარდოს მკურნალობის პროცესში არამედიკამენტური მეთოდების წილი, დაინერგოს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციური აქტივობები;
- განხორციელდეს სტაციონირებული პაციენტის დღის რეჟიმის თავიდან დაგეგმვა და გადახალისება – რეკრეაციული აქტივობების წილის გაზრდა, სეირნობის უფლების უკეთ რეალიზება, ალტერნატიული თერაპიებისა და ბიბლიოთეკების რესურსის მეტად გამოყენება;
- უზრუნველყოფილი იქნეს პაციენტების უკეთ ინფორმირება მათი უფლებების შესახებ;
- მოხდეს შიდა საჩივრების მექანიზმების სრულყოფა;
- დაწესებულებებმა უზრუნველყონ ხელშეკრულების გაფორმება შესაბამის იურიდიულ პირებთან, რათა დაწესებულებების ტერიტორიაზე ან მათთან ახლოს გაიხსნას სავაჭრო პუნქტი, რომელიც მოემსახურება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონირებულ პაციენტებს და რომელშიც გაიყიდება პაციენტთათვის აუცილებელი პროდუქცია.

ბავშვთა სახლების მონიტორინგი

მზრუნველობამოკლებული ბავშვები ინსტიტუციაში, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა და დეინსტიტუციონალიზაცია

საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმა მიმდინარეობს 1999 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დეინსტიტუციონალიზაციის პილოტურმა პროგრამამ დაიწყო მუშაობა.

ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ფარგლებში შემუშავდა და განხორციელდა პოლიტიკა, სტანდარტები და პროგრამები, რომლებიც ემხრობა სოციალურ და ოჯახურ გარემოს, როგორც უპირატესს ბავშვის შემეცნებითი, სოციალური და ემოციური განვითარებისთვის.

2004 წლიდან ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფო პრიორიტეტი გახდა. რეფორმის პერიოდში რამდენიმე ინსტიტუცია დაიხურა ან განიცადა სახეცვლილება⁵⁸.

ზოგადად, ქვეყანაში აღინიშნება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში განთავსებული ბავშვების რაოდენობის მკვეთრი შემცირება 2004 წლიდან დღემდე (5200 ბავშვიდან – 1276 ბავშვამდე (ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში), მათ შორის, განვითარების შეფერხების მქონე 112 ბავშვი). სახელმწიფო სოციალური მუშაკების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ოჯახების დახმარებას, რეინტეგრაციასა და მინდობით აღზრდის მომსახურებას, გაიზარდა 51-იდან (2006 წ.) 200-მდე (2010 წ.). ასევე აღინიშნება სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ ბავშვთა დახმარებისა და ზრუნვის ალტერნატიული ფორმების რაოდენობის ზრდა (მინდობით აღზრდა, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები) იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარ ოჯახებთან ერთად ცხოვრება.

სახელმწიფოს მიერ ბავშვზე ზრუნვის პროგრამაზე გამოყოფილი რესურსები ყოველწლიურად მატულობს – 2004 წელს შეადგენდა 6,7 მილიონს, ხოლო 2009 წლისათვის ამ თანხამ 15 743 436 ლარს მიაღწია.

ინსტიტუციებში მყოფი ბავშვებისათვის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივაა. საქართველოში ეს არის პირველი მცდელობა, რომლის მიზანია, ალტერნატიული ოჯახური ტიპის მზრუნველობით უზრუნველყოს ის ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან ინსტიტუციებში ან არიან მსგავს დაწესებულებებში მოხვედრის საფრთხის წინაშე. ბავშვთა პრევენციისა და დეინს-

⁵⁸ ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის პროცესის შეფასება, იუნისეფი, საბოლოო ანგარიში, 2009 წ.



ტიტუციონალიზაციის ქვეპროგრამამ განხორციელების პირველივე წლიდან დღემდე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია და პროგრესი განიცადა.

ზემოაღნიშნული წარმატებით მიმდინარე რეფორმების ფონზე, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბავშვის უფლებების დაცვაზე, მათ მიმართ არასათანადო, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ბავშვები-სათვის არასათანადო საცხოვრებელ და სასწავლო-აღმზრდელი პირობებზე.

ბავშვთა სახლების მონიტორინგის ჩატარების წესი და მეთოდოლოგია

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგი სხვადასხვა ტიპის ბავშვთა სააღმზრდელი დაწესებულებებში. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ბავშვზე ზრუნვის ექსპერტები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის, ასევე, ბავშვის და ქალის უფლებათა დაცვის ცენტრის წარმომადგენლები. ზემოაღნიშნულმა ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს 21 მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულება, მათ შორის, 5 პანსიონური ტიპის საჯარო სკოლა და 16 სააღმზრდელი დაწესებულება (სსიპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს“ ფილიალები)⁵⁹.

შემუშავებული იქნა კითხვარები დაწესებულებისა და გარემოს შეფასებისათვის, სამედიცინო კაბინეტისა და კვების ბლოკისათვის, ბენეფიციარებისა და აღმზრდელ-პედაგოგებისათვის, რასაც საფუძვლად დაედო ბავშვის უფლებათა კონვენციაში ჩამოყალიბებული პრინციპები, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“; საქართველოს კანონი სააღმზრდელი დაწესებულების ლიცენზირების შესახებ; საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“; „ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის ძირითადი პრინციპები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 26 აგვისტოს N281/ნ ბრძანება „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, „ბავშვისათვის ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები უნდა შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რიცხოვნობისა და ვარგისობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.“⁶⁰

მონიტორინგის მიზანი იყო ბავშვთა სააღმზრდელი დაწესებულებებში ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითადი პრინციპების დაცვა, ბავშვებზე ძალადობისა და ბავშვების ბოროტად გამოყენების, არასათანადო მოპყრობის პრევენცია, ამგვარი მოპყრობის ფაქტების აღმოჩენა და მათზე შესაბამისი რეაგირება.

- ადგილებზე მოხდა შემდეგი საკითხების შესწავლა და შეფასება:
- 1. ბავშვთა სააღმზრდელი დაწესებულებებში ჩარიცხვისა და მიღების წესი, კონტიგენტის შესაბამისობა დაწესებულების ტიპთან;
- 2. ბავშვთა სააღმზრდელი დაწესებულებებში ბავშვის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა და გარემოს უსაფრთხოება;
- 3. ბავშვთა სააღმზრდელი დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის მონიტორინგი, დაავადებათა აღრე-

⁵⁹ ცალკეული ფილიალების შესახებ იხილეთ დანართში.
⁶⁰ ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3 (3)

ული გამოვლენა და შესაბამისი პროფილაქტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება;

4. უსაფრთხო, სრულფასოვანი და ბავშვის განვითარებისათვის აუცილებელი საკვებით უზრუნველყოფა;
5. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო-პედაგოგიური მუშაობისათვის შესაბამისი გარემო, ადამიანური რესურსები;
6. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვის განვითარებაზე, დაცვასა და თანამონაწილეობაზე ორიენტირებული ფსიქოსოციალური გარემო.

მონიტორინგის შედეგების ზოგადი მიმოხილვა

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი სისტემური თუ კერძო ხასიათის დარღვევები და პრობლემები, რომლებიც იმსახურებს სათანადო ყურადღებასა და რეაგირებას მზრუნველობამოქმედებულ ბავშვთა დაცვის გაძლიერებისათვის როგორც ინსტიტუციაში, ასევე დეინსტიტუციონალიზაციის პირობებში.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები სადღეღამისოა, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში დაწესებულების ბენეფიციართა გარკვეული რაოდენობა სარგებლობს მხოლოდ დღის მომსახურებით (რუსთავეის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში – 41 ბავშვი, ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში – 9, ქუთაისის 44-ე საჯარო სკოლაში პანსიონური მომსახურებით – 35). შემონახულ დაწესებულებებში სულ ირიცხებოდა 6-იდან 18 წლამდე ასაკის 1240 ბავშვი, მათ შორის, იდენტიფიკაციის გარეშე დარჩენილი იყო 20 აღსაზრდელი (ამ საკითხის გადაჭრას აბრკოლებს ის, რომ ზოგ შემთხვევაში მშობლებსაც არ აქვთ საიდენტიფიკაციო ბარათები, ბავშვს არ ჰყავს არცერთი მშობელი, ვერ ხერხდება მისი დაბადების ფაქტის დადგენა), ხოლო 18 წლის ასაკს მიღწეული – 40.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს ყურადღება იქნა გამახვილებული შემდეგ ძირითად მომენტებზე:

- ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ ინფორმირება და კონვენციის პრინციპების იმპლემენტაცია;
- ბავშვზე ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოვლენა და მათზე რეაგირება;
- იძულებითი შრომის ფაქტების გამოვლენა და მათზე რეაგირება;
- სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვის ემოციური და სოციალური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შეფასება;
- ბავშვთა დისკრიმინაციის შემთხვევების გამოვლენა და მათზე რეაგირება;
- ბავშვის მონაწილეობა, მისი პიროვნული ინტერესების, აზრის გათვალისწინება და პატივისცემა;
- კონფიდენციალურობის დაცვა.

გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია განსაზღვრავს მთავრობებისა და კერძო პირების მოვალეობებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და განმტკიცების საქმეში. კონვენციის 42-ე მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით ფართო ინფორმაცია მიაწოდონ როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს კონვენციის პრინციპებისა და დებულებების თაობაზე. ქვეყანაში აღნიშნული ვალდებულებების შესრულება ეკისრება ყველა იმ სტრუქტურას, რომლებიც ახორციელებენ ბავშვზე ზრუნვასა და მეთვალყურეობას“.

მონიტორინგის პროცესში, ბენეფიციართა ინტერვიუების გზით გამოიკვეთა, რომ აღსაზრდელს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ არ აქვთ ინფორმაცია, ხოლო თუ აქვთ, ვერ ასახელებენ ბავშვის ვერცერთ უფლებას, ხშირად ურევენ უფლებებსა და მოვალეობებს ერთმანეთში. თავიანთ უფლებად მიაჩნიათ: „დაუფეროს მასწავლებლებს“, „იყოს ზრდილობიანი“, „არ გააბრაზოს უფროსები“



და ა.შ. მაშინ, როდესაც ბავშვზე ზრუნვის სტანდარტში მითითებულია, რომ „თითოეული ბავშვი, ასაკის შესაბამისად იცნობს ბავშვის უფლებათა კონვენციას და ბავშვთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის პრინციპებს და იგი მომსახურებაში მას მიეწოდება მისთვის გასაგები ფორმით.“⁶¹

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით ყველა ბავშვს აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ პასუხისმგებლობა ბავშვის განვითარებაზე მშობლების თანაბრად ეკისრება აღმზრდელებს.⁶² აღმზრდელების როლი და მათი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება ბავშვის ინსტიტუციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას. ბავშვი არ უნდა იყოს შეზღუდული თავისი შესაძლებლობების გამოვლენაში. მას უნდა მიეცეს მაქსიმალური თავისუფლება, მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები. მას თავისუფლად უნდა შეეძლოს საკუთარი აზრის გამოხატვა ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება.⁶³

არასათანადო მოპყრობის ფაქტები ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციით⁶⁴, „ბავშვთა მიმართ ძალადობასა და სასტიკ მოპყრობას შეადგენს ფიზიკური და ემოციური ძალადობის ყველა ფორმა, სექსუალური შეურაცხყოფა, უგულბელოება და დაუდევარი მოპყრობა, ან კომერციული, ან სხვა სახის ექსპლუატაცია, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, განვითარებისა და ღირსების ფაქტობრივ ან პოტენციურ ზიანს, პასუხისმგებლობასთან, ნდობასა და ძალასთან დაკავშირებულ კონტექსტში“.

ბავშვის მიმართ ფიზიკური ძალადობა განიმარტება, როგორც ბავშვის წინააღმდეგ ფიზიკური ძალის განგებ გამოყენება, რასაც შედეგად მოსდევს (ან არსებობს ამისი მაღალი ალბათობა) ბავშვის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, განვითარებისა და ღირსების ზიანი. აღნიშნულში შედის დარტყმა, ცემა, პანლურის ამორტყმა, შეჯანჯღარება, კბენა, ყელში რაიმეს წაჭერა და სხვა. ერთ-ერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში აღმოჩენილი იყო ჯოხი, რომლითაც ბავშვებს სჯიდნენ.

გარდა ფიზიკური ძალადობისა, მნიშვნელოვანია ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც მოიცავს როგორც ცალკეულ შემთხვევებს, ისე მშობლის ან მზრუნველის მხრიდან გარკვეული დროის მანძილზე უარს, შეუქმნას ბავშვს მისი განვითარების შესაფერისი და ხელშემწყობი გარემო. ამ კატეგორიის ქმედებები ქმნის მაღალ ალბათობას, დააზიანოს ბავშვის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა, შეაფერხოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარება.

საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, „სოციალური ზრუნვის დაწესებულებებში 71,1% ბავშვებისა ფიზიკურ ძალადობას, ხოლო 61,5% ფსიქოლოგიურ ძალადობას მიუთითებდა. ასეთი ტიპის დაწესებულებებში მყოფი აღსაზრდელები მოძალადეებად მეორე ბავშვს ასახელებდნენ, თუმცა ზოგი უფროსიც აშკარად მიმართავდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სასჯელს დისციპლინის დასამყარებლად, მათ შორის, დროდადრო ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელთაც ბავშვის ფიზიკური დაზიანების გამოწვევა შეუძლია“.⁶⁵

⁶¹ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი, 6 – ემოციური და სოციალური განვითარება.

⁶² ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 27 (2)

⁶³ ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12 (1)

⁶⁴ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 1999

⁶⁵ საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, 2007-2008 წწ. განხორციელებული საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით (გვ.10).

სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფის სააღმზრდელო დაწესებულებებში ვიზიტების დროს, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელები, ასევე აღმზრდელები, პირადი საუბრებისა და ინტერვიუების დროს უარყოფდნენ რაიმე სახის ძალადობის ფაქტებს, თუმცა საპირისპიროზე მეტყველებდა რეალური სიტუაცია.

კერძოდ, ბენეფიციართა ინტერვიუებისა და ფსიქოლოგიური შეფასების მიხედვით, თითქმის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში დაფიქსირდა ძალადობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების ფაქტები არა მარტო აღმზრდელებისა და მომვლელებისა, არამედ დამხმარე პერსონალის მხრიდანაც.

ხაზი უნდა გაესვას, ასევე, თანატოლთა შორის ძალადობის ფაქტებს. ხშირია დაცინვა, დამცირება, ცემა (კაჭრეთის N2 სკოლა). აღსანიშნავია, რომ ასეთი პრობლემების შესახებ დაწესებულების ადმინისტრაცია საქმის კურსშია, მაგრამ „ვერ პოულობენ თანატოლთა ძალადობის ფაქტების გადაჭრის გზებს საკუთარი რესურსებით“.

ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს სიტყვიერი შეურაცხყოფა, ყურის აწევა, თმის მოწინკვა, ყვირილი, მუქარა, დაშინება, დამცირება, მაგალითად, კუთხეში ცალ ფეხზე დგომა, მუხლებზე დაყენება, ბუქნები, აზიდვები, იძულებითი შრომა, ოთახში ჩაკეტვა, იზოლაცია, საკვების არმიცემა, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შეზღუდვა.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის არაერთი ფაქტი, რომელთა ნაწილიც შეიძლება გაუტოლდეს არაჰუმანურ და ღირსებისშემლახველ მოპყრობას. ასევე გამოვლინდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ბავშვები ესწრებოდნენ თანატოლების მიმართ არასათანადო მოპყრობასა და დასჯას.

ანგარიშში წარმოდგენილია რამდენიმე სააღმზრდელო დაწესებულებაში გამოვლენილი სხვადასხვა სახის არაჰუმანური მოპყრობის კონკრეტული შემთხვევები.⁶⁶

დუშეთის ბავშვთა სკოლა-პანსიონი

2010 წლის 10 თებერვალს, დუშეთის ბავშვთა სკოლა-პანსიონის მონიტორინგის დროს, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ 3 თებერვალს პანსიონის პერსონალმა, ერთ-ერთი აღმზრდელის ჩანთიდან 100 ლარის დაკარგვის გამო, გამოიძახა პოლიცია. პოლიციელებმა ერთ-ერთი ბავშვი ჩასვეს მანქანაში, სცემდნენ და აიძულებდნენ ეთქვა, სად წაიღო ფული. ამის მერე დაბრუნდნენ პანსიონში და სხვა ბავშვებზეც განახორციელეს ძალადობა. აღნიშნულ ფაქტებს ესწრებოდნენ აღმზრდელებიც. ზოგიერთმა მათგანმა სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში დაადასტურა კიდევ მომხდარი. ერთ-ერთი აღსაზრდელის განცხადებით, მსგავსი ქმედებები პოლიციის მხრიდან ადრეც განხორციელებულა.

2010 წლის 15 თებერვალს სახალხო დამცველმა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოპოვებული მასალები რეაგირებისთვის გადაუგზავნა მთავარ პროკურატურას. ასევე, დუშეთის ბავშვთა სკოლა-პანსიონის აღსაზრდელთა სამედიცინო და ფსიქოლოგიური საექსპერტო შეფასების თხოვნით მიმართა წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“. 2010 წლის 18 თებერვალს „ემპათიას“ ექსპერტებმა განახორციელეს აღსაზრდელთა ფსიქოსამედიცინო მონიტორინგი, თუმცა, როგორც დასკვნაშია⁶⁷ აღნიშნული, პანსიონის ადმინისტრაციამ მათ არ მისცა საშუალება, მარტო გასაუბრებოდნენ აღსაზრდელებს. მიუხედავად ამისა, ბავშვებმა დაადასტურეს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტები.

⁶⁶ აღნიშნული შემთხვევების ვრცელი აღწერა იხ. დანართში.
⁶⁷ წამების, ძალადობის და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“-ს საექსპერტო შეფასება 40-03/10



მთავარი პროკურატურის 2010 წლის 10 მარტის წერილის მიხედვით, შიდა-ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში წინასწარი გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის №082108006 საქმეზე, დუშეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელების მიმართ დუშეთის რაიონული სამმართველოს პოლიციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

კოჯრის ბავშვთა სახლში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა გამოავლინა აღსაზრდელების მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტები აღმზრდელებისა და ძიძგების მხრიდან. როგორც აღსაზრდელების ნათქვამიდან ჩანს, მათ დაწესებულებაში ჩვეულებრივი ამბავია ბავშვის ფიზიკური დასჯა. ზოგიერთ აღსაზრდელს მონიტორინგის დროსაც ეტყობოდა სხვადასხვა ტიპის დაზიანება.

სახალხო დამცველმა საექსპერტო დახმარებისთვის მიმართა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრს „ემპათია“. განმეორებითი ვიზიტის დროს, „ემპათიას“ ექსპერტებთან და სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრისას, რასაც მისი აღმზრდელიც ესწრებოდა, ერთ-ერთმა აღსაზრდელმა უარყო ცემის ფაქტი, თუმცა შემდგომ, თავად აღმზრდელთან საუბრით გაირკვა, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრების ვიზიტის შედეგ, რომლებმაც ბავშვებს საკონტაქტო ტელეფონები დაუტოვეს, ბავშვები აღმზრდელს ემუქრებოდნენ, ხელს თუ დაგვაკარებთ, „იმათ“ დავურეკავთ და ნახეთ, რა მოგივათო. თავის ახსნა-განმარტებაში ჭიდაობის მასწავლებელიც ნაწილობრივ ადასტურებს ბავშვების ფიზიკური დასჯის მეთოდის არსებობას.

კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებული არამართებული პრაქტიკის შესახებ სახალხო დამცველმა საკითხის დამატებით მოკვლევისა და შესაბამისი რეაგირებისთვის, 2010 წლის 12 თებერვალს, მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. მიმართვაში ასევე საუბარი იყო იმ აღსაზრდელების სხვა დაწესებულებაში გადაყვანაზე, რომლებმაც სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მოუთხრეს მათ მიმართ ძალადობის ფაქტების შესახებ, რათა ისინი დაცული იყვნენ შესაძლო ანგარიშსწორებისგან ფიზიკური ძალადობის ფაქტების გამჟღავნების გამო.

წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება

წყნეთის ბავშვთა სახლში განხორციელებული ვიზიტების დროს გამოკითხული იქნა 11 აღსაზრდელი, რა დროსაც გამოაშკარავდა მათზე განხორციელებული პერმანენტული ხასიათის არასათანადო მოპყრობის ფაქტები დაწესებულების პერსონალის, ასევე, ყოფილი აღსაზრდელის, ვინმე ვახტანგ კ.-ს მხრიდან. კერძოდ, აღნიშნულ დაწესებულებაში ხდებოდა და ამჟამადაც ხდება აღსაზრდელთა ცემა, დამცირება, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ოთახში გამოკეტვა, საკვების არმიცემა.

ზემოაღნიშნული არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების, ასევე სავარაუდოდ გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების სამედიცინო და ფსიქოლოგიური საექსპერტო შეფასების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა მიმართა წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“.

აღნიშნულ ბავშვთა სახლში გამოვლენილი ძალადობის ფაქტებზე სათანადო რეაგირებისთვის 16 მარტს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.



ამრიგად, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში გამოვლენილი ძალადობისა და არაჰუმანური მოპყრობის კონკრეტული ფაქტები არღვევს ბავშვის ფუნდამენტურ უფლებებს და ეწინააღმდეგება რიგ საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტებს, რომლებსაც სავალდებულო ხასიათი აქვთ საქართველოსთვის.⁶⁸

ბავშვზე ზრუნვის ეროვნული სტანდარტები ასევე ითვალისწინებს ბავშვების ძალადობისგან დაცვას: „მომსახურების მიმწოდებელი გამოავლენს მომსახურების მიღმა მომხდარ (ოჯახში, სკოლაში და სხვა) ძალადობის უფლებელყოფის შემთხვევებს ან ამგვარი შემთხვევის საფრთხეს და რეაგირებს მასზე.“⁶⁹ მე-12 სტანდარტის აღსრულების მაჩვენებლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „თუ მომსახურების მიმწოდებელს ეჭვი გაუჩნდა ან შეატყობინეს ბავშვზე ძალადობის შესახებ, ის დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ პოლიციასა და მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს“; იმავე სტანდარტის „დ“ აღსრულების მაჩვენებელი მიუთითებს, რომ „ძალადობის ყველა ფაქტი თუ განცხადება ძალადობის შესახებ, ასევე, საპასუხოდ გატარებული ღონისძიებები, წერილობით აღი-რიცხება“. ამის მიუხედავად, არცერთ სააღმზრდელო დაწესებულებას არ ჰქონდა მსგავსი ჩანაწერები. მე-6 სტანდარტის აღსრულების მაჩვენებლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, „მომსახურების მიმწოდებელი ზრუნავს, რათა მომსახურების მოსარგებლე დაცული იყოს სხვა ბავშვების მხრიდან ძალადობისა და დაშინებისაგან.“

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ შებენიანების შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- სააღმზრდელო დაწესებულებების ქცევის კოდექსის მომზადება, რომლითაც რეგლამენტირებული იქნება სააღმზრდელო დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისა და ბენეფიციარების უფლება-მოვალეობები არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის პრევენციის მიზნით;
- ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ერთიანი მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა ძალადობისა და არაჰუმანური მოპყრობის წინააღმდეგ;
- ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში ბავშვებზე ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფოკუსირება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე, მიზეზების შესწავლასა და ურთიერთობის დარეგულირებაზე; ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებში და დაწესებულებათა დებულებებში, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, დამატებითი ცვლილებების შეტანა.
- პედაგოგ-აღმზრდელო ცნობიერების ამაღლება ბავშვთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის დაუშვებლობის შესახებ; ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და პრევენციის მექანიზმის შემუშავება და ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- ბავშვის მიერ ბავშვზე ძალადობის მიზეზებისა და გამოვლინების ნიშნების დადგენა და საგანმანათლებლო-პრევენციული ღონისძიებების დანერგვა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში;
- სააღმზრდელო დაწესებულებებში შემთხვევის მართვის პრაქტიკის დანერგვა და მულტიდისციპლინური მიდგომა;
- აღსაზრდელო ინფორმირება და განათლება ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ, რათა ბავშვის უფლების დარღვევისა და სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტის შემთხვევაში მათ შეძლონ მიმართვა სათანადო ორგანოებისადმი.

⁶⁸ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს ნამებისა და სასტიკი, არადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ბავშვის უფლებების კონვენცია.

⁶⁹ სტანდარტი 12 – ძალადობისაგან დაცვა.



ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი

ზოგიერთ ინსტიტუტში არ ხდება ბავშვის აზრის გათვალისწინება თავისი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის არჩევის დროს. რამდენიმე აღსაზარდელმა კონფიდენციალურ კითხვარში დააფიქსირა თავისი მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე შემდეგი ფორმით: „რასაც მაძლევინ ტანსაცმელს ან ფეხსაცმელს, არ ვაპროტესტებ, ვინაიდან ეს უკულტურობა“.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.“⁷⁰ იმავე კონვენციის მე-13 მუხლის მიხედვით, „ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.“

ასევე, საქართველოს ბავშვზე ზრუნვის N3 სტანდარტით, მომსახურების მიმწოდებელმა უნდა შექმნას შესაბამისი პირობები იმისთვის, რომ მომხმარებელს შეეძლოს მომსახურების შესახებ აზრის (უკუკავშირის) მიწოდება.

სააღმზრდელო დაწესებულებებში „ზოგჯერ უფროსები არც ინტერესდებიან მათი პრობლემებით და არც არასოდეს უპასუხებენ“; თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში დანერგილია ბავშვებთან უკუკავშირის გამოხატვის სხვადასხვა ფორმა და საშუალება, როგორებიცაა: კითხვა-პასუხის ყუთები, წერილები, სურვილების დაფა, ხე, ყუთი („სათნობა“, საგურამო), ასევე, ზოგ დაწესებულებაში ბავშვებს თავისუფლად შეეძლოთ, ნებისმიერ დროს დირექტორისათვის ეცნობებინათ თავიანთი უფლებების დარღვევის შესახებ („სათნობა“, ასპინძა, თელავი, სამტრედია).

კონფიდენციალურობის დაცვა

ბავშვზე ზრუნვის მე-4 სტანდარტის (კონფიდენციალურობის დაცვა) შესაბამისად, მნიშვნელოვანია, „მომსახურების გარემო და ფორმა უზრუნველყოფდეს მომხმარებელთა პირადი ცხოვრების (წერილობითი და ელექტრონული კორესპონდენციების, სატელეფონო საუბრებისა და პირადი შეხვედრების) ხელშეუხებლობას“. თუმცა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლინდა, რომ ინდივიდუალური შეხვედრებისთვის ოთახი, უმეტეს შემთხვევაში, არ იყო გამოყოფილი. იშვიათ შემთხვევაში სხვა დანიშნულების ოთახი ასრულებდა ამ ფუნქციას, ხოლო „სათნობაში“ მიმდინარეობდა აღნიშნული ოთახის რემონტი. ასპინძაში იყო ოჯახური ტიპის, კომფორტულად მოწყობილი, იზოლირებული სპეციალური ოთახი მშობლებთან შესახვედრად.

პრობლემას წარმოადგენდა ბენეფიციართა მიერ ტელეფონით სარგებლობა. გამოკითხული ბავშვების უმრავლესობა მიუთითებს, რომ ტელეფონით ვერ სარგებლობს, რადგან დაწესებულებას ტელეფონი არ აქვს, „მხოლოდ დირექტორის მობილურით არის შესაძლებელი დარეკვა“, „ამხანაგის მობილურით ვრეკავ, როცა მჭირდება“. სამტრედიის დაწესებულების ერთ-ერთი აღსაზრდელი მიუთითებს, რომ „ფსიქოლოგს არ ვენდობი, ვინაიდან მან ჩემი საიდუმლო გაამჟღავნა“. ტელეფონთან დაკავშირებული პრობლემის გამო ასევე არაა უზრუნველყოფილი პირადი საუბრების კონფიდენციალურობა. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღმზრდელები აკეთებენ შემდეგი სახის კომენტარს: „მათ თვითონ აქვთ მობილურები და როცა უნდათ და სადაც უნდათ, იქ რეკავენ“.

⁷⁰ მუხლი 12

ბავშვის შრომის გამოყენება

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, „ბავშვი დაცული უნდა იყოს ყველა ფორმის ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას“.⁷¹

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, თითქმის ყველგან, ხდება ბავშვის შრომის გამოყენება. ბავშვები ასრულებენ სხვადასხვა სახის და სხვადასხვა სიმძიმის სამუშაოს: სააღმზრდელო ჯგუფებისა და საძინებლების დაგვა-დასუფთავება, ტუალეტების მორიგეობით დასუფთავება, ჭურჭლის დარეცხვა, სასადილოში მაგიდების გაშლა და ალაგება, სამზარეულოს იატაკის მოწმენდა, ფანჯრების დანმენდა, დერეფნებისა და კიბეების დალაგება, სარეცხის გაფენა, თეთრეულის გაუთოება, როგორც საკუთარი, ასევე სხვების ტანსაცმლის და ფეხსაცმლის გასუფთავება, უმცროსი ჯგუფის ბავშვების დაბანა, მონესრიგება, ეზოს დალაგება, შეშის დაჩენვა და ჯგუფებში ატანა.

აღსაზრდელები მიუთითებენ, რომ ამ საქმიანობებს აკეთებენ იძულებით, არანებაყოფლობით, აღმზრდელების დავალებით. ბავშვს არ შეუძლია, უარი განაცხადოს ასეთი სახის დავალებაზე, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა. ბავშვები ხშირად ცდილობენ, თავი აარიდონ „დაკისრებულ პასუხისმგებლობას“ სუსტი და მორჩილი ბავშვების ხარჯზე, რომლებიც ყოველგვარ დავალებას პროტესტის გარეშე ასრულებენ. კაჭრეთის სააღმზრდელო დაწესებულების ერთ-ერთ აღსაზრდელი, უფროსი ასაკის გოგონა, მუდმივად ასრულებს სხვადასხვა სახის სამუშაოს: „გაყინულ წყალში რეცხავს“, ავადმყოფობის შემდეგაც კი (ფილტვების ანთება) ვერ აპროტესტებს „დაკისრებულ მოვალეობას“. მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროსაც ცივი წყლით რეცხავდა და ხელები გალურჯებული ჰქონდა.

აღმზრდელთა გამოკითხვა და განმარტებები ადასტურებს, რომ ბავშვები მართლაც ასრულებენ ზემოაღნიშნულ საქმიანობებს, თუმცა აღმზრდელები ამას ამართლებენ იმ მოტივით, რომ „ასე შრომის ფასს სწავლობენ“.

აღმზრდელობით-პედაგოგიური მუშაობა

ბავშვის უფლებების კონვენციის შესაბამისად, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში აღმზრდელობით-პედაგოგიურ მუშაობას ახორციელებენ უფროსი აღმზრდელები და სხვადასხვა წრის ხელმძღვანელები. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პილოტირების პროცესში ჩართული დაწესებულებებიდან განსაკუთრებული მზაობა სტანდარტების პრაქტიკაში დასანერგად და ბავშვის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ჩამოყალიბებული იყო მხოლოდ ასპინძის სააღმზრდელო დაწესებულებაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №281/ნ-ის მიხედვით, მე-5 სტანდარტის (შეფასება, მომსახურების ინდივიდუალური გეგმა და შემთხვევის მართვა) ამოქმედება სავალდებულოა 2011 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ზოგიერთ დაწესებულებაში ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა (ასპინძა, სამტრედია, თელავი, ზუგდიდი, კაჭრეთი).

დაწესებულების უფროსისადმი სააღმზრდელო საქმიანობის გეგმის წარდგენა ხდება ყოველთვიურად, ტრიმესტრულად ან ყოველწლიურად, თუმცა ეს გეგმები ზოგ შემთხვევაში იყო მოძველებული, შინაარსობრივად და თემატურად დასახვეწი, არ იყო გათვალისწინებული ასაკობრივი განვითარების

⁷¹ მუხლი 32



მოთხოვნები და ხშირ შემთხვევაში, აღსაზრდელთა გონებრივი შესაძლებლობები (სურამი, „სათ-ნობა“). მსგავსი სააღმზრდელო გეგმა საერთოდ არ იყო დუშეთსა და ტაშისკარში.

მონიტორინგის პროცესში მონახულებულ სააღმზრდელო დანესებულებებში ბავშვის უფროსთან თანაფარდობა საშუალოდ შეადგენდა 5/1. თუმცა, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ გაღებული რესურსი დადებითად არ აისახება ბავშვის განვითარებაზე. სააღმზრდელო საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება აღსაზრდელთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და დღის რეჟიმის დაცვაზე მეთვალყურეობით.

თითქმის ყველა დანესებულებაში იყო პირობები სხვადასხვა სახის წრეობრივი მუშაობისათვის. აღნიშნული წრეების მუშაობისათვის საჭირო გარემოს მოწყობა, ინვენტარითა და მასალებით უზრუნველყოფა ხდება როგორც სახელმწიფო დაფინანსებით, ასევე სხვადასხვა პროექტისა და დონორის საშუალებით.

გასართობი ოთახები, განსაკუთრებით, რეგიონებში (კაჭრეთი, ქუთაისი, ზუგდიდი, 199-ე საჯარო სკოლა) იყო მნიშვნელოვანი აღჭურვილობის ან საერთოდ არ იყო სათანადო ინვენტარით უზრუნველყოფილი. უმეტეს შემთხვევებში, გასართობი და სხვადასხვა წრეობრივი მუშაობის ოთახები იყო ჩაკეტილი და გაუთბობელი. ხელმძღვანელების განმარტებით, მხოლოდ წრეობრივი მუშაობის დღეებში (კვირაში 2-3-ჯერ) ხდება გათბობის ჩართვა.

თითქმის ყველა დანესებულებაში ბიბლიოთეკა წარმოადგენს „საჩვენებელ ოთახს“ საკმაო რაოდენობის წიგნებით (კოჯორი, თბილისის სააღმზრდელო დანესებულება, წყნეთი). ბიბლიოთეკა არ თბება, რაც ეჭვქვეშ აყენებს მისი ფუნქციონირების საკითხს. ბიბლიოთეკაში არც წიგნების მოძრაობის უზრუნველყოფა იქნა ნანახი, ვერც ბენეფიციართა გამოკითხვით დადგინდა, „რა წიგნი გამოიტანა ბოლოს ბიბლიოთეკიდან“. ზოგან ბიბლიოთეკა სააღმზრდელო ან კომპიუტერების ოთახშია განთავსებული, წიგნების რაოდენობა მნიშვნელოვნად „სავანე“, დუშეთი) და არ არის განახლებული. კომპიუტერული კლასები კი ძირითადად პროექტი „ობოლის“ ფარგლებში ფუნქციონირებდა წყნეთში და თბილისის სააღმზრდელო დანესებულებებში.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს:

■ ერთობლივი ძალებით უზრუნველყონ, სააღმზრდელო დანესებულებებში აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების მიზნით პედაგოგთა გადამზადება, ასევე, სააღმზრდელო გეგმების გადახედვა ბავშვთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ასევე, რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

■ უზრუნველყოს სააღმზრდელო დანესებულებების ბიბლიოთეკების სრულფასოვანი ფუნქციონირება, წიგნების მარაგის რეგულარული განახლება და შევსება.

პედაგოგებისა და აღმზრდელების გამოკითხვის შედეგები

პედაგოგებისა და აღმზრდელების ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი იწვევს პერსონალის დაძაბულობას, რაც აძნელებს დანესებულებებში არსებული რეალური სურათის შეფასებას. ძირითადად სააღმზრდელო დანესებულებებში პედაგოგების მხრიდან ხდება პრობლემების უარყოფა და დაფარვა. ისინი პრობლემის აღიარებას საკუთარ სისუსტედ მიიჩნევენ.

სააღმზრდელო დანესებულებებში აღმზრდელები და პედაგოგები ორიენტირებულნი არიან ბავშვის არა ძლიერ, არამედ სუსტ მხარეებზე. მაშინ, როცა ბავშვზე ზრუნვის მე-6 სტანდარტის „ვ“ ქვეპუნ-

ქტის თანახმად, „მომსახურება ბავშვის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ეხმარება ბავშვს საკუთარი ძლიერი მხარეების, რესურსებისა და შესაძლებლობების გაანალიზებაში“. ხოლო ბავშვზე ზრუნვის მე-11 სტანდარტით, „მომხმარებელთა მიმართ გამოიყენება ქცევის მართვის პოზიტიური ფორმები – წახალისება, შექება, დაჯილდოება და სხვა“, რაც რეალურად არ იქნა დაფიქსირებული მონიტორინგის პროცესში. თუმცა მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ე.წ. „დამჯერი ბავშვების“ დაჯილდოება და წახალისება. აღსაზრდელთა განმარტებით, „დამჯერი ბავშვები“ არიან ისეთები, რომლებიც მორჩილებას გამოხატავენ პერსონალის ნებისმიერი მოთხოვნის მიმართ, არასოდეს აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებას და პროტესტს. განსხვავებით იმ აღსაზრდელებისაგან, რომლებიც თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს და სურვილებს. უმრავლეს დაწესებულებაში წახალისება ხდება ზემოთ აღნიშნული პრინციპის მიხედვით, არ ეფუძნება წარმატებებს, მიღწევებს სწავლებაში, თვითშემოქმედებაში და ა.შ.

დაწესებულების აღმზრდელები არ გეგმავენ განმავითარებელ ღონისძიებებს (წრეების გარდა) თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისა და ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ პედაგოგები ვერ მიჯნავენ უფლებებისა და მოვალეობების სფეროს ერთმანეთისაგან, რის გამოც ბავშვის უფლებები შეზღუდულია და ჩანაცვლებულია მოვალეობებით. ეს უკანასკნელი კი თრგუნავს ბავშვის ინდივიდუალობასა და თავისუფლებას.

სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით აღმზრდელებს მიაჩნიათ, რომ საჭიროებენ საფუძვლიან, თანმიმდევრულ, პროფესიულ დახმარებას, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის გადამზადებას და ტრენინგებს და არა 2-3-დღიან სამუშაო შეხვედრებს, რომლებიც ძირითადად უტარდებათ პერიოდულად და უსისტემოდ, პოზიციისა და მოთხოვნილების გათვალისწინებლად.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში აღმზრდელობით-პედაგოგიური მუშაობის მეთოდების გადახედვა, ინდივიდუალური მიდგომების ჩამოყალიბება, ადამიანური რესურსების განვითარება და დამატებითი მატერიალურ-ფინანსური რესურსების მობილიზაცია.

სახელობო წრეების ფუნქციონირება

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებას აქვს სხვადასხვა სახის სახელობო წრეები. აღნიშნული ხელს უწყობს ბავშვების მიერ ახალი უნარ-ჩვევების ათვისებას და განვითარებას. ასევე, აღსაზრდელთა პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებას. მონახულებულ დაწესებულებებში აღნიშვნას იმსახურებს კარგად ორგანიზებული და განვითარებული შემდეგი საქმიანობები:

- ხეზე მუშაობა** – თბილისის, სამტრედიის, ბათუმის სააღმზრდელო დაწესებულებები;
- ბატიკა** – „მომავლის სახლი“;
- თეა** – თელავი, დუშეთი, კოჯორი, „მომავლის სახლი“, ტაშისკარი;
- კერამიკული სახელოსნო** – თელავი, კოჯორი, რუსთავი;
- ტიხრული მინანქარი** – სურამი, ტაშისკარი;
- კულინარიის წრე** – თელავი, ასპინძა;
- სპორტული წრეები:** **რაგბი** – ასპინძა, საგურამო; **ფეხბურთი** – თელავი, ბათუმი, წალენჯიხა; **ძიუდო** – თელავი;
- გობელენი** – სურამი, კოჯორი, დუშეთი;
- სიმღერის წრე** – დუშეთი, ასპინძა, ტაშისკარი, წყნეთი, ბათუმი, ლაგოდეხი;
- ხატვის წრე** – ლაგოდეხი, კოჯორი;



ცეკვის წრე – თელავი;

ინგლისური ენის შემსწავლელი – რუსთავი, ასპინძა, თელავი;

სამკერვალო წრე – ასპინძა, მომავლის სახლი;

კომპიუტერული კლასები – ბათუმი, ქუთაისი, თბილისის სააღმზრდელო დაწესებულება, წყნეთი, ასპინძა, კოჯორი, წალენჯიხა, ტაშისკარი, თელავი, რუსთავი, ზუგდიდი, სამტრედია;

ლიტერატურის წრე – მომავლის სახლი, ტაშისკარი;

სამოდელი სტუდია – მომავლის სახლი.

ფსიქოლოგიური დახმარება

12 დაწესებულების ხელმძღვანელების, ასევე სხვა პერსონალის განცხადებით, 2009 წლის განმავლობაში შტატების ოპტიმიზაციის შედეგად მოხდა ფსიქოლოგის შტატის გაუქმება, ხოლო 2010 წლის იანვრიდან ფსიქოლოგის შტატი დაწესებულებებში ისევ იქნა აღდგენილი.

სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ 21 ინსტიტუციიდან დიპლომირებული ფსიქოლოგი ჰყავს ხუთ დაწესებულებას (თელავი, ასპინძა, რუსთავი, დუშეთი, 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“). ერთ დაწესებულებას – ტაშისკარის ბავშვთა სახლს – აქვს ფსიქოლოგის შტატი, რომელიც ვაკანტურია, 6 დაწესებულებაში ვერ მოხერხდა ფსიქოლოგების ნახვა იმ მიზეზით, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრებს ისინი ადგილზე არ დახვდნენ, ხოლო 9 ინსტიტუციაში ფსიქოლოგის შტატზე მუშაობენ სხვა პროფესიის ადამიანები, მათ შორის, აღნიშნულ ინსტიტუციებში ადრე სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე პედაგოგები (ინგლისური ენის, ქართული ენის მასწავლებლები), უმეტესად კი, ყოფილი ბიბლიოთეკარები ან დირექტორის მოადგილეები. მათ ნაწილს, როგორც გაირკვა, 2006-2009 წლებში გავლილი აქვთ განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული ფრაგმენტული ტრენინგები: აგრესიაზე, ტრეფიკინგზე და ა. შ., რაც არ არის საკმარისი და არ იძლევა ფსიქოლოგიური მუშაობის კვალიფიკირებულად წარმართვის საშუალებას (რასაც შეუძლია, დადებითი შედეგის ნაცვლად ზიანიც კი მოუტანოს ბენეფიციარს), ხოლო, რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მომსახურებას, ზოგიერთ დაწესებულებაში ამგვარი სამუშაო საერთოდ არ ხორციელდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ფსიქოლოგის შტატზე დასაქმებული არაპროფესიონალი კადრი, სურვილის მიუხედავად, ვერანაირად თავს ვერ გაართმევს აღნიშნულ სამუშაოს. ერთ-ერთ დაწესებულებაში, კერძოდ, კაჭრეთის ბავშვთა სახლში, ფსიქოლოგის შტატზე დასაქმებული იყო 3 ადამიანი, თითოეული 0,5 სამშტატო ერთეულზე.

აღნიშნულ ინსტიტუციებში მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ უმრავლეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ფსიქოლოგებს არ აქვთ:

- კაბინეტი შესაბამისი მასალებით (მაგ. სხვადასხვა სახის ტესტი, ინვენტარი);
- ინსტიტუციაში მყოფი ბავშვების სრული სია და ბიოგრაფიული მონაცემები;
- ბენეფიციართა ფსიქოსოციალური მდგომარეობის სურათი (ძლიერი და სუსტი მხარეების მაჩვენებლები);
- დაკვირვების ჩანაწერების დღიური ან ჟურნალი (ინსტიტუციაში ყოფნის პერიოდის მიმდინარეობა, ანალიზი);
- კრიზისული მდგომარეობისა და სიტუაციების ჩანაწერები და პრევენციული ღონისძიებების ნუსხა;

ძირითადად, ფსიქოლოგებმა არ იციან, რა ხდება ინსტიტუციაში და რა გზებით დაარეგულირონ ბავშვის, ბავშვი-აღმზრდელის, ბავშვი-ინსტიტუციისა და ბავშვი-გარე სამყაროს პრობლემები; ასევე, დაწესებულებებში ვერ იქნა ნაწილობრივ ასოციალური, დევიაციური ქცევის ბავშვებისა და პედაგოგიური ჩამორჩენის მქონე ბავშვთა სიები, ჩამორჩენის მიზეზების, ხარისხისა და შესაბამისი საკორექციო სამუშაოების მითითებით.

ბავშვთა სახლების ბენეფიციარები წარმოადგენენ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს იმ მიზეზების გამო, რომ უმეტეს მათგანს აქვს განსაკუთრებით მძიმე ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც გამო-

ინატიბა, ხშირ შემთხვევაში, მცირენაირების ასაკიდან მათ მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში; აღსაზრდელების უმეტესობა არის დისფუნქციური, არასრული ან/და სოციალურად დაუცველი, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებიდან, ზოგიერთ მათგანს საერთოდ არააინ ჰყავს და იზრდებოდა ქუჩაში (ე. ნ. „ქუჩის ბავშვები“), ბევრი მათგანი არის მონმე საკუთარ ოჯახებში განხორციელებული სხვადასხვა სახის ძალადობისა, მშობლების ძალადობისა ერთმანეთზე, მშობლების ძალადობისა შვილებზე, უცხო ადამიანების მხრიდან – ოჯახის წევრებზე და ა.შ. ასევე, ზოგიერთი მათგანი არის ტრეფიკინგის და არაჰუმანური, ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლი.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ბენეფიციარების დიდ ნაწილს ახასიათებს სხვადასხვა ტიპის დევიაციური ქცევა, ასოციალური მიდრეკილებები, ქცევის სხვადასხვა დარღვევა და ემოციური სფეროს პრობლემები. ასევე აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა დაწესებულებაში იმყოფებიან სავარაუდოდ ფსიქოსომატური პრობლემების მქონე აღსაზრდელები (მაგ. არაორგანული ენურეზი, რომელიც არცერთ შემთხვევაში დიაგნოსტირებული არ არის), ასევე, სავარაუდოდ, გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები, რომლებიც ასევე არცერთ შემთხვევაში არ არიან დიაგნოსტირებულნი. ყოველივე ზემოაღნიშნულს ემატება უკვე ინსტიტუციებში არსებული პერსონალის ბავშვზე და ბავშვის-ბავშვზე ძალადობის, არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ბენეფიციარების ისედაც დატვირთულ ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრესული სიტუაციებით დატვირთულ გარემოში ცხოვრება, არასრულფასოვანი კვება და მოვლა მცირენაირების ასაკიდან, თუკი ამას დაემატა უკვე ინსტიტუციაში ყოფნის პერიოდში არახელსაყრელი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური გარემო და არაჰუმანური მოპყრობა, შეიცავს დიდ რისკს, რომ ბავშვი ვერ ჩამოყალიბდეს სოციალურად სრულფასოვან პიროვნებად.

აღნიშნული სტატუსის მქონე ბენეფიციართათვის ინსტიტუციებში არსებული „ფსიქოლოგიური მომსახურება“ ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელს სათანადო კვალიფიციური სერვისით იმის გამო, რომ:

- ინსტიტუციებში ფსიქოლოგის შტატზე მუშაობენ სხვა პროფესიის ადამიანები;
- იმ დიპლომირებულ ფსიქოლოგებს, რომლებიც მუშაობენ პროფესიით, არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება ამგვარ სპეციფიკურ ჯგუფებთან მუშაობისა;

არ არის დანერგული შემთხვევის მართვის პრაქტიკა და მულტიდისციპლინარული მიდგომა ფსიქოლოგის ჩართულობით.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს უზრუნველყოფას:

- კვალიფიციური, გამოცდილი კადრების შერჩევა ინსტიტუციებში სამუშაოდ შესაბამისი ანაზღაურებით;
- ინსტიტუციებში შემთხვევის მართვის პრაქტიკისა და მულტიდისციპლინარული მიდგომის დანერგვა ფსიქოლოგთა ჩართულობით;
- დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (ფსიქოლოგის კაბინეტის აღჭურვა);
- არსებული ფსიქოლოგის კადრების შეფასება და შემდგომი ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება სააღმზრდელო დაწესებულებათა სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

ბავშვის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა სააღმზრდელო დაწესებულებაში ჩარიცხვისას

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ჩარიცხვა და ამორიცხვა ხდება დაწესებულების შიდა ბრძანების საფუძველზე და ფიქსირდება ბრძანების წიგნში. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში 2009 წლამდე ჩარიცხვები ხდებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო შემდეგ – საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ. დირექტორების გადმოცემით, 2009 წლიდან 2010 წლის



1 იანვრამდე ბავშვთა ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში აღსაზრდელთა ჩარიცხვა, დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, ხორციელდებოდა სოციალური მუშაკის დასკვნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართვის საფუძველზე (გამონაკლისია სამტრედიის N15 სკოლა პანსიონური მომსახურებით, სადაც, საჯარო სკოლის წესდების მიხედვით, ჩარიცხვისათვის აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება). 2009 წლიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებულ ჩარიცხვებს თან ახლავს მხოლოდ სოციალური მუშაკის რეკომენდაცია ჩარიცხვის შესახებ. ამგვარი რეკომენდაციები, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ არაკვალიფიციურია. მაგალითად, სოციალური მუშაკის მიერ ასპინძის სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელ ს.ბ.-ზე გაცემული რეკომენდაცია არის ძალიან მოკლე და არ მოიცავს ბავშვის ბიოფსიქოსოციალურ დახასიათებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, ინფორმაციას ბავშვის რეალური საჭიროებების შესახებ. რეკომენდაციაში მითითებულია, რომ ს.ბ.-მ დაამთავრა ერთ-ერთი სოფლის დაწყებითი სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად გადმოვიდა დაბა ასპინძაში. ვინაიდან ასპინძაში არ აქვს საცხოვრებელი და არავის შეუძლია მისი მეთვალყურეობა, ამიტომ რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით ს.ბ. ჩარიცხა ასპინძის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში.

ზოგიერთი სოციალური მუშაკი ყველა ბავშვს იდენტურ დასკვნებს აძლევს (მაგალითად, რუსთავის სოციალური მომსახურების სოც. მუშაკი), რაც დასკვნისადმი ფორმალურ მიდგომაზე მეტყველებს.

სოციალური მუშაკის გაცემულ დასკვნა-რეკომენდაციაში ყველაზე სუსტი და არაკომპეტენტური არის ბავშვის სამედიცინო შეფასება, სადაც ვხვდებით შემდეგ ტერმინებს – „სუსტი ჯანმრთელობა“, თუმცა გაურკვეველია, რას გულისხმობს სოციალური მუშაკი კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე, „ვიზუალური აღქმის საფუძველზე ბავშვის ფიზიკური განვითარება შეიძლება ითქვას, რომ ნორმის ფარგლებშია“. ყოველგვარი შეფასების გარეშე და სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ჩანაწერების გარეშე კეთდება დასკვნა.

ბევრგან პირად საქმეში არ არის შემთხვევის პირველადი შეფასების ფორმა და მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დევეს აღსაზრდელის ბიოფსიქოსოციალური შეფასება, რომელიც ბავშვის შესახებ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას სრულად არ მოიცავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა ბავშვის ჩარიცხვის საკითხთან დაკავშირებით. ისეთი შემთხვევებიც დაფიქსირდა, როცა ერთი ოჯახის ორ-სამ ბავშვზე მხოლოდ ერთი დასკვნა იყო წარმოდგენილი და მხოლოდ ერთ-ერთი ბავშვის პირად საქმეში იყო ასახული. მაგალითად, რუსთავის სოციალური მომსახურების მიერ გაცემულია დასკვნა ერთი ოჯახის 3 შვილზე, სადაც ორი ბავშვის შესახებ მითითებულია, რომ ბავშვებს აქვთ მეტყველების დარღვევა, ხოლო მესამე ბავშვზე წერს, რომ „შ.ჯ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა“. თუმცა დასკვნაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რაში გამოიხატება სიმძიმე და რა სახის რეკომენდაციას აძლევს ბავშვს. ასევე არ არის მითითებული, აღნიშნული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენად არის სარისკო და საჭიროებს თუ არა გადაუდებელ დახმარებას.

ინსტიტუციის ხელმძღვანელები აღიარებენ ბავშვებისთვის მცირე ზომის სერვისის ან მინდობით აღზრდის უპირატესობას, თუმცა მიაჩნიათ, რომ ამ მიზნით საქმიანობა მათთან არაკოორდინირებულად მიმდინარეობს.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ბავშვი ინსტიტუციაში მოხვედრილია მიმღები ოჯახიდან ან მცირე ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლიდან, რის მიზეზადაც ბავშვის სირთულე სახელდება, თუმცა გაუგებარია, როგორ უნდა იყოს შესაძლებელი დიდი ზომის ინსტიტუციაში მსგავს ბავშვებზე ადეკვატური ზრუნვის განხორციელება.

ზოგჯერ დაწესებულების ხელმძღვანელს უწევს დაწესებულების ლიმიტის გადაჭარბებით მიიღოს ბავშვები „უფროსების თხოვნით“, (კაჭრეთი №2 სკოლაში სიით – 75 ბავშვი, ლიმიტი – 70 ბავშვი), რაც იწვევს დაწესებულების გადატვირთვას და პრობლემებს ქმნის ბავშვების კვების დაფინანსების საქმეში. რეალურად ბავშვების გამოკვება ხდება დაწესებულებიდან დროებით გასული ბავშვების ხარჯზე.

დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ბავშვების ჩარიცხვა ხდება არასრულყოფილი საბუთების საფუძველზე, ხშირად საბუთებს არ ახლავს ფორმა IV - 100/ა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ფორმა IV - 100/ა-ში არ არის ასახული რეალური ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ. აქედან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში, დაწესებულება არ შეესაბამება ბავშვის სპეციფიკას. დაწესებულების ექიმების გადმოცემითა და ობიექტური შეფასებით, სავარაუდოა საშუალო და მძიმე ფორმის გონებრივი განვითარების შეფერხების შემთხვევები (წყნეთის ბავშვთა სახლში – 8 ბავშვი, დუშეთში – 2, კოჯორში – 1 ბავშვი). აღნიშნული დიაგნოზები არ არის დაფიქსირებული, ეს ბავშვები ვერ დადიან სკოლაში და მათ მიმართ არც ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობი მიდგომებია დანერგული.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ რეგულარული ხასიათი უნდა მიეცეს მიღებული ბავშვების საბუთების გადახედვას, რათა მოხდეს ბავშვის მდგომარეობის გაუმჯობესების/გაურესების, ოჯახის სოციალური მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა ბავშვის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამტრედიის N15 საჯარო სკოლა, რომელიც განკუთვნილია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის. იგი წარმოადგენს მკაცრად დახურული ტიპის ინსტიტუციას, სადაც დეზულების მიხედვით ჩარიცხვა ხდება 11 წლის ასაკიდან, სასამართლო დადგენილებით. ხშირად ჩარიცხვა ხდება არა ბიოლოგიური ასაკის მიხედვით შესაბამის კლასში, არამედ გონებრივი შესაძლებლობის შესაბამისად, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს დაწესებულებაში გადაზრდილი ბავშვების რიცხვის ზრდას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- გაზარდოს სოციალური მუშაკების ჩართულობა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში;
- განახორციელოს სოციალური მუშაკებისათვის ბავშვის ბიოფსიქოსოციალური შეფასების კრიტერიუმებისა და სტანდარტების შემუშავება;
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს დეზულებში ბავშვის დაწესებულებაში ჩარიცხვისა და გაყვანის წესების დეტალურად განსაზღვრა, ჩარიცხვის დროს ბავშვის მონაცემების უნიფიცირებული ფორმით შეფასება.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან ბავშვების გაყვანა

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებიდან გაყვანა ხდება იმ შემთხვევაში, თუ გამიზნულია ბავშვის ჩართვა რეინტეგრაციის, მინდობითი აღზრდის ან მცირე საოჯახო ტიპის მზრუნველობაში გადასაყვანად, ასევე, მშობლების განცხადების საფუძველზე.

აღსაზრდელო ამორიცხვა ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილობითი მომართვის საფუძველზე. მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ხელმძღვანელი ამოსარიცხი კანდიდატების შესახებ აცნობებს სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამ უკანასკნელის მიერ შემთხვევის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღსაზრდელი ტოვებს დაწესებულებას.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან მშობლის განცხადების საფუძველზე დროებით გაყვანილი (შაბათ-კვირას, დღესასწაულებზე) აღსაზრდელების ოჯახიდან დაწესებულებაში დაბრუნება, ზოგიერთ შემთხვევაში, გართულებულია (სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, კაჭრეთის №2 სკოლა). არის შემთხვევები, როცა მშობელი ბავშვს თვებით არ აბრუნებს დაწესებულებაში (კაჭრეთი, ვ.ბ), ბავშვი ვერ მიჰყვება სასწავლო პროცესს და ზოგჯერ, მშობლის დავალებით, მათხოვრობს კიდევ.



შიდა დოკუმენტაციის წარმოება

დანესებულებათა უმრავლესობაში არ არსებობს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებით გათვალისწინებული უბედური შემთხვევების რეგისტრაციის ჟურნალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ ხდება ძალადობის ფაქტების აღრიცხვა, არ არსებობს დოკუმენტაციის წარმოების ერთიანი სისტემა, ასევე, სხვადასხვა ხასიათის სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება ხდება არასტანდარტული ფორმების მიხედვით.

დანესებულებებში არ იქნა ნანახი საინფორმაციო პაკეტი დანესებულების მომსახურების შესახებ. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა თელავის სააღმზრდელო დანესებულება.

ყოფილ აღსაზრდელო დასაქმება

ყველა დანესებულებისათვის პრობლემას წარმოადგენს 18 წელს მიღწეულთა დასაქმებისათვის და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტის შესაბამისად, „მომსახურების მიმწოდებელი ხელს უწყობს 14 წლის ასაკიდან ბავშვების პროფესიული ორიენტაციის გამორკვევას.“⁷² ამ მიმართულებით თითქმის ყველა სააღმზრდელო დანესებულებაში მეტ-ნაკლებად ტარდება სხვადასხვა საქმიანობა: ხეზე, თიხაზე, თექაზე, ბატიკაზე მუშაობა, ხელსაქმობა, მოდელირება და სხვადასხვა ნაკეთობათა დამზადება (თბილისის სააღმზრდელო დანესებულება, „მომავლის სახლი“, სამტრედიის №15 სკოლა, დუშეთისა და თელავის სააღმზრდელო დანესებულებები).

აღსანიშნავია, რომ ასპინძაში არის საჭირო ინვენტარით კარგად აღჭურვილი სამკერვალო კაბინეტი. ხდება აღსაზრდელების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. სამტრედიის დანესებულებას აქვს პურის საცხობი დანადგარი. ბავშვები სწავლობენ პურის ცხობას და შემდგომში გეგმავენ გამომცხვარი პურის რეალიზაციას. აქვე მონყობილია საპარიკმახერო ოთახი და აქვთ შესაბამისი ინვენტარიც. ტაშისკარისა და სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებს აქვს თექისა და ტიხრული მინანქრის შემსწავლელი წრეები, უფროსი ასაკის ბავშვები აქტიურად არიან ჩართულნი ხელობის შესწავლის პროცესში.

ბავშვზე ზრუნვის განათლების სტანდარტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დანესებულება „თანამშრომლობს დამსაქმებელთან აღსაზრდელო დასაქმების მიზნით“. ზოგიერთ ინსტიტუციას დადებითი გამოცდილება აქვს ამ მიმართულებით. მთავარი პროკურატურის პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, რეგიონული პროკურორის მიერ შესწავლილი იქნა 18 წელს მიღწეული მოზარდის დასაქმების საკითხი (ასპინძის სააღმზრდელო დანესებულება), განხორციელდა რამდენიმე 18 წელს მიღწეული მოზარდის დასაქმება (2 გოგონა დასაქმდა მალაზიაში 1 – ძეხვისა და სოსისის საწარმოში).

18 წელს მიღწეული დასაქმების პრაქტიკა დაფიქსირდა სხვადასხვა ფილიალშიც (სამტრედიის №15 სკოლა, თბილისის სააღმზრდელო დანესებულება), თუმცა ეს არის ერთეული შემთხვევები და საჭიროებს საზოგადოებისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან უფრო მეტ მხარდაჭერასა და რეალურ დახმარებას.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

■ შეიმუშაოს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებების მიერ 18 წელს მიღწეულთა შემდგომი დასაქმებისა და პროფესიული-უმადლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, მათი საცხოვრებელი პირობების, უნარებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

⁷² სტანდარტი 7, „ვ“ პუნქტი.

ფიზიკური გარემო

ბავშვზე ზრუნვის მე-13 სტანდარტის მიხედვით (უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა), „მნიშვნელოვანია უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. მომსახურების მიმწოდებელი ატარებს ღონისძიებებს, რათა მომსახურების ადგილებში თავიდან იქნეს აცილებული უბედური შემთხვევები და არ დაშავდეს მომხმარებელი. ასევე დაცულია მომხმარებლის პირადი ნივთები. მომხმარებელი ინფორმირებულია პოტენციური საფრთხისა და საშიშროების შესახებ.“⁷³

უსაფრთხოება

აღსანიშნავია, რომ ბევრ შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესწავლილ ობიექტებზე არ არის თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საკონტაქტო ინფორმაცია პოლიციის, სახანძროს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, გაზის, ელექტროენერჯისა და წყლის მიმწოდებელი დაწესებულებების, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს შესახებ. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაცია გამოკრულია, თუმცა არ არის სრულყოფილი (თბილისის სააღმზრდელო დაწესებულება, ლაგოდეხის, თელავის, კაჭრეთის, ასპინძის, ზუგდიდის, ბათუმის სააღმზრდელო დაწესებულებები, სამტრედიის №15 სკოლა).

ბევრგან ტელეფონი არ იყო ხელმისაწვდომი ბავშვებისათვის. დირექტორების განცხადებით, „მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ, ისარგებლონ დირექტორის კაბინეტში არსებული ტელეფონით“. უმრავლეს დაწესებულებაში ტელეფონი არ მუშაობდა, დავალიანების გადაუხდელობის გამო.

ბავშვის სკოლაში წასვლა-მოსვლა და უსაფრთხოების საკითხი არ არის გადანყვეტილი ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვმა ფეხით საკმაო მანძილი უნდა გაიაროს. სურამის სააღმზრდელო დაწესებულებაში 2008 წელს დაფიქსირდა ავტოავარიის შემთხვევა, რის შედეგადაც, ცენტრალური ავტომობილის გარეშის ფეხით გადაკვეთის დროს, დაიღუპა 11 წლის აღსაზრდელი.

ბავშვზე ზრუნვის მე-13 სტანდარტის „გ“ ქვეპუნქტით, მოთხოვნილი ხანძარსა და სანაღმდეგო უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი კუთხე სააღმზრდელო დაწესებულებების უმრავლესობაში არ არის, ხოლო სადაც არის, მოძველებული და არასრულყოფილია (თელავი, ლაგოდეხი, ასპინძა).

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სხვადასხვა გადაუდებელი შემთხვევისა და საჭიროებისათვის შესაბამის დაწესებულებასთან დასაკავშირებლად საკონტაქტო ინფორმაციის თვალსაჩინო ადგილას განთავსება. (პოლიცია, სახანძრო, სასწრაფო, სამედიცინო დახმარება, გაზის, ელექტროენერჯისა და წყლის მიმწოდებელი დაწესებულებები, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები, სახალხო დამცველისა და სხვა).
- უზრუნველყოს ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში ბენეფიციართა ტელეფონით ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს და პირადი საუბრების კონფიდენციალურობა.
- ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებთან თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს სააღმზრდელო დაწესებულებებიდან აღსაზრდელთა ტრანსპორტირება სკოლამდე და უკან, ასევე, ბავშვების დამოუკიდებლად ოჯახში მგზავრობისას მათი გადაადგილება ავტოსადგურამდე.
- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ტერიტორიაზე ხანძარსა და სანაღმდეგო უსაფრთხოების კუთხის გამართულობა და სათანადო აღჭურვილობა; ასევე, პერსონალის ინფორმირება ხანძრის პრევენციისა და ხანძარსა და სანაღმდეგო ღონისძიებების შესახებ.

⁷³ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი – 13



ინფრასტრუქტურა

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებების ეზოები უმეტესად კეთილმო-უნყობელია. ტერიტორია არ არის დაცული და შემოღობილი (ყველა დაწესებულებაში არის დარაჯის რამდენიმე შტატი); არ არის მოწყობილი სათამაშო მოედნები, თუმცა ზოგიერთ ინსტიტუციაში იყო სხვადასხვა პროექტის ფარგლებში განახლებული სპორტული მოედნები (ბათუმი, წყნეთი, თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება). რეგიონებში ბუნებრივი გამწვანება და ფართი სააღმზრდელო დაწესებულებისათვის საკმარისია. შემონახულ ობიექტებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ძირითადად არაა დამაკმაყოფილებელია. ზოგიერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში ფართის გარკვეული ნაწილი სარემონტო და აუთვისებელია (კოჯორში – საცხოვრებელი კორპუსის მე-2 სართული, საგურამოში – მე-3 სართული, დუშეთში – ძირითადი კორპუსის მე-3 სართული).

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია არცერთ ინსტიტუციაში არ არის ჩატარებული. ფრაგმენტულად არის გარემონტებული რამდენიმე ბავშვთა სახლი (თელავის, ასპინძის და ბათუმის ბავშვთა სახლები, სამტრედიის №15 სკოლა). ზოგან ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები („სათნობა“, საგურამოს ბავშვთა სახლი). ავარიულ მდგომარეობაშია „მომავლის სახლის“ შენობა, ტაშისკარისა და წყნეთის სააღმზრდელო დაწესებულებების ის კორპუსები, სადაც განთავსებულია სამედიცინო კაბინეტები.

ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოებია (მეტალოპლასტმასის ფანჯრების დამონტაჟება და სველი ნერტილების შეკეთება) ჩატარებული ზოგიერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში (კოჯორი, ბათუმი, სამტრედია, დუშეთი, საგურამო, 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“). ხოლო ზოგან კი კარ-ფანჯარა ძველი და ამორტიზებულია, მინები – ჩატეხილი (თბილისის სააღმზრდელო დაწესებულება, ქუთაისის №44 სკოლა).

ელექტროგაყვანილობა, ელექტრომომარაგება, წყლით უზრუნველყოფა, გათბობა, სადღეინფექციო ღონისძიებები

ზოგიერთ დაწესებულებაში ელექტროგაყვანილობა საფრთხეს უქმნიდა ბავშვების სიცოცხლეს, არ იყო იზოლირებული და ელექტროგამანაწილებელში მოთავსებული (თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, 199 საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“, „მომავლის სახლი“).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელი ელექტროენერჯის ეკონომიის მიზნით სასწავლო-სააღმზრდელო ოთახებში იყენებს დაბალი სიმძლავრის ნათურებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს სათანადო განათებას (სურამი, დუშეთი, ლაგოდეხი, წალენჯიხა, ტაშისკარი); ზოგან საერთოდ არ ეკიდა ნათურები დერეფნებში, ტუალეტებში, საშხაპებში (№199 საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“ და ტაშისკარის სააღმზრდელო დაწესებულება).

დაწესებულებათა გარკვეულ ნაწილს წყალმომარაგება ცენტრალური, უწყვეტი რეჟიმით მიენოდება („მომავლის სახლი“, „სათნობა“, თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“, საგურამო), ნაწილს წყალი მიენოდება გრაფიკით (რუსთავი, წყნეთი, კოჯორი, ქუთაისი, ასპინძა), ხდება წყლის მომარაგება ავზებში და შემდგომში განაწილება. საყურადღებოა, რომ ვერცერთი დაწესებულების ხელმძღვანელი ვერ ასახელებს, რამდენ დღეში ერთხელ ხდება ავზების ბოლომდე დაცლა და წყლის მთლიანად შეცვლა ან ავზის განმენდა.

ჭიდან და ჭაბურღილიდან წყალი მიენოდება დუშეთის, ზუგდიდის და თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებს. წყალსაქარით ხდება წყლის ავზებში მომარაგება და შემდეგ განაწილება. ასეთ შემთხვევაში წყლის ვარგისობის დამადასტურებელი საბუთის მოძიება ვერ მოხერხდა. ამ საკითხზე მხოლოდ ხელმძღვანელთა ზეპირი ინფორმაცია მივიღეთ იმის თაობაზე, რომ „წყალი შემონახულია“.

ინსტიტუციური დანერგვების გატობა ხდება ცენტრალიზებულად (კოჯორი, საგურამო, რუსთავი, „მომავლის სახლი“, „სათნობა“, ქუთაისის N44, თბილისის 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“, ასპინძის სააღმზრდელო დანერგვება, სამტრედიის N15 სკოლა) ან შერეული ფორმით, ელექტროგამათობლებისა და დახურული სისტემის ბუნებრივი აირის გამათობლებით (თბილისის სააღმზრდელო დანერგვება, წყნეთი, დუშეთი). აღსანიშნავია, რომ თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დანერგვებაში ამ გამათობლების ნაწილი მწყობრიდან არის გამოსული, ხოლო დუშეთში, პირველ სართულზე განთავსებულ სამ სასწავლო-სააღმზრდელო ოთახში, აღინიშნებოდა გაზის შესამჩნევი სუნის.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ გატობაზე ხარჯის შემცირების მიზნით, ზოგან გატობას რთვენი მხოლოდ ძალიან ცივ ამინდებში და საღამოს საათებში (N199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“).

რეგიონებში გატობა როგორც საძინებელ, ასევე სააღმზრდელო ოთახებში ძირითადად ხდება შეშის ღუმლების გამოყენებით ნალენჯიხაში აღსაზრდელების სკოლიდან მოსვლის მომენტისთვის არ იყო ანთებული შეშის ღუმლები როგორც სააღმზრდელო, ისე საძინებელ ოთახებში.

შემონებული ობიექტებიდან დეზინფექცია ნარმოებს მხოლოდ ზოგ დანერგვებაში (თბილისის სააღმზრდელო დანერგვება, წყნეთი, ასპინძა) შესაბამის სამსახურებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სამუშაოები სრულდება არაგეგმურად, არ არსებობს წინასწარი გრაფიკი, რაზეც მეტყველებს ადმინისტრაციის მიერ ნარმოდგენილი, ჩატარებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები. დეზინფექცია-დერატიზაცია ნარმოებს არაგეგმურად, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სამსახურების გამოძახების გზით.

სახლხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოს შესაბამისი თანხების გამოყოფა ბავშვთა სააღმზრდელო დანერგვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ეტაპობრივი დაგეგმვა-განხორციელებებისათვის.

სახლხო დამცველი ასევე რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სააღმზრდელო დანერგვების კომუნალური სისტემების გამართულობა და სადეზინფექციო სამუშაოების რეგულარობის კონტროლი.

ბავშვთა ჰიგიენა და პირადი ნივთებით უზრუნველყოფა

ცხელი წყლით უზრუნველყოფა ცენტრალიზებულად ხდება „სათნობაში“, „მომავლის სახლში“ და საგურამოში. თითქმის ყველა დანერგვებაში აღსაზრდელთა დაბანა, შესაბამისად, საშხაპების ცხელი წყლით უზრუნველყოფა, ხდება კვირაში ერთხელ, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საშხაპების რაოდენობა არ შეესაბამება აღსაზრდელთა რაოდენობას. ზოგან საშხაპები განთავსებულია ერთ სათავსოში ერთმანეთისაგან გაუმიჯნავად და ზოგან მწყობრიდან არის გამოსული (კოჯორი, 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“). წყნეთის ბავშვთა სახლში გაზქურაზე ხდება დასაბანი წყლის გაცხელება კოტეჯის პირველ სართულზე, შემდეგ წყალი აქვე ზემო სართულის სააბაზანოში, სადაც ერთდროულად მხოლოდ ერთ ბავშვს შეუძლია, დაიბანოს. 199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომაროვი“-ს ღირექტორის განმარტებით, კვირაში ერთხელ, დაბანის დღის გარდა, ყოველდღიური პირადი ჰიგიენური პროცედურების ჩატარებას მოზარდები „როგორღაც ახერხებენ“, თუმცა როგორ, ამით არასოდეს დაინტერესებულა. მონიტორინგის დროს გამოვლინდა, რომ ბავშვები ერთმანეთს ეხმარებიან და ასე ინერსივებენ თავს, ზოგ ოთახში სანოლის ქვეშ ჰქონდათ ტაშტები და კარადებში – ელექტროგამაცხელებლები.



ტუალეტები არის როგორც აზიური ტიპისა, ასევე უნიტაზებით აღჭურვილი, ხშირად გაუმართავი, არ არის უზრუნველყოფილი წყლის მომარაგებით (წყნეთში კოტეჯის მეორე სართულზე არცერთ სანიტარულ კვანძს წყალი არ მიეწოდება), ძალიან ცუდ მდგომარეობაშია კაჭრეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების ტუალეტები.

დაწესებულებებში ხელსაბანების რაოდენობა, როგორც წესი, არ არის საკმარისი. ხშირ შემთხვევაში, ხელსაბანები დაზიანებული, ამორტიზებული და უფუნქციოა (ტაშისკარი, ქუთაისი, სურამი, თბილისი, ბათუმი, წყნეთი).

თბილისის სააღმზრდელო დაწესებულებაში არ იდო საპონი იმ მოტივით, რომ „მაინც მოიპარავენო“. სხვა ჰიგიენური ნივთები (კბილის ჯაგრისები და კბილის პასტები) აღსაზრდელებს თავიანთ ტუმბოებში და კარადებში ჰქონდათ შენახული.

საძინებლები ძირითადად არის დიდი ზომის (10-12 ბავშვისათვის), ზოგ შემთხვევაში თვალშისაცემია სანოლებით გადატვირთულობა, ზოგან სანოლები ერთმანეთზეა მიდგმული (წყნეთი, „სათნოება“, კაჭრეთის №2 სკოლა). წყნეთში სანოლების ნაწილი მცირე ზომისაა და არ შეესაბამება ასაკობრივ სტანდარტს.

ზოგან საძინებლებში არ არის ტუმბოებისა და კარადების ადგილი („სათნოება“, წყნეთი), ხოლო ზოგან კარადები მწყობრიდანაა გამოსული, არ აქვს კარი (199-ე საჯარო სკოლა-პანსიონი „კომპროვი“. ამავე ინსტიტუტში ტუმბოები და კარადები არ არის საკმარისი რაოდენობით, ამიტომაც თავად ბავშვების მშობლებმა შეიძინეს პლასტმასის „კომოდები“ პირადი ნივთებისათვის).

პირადი მოხმარების პირსახოცები ყველგან საკმარისი რაოდენობითაა, თუმცა საცვლები და ტანსაცმელი საერთოა ბავშვთა მთელი ასაკობრივი ჯგუფისთვის (წყნეთი, „სათნოება“). რიგ დაწესებულებებში შეიმჩნევა ჰიგიენური საშუალებები სერიოზული ნაკლებობა (ჰიგიენური პაკეტი და სხვ) ბევრგან ბავშვებს არ აქვთ ფეხსაცმელები და ამის გამო ვერ დადიან სკოლაში (ტაშისკარი).

სააღმზრდელო ოთახებში არსებული ინვენტარი ძირითადად მოძველებულია და წარმოადგენს სასკოლო ინვენტარს. გამონაკლისს წარმოადგენს სამტრედიის და საგურამოს დაწესებულებები, სადაც არის ოჯახური გარემო და რბილი ავეჯი.

დაწესებულებების უმეტეს ნაწილში ფიზიკური გარემო არ უწყობს ხელს ბავშვის განვითარებასა და დაცვას. სათამაშოები არის მცირე რაოდენობით და მოძველებული, რბილი სათამაშოების უმეტესობა ქუჭყიანია (წყნეთის სააღმზრდელო დაწესებულება), ხოლო ახალი სათამაშოები ცალკე ოთახში ან კარადაშია ჩაკეტილი და არ არის ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში საძილე ოთახების მოწყობა და ჰიგიენური პირობების დაკმაყოფილება.
- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში საჭირო რაოდენობის, ასაკისა და სეზონის შესაბამისი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, სათამაშოების, ინვენტარის მიწოდებაზე კონტროლი ბავშვთა სურვილებისა და აზრის გათვალისწინებით.

სამედიცინო მომსახურება

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის სიცოცხლის უფლება.⁷⁴ „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ ჩამოერთვას უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით“.⁷⁵

ბავშვზე ზრუნვის მე-9 სტანდარტის – ბავშვის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაცვა – მიხედვით, „მომხმარებელს ხელი მიუწვდება იმუნიზაციასა და სამედიცინო პროფილაქტიკურ შემოწმებაზე. ...ხოლო, საჭიროების შემთხვევაში მომხმარებელი კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით იქნება უზრუნველყოფილი“.

მონიტორინგის დროს შეფასდა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების სამედიცინო მომსახურების ხარისხი, რესურსები და შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია და სერტიფიცირება

თითქმის ყველა დაწესებულებაში არის შტაბით გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალი (ტაშის-კარის გარდა, სადაც ექიმი არ ჰყავთ, ხოლო ექთანი პერიოდულად მოდის სამსახურში). საექიმო საქმიანობის სერტიფიკატი არ ჰქონდა კაჭრეთის ბავშვთა სახლის ექიმს, რის გამოც მას არ აქვს უფლება, განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა.⁷⁶

შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი (პედიატრი ან ოჯახის ექიმი) და ნორმატიული დოკუმენტით განსაზღვრული მომიჯნავე სპეციალობის სერტიფიკატი⁷⁷ არ ჰქონდათ სურამისა და დუშეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ექიმებს.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ექიმების შერჩევა და დანიშვნა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სამედიცინო კაბინეტი

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების უმრავლესობაში სამედიცინო კაბინეტები არ აკმაყოფილებს სტანდარტს. ზოგან არ აქვთ სამედიცინო იზოლატორი და სველი წერტილები (კოფორი, ტაშისკარი, „მომავლის სახლი“, დუშეთი, რუსთავი). ხშირ შემთხვევაში, ავადმყოფი ბავშვებისათვის განკუთვნილი იზოლატორი განთავსებულია სამედიცინო კაბინეტის მიმდებარედ, თუმცა ავარიულ მდგომარეობაში, სარემონტო და კეთილმოუწყობელია, ან ძალიან მცირე ზომისაა (დილომი, წყნეთი, „სავანე“). ზოგიერთ დაწესებულებაში, სადაც მიმდინარეობდა რემონტი ან იგეგმებოდა სარემონტო სამუშაოები, გამოყოფილი იყო ფართი სამედიცინო კაბინეტის სრულყოფილად მოწყობისათვის (საგურამოს, დუშეთის სააღმზრდელო დაწესებულებები). ზოგ შემთხვევაში,

⁷⁴ მუხლი 6

⁷⁵ მუხლი 24 (1)

⁷⁶ საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 19 (1)

⁷⁷ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 136/ნ ბრძანება (2007 წ. 18 აპრილი) „საექიმო სპეციალობათა, მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა და სუბსპეციალობების შესაბამისი სპეციალობების წესის განსაზღვრის შესახებ“.



იზოლაციური საკმაოდ დაშორებულია საექიმო კაბინეტს (ქუთაისის №44 სკოლა, ლაგოდეხის სააღმზრდელო დაწესებულება), რაც პრაქტიკულად მოუხერხებელია საექიმო საქმიანობის განხორციელებისათვის.

სამედიცინო კაბინეტები არაა აღჭურვილი აუცილებელი ინვენტარით (სიმალის საზომი, სასწორი, წნევის აპარატი, თერმომეტრი და სხვა), თუმცა აქვთ ინჰალატორები (თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, კოჯორი). გადაუდებელი დახმარებისათვის სრულყოფილი შოკის კარადა არცერთ სააღმზრდელო დაწესებულებაში არ არის, ზოგიერთ დაწესებულებაში აქვთ შოკის საწინააღმდეგო საშუალებები („მომავლის სახლი“, ზუგდიდის, კოჯორის, ბათუმის სააღმზრდელო დაწესებულებები).

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

■ **ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ბავშვთა დაწესებულებების სამედიცინო კაბინეტებისთვის შესაბამისი ფართის გამოყოფა და მათი აღჭურვა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ბენეფიციართა საჭიროების გათვალისწინებით.**

სამედიცინო დოკუმენტაცია

თითქმის არცერთ დაწესებულებაში სამედიცინო ჩანაწერები არ არის სრულყოფილი, საექიმო საქმიანობის წარმოება არ ხდება „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ერთიანი ფორმების მიხედვით. ზოგან არც კი იციან სამედიცინო მომსახურების წარმოებისათვის აუცილებელი ფორმების არსებობის შესახებ. არის შემთხვევები, როცა სამედიცინო ჩანაწერების წარმოება ხდება რუსულ ენაზე (საგურამო, კაჭრეთი), რაც ეწინააღმდეგება „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს: „სამედიცინო ჩანაწერები შესრულდეს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად.“⁷⁸

ბავშვის ინდივიდუალური სამედიცინო განვითარების ბარათები საერთოდ არ არის ტაშისკარის ფილიალში, ხოლო სხვა დაწესებულებებში, უმრავლეს შემთხვევაში, არასრულფასოვნად არის ნაწარმოები და რეალურად არ ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას (კოჯორი, „სათნოება“, წყნეთი, საგურამოს სააღმზრდელო დაწესებულება, კაჭრეთის №2 სკოლა, ქუთაისის №44 სკოლა, წალენჯიხის სააღმზრდელო დაწესებულება) – არ ხორციელდება შესაბამისი ჩანაწერები ჯანმრთელობის გაუარესების, ტრავმის ან სხვა რაიმე მწვავე მდგომარეობის დროს.

საკვების შემონმების ჟურნალები სრულყოფილად არ არის ნაწარმოები, ბევრგან საერთოდ არ აქვთ ასეთი შინაარსის ჟურნალი. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში იყო ნაწახი სანიტარიული შემონმებისა და დატილიანების ჟურნალები, რომლებშიც აღრიცხულია პროფილაქტიკურ-პრევენციული ღონისძიებები. ზოგან, ასეთი ჟურნალების არსებობის შემთხვევაში, მათი წარმოება ატარებს ფორმალურ ხასიათს.

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი უნდა ახორციელებდეს ინფექციებზე კონტროლს და აწარმოებდეს ინფექციური დაავადების აღრიცხვის ჟურნალს (ფ. 60/ა), რაც ნაწახი იქნა მხოლოდ ორ შემთხვევაში (წყნეთი, „სათნოება“), სხვაგან ამგვარი ჟურნალი ან „თვითშემოქმედებით“ იყო ნაწარმოები ან პერსონალმა საერთოდ არ იცოდა ასეთი ვალდებულების არსებობის შესახებ.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

■ **გააკონტროლოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმებითა და ხარისხით.**

⁷⁸ საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ, მუხლი 56, 2 (ა)

მედიკამენტებით უზრუნველყოფა

მედიკამენტებით ძირითადად ყველა დაწესებულება უზრუნველყოფილია. ზოგან დამატებით ჰქონდათ ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული მედიკამენტების დიდი ჩამონათვალი (კოჯრის, ზუგდიდის სააღმზრდელო დაწესებულებები, „მომავლის სახლი“). თუმცა იყო დაწესებულებები, რომლებიც გამოირჩეოდნენ მედიკამენტების მწირი მარაგით (სურამის, ტაშისკარის, დუშეთის სააღმზრდელო დაწესებულებები). ზოგან დაფიქსირდა ვადაგასული მედიკამენტებიც (ბათუმის, ლაგოდეხის, სურამის, თბილისის სააღმზრდელო დაწესებულებები, კაჭრეთის №2 სკოლა) წამლების აღრიცხვის და გაცემის ყურნალების წარმოება თითქმის ყველა დაწესებულებაში ხდება, თუმცა საჭიროებს უნფიცირებულ ფორმაში მოქცევას.

პრობლემები სამედიცინო მომსახურების სფეროში

ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში დგას ღამის განმავლობაში ელემენტარული სამედიცინო დახმარების განხორციელებაზე პასუხისმგებელი და უფლებამოსილი პირის პრობლემა. ღამის განმავლობაში მედიკამენტების გაცემასა და იზოლატორში მოთავსებულ პაციენტთა მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება არასამედიცინო პერსონალს (ძიძას). ასევე, თითქმის ყველა დაწესებულებისათვის პრობლემად რჩება შაბათ-კვირის განმავლობაში სამედიცინო პერსონალის მორიგეობის საკითხი – შტატების შემცირების პირობებში დირექტორს არ შეუძლია დამატებით ექთნის აყვანა და ვერც შინაგანანესით არეგულირებს ამ საკითხს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელი მცოცავ გრაფიკს ადგენს და ექიმი ან ექთანი მონაცვლეობით რჩებიან დაწესებულებაში.

ყველა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებისათვის პრობლემას წარმოადგენს ის, რომ არცერთი სადაზღვევო პაკეტით არ არის გათვალისწინებული სტომატოლოგიური მომსახურება, მაშინ, როცა სტომატოლოგიური დაავადებების მაღალი სიხშირე სწორედ ამ ასაკობრივ პერიოდზე მოდის. ასევე ხშირია ბავშვებში ქიბით ინვაზია. ექიმების გადმოცემით, დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობა არ არის გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ვაუჩერით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება

მონიტორინგის ჯგუფის მიერ დაფიქსირდა, რომ თითქმის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში იმყოფებიან ბავშვებს ისეთი სომატური დიაგნოზებით, რომლებიც ითხოვს დამატებით შესწავლას და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენას. თუმცა, ზოგ შემთხვევაში (საგურამო, კოჯორი, თბილისის სააღმზრდელო დაწესებულება, „მომავლის სახლი“), ბავშვებს ჩატარებული აქვთ პროფილაქტიკური გასინჯვები (ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს, საგურამოს საავადმყოფოს სპეციალისტთა ჯგუფის მიერ), რის საფუძველზეც ასეთი ბავშვები ჯანმრთელად არიან მიჩნეულნი. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ არასრულყოფილად ტარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრაცია და დარღვეულია რეალური სტატისტიკის ობიექტურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვები წარმოადგენენ განსაკუთრებულ მონყვლად კატეგორიას და მზრუნველობამოკლებულ სააღმზრდელო დაწესებულებებში მათი მოხვედრის უზშირესი მიზეზი სწორედ ეკონომიური სიდუხჭირე და სიღარიბეა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ბავშვების იმ კატეგორიას მაინც, რომლებიც იმყოფებიან არასპეციალური ტიპის სააღმზრდელო დაწესებულებებში და აქვთ ისეთი დაავადებების კლინიკური გამოვლინებები, რომლებიც ექვემდებარება სტატუსის განსაზღვრას, მიენიჭოთ სტატუსი და დაენიშნოთ პენსია.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სააღმზრდელო დაწესებულებების დაკომპლექტება შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალით.
- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელთათვის სადაზღვევო



ვაუჩერით დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის პირობების გაფართოება, მათ შორის, დაწესებულების აღსაზრდელობის სტრატეგიული მომსახურების ხელმისაწვდომობა.

■ უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვების ჯანმრთელობაზე კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და პროფილაქტიკური გასინჯვების რეგულარულად ჩატარება, ასევე, ბავშვების ჯანმრთელობის რეალური შეფასება და დაავადებათა დიგნოსტიკა შესაბამისი შპმპ სტატუსის განსაზღვრის მიზნით.

კვების ორგანიზება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მიხედვით, „მომსახურების მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომხმარებელს უსაფრთხო საკვებით, რომელიც აკმაყოფილებს მომხმარებლის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს საკვებსა და ენერჯიაზე.“⁷⁹

მონიტორინგის ჩატარებისას ყურადღება გამახვილდა არამარტო მენიუ-განრიგებით გათვალისწინებული საკვების რაოდენობასა და მრავალფეროვნებაზე, არამედ კვების ბლოკსა და სასადილოში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე, საკვების მომზადების ტექნოლოგიასა და უსაფრთხოებაზე. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში კვებაზე გამოყოფილი თანხა ბავშვზე დღეში შეადგენდა 3-4 ლარს, ზოგი ითხოვდა თანხის გაზრდას (კოჯორი), თუმცა იყო დაწესებულებები, სადაც დღესასწაულებზე ეს თანხა იყო გაზრდილი ბიუჯეტის, შიდა რესურსების და ჰუმანიტარული დახმარების ხარჯზე („სათნობა“).

კვების ბლოკი

ზოგიერთ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში კვების ბლოკი და სასადილო მოთავსებულია ცალკე შენობაში (საგურამო) ან ძირითადი შენობიდან გამოყოფილ ფლიგელში. გამონაკლისს წარმოადგენს წყნეთის სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც თითოეულ კოტეჯს აქვს დამოუკიდებელი სამზარეულო. მხოლოდ რუსთავის დღისა და ღამის ცენტრშია სასადილო ძირითად კორპუსში განთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ სამზარეულოსა და სასადილოს ერთმანეთისაგან დაცილება დამატებით სიძნელეს უქმნის მომსახურე პერსონალს.

უმრავლეს შემთხვევებში, კვების ბლოკი და სამზარეულო არის სარემონტო ან მიმდინარეობს რემონტი (კოჯორში – სამზარეულო, ლაგოდეხი, თელავი, სურამი, ტამისკარი, წალენჯიხა, ხოლო ქუთაისში – სასადილო ძალიან მცირე ზომისაა და სარემონტო). მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში სამზარეულოში არის დამონტაჟებული გამწოვი, რომელიც მუშა მდგომარეობაშია (წყნეთი, სალხინო, დუშეთი). დანარჩენ შემთხვევაში ხდება სამზარეულოების მხოლოდ ბუნებრივი ვენტილაცია.

უმეტეს შემთხვევებში კვების ბლოკი ვერ აკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს (კოჯორი, თბილისის სააღმზრდელო დაწესებულება), ლაგოდეხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების სამზარეულოში ნანახი იქნა მღრღნელების არსებობის კვალი.

სამზარეულოებში ცხელი წყლით უზრუნველყოფა ხდება წყლის ელექტროგამაცხელებლებით ან წყალს ადუღებენ გაზქურაზე (დუშეთი, წყნეთი).

სამზარეულოები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია მექანიკური და ელექტრომონოცილობებით. მხოლოდ „მომავლის სახლში“ და ზუგდიდის სააღმზრდელო დაწესებულებაში ფუნქციონირებს ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ხოლო დანარჩენ დაწესებულებებში ჭურჭლის რეცხვა ყველგან ხდება ხელით.

საკვების მენიუ-განაწილება

მენიუს შედგენას, როგორც წესი, ახდენენ ექიმები, დაწესებულების ხელმძღვანელთან და ბუღალ-

⁷⁹ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტი – 10

ტერთან შეთანხმებით. თუმცა მონიტორინგის დროს გამოვლინდა ისეთი დანესებულებებიც, სადაც მენიუს შედგენა ხდება ექიმის ჩაურევლად (სურამი – მზარეული, ბულაღური, ტაშისკარი – მზარეული).

მენიუები არ არის მრავალფეროვანი, არის შემთხვევები, როცა მენიუ რამდენიმე დღის განმავლობაში მეორდება (სურამში თანმიმდევრობით 5 დღის მენიუ ერთნაირი იყო). აღინიშნება ხილისა და ბოსტნეულის სიმცირე.

მენიუების გადახედვისას თვალშისაცემია ჭარბი ნახშირწყლების მოხმარების ტენდენცია. ისინი გათვლილია მაქსიმალურ მოთხოვნებზე და ბევრად (ზოგჯერ 2-ჯერ მეტად) აღემატება კალორიულ მოთხოვნებს, რაც ძირითადად პურის მიწოდებით არის უზრუნველყოფილი (თითო ბავშვი საშუალოდ 300-600 გრამ პურს იღებს). მენიუს მიხედვით, ჭარბია მარილის მიწოდებაც. ასევე ყურადღებას იპყრობს რძის პროდუქტების მცირე რაოდენობა.

დანესებულებებში არ არსებობს ასაკობრივი მენიუები, რომლებიც უნდა ემყარებოდეს ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. თითქმის ყველა დანესებულებაში ბავშვისათვის გასაგებ ენაზე დანერილი მენიუ გამოკრულია სასადილოში და ხელმისაწვდომია ბავშვისათვის. რაც შეეხება სამკურნალო კვებას, მხოლოდ ერთ ინსტიტუტში იყო ცალკე მენიუ დიაბეტით დაავადებული ბავშვისათვის (თბილისის საალმზრდელი დანესებულება). ხოლო იმ დანესებულებებში, სადაც დღის ცენტრების მომსახურებაა გათვალისწინებული, იყო ორი მენიუ – სადღეღამისო და დღის (რუსთავი, ასპინძა).

საკვების მომზადების უსაფრთხოება

ზოგიერთ დანესებულებაში (დუშეთი, ასპინძა, თელავი, ზუგდიდი) ხდება საკვები სინჯების აღება ყოველდღიურად და მათი შენახვა 24 საათის განმავლობაში, რათა კვებითი ინტოქსიკაციის შემთხვევაში დადგინდეს ან გამოირიცხოს საალმზრდელი დანესებულებაში ბავშვების მიერ მიღებული საკვებით ინტოქსიკაციის შემთხვევა, თუმცა ამ აქტივობის ამსახველი სარეგისტრაციო ჟურნალები, როგორც წესი, არ არსებობს. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ინარმოება შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალი. დანესებულებების უმრავლესობაში საკვების შემონახვის ჟურნალები არც ჰქონდათ და არც იცოდნენ ასეთის აუცილებლობის შესახებ (სურამი, დუშეთი).

სამზარეულოს პერსონალისა და დირექტორის განმარტებით, საკვების მომზადებისას დაცულია ჰიგიენური მოთხოვნები, თუმცა სანინაალმდეგოზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თითქმის არცერთ დანესებულებაში არ არის მარკირებული დაფები და დანები (გამონაკლისი იყო რუსთავი და დუშეთი). უმი ხორცისა და ბოსტნეულის დასაჭრელად იყენებენ ერთსა და იმავე დაფასა და დანას, რაც საკვების მომზადების უსაფრთხოების პრინციპების დარღვევას ნარმოადგენს. ასევე, უმეტეს შემთხვევაში არ არის იზოლირებული ხორცის, ბოსტნეულისა და ჭურჭლის სარეცხი ჩანები; სადაც არის, არასაკმარისია ან არ არის უზრუნველყოფილი ცხელი და ცივი წლით (199-ე საჯარო სკოლა, თბილისის საალმზრდელი დანესებულება, წყნეთი).

პურის შენახვა და დაჭრა ძირითადად ხდება ჰიგიენური წესების დაცვით, პური იჭრება ამისათვის განკუთვნილ დაფაზე, თუმცა ზოგიერთ დანესებულებაში დარღვეულია პურის შენახვის პირობები (თბილისის ბავშვთა საალმზრდელი დანესებულებაში პური შენახულია გაურკვეველი წარმოშობის ყუთში, არაჰიგიენურ პირობებში).

თითქმის ყველა საალმზრდელი დანესებულებაში იზოლირებული იყო ბოსტნეულისა და მშრალი პროდუქტების საკუჭნაოები (დუშეთი, ზუგდიდი, სალხინო, თელავი, ლაგოდეხი, ასპინძა). ზოგან საკუჭნაოებში არ იყო თაროები (ნალენჯიხა) და მოუნესრიგებლად, იატაკზე ეყარა ბოსტნეული. ფქვილით სავსე ტომრები პირდაპირ ქვის ფილებზე იდო წესტიან საკუჭნაოში, იქვე ახლოს კი იდო მღრღნელების სანინაალმდეგო საშუალებები (თბილისის ბავშვთა საალმზრდელი დანესებულება,



ნაღვნიანა, ქუთაისი). საკუჭნაოში არსებულ მაცივარში ნანახი იქნა გახსნილი ტომატის ქილა, რომელიც თავლია იყო დატოვებული, აქვე დაფიქსირდა გაფუჭებული ბოსტნეული („სათნოება“), რაც არ იყო დაფიქსირებული საკვები პროდუქტების წუნდების ჟურნალში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვების ბლოკზე პასუხისმგებელმა პირმა არ იცოდა ასეთი ჟურნალის წარმოების აუცილებლობის შესახებ.

სამზარეულოში ნაგავი იყო თავლია ჭურჭელში, რაც ქმნიდა საკვების დაბინძურების საფრთხეს (წყნეთი, კოჯორი, სურამი, ქუთაისი, სამტრედია, ლაგოდეხი).

საკვები პროდუქტების შესყიდვა ძირითადად ხდება მენარმისაგან, ხელშეკრულების საფუძველზე.

კვების ბლოკზე და მენიუების შედგენაზე პასუხისმგებელი პირები მიუთითებდნენ, რომ თავიანთი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროებენ საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებას ბავშვთა და მოზარდთა კვების საკითხებზე სახელმძღვანელო რეკომენდაციებს – ძირითად საკვებ ინგრედიენტებზე ყოველდღიურ მოთხოვნების (ნორმების) შესახებ და სტანდარტულ ასაკობრივ მენიუ-განაწილებებს.

სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს:

- უზრუნველყოს სააღმზრდელო დაწესებულებებში კვებაზე პასუხისმგებელ პირთა ინფორმირება და გადამზადება, სტანდარტული ასაკობრივი მენიუების შემუშავება სხვადასხვა ტიპის სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის.
- ასევე, ზედამხედველობა განახორციელოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების კვების ბლოკის სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვასა და საკვების მომზადების უსაფრთხოებაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს:

- ერთობლივი ძალებით უზრუნველყონ, სააღმზრდელო დაწესებულებებში აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესების მიზნით, პედაგოგთა გადამზადება, ასევე, სააღმზრდელო გეგმების გადახედვა ბავშვთა საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ და შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ 18 წელს მიღწეული ახალგაზრდების პროფესიული-უმალღესი განათლებისა და შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- მომზადდეს სააღმზრდელო დაწესებულებების ქცევის კოდექსი, რომლითაც რეგლამენტირებული იქნება სააღმზრდელო დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის და ბენეფიციარების უფლება-მოვალეობები წამების, არაჰუმანური, არაადამიანური მოპყრობისა და ძალადობის პრევენციის მიზნით;
- შემუშავდეს და დაინერგოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ერთიანი მონიტორინგის სისტემა ძალადობისა და არაჰუმანური მოპყრობის წინააღმდეგ;
- ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში მოხდეს ბავშვებზე ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფოკუსირება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე, მიზეზების შესწავლასა და ურთიერთობის დარეგულირებაზე; ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებში და დაწესებულებათა დებულებებში, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, შევიდეს დამატებითი ცვლილებები;
- გაზარდოს სოციალური მუშაკების ჩართულობა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში.

განხორციელოს სოციალური მუშაკებისათვის ბავშვის ბიოფსიქოსოციალური შეფასების კრიტერიუმებისა და სტანდარტების შემუშავება;

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს დებულებაში ბავშვის დანესებულებაში ჩარიცხვისა და გაყვანის წესების დეტალურად განსაზღვრა, ჩარიცხვის დროს ბავშვის უნიფიცირებული ფორმით შეფასება;
- უზრუნველყოს შესაბამისი თანხების გამოყოფა ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ეტაპობრივი დაგეგმვა-განხორციელებისათვის;
- გააკონტროლოს ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში სამედიცინო მომსახურების მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმებითა და ხარისხით.

სსიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მომსახურების სააგენტოს უფროსს:

- უზრუნველყოს პედაგოგ-აღმზრდელო კათვითცნობიერება ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით;
- გაატაროს ბავშვის ბავშვზე ძალადობის მიზეზებისა და გამოვლინების ნიშნების დადგენისა და საგანმანათლებლო-პრევენციული მიზნებისთვის აუცილებელი ღონისძიებები ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში;
- დანერგოს შემთხვევის მართვის პრაქტიკა და მულტიდისციპლინური მიდგომა;
- უზრუნველყოს აღსაზრდელო ინფორმირება და განათლება ბავშვის უფლებათა კონვენციის შესახებ, რათა ბავშვის უფლების დარღვევისა და სხვადასხვა სახის ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მათ შეძლონ მიმართვა სათანადო ორგანოებისადმი;
- უზრუნველყოს სააღმზრდელო დანესებულებების ბიბლიოთეკების ფუნქციონირება, განახლება და შევსება; ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში აღმზრდელობით-პედაგოგიური მუშაობის მეთოდების გადახედვა, ინდივიდუალური მიდგომების ჩამოყალიბება, ადამიანური რესურსების განვითარება და დამატებითი მატერიალურ-ფინანსური რესურსები;
- უზრუნველყოს კვალიფიციური, გამოცდილი კადრების შერჩევა ინსტიტუციებში სამუშაოდ შესაბამისი ანაზღაურებით; ინსტიტუციებში შემთხვევის მართვის პრაქტიკისა და მულტიდისციპლინარული მიდგომის დანერგვა ფსიქოლოგთა ჩართულობით; დანესებულებების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (ფსიქოლოგის კაბინეტის აღჭურვა); არსებული ფსიქოლოგის კადრების შეფასება და შემდგომი ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება სააღმზრდელო დანესებულებათა სპეციფიკურობის გათვალისწინებით;
- გააკონტროლოს დანესებულებებში თვალსაჩინო ადგილზე სხვადასხვა საჭიროების შემთხვევაში მისამართი უწყებების/ორგანიზმების საკონტაქტო ინფორმაციის აფიშირება (პოლიცია, სახანძრო, სასწრაფო, სამედიცინო დახმარება, გაზის, ელექტროენერჯისა და წყლის მიმწოდებელი დანესებულებები, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები, სახალხო დამცველის და სხვა);
- გააკონტროლოს ყველა სააღმზრდელო დანესებულებაში ბენეფიციართა ტელეფონით სარგებლობის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს და პირადი საუბრების კონფიდენციალურობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებებთან თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს სააღმზრდელო დანესებულებებიდან აღსაზრდელო ტრანსპორტირება სკოლამდე და უკან, ასევე, ბავშვების დამოუკიდებლად ოჯახში მგზავრობისას მათი გადაადგილება ავტოსადგურამდე;
- გააკონტროლოს ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებების ტერიტორიაზე ხანძარსა და სხვა საფრთხის შემთხვევების კუთხის გამართულობა და სათანადო აღჭურვილობა; ასევე, პერსონალის ინფორმირება ხანძრის პრევენციისა და ხანძარსა და სხვა საფრთხის შემთხვევების შესახებ;
- უზრუნველყოს სააღმზრდელო დანესებულებების კომუნალური სისტემების გამართულობა და სადებიზინფექციო სამუშაოების რეგულარობის კონტროლი;
- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში საძილე ოთახების მოწყობა და ჰიგიენური პირობების დაკმაყოფილება ასევე საჭირო რაოდენობის, ასაკისა და სეზონის



შესაბამისი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, სათამაშოების, ინვენტარის მიწოდებაზე კონტროლი ბავშვთა სურვილებისა და აზრის გათვალისწინებით;

- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ექიმების შერჩევა და დანიშვნა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოს ბავშვთა დაწესებულებების სამედიცინო კაბინეტებისთვის შესაბამისი ფართის გამოყოფა და მათი აღჭურვა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ბენეფიციართა საჭიროების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს სააღმზრდელო დაწესებულებების დაკომპლექტება შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალით;
- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულების აღსაზრდელთათვის სადაზღვევო ვაუჩერით დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის პირობების გაფართოება, მათ შორის, დაწესებულების აღსაზრდელთათვის სტომატოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- უზრუნველყოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვების ჯანმრთელობაზე კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და პროფილაქტიკური გასინჯვების რეგულარულად ჩატარება, ასევე, ბავშვების ჯანმრთელობის რეალური შეფასება და დაავადებათა დიაგნოსტიკა შესაბამისი შშმპ სტატუსის განსაზღვრის მიზნით;
- უზრუნველყოს სააღმზრდელო დაწესებულებებში კვებაზე პასუხისმგებელ პირთა ინფორმირება და გადამზადება, სტანდარტული ასაკობრივი მენიუების შემუშავება სხვადასხვა ტიპის სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის. ასევე, ზედამხედველობა განახორციელოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების კვების ბლოკის სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვასა და საკვების მომზადების უსაფრთხოებაზე;

სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულია უფლება სამართლიან სასამართლოზე, რაც გულისხმობს საქმის განხილვას დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, ასევე დაცვის უფლებას და თანაბარ პირობებში მოწმეთა დაკითხვის შესაძლებლობას. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განაცხადა, სამართლიანი სასამართლოს უფლება დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის მე-6 მუხლის შეზღუდული განმარტება დაუშვებელია.⁸⁰

იმისათვის, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე იყოს დაცული და ცხოვრობდეს სამართლიან საზოგადოებაში, მეტად მნიშვნელოვანია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება უზრუნველყოფილი იყოს. თუმცა ამ უფლების მხოლოდ თეორიულ დონეზე დაცვა სასურველ შედეგს ვერ მოიქმნის, რადგან აუცილებელია, რომ მოქალაქეს, რომლის წინააღმდეგაც ჩადენილია დანაშაული ან რომლის უფლებებიც დაირღვა, ჰქონდეს სამართლიანობის აღდგენის გაცდის რეალური მოლოდინი, რაც პირდაპირ მოითხოვს ჩვენს კანონმდებლობაში თავმოყრილი აღნიშნული უფლების დამცავ ნორმათა პრაქტიკულ რეალიზაციას.

მართალია, მართლმსაჯულების სისტემაში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა (მოხდა სასამართლო სისტემის ინსტიტუციური რეორგანიზაცია, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა, შეიქმნა მოსამართლეთა გადამზადების სისტემა და სხვ), რაზეც დიდი ოდენობის თანხები დაიხარჯა, თუმცა როგორც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებიდან იკვეთება და როგორც ქვეყნის შიგნით მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციები აღნიშნავენ, რიგი პრობლემებისა მაინც არსებობს. აღნიშნულს ადასტურებს 2010 წლის 11 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიუროს მიერ 2009 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიში, რომელშიც ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლა სახელდება.⁸¹

მიხედვად იმისა, რომ სასამართლო რეფორმა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, გვხვდება საქმეები, რომლებშიც აშკარად ჩანს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები.

⁸⁰ დეკლორტი ბელგის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 17 იანვარი 1970, პარ. 25.

⁸¹ <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2009/eur/136032.htm#>

მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, მტკიცებულებების გამოკვლევასთან, მხარეთა თანასწორობასთან, სასამართლოს მიერ განხილვის სხვადასხვა სტადიაზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებასთან დაკავშირებული პრობლემები. რ.ცაგარელის, ს.ბესელიას, რ.მილორაგასა და ვ.კირვალიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლომ სხდომაზე დაცვის მხარის მოთხოვნის საპასუხოდ, რომ სხდომას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, აუცილებლად უნდა დასწრებოდა დაზარალებული, აღნიშნა: „მართალი ვითხრათ, სამწუხაროდ აქ ძალიან ბუნდოვნად წერია, დაზარალებულის დაკითხვასთან არის საუბარი, აქ არსად არ წერია, რომ ვალდებულია გამოცხადდეს.“⁸²

სასამართლოს უმთავრესი ფუნქცია არის კანონმდებლობის განმარტება. შესაბამისად, როდესაც საქმის განხილვისას მოსამართლის მხრიდან კანონის ბუნდოვანებაზე საუბარი, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სასამართლო სისტემაში რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზე.

სამართლიანი სასამართლოს უფლებას სახალხო დამცველი თავის საანგარიშო მოხსენებებში არაერთხელ შეეხო და ხშირ შემთხვევებში კონკრეტული რეკომენდაციითაც მიუმატავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის. მართალია, სასამართლო თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და არავის აქვს უფლება ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში⁸³, თუმცა მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საზოგადოებას ჰქონდეს საქმის სამართლიანად და მიუკერძოებლად განხილვის განცდა. ამ კუთხით კი მეტად მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის საქმიანობა. მით უმეტეს, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, ომბუდსმენის მიერ მოსამართლეთა პროცედურულ ნაწილში კონტროლი და ზედამხედველობა სრულებით არ არღვევს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპს.⁸⁴

აღნიშნული მოხსენების წინამდებარე თავში, ისევე როგორც წინა საანგარიშო მოხსენებებში, გაანალიზებულ იქნება ის პრობლემატური საკითხები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში სამართლიანი სასამართლოს კუთხით გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის მიერ მისი მანდატის ფარგლებში განხორციელებულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო მართლმსაჯულების სისტემის განმტკიცებასა და ეფექტურობას, ხოლო რეკომენდაციები და შეფასებები კი გამოყენებული იქნეს, როგორც სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის გამყარების იარაღი.

გარდა ამისა, მოცემულ საანგარიშო მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იქნება, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას სასამართლოს გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთების პრობლემაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალდღვევათა საქმეების განხილვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

სასამართლო გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთებულობის პრობლემა

სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს საქმის განხილვას კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი სასამართლო სისტემაში არის სასამართლოს მიერ მიღებული შუალედური თუ საბოლოო გადაწყვეტილებების (ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ, უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, განაჩენი და სხვ.) არასაკმარისად დასაბუთებულობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა სისხლის სამართლის არაერთ საქმეში გვხვდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღესდღეობით სასამართლოს გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთებულობა სისტემურ პრობლემას წარმოადგენს.

⁸² ამონარიდი ს.ბესელიას, რ.მილორაგას და ვ.კირვალიძის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო სხდომის ოქმიდან
⁸³ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლი; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლი.
⁸⁴ გასაპერი შედეგთა წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 6 ივლისი 1998 წელი

აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის დასაბუთებულობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლში ზუსტად არის განსაზღვრული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი. აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ ბრძანების დასაბუთებისას ხშირ შემთხვევაში სასამართლო სწორედ აღნიშნული საფუძველების მითითებითა და შესაბამისი მუხლის ციტირებით შემოიფარგლება.

მაგალითისათვის ბრძანებაში ხშირად ვხვდებით მითითებას – „არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ბრალდებულმა შესაძლოა თავი აარიდოს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს“, „გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა“, „გაანადგუროს მტკიცებულებები“. ხშირ შემთხვევაში ბრძანებაში ყველა აღნიშნული საფუძველი ერთად არის ნახსენები, თუმცა არ არის დასაბუთებული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება „დასაბუთებული ვარაუდი“, რომ ბრალდებული თავს აარიდებს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს ან დაემუქრება პროცესის მონაწილეებს.

ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ ბრძანებაში სასამართლო მიუთითებს, რომ „ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას“, რის გამოც მიზანშეწონილად თვლის ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდოს დაპატიმრება. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 აგვისტოს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ ბრძანებაში სასამართლომ აღნიშნა: „აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და ითვალისწინებს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას“ (რ.ცაგარელის, ს.ბესელიას, რ.მილორავასა და ვ.კირვალიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე). მოცემული შემთხვევა ნათლად გვიჩვენებს, რომ მოსამართლეს არ უმსჯელია კონკრეტულად რა გარემოებების გამო უნდა ყოფილიყო შერჩეული აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება მოცემულ საქმეზე. გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის სიმძიმე არ შეიძლება ავტომატურად გახდეს ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის საფუძველი.

საქმეში ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრობის შეფარდება დადგენილი პრეზუმციის გამო, რომელიც ემყარება ბრალდების სიმძიმესა და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის პიპოთეტურ საშიშროებას, არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს. სასამართლომ განმარტა, რომ ხელისუფლებამ უნდა წარმოადგინოს აღნიშნული ღონისძიების (პატიმრობის) მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დასაბუთება. მიმალვის საფრთხე წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობის შეფასების ელემენტს, მაგრამ იგი არ შეიძლება დადგენილი იქნეს დაუსაბუთებელი, აბსტრაქტული განცხადებების საფუძველზე.⁸⁵

დაპატიმრების, როგორც აღკვეთის ღონისძიების ვადის, გაგრძელების დაუსაბუთებულობა

ასევე ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელია აღკვეთის ღონისძიების ვადის გაგრძელების ბრძანებები. პატიმრობის ვადის გაგრძელებისას, როგორც წესი, აღნიშნული სახის ბრძანებაში ხდება იმავე საფუძველებსა და გარემოებებზე მითითება, რომლებზეც საუბარი იყო აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევის შესახებ ბრძანებაში. იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე ჩასატარებელია რიგი საგამოძიებო მოქმედებებისა, სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ რა მიზეზით ვერ მოხერხდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება პირველადი წინასწარი პატიმრობის ვადაში და გადაწყვიტოს, თუ რამდენად გამართლებულია პატიმრობის ვადის გაგრძელება. თუ აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას ბრალდებულის თავდაპირველი პატიმრობა ამა თუ იმ გარემოების გამო გამართლებული იყო, შესაძლებელია, პატიმრობის ვადის გაგრძელებისას აღნიშნული გარემოება აქტუალური აღარ იყოს.

⁸⁵ ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლო



საქმეში „ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა, რომ რაც დაკავების მომენტში წარმოადგენდა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველს, იგივე საფუძველი ყოველთვის არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ასეთი ღონისძიების გასაგრძელებლად.⁸⁶

სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ზოგადი სახის. უცილებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შერჩევისა და პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანებაში საუბარი იყოს იმ გარემოებებზე, რომლებიც მხოლოდ ამ საქმისთვისაა დამახასიათებელი. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ არ იქნება დასაბუთებული, მოსამართლემ უნდა გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.⁸⁷

შუამდგომლობაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1 ნაწილის თანახმად „სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათს გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.“

აღნიშნული ნიშნავს, რომ თანაბარ პირობებში უნდა განხილვებოდეს ბრალდებისა და დაცვის მხარის შუამდგომლობები ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, მონაწილეობისა და მტკიცებულებების შეფასების შესახებ, ასევე მიუკერძოებელი და დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნეს გამოტანილი იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უარს ამბობს პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის შუამდგომლობაზე აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, „შუამდგომლობის უარყოფის შესახებ ორგანოს ან პირს, რომლის სახელზედაც იყო იგი შეტანილი, გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება (განჩინება).“

დაუსაბუთებლად ან არაადეკვატურად და ბუნდოვნად დასაბუთებით შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იწვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, რადგანაც ვერ ხერხდება თანაბარ პირობებში დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა.

საქმეში „დომბო ბერი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თითოეულ მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს წარმოადგინოს თავისი საქმე, მათ შორის მტკიცებულებები, იმ პირობებში, რომლებიც მას არ ჩააყენებს აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში მონაწილემდე მხარესთან შედარებით.⁸⁸

ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმის არსებითი განხილვისას განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი სასამართლოს მიერ არ არის დასაბუთებული და სასამართლო მხოლოდ აცხადებს, რომ ადვოკატის შუამდგომლობა უსაფუძვლოა, თუმცა არ აკონკრეტებს, თუ რაში გამოიხატება შუამდგომლობაში აღნიშნული გარემოებების დადგენის უსაფუძვლობა. აღნიშნული პრობლემაც ასევე სისტემურ ხასიათს ატარებს და სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების მიხედვით დამახასიათებელია არა მხოლოდ ერთი სასამართლოს ან მოსამართლისთვის, არამედ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოების პრობლემა.

⁸⁶ სასამართლოს 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება. საქმე №30779/04
⁸⁷ ნიკოლოვა ბულგარეთის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება. საქმე №40896/98 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლი
⁸⁸ დომბო ბერი ნიდერლანდების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება. საქმე №14448/88.

გარკვეული გარემოებები და სწორედ ამ ჩვენების სინამდვილის დადგენისათვის ითხოვდა დაცვა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას, ვერ ამოეცნო პირები. სასამართლომ უარი თქვა დაცვის მხარის აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, დიდი სურვილი ჰქონდა, დარწმუნებულიყო, რამდენად სწორი იყო მონმის მიერ მიცემული ჩვენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იმ გარემოების დადგენაზე თქვა უარი, რომელსაც შესაძლოა ემოქმედა მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. თუმცა სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, დაინტერესებული უნდა იყოს განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით. თუ მხარის მიერ დაყენებული იქნება შუამდგომლობა, რასაც სასამართლის აზრით შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, მან ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს ასეთ გარემოებების დადგენაში.

ასევე გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი არაადეკვატურია და აშკარად არ შეესაბამება შუამდგომლობით დაყენებულ მოთხოვნას.

ბ.სალინაძის საქმის განხილვისას მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი დაზარალებულის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას ითხოვდა იმის გამო, რომ დაზარალებული საპროცესო კოდექსის აკრძალვის მიუხედავად, გაფრთხილებული იქნა ცრუ ჩვენების მიცემისა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. შუამდგომლობის უარყოფის დასაბუთებაში სასამართლომ აღიარა, რომ დაზარალებულის დაკითხვა მოხდა იმ დროისათვის მოქმედი საპროცესო ნორმების დარღვევით, თუმცა ამავე დროს აღნიშნა, რომ ვინაიდან დაკითვას ესწრებოდა თარჯიმანი, პირი დაკითხული იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

შესაძლებელია, შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი მართლაც არ არსებობდეს, თუმცა უარი მსგავსი შუამდგომლობაზე დასაბუთებული უნდა იყოს და შუამდგომლობით დაყენებული მოთხოვნის შინაარსს უნდა უპასუხებდეს. ზემოაღნიშნულ საქმეში მოსამართლის მიერ შუამდგომლობაზე უარი აშკარად არაადეკვატურია და არ შეესაბამება შუამდგომლობით დაყენებულ მოთხოვნას.

ამავე საქმეზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა საქმეზე დაზარალებულის ზუგდიდიდან თბილისში ეტაპირების განმახორციელებელი პირის სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხვის შესახებ. როგორც შუამდგომლობაში იყო მითითებული, აღნიშნული მონმის ჩვენებით უნდა დადგენილიყო ის გარემოება, მოხდა თუ არა დაზარალებულზე ქ.ზუგდიდიდან ქ.თბილისამდე რაიმე სახის ზემოქმედება და მისთვის სურათის ჩვენება, როგორც ამას უთითებდნენ დაზარალებული და მისი ეტაპირების განმახორციელებელი სხვა პირი.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ: „...დაკითხვას რაც შეეხება, იმ გარემოების გარკვევის მიზნით, რომ გაირკვეს, ვინ რა თანმიმდევრობით იყო ოთახიდან გასული, [მოწმის დაკითხვა] საფუძველს მოკლებულია“. (ბ.სალინაძის პრალდების სისხლის სამართლის საქმე).

ზემოაღნიშნულ საქმეში მხარის შუამდგომლობა სულ სხვა გარემოების დადგენას ისახავდა მიზნად, სასამართლომ კი ისეთ საფუძველზე მითითებით უთხრა უარი, რაც მოთხოვნასთან აშკარად შეუსაბამო და არაადეკვატური იყო.

საბოლოო გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთებულობის პრობლემა

არასაკმარისად დასაბუთების პრობლემა გვხვდება არა მხოლოდ შუალედურ, არამედ სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო გადაწყვეტილებებშიც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი“.

ამავე კოდექსის 496-ე მუხლის პირველი ნაწილით: „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი“. მესამე ნაწილით კი: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს“.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო განაჩენში ეყრდნობა ერთ კონკრეტულ მტკიცებულებას, მაშინ, როდესაც არსებობს ამ მტკიცებულების სანინაალმდეგო მტკიცებულება. მაგალითად, როდესაც საქმეში არის რამდენიმე მოწმის ჩვენება, რომელთა ნაწილი ადასტურებს პირის ბრალეულობას, ხოლო ნაწილი ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებს, განაჩენში განმარტებული უნდა იყოს, თუ რატომ აქვს ამა თუ იმ მტკიცებულებას უპირატესობა სხვა დანარჩენ მტკიცებულებებთან შედარებით, მაშინ როდესაც აღნიშნული ჩვენებები წინააღმდეგობრივია. ნ.ნადარაიას სისხლის სამართლის საქმეში ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელ განაჩენს ყაჩაღობის ნაწილში საფუძვლად დაუდო დაზარალებულ ზ.მაკარიძის ჩვენება, რომელიც აშკარად ურთიერთსანინაალმდეგო იყო საქმეზე დაკითხული სხვა მოწმეების ჩვენებებთან, თუმცა სასამართლოს აღნიშნული მოწმეების ჩვენებების შეფასება საერთოდ არ მოუხდენია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება სიტყვა-სიტყვით იმეორებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტს, რაც თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას, თუმცა აუცილებელია, სააპელაციო სასამართლო განმარტავდეს, თუ რატომ დაეყრდნო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილ ამა თუ იმ მტკიცებულებასა თუ არგუმენტს. (ნ.ნადარაიას საქმე)

ხშირ შემთხვევებში დაუსაბუთებელია განჩინება საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო საჩივრის განხილვისას უნებურად სასამართლო, როგორც წესი, უთითებს, რომ განსახილველ საქმეში არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის წინაპირობები.

2009 წლის 04 მარტის განჩინებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნ.ნადარაიას და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივარი იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რომელიც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

მნიშვნელოვანია, რომ უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელოს კონკრეტული საქმისათვის დამახასიათებელი გარემოებებით და მისი გადაწყვეტილება ემყარებოდეს სასამართლოს მიერ საქმის საფუძვლიანად შესწავლას, რათა განჩინება საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ არ აღიქმებოდეს ავტომატურ უარად.

დაცვის უფლება

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებლობა პირდაპირ კავშირშია დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებასთან, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი მე-3 პუნქტით – „დაცვის უფლება გარანტირებულია“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კი „სასამართლო და თანამდებობის პირი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესს ახორციელებენ, ვალ-



დებულნი არიან ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით, განუმარტონ უფლებები, მისცენ შესაძლებლობა, დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყონ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.“ სასამართლოს წინაშე გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა თუ რაიმე საკითხის დადგენის მიზნით შუამდგომლობის დაყენება და მტკიცებულებების თანაბრად შეფასება კი სწორედ ერთ-ერთი კანონიერი საშუალებაა დაცვის მხარისათვის თავისი პოზიციის გასამყარებლად. თუ აღნიშნულის დაკმაყოფილებაზე სასამართლო უარს ამბობს, მას უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი მიზეზი და სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა იყოს მყარი და არგუმენტირებული.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასთან დაკავშირებული პრობლემები

სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების პარალელურად „სამართლიანი სასამართლო“-ს პრინციპების შესაბამისად განხილვას ექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები. წინამდებარე ანგარიშში ყურადღებას გავამახვილებთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ზემოაღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის შესწავლის მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვილიმანი ხულიგნობა), 173-ე (სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 174¹-ე (შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა) მუხლების საფუძველზე გამოტანილი დადგენილებები. გარდა იმისა, რომ ე.წ. „მუშა მუხლებს“ წარმოადგენენ, 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები მნიშვნელოვანია მათი კვალიფიკაციის თვალსაზრისით. იგივე შეიძლება ითქვას 174¹-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზეც.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი და თავისებურებები განსაზღვრულია საქართველოს 1984 წლის 15 დეკემბრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. პრინციპები, რომლებსაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება ეყრდნობა, ასე გამოიყურება: ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონის დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება.⁸⁹

რაც შეეხება უშუალოდ დადგენილებას, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ის უნდა შეიცავდეს: დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელებას; საქმის განხილვის თარიღს; ცნობებს იმ პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე; საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემას; იმ ნორმატიული აქტის მითითებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის; საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.⁹⁰

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მონოდებული დადგენილებების ფორმალური და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე ნათლად გამოვლინდა ის ხარვეზები, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო განხილვას ახლავს თან. წინამდებარე თავში ერთ-

⁸⁹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლი

⁹⁰ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მანეთის პარალელურად იქნება განხილული როგორც კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების წესები, ასევე გამოვლენილი ხარვეზები და დარღვევები.

ჩვენს ხელთ არსებული დადგენილებების ანალიზის საფუძველზე შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

დადგენილებების შაბლონური ფორმა

დადგენილებების ფორმალური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თითოეულ მოსამართლეს ინდივიდუალურად შემუშავებული (ე.წ. შაბლონური) ფორმა აქვს, რომელშიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ რეკვიზიტები იცვლება. ფორმა, როგორც წესი, შეიცავს: დადგენილების გამომტანი სასამართლოს დასახელებას, საქმის განხილვის თარიღს, სამართალდამრღვევის, ასევე სასამართლოში მისი წარმომდგენის ვინაობას, იმ ნორმატიული აქტის მითითებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, გასაჩივრების (გადასინჯვის) ვადებს.

დადგენილების სტანდარტული ფორმის შემუშავება, რომელიც სამუშაო პროცესს აადვილებს, თავისთავად დარღვევა არ არის. დადგენილების შაბლონური ფორმა პრობლემას იმ შემთხვევაში წარმოადგენს, როცა მასში მხოლოდ სახელები და გვარები იცვლება. განხილული დადგენილებების უმეტესობა (აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ჩათვლით) ზოგადი და უნივერსალური ხასიათისაა. ამგვარი დადგენილება ადვილად „ერგება“ სხვადასხვა შემთხვევას. თუმცა, იმის გამო, რომ არ შეიცავს მითითებებს კონკრეტული გარემოებების შესახებ, მტკიცებულებათა ნაკლებობისა და დასაბუთებულობის პრობლემას წარმოშობს. შესაბამისად, ძნელია იმის მტკიცება, რომ დადგენილება გარემოებების სრულყოფილად შესწავლის საფუძველზეა მიღებული. სწორედ ამის გამო წარმოადგენს პრობლემას დადგენილების შაბლონური ფორმა. შაბლონურ ხასიათზე მიუთითებს დადგენილებაში სამართალდარღვევის ჩადენის თარიღის, სამართალდამრღვევისა და მისი სასამართლოსთვის წარმდგენის ვინაობის განსხვავებული სახისა და ფერის შრიფტით აღნიშვნაც.

სამართალდარღვევის ფაქტების არასაკმარისად ასახვა დადგენილებაში

პრობლემა, რომელიც დადგენილებების შაბლონურობასთანაა დაკავშირებული სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ, ინფორმაციის ნაკლებობაა. თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებულ ერთ-ერთ დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ „*08 სექტემბერს ჰეიდარ ალიევის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ადმინისტრაციული წესით დაკავებული იქნა ა.ა. საპატრულო პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე, რაზეც შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი.*“ დადგენილების აღნიშნული აღწერილობა ვერ იძლევა ინფორმაციას, რა კანონიერი მოთხოვნა გააჩნდა საპატრულო პოლიციას სამართალდამრღვევის მიმართ, რაში გამოიხატა მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, როგორი იყო სამართალდამრღვევად ცნობილი პირის პოზიცია და ა.შ.

მტკიცებულებათა ნაკლებობა

სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის პარალელურად, განხილულ დადგენილებებში, მტკიცებულებათა ნაკლებობაც შეიმჩნევა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას ეფუძნება. სწორედ ამგვარი გამოკვლევის საფუძველზე უნდა მიიღოს მოსამართლემ დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

ამის მიუხედავად, დადგენილების ის ნაწილი, რომელიც საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებების აღწერას უნდა შეიცავდეს, როგორც წესი, ასეთი შინაარსისაა: „*საქმის მასალების შესწავლით*



და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, სასამართლოს მიაჩნია, საქმის მასალებით დადასტურებულია ა.ა-ს მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და საქმის გარემოებების მიხედვით მას უნდა განესაზღვროს ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.“ ამდენად, დადგენილება ვერ იძლევა წარმოდგენას, რა კონკრეტულ მტკიცებულებებს დაეყრდნო სასამართლო დადგენილების გამოტანისას, რამდენად საფუძვლიანი იყო ისინი და ა.შ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის ან არარსებობის დადგენა. ეს მონაცემები დგინდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმითა და სხვა დოკუმენტებით. დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ძირითადი მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმია. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ახსნა-განმარტება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის იდენტურია. კონკრეტული მითითებები, სამართალდამრღვევის პოზიციის შესახებ დადგენილებებში თითქმის არ გვხვდება. განხილულ დადგენილებებში მითითებულია მხოლოდ ის, რომ სამართალდამრღვევი ეთანხმება ან არ ეთანხმება ოქმის შინაარსს. აღნიშნული თავის მხრივ პროცესუალურ სიმწირეზე და სამართალდამრღვევის არასათანადო დაცვაზე მიუთითებს.

პროცესის ზედაპირულობა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება თავისი მნიშვნელობით ვერ უტოლდება, თუმცა რაოდენობით ბევრად აღემატება სისხლისა და სამოქალაქო სამართალწარმოებას. ეს არ ამართლებს იმ ზედაპირულობას, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვას ახასიათებს. კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება ასევე უნდა შეიცავდეს ჩანაწერს ჩამორთმეული ნივთებისა და დოკუმენტების, აგრეთვე სპეციალური საექსპერტო დაწესებულებისა (ექსპერტისა) და თარჯიმნისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ხარჯების კომპენსაციის შესახებ⁹¹.

დაახლოებით 900 დადგენილებაში, რომლებიც სახალხო დამცველის ოფისს თბილისის საქალაქო სასამართლოდან მოეწოდა, მსგავსი მითითება არცერთში არ გვხვდება. დადგენილებაში მსგავსი ჩანაწერების არარსებობა მტკიცებულებათა ნაკლებობაზე, პროცესის ზედაპირულობასა და დაცვის გარანტიების ნაკლებობაზე მეტყველებს.

დაცვის გარანტიების ნაკლებობა

როგორც უკვე აღინიშნა, განხილული დადგენილებები ძირითადად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ეფუძნება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე თითქმის არ ხდება მონმის დაკითხვა, მტკიცებულებათა გამოკვლევა და ა.შ. მსგავს პრაქტიკას მტკიცებულებათა ნაკლებობის გარდა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი დაცვის გარანტიების ნაკლებობამდეც მიჰყავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის თანახმად, რომელიც სამართლიანი სასამართლო განხილვის ფართო ცნების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, სასამართლოები ვალდებული არიან, დაიცვან სრული თანასწორობა მხარეებს შორის. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე იმ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებენ მას აშკარა არახელსაყრელ მდგომარეობაში მოპასუხე მხარესთან შედარებით.⁹²

⁹¹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁹² დონაძე საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. 2006 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება. საქმე №74644/01 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, დადგენილებიდან ასევე არ ირკვევა აღიარებს ან/და ინანიებს თუ არა სამართალდამრღვევი მომხდარს, რამ უბიძგა მას სამართალდარღვევის ჩადენისაკენ და ა.შ. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პირდაპირ კავშირშია სახდელის სახისა და ზომის განსაზღვრასთან, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. ეს კიდევ ერთი მანიშნებელია იმისა, რომ პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებს და იშვიათი გამონაკლისების გარდა მისი დანიშნულება სამართალდარღვევის ოქმის შინაარსის „დაკანონებით“ შემოიფარგლება.

დასაბუთებულობის პრობლემა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.⁹³

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, *წვრილმანი ხულიგნობა, ესე იგი, საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით ან, თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული – ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.*

აღნიშნული ნორმა სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, არჩევანი არსებითად განსხვავებული სიმკაცრის სახდელებს შორის გააკეთოს. ამ თავისუფლების პარალელურად კოდექსი სასამართლოს უწევს მოთხოვნას, იხელმძღვანელოს კანონით და მართლმშეგნებით, ხოლო მტკიცებულება შეაფასოს შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში. შესაბამისად, სასამართლოს თავისუფლებას – გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელოს შინაგანი რწმენით, უპირისპირდება მისი დასაბუთებულობის ვალდებულება. დასაბუთებული დადგენილება პასუხს უნდა იძლეოდეს 2 არსებითი მნიშვნელობის შეკითხვაზე: 1. რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნია სასამართლომ სამართალდარღვევა ჩადენილად; 2. რა გარემოებებზე დაყრდნობით განსაზღვრა სასამართლომ სახდელის ზომა. ვინაიდან, სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.⁹⁴

ჩვენ მიერ განხილული დადგენილებების უმეტესი ნაწილი არ შეიცავს მითითებას, თუ რატომ გადამწყვიტა მოსამართლემ სამართალდამრღვევისთვის ამა თუ იმ სახდელის შეფარდება ან თუნდაც შენიშვნით⁹⁵ შემოფარგლა.

დასაბუთებულობის პრობლემას ვერ ხსნის დადგენილების სამოტივაციო ნაწილში ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების მითითება. მაგალითად, შეუსაბამოა იმის მტკიცება, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეეფარდება არასრულწლოვანს, როცა სამართალდამრღვევი სრულწლოვანია. დადგენილების დასაბუთებულობა ქმედების ზუსტ კვალიფიკაციას და კონკრეტულ გარემოებებთან კონკრეტული ნორმების მისადაგებას გულისხმობს.

⁹³ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი.

⁹⁴ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი

⁹⁵ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი

სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა

დადგენილებების განხილვისას ყურადღება მიიქცია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დამოუკიდებლად გამოყენებამ. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისათვის.⁹⁶ იმისთვის, რომ სახეზე დასახელებული შემადგენლობა გვექონდეს, აუცილებელია (სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში მყოფი) სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის ან სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულება ან მოთხოვნა, რომელსაც სამართალდამრღვევი ბოროტად არ ემორჩილება. იმ შემთხვევაში, როცა 173-ე მუხლი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სხვა მუხლებთან ერთად გამოიყენება, საკითხი მეტ-ნაკლებად ნათელია და შეკითხვებიც აღარ ჩნდება.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა პირი არ ემორჩილება საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მითითებას შეაჩეროს ავტოსატრანსპორტო საშუალება, ჩაიტაროს ალკოჰოლურ ან/და ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმება, შეწყვიტოს ხულიგნური ქმედება. 173-ე მუხლის გამოყენება, მოთხოვნის წარმომშობ სხვა ნორმასთან კავშირში, სრულიად ბუნებრივია.

გაურკვეველია, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის რომელი კანონიერი მოთხოვნა არ სრულდება მაშინ, როცა სამართალდარღვევათა ოქმი მხოლოდ 173-ე მუხლს ეფუძნება. ჩვენს ხელთ არსებული დადგენილებების უმეტესობა დასახელებულ შეკითხვაზე პასუხს არ იძლევა. განხილულ დადგენილებებში ასევე არ იძლევა იმის გარკვევის შესაძლებლობას, მსჯელობს თუ არა სასამართლო დასახელებულ საკითხზე. აღნიშნულმა პრობლემამ კი თავის მხრივ შეიძლება მიგვიყვანოს ისეთ პრობლემებამდე, როგორცაა: ქმედების არასწორი კვალიფიკაცია, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაკავება, სასამართლოს კონტროლის არარსებობა და ა.შ.

არასწორი კვალიფიკაცია

კვალიფიკაციის პრობლემა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებასაც შეეხება. დასახელებული მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის⁹⁷. შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესი ცალკე კანონით განისაზღვრება. სასამართლომ სწორედ ამ კანონის შესაბამისად უნდა შეაფასოს გარემოებები. 174¹ მუხლი ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებისათვის, მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ან მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისთვის. აღნიშნული გარემოების გამო კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა.

საპირისპირო სურათს აჩვენებს ჩვენს ხელთ არსებული დადგენილებები. „[...] აქციაში იღებდა რა მონაწილეობას, არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს, იგი ბოროტად არ დაემორჩილა პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას, დაეცვა წესრიგი, დაეტოვებინა პარლამენტის წინ მიმდებარე ადგილი და არ მდგარიყო პარლამენტის შესასვლელთან...!“ დადგენილების ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ სასამართლომ აქციაში მონაწილეობა იმთავითვე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად ჩათვალა (დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, სამართალდამრღვევს სახდელის სახით 166-ე, 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა). ცალკეული შენობების შესასვლელებთან (ასევე მათგან 20 მეტრის რადიუსში) შეკრება-მანიფესტაციის ჩატარებას „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქარ-

⁹⁶ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი

⁹⁷ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლი.

თველოს კანონი კრძალავს.⁹⁸ შესაბამისად, კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პირს პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ მუხლით უნდა დაკისრებოდეს. ეს იმთავითვე არ გამოიხიზავს პირისთვის 166-ე ან/და 173-ე მუხლების შესაბამისად სახდელის დადებას.

აღნიშნული პრობლემების პარალელურად, შეუძლებელია არ მივუთითოთ იმ შეუსაბამობების შესახებ, რომლებიც თითქმის ყოველ დადგენილებაში გვხვდება.

- დადგენილების აღწერილობით ნაწილში სამართალდამრღვევის შესახებ დაფიქსირებული მონაცემები არ შეესაბამება სამოტივაციო ნაწილში მითითებულ ანალოგიურ მონაცემებს;
- დადგენილებაში შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ სამართალდამრღვევს ერთდროულად 2 სახელი აქვს – სოსო და უშანგი; ეს შაბლონურობის საუკეთესო მაჩვენებელია.
- აღწერილობითი ნაწილის თანახმად, სამართალდამრღვევი ოქმში დაფიქსირებულ ფაქტს არ აღიარებს. ხოლო სამოტივაციო ნაწილის თანახმად, სასამართლო სახდელის დადებისას სამართალდამრღვევის აღიარებას ეყრდნობა;
- დადგენილებაში შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით იხელმძღვანელა, ხოლო სახდელი 166-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრა.

ზემოაღნიშნული ხარვეზები შესაძლებელია მექანიკურად იყოს დაშვებული ან ტექნიკურ უზუსტობას წარმოადგენდეს. მოტივაცია გონივრულობას მოკლებულია, როცა მსგავსი ხარვეზები სიტყმატიურ ხასიათს ატარებს. საქმეზე დონაძე საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი⁹⁹: *სასამართლო მიუთითებს, რომ პროცესის სამართლიანობის კონტექსტში იგი მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს ფორმალურ მხარეს და რომ დემოკრატიული ქვეყნები ვალდებული არიან ნდობა გამოიწვიონ პროცესის მონაწილეებში.*

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა თავისი არსითა და შედეგებით სისხლისსამართლებრივ დარღვევას არ უთანაბრდება. შესაბამისად, ნაკლებად მკაცრი და მტკიცეულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაწესებული სახდელიც. ამის მიუხედავად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის საერთოა მართლმსაჯულებისთვის დადგენილი ზოგადი პრინციპები.

თითოეული დასახელებული პრობლემა, დამოუკიდებლად აღებული, სამართლიანი სასამართლოსთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. საპირისპირო სურათს იძლევა მათი სინთეზი. შაბლონურობა განხილულ დადგენილებათა ძირითადი ნაკლია. იგი გამოიხატება საქმის გარემოებების სრულყოფილ აღწერას, მტკიცებულებათა შინაარსისა და გამოკვლევის შედეგებისას, ისევე, როგორც სამართალდამრღვევისა და გადაწყვეტილების მიღების საფუძვლების მითითებას.

პირს, რომლის მიმართაც განიხილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, უფლება აქვს დადგენილება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამორკვეულ მტკიცებულებებს დააფუძნოს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების წარმოება მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელებით გამოირჩევა. მაგრამ ეს გარემოება მართლმსაჯულების არაჯეროვნად განხორციელებას ვერ ამართლებს. პროცესი, რომელიც 10-15 წუთი გრძელდება და ფორმალურ ხასიათს ატარებს, უფლებას საქმის სამართლიან განხილვაზე ვერ უზრუნველყოფს. პროცესის ხანგრძლივობას, ისევე როგორც ფორმალური მხარეების დაცვასა და განმცხადებელთან სასამართლოს დამოკიდებულებას სამართლიანი სასამართლოს ფარგლებში, განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.¹⁰⁰

⁹⁸ საქართველოს კანონის „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ მე-9 მუხლი.

⁹⁹ დონაძე საქართველოს წინააღმდეგ.

¹⁰⁰ დონაძე საქართველოს წინააღმდეგ

ზემოთ განხილული პრობლემების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ჯაბა ჯიშკარიანის, დაჩი ცაგურისა და ირაკლი კორძაძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები, რომლებშიც გამოკვეთილია დასაბუთებულობის პრობლემა.

საქართველოს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა, რომელიც ეხებოდა მოქალაქეების, დაჩი ცაგურისა, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაძის, 2009 წლის 23 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ მშვიდობიანი შეკრების აღკვეთისა და მათი დაკავების ფაქტს.

2009 წლის 23 ნოემბერს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა რუსთაველის გამზირზე დააკავეს „მოძრაობა 7 ნოემბრის“ წევრები: დაჩი ცაგურია, ირაკლი კორძაძე და ჯაბა ჯიშკარიანი.

ადმინისტრაციული წესით დაკავების ოქმებში დაკავების მოტივად მითითებულია ის ფაქტორი, რომ პირები იმყოფებოდნენ პარლამენტის შესასვლელიდან 25-30 მეტრში და არღვევდნენ „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ საქართველოს კანონს. პატრულ-ინსპექტორების მოთხოვნაზე წარედგინათ შესაბამისი ნებართვა ქ.თბილისის მერიიდან, მათ მიერ წარედგინილ არ იქნა, რის გამოც სამართალდარღვევის აღკვეთის დროს ისინი არ დაემორჩილნენ სამართალდამცავთა კანონიერ მოთხოვნას და მიაყენეს მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

სამივე პირის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები ანალოგიური შინაარსისაა. ოქმების თანახმად, სამართალდამცავებმა ზემოაღნიშნულ პირთა ქმედება მიიჩნიეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ და 173 მუხლის დარღვევად.

ამავე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ გამოიტანა სასამართლო დადგენილებები. სასამართლომ სამივე პირი ცნო სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ და 173 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაირღვა მოქალაქეების დაჩი ცაგურისა, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაძის კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება.

როგორც ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ნებართვის გაცემას, როგორც ასეთს, საერთოდ არ ითვალისწინებს. მით უმეტეს, რომც მივიჩნიოთ, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ამ დროს ითხოვდნენ გაფრთხილების ასლს, რომელიც აქციის ორგანიზატორთა მიერ შეტანილი უნდა იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ აქციის მონაწილეები იმ მომენტისათვის იმყოფებოდნენ მე-7 მუხლის დაცვის ქვეშ და შესაბამისად მათ ნებართვა არ სჭირდებოდათ.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარალოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ“.

კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა იმ შემთხვევაში არსებობს, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ასეთი გაფრთხილების აუცილებლობა მოცემულია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5.1 მუხლში, რომლის მიხედვითაც თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება, შეკრების ან მანიფესტა-

ციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის სავალდებულო სათანადო გაფრთხილების შეტანა ადგილობრივი მმართველობის ორგანოში აქციის ჩატარების ადგილის მიხედვით.

ამავე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულია გამონაკლისი, რა შემთხვევაშიც მოქალაქეებს არ აქვთ ვალდებულება წინასწარი გაფრთხილება გაუგზავნონ შესაბამის ორგანოს, კერძოდ: „გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ თავიანთი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება, ამისათვის გამოიყენონ შენობების შესასვლელი და კიბეები, გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი ან შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.“

შესაბამისად, დაჩი ცაგურიას, ირაკლი კორძაიასა და ჯაბა ჯიშკარიანს აბსოლუტური უფლება ჰქონდათ, საჯაროდ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი და არ ეკისრებოდათ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულება. ის არგუმენტი, რომ მათ პატრულ-ინსპექტორებს ვერ წარუდგინეს შესაბამისი ნებართვა, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული. უფრო მეტიც, დღეს მოქმედი კანონი ნებართვის გაცემას აქციის ან მანიფესტაციის ჩატარებისთვის არ იცნობს. საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილებით (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) არაკონსტიტუციურად ცნო „გაფრთხილების არმილების“ ინსტიტუტი იმ მოტივით, რომ იგი ფაქტობრივად აქციის მონაწილეებს დამოკიდებულს ხდიდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებართვაზე.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ, ისე სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დადგინდად მიიჩნია, რომ დაჩი ცაგურიამ, ირაკლი კორძაიამ და ჯაბა ჯიშკარიანმა დაარღვეეს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

სასამართლოს განმარტებით შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეებმა გადაკეტეს გზის სავალი ნაწილი, რითაც შეაფერხეს ხალხის მოძრაობა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ასევე სააპელაციო სასამართლომაც.

ამასთან დაკავშირებით ზემოხსენებულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა – „კანონმდებელმა მე-7 მუხლში პირებს მისცა წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეკრების შესაძლებლობა, თუმცა დაადგინა ადგილები, სადაც კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შეკრება წინასწარ გაფრთხილებას მოითხოვს.“

ამ განმარტების შესაბამისად ცალსახაა, რომ მე-7 მუხლი იცავს შეკრების თავისუფლებას გაფრთხილების გარეშე, მაგრამ ამისთვის დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

1. არ უნდა გამოიყენონ შენობების შესასვლელი;
2. არ უნდა გამოიყენონ შენობების კიბეები;
3. არ უნდა გადაკეტონ გზის სავალი ნაწილი ;
4. არ უნდა შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.

კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს ხელისუფლებას უფლებას შეწყვიტოს შეკრება ან მანიფესტაცია, თუ ის კანონსწინააღმდეგო ხასიათს მიიღებს. ასეთად შეგვიძლია განვიხილოთ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, კერძოდ: „ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის მოთხოვნათა მასობრივად დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე 11¹ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე.“



თუმცა, მე-13 მუხლი, მისი შინაარსის გათვალისწინებით, შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც შეკრება ან მანიფესტაცია წინასწარი გაფრთხილების შემდეგ ტარდება.

რაც შეეხება მე-7 მუხლს, როგორც უკვე აღინიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა. სასამართლოს ერთ-ერთი დადგენილების სამოტივაციო ნაწილის თანახმად, ჯაბა ჯიშკარიანს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჰქონდა უფლება საჯაროდ გამოეხატა თავისი შეხედულებები, მაგრამ მას ამისთვის არ უნდა გამოეყენებინა პარლამენტის კიბეები და ქვეითთა სავალი ნაწილი, რითიც აფერხებდა ხალხის მოძრაობას.

მანიფესტაციისას პირს აქვს უფლება გამოიყენოს ქვეითთა სავალი ნაწილი, მაგრამ არ უნდა გადაკეტოს გზის სავალი ნაწილი და შეაფერხოს ხალხის მოძრაობა. რაც შეეხება იმას, თუ რა წარმოადგენს ხალხის მოძრაობის შეფერხებას, ეს შეფასებითია. სასამართლო სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ პროცესზე საერთოდ არ ყოფილა მსჯელობა, თუ რაში გამოიხატებოდა ხალხის მოძრაობის შეფერხება. შესაბამისად, გაუგებარია, რას დაეყრდნო მოსამართლე, როდესაც დადგენილად მიიჩნია ჯაბა ჯიშკარიანის მიერ ხალხის მოძრაობის შეფერხება.

ირაკლი კორძაიას მიმართ გამოტანილი სასამართლო დადგენილების თანახმად, ი.კორძაია „თავის თანამოაზრეებთან ერთად ატარებდა აქციას რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შესასვლელთან არსებულ ქვეითად მოსიარულეთა სავალ ნაწილზე, რითაც დარღვეულია ზემოაღნიშნული ნორმები.“ შესაბამისად არც ამ შემთხვევაში არ არის მსჯელობა, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ნორმის დარღვევა.

სასამართლო სხდომის ოქმიდან ასევე ირკვევა, რომ თავად პატრულ-ინსპექტორთა განმარტებით, იმ დროს, როცა ჯ.ჯიშკარიანი, დ.ცაგურია და ი.კორძაია იდგნენ ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილზე, რუსთაველის გამზირი გადაკეტილი იყო, ვინაიდან ქ.თბილისის კეთილმოწყობის სამსახური ატარებდა სპეციალურ სამუშაოებს განათებასთან დაკავშირებით. პატრულ-ინსპექტორთა განცხადებით, ავტოტრანსპორტი ამ დროს რუსთაველზე არ მოძრაობდა, ამავდროულად დროს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა.

მიიჩნეის, რომ სამი პირის ფეხით მოსიარულეთა ნაწილზე დგომა სერიოზულად აფერხებდა ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას და ამით ირღვეოდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი. სასამართლოს მიერ არც აღნიშნულ ფაქტზე ყოფილა ყურადღება გამახვილებული.

დ.ცაგურიას მიმართ გამოტანილ დადგენილებაში საერთოდ არ არის მსჯელობა ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. არ არის მოსამართლის შეფასებები, ფაქტობრივად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ დადგენილება შინაარსობრივად საერთოდ არ შეიცავს სამოტივაციო ნაწილს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ჯ.ჯიშკარიანის სამართალდარღვევის საქმის განხილვისას ადვოკატმა გ.მოსიაშვილმა დააყენა შუამდგომლობა ინციდენტის ამსახველი ვიდეოფირის საქმეზე დართვისა და პროცესზე მისი საჯაროდ ნახვის თაობაზე. აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ უცნობი იყო მისი წარმოშობის წყარო, თუმცა შუამდგომლობის ავტორმა განმარტა, რომ ვიდეოფირი ჟურნალისტების მიერ იყო გადაღებული. აღნიშნული ვიდეომასალით უტყუარად დადასტურდებოდა, რომ ჯ.ჯიშკარიანის, დ.ცაგურიასა და ი.კორძაიის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ჩვენს ხელთ არსებული ვიდეოჩანაწერებიდან კარგად ჩანს, რომ ხალხის მოძრაობის შეზღუდვა არ მომხდარა. დადგენილად არის მიჩნეული და ჩანაწერიდანაც კარგად ჩანს, რომ აღნიშნული პირები იდგნენ და გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმ ადგილის მდებარეობას, სადაც მოხდა პირთა დაკავება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამი პირის დგომა პარ-

ლამენტიდან დაახლოებით 30 მეტრში, სადაც ფაქტობრივად არის დიდი სამოძრაო ადგილი მოედნის სახით, ვერ შეაფერხებდა ხალხის გადაადგილებას, მით უფრო გადაკეტილი ქუჩის პირობებში.

ვიდეორჩანანერში კარგად ჩანს, რომ შეკრების სამ მონაწილეს არ ჰქონია გადაკეტილი გზის სავალი ნაწილი და არც ხალხის მოძრაობა შეუფერხებია. ისინი დაკავების მომენტისათვის ისხდნენ ხალხის სავალი ნაწილის სიახლოვეს არსებულ საფეხურზე, შესაბამისად, არანაირ დაბრკოლებას არ უქმნიდნენ ფეხით მოსიარულეებს.

რაც შეეხება პარლამენტის შენობის კიბეებს. ვიდეორჩანანერიდან ჩანს, რომ აქციის მონაწილე სამივე პირი იჯდა არა პარლამენტის შენობის კიბეებზე, არამედ ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი გზის სავალი ნაწილიდან პარლამენტის წინ არსებულ მოედანზე ასასვლელ საფეხურებზე. აღნიშნული დასტურდება სასამართლო დადგენილებებითაც, ვინაიდან 2 მათგანში როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადგენილია, რომ აქციის მონაწილეები იმყოფებოდნენ პარლამენტის შესასვლელიდან 25-30 მეტრში. შესაბამისად, შეუძლებელია, აქციის მონაწილეებს დაერღვიათ მე-7 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც აქციის მონაწილეებმა არ უნდა გამოიყენონ შენობების კიბეები.

აბსოლუტურად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ არის დაყენებული 173-ე მუხლით დადგენილი სამართალდარღვევის საკითხი. ვიდეორჩანანერიდან კარგად ჩანს და მოგვიანებით სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეებმაც დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ არც დაჩივრის და არც მის თანხლებ პირებს არანაირი სახით წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სამართალდამცავი ორგანოებისათვის. კადრებში ჩანს მხოლოდ აღნიშნულ პირთა საპატრულო ეკიპაჟში ჩასხდომის ფაქტი, თუმცა პატრულ-ინსპექტორები აცხადებდნენ, რომ დაუმორჩილებლობას სწორედ აღნიშნულ ქმედებამდე ჰქონდა ადგილი, რაც, როგორც ჩანანერიდან ჩანს, სიმართლეს არ შეეფერება.

აღნიშნული საქმე ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვისას სასამართლოში არაერთი პრობლემა არსებობს. პროცესის ზედაპირულობას სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობამდე მივყავართ, შესაბამისად აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა ყოველი საქმისადმი და საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოკვლევა.

რეკომენდაციები:

საერთო სასამართლოებს:

- საქმეთა განხილვისას საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ მოხდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების (განსაკუთრებით საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ საქმეებზე მიღებული) გათვალისწინება ადამიანის უფლებათა დარღვევების მომავალში თავიდან აცილების მიზნით.

საქართველოს პარლამენტს:

- მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი მოძველებულია როგორც შინაარსობრივად, ასევე სისტემურად. მასში ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული სამართალწარმოების წესი, საქმეთა განხილვის წესი, სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება, სასამართლო განხილვის პროცედურები, მხარეთა უფლებები და ა.შ. მიუხედავად პარლამენტის არაერთი მცდელობისა ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით შეეცაოთ არსებული ხარვეზები, აღნიშნული საკანონმდებლო აქტის სრულყოფა პრაქტიკულად შეუძლებლად მიმაჩნია. ხშირ შემთხვევებში მოქალაქეთა უფლებების დარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმეების წარმოებისას, სწორედ ამ კანონის გაუმართაობის გამო ხდება. გამომდინარე ზემოთქმულიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნეს ახალი „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი“;
- საქართველოს კანონში „საერთო სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ დისციპლინური სამართალდარღვევის ცალკე სახედ განისაზღვროს მოსამართლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინება, დადგენილება, განაჩენი, გადაწყვეტილება) დაუსაბუთებლობა.



სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების სავალდებულობა განმტკიცებულია უზენაესი კანონით – საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

2009 წლის მეორე ნახევარში საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებებით მიმართავდნენ მოქალაქეები, რომელთა სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები შესული იყო კანონიერ ძალაში, გაცემული იყო სააღსრულებო ფურცლები, თუმცა ჭიანურდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ან საერთოდ არ ხდებოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სააღსრულებო წარმოების დაწყება. გაჭიანურების მიზეზები იყო ის, რომ მოვალე მხარე არ აღასრულებდა სასამართლო გადაწყვეტილებებს ნებაყოფლობით, ამასთან, ნებაყოფლობითი აღსრულებლობის შემდეგ იწყებოდა იძულებითი აღსრულების პროცესი, რომელიც დიდი ხნით ჭიანურდებოდა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მონოდებული ოფიციალური მონაცემებით, 2009 წლის 1 ივლისიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების, სააღსრულებო ბიუროების, წარმოებაში აღსასრულებლად სულ შევიდა 30 250 სააღსრულებო წარმოება. ამავე პერიოდში დასრულებულ საქმეთა რაოდენობამ შეადგინა 21 758 სააღსრულებო წარმოება.

დასრულებულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი საქმეთა საერთო რაოდენობის 71%-ს შეადგენს, რაც 2008 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით აღსრულებულ საქმეებს 11%-ით აღემატება.

აქვე გვეცნობა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო ბიუროებს წარმოებაში არ მიუღიათ და შესაბამისად აღსრულებაც არ განხორციელებულა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შემოვიდა განცხადებები, რომლებშიც მოვალე მხარე არის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აქვს დავალიანებები მოქალაქეებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ გაუცემელი ხელფასების, იძულებითი განაცდურის სახით ან დაკისრებული აქვთ სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურეების სამსახურში აღდგენა, ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ვინაიდან, 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში დეტალურადაა განხილული საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული პრობლემატიკა¹⁰¹, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ იმ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების არაეფექტურობაზე, რომელიც მოვალე სახელმწიფო ორგანოს სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილი პირის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ავალდებულებს. ამ მხრივ, სამსახურიდან დათხოვნილი პირების სამსახურში აღდგენის თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესი, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველაზე რთულია. კერძოდ, პრობლემა თავს იჩენს მაშინ, როდესაც მოვალე ადმინისტრაციული ორგანო ან შესაბამისი თანამდებობის პირი ნებაყოფლობით არ აღასრულებს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომლითაც ევალება ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემა კრედიტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

სასამართლო აღმასრულებლები ასეთ დროს შემოიფარგლებიან მხოლოდ წერილობითი მიმართვით, რომლითაც სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირებისაგან სასამართლო გადაწყვეტილების და სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებას მოითხოვენ. სასამართლო აღმასრულებლებს არ გააჩნიათ არანაირი სამართლებრივი ბერკეტი მოსთხოვონ ადმინისტრაციულ ორგანოს ან შესაბამისი თანამდებობის პირს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კრედიტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შემთხვევებში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უშუალოდ მოვალე ადმინისტრაციული ორგანოს იმ თანამდებობის პირზე დამოკიდებული, რომელიც ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემაზეა უფლებამოსილი. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, რომელიც არ ასრულებს ამ მოქმედებას, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 87-ე მუხლის თანახმად მოვალეს შეიძლება დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა¹⁰². თუმცა აღნიშნული ნორმა თავისი შინაარსით სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებული სასჯელია და არა იძულებითი აღსრულების ღონისძიება. ამასთან დასახელებული ნორმა არაეფექტურია, ვინაიდან პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მისი გამოყენება, როგორც წესი, სააღსრულებო ორგანოების მხრიდან არ ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირი ნებაყოფლობით არ გამოსცემს სასამართლო გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ახალ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სასამართლო აღმასრულებელს კანონით დადგენილი არანაირი იძულებითი სააღსრულებო ღონისძიების გატარების საშუალება არ გააჩნია, ვინაიდან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის გათვალისწინებული მსგავსი შემთხვევები.

აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილებების აღსრულების სირთულე მეტყველებს იმაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობა მსგავსი ტიპის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში დასახვეწია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება კრედიტორის უფლებების დარღვევას და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობას.

რეკომენდაცია

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში დადგინდეს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს აღმასრულებელს, მოვალე სახელმწიფო ორგანოს ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, განახორციელოს ეფექტური იძულებითი სააღსრულებო ღონისძიებები.

¹⁰¹ იხ. სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიში, თავი „სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება“ 135 გვ. 143 გვ. ჩათვლით.

¹⁰² იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი.

კონსტიტუციური სარჩევები

სტატისტიკა

	2009 წლის I ნახევარი	2009 წლის II ნახევარი	სულ 2009 წელს
საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმეები	2	3	5
საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები	2	2	4
სახალხო დამცველის მიერ შეტანილი კონსტიტუციური სარჩევები	0	2	2
საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებული სარჩევები	1	2	3

ნორმატიული აქტით ან მისი ცალკეული ნორმებით საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავში აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში, სახალხო დამცველი უფლებამოსილია კონსტიტუციური სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. ანალოგიური უფლებამოსილება გააჩნია სახალხო დამცველს მაშინაც, თუ ამომრჩეველთა მოთხოვნის მიუხედავად არ დაინიშნა რეფერენდუმი ან თუ სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ რეფერენდუმის ჩატარება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

აღნიშნულ უფლებას სახალხო დამცველს, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლთან ერთად, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლი ანიჭებს .

სახალხო დამცველი აქტიურად სარგებლობს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვადასხვა ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების მიზნით.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვა შესაძლებელია, თუ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით

ალიარებული უფლებანი და თავისუფლებანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელით მისამართად უფლების დარღვევის კონკრეტული ფაქტის ან დარღვევის რეალური საფრთხის არსებობაა საჭირო. ზემოთ დასახელებულ მუხლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ... ეს მუხლი გამორიცხავს საკონსტიტუციო სასამართლოში აბსტრაქტული კონტროლის პრინციპის საფუძველზე მიმართვას.

კანონმდებელი და სასამართლო მსგავს შეზღუდვას არ უწესებს სახალხო დამცველს. წარმოადგენს რა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტს, სახალხო დამცველს შეუძლია უფლების დარღვევის კონკრეტული ფაქტის გარეშე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

2009 წლის 01 ივნისიდან 30 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის 3 კონსტიტუციური სარჩელი განიხილა.

- „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიმართ;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების – „თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებულის ყოფნის რეჟიმის დარღვევამ“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტთან და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიმართ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიმართ;

განხილულ სარჩელთაგან 2 დაკმაყოფილდა, ხოლო ერთი სარჩელი არსებითად განხილულია, თუმცა სასამართლოს არ აქვს მიღებული გადაწყვეტილება.

უფრო კონკრეტულად, 2009 წლის მეორე ნახევარში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ:

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის 27 აგვისტოს № 1/2/434 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიმართ. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა ყოველ ადამიანს უფლებას აძლევს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ხოლო სადავო აქტი კრძალავდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დონისა და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობის გასაჩივრებას.

სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ მოქალაქეთა სოციალური დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა და არა კეთილი ნების გამოხატვა. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი წარმოშობს ხელისუფლების ვალდებულებას, გადაჭრას ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთა (შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაზარალებული პირების, ინვალიდების, პენსიონერების) პრობლემები და მოახდინოს მათი სოციალური უზრუნველყოფა.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო არ იყო ერთსულოვანი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ჩამოყალიბებისას. მოსამართლეთა პოზიციები თანაბრად გაიყო სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების უფლებების სასამართლოში განსჯადობასთან დაკავშირებით, კერძოდ, შესაძლებელი უნდა იყოს თუ არა ამ უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, „სოცი-



ალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული მეთოდოლოგიის, დონისა და ოდენობის სასამართლოში გასაჩივრება. ამ საკითხს შეეხება მოსამართლეების, ქ.ერემადისა და ბ.ზოიძის, განსხვავებული აზრი.

სასამართლო სხდომაზე, ისევე როგორც კონსტიტუციურ სარჩელში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიას.

სხდომაზე მოწვეულმა მონემ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე) დეტალურად ისაუბრა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის, მთავრობის მიერ დადგენილი დონისა და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობის შესახებ. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის თავისებურებებზე. ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე ხორციელდება საარსებო შემწეობის მაძიებელ ოჯახთა შეფასება, მათი სარეიტინგო ქულის გამოთვლა და საარსებო შემწეობის დანიშვნა. მან ასევე დაადასტურა, რომ მოქმედი მეთოდოლოგია ზუსტია მიზნობრივი ჯგუფების გამოვლენის დროს, მაგრამ მოუქნელია ინდივიდუალურ შემთხვევებში, ანუ ის აფიქსირებს ქრონიკულ სიღარიბეს და ვერ ასახავს კონტექსტიდან ამოვარდნილ ერთეულ შემთხვევებს.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია გულისხმობს ბენეფიციართა შეფასებას ისეთი მონაცემების მიხედვით, როგორცაა სქესი, ასაკი, განათლება, საცხოვრებელი ადგილი და ა.შ. აქედან გამომდინარე სასამართლომ მიუთითა, რომ *[... ვერ გამორიცხავს პირთა შორის დიფერენცირებულ მიდგომას და თანაბარი მოპყრობის უფლებასთან დაკავშირებით საფუძვლიანი სამართლებრივი დავის შესაძლებლობას]*. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ იმის შეფასება, რამდენად აკმაყოფილებს დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს მეთოდოლოგიით განსაზღვრული დიფერენცირებული მიდგომა, კონკრეტული დავის ფარგლებში შესაბამისი კომპეტენციის სასამართლომ უნდა გადანყვიტოს. იგივე პოზიცია დააფიქსირა საკონსტიტუციო სასამართლომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დონისა და ფულადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიმართაც.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დებულება შეიცავდა დისკრიმინაციის საფრთხეს, რადგან არ იძლეოდა სასამართლოსთვის მიმართვისა და კონკრეტული შეფასებების გაკეთების შესაძლებლობას. სასამართლო დაეყრდნო 1966 წლის „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტს და მიუთითა, რომ სოციალური უფლებებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობა დამოუკიდებელი უფლებაა.

სასამართლომ დაადგინა, რომ:

სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტი, მათ შორის აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიას, სოციალური დახმარების ოდენობასა და დონეს, უფლების მარეგულირებელ აქტებს განეკუთვნებიან და უნდა ექვემდებარებოდნენ სასამართლოში გასაჩივრებას სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების უფლებების დასაცავად.

ძირითადი მოტივი, რომელიც მოსამართლეთა პოზიციას განასხვავებს, სოციალური უზრუნველყოფის უფლების უფლებად აღიარებას შეეხება. განსხვავებულ აზრში, რომელიც გადანყვეტილებას თანახლავს, მითითებულია, რომ:

სადავო ნორმა, პირველ რიგში, გავლენას ახდენს სოციალური დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებებზე და ქმნის მათი დარღვევის საფრთხეს, რის გამოც ზუსტად ეს არის ერთ-ერთი გადამწყვეტი საფუძველი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისათვის. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ მოსარჩელემ ძირითადად ამ პრობლემის გადასაწყვეტად მიმართა საკონს-

ტიტუციო სასამართლოს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სასამართლო ვალდებულია, გადაწყვიტოს (დადებითად ან უარყოფითად) სასარჩელო მოთხოვნაში დაყენებული და არსებითად განსახილველად მიღებული ყველა საკითხი, მიუხედავად მისი სირთულისა თუ პრობლემატურობისა.

იმის გათვალისწინებით, რომ სასარჩელო მოთხოვნაში განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული მოქალაქეთა სოციალური უფლებების დაცვაზე, განსხვავებულ აზრში დასმულია 2 შეკითხვა:

- ა. სოციალური დახმარება და სოციალური უზრუნველყოფა წარმოადგენს თუ არა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს;
- ბ. სადავო ნორმა წარმოადგენს თუ არა საფრთხეს ამ უფლებების დაცვის შესაძლებლობებისთვის.

დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემამდე სასამართლომ ხაზი გაუსვა სოციალური უფლებების ე.წ. „ძვირ ხასიათს“ და სახელმწიფოთა სიფრთხილეს ამ უფლებების აღიარების პროცესში. მოცემული დავის ფარგლებში სასამართლოს ასევე არ უმსჯელია, რომელი სოციალური უფლებაა კონსტიტუციით აღიარებული და რომელი – არა. სასამართლომ მიუთითა, რომ [... სოციალური დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის რიგი საერთაშორისო აქტების მიერ უფლებებად აღიარება საკმარისი ფორმალური საფუძველია ამ სიკეთეების უფლებად მიჩნევისთვის და მათ უზრუნველსაყოფად სახელმწიფოთა შესაბამისი ვალდებულებების წარმოშობისათვის. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ საქართველომ სოციალური დახმარება და სოციალური უზრუნველყოფა უფლებებად აღიარა].

ამავე გადანწყვეტილებაში მიუთითა სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულ სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე, რომელიც მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის არაა და სახელმწიფოს ვალდებულებებს წარმოშობს. [... ზოგადად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ემსახურება უპირველესად უსაფრთხოების, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით, ეს არის სახელმწიფოს მუდმივი მიზანი. ამიტომ ამ პრინციპის ძირითად არსს წარმოადგენს: 1) სოციალური უსაფრთხოების შექმნა; 2) სოციალური სამართლიანობის მიღწევა; 3) საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა; 4) ზოგადი კეთილდღეობის დამკვიდრება საზოგადოებაში. თუმცა არსებობს საერთო შეთანხმება ამ პრინციპის რეალიზაციისათვის უკიდურესად აუცილებელი და საბაზისო ღონისძიებების პირველ რიგში გატარების აუცილებლობაზე, როგორცაა: 1) სოციალური უფლებების კანონმდებლობით აღიარება, 2) ადამიანის უუნარობისა და სიღარიბის შემთხვევაში მისი ელემენტარული საარსებო (სასიცოცხლო) საშუალებებით უზრუნველყოფა.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ დასმულ მეორე შეკითხვას, გადანწყვეტილებაში მითითებულია, რომ მეთოდოლოგიაში ნებისმიერი ცდომილება, გამონვეული უნებლიე შეცდომით თუ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, შესაძლოა აისახოს არსებობის მიჯნაზე მყოფი ადამიანის შესაძლებლობაზე – მიიღოს საარსებო შემწეობა ან დარჩეს ასეთი უფლების გარეშე. დახმარების მიმღებთა რიცხვში შეიძლება მოხვდეს ისეთი ბენეფიციარი, რომელიც არ იმსახურებს დახმარებას და პირიქით, დახმარების საჭიროების მქონე პირები დარჩნენ ამ სისტემის მიღმა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმა გავლენას ახდენს სოციალური დახმარებისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლებებზე.

სახელმწიფოს ვალდებულებებზე საუბრის პარალელურად, სასამართლო მიუთითებს, რომ პოლიტიკური და პირადი უფლებებისგან განსხვავებით, სოციალური უფლებები სწრაფად განხორციელებადი არაა. ასევე მოკრძალებულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლებიც. სახელმწიფოს არა აქვს ადამიანების რჩენის, მათთვის მატერიალური რესურსების დარიგების, მით უფრო მათი ფუფუნებით უზრუნველყოფის ვალდებულება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ისეთი გარემო, როდესაც პირებს ექნებათ საკუთარი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. დამატებითი დახმარების ვალდებულება კი ჩნდება მხოლოდ იმ კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც პირი, მისგან დამოუკიდებელი პირობების გამო, უუნაროა, თავად ირჩინოს თავი ან მის მიერ შექმნილი რესურსები არასაკმარისია არსებობისათვის, – განმარტა სასამართლომ.



ამავე გადანყვეტილებაში შეეხო მსჯელობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს და სასამართლოს როლს ამ სისტემაში.

რაც შეეხება გადანყვეტილების თანმდევ შედეგებს, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის გასაჩივრება არ მომხდარა. ამის მიუხედავად, სოციალური მომსახურების სააგენტომ შეიმუშავა შეფასების ახალი სისტემა, რომელიც გარკვეულ ცვლილებებს ითვალისწინებს. განხორციელებული ცვლილებების შესახებ წინამდებარე ანგარიშის სოციალური უზრუნველყოფის უფლების თავში იქნება საუბარი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვები – „თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებული ყოფნის რეჟიმის დარღვევამ“

2009 წლის 07 დეკემბრის №2/3/423 გადანყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვები – „თუ დაავადება გამოიწვია საპატიმრო ადგილებში დაპატიმრებული ყოფნის რეჟიმის დარღვევამ“ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტთან და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიმართ. სადავო ნორმა არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს. დასახელებული ნორმის თანახმად, უკანონოდ დაკავებული ან დაპატიმრებული პირისთვის მიყენებული ფიზიკური ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამონაკლისი იყო საპატიმრო დაწესებულებაში მისი ყოფნის რეჟიმის დარღვევით.

სახალხო დამცველის პოზიციით, დაპატიმრებული პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება შესაძლებელია რეჟიმის დარღვევისგან დამოუკიდებლად, უშუალოდ საპატიმრო დაწესებულებაში მოხვედრამ გამოიწვიოს. უკანონოდ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი შეიძლება დაავადდეს გულსისხლძარღვთა, ნერვული ან სასუნთქი გზების დაავადებებით ან მოხდეს ამ დაავადებების გამწვავება, თუნდაც დახურულ სივრცეში ყოფნის გამო. სადავო აქტის არსებობის პირობებში პირი მოკლებული იყო მსგავს შემთხვევებში კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.

საქმის არსებითი განხილვის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებასა და პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის შემთხვევაში უნდა მოხდეს ზიანის სრული კომპენსირება.

სასამართლომ მიუთითა:

... ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს.

საქართველოს კონსტიტუციის ნორმები არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სახელმწიფომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხსნას პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევისას და დაზარალებულს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა,

სასამართლომ ვრცლად იმსჯელა, თუ რა შედეგები ახლავს თან პირის დაპატიმრებას, მით უმეტეს, როცა იგი უკანონოა –

დაპატიმრება არ არის ჩვეულებრივი და რიგითი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. ის დაკავშირებულია გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან და სტრესთან, მით უმეტეს, თუ დაპატიმრებას უკა-

ნონო ან დაუსაბუთებელი ხასიათი აქვს. თავის მხრივ, ყოველივე ეს შესაძლოა აისახოს დაპატიმრებული პირის ჯანმრთელობაზე, გამოიწვიოს დაავადების წარმოშობა ან უკვე არსებულის გართულება. ფიზიკური ზიანი შესაძლოა გამოიწვიოს პირის ყოფნაში საპატიმრო დაწესებულებაში რეჟიმის დაცვის დროსაც კი, როდესაც საპატიმროს პირობები, დახურული სივრცე და ა.შ. იწვევს დაავადების გაჩენას ან პროგრესირებას, – აღნიშნულია გადანყვეტილებაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ავინროვებს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებსაც უკანონო ან დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურების უფლება აქვთ. იმ პირთა გამოყოფა, რომლებიც საპატიმრო ადგილებში ყოფნისას რეჟიმის დარღვევის გამო დაავადდა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს ყველა უკანონოდ დაპატიმრებული პირისათვის, გამონაკლისის გარეშე, კომპენსაციის უფლებას. სადავო ნორმა ასევე არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ყველასათვის არის გარანტირებული. რაიმე გამონაკლისი ძირითადი უფლების სუბიექტთა მხრივ ამ ნორმითაც გამორიცხულია.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ანალოგიური შინაარსის ნორმებს არ შეიცავს. ახალი კოდექსის თანახმად, მიყენებული ზიანი სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება. ამის მიუხედავად, გადანყვეტილება კვლავაც აქტუალურია, რადგან იგი ზიანის ანაზღაურების ფარგლებს ადგენს.

გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს გამოტანილი წინამდებარე 2 გადანყვეტილებისა, საანგარიშო პერიოდში სასამართლომ წარმოებაში სახალხო დამცველის 2 კონსტიტუციური სარჩელი მიიღო:

„მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის სიტყვების „ლიცენზიის მფლობელი“, 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „თანამგზავრული სისტემების მინისზედა და ორბიტალური სადგურების, საკაბელო ქსელისა“, 38-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვების „აგრეთვე ტელე- ან რადიოსამაუნყებლო თანამგზავრული სისტემების მინისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით“, 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების, 75-ე მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვების „ლიცენზიის მფლობელები“ არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტების მიმართ;

ასევე,

„სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-4 პუნქტის პირველი წინადადების და მე-5 მუხლის პირველი და 11 პუნქტების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტების მიმართ.

დასახელებულის გარდა საკონსტიტუციო სასამართლო საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის 2 კონსტიტუციური სარჩელის განხილვის პროცესში იყო:

- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის 1298 მუხლის მე-10 პუნქტის მე-2, 3, 4, 5 და 6 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიმართ;
- „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოში მცხოვრებ“ და „საქართველოს“ (რომელიც გრძელდება სიტყვებით „იურიდიულ პირებს“) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიმართ.



ზინაგან საქმეთა სამინისტრო (პოლიცია)

მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პოლიციის ძირითადი ფუნქციაა. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თავისი ამოცანების განხორციელებისას პოლიცია ვალდებულია, „მკაცრად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას“.¹⁰³ ყოველი მოქალაქე დაცული უნდა იქნეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან. ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ პოლიციელმა ჯეროვნად განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. მართალია, უკანასკნელ წლებში პოლიციის მიმართ ნდობა საზოგადოებაში მნიშვნელოვნად ამაღლდა, თუმცა სახალხო დამცველი თავის მოხსენებებში მუდმივად მიუთითებს იმ პრობლემებზე, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებებიდან და შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული კორესპონდენციიდან გამომდინარეობს.

2009 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სამართალდამცავი ორგანიზაციების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ჯერ კიდევ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.

წინამდებარე თავში ყურადღებას გავამახვილებთ გამოძიების გაჭიანურებასთან/არაეფექტურ გამოძიებასთან, დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე არაადეკვატურ რეაგირებასთან, დაკავების პროცესში დაკავებულ პირთა მიმართ არაადამიანურ/ღირსების შემლახავ მოპყრობასთან, გამოძიების მიმდინარეობისას პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და პოლიციის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს ის საკითხებია, რომლებიც მუდმივად აისახება სახალხო დამცველის ანგარიშებში და ამ მხრივ გამონაკლისს არც 2009 წლის მეორე ნახევარი წარმოადგენს.

გამოძიების გაჭიანურება/არაეფექტური გამოძიება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საანგარიშო პერიოდში შემოსული განცხადებების არცთუ უმნიშვნელო ნაწილში მოქალაქეები აღნიშნავენ, რომ საგამოძიებო ორგანიზაციის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობა, საჭირო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მათი სასამართლოს წინაშე წარდგენა შეგნებულად ჭიანურდება. აღნიშნულ საკითხზე სახალხო

¹⁰³ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი

დამცველი არაერთ მოხსენებაში საუბრობს, თუმცა სახალხო დამცველის აპარატში გამოძიების გაჭიანურებასთან დაკავშირებული შემოსული განცხადებების რაოდენობა ცხადყოფს, რომ ეს საკითხი 2009 წლის მეორე ნახევარში კვლავაც პრობლემას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების გაჭიანურებასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების უმეტესი ნაწილი ეხება ისეთ საქმეებს, რომლებშიც წინასწარი გამოძიების ეფექტური და დროული წარმოება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა (სიცოცხლის უფლება, ნამებისა და არაპუმანური მოპყრობის საქმეები). ასევე არის განცხადებები, რომლებიც შეეხება საქმეზე წინასწარი გამოძიების გაჭიანურებას საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, „წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კანონით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა“.

ზემოაღნიშნული ნორმის ფართო შინაარსიდან გამომდინარე, გამომძიებელი არ არის შეზღუდული ვადებში, თუმცა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, დანაშაულის აღკვეთა და საზოგადოებაში ნებსრიგის დამკვიდრება ვერ მოხდება, თუ სისხლის სამართლის საქმეები წლების განმავლობაში გამოუძიებელი იქნება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეების უმეტეს ნაწილზე წინასწარი გამოძიება უკვე წლების მანძილზე მიმდინარეობს (რამდენიმე შემთხვევაში კი ათ წელზე მეტი).

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი მოკლებულია, შესაძლებლობას გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომლებზეც წინასწარი გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. აღნიშნულის გამო სახალხო დამცველის აპარატი მოქალაქეთა იმ განცხადებებზე რეაგირებისას, რომლებიც ეხება წინასწარი გამოძიების გაჭიანურებას, მხოლოდ ზოგად ინფორმაციას ითხოვს საქმის მწარმოებელი ორგანოდან. სახალხო დამცველის აპარატის ასეთი სახის მიმართვებზე შესაბამისი ორგანოების პასუხები ყოველთვის იდენტურია. როგორც წესი, სახალხო დამცველს აწვდიან ინფორმაციას, რომ ამა თუ იმ საქმეზე ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის სხვადასხვა სახის ექსპერტიზა და მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება. (ერთეულ შემთხვევებში შესაძლოა, ასეთი ინფორმაცია შეიცავდეს მოწმეთა ჩვენების ზოგად შინაარსსაც).

ვინაიდან, სახალხო დამცველს კანონი არ აძლევს უფლებას, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმეებს, რომელზეც წინასწარი გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ვერ ხერხდება იმის დადგენა, საქმის გამოძიების გაჭიანურებას – საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და საქმის სასამართლოსთვის გადაცემას ინვეს ობიექტური მიზეზები, თუ ადგილი აქვს საგამოძიებო ორგანოებისა თუ კონკრეტული მოხელეების არაეფექტურ მუშაობას.

მაგალითისათვის, სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებაში განმცხადებელი ვ.ცერცვაძე აღნიშნავდა, რომ მისი შვილის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვალების ფაქტზე 2006 წლის 12 აგვისტოს საქართველოს შს მთავარი სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარ სამმართველოში წინასწარი გამოძიება დაიწყო. განმცხადებლის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება უსაფუძვლოდ იყო გაჭიანურებული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა დამნაშავე პირის დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ამ პირის მიმართ არ ხდებოდა.

საქმეში „რანცივი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ეფექტური გამოძიების წარმართვის ვალდებულება. საგამოძიებო ორგანომ სათანადო ზომები უნდა მიიღოს მას შემდეგ, რაც კონკრეტული ფაქტი



მათთვის ცნობილი გახდება. საგამოძიებო ორგანო არ უნდა ელოდოს, თუ როდის შემოვა ოფიციალური საჩივარი ან გამოიკვეთება კონკრეტული პირის პასუხისმგებლობა. იმისათვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტური, პირები, რომლებიც ატარებენ გამოძიებას, უნდა იყვნენ დამოუკიდებლები. ეს გულისხმობს არა მხოლოდ იერარქიულ, არამედ ასევე პრაქტიკულ დამოუკიდებლობას. გამოძიებამ უნდა შეძლოს დაადგინოს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის ვინაობა და დასაჯოს ასეთი პირი. გამოძიების აუცილებლობა არ არის დამოკიდებული დაზარალებულის ან მისი ახლობლის საჩივარზე. მას შემდეგ, რაც კონკრეტული ფაქტები ცნობილი გახდება საგამოძიებო ორგანოებისათვის, მათ უნდა იმოქმედონ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.¹⁰⁴

დანაშაულის შესახებ შეტყობინებაზე არაადეკვატური რეაგირება

გარდა გამოძიების გაჭიანურებისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები სახალხო დამცველს მიმართავენ საჩივრით, რომ დანაშაულის აშკარა ნიშნების მიუხედავად საგამოძიებო ორგანოების მიერ წინასწარი გამოძიების დაწყება არ ხდება.

ერთ-ერთ განცხადებაში მოქალაქე მ.ლევინვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ქალბატონის მიმართ მეუღლის დედისა და დის მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ეთნიკურ ნიადაგზე. განმცხადებელმა და მისი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა ეთნიკური ნიშნით განხორციელებული დევნისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ნიშნებზე წინასწარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართეს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში მოქალაქე აღნიშნავდა, რომ მის მიმართ მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო მეუღლის ნათესავების მიერ არაერთხელ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, რაც ასევე დასტურდებოდა მეუღლის მამისა და ოჯახის ახლობლების განცხადებებით, აღნიშნულ ფაქტზე პოლიციის მიერ წინასწარი გამოძიება არ დაწყებულა. პოლიცია მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა. განმცხადებელს კი ეცნობა, რომ მას მეუღლის ოჯახის წევრებთან სადავო საკითხების გადასაწყვეტად შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად „დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებული არიან დაიწყონ წინასწარი გამოძიება“. აღნიშნული ნორმა სამართალდამცავ ორგანოებს ავალდებულებს, დაიწყონ წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად პოლიციის ერთ-ერთი ამოცანაა „პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ასეთი ქმედებების გამოვლენა, გამოძიება, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის ან/და ბრალდებული პირის ძებნა და დაკავება, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება“.¹⁰⁵

სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნის მიღწევა სისხლის სამართლის საქმეების ეფექტურად და ჯეროვნად გამოძიების გარეშე შეუძლებელია, შესაბამისად, აუცილებელია ჯეროვანი და ინდივიდუალური მიდგომა ყოველი საქმისადმი.

¹⁰⁴ რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილება. საქმე №25965/04

¹⁰⁵ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

არაადამიანური/ღირსების შემლახველი მოპყრობა ეჭვმიტანილთა დაკავებისას

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად, „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.“

წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლება განმტკიცებულია ასევე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლშიც, რომლის თანახმადაც, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახვ მოპყრობას ან დასჯას.“

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების, პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებს.“

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმები წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ადამიანი ნებისმიერ გარემოში და პირობებში, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის დროს, დაცული იქნება წამების, არაადამიანური, სასტიკი ან სხვა, ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან.

ეჭვმიტანილთა დაკავების პროცესში გადამეტებული ძალის გამოყენების საკითხი საქართველოში განსაკუთრებით მწვავედ იდგა 5-6 წლის წინ. მართალია, დღესდღეობით ეს პრობლემა სისტემური ხასიათის აღარ არის, თუმცა ერთეული შემთხვევები მაინც გვხვდება. მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია მოხდეს ერთეული შემთხვევების გამოაშკარავება.

2009 წლის მე-2 ნახევარში სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შედეგად გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც დაკავების პროცესში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს. 2009 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში აღინიშნა, რომ პოლიციის მიერ ძალისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებმა იმატა დასავლეთ საქართველოში. იგივე ტენდენცია შეინიშნება 2009 წლის მეორე ნახევარშიც.

სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ.ქუთაისის №2 დანესებულებიდან ეცნობა, რომ პატიმარი კ.ორმოცაძე დანესებულებაში შეყვანილი იქნა სხვადასხვა დაზიანებით.

2009 წლის 7 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულები გაესაუბრნენ კ.ორმოცაძეს, რომელმაც განმარტა, რომ 2009 წლის 10 ივლისს იგი დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის შს სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა. განმცხადებლის განმარტებით, ის მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდა ქუთაისის შს სამმართველოს №4 განყოფილების სამორიგეო ნაწილში არსებულ 3 კვ.მ. საკანში, სადაც მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიყენეს პოლიციის თანამშრომლებმა, რის გამოც მოგვიანებით ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში სასწრაფო სამედიცინო დახმარების განვაც კი დასჭირდა.

ამჟამად, ქუთაისის რაიონულ პროკურატურაში კ.ორმოცაძის წამების ფაქტზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.



საქმეში „კოლიბაბა მოლდავეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც პიროვნება სხეულის დაზიანებას იღებს დაკავებისას ან პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში, ყოველი ასეთი დაზიანება წარმოშობს ძლიერ პრეზუმფციას, რომ ადამიანი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, წარმოადგინოს ჯეროვანი ახსნა-განმარტება, თუ რამ გამოიწვია დაზიანებები. სახელმწიფოს მიერ მსგავსი ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობა ამკარად წარმოშობს კონვენციის მესამე მუხლის დარღვევის საკითხს.¹⁰⁶

2009 წლის 30 სექტემბერს ქუთაისის შს სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნა ბ.ეჯიბია. 2009 წლის 1 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები ესაუბრნენ დაკავებულს, რომელმაც განმარტა, რომ 2009 წლის 30 სექტემბერს დაკავებული იქნა თხოთმეტამდე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირის მიერ, რომლებმაც დაკავებისას მის მიმართ ძალა გამოიყენეს და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც მან გონება დაკარგა.

2009 წლის 1 ოქტომბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას, ბ.ეჯიბიას სხვადასხვა სახის დაზიანება აღენიშნებოდა, კერძოდ: სახის მარცხენა მხარეს სისხლჩაქცევები და ნაკანრები, ასევე დაზიანებები მარჯვენა და მარცხენა წარბთან საფეთქლის მიდამოებში, ნაკანრები მარჯვენა იდაყვზე, დიდი მოცულობის დაზიანება მუცლის მარცხენა ქვედა მხარეს, მრავლობითი დაზიანებები ხერხემალთან წელის არეში, სინითლე წელის მიდამოებში, დაზიანება მარცხენა მუხლთან. დაკავებულს ანუხებდა ძლიერი თავის ტკივილები, ასევე ტკივილები კისრისა და მუხლის არეში, უჭირდა გადაადგილება და სტკიოდა მარცხენა გვერდი. დაკავებულის გადმოცემით, მას დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებამდე გულისრევის შეგრძნება და თავბრუსხვევები ანუხებდა.

მოგვიანებით დაკავებული გადაყვანილი იქნა იმერეთის სამხარეო-კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც დაესვა დიაგნოზი: ქალა-ტვინის ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, მცირე ზომის დაჟეჟილობები შუბლის არეში მარჯვნივ და სახის არეში მარცხნივ, მარცხენა მუხლის დაჟეჟილობა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, „პოლიციელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, ... პირადი ან/და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დამნაშავისა და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის დასაკავებლად, თუ უძალადო მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.“

კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა იმ გარემოებებს, რომლებიც კანონის თანახმად პოლიციას ძალის გამოყენების შესაძლებლობას მისცემდა. დაკავებულისა და თვითმხილველთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასევე ცხადყოფს, რომ ფიზიკური და მით უფრო, გადამეტებული ძალის გამოყენების საჭიროება პრაქტიკულად არ არსებობდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბ.ეჯიბიას მხრიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ სიტყვიერ წინააღმდეგობას. ხოლო მისი დაკავების დროს ძალის გამოყენებისა და გადამეტების ფაქტს სამედიცინო ჩანაწერებიც ადასტურებს.

საქმეში „გოხან ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც ხდება პიროვნების დაკავება, რომელსაც დაკავებამდე დაზიანებები არ აღენიშნებოდა, ხოლო გათავისუფლებისას მას აღენიშნება დაზიანებები, სახელმწიფოს ვალდებულებაა, წარმოადგინოს ჯეროვანი ახსნა-განმარტება, თუ რამ გამოიწვია ეს დაზიანებები და წარმოადგინოს მტკიცებულებები, როგორ მოხდა ამ დაზიანებათა გამოწვევა, რომლებიც გააქარწყლებენ დაზარალებულის ჩვენებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს დაზიანებები გამყარებულია სამედიცინო დასკვნით. აღნიშნული განმარტებების სახელმწიფოს მიერ არწარმოდგენა იწვევს კონვენციის მესამე მუხლის დარღვევას.

¹⁰⁶ კოლიბაბა მოლდავეთის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლო 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საქმე №29089/06

მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო, როგორც წესი, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს მიმართავს. იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღწერილი ფაქტები, ნაწილობრივ ან მთლიანად, შეიძლება იყოს განმცხადებლის ტყუილის შედეგი, სერიოზული დასაბუთებაა საჭირო სხეულის იმ დაზიანებების შესახებ, რომლებიც დაკავებისას მიიღეს პირებმა. ბუნებრივია, მტკიცების ტვირთი ეკისრებათ საგამოძიებო ორგანოებს, რათა წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და ჯეროვანი ახსნა-განმარტება.¹⁰⁷

2009 წლის 15 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები ესაუბრნენ ბრალდებულ ლ.მალრაძეს, რომელმაც განმარტა, რომ 2009 წლის 28 ნოემბერს დაკავებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ. დაკავების შემდეგ სამართალდამცავებმა მას თავზე ჩამოაფარეს პოლიეთილენის პარკი და წაიყვანეს მისთვის უცნობ ადგილზე. განმცხადებლის განმარტებით, მას 4 საათის განმავლობაში სცემდნენ, ქამრით ახრჩობდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდნენ მისი ოჯახის წამებით. ლ.მალრაძის ცემა ასევე გაგრძელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. მისი განმარტებით, პოლიციის მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგად მას სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები, კერძოდ, ხელზე, ყურზე და თვალთან ჰქონდა დალურჯებები, ხოლო წელთან – ნაკანრები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით კონვენცია მონაწილე სახელმწიფოს გარდა იმისა, რომ აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას, არ ხელყოს პირის სიცოცხლე კონვენციით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა და არ გამოიყენოს პირის მიმართ წამება ან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, ასევე აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას პირის სიცოცხლის ხელყოფის ან/და წამების ან/და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების შესაძლო შემთხვევები სწრაფად და ეფექტურად იქნეს გამოძიებული და დამნაშავე პირების მიმართ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავ შეინიშნებოდა სამართალდამცავების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტები. პოლიციის თანამშრომლის მიერ ეჭვმიტანილის დაკავებისას გამოყენებული ძალა პირის დაკავებისათვის აუცილებელი ზომის პროპორციული უნდა იყოს. მნიშვნელოვანია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები მომავალში მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სახალხო დამცველი ყოველთვის მიმართავს შესაბამის ორგანოებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტის აღმოფხვრისა და კონკრეტულ ფაქტზე გამოძიების დაწყების რეკომენდაციით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სათანადო უწყებებმა მოახდინონ დროული და ადეკვატური რეაგირება მსგავსი სახის მიმართებებზე.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას გამოვლენილი პროცესუალური დარღვევები

სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებებში მოქალაქეები ხშირად მიუთითებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამოძიებლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევებზე. შესაძლებელია, ეს დარღვევები გამოძიებლის მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდეს, თუმცა მსგავსი შეცდომები ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.

გ.გოგირაშვილის სისხლის სამართლის საქმეში სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაფიქსირდა შემთხვევა, სადაც ერთი და იგივე ეჭვმიტანილი ერთდროულად მონაწილეობდა ორ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში.

¹⁰⁷ გოზან ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება. საქმე №31950/05



აღნიშნულ საქმეზე 2008 წლის 11 ნოემბერს ქარელის რაიონული სამმართველოს შენობაში ექვმიტანილის სახით დაიკითხა გ.მწარიაშვილი. დაკითხვისას მან აჩვენა, რომ სახლში ინახავდა თ.იორამაშვილის მალაზიიდან მოპარულ მობილურ ტელეფონებს. დროის იმავე მონაკვეთში იმავე გამოძიებულმა გ.მწარიაშვილის საცხოვრებელ ბინაში მისივე თანდასწრებით ჩაატარა ამოღება და ჩხრეკა.

სისხლის სამართლის საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ.მწარიაშვილის დაკითხვა ქარელის რაიონული სამმართველოს შენობაში და მისი თანდასწრებით ბინის ჩხრეკა ჩატარებულია დროის ერთ პერიოდში. თუმცა, წარმოდგენილია ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად მონაწილეობდეს სხვადასხვა ადგილზე ჩატარებულ ორ საგამოძიებო მოქმედებაში.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევას ადგილი ჰქონდა 2009 წლის 15 დეკემბერს ფონდ „ინკლუზივის“ შენობაში ჩატარებული ჩხრეკისას.

ჩხრეკის დამსწრეთა განმარტებით, ჩხრეკისას სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს გაურკვეველი ნივთიერება, თუმცა, აღნიშნული ნივთიერება მათ თვალწინ არ დაუღუქავთ. აღსანიშნავია, რომ ჩხრეკის ოქმს ადგილზე მხოლოდ მონმეებმა მოაწერეს ხელი, მათ ასევე საგამოძიებო მოქმედების დროს ხელი მოაწერეს ბეჭედდასმულ ლუქს. პ.საბელაშვილის განმარტებით, მას ოფისში არცერთი დოკუმენტისათვის ხელი არ მოუწერია, როგორც თავად განმარტავს, მან გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებების ოქმებზე ხელი მოაწერა მხოლოდ ძველი თბილისის შს სამმართველოს მე-3 განყოფილების შენობაში. აქვე მოაწერა ხელი ლუქის ბეჭედდასმულ ფურცელს. თავად ფონდის შენობიდან ამოღებული ნივთიერების დაღუქვის პროცესი ჩხრეკის დამსწრეებს არ უნახავთ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად „ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოჩენილი ყველა საგანი ან დოკუმენტი, მათ ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს და დანვრილებით აღინეროს ოქმში, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა შეიფუთოს და დაიღუქოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საგამოძიებო მოქმედებაში“.

შესაბამისად, ფონდ „ინკლუზივის“ ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერების ჩხრეკის დამსწრეთა დასწრების გარეშე დაღუქვით დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლი.

მეტად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფონდ „ინკლუზივის“ ჩხრეკისას პირადი ჩხრეკა ჩაუტარდათ იქ მყოფ გოგონებსაც. როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენლებისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, გოგონები სათითაოდ შეყავდათ საპირფარეოში და ჩხრეკას უტარებდნენ. მართალია, მიცემულ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომლებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს ან დოკუმენტს) უფლება ჰქონდათ ჩატარებინათ პირადი ჩხრეკა, თუმცა გამომძიებელს უნდა გამოეთანა დადგენილებები გადაუდებელ შემთხვევაში პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ და შეედგინა შესაბამისი ოქმები, რაც პოლიციის მხრიდან არ მომხდარა.

ეთიკის კოდექსი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად თავისი ამოცანების განხორციელებისას პოლიცია მოვალეა, „მოქალაქესთან ურთიერთობისას მკაცრად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები“.¹⁰⁸

პოლიციის ეთიკის კოდექსი შეიცავს ზოგად, ძირითად პრინციპებს, რომელიც არეგულირებს პოლიციის თანამშრომელთა ურთიერთობას მოქალაქეებთან და ორგანიზაცია-დანსებულებებთან.

¹⁰⁸ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

კოდექსი ასევე განსაზღვრავს პასუხისმგებლობას კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის. პოლიციის ეთიკის კოდექსი არის პოლიციის ყველა თანამშრომლის ნების გამოხატულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, თუ არასამუშაო დროს, დაიცვას კანონიერების, სამართლიანობისა და ჰუმანურობის პრინციპები, მოიქცეს ტაქტიანად.

პოლიციის ეთიკის კოდექსის თანახმად, „პოლიციელმა დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულოს სამართლიანად, მიუკერძოებლად, და უზრუნველყოს ყველა მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობა განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, განათლებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა სახის პირადი მდგომარეობისა.“¹⁰⁹

კოდექსი განსაზღვრავს, რომ პოლიციელი აცნობიერებს, რომ სამსახურებრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს არა მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნათა შესრულებას, არამედ წარმოადგენს მორალური, ეთიკური და სხვა ღირებულებების დაცვის ვალდებულებას.¹¹⁰

სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებებში განმცხადებლები არცთუ იშვიათად უკმაყოფილებას გამოთქვამენ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ცინიკური, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქცევის გამო. ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომლები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, რაც კატეგორიულად დაუშვებელია. ადამიანის პატივი და ღირსება დაცული უნდა იქნეს ნებისმიერ გარემოებაში. დაკავებული პირის მიმართ ადამიანური მოპყრობა, პირველ რიგში, პოლიციის თანამშრომელს ევალება.

ზემოთ საუბარი გვექონდა ფონდ „ინკლუზივის“ ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დარღვევაზე. მოცემულ თავში კი ამავე საქმეში გამოძიებლების მხრიდან დაკავებული პირისადმი ცინიკურ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე გვექნება საუბარი.

ფონდ „ინკლუზივის“ შენობაში ჩატარებული ჩხრეკისას, იქ მყოფი პირების განმარტებით, სამართალდამცავთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ ცინიკურ და რიგ შემთხვევაში შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას. თ.ჯაფარიძისა და ე.აღდგომელაშვილის ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ პოლიციის თანამშრომლები მათ მუდმივად უსვამდნენ კითხვებს მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, პასუხებს კი მუდმივად მოსდევდა შეურაცხმყოფელი, ჰომოფობიური და ცინიკური გამოხატულებები.

პაატა საბელაშვილის განმარტებით, 18 დეკემბერს გამოძიებელმა შსს 2 ბადრაგის თანხლებით სასამართლოდან გადაიყვანა სადის №8 საპყრობილეში. ერთ-ერთი ბადრაგი დაკავებულს შეურაცხყოფას აყენებდა და დასცინოდა სექსუალური ორიენტაციის გამო ერთ-ერთი ბადრაგირებული პატიმრის თანდასწრებით. აღნიშნულს დაკავებული იმ ფაქტითაც ადასტურებს, რომ მოგვიანებით კარანტინში ყოფნისას პატიმარმა, რომელსაც ბადრაგი ესაუბრებოდა, მისი საქმიანობისა და ორიენტაციის შესახებ ინფორმაცია სხვა პატიმრებშიც გაავრცელა.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები, თავისუფლება და ღირსება. საზოგადოების წევრებთან ურთიერთობისას პოლიციის თანამშრომელი უნდა იყოს თავაზიანი, მშვიდი და განონასწორებული.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტზე სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მისი უფლებამოსილების ფარგლებში რეაგირებისათვის. 2010 წლის 21 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვეცნობა, რომ „საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა

¹⁰⁹ პოლიციის ეთიკის კოდექსი. მუხლი 3.3
¹¹⁰ პოლიციის ეთიკის კოდექსი. მუხლი 2.4



დისციპლინური წესდების“ მე-2 პუნქტის „გ“ (ზნობრივი ეთიკური ნორმების წინააღმდეგ მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ე“ (თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს შინაგან საქმეთა სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომისთვის შს სამინისტროს სამ თანამშრომელს შეეფარდა „შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახდელი – სასტიკი საყვედური.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი არის წინ გადადგმული ნაბიჯი შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან, თუმცა აუცილებელია კიდევ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება. პოლიციის საქმიანობისას გამოვლენილ დარღვევებს უნდა მიეცეს დროული და ადეკვატური შეფასება, რათა მოხდეს მსგავსი სახის დარღვევების პრევენცია, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებას და განამტკიცებს საზოგადოების ნდობას სამართალდამცავთა მიმართ.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც წინასწარი გამოძიების ჩატარების ვადები შემცირდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

- უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გადამზადება დაკავებისას დაკავებულ პირთა მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტების აღკვეთის მიზნით.

წინა თავში საუბარი გვექონდა შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლების მიერ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების გაჭიანურებასთან (არაეფექტურად გამოძიებასთან) დაკავშირებულ პრობლემებზე. აღსანიშნავია, რომ ზემოთქმული არ არის მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოების პრობლემა.

სისხლის სამართლის კოდექსისა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროკურატურა ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად პროკურატურა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.¹¹¹

შესაბამისად, პროკურორი ვალდებულია, ჯეროვანი ზედამხედველობა განახორციელოს გამოძიებლის მიერ გამოძიების წარმართვის პროცესზე და საჭიროების შემთხვევაში მისცეს სათანადო მითითებები.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების გაჭიანურების (არაეფექტურად გამოძიების) საკითხი პრობლემას არა მარტო შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის წარმოადგენს, არამედ პროკურატურის საგამომძიებო ნაწილისთვისაც დამახასიათებელია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად პროკურატურის გამომძიებლის საგამომძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაული.¹¹² შესაბამისად, ეჭვმიტანილის დაკავებისას პოლიციის თანამშრომლის მიერ დაკავებული მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტებზე გამოძიების დაწყება და წარმართვა პროკურატურის გამომძიებლის კომპეტენციას წარმოადგენს.

საჯარო მოხელეების მიერ დაკავების პროცესში დაკავებულ პირთა მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენებაზე 2009 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში ვისაუბრეთ, თუმცა, ვინაიდან ძალის გადამეტების ფაქტებს 2009 წლის მეორე ნახევარშიც ჰქონდა ადგილი, მიზანშეწონილად მივიჩნით აღნიშნულ პრობლემაზე წინამდებარე საანგარიშო მოხსენებაშიც გავვემახვილებინა ყურადღება.

¹¹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლი; „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი

¹¹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლი.

პოლიციის მუშაკების მიერ პირის დაკავებისას გადამეტებული ძალის გამოყენების მაგალითებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თავში გვექონდა საუბარი, წინამდებარე თავში კი გვინდა მსგავსი კატეგორიის საქმეების არაეფექტურ გამოძიებაზე ვისაუბროთ.

სახალხო დამცველის აპარატი შემოსულ განცხადებებში განმცხადებლები ხშირად მიუთითებენ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დაკავების პროცესში მათზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე დაწყებული არაეფექტური გამოძიების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე, მიუხედავად დაზარალებულის და მონმეების ჩვენებებისა, დამნაშავე პირთა იდენტიფიკაცია, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, როგორც წესი, არ ხდება.

საქმეში „ბათი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გონივრულ ვადაში გამოძიება მეტად მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება არაადამიანურ მოპყრობას. გონივრულ ვადაში პასუხის გაცემა საგამოძიებო ორგანოების მიერ საჭიროა, რათა საზოგადოებაში შენარჩუნებული იქნეს ნდობა და განცდა იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოები სერიოზულად ეკიდებიან კანონის უზენაესობას და აღკვეთავენ ნებისმიერი უკანონო ქმედების ფაქტს.¹¹³

საქმეში „ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც პიროვნება აყენებს საკითხს, რომ მას პოლიცია არაჰუმანურად მოეპყრო და დაირღვა მესამე მუხლი, აღნიშნული დებულება, რომელიც უნდა განიმარტოს პირველ მუხლთან ერთად (მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მათი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის პირველ ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს), თავისი არსით სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ განხორციელდეს ეფექტური გამოძიება. ამ გამოძიებამ უნდა შეძლოს დაადგინოს კონკრეტული პასუხისმგებელი პირები და დასაჯოს ისინი. სხვაგვარად, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის და სასჯელის აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, პრაქტიკაში არაეფექტური იქნებოდა და გარკვეულ შემთხვევებში საჯარო მოხელეებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, ბოროტად გამოეყენებინათ უფლებამოსილება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოსათვის შეიცავდა საკმარის ფაქტებს (ქმედების თარიღი, ადგილი, შესაძლებლობა ამოეცნო ბოროტმოქმედები, კავშირი ცემის ფაქტებსა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან), რომელთა საფუძველზე საგამოძიებო ორგანოებს გააჩნდათ ვალდებულება განეხორციელებინათ ეფექტური გამოძიება.¹¹⁴

აღსანიშნავია, რომ დაკავებული პირის მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენების ფაქტებზე, მიუხედავად დაკავებულის მიერ საგამოძიებო ორგანოსათვის მიწოდებული საკმარისი ინფორმაციისა, დამნაშავე პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება არ ხდება. აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე წინასწარი გამოძიება, როგორც წესი, ან არაგონივრულად ინელება დროში, ან მთავრდება საქმეზე გამოძიების შეწყვეტით.

მსგავს შემთხვევებში აუცილებელია მოხდეს იმ პირთა იდენტიფიკაცია, რომლებიც დაკავებისას მომეტებულ ძალას იყენებენ დაკავებულ პირთა მიმართ, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი შემთხვევები.

¹¹³ ბათი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება. საქმე №57834/00

¹¹⁴ ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საქმე №11830/03

სახალხო დამცველს არაერთხელ მიუმართავს საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის გადა-
მეტებული ძალის გამოყენების ფაქტზე წინასწარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

2009 წლის 09 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ
პროკურორს 2006 წლის 02 მაისს თბილისში, კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული
სპეცოპერაციისას პოლიციის თანამშრომლების მიერ დამნაშავეის შეპყრობისათვის აუცილებელი
ზომის გადაცილებით ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის მკვლელობის ფაქტზე
წინასწარი გამოძიების განახლების შესახებ. მთავარი პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვე-
ტილების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველს ინფორმაცია არ მიუღია.

2009 წლის 16 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს მთავარ
პროკურორს გაუქმებინა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწი-
ლის უფროსი გამოძიებლის 2004 წლის 13 ნოემბრის დადგენილება 2004 წლის 24 მარტს მესტიის
რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციაში მონაწილე პოლიციის მუშა-
კების მიმართ სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის
თქმის შესახებ და დაეწყო ევგენი და ომეხი აფრასიძეების მკვლელობის ფაქტის გამოძიება.

აღნიშნული საქმეების განხილვის შედეგების ინფორმაციის მოთხოვნით სახალხო დამცველის აპა-
რატმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურატურას ბოლოს 2010 წლის 28
იანვარს მიმართა, თუმცა სახალხო დამცველს ამ წერილებზე პასუხი დღემდე არ მიუღია.

რეკომენდაცია:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურორმა უზრუნველყოს შესაბამისი
ლონისძიებების გატარება, რათა ჯეროვნად და ეფექტურად იქნეს გამოძიებული თითოეული
პირის დაკავებისას გადამეტებული ძალის გამოყენების საქმე მომავალში მსგავსი ფაქტების
პრევენციის მიზნით.

2009/2

შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება

2009 წლის მეორე ნახევარი, პირველი ნახევრისგან განსხვავებით, შეკრება-მანიფესტაციების მხრივ აქტიურ პერიოდს არ წარმოადგენდა. აღნიშნულ პერიოდში ადგილი არ ჰქონია მასობრივ და ხანგრძლივ მანიფესტაციებს. შესაბამისად, სიტუაცია ამ მხრივ ქვეყანაში იყო სტაბილური და სახალხო დამცველისთვის მიმართვები ფაქტობრივად არ ყოფილა. ერთადერთი შემთხვევა, რომელიც სახალხო დამცველმა შეისწავლა, 2009 წლის 23 ნოემბერს დაჩივრის ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანის და ირაკლი კორძაიას ადმინისტრაციული წესით დაკავების ფაქტს შეეხება, რომელსაც საფუძვლად შეკრება-მანიფესტაციების გამართვის წესის დარღვევა დაედო.

საანგარიშო პერიოდი საკმაოდ დატვირთული იყო საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით. როგორც ცნობილია, 2009 წლის 17 ივლისს ცვლილებები შევიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“. სახალხო დამცველის წინა ანგარიშში დეტალურად იყო მიმოხილული „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ ზოგადად კანონმდებლობაზე და იმ ნორმებზე, რომლებიც მიგვაჩნია, რომ არ შეესაბამება საერთაშორისო კანონმდებლობას, საქართველოს კონსტიტუციასა და დადგენილ სტანდარტებს.

1. შეკრება მანიფესტაციის თავისუფლების სფეროში არსებული კანონმდებლობა

ეროვნული კანონმდებლობის დონეზე შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. გარკვეული ნორმები ასევე ასახულია „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა“ და „პოლიციის შესახებ“ კანონში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის 17 ივლისს მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა შეკრება-მანიფესტაციების მარეგულირებელ აქტებში. ამის პარალელურად საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები დასკვნისთვის გადაუგზავნა ვენეციის კომისიას. შესაბამისად, მომზადდა ვენეციის კომისიის ორი წევრის, ფინოლა ფლანაგანის და ბოგდან აურესკუს კომენტარები საქართველოს კანონზე „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“. კომენტარებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობას გარკვეული ხარვეზები აქვს. მოგვიანებით, 2010 წლის 1 მარტს, საქართველოს ხელისუფლებამ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონზე შემუშავებული ცვლილებები გადაუგზავნა ვენეციის კომისიას. კომისიამ ზემოაღნიშნულ ცვლილებებზე 12-13 მარტს შეიმუშავა შუალედური დასკვნა.¹¹⁵

¹¹⁵ CDL-AD(2010)009 Interim Opinion on the Draft Amendments to the Law on Assembly and Manifestations of Georgia adopted by the Venice Commission at its 82nd Plenary Session. Venice, 12-13 March 2010

1.1. „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი შეკრებას შემდეგნაირად განმარტავს – „მოქალაქეთა ჯგუფის შეკრება ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით.“ მანიფესტაცია – ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტებისა და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით;

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას აღიარებს, როგორც ყველას (გარდა პირველი პუნქტის მეორე ნაწილში მითითებული გამონაკლისისა) უფლებას, შეიკრიბოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე. შესაბამისად, კონსტიტუცია უფლების განხორციელებას, რაიმე კონკრეტული გარემოების ან პირობის არსებობას (მაგალითად მიზანი, მოტივი და ა.შ.) არ უკავშირებს.

კანონი, კონსტიტუციის ნორმისგან განსხვავებით, შეკრებას უდგენს სპეციალურ მიზანს – სოლიდარობას ან პროტესტს. შესაბამისად, დაცვის მიღმა რჩება ისეთი შემთხვევები, რომლებიც თავისი არსით შეკრება-მანიფესტაციას წარმოადგენენ, მაგრამ მიზნები (რაიმე ფაქტის მიმართ პროტესტი ან სოლიდარობის გამოხატვა) არ ამოძრავებთ.

ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის ცნებების განმარტება არის ბუნდოვანი. ისინი შეიცავს სინონიმებს, რომლებიც პრაქტიკულად ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მაგ. მანიფესტაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განიმარტება, როგორც:

- ა. მოქალაქეთა დემონსტრაცია;
- ბ. მასობრივი საჯარო გამოსვლა;
- გ. ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით;
- დ. მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტებისა და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით;

აღნიშნული ტერმინები ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენს და მათი გამიჯვნა ერთმანეთისგან ფაქტობრივად შეუძლებელია.

1.2. „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება იყვნენ მოქალაქეები, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელი, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირები“.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის თანახმად: „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა“. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით. აღნიშნული მუხლი მოქალაქეობის მიხედვით ამ უფლების შეზღუდვას არ იცნობს. რაც შეეხება 47-ე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისს, იგი ზღუდავს უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკურ საქმიანობას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა“.

ეს ნესი არ უნდა გახდეს ბარიერი საქართველოში მცხოვრები უცხოელი მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, ამა თუ იმ ფორმით გამოეხმაურონ საქართველოსა ან სხვა ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებს.



ზოგადად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 27-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებზე შესაძლებელია დაწესდეს ამ პირების პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, მაგრამ ეს შეზღუდვა მიზნის მიღწევის თანაზომიერი უნდა იყოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონმდებელს უფლება აქვს, შეზღუდოს შეკრებების თავისუფლების განხორციელება მხოლოდ სხვა თანაბარი ფასეულობის მქონე სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად და პროპორციულობის პრინციპის მკაცრი გათვალისწინებით.“¹¹⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი მოქალაქეობრივი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად თანასწორობის პრინციპს არ ამკვიდრებს, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „[...] საჭიროა ამ ფუძემდებლური კონსტიტუციური ნორმა-პრინციპის სრულყოფილი განმარტება და მისი არსის გაგება. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. მისი მიზანია, უზრუნველყოს თანასწორობა კანონის წინაშე, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ ან, პირიქით. ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა.“¹¹⁷

შეკრება-მანიფესტაციის ორგანიზება მკვეთრად განსხვავდება ისეთი პოლიტიკური აქტივობისგან, როგორცაა არჩევნებში (აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების საფუძველზე) მონაწილეობა. შეკრება-მანიფესტაციის პოლიტიკური ბუნებისგან დამოუკიდებლად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს ზუსტად ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეს, მიიღოს მონაწილეობა შეკრება-მანიფესტაციის დაგეგმვასა და განხორციელებაში, როგორც საქართველოს მოქალაქეს. თუნდაც პოლიტიკური ხასიათის შეკრების მხოლოდ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებამ არ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და ა.შ. მსგავსი პრობლემის წარმოშობა პრაქტიკულად გამორიცხულია მაშინ, როცა შეკრება აპოლიტიკური ხასიათისაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ვენეციის კომისიის წევრის, ბოგდან აურესკუს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, კანონმა შესაძლებლობა უნდა მისცეს მოქალაქეობის არმქონე პირებს, იყვნენ შეკრების მონაწილეთა და ორგანიზატორთა შორის. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კანონმა ასევე შესაძლებელია განსაზღვრული პირობებით (მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით) ამგვარი უფლება მისცეს ბავშვებს და შეზღუდულ ქმედუნარიან პირებს.¹¹⁸

1.3 „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება განსაზღვრულ შენობებში და მათი შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში. აღნიშნული მუხლი ასევე ადგენს იმ შენობათა/დანესებულებათა ნუსხას, რომლებზეც ვრცელდება შეზღუდვა.

მე-9 მუხლი ადგენს ორგვარ შეზღუდვას. პირველი – შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვა უშუალოდ შენობაში და მეორე, აქციის ჩატარების აკრძალვა შენობების შესასვლელე-

¹¹⁶ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება;

¹¹⁷ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება;

¹¹⁸ Comments on the law on Assembly and Manifestations of the Republic of Georgia by mr. Bogdan Aurescu, Opinion no. 547 / 2009, [http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL\(2009\)153-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)153-e.asp), para.15

ბიდან 20 მეტრის რადიუსში. პირველ შემთხვევაში, შეზღუდვის დანესება სანარმო-დანესებულეებისა და მით უფრო ხელისუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის პირობების უზრუნველყოფას ემსახურება და ამდენად, ლეგიტიმური მიზანი სახეზეა. რაც შეეხება ე.წ. „20 მეტრის“ წესს, ეს უკანასკნელი ხშირ შემთხვევაში აზრს უკარგავს აქციის გამართვას, რადგან მჭიდროდ ათვისებულ გარემოში, მსგავსი პირობების დაცვით უფლების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით, აკრძალული დანესებულებების ნუსხას მიეკუთვნება ისეთი დანესებულებები, როგორცაა: „შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე სანარმოები, დანესებულებები და ორგანიზაციები.“

გაუმართლებლად მიგვაჩნია შეკრება-მანიფესტაციის აკრძალვა შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე სანარმოებში, დანესებულებებსა და ორგანიზაციებში. შესაძლოა, კანონმდებელი აკრძალვას შეიარაღებულ დაცვას ან/და სპეციალურ რეჟიმს უკავშირებს და უსაფრთხოების მიზნებით ხსნის, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება უიარაღოდ შეკრებას მოიცავს, მოტივაცია გონივრულობას მოკლებული იქნება. გარდა ამისა, დღეს დაცვის სამსახურები შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფას ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს სთავაზობენ, შესაბამისად, ამგვარი შეზღუდვა შენობათა უმრავლესობაზე გავრცელდება. ამას კი უფლების არათანაბარზომიერ შეზღუდვამდე მივყავართ.

20-მეტრიან რადიუსის მიმართ ბოგდან აურესკუმ განაცხადა, რომ აკრძალვა გადაჭარბებულია. ვენეციის კომისიის და ODIHR-ის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად (პარაგრაფი 83), ნორმები, რომლებიც აწესებს შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვის აბსოლუტურ აკრძალვას კონკრეტული დროისა და ადგილის მიმართ, საჭიროებს გაცილებით მეტ დასაბუთებას, ვიდრე კონკრეტული შეკრებების შეზღუდვა.¹¹⁹

ვენეციის კომისიის მომხსენებლის, ფინოლა ფლანაგანის მოსაზრებით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი აბსოლუტურად კრძალავს შეკრება-მანიფესტაციებს იმ დანესებულებებთან, სადაც დემონსტრანტები ყველაზე მეტად ისურვებდნენ აქციების გამართვას. ეს დებულება მხედველობაში არ იღებს იმ გარემოებას, რომ ხშირად აქციის მონაწილეებს სჭირდებათ სპეციფიკურ ადგილებში აქციის ჩატარება, ყურადღებისა და ეფექტის მისაღწევად.¹²⁰

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2010 წლის მარტის თვეში კომისიას გადაეგზავნა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტი. აღნიშნული ცვლილებები ახდენს მე-9 მუხლის ახალ ფორმულირებას, რომლის შედეგადაც სახეზე აღარ არის აბსოლუტური აკრძალვა. თუმცა მუხლში დარჩა ჩამონათვალი იმ დანესებულებებისა, რომელთა შესავლელელებიდან 20 მეტრის რადიუსში აკრძალულია შეკრება-მანიფესტაციების ჩატარება. აღნიშნული ცვლილებები ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს წარმოადგენს კანონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.¹²¹

1.4 „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ, განზრახ დაბრკოლებების შექმნა ტრანსპორტის გადაადგილებისთვის, ხოლო ამავე კანონის მე-11 მუხლის თანახმად, შეკრებებისა და მანიფესტაციების მონაწილეებს ეკრძალებათ ტრანსპორტის სავალი ნაწილის სრულად ან ნაწილობრივ გადაკეცვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს უკანასკნელი შეკრება-მანიფესტაციაში მონაწილეთა რაოდენობითაა გამონეული.

¹¹⁹ იქვე: para. 6
¹²⁰ Comments on the law on Assembly and Manifestations of the Republic of Georgia by Finola Flanagan, Opinion no. 547 / 2009, [http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL\(2009\)152-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL(2009)152-e.pdf), para.23
¹²¹ Interim Opinion On The Draft Amendments to the Law on Assembly and Manifestations of Georgia, Opinion no. 547/2009, [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)009-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)009-e.asp), para.17



კონსტიტუციის 25-ე მუხლის თანახმად, „კანონით შეიძლება დანესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.“ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ესაა პირთა ჯგუფის უფლება, კანონით გათვალისწინებული გაფრთხილების განხორციელების შემდგომ, გამართონ აქცია გზის სავალ ნაწილზე, მიუხედავად მათი რაოდენობისა. კონსტიტუციის დებულება არ იცავს მხოლოდ აქციის გამართვის უფლებას, იგი ასევე იცავს გზის სავალი ნაწილის გადაკეცვის ფორმით პროტესტის დაფიქსირების უფლებასაც და იგი ამას აქციის მონაწილეთა რაოდენობას არ უკავშირებს.

აღნიშნულ შეზღუდვას უარყოფითად აფასებს ვენეციის კომისიის ექსპერტი ფინოლა ფლანაგანი. მისი განმარტებით, შეკრება მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ სივრცის გამოყენება ისეთივე თანაზომიერი და კანონიერია, როგორც მისი ჩვეული მიზნით გამოყენება. ბალანსი უნდა იყოს დაცული შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეთა და იმ ადამიანთა ინტერესთა შორის, რომელთა უფლებებიც იზღუდება კონკრეტული აქციის დროს¹²².

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Oya Ataman v. Turkey* განაცხადა: „გარკვეული სახის დემონსტრაციის შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეული რიტმიდან ამოვარდნა, მათ შორის ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება. მაშინ, როდესაც დემონსტრანტები არ სჩადიან ძალადობრივ აქტებს, მაგრამ უბრალოდ აფერხებენ ტრანსპორტის მოძრაობას, მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ გამოავლინოს შემწყნარებლობა ამგვარი მშვიდობიანი შეკრების მიმართ, ვინაიდან აღნიშნული უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით და არ შეიძლება ამ უფლებას მთლიანად დაეკარგოს ღირებულება.“¹²³

აღნიშნულ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გზის გადაკეცვა მაშინაც კი გაამართლა, როდესაც მოქალაქეთა რაოდენობა არ იყო იმდენი, რომ აუცილებელი ყოფილიყო მათ მიერ გზის გადაკეცვა.

ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილას ჩატარებულ საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით იდენტური პოზიცია დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებში *Balık and Others v. Turkey*¹²⁴ და *Nurettin Aldemir and Others v. Turkey*¹²⁵ თურქეთის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „[...] უფლებებში ჩარევა არა მხოლოდ გარკვეული მიზნის მიღწევისათვის, არამედ დემოკრატიული საზოგადოებისათვისაც უნდა იყოს აუცილებელი. [...]“¹²⁶

კანონმდებელმა უფლების შეზღუდვის დროს უნდა იმსჯელოს, რამდენად აუცილებელი/პროპორციულია აკრძალვა იმისათვის, რომ გარკვეული მიზანი/ინტერესი დაიცვას და რამდენად თანაბარი ფასეულობის მქონე სამართლებრივი სიკეთეები დგას ერთმანეთის პირისპირ. ამ შემთხვევაში ერთმანეთს ეჯახება ორი ინტერესი: ა. პირთა ჯგუფისა, რომელთაც სურვილი აქვთ საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ გზის გადაკეცვით და ბ. ადამიანებისა, რომელთაც შეიძლება ცხოვრების ჩვეული რიტმი დაერღვეთ აქციის გამართვით. აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი ვერ იქნება კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვის გამამართლებელი. ტრანსპორტით გადაადგილების მსურველებს შეუძლიათ გამოიყენონ ალტერნატიული გზები და ამგვარად მივიდნენ დანიშნულების ადგილას. მით უფრო, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის მე-5 პუნქტი იცნობს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმას-

¹²² იქვე: para.28

¹²³ *Oya Ataman v. Turkey*, no. 74552/01, §§ 38-42, ECHR 2006

¹²⁴ Case of BACIK AND OTHERS v. TURKEY Application no.25/02

¹²⁵ Case of NURETTIN ALDEMIR AND OTHERS v. TURKEY 18 December 2007;

¹²⁶ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 05 ნოემბრის გადაწყვეტილება;

რულებელი ორგანოების ვალდებულებას, საქიროების შემთხვევაში, ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული მარშუტის განსაზღვრას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვენეციის კომისიაში გადაგზავნილ ცვლილებათა პაკეტში, მე-11¹ მუხლის პირველი პუნქტი აღარ წარმოადგენს აბსოლუტურ-ამკრძალავ ნორმას, ხოლო ამ მუხლისთვის მე-3 პუნქტის დამატებას კანონში შემოაქვს სიახლე, რომელიც ინდივიდუალური მიდგომის პრინციპს ამკვიდრებს. კერძოდ, ცვლილებების პაკეტის თანახმად, იმ დროს, როდესაც აქციის მონაწილეთა მიერ ხდება სავალი გზების გადაკეცვა, რაც არ არის გამოწვეული მათი რაოდენობით, ადგილობრივი თვითმმართველობა ან განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს მთავრობა იღებს ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის შესახებ გადანყვეტილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებებისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით¹²⁷.

სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ცვლილებას და იმედოვნებს, რომ ცვლილებათა პაკეტში არსებული ჩანაწერი ასახული იქნება ამავე პრინციპით კანონში.

1.5 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ მუხლი კრძალავს შეკრება-მანიფესტაციის ჩატარებას მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან/და მისგან ოცი მეტრის რადიუსში. აღნიშნული ნორმა ბუნდოვანია. კერძოდ:

- ა. ბუნდოვანია, რა კრიტერიუმით განისაზღვრება მონაკვეთი მოსამართლის სახლიდან, სადაც არ შეიძლება აქციის ჩატარება;
- ბ. მხოლოდ ის აქცია იკრძალება მოსამართლის სახლთან, რომელიც ამ კონკრეტული მოსამართლის წინააღმდეგ პროტესტის ან სოლიდარობის გამოსახატად იმართება, თუ ნებისმიერი აქცია, რომლის გამართვის ადგილი უბრალოდ დაემთხვევა მოსამართლის საცხოვრებელ ადგილს. არ არსებობს ასევე კონკრეტული მიზანი, რომელიც მოსამართლის უფლებას სხვა მოქალაქის შეკრებისა და მანიფესტაციის ან თუნდაც გამოხატვის თავისუფლებაზე მალა დააყენებს.

1.6 ადმინისტრაციული პატიმრობის 90-დღიანი ვადა

სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად საქართველოს მაშტაბით არსებულ დროებითი მოთავსების იზოლაციორების გარკვეულ ნაწილში კვლავ რჩება მძიმე მდგომარეობა, შესაბამისად, არამართებულად მიგვაჩნია „საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში“ შესული ცვლილება, რომელმაც გამოიწვია ადმინისტრაციული სახდელის მაქსიმუმის გაზრდა 90 დღემდე.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება აბსოლუტური არაა და გარკვეული მიზნების მისაღწევად, გარკვეულ პირობებში შეზღუდვებს ექვემდებარება. გარკვეული მიზნები, ისევე როგორც გარკვეული პირობები, საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების და სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება. შესაბამისად, აუცილებელია კანონმდებლობაში არსებული შეზღუდვები იყოს პროპორციული და ემსახურებოდეს კონკრეტული ლეგიტიმურ მიზანს. სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა უზრუნველყოს შეკრების მშვიდობიანად ჩატარება, არამედ თავი უნდა შეიკავოს არაგონივრული ჩარევისგან.

საქართველოს სახალხო დამცველმა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა, რომელიც ეხებოდა მოქალაქეების, დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას, 2009 წლის 23 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ მშვიდობიანი შეკრების აღკვეთისა და მათი დაკავების ფაქტს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ფაქტი წარმოადგენდა ერთადერთს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება მასზე. აღნიშნული შემთხვევის მიმართ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა.

¹²⁷ Draft Law on Amendments and Supplements to the Law on Assembly and Manifestations of Georgia, [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL\(2010\)026-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL(2010)026-e.pdf)



2009 წლის 23 ნოემბერს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა რუსთაველის გამზირზე დააკავეს მოძრაობა 7 ნოემბრის წევრები დაჩი ცაგურიას, ირაკლი კორძაია და ჯაბა ჯიშკარიანი.

ადმინისტრაციული წესით დაკავების ოქმებში დაკავების მოტივად მითითებულია, რომ პირი იმყოფებოდა პარლამენტის შესასვლელიდან 25-30 მეტრში და არღვევდა შეკრება-მანიფესტაციის კანონს. პატრულ-ინსპექტორების მოთხოვნაზე, წარედგინათ შესაბამისი განაცხადი ქ.თბილისის მერიიდან, ვერ წარმოადგინა, რის გამოც სამართალდარღვევის აღკვეთის დროს ის არ დაემორჩილა სამართალდამცავთა კანონიერ მოთხოვნას და მიაყენა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. აფერხებდნენ ქვეითთა თავისუფალ გადაადგილებას. აღნიშნული პირების მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმები ანალოგიური შინაარსისაა. ოქმების თანახმად, სამართალდამცავებმა ზემოაღნიშნულ პირთა ქმედება მიიჩნიეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174 პრიმა და 173 მუხლის დარღვევად.

ამავე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ გამოიტანა სასამართლო დადგენილებები. დადგენილებების თანახმად, სასამართლომ სამივე პირი ცნო სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ და 173 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

საქმის შესწავლის შედეგად მიგვაჩნია, რომ დაირღვა მოქალაქეების, დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას, კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება. აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან პირთათვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაში არამართლზომიერ ჩარევას. ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ გამოტანილი დადგენილებების დაუსაბუთებლობას.¹²⁸ ვინაიდან, სასამართლო დადგენილებებში არსებული ხარვეზების ანალიზი მოცემულია ამავე ანგარიშის „სამართლიანი სასამართლოს“ თავში, აღნიშნულზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

რაც შეეხება პატრულ ინსპექტორთა ქცევას, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე მნიშვნელოვან დარღვევას.

- ა. ის ფაქტი, პატრულ ინსპექტორებმა აქციის მონაწილეებს ქ.თბილისის მერიის მიერ გაცემული ცნობა/ნებართვა/განაცხადი მოსთხოვეს, პრობლემას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ნებართვის გაცემას, როგორც ასეთს. მით უმეტეს, რომ მივიჩნიოთ, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ამ დროს ითხოვდნენ გაფრთხილების ასლს, რომელიც აქციის ორგანიზატორთა მიერ შეიტანება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ აქციის მონაწილეები იმ მომენტისათვის იმყოფებოდნენ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის დაცვის ქვეშ.

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარალოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.“

კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, კანონმდებელს აძლევს უფლებას, კანონით განსაზღვროს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ასეთი გაფრთხილების აუცილებლობა მოცემულია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5.1 მუხლში,

¹²⁸ იხ. სახალხო დამცველის 2009 წლის მეორე ნახევრის მოხსენება – სამართლიანი სასამართლო

რომლის მიხედვითაც თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის სავალდებულო სათანადო გაფრთხილების შეტანა ადგილობრივი მმართველობის ორგანოში აქციის ჩატარების ადგილის მიხედვით.

თუმცა, ამავე კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულია გამონაკლისი, რა შემთხვევაშიც მოქალაქეებს არ აქვთ ვალდებულება, წინასწარი გაფრთხილება გაუგზავნონ შესაბამის ორგანოს, კერძოდ: „გაფრთხილება არ არის სავალდებულო ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ თავიანთი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვა პლაკატებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით ან სხვა სახვითი საშუალებებით, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება, ამისათვის გამოიყენონ შენობების შესასვლელები და კიბეები, გადაკეციონ გზის სავალი ნაწილი ან შეაფერხონ ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობა.“

ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირები იმყოფებოდნენ მე-7 მუხლის დაცვის ქვეშ, დადასტურებულად მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ. შესაბამისად, დაჩივანი ცაგურიას, ირაკლი კორძაიასა და ჯაბა ჯიშკარიანს აბსოლუტური უფლება ჰქონდათ, საჯაროდ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი და არ ეკისრებოდათ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულება. ის არგუმენტი, რომ მათ პატრულ-ინსპექტორებს ვერ წარუდგინეს შესაბამისი ნებართვა, არის სამართლებრივ საფუძველს მოკლებული. უფრო მეტიც, დღეს მოქმედი კანონი ნებართვის გაცემას აქციის ან მანიფესტაციის ჩატარებისთვის არ იცნობს. საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის გადაწყვეტილებით 2/2/180-183 – არაკონსტიტუციურად ცნო „გაფრთხილების არმილების“ ინსტიტუტი იმ მოტივით, რომ იგი ფაქტობრივად აქციის მონაწილეებს დამოკიდებულს ხდიდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებართვაზე.

- ბ. პატრულ-ინსპექტორების განმარტებით, მათ მიერ დაჩივანი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას დაკავების კიდევ ერთ მიზეზს ხალხის სამოძრაო ადგილის გადაკეცვა წარმოადგენდა. იმ დროს, როცა ჯაბა ჯიშკარიანი, დაჩივანი ცაგურია და ირაკლი კორძაია იდგნენ ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილზე, გადაკეტილი იყო რუსთაველის გამზირი, ვინაიდან ქ.თბილისის კეთილმონყოლის სამსახური ატარებდა სპეციალურ სამუშაოებს განათებასთან დაკავშირებით. პატრულ-ინსპექტორთა განცხადებით, ავტოტრანსპორტი ამ დროს რუსთაველზე არ მოძრაობდა, ამავე დროს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა, პრობლემად მიიჩნიეს სამი პირის ფეხით მოსიარულეთა ნაწილზე დგომა და მიიჩნიეს, რომ ეს სერიოზულად აფერხებდა ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას და ამით ირღვეოდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი.

ჩვენს ხელთ არსებული ვიდეორჩანწერებიდან კარგად ჩანს, რომ ხალხის მოძრაობის არანაირ შეზღუდვას ადგილი არ ჰქონია. ამას გარდა, თუ გავითვალისწინებთ იმ ადგილის მდებარეობას, სადაც მოხდა პირთა დაკავება შეგვიძლია, თამამად ითქვას, რომ სამი პირის დგომა პარლამენტიდან დაახლოებით 30 მეტრში, სადაც ფაქტობრივად არის დიდი სამოძრაო ადგილი მოედნის სახით, ვერ შეაფერხებდა ხალხის გადაადგილებას, მით უფრო გადაკეტილი რუსთაველის გამზირის პირობებში.

- გ. 173-ე მუხლის გამოყენება. აღნიშნულ შემთხვევაში პატრულ-ინსპექტორთა მხრიდან აბსოლუტურად დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ იქნა დაყენებული 173-ე მუხლით დადგენილი სამართალდარღვევის საკითხი. ვიდეორჩანწერიდან კარგად ჩანს, რომ დაჩივანი ცაგურიას და არც მის თანმხლებ პირებს არანაირი სახით წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სამართალდამცავებისათვის. კადრებში ჩანს მხოლოდ აღნიშნულ პირთა საპატრულო ეკიპაჟში ჩასმის ფაქტი. პატრულ-ინსპექტორები აცხადებდნენ, რომ დაუმორჩილებლობას სწორედ აღნიშნულ ქმედებამდე ჰქონდა ადგილი და არც ერთ მათგანს როგორც სასამართლო სხდომის ოქმებიდან ირკვევა, სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ მათ უკვე დაკავების შემდგომ რაიმე სახით გაუწიეს წინააღმდეგობა, ან



მიაყენეს შეურაცხყოფა. პატრულ-ინსპექტორთა განმარტებით კი ადგილი ჰქონდა არა მარტო სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფას. რაც, როგორც ჩანანერიდან ჩანს, სიმართლეს არ წარმოადგენს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია შეკრება-მანიფესტაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დახვეწა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ბუნდოვანი ნორმების განმარტება და დაზუსტება. აღნიშნული პრობლემა მწვავედ აღარ იდგება იმ შემთხვევაში, თუ ვენეციის კომისიისათვის მარტის თვეში წარდგენილი ცვლილებათა პაკეტი აისახება კანონმდებლობაში. მისასაღმებელია ის გაქტი, რომ იგეგმება ზემოაღნიშნულ კანონში „პროპორციულობის“ ცნების შემოტანა, ასევე იმის მკაფიოდ მითითება, რომ უფლების შესაზღუდად აუცილებელია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის არსებობა.

გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლება სახელმწიფოს დემოკრატიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტესტია. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება, გაეუმჯობესებინა მედიის, როგორც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის განვითარებისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტის, თავისუფლების ხარისხი.¹²⁹

მედიის თავისუფლების ხარისხის მისაღწევად, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, აუცილებელია მედიის წარმომადგენლები დაცულნი იყვნენ ყველა ფორმის ზენოლისგან, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება თითოეულ ასეთ შემთხვევაზე ადეკვატური და სწრაფი რეაგირება მოახდინოს.

სამწუხაროდ, 2009 წლის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როდესაც ჟურნალისტებზე ხორციელდებოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. თითოეული ფაქტი განხორციელდა რეგიონულ ჟურნალისტზე და მათი განმარტებით, საჯარო მოხელეების/სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან.

სახალხო დამცველის აპარატში არსებულ განცხადებათა შინაარსი მეტყველებს ჟურნალისტებისათვის პროფესიული საქმიანობისათვის ხელშემშლელ ტენდენციებზე. ხელშემშლა, როგორც წესი, სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. კერძოდ, ადგილი ჰქონდა ჟურნალისტთა როგორც ფიზიკურ შეურაცხყოფას, ისე ფსიქოლოგიურ ზენოლას. შესაბამისად, აღნიშნულ თავში საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ მოვლენებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები

გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის თავისუფლად, ყოველგვარი ზენოლის, მითითებების გარეშე მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას. ცხადია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ზენოლის პირობებში შეუძლებელია დამოუკიდებელი მედიის არსებობა.

ჟურნალისტების მიერ პროფესიული მოვალეობის განხორციელებისას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, რომელიც წარმოადგენს ჟურნალისტის უფლებას, მოიპოვოს და გავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არსებული ინფორმაცია.

¹²⁹ http://ec.europa.eu/world/enp/pdf/action_plans/georgia_enp_ap_final_en.pdf – ევროპის კავშირისა და საქართველოს სამოქმედო გეგმა



საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია.“ აღნიშნული ნიშნავს, რომ ჟურნალისტები, როგორც საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, თავისუფალნი უნდა იყვნენ ყოველგვარი ზეწოლისაგან, რათა სათანადოდ განახორციელონ საზოგადოების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქცია. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც ეხებოდა ჟურნალისტების გორის მუნიციპალიტეტის შენობაში შესვლას. სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემა არ არის მხოლოდ ამ საანგარიშო პერიოდის დამახასიათებელი. სახალხო დამცველისთვის ცნობილია ანალოგიური ფაქტები, რომლებსაც უფრო ადრეულ პერიოდში ჰქონდა ადგილი.¹³⁰

თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პირის უფლებაზე, გონივრულ ფარგლებში მოიპოვოს ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი აღიარებს ნებისმიერი დაინტერესებული სუბიექტის უფლებას მიიღოს ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან. ოფიციალური წყაროდან ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ადგილი კი სწორედ საჯარო დანებსებულების შენობაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტს ჰქონდეს საშუალება, დაუბრკოლებლად შეძლოს შენობაში შესვლა, ხოლო საჯარო მოხელეებს ეკისრებათ ვალდებულება, ხელი შეუწყონ ჟურნალისტების მიერ საკუთარი საქმიანობის წარმართვას.

ზემოაღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კორესპონდენტმა, საბა წინიკაშვილმა მიმართა სახალხო დამცველს. მისი განმარტებით, როდესაც შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მისაღებად მივიდა, შიდა ქართლის ადმინისტრაციის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

კერძოდ, როდესაც იგი შენობაში შევიდა, საშეთა ბიურო არ მუშაობდა. კართან დაცვის თანამშრომლები არ იდგნენ, ამიტომ ჟურნალისტი მეორე სართულზე ამავალი კიბეებისკენ გაემართა. ამის გამო დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. კედელზე მიაჯახეს, შემდეგ კი კიბეებზე დააგორეს და შენობიდან გააძევეს.

ჟურნალისტს ისევე, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქეს, აქვს უფლება სათანადო წესით მიიღოს საჯარო ინფორმაცია.¹³¹ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა იმსჯელონ, ჰქონდა თუ არა ადგილი ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელებისას საბა წინიკაშვილისათვის ხელის შეშლას.

რაც შეეხება დაცვის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან საბა წინიკაშვილის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ამ შემთხვევაში იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

სახალხო დამცველმა, ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. 2010 წლის 15 თებერვალს პასუხად გვეცნობა, რომ შსს გორის რაიონულ სამმართველოში აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

კონკრეტული ფაქტის დაფიქსირებისას აუცილებელია ჟურნალისტს ჰქონდეს შესაძლებლობა, შესაბამის გარემოში განახორციელოს პროფესიული საქმიანობა. სამწუხაროდ, 2009 წლის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ჟურნალისტებს არ აძლევდნენ უფლებას დაეფიქსირებინათ გარკვეული მოვლენები ან ეწარმოებინათ გადაღება.

¹³⁰ იხ. სახალხო დამცველის 2008 წლის II ნახევრის მოხსენება

¹³¹ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლი (საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა), „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში“.

ქ. ზუგდიდში 2009 წლის 31 დეკემბერს ილია ჩაჩიბაძისა და ნანა ფაფავას სამართალდამცავებმა რამდენჯერმე აუკრძალეს გადაღება. ხოლო ნანა ფაფავას ვიდეოკამერა ჩამოართვეს. აღსანიშნავია, რომ ილია ჩაჩიბაძისთან ერთად ფაქტს სხვა ჟურნალისტებიც აფიქსირებდნენ, თუმცა მისი განმარტებით, სამართალდამცავებმა აგრესია მხოლოდ მის მიმართ გამოავლინეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს. ოფიციალური პასუხის თანახმად, აღნიშნულ ფაქტზე დაწყებული გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სახალხო დამცველი წინა მოხსენებებში ხშირად საუბრობდა ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების არაადეკვატურ კვალიფიკაციაზე. მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს მუხლს, რომელსაც ჰყავს სპეციალური სუბიექტი ჟურნალისტის სახით (სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი – ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), ხშირად ამგვარი ქმედებების კვალიფიციერება და გამოძიება ხდებოდა სხვა მუხლებით.

ამ შემთხვევაში, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პრობლემა 2009 წლის მეორე ნახევარში აქტუალური არ ყოფილა და სახეზეა დადებითი ტენდენცია.

ჟურნალისტებზე განხორციელებული მუქარის ფაქტი

2009 წლის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა ასევე ფაქტს, როდესაც ჟურნალისტზე განხორციელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. საკითხის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ ჟურნალისტს პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებით ემუქრებოდნენ.

კერძოდ, 2009 წლის 25 ნოემბერს გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტური გამოძიების კოორდინატორი თედო ჯორბენაძე უცნობმა პირებმა ქ. ბათუმის, შს განყოფილების შენობაში დაიბარეს. მას თან თანამშრომლები ახლდნენ. აღნიშნულ პირთა განმარტებით, უცნობმა პირებმა თედო ჯორბენაძეს ანახეს შავ-თეთრი ფოტოები, რომლებზეც თითქოს გამოსახული იყო თავად ჟურნალისტი. მოსთხოვეს მეორე დღეს მათთან შეხვედრა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ სურათებისა და ვიდეომასალის გასაჯაროებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მსგავსი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებისთვის ადგენს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად „პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება, ისევე როგორც ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამგვარი ზეწოლა მედიის წარმომადგენლებზე მნიშვნელოვანი საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მედიის თავისუფლებას. ამ უკანასკნელის მდგომარეობა კი პირდაპირ აისახება ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე.



სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს გადაუგზავნა თავის ხელთ არსებული მასალები და ფაქტზე გამოძიების მოთხოვნით მიმართა. ამა წლის 15 მარტს პასუხად გვეცნობა, რომ აღნიშნულ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით¹³². გამოძიებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს.

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს ჟურნალისტების მუშაობის თავისუფლება, ამისათვის მან უნდა აღკვეთოს ნებისმიერი მცდელობა, რომელიც აღნიშნული უფლების წინააღმდეგ იქნება მიმართული. მით უფრო დაუშვებელია მსგავსი ქმედებები სამართალდამცავი ორგანოებისა და საჯარო მოხელეების მიერ. ჟურნალისტთა, მედიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებების განხორციელების შემთხვევაში აუცილებელია, რომ თითოეული ასეთი ფაქტის გამოვლენისას განხორციელდეს ეფექტური და გამჭვირვალე გამოძიება.

რეკომენდაცია

- სამართალდამცავი ორგანოების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტური გამოძიების კოორდინატორების, თედო ჯორბენაძის, ილია ჩაჩიბაიას, ნანა ფაფავასა და საბა წინიკაშვილის, წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების ეფექტური გამოძიება.

¹³² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება
1. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა



შესავალი

რელიგიის თავისუფლების დაცვისა და ტოლერანტობის კულტურის მხარდაჭერის თვალსაზრისით, მდგომარეობა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, 2009 წლის პირველ ნახევართან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

წლების განმავლობაში უცვლელი რჩება არაერთი პრობლემატური საკითხი. არ დანყებულა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიურ უმცირესობათა ქონების რესტიტუციის პროცესი; არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის მოქმედებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსგან განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი; ე.წ. ტრადიციული რელიგიური გაერთიანებები ისევ უარს აცხადებენ რეგისტრაციის არსებული წესით გავლაზე, რამდენადაც მათთვის მიუღებელია კერძო იურიდიული პირის სტატუსით არსებობა; საჯარო სკოლებში კვლავ ვერ ხერხდება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესრულება; სამართალდამცველების მხრიდან არ ხდება კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა და ადეკვატური რეაგირება მაშინ, როდესაც რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს აქვს ადგილი. გაჭიანურებულია დანყებული გამოძიებები; სასჯელალსრულების დანესებულებებში რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი სასულიერო პირები საპატრიარქოს ნებართვის გარეშე ვერ ახერხებენ შეღწევას და განსხვავებული მრწამსის მქონე პატიმრების რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მასობრივი მედიასაშულებები, ტელევიზიები და ბეჭდვითი გამოცემების უმრავლესობა თიქმის არ აშუქებს ან არასათანადოდ აშუქებს რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არაერთხელ გამახვილდა ყურადღება ტოლერანტული გარემოს განმტკიცების თემაზე. საქართველოს პრეზიდენტი საანგარიშო პერიოდში რელიგიური ტოლერანტობის მხარდასაჭერად რამდენიმე საჯარო განცხადებით გამოვიდა.

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველისთვის რელიგიურ ნიადაგზე განხორციელებული დევნისა და თავდასხმის 7 შემთხვევის შესახებ გახდა ცნობილი. ამ ფაქტებიდან 6 იეჰოვას მოწმეების რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს უკავშირდება, ერთი კი – საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესიისას. სამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა რელიგიური შეკრების ადგილებზე თავდასხმას, დანარჩენ 4 შემთხვევაში – რელიგიური მისიონე-



რების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს: სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ერთ შემთხვევაში თავდამსხმელი აცხადებდა, რომ თავად იყო სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენელი.

შვიდიდან ექვს შემთხვევასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება: სამ შემთხვევაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის (ნივთის დაზიანება ან განადგურება) | ნაწილით; ორ შემთხვევაში 118-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 151-ე მუხლით (მუქარა); ერთ შემთხვევაში 118-ე მუხლის | ნაწილით და ერთ შემთხვევაში 155-ე მუხლის (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) | ნაწილით. შვიდივე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დაწყებულია გამოძიება, საანგარიშო პერიოდში იგი არ დასრულებულა. ასევე, არცერთი პირი არ არის მიცემული სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში. ამავდროულად, არცერთი ზემოაღნიშნული ფაქტის გამოძიება არ დაწყებულია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივაციით ჩადენილი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნორმით. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ანალოგიური მიდგომა გამოიკვეთა გასულ წლებშიც, აღნიშნულ საკითხზე ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის კომისიამ საქართველოს 2006 წელს მისცა რეკომენდაცია. იმავე წელს მსგავსი რეკომენდაციით სახალხო დამცველმაც მიმართა საგამოძიებო ორგანოებს, რაც მაშინ გათვალისწინებული იქნა. თუმცა, 2008 წლიდან რელიგიური მოტივაციით ჩადენილ სამართალდარღვევებს სულ უფრო იშვიათად ეძლევა სათანადო კვალიფიკაცია და ძირითადად ზემოთ აღნიშნული მუხლებით არის დაკვალიფიცირებული.¹³³

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნული დანაშაულის რაოდენობამ იმატა, საგანგაშოა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პასუხისგებაში არ მიცემულა არც ერთი პირი, მაშინ როდესაც ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით 2006-2007 წლებში 17 პირს დაეკისრა პასუხისმგებლობა და აქედან 9 პირს სასჯელის სახით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

რელიგიური ნიშნით დანაშაულის ჩამდენთა დასჯა, ერთი მხრივ, კანონის უზენაესობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის განხორციელება და განმტკიცებაა, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელი პრევენციული ზომაა, რათა დაუსჯელობამ არ წაახალისოს ადამიანები, რომლებიც შეუწყნარებელნი არიან სხვა რელიგიური მრწამსისა და გაერთიანებების მიმართ.

საგადასახადო რეჟიმი

წლების განმავლობაში მოუგვარებელი რჩება საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებული პრობლემები.

რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის უზრუნველყოფა დიდწილად და მოკიდებული არსებულ საგადასახადო რეჟიმზე. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ საგადასახადო რეჟიმი საკმაოდ ლიბერალურია იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც რელიგიურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ და მათი რელიგიური საქმიანობა¹³⁴ გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიის საპატრიარქოს შორის კონსტიტუციური შეთანხმების მეექვსე მუხლის („ეკლესიის საღვთისმსახურო მიზნით წარმოებული, შემოტანილი და მიწოდებული პროდუქცია და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადისგან“) შესაბამისად, დამატებითი და სხვა რელიგიური ორგანიზაციებისაგან განსხვავებული წესებია დადგენილი საგადასახადო კოდექსში გადასახადის საკითხების დასარეგულირებლად. კოდექსის თანახმად: მოგების გადასახადისგან თავისუფლდება „საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება“ (მუხლი 172); ასევე, დღგ-საგან თავისუფლდება „საქართველოს საპატრი-

¹³³ კერძოდ : 187-ე მუხლის (ნივთის დაზიანება ან განადგურება) | ნაწილით; ორ შემთხვევაში 118-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 151-ე მუხლით (მუქარა); ერთ შემთხვევაში 118-ე მუხლის | ნაწილით.

¹³⁴ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებული რელიგიური საქმიანობა.

არქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნის მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე, მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები. (მუხლი 230).

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ნორმები მხოლოდ ერთი კონკრეტული ეკლესიის მიმართ ადგენს რეგულირების რეჟიმს, რაც არათანაბარ გარემოში აქცევს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს.

განათლების სისტემა

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო სკოლებში იკრძალება პროზელიტიზმი, ინდოქტრინაცია და არააკადემიური მიზნით რელიგიური სიმბოლოების გამოყენება. თუმცა, წლების განმავლობაში, კანონის იმპლემენტაცია და საჯარო სკოლებში აკადემიური და რელიგიური სფეროების გამიჯვნა ვერ განხორციელდა. სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წარმომადგენელთა და მშობელთა მიერ მონოდეული ინფორმაციით, სკოლებში კვლავ მრავლად აქვს ადგილი სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების მხიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევას. ასევე, კვლავ არ ისწავლება საგანი „რელიგიის ისტორია“, რამდენადაც ჯერჯერობით არ არსებობს შესაბამისი შინაარსის სახელმძღვანელო.

სასჯელალსრულების სისტემა

იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს შორის 2002 წელს დადებული ხელშეკრულების მეორე მუხლის თანახმად, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ სასჯელალსრულებით დაწესებულებაში და იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო კომისიაში მიახლოებს მოძღვრებს საღვთო ლიტურგიისა და სხვა საეკლესიო წესების აღსრულების მიზნით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გასწევს კოორდინირებას და უზრუნველყოფს სხვა კონფესიების მსახურთა მიწვევას ამ კონფესიის წარმომადგენელ მსჯავრდებულთა რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით“. ეს ხელშეკრულება არეგულირებს სხვა კონფესიის მსახურთა სასჯელალსრულების დაწესებულებებში შესვლას, რაც პრაქტიკაში საპატრიარქოს მხრიდან მათთვის ნებართვის გაცემაში გამოიხატება. 2006 წელს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ და სასჯელალსრულების დეპარტამენტმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის შედეგად გაადვილდა სასჯელალსრულების დაწესებულებებში სხვა კონფესიის ღვთისმსახურთა შესვლა, თუმცა, 2008 წლიდან სასჯელალსრულების დაწესებულებებში სხვა კონფესიების წარმომადგენელთა შესვლა ისევ გართულდა და საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საპატრიარქოს ნებართვის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელიც კი გახდა. რელიგიური გაერთიანებების უმრავლესობის განცხადებით, ამგვარი ნებართვის მისაღებად საპატრიარქოსადმი მიმართვა მათთვის მიუღებელია. მეორეს მხრივ, თავად შეთანხმება იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის დისკრიმინაციული ხასიათისაა. იგი უთანასწორო უფლებრივ მდგომარეობაში აყენებს რელიგიურ სუბიექტებს და აქედან გამომდინარე, ეწინააღმდეგება დისკრიმინაციის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს.

ისტორიული საკუთრების დაბრუნების საკითხი

კვლავ გადაუჭრელი რჩება რამდენიმე რელიგიური გაერთიანებისთვის (სომეხთა სამოციქულო ეკლესია, კათოლიკე ეკლესია, მუსლიმთა თემი. იუდაური თემი) საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების დაბრუნების საკითხი. სომეხთა სამოციქულო ეკლესია ექვსი რელიგიური

ნაგებობის – ტაძრის დაბრუნებას მოითხოვს სახელმწიფოსაგან. ეს ტაძრები (ხუთი მათგანი თბილისშია, ერთი – ახალციხეში) უმოქმედოა და სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. საანგარიშო პერიოდში ჩამოინგრა სურბ-მინასის სახელით ცნობილი ტაძრის (თბილისი) გუმბათი. მოუვლელიობამ და იმ ფაქტმა, რომ წლების განმავლობაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოს მიერ არ ხერხდება, ტაძრები ნგრევის პირამდე მიიყვანა. საკითხის გარშემო არაერთი შეხვედრა გაიმართა სომეხთა სამოციქულო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებს შორის, თუმცა დღემდე ამ შეხვედრებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად იმისა, რომ საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს, იგი პრობლემის გადაჭრას ერიდება საქართველოს საპატრიარქოსა და სომეხთა სამოციქულო ეკლესიას შორის კონსენსუსის მიღწევის გარეშე, რამდენადაც ითვალისწინებს ამ ორი ეკლესიის ავტორიტეტს.

სხვა ვითარებაა კათოლიკე ეკლესიასა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დავასთან დაკავშირებით. 1990-იან წლებში, გასაბჭოებამდე კათოლიკეების მფლობელობაში არსებული ხუთი ტაძარი სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს გადასცა. დღესდღეობით ეს ტაძრები მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს ამ საკითხის გადაჭრის მიზნით შეიქმნა მართლმადიდებლურ-კათოლიკური კომისია, პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

მუსლიმთა თემი სახელმწიფოსგან ითხოვს ორი მეჩეთის დაბრუნებას აჭარის ტერიტორიაზე (ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატეში და ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ქ. №100-ში მდებარე მეჩეთები) და ასევე ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მდებარე ხუთი გაუქმებული მეჩეთის სარგებლობაში გადაცემას. ადიგენისა და ახალციხის რაიონების ტერიტორიებზე არსებული ძველი მეჩეთები მე-19-ე და მე-20 საუკუნეებში ადგილობრივი მესხების მიერ იყო აგებული. ამჟამად ამ ტერიტორიებზე აჭარიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ. მაგალითად, ადიგენის რაიონის სოფელ აბასთუმანში 15 რეპატრირებული მესხი ოჯახი სახლობს. სოფელში დგას მიტოვებული მეჩეთი, რომელიც საქონლის სადგომ ადგილადაა ქცეული, ხოლო მესხები მის დაბრუნებას ვერ ახერხებენ.

ამ ეტაპზე პრობლემის გადასალახავად არც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ არის გადადგმული, არ შექმნილა ძეგლების ისტორიული წარმომავლობის დამდგენი კომისია, სახელმწიფოს არ შეუშუშავებია ამ პრობლემის დაძლევის ხედვა.

რელიგიური შენობა-ნაგებობების მშენებლობის უფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რელიგიური გაერთიანებები კვლავაც მრავალი სირთულისა და ბიუროკრატიული დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ახერხებდნენ მშენებლობის დაწყებაზე ნებართვის მიღებას. 2009 წლის ოქტომბერში ქ. ზუგდიდში იეჰოვას მოწმეებმა, კანონის მოთხოვნათა დაცვით, რელიგიური შეკრებების სახლის მშენებლობა დაიწყეს. მათ წინააღმდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ და ადგილობრივმა მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა გამართეს აქციები, განხორციელდა რამდენიმე თავდასხმა მშენებარე ობიექტზე. შედეგად, იეჰოვას მოწმეებმა, საანგარიშო პერიოდში ვეღარ მოახერხეს მშენებლობის გაგრძელება. ადგილობრივმა მუნიციპალურმა სამსახურმა იეჰოვას მოწმეებს მშენებლობაზე გაცემული ნებართვა შეუჩერა.

მუსლიმებმა ვერ შეძლეს ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში მდებარე, მათი განცხადებით, ისტორიული მეჩეთის აღდგენის უფლების მოპოვება. ასევე, გაჭიანურდა

ახალციხეში რაბათის ისტორიულ უბანში კათოლიკეებისთვის ისტორიული ეკლესიის ნანგრევების გადაცემა. გაჭიანურების მიზეზად მუსლიმები და კათოლიკეები საპატრიარქოსგან ნებართვის არარსებობას ასახელებენ. შესაბამისი ადგილობრივი (მუნიციპალიტეტი) და ცენტრალური სახელმწიფო უწყებები (ეკონომიკური განვითარების სამინისტრო) რელიგიური გაერთიანებებისაგან უკანონოდ ითხოვენ საპატრიარქოს ნებართვას ან თავად ათანხმებენ საკუთარ მოქმედებებს საპატრიარქოსთან, რაც დისკრიმინაციულ პრაქტიკას წარმოადგენს.

მედია და შუენყნარებლობის საკითხი

საანგარიშო პერიოდში როგორც ბეჭდვითი, ასევე სატელევიზიო და რადიო – მედიასაშუალებების უმრავლესობა რელიგიური უმცირესობების პრობლემემატიკის კვლავ არასათანადოდ აშუქებდა. ამ თვალსაზრისით პოზიტიურ მაგალითს წარმოადგენს ჟურნალი „ლიბერალი“, რომელმაც გასული წლის განმავლობაში რამდენიმე ობიექტური სტატია მიუძღვნა რელიგიური უმცირესობების თემებს.

რელიგიური მრავალფეროვნების საკითხებს სათანადოდ არ აშუქებს საზოგადოებრივი მაუწყებელი, მაშინ, როდესაც ამას მას საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ ავალდებულებს. გამონაკლისია საზოგადოებრივი რადიომაუწყებლობის გადაცემა „ჩვენი საქართველო“, რომელიც უშუალოდ ეძღვნება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვას.

სიახლეს წარმოადგენს ასევე ინტერნეტსოციალურ ქსელებსა და ფორუმებში რელიგიური შუენყნარებლობის საკითხების წინ წამოწევა. ინფორმაცია რელიგიურ უმცირესობებზე სულ უფრო მეტად ჩნდება სოციალურ ქსელებსა და ბლოგებზე, რაც იმას ადასტურებს, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი რელიგიური მრავალფეროვნების, ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლების თემატიკისადმი დიდ ყურადღებას იჩენს.

შუენყნარებლობის გამოვლინებები

2009 წლის 16 სექტემბერს ბოლნისის რაიონის სოფელ ტალავერში (სოფელი მთლიანად აზერბაიჯანელი მუსლიმებითაა დასახლებული) „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და სასულიერო პირების ხელმძღვანელობით შევიდა მართლმადიდებელ მორწმუნეთა აგრესიულად განწყობილი ჯგუფი (50-70 ადამიანი). მათ სოფლის მოსახლეობისაგან მოითხოვეს ძველი მეჩეთის ნანგრევების რეკონსტრუქციის შეჩერება, ამავდროულად აზერბაიჯანელი მუსლიმების წინააღმდეგ იყენებდნენ ქსენოფობიურ რიტორიკას, უწოდებდნენ მათ სტუმრებს საქართველოში. მათი მოთხოვნის შედეგად მუსლიმებმა მეჩეთის მშენებლობა შეაჩერეს. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მათ სიტყვიერად მიიღეს მეჩეთის მშენებლობაზე თანხმობა, თუმცა, მათ არ აქვთ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული ნებართვის სახით, რაც მშენებლობის განხორციელების კანონიერ საფუძველს წარმოადგენს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის შეჩერების პრეროგატივა აქვს სახელმწიფოს და არა რომელიმე რელიგიურ ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებმა დაიწყეს მეჩეთის წინ პიკეტირება, რაც დანარჩენი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა. სამართალდამცველების როლი სიტუაციის უფრო მეტად გამწვავების პრევენციით შემოიფარგლა. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ მუსლიმებმა ვერ შეძლეს მეჩეთის მშენებლობაზე ნებართვის მოპოვება.

2009 წლის 10 დეკემბერს „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის“ ორგანიზებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საგანმანათლებლო კონფერენცია ისლამის საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მსვლელობისას დარბაზში მყოფი „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრები გამომწვევად, სიძულვილის შემცველი სიტყვებით მიმართავდნენ შეკრებილებს, რამაც კონფერენციის მონაწილეებს საშუალება აღარ მისცა, გაეგრძელებინათ შეხვედრის სადისკუსიო ნაწილი.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ შუენყნარებლობის გამოვლინების ობიექტი რამდენჯერმე გახდა კათოლიკე მრევლი. 2009 წლის 6 და 7 ოქტომბერს, დაახლოებით 80 ადამიანის შემადგენლობით განხორციელდა მსვლელობა ადიგენის რაიონის სოფელ არალში და დაბა ვალეში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეა. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ორგანიზებულ ჯგუფს სასულიერო პირები მიუძღოდნენ. ისინი არიგებდნენ სი-



ძულვილის შემცველ, ცილისნამებლურ ანტიკათოლიკურ ბროშურებს იმის შესახებ, რომ კათოლიკე მღვდლები (დასახელებული იყო კონკრეტულად საქართველოში მოღვაწე კათოლიკე სასულიერო პირები) ახორციელებენ სექსუალურ ძალადობას ბავშვებზე, არიან პედოფილები და მოსახლებას მოუწოდებდნენ კათოლიკე მღვდლებისაგან საკუთარი შვილების დაცვისაკენ.

2009 წლის 15 ოქტომბერს თბილისში გაიმართა ერთდღიანი მანიფესტაცია ვატიკანის საელჩოსთან საქართველოში. მანიფესტანტებს გაშლილი ჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც კათოლიკეთა შეურაცხმყოფელი და ქსენოფობიური შინაარსის წარწერები იყო გაკეთებული.

2009 წლის 17 ოქტომბერს ქ.თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, გაიხსნა ასურელთა კულტურის ცენტრი, რომლის ნაწილს ასურელ კათოლიკეთა ტაძარი წარმოადგენს. ცენტრის გახსნის დღეს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ მცირე ხნით გადაკეტა ტაძრის შესასვლელი. გაშლილი ჰქონდათ ანტიკათოლიკური შინაარსის ქსენოფობიური ტრანსპარანტები. ცენტრის შესასვლელი საპატრულო პოლიციის მოთხოვნით მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც უნდა დაწყებულიყო ასურელთა კულტურის ცენტრის საზეიმო გახსნა, რომელშიც მონაწილეობდნენ რამდენიმე ქვეყნიდან მონვეული კათოლიკე სასულიერო პირები, ასევე ასურელ-ქალდეველთა პატრიარქი და საქართველოში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ღონისძიების მეორე დღეს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრებმა ცენტრის შესასვლელი ისევ გადაკეტეს, თუმცა ამ შემთხვევაშიც მცირე ხნით.

შეუწყნარებლობის ამგვარი გამოვლინებები მიუღებელია ლიბერალური და პლურალისტული საზოგადოებისათვის, რომლის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ საფუძველს რელიგიური ტოლერანტობა წარმოადგენს.

ტოლერანტობის მხარდაჭერა

მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი ტოლერანტული გარემოს განმტკიცების აუცილებლობას საქართველოში. ასევე არაერთ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა ამ მიზნით. კერძოდ, 2009 წლის 15 სექტემბერს ქ.თბილისში ლესელიძის ქუჩაზე გაიხსნა ევროპელ ებრაელთა სინაგოგა, რომლის საზეიმო გახსნაშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრეზიდენტმა და ქ.თბილისის მერმა. 2009 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტი ეწვია ბათუმის მეჩეთს, სადაც ისაუბრა მუსლიმთა და ქრისტიანთა მშვიდობიანი, ძმური თანაარსებობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. 2009 წლის 25 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტი პირველად ეწვია კათოლიკურ ეკლესიას და მიულოცა შობის დღესასწაული.

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ 2009 წლის 10 დეკემბერს გამოაქვეყნა სოციალური კონცეფციის თეზისები. თეზისებში ასახულია რელიგიათა საბჭოში შემავალი კონფესიების საერთო ხედვა სახელმწიფოს, კანონის, ადამიანის უფლებების, განათლების, სოციალური პასუხისმგებლობისა და სხვა საკითხების შესახებ. ასევე, თეზისების სახით წარმოდგენილია საქართველოს რეალობის შეფასება. ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედება რელიგიათა საბჭოს შემდგომ საქმიანობას, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეკომენდაციების შემუშავებას, რომელთა ადრესატი სხვადასხვა სახელმწიფო უწყება, მედია და არასამთავრობო სექტორი იქნება.

სახალხო დამცველის ინიციატივით მეხუთე წელია საქართველოში საზეიმოდ აღინიშნება ტოლერანტობის საერთაშორისო დღე (16 ნოემბერი). 2009 წლის 16 ნოემბერს ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, სადაც სახალხო დამცველმა წარადგინა მოხსენება რელიგიის თავისუფლებისა და ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით არსებულ საკითხებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს სახალხო დამცველთან არსებულმა რელიგიათა საბჭომ დაანება ყოველწლიური ნოდება „ტოლერანტობის ქომაგი“. რელიგიათა საბჭოს

გადანყვეტილებით ეს საპატრიო წოდება მიენიჭა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას, საზოგადოების წარმომადგენლებსა და სასულიერო პირს.

2009 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დღის აღსანიშნავად, სახალხო დამცველთან არსებულმა ტოლერანტობის ცენტრმა უმასპინძლა სკოლის მოსწავლეებს. ოცი მოსწავლე თბილისის საჯარო სკოლებიდან და თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებიდან შეხვდა სახალხო დამცველს, რომელიც მათ ადამიანის უფლებებისა და მრავალფეროვნების თემაზე ესაუბრება. ღონისძიებაზე ბავშვებმა დახატეს სურათები ტოლერანტობის და მრავალფეროვნების შესახებ. გარდა ამისა, სახალხო დამცველის ოფისში თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის ნაჩვენები იყო მხატვრული ფილმი მრავალფეროვნებისა და დისკრიმინაციის პრობლემის შესახებ. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია.

2009/2

ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

2009 წლის მეორე ნახევარში სახალხო დამცველის აპარატში არ შემოსულა არც ერთი განცხადება ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებშიც მეტად მცირე იყო ამგვარი განცხადებების რაოდენობა.

შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მიზეზს, რის გამოც მოქალაქეები ამგვარი განცხადებებით არ მიმართავენ სახალხო დამცველს, წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომებისა და ქმედებების აღმოფხვრის ნება და ამ მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ნაბიჯები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით არაერთი პრობლემა კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

2009 წელს ამოქმედდა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“, რომლის ფარგლებშიც, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა მრავალი მნიშვნელოვანი ინიციატივა და პროგრამა განახორციელეს განათლებისა და კულტურის სფეროში, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ჩატარდა გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარდა ამისა, აღნიშნულ რეგიონებში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების მიერ სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობაზე ორიენტირებული არაერთი პროგრამა განხორციელდა – გაიმართა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირების ხარისხის გაუმჯობესებასა და აღნიშნული რეგიონების ინტეგრაციის გაღრმავებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს აქტიურად ამოქმედდა სახალხო დამცველის რეგიონული ოფისები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. რეგიონულ ოფისებში შემოსული განცხადებების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი არ უკავშირდება ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის პრობლემას და თემატურად საქართველოს სხვა რეგიონებიდან შემოსული განცხადებების მსგავსია.

ეროვნული უმცირესობებისთვის სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებად ისევ რჩება სახელმწიფო ენის არცოდნის ან არასაკმარისად ცოდნის პრობლემა; ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები კვლავ მინიმალურად არიან ჩართულები ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში; პრობლემატურად რჩება ასევე ეროვნული უმცირესობების დასაქმებისა და ინფორმირების საკითხები.

ეროვნული უმცირესობების განათლება

ქართული ენის სწავლება სკოლებში

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვან საჯარო სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები. ზოგიერთ სკოლაში – განსაკუთრებით სოფლებში, ქართული ენის გაკვეთილს ფორმალური ხასიათი აქვს ან საერთოდ არ ტარდება. არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის ზოგიერთ მასწავლებელს, ხშირ შემთხვევაში, არ აქვს სათანადო კვალიფიკაცია. შედეგად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საშუალო სკოლა-დამთავრებული ახალგაზრდები საკომუნიკაციო დონეზეც ვერ ფლობენ ქართულს. ამ პრობლემის დასაძლევად განათლების სამინისტრომ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე სოფელში ქართული ენის პედაგოგები მიავლინა, მაგრამ პროგრამამ ჯერჯერობით სრულად ვერ მოიცვა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სკოლები.

სკოლის სახელმძღვანელოები

2009 წელს არაქართულენოვანი სკოლებისათვის ითარგმნა და გამოიცა რამდენიმე ათეული სახელმძღვანელო, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. თუმცა, იმავდროულად უნდა აღინიშნოს ის პრობლემები, რომლებიც არსებობს თარგმანთან დაკავშირებით. როგორც სკოლების პედაგოგებისა და მშობლების დიდი ნაწილი აცხადებს, სასკოლო სახელმძღვანელოების ნაწილი არაკვალიფიციურად და არაზუსტადაა თარგმნილი ეროვნული უმცირესობების ენებზე, რაც ხშირად იწვევს სირთულეებს შინაარსობრივი კუთხითაც. მაგალითისთვის, აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ქართულიდან აზერბაიჯანულად ნათარგმნი მე-8 კლასის ისტორია-გეოგრაფიის სახელმძღვანელოში წერია, რომ „ვაჰაბიზმი არის არის ე.წ. „წმინდა ისლამი“; იმავე წიგნში მუსულმანთა წმინდა მოციქული მუჰამედის შესახებ ნათქვამია, რომ „ორმოცი წლის მუჰამედმა მკითხაობა დაიწყო“, და რომ თითქოს ისლამის მიხედვით თუკი ადამიანს „სურს მოხვდეს სამოთხეში, იგი მტრის ხელიდან უნდა მოკვდეს“. მიუხედავად იმისა, რომ ეს უზუსტობები სავარაუდოდ თარგმნის დროს დაშვებული შეცდომების შედეგია, საქართველოს მუსულმანებისთვის ეს მნიშვნელოვანი საკითხებია და გამოსწორებას მოითხოვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი მაგალითი არ ემსახურება კონკრეტული სახელმძღვანელოს ან კონკრეტული ავტორის კრიტიკას, ეს მაგალითები მოყვანილია წარმომნიშნული პრობლემის გამოკვეთის, გადაჭრისა და მომავალში მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით. სასკოლო სახელმძღვანელოების არაზუსტი და ბუნდოვანი თარგმანის გამო ბევრი პედაგოგი და მშობელი გამოხატავს უკმაყოფილებას, განსაკუთრებით უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, როგორც ქვემო ქართლში, ასევე სამცხე-ჯავახეთში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია სასკოლო სახელმძღვანელოების თარგმანში უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით, განათლების სამინისტრომ მიიღოს სათანადო ზომები, რათა ეროვნული უმცირესობების სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების მომზადებისა და თარგმნის პროცესში მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი კვალიფიციური თარგმანებისა და ეროვნული უმცირესობების ენების მცოდნე შესაბამისი დისციპლინების სპეციალისტების ჩართვა.

უმაღლესი განათლება

წლების განმავლობაში პრობლემური იყო ეროვნული უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის საკითხი. ეროვნულ უმცირესობებს მოეთხოვებოდათ საერთო ეროვნული გამოცდების იმავე პროგრამით ჩაბარება, როგორც მათ აბარებდნენ ქართულ სკოლადამთავრებული აბიტურიენტები, მაშინ როდესაც ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების საჯარო სკოლებში ქართული ენა სათანადო დონეზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ისწავლებოდა. შესაბამისად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონ-



ნებიდან, ენობრივი ბარიერის გამო, აბიტურიენტების უმრავლესობა ვერ ახერხებდა საერთო ეროვნული გამოცდების ჩაბარებას და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას.

2009 წლის 17 ნოემბერს საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი აბიტურიენტებისათვის უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების ახალი წესი. აბიტურიენტებს მიეცათ შესაძლებლობა მშობლიურ ენაზე ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარების შემთხვევაში ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და გაიარონ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. ამ სისტემით ჩარიცხული აბიტურიენტები ერთი წლის განმავლობაში ისწავლიან ქართულ ენას, ხოლო შემდეგ დაეუფლებიან შესაბამის სპეციალობებს.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკანონმდებლო ცვლილების შესახებ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით სოფლებში, ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში დაგვიანებით იქნა მიწოდებული. როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რიგ შემთხვევებში ქვემო-ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სკოლის მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა 2010 წლის თებერვალშიც კი არ იცნოდნენ აღნიშნული ცვლილებების შესახებ, ხოლო რიგ შემთხვევებში მათთვის მიწოდებული ინფორმაცია საკმაოდ ბუნდოვანი იყო.

სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ აღნიშნულ ცვლილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მიმართულია უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლისა და შესაბამისად უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ. ამ სისტემამ დიდი ინტერესი გამოიწვია ეროვნულ უმცირესობებში, სავარაუდოდ, 2010 წელს გაიზრდება ეროვნული უმცირესობების წარდმომადგენელთა რიცხვი, რომლებიც შეძლებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემატურ საკითხად დარჩა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობისათვის ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოს საინფორმაციო არხების საშუალებებით ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე.

2009 წლის მეორე ნახევარში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი, რომლიც ეროვნული უმცირესობებისათვის განკუთვნილ საინფორმაციო გადაცემებსაც შეეხო. რამდენიმე თვის განმავლობაში ეთერში არ გადაიდა საინფორმაციო გადაცემები ეროვნული უმცირესობების ენებზე. სახალხო დამცველის ოფისი დინტერესდა ამ საკითხით და მიმართა საზოგადოებრივ მაუწყებელს. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შედეგად ყოველკვირეულის ნაცვლად (ეროვნული უმცირესობების ენებზე კვირაში ერთხელ გადაიცემოდა 25-წუთიანი საინფორმაციო გადაცემა), მომზადდება და ეთერში გავა ყოველდღიური საინფორმაციო გადაცემები, ხოლო მათი ტრანსლირება მოხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხის, აგრეთვე ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების საშუალებით. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეროვნული უმცირესობების მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმირებას.

იმავრდოულად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერით კვლავ ყოველკვირეულად გადაიცემოდა სატელევიზიო თოქ-შოუ „იტალიური ეზო“, ხოლო საზოგადოებრივი რადიოს ეთერით – გადაცემა „ჩვენი საქართველო“. აღნიშნული გადაცემები ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ისტორიის, რელიგიის და მათთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საკითხის გაშუქებას ეძღვნება.

2007 წლის 11 ივლისის საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“, რომლის მიზანიც მართლზომიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ, აგრეთვე თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფოს საკუთრების მიწაზე ფიზიკური, კერძო სამართლის იურიდიული პირების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნების საკუთრების უფლების აღიარებით (შემდგომში – საკუთრების უფლების აღიარება) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისება და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა არის.

ზემოხსენებული კანონის თანახმად, ყველა სახის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში უპირობოდ გადაცემა არ არის გათვალისწინებული და განსაზღვრულია მიწის ნაკვეთების ისეთი კატეგორიები, რომლებიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას, რადგანაც თავიანთი დანიშნულებით საზოგადოებრივი სარგებლობის ან სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა¹³⁵.

2009 წლის 31 ივლისის, 3 ნოემბერს და 25 დეკემბერს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში თანმიმდევრულად განხორციელდა ცვლილებები და დამატებები¹³⁶, რის შედეგადაც კანონმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. განხორციელებული ცვლილებები მიზნად ისახავდა კანონის სრულყოფას და არსებული ხარვეზების შესწორებას.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, კანონში ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა „თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის“ ცნება და დეფინიციაში გამოყენებული ტერმინის ზუსტი მნიშვნე-

¹³⁵ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტი.

¹³⁶ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 31 ივლისი 2009 წელი, №1565 კანონი;

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 3 ნოემბერი 2009 წელი, №1941 კანონი;

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 25 დეკემბერი 2009 წელი, №2463 კანონი;

ლობის განსაზღვრის მიზნით, განხორციელდა ორი დამატება, რომლებიც განსაზღვრავენ „შენობის“ და „დროებითი შენობის“ მნიშვნელობას. შედეგად უფრო დაიხვეწა „თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის“ განმარტება. ამავდროულად, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა „დაინტერესებული პირის ცნება“.

დამატება განხორციელდა კანონის მე-4 მუხლშიც და მას დაემატა მეხუთე პუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, დაადგინოს თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასურისაგან გათავისუფლების შემთხვევები.

ამასთანავე, შეიცვალა თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საფასური და იგი კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის და ფიზიკური პირებისათვის განსხვავებული ოდენობით დადგინდა. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ფიზიკურ პირებს საკუთრების უფლების აღიარების შემთხვევაში გაცილებით დაბალი გადასახადი ეკისრებათ, ვიდრე იურიდიულ პირებს. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური და იურიდიული პირის გამიჯვნა აქამდე არ იყო გათვალისწინებული კანონით. აღნიშნული მუხლი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს მიჯნავდა და მათ მიმართ განსხვავებულ ფასს ადგენდა.

2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში სახალხო დამცველმა დეტალურად მიმოიხილა საკუთრების აღიარების კომისიებთან დაკავშირებული პრობლემები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

წინა ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საკუთრების აღიარების კომისიებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მიუთითა, რომ იმ შემთხვევებში, სადაც დარღვეული იყო ადმინისტრაციული წარმოების კანონით დადგენილი პროცედურები და განცხადებების განხილვის ვადები, კომისიის გადაწყვეტილებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის საფუძველზე, ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

სამწუხაროდ, 2009 წლის მეორე ნახევარში პრობლემები უცვლელი დარჩა. აღნიშნულზე მეტყველებს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების სიმრავლე და შინაარსი. ვინაიდან 2009 წლის პირველის ნახევრის მოხსენებაში დეტალურად არის განხილული საკუთრების აღიარების კომისიის მხრიდან ზემოაღნიშნული პრობლემები და კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტები, რომლებიც უშუალოდ სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების მაგალითზეა წარმოჩენილი, მოცემულ საანგარიშო მოხსენებაში აღარ განვიხილავთ არსებულ პრობლემებს დეტალურად.

2009 წლის მეორე ნახევარში პრობლემას წარმოადგენდა განმცხადებლის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის საკითხი. კერძოდ, რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა დაინტერესებული მხარის ინფორმირება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ. ამასთან, საკითხის განხილვის პერიოდში განმცხადებელს არ ეძლეოდა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულით კომისია უგულებელყოფს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 თავით დადგენილ მოთხოვნებს) კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა საკუთრების აღიარების კომისიის მხრიდან, განცხადებების განხილვის ვადების უსაფუძვლო გაჭიანურებაა. 2008 წლის 5 დეკემბერს, პრეზიდენტის №525 ბრძანებულებაში სათანადო ცვლილებების განხორციელების შედეგად, მე-14 მუხლით განცხადების განხილვის ვადად ორი თვე განისაზღვრა. აღნიშნული პერიოდი, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ექვს თვემდე გაგრძელდეს.

გარკვეულ შემთხვევებში საკუთრების აღიარების კომისიამ გაურკვეველი მიზეზების გამო და ყოველგვარი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე განცხადებების განხილვა ერთ წელიწადზე მეტი ვადით გააჭიანურა. ხშირ შემთხვევაში კი, განცხადებების განხილვის ვადა წარმოადგენდა რვა ან

ცხრა თვეს. ზემოაღნიშნული კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

გამომდინარე იქიდან, რომ საკუთრების აღიარების კომისიის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით წინა საანგარიშო პერიოდიდან დღემდე მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, სახალხო დამცველის რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

მენარმეთა შესახებ კანონის 53⁴ მუხლის პრობლემა

საქართველოს სახალხო დამცველს 2006 წლის 13 ივნისს კოლექტიური განცხადებით მიმართეს მოქალაქეებმა, რომელთა წარმომადგენელიც იყო სულიკო მაშია. ისინი მიიჩნევენ, რომ ირღვეოდა მათი საკუთრების უფლება. ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული საკითხი და მივედით დასკვნამდე, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს და საზოგადოებრივი აუცილებლობის გარეშე ზღუდავდა მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას.

2006 წლის 18 აგვისტოს კონსტიტუციური სარჩელით მიემართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს და მოვითხოვეთ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53³ მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან დაკავშირებით. სასამართლომ 2006 წლის 30 ოქტომბერს შეაჩერა სადავო აქტის მოქმედება, ხოლო 2007 წლის 18 მაისს არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ 53³ მუხლი.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განმარტა საკუთრების უფლება და განაცხადა, რომ [...] დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია [...] მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის, უფლების **სამართლებრივი დაცვის საკუთრების საშუალების მინიჭება**, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ეს გულისხმობს არა მხოლოდ მესაკუთრისათვის უფლების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობების მინიჭებას, არამედ საკუთრების დაცვას ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც არ თავსდება ამავე მუხლის მე-2 [...] პუნქტით დადგენილ ფარგლებში. აქედან გამომდინარე, 21-ე მუხლის მე-2 [...] პუნქტის დამრღვევი ნორმა, რომელიც არ შეესაბამება საკუთრების უფლების შეზღუდვისადმი [...] წყაყენებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს, იმავდროულად წინააღმდეგობაში მოვა ამავე მუხლის პირველ პუნქტთანაც.¹³⁷

კანონმდებელმა ისე უნდა ჩამოაყალიბოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის მომწესრიგებელი ნორმა, რომ დაიცვას სამართლიანი ბალანსი მხარეებს შორის, გამორიცხოს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა. მინორიტარ აქციონერს სრული უფლება აქვს იცოდეს, თუ რატომ ხდება მისი კუთვნილი აქციების მაჟორიტარი აქციონერის საკუთრებაში გადასვლა. მას უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის გამოხატვისა და დაცვის სამართლებრივი საშუალება. [...] აქციათა სავალდებულო მიყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას შესაბამისი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.¹³⁸

[...]გამოსაყოფია და შესაფასებელია ორი მომენტი – პირველ რიგში, რამდენად შეესაბამება ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა

¹³⁷ 2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, თბილისი, 2007 წელი 18 მაისი, „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი: II, პ: 6;

¹³⁸ 2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება, თბილისი, 2007 წელი 18 მაისი, „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი: II, პ: 26;

და აღსრულების პროცედურა და მეორე, რამდენად უზრუნველყოფს მინორიტარი აქციონერების სამართლიან ანაზღაურებას აქციათა სავალდებულო მიყიდვისას აქციის ფასის დადგენის პროცედურა. ამ ორი უმნიშვნელოვანესი გარემოების გათვალისწინების გარეშე, თვით ლეგიტიმური საზოგადოებრივი მიზნის არსებობის შემთხვევაშიც კი, ამ მიზნის მიღწევის საშუალება არაადეკვატური და არაპროპორციული იქნება.¹³⁹

2007 წლის 11 ივლისს დამატებები შევიდა საქართველოს კანონში „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ (XXIV² თავი). ხოლო, 2008 წლის 14 მარტის „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53⁴-ე მუხლი ჩამოყალიბდა დღეს მოქმედი რედაქციით.

განისაზღვრა შემდეგი რეგულაციები: მენარმეთა შესახებ კანონის 53⁴-ე მუხლით კვლავ შენარჩუნდა აქციათა სავალდებულო მიყიდვა და დადგინდა, რომ „თუ აქციების შექმნის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს (ამ მუხლის მიზნებისთვის – „მყიდველს“) უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები“ (პირველი პუნქტი)“.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადანყვეტილება გამოაქვს სასამართლოს, ხოლო გადანყვეტილების გამოტანის წესი განისაზღვრა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ამავე პუნქტში ჩაინერა, რომ სასამართლო ორ საკითხზე მიიღებდა გადანყვეტილებას: (1) დაადგენდა აქციათა გამოსყიდვის სამართლიან ფასსა და (2) თარიღს.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3099 მუხლის პირველ პუნქტთან ერთად დაანერგა მაჟორიტარი აქციონერის ვალდებულება – განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ წარუდგინოს სასამართლოს, ხოლო სასამართლოსადმი მიმართვამდე, არა უგვიანეს 1 თვისა, გამოაქვეყნოს განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე.

მესამე პუნქტის მიხედვით, განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის (1) მიზეზების, (2) პირობებისა და (3) პროცედურების შესახებ.

მეოთხე პუნქტით განისაზღვრა გამოსყიდვის პროცედურის ის ნაწილი, რომელიც მოსდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ პროცედურას, ამიტომ, უპრიანია, პირველად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები განვიხილოთ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309⁹ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის იმ მონაცემებს, რომლებიც აქციათა გამოსყიდვის შესახებ სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში უნდა იყოს ასახული:

- ა) სასამართლოს დასახელება;
- ბ) მყიდველისა და მისი წარმომადგენლის დასახელებები;
- გ) განმცხადებლის მოთხოვნა;
- დ) მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება განცხადების შეტანამდე ერთი თვით ადრე მაინც;
- ე) რეესტრის მწარმოებელი პირის მისამართი;
- ვ) თარიღი (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

¹³⁹ 2/1-370,382,390,402,405 გადანყვეტილება, თბილისი, 2007 წელი 18 მაისი, „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი: II, პ: 27;

ამის შემდეგ, 309¹¹ მუხლის მიხედვით მოსამართლე აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების შეტანიდან 3 დღის ვადაში იხილავს მის წარმობაში მიღების საკითხს. ზემოაღნიშნულ მონაცემებზე არასრულყოფილად მიწოდებული ინფორმაცია განცხადების წარმობაში არმიღების შესახებ განჩინების საფუძველია.

განცხადების წარმობაში მიღების შემთხვევაში, 309¹² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენის მიზნით, სასამართლო ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას¹⁴⁰.

309¹² მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით დამოუკიდებელმა ექსპერტმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს გამოსყიდვის ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება:

- გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები;
- აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი;
- მეთოდის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი;

309¹³ მუხლში მოცემულია სასამართლოს მიერ აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების განხილვის (რომელიც ზეპირი სხდომის ფორმით მიმდინარეობს) პროცედურა¹⁴¹. აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე ამონმებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან.

309¹⁴ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით თუ სასამართლო დაადგენს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან, მას გამოაქვს გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ.¹⁴²

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით დგინდება:

- აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასი;
- გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი.¹⁴³

მესამე პუნქტის მიხედვით სასამართლომ აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს:

- ა) ამ აქციების ღირებულება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;
- ბ) საზოგადოების მიერ მომავალში მისაღები სავარაუდო შემოსავლები;
- გ) საზოგადოების აქტივები¹⁴⁴ და პასივები.

¹⁴⁰ დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი. დამოუკიდებელი ექსპერტის ან საბროკერო კომპანიის შერჩევის დროს სასამართლო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხარეთა მოსაზრებები. მხარეებს უფლება აქვთ, შესთავაზონ სასამართლოს დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის მიენდოს გამოსყიდვის ანგარიშის შედგენა, წყვეტს სასამართლო. მხარეებს უფლება აქვთ, აცილება მისცენ დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას.

¹⁴¹ მუხლი 309¹³. აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ განცხადების განხილვა

1. განცხადების წარმობაში მიღების შესახებ განჩინებაში სასამართლო განსაზღვრავს დროს ზეპირი მოსმენისათვის და მხარეებს დაუყოვნებლივ აცნობებს სხდომის დროსა და ადგილს. აქციონერს, რომლის აქციების გამოსყიდვასაც მოითხოვს მყიდველი (შემდგომში – დაინტერესებული პირი), უწყებასთან ერთად ეგზავნება განცხადებისა და თანდართული მასალების ასლები და განესაზღვრება ვადა მოსაზრებების წარმოდგენისათვის.

2. თუ დაინტერესებულ პირთა რაოდენობა ორზე მეტია, ისინი ვალდებული არიან დანიშნონ წარმომადგენელი.

3. სასამართლო განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს განცხადების წარმობაში მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

4. განცხადება განიხილება სასამართლო სხდომაზე. სასამართლო ამონმებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან. მხარეთა დამოუკიდებლობა არ აბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

¹⁴² წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

¹⁴³ თარიღი (სამუშაო დღის ბოლოს შესაბამისი დრო), რომლის მდგომარეობით არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან უნდა მოხდეს მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღი).

¹⁴⁴ მათ შორის, საწარმოს რეზერვები, საწარმოს საქმიანი რეპუტაცია, გამოცდილება, პერსპექტივები და საქმიანი კავშირები.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის 53⁴ მუხლის მეოთხე პუნქტით განისაზღვრა გამოსყიდვის პროცედურის ის ნაწილი, რომელიც არ შედის სასამართლოს უფლებამოსილებაში. ამ დროიდან აქციების გამოსყიდვის პროცედურას ასრულებს რეგისტრატორი. კერძოდ¹⁴⁵:

- სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღამდე არა უგვიანეს 5 დღისა, ყველა ნომინალურ მფლობელს ატყობინებს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს;¹⁴⁶
- ადგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას („გამოსყიდვის რეესტრს“);
- მაჟორიტარი აქციონერის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებულ ქმედებათა დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე ყველა აქციას გადააფორმებს მყიდველის სახელზე.

ამის შემდეგ მაჟორიტარი აქციონერი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

საერთო ჯამში, დამატებებმა მართალია, ნაწილობრივ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული გაუქმებული საკანონმდებლო რეგულაციის პრობლემები, მაგრამ უცვლელად დატოვა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა 2 პრობლემაზე, რომლებიც დღეს მოქმედ რედაქციაში კვლავ პრობლემურად რჩება და რომელთა არსებობაც, თითოეულისგან დამოუკიდებლად, გახდა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი.

კანონმდებელმა ისე უნდა ჩამოაყალიბოს აქციათა სავალდებულო მიყიდვის მომწესრიგებელი ნორმა, რომ დაიცვას სამართლიანი ბალანსი მხარეებს შორის, გამორიცხოს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.¹⁴⁷

ამ მიზნის მისაღწევად კი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით საჭიროა:

- [1] მინორიტარ აქციონერს ჰქონდეს თავისი პოზიციის [...] დაცვის სამართლებრივი საშუალება.
- [2] აქციათა სავალდებულო მიყიდვა უნდა წარმოადგენდეს აუცილებელ საშუალებას საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.¹⁴⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „რაც შეეხება იმის გარკვევის მექანიზმს, არსებობს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, კოლეგიის აზრით, ეს უკავშირდება მინორიტარი აქციონერის შესატყვისი სამართლებრივი დაცვის საკითხს.[...]“¹⁴⁹ სწორედ ამიტომ ეს ორი საკითხი ერთად განიხილება.

არსებული რედაქციით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁴ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით მხოლოდ ორი საკითხი დგინდება: (1) აქციათა გამოსყიდვის სამართლიანი ფასი და (2) თარიღი. რაც შეეხება

¹⁴⁵ რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
¹⁴⁶ აქედან გარკვეული დროით (გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან – აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე) გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისა, წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია.
¹⁴⁷ გადაწყვეტილება №2/1-370,382,390,402,405; II-26;
¹⁴⁸ აღნიშნული რედაქციით სასამართლოს გადაწყვეტილებასთან პრობლემური ორი საკითხი დარჩა, ხოლო თანხვედრაში სამი მოვიდა: (1) მინორიტარი აქციონერისთვის ცნობილია, თუ რატომ ხდება მისი კუთვნილი აქციების მაჟორიტარი აქციონერის საკუთრებაში გადასვლა. (2) მას აქვს თავისი პოზიციის გამოხატვის საშუალება და (3) უზრუნველყოფილია მინორიტარი აქციონერების აქციათა სავალდებულო მიყიდვისას აქციის სამართლიანი ფასის დადგენის პროცედურა.
¹⁴⁹ №2/5/467 გადაწყვეტილება, ბათუმი, 2009 წლის 8 ივნისი, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი: II, პ: 5;

იმის გარკვევის მექანიზმს, არსებობს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება, აღნიშნულ ცვლილებებში არაფერია ნათქვამი. ამ მოსაზრებას ამყარებს ამავე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „თუ სასამართლო დაადგენს აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურების შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან, მას გამოაქვს გადაწყვეტილება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.“ ამ ნორმაშიც გარკვევით ჩანს, რომ სასამართლო მხოლოდ პროცედურების შემონმებით შემოიფარგლება, პროცედურულ ნაწილში კი მაჟორიტარ აქციონერს გამოსყიდვის მიზეზების (ანუ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების) შესახებ მხოლოდ ინფორმაციის გამოქვეყნება ევალება (მენარმეთა შესახებ კანონი: 53⁴ მუხლის მე-3 პუნქტი). კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული საპროცესო ნორმა, რომლითაც შესაძლებელი იქნება აღნიშნული მიზნის/მიზნების შემონმება სასამართლოს მიერ, რაც გამოიწვევს ეკონომიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და უზრუნველყოფას მისგან მინორიტარი აქციონერის სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. სასამართლო კი, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი შტო, ვერ „აღმოაჩენს“ იმ კომპეტენციას, რომელიც მას არ აქვს მინიჭებული.

თავის პირველ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ნორმა ვერ უზრუნველყოფდა მინორიტარ აქციონერს სამართლებრივი დაცვის საშუალებით,¹⁵⁰ რამაც გამოიწვია მაშინ არსებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა. მიმაჩნია, რომ არსებული სადავო ნორმები კვლავ იმეორებენ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ნორმის არაკონსტიტუციურ ნაწილს.

2009/2

¹⁵⁰ №2/3/460 გადაწყვეტილება, ბათუმი, 2009 წლის 5 მაისი, „საქართველოს მოქალაქე სულიკო მაშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწილი: II, პ: 5;

სათანადო საცხოვრებლის უფლება

შესავალი

სათანადო საცხოვრებლის უფლება გარანტირებულია საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტებითა და ეროვნული კანონმდებლობით. კერძოდ, 1966 წლის „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტით გარანტირებულ უფლებათა შორის არის საცხოვრებლის უფლება.¹⁵¹ იგი თავისთავში რამდენიმე კომპონენტს მოიცავს.

გაეროს საცხოვრებლის უფლების საკითხების მომხსენებელმა, მოსამართლე რეინდარ სიჩარმა, თავის დასკვნით მოხსენებაში განმარტა, რომ საცხოვრებლის უფლებები უნდა განიმარტებოდეს, როგორც შემდეგი ასპექტების მომცველი:

- ა. ასეთი ვალდებულებების ოფიციალურად აღიარების შემდეგ სახელმწიფო უნდა შეეცადოს, ყველა სათანადო საშუალების გამოყენებით უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამის საბინაო რესურსებზე, რაც ადამიანის სხვა უფლებებს არ ეწინააღმდეგება;
- ბ. საზოგადოებას შეიძლება წაეყენოს სარჩელი ან მოთხოვნა საბინაო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ პირი უსახლკაროა, არ გააჩნია სათანადო საბინაო პირობები ან არ აქვს უნარი მიიღოს საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარანტიების ერთობლიობა;
- გ. სამართლებრივი ვალდებულებების აღების შემდეგ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნული უფლების თითოეული შემადგენელი ასპექტის პოლიტიკის შემუშავებაზე და საკანონმდებლო აღიარებაზე იქნება ორიენტირებული.¹⁵²

ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოეთხოვება საცხოვრებელი ბინების აშენება ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ან აქვს ვალდებულება უზრუნველყოს უფასო საცხოვრებლით ყველა, ვინც ამას მოითხოვს. თუმცა ამკარაა, რომ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ერთიანი

¹⁵¹ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე 11 მუხლის 1 პუნქტი: „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს სათანადო კვება, ტანსაცმელი და ბინა, აგრეთვე უფლებას განუწყვეტილად იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის“.

¹⁵² გაეროს საცხოვრებლის უფლების საკითხების ყოფილი მომხსენებლის, მოსამართლე რეინდარ სიჩარის დასკვნითი მოხსენება, 1995 წელი, UN doc. E/CN.4/Sub.2/1995/12, პუნქტი 12.

პოლიტიკა აღნიშნული საკითხის მიმართ; უნდა უზრუნველყოს რეალური სტანდარტების დადგენით საცხოვრებლის უფლებებზე საზოგადოების ყველა ფენის სრული ხელმისაწვდომობა და საბინაო სტრატეგიის ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნულ თავში ყურადღებას გავამახვილებთ უსახლკაროთა რაოდენობის შემცირებასა და ყველა კატეგორიის უპოვარზე ორიენტირებულ საბინაო პოლიტიკაზე.

უსახლკარო პირთა სოციალურ პროგრამებში ჩართულობა

საქართველოში სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ასახულია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური დახმარება არის ნებისმიერი სახის ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური საჭიროების მქონე პირისათვის, ლატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის;

ამავე კანონის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური დახმარების სისტემა – არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, ორგანიზებული ან/და მისი მეთვალყურეობით განხორციელებული ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის, ლატაკი ოჯახის ან უსახლკარო პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ზემოაღნიშნული კანონი უსახლკარო პირს განმარტავს, როგორც მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებლის ადგილის არმქონე პირს, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო.

საქართველოში დღეს მოქმედი სოციალური პროგრამებიდან უმნიშვნელოვანესია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამის შეფასების მეთოდოლოგიის ერთ-ერთ კრიტერიუმს პირის მუდმივ ან დროებით საცხოვრებელ ადგილზე შეფასება წარმოადგენს.

სოციალური დახმარების პროგრამების მთელ რიგ მარეგულირებელ აქტებში ოჯახი, რომელიც შეიძლება გახდეს პროგრამის ბენეფიციარი, განმარტებულია, როგორც განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინა-სამეურნეო საქმიანობას.¹⁵³

შესაბამისად, უსახლკარო პირები, რომლებსაც არ აქვთ საცხოვრებელი, ვერ მოხვებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.

სახელმწიფოში დღეს არსებული თითქმის ყველა შეღავათი პირდაპირ ებმის ზემოაღნიშნულ პროგრამას. კერძოდ:

- ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა;
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევა;
- ქ.თბილისის მუნიციპალური შეღავათების პაკეტი;
- იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარება ოჯახებისათვის;
- სახელმწიფო ბაჟის – სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება;

¹⁵³ საქართველოს მთავრობის №51 დადგენილება, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ 17 მარტი, 2005 წელი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 120/ნ ბრძანება – „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოსახვედრად განაცხადის ფორმის და მისი მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, 27 აპრილი, 2005 წელი; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/1024 ბრძანება – „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“, 29 სექტემბერი, 2005 წელი.

- შშმ პირთა და რისკის მქონე ბავშვთა სოციალური სერვისები;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ასი ათასზე (100 000), 2010 წლის იანვრიდან, თვითნებურად დაკავებული მიწა გადაეცემათ უსასყიდლოდ;¹⁵⁴
- ბაზაში დაცულ მონაცემებს სისტემატურად იყენებენ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ უსახლკარო პირი მოკლებულია ზემოაღნიშნულ დახმარებებს.

უსახლკარო პირთა ერთიანი ბაზის არარსებობა

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სააგენტო (სოციალური მომსახურების სააგენტო) აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში რეგისტრირებულ უსახლკარო პირთა ერთიან რეესტრს“.

ამავე კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრებით და უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღებიდან გასულია თითქმის ოთხი წელი, სააგენტოს არ გააჩნია უსახლკარო პირთა ერთიანი რეესტრი. დღემდე თვითმმართველობის არც ერთ ორგანოს სააგენტოსათვის მსგავსი ინფორმაცია არ მიუწოდებია. ამას გარდა, დღემდე არც ერთი კანონქვემდებარე აქტი არ განსაზღვრავს, თვითმმართველობის ორგანოებმა აღნიშნული ინფორმაცია რა სახით უნდა გადასცენ სოციალური მომსახურების სააგენტოს და რა ტიპის ინფორმაცია უნდა შეიცავდეს იგი, რა სახის პროცედურით უნდა შემოწმდეს ოჯახი, რათა ჩაითვალოს უსახლკაროდ.

სახალხო დამცველმა სამი რეგიონიდან – ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, გამოითხოვა ინფორმაცია რამდენმა პირმა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თავშესაფრის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

2010 წლის 11 მარტს ქუთაისისა და ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობებიდან მივიღეთ პასუხები. ზემოაღნიშნული კორესპონდენციებიდან ირკვევა, რომ მოთხოვნა თავშესაფრით დაკმაყოფილების შესახებ არის საკმაოდ მაღალი. როგორც ქუთაისიდან გვეცნობა, 2009-2010 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობას თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა 390 მოქალაქემ, ხოლო ბათუმის მერიის ადმინისტრაციას 2009 წელს ანალოგიური მოთხოვნით მიმართა 150 პირმა. 2010 წლის 23 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პასუხით კი ირკვევა, რომ მათ თავშესაფრის მოთხოვნით 70 კაცმა მიმართა.

თუმცა, ვინაიდან ზემოაღნიშნულ მონაცემებს არ ფლობს სოციალური მომსახურების სააგენტო, აშკარაა, რომ არ არსებობს ერთიანი სია, რომელიც მოგვცემდა საშუალებას დაგვეჩვენა, საქართველოს მასშტაბით დაახლოებით რამდენი პირი საჭიროებს თავშესაფარს.

თუ სახელმწიფოს არ ექნება რეალური სურათი იმ საჭიროებებისა, რომლებიც არსებობს ამ კონკრეტულ სფეროში, რთულია არსებული ხარვეზებისა და პრობლემების მოგვარებისაკენ სწორი ნაბიჯების გადადგმა.

¹⁵⁴ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების აღიარების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-4 მუხლი.

რა თქმა უნდა, აქ საუბარი არ გვაქვს კონკრეტული სტიქიური თუ სხვა მოვლენების დროს უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის გადადგმულ ერთჯერად ღონისძიებებზე და მათი რაოდენობის შესახებ არსებულ ინფორმაციაზე.

საბინაო ფონდი, უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამა

უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით არაერთხელ მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კონკრეტული პირებისთვის ელემენტარული თავშესაფრით ან ბინით უზრუნველყოფის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, როგორც წესი, მიუთითებენ საბინაო ფონდის არარსებობას, როგორც რეკომენდაციის შეუსრულებლობის მიზეზს.

სახალხო დამცველმა როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამი რეგიონიდან – ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, გამოითხოვა ინფორმაცია:

- ა. რამდენმა პირმა მიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თავშესაფრის მოთხოვნით. ერთი წლის განმავლობაში;
- ბ. არსებობს თუ არა ამგვარი პრობლემის მქონე პირთა შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა;
- გ. აქვს თუ არა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს საბინაო ფონდი და რამდენი საცხოვრებელი კორპუსი ირიცხება მასში;
- დ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენი პირი იქნა დაკმაყოფილებული თავშესაფრით;
- ე. არსებობს თუ არა თავშესაფრის (საცხოვრებლის) განაწილების კრიტერიუმები;
- ვ. საცხოვრებლის ოჯახისთვის გადაცემის შემთხვევაში გადაცემა რა სახის პროცედურების დაცვით ხორციელდება;
- ზ. რა სახის ღონისძიება ტარდება ზემოაღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად;

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ხელთ მხოლოდ ორი მუნიციპალიტეტის მონაცემები გვაქვს, აშკარაა, რომ აღნიშნული პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას.

ქ.ქუთაისის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2009-2010 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობას თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა 390 მოქალაქემ. საბინაო ფონდის არქონის გამო, ვერ დაკმაყოფილდა ვერც ერთი ოჯახი. წერილის თანახმად, ამჟამად, ქ.ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების სამსახური, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებთან ერთად ახორციელებს მონიტორინგს და იმ ოჯახების აღწერას, რომლებმაც საცხოვრებელი ფართის გამოყოფის მოთხოვნით მიმართეს უწყებას. იგეგმება მათთვის შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალური დახმარების გამოყოფა. ანალოგიური პასუხი გვეცნობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან. 2009-2010 წლებში მათ 70 ოჯახმა მიმართა თავშესაფრით დაკმაყოფილების თხოვნით, თუმცა აქაც მათ საბინაო ფონდის არარსებობის გამო, ვერ დამაყოფილდა ვერც ერთი მათგანი.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საბინაო ფონდის არარსებობის გარდა პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ გაურკვეველია ასეთის არსებობის შემთხვევაში რა სახის კრიტერიუმები მოქმედებს. ამჟამად, არ არსებობს ერთიანი სახელმძღვანელო პრინციპები, რომლითაც იხელმძღვანელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უსახლკარო პირთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისას. რა სახის პროცედურების დაცვით გადაეცემა ასეთ ოჯახებს ფართი – ადმინისტრაციული სამართალწარმოების, კომისიური წესით თუ სხვა სახით. ასევე გაურკვეველია მატერიალური

დახმარების განევისას რა სახის სტანდარტი მოქმედებს. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის მიმართ, არსებული მდგომარეობა საკანონმდებლო დონეზე მოუწესრიგებელი და ბუნდოვანია.

რაც შეეხება ბათუმს, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციიდან 2010 წლის 11 მარტს პასუხად გვეცნობა, რომ 2009 წელს საცხოვრებელი დაკმაყოფილების მოთხოვნით მას 150 პირმა მიმართა. ამჟამად მიმდინარეობს პროექტი „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და გორში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში აშენებულია ორი ორსართულიანი სოციალური სახლი.

2009 წლის 24 აგვისტოს, შვეიცარიის მთავრობას, კერძოდ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ქ.ბათუმის მერიას შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, პროექტის ბენეფიციართა 60% უნდა იყოს შერჩეული დევნილი, ხოლო 40% – ადგილობრივი მოსახლეობიდან.

ქ.ბათუმში მიმდინარე პროგრამის ანალოგიური პროექტი განხორციელდა 2009 წელს ქ.თბილისშიც. 2009 წლის 19 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ქ.თბილისის მერიიდან შემოსული წერილით გვეცნობა, რომ ქ.თბილისში, ვარკეთილი-3, მე-2 მ/რ-ში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა და დედაქალაქის მერიის ერთობლივი პროექტის – „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობის გარემოში“ – ფარგლებში აშენდა 4 ორსართულიანი კოტეჯი 28 ბინაზე. „სოციალურ სახლებში“ შესასახლებელ ოჯახთა შესარჩევად 2008 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც პროექტის ბენეფიციართა შესარჩევად შეიმუშავა სპეციალური კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმების საფუძველზე შედგა პროექტის ბენეფიციარობის კანდიდატ ოჯახთა სია (292 ოჯახი), რომელთა გადამოწმების მეთოდოლოგია შეიმუშავა და განახორციელა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაქირავებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“. კონკურსის შედეგად შეირჩა 28 ოჯახი, რომლებიც შეასახლეს „სოციალურ სახლებში“.

2009 წლის 11 ნოემბერს ქ.თბილისის მერიიდან გვეცნობა, რომ ამჟამად ქ.თბილისში დაწყებულია აღნიშნული პროექტის მომდევნო ეტაპი. „სოციალური სახლების მობინადრეთა შესარჩევად შეიქმნება წარმომადგენლობითი კომისია და სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის მიერ ბენეფიციართა შესარჩევად შემუშავებული კრიტერიუმები ცნობილი გახდება „სოციალური სახლების“ მშენებლობის დამთავრებამდე.

არსებული პროექტი თავისთავად წინგადადგმული ნაბიჯია სახელმწიფოში უსახლკარო პირთა დაკმაყოფილების კუთხით. თუმცა პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ამ პროექტის ფარგლებში ბენეფიციართა შესარჩევი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის „სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან მონაცემთა ბაზაში“ რეგისტრაციის ფაქტი. ამასთან ოჯახის სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 57 001 ქულას.

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უსახლკარო პირები, რომელთაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი, ან არ აქვთ საშუალება გარკვეული პერიოდი მუდმივად იცხოვრონ კონკრეტულ მისამართზე, ვერ ხვდებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამაში. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორია ავტომატურად ვერ დააკმაყოფილებს შემუშავებულ კრიტერიუმს.

ნათელია, თუ რატომ იქნა სარეიტინგო ქულა აღებული კრიტერიუმად. სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიანი მონაცემთა ბაზა დღეისათვის ერთმნიშვნელოვნად ყველაზე ზუსტია, თუმცა მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შეიქმნას „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებული უსახლკარო პირთა მონაცემთა ერთიანი, ცენტრალიზებული ბაზა. იგი მიზნობრივად უფრო ზუსტი მექანიზმი იქნება ასეთი სახის პროექტებისათვის.

სახელმწიფოში უსახლკარო პირთა ერთიანი ბაზის არარსებობის გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია, ვიმსჯელოთ აღნიშნული პრობლემის მქონე პირთა რაოდენობაზე საქართველოში. ამასთან, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ არ არის განსაზღვრული უსახლკარო პირთა კრიტერიუმები. უსახლკარო პირები, თეორიულად, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დავყოთ: სტიქიური ან სხვა მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი პირები, მატერიალური პრობლემების გამო უსახლკაროდ დარჩენილი პირები, რომლებიც ქირით ან ახლობლებთან ცხოვრობენ და ყველაზე მცირე რაოდენობა – პირები, რომლებიც ღამეს ათევენ სხვადასხვა თავშესაფარში ან ქუჩაში. ამჟამად შეუძლებელია განვსაზღვროთ ამ უკანასკნელ ჯგუფში შემავალ პირთა სიმრავლე ან სიმცირე. შესაბამისად, შეუძლებელია ითქვას, რამდენად გლობალურია პრობლემა, რომელიც მათ სახელმწიფოს სოციალურ პროგრამებსა თუ კონკრეტულ მიმდინარე პროექტებში ჩართულობას უკავშირდება. თუმცა რაოდენობრივი მაჩვენებლის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი ასეთი პირი არ რჩებოდეს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი დახმარებებისა და შეღავათების გარეშე.

რეკომენდაციები

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უსახლკარო პირთა მონაცემების სოციალური დახმარების სააგენტოსათვის მიწოდება;
- დაიგეგმოს ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დადგინდეს მიახლოებითი რაოდენობა იმ პირთა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ცხოვრობენ ქუჩაში ან პერიოდულ თავშესაფრებში;
- აღნიშნული მონაცემების შესაბამისად სახელმწიფოს მიერ დაიგეგმოს ღონისძიებები ზემოაღნიშნული ჯგუფის მიმართ კონკრეტული ღონისძიებების გატარების მიზნით;

სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სოციალური დახმარება

სახელმწიფოს მიერ საზოგადოების სოციალურად დაუცველ ფენებზე ზრუნვა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული ვალდებულებაა.¹⁵⁵

სოციალური უზრუნველყოფის უფლება მნიშვნელოვანი გარანტიაა იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც თავად არ შეუძლია იზრუნოს მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. აღნიშნული უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლით¹⁵⁶ და ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლით¹⁵⁷.

საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს და სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ანესრიგებს 2006 წლის 29 დეკემბრის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „სოციალური დახმარება არის ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ღატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის“. 2009 წლის 20 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფომ ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტში წარადგინა ეროვნული მოხსენება, ქარტიით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

წარდგენილი მოხსენების საფუძველზე, კომიტეტმა განმარტა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ევროპის სოციალური ქარტიის 12 მუხლის პირველ პარაგრაფს¹⁵⁸, ვინაიდან,

¹⁵⁵ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2006 წლის 28 ივლისის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №145 დადგენილება და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

¹⁵⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, (1948 წლი, 10 დეკემბერი) 25. 1. „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და – უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.“

¹⁵⁷ ევროპის სოციალური ქარტია (1996 წელი, 3 მაისი) მუხლი 12 – სოციალური უზრუნველყოფის უფლება: „სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ: 1. შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა“. 1. შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა“.

¹⁵⁸ სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით მხარეები ვალდებულია იღებენ 1. შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ.

პენსიის, ინვალიდობისა და ცხოვრებისათვის საჭირო რესურსების უკმარისობის შემთხვევაში შემწეობა არის აშკარად არაადეკვატური.¹⁵⁹

საქართველოში, როგორც ცნობილია, მოქმედებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალური მომსახურების სააგენტო.

ზოგადად, აღნიშნული პროგრამის მაღალ ეფექტურობაზე მეტყველებს მრავალი ფაქტორი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2009 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით, საქართველოში საარსებო შემწეობას ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში იღებს 156 388 ოჯახი (431 518 პირი), ხოლო სამედიცინო დაზღვევის პოლისის მფლობელია 297 726 ოჯახი (904 897 პირი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამაში ჩართული პირები სარგებლობენ მრავალი დახმარებით, რომელიც პირდაპირ მიბმულია პროგრამაზე.

- ფულადი სოციალური დახმარება – საარსებო შემწეობა;
- სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევა;
- ქ.თბილისის მუნიციპალური შეღავათების პაკეტი;
- იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარება ოჯახებისათვის;
- სახელმწიფო ბაჟის – სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლება;
- შშმ პირთა და რისკის მქონე ბავშვთა სოციალური სერვისები;
- რუსთავის, ქუთაისის, გარდაბნის, ზესტაფონის, ხობის, ყაზბეგის, სენაკის მუნიციპალური სოციალური პროგრამები;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ასი ათასზე (100 000), 2010 წლის იანვრიდან თვითნებურად დაკავებული მინა გადაეცემათ უსასყიდლოდ.¹⁶⁰
- ბაზაში დაცულ მონაცემებს სისტემატურად იყენებენ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები;

2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში სახალხო დამცველმა დეტალურად ისაუბრა შეფასებითი სისტემის სირთულეზე და მასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე.

ისარგებლებს თუ არა ოჯახი სოციალური დახმარების უფლებით – საარსებო შემწეობით, ერთმნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაზე. სწორედ მეთოდოლოგია წარმოადგენს ოჯახის შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსის დაანგარიშების მექანიზმს, რომლის საფუძველზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა წყვეტს საარსებო შემწეობის მიღების საკითხს. მომართვიანობის სიხშირიდან და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე სახალხო დამცველმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა რეკომენდაციით, მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის მეთოდოლოგიისა და ადმინისტრირების სქემების დახვეწისა და სოციალური დახმარების მარეგულირებელ აქტებში შესაბამისად ცვლილებების განხორციელების შესახებ.

განსაკუთრებით ხაზი გაესვა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 4 აგვისტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ №126 დადგენილების შეფასების მეთოდოლოგიის სისტემური განახლების აუცილებლობას.

2009 წლის მეორე ნახევარში, ისევე როგორც წინა წლებში, მაღალი იყო იმ პირების მომართვიანობა,

¹⁵⁹ European Committee of Social Rights-Conclusions 2009 (GEORGIA), January 2010.

¹⁶⁰ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მართლზომიერ მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების აღიარების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-4 მუხლი.

რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სოციალური შემწეობის ქულის ცვლილების გამო დახმარების შეწყვეტის თაობაზე. თოთოეულ ასეთ შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატი დახმარებისათვის მიმართავდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

თუმცა ამ ეტაპზე პრობლემების დეტალური ანალიზი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან შესაბამისი სტრუქტურების მიერ გადაიდგა მთელი რიგი ნაბიჯები არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არსებულ მეთოდოლოგიაში ხარვეზების გამოსასწორებლად შემუშავდა ოჯახის კეთილდღეობის შეფასების სამი შესაძლო ვარიანტი. აქედან ორი არსებული მეთოდოლოგიის ფორმულის კორექტირებას გულისხმობდა, ხოლო მესამე ვარიანტი სრულიად ახალი ფორმულის დანერგვას ითვალისწინებდა. ამჟამად დანერგულია ცვლილებების სატესტო პერიოდი.

ასევე მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც გადაგზავნილია ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაგეგმილია ცვლილებები შეფასების მეთოდოლოგიის ადმინისტრირების სქემაში, რაც გულისხმობს ოჯახის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის გამარტივებულ პროცედურას, დემოგრაფიული ცვლილების შემთხვევაში ხელახალი გადამონმების ნაცვლად ქულის გადაანგარიშებას, ოჯახის უფრო მეტად ინფორმირებულობასა და სხვა. ადმინისტრაციული ცვლილებები მიზნად ისახავს ოჯახის რეგისტრაციის პროცედურების დროში შემცირებას, სარეიტინგო ქულის გადაანგარიშების საფუძვლების გამარტივებას და მონაცემთა ბაზაში არსებულ ინფორმაციაზე მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საარსებო შემწეობის მიღებისათვის ოჯახის შეფასების მეთოდოლოგიაში და ადმინისტრაციულ სქემაში ცვლილებების პროექტის შემუშავება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მიზნობრივი სოციალური დახმარების გაუმჯობესების კუთხით. იგი მიზანმიმართულია სოციალური დახმარების უფრო მოქნილი მექანიზმის შემოღებისა და მიზნობრივი ჯგუფის ზუსტად გამოვლენისაკენ, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე.

იმედს ვიტოვებთ, რომ ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა აღმოფხვრის იმ პრობლემებს, რომლებიც მწვავედ იდგა 2009 წლის პირველსა და მეორე ნახევრებში.

საწარმოო ტრავმაში დაზარალებულ პირთა უფლებები



სახალხო დამცველს ხშირად მომართავენ მოქალაქეები, რომლებმაც შრომითი მოვალეობის შესრულების დროს ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს. ისინი მიუთითებენ, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 09 თებერვლის №48 ბრძანებულების გაუქმებით მათი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ და შევაფასებთ როგორც №48 ბრძანებულებას, ასევე მისი გაუქმების შემდეგ მიღებულ ანალოგიური ურთიერთობების მარეგულირებელ აქტს და მის გავლენას ბენეფიციართა უფლებრივ მდგომარეობაზე.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით¹⁶¹ ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 09 თებერვლის №48 ბრძანებულება, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ (შემდგომში №48 ბრძანებულება) და ანალოგიური ურთიერთობების დასარეგულირებლად საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი (შემდგომში №53 დადგენილება).

რაც შეეხება ბენეფიციართა უფლებრივ მდგომარეობას, №48 ბრძანებულების და №53 დადგენილების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

ორივე განსახილველი ნორმატიული აქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საფუძველს შრომითი მოვალეობის შესრულებისას, დასაქმებულის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება წარმოადგენს. №48 ბრძანებულება ვაცხადებით კონკრეტულია და მასში მითითებულია, რომ დამქირავებელი მატერიალურად პასუხისმგებელია მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანისათვის, აგრეთვე იმ საწარმოო ტრავმისათვის, რომელიც მოხდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას ორგანიზაციის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე სამუშაოზე ან სამუშაოს შემდეგ მგზავრობისას დამქირავებლის მიერ გამოყოფილ ტრანსპორტზე. №53 დადგენილება ამ კუთხით მხოლოდ ზოგადი ჩანაწერით შემოიფარგლება და დამსაქმებელს აკისრებს ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა დასაქმებულის ჯანმრთელობას შრომითი მოვალეობის შესრულებისას, თუ ზიანი გამოწვეულია დამსაქმებლის ბრალეული მოქმედებით.

¹⁶¹ იხ. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 06 თებერვლის №93 ბრძანებულება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის N 48 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.



№48 ბრძანებულების თანახმად, ურთიერთობის მარეგულირებელ ერთადერთ ნორმატიულ აქტს სწორედ დასახელებული წესი წარმოადგენდა და მასში მითითებული იყო, რომ „...წესი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში (შემდგომში ორგანიზაცია) მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, დასაქმებულ მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოო ტრავმით, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძვლებს.“ №53 დადგენილება კი მიუთითებს, რომ საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში (შემდგომში – დამსაქმებელი), ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ამ წესით, საქართველოს შრომის კოდექსითა და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამასთან, დამსაქმებელი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, თუ „შრომის კოდექსი და სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ასეთი მოქმედებისათვის და თუ არ არის გასული მოთხოვნის წარდგენის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა“. აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს მცდელობაზე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სახელშეკრულებო ინსტიტუტად იქცეს, რაც თავის მხრივ მეტ მოქმედების არეალს აძლევს დამსაქმებელს, ხოლო ნაკლებ გარანტიას – დასაქმებულს.

№48 ბრძანებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, სარჩოს ოდენობა და გაცემის ხანგრძლივობა პირდაპირ იყო დამოკიდებული დაკარგული შრომის უნარის ხარისხზე, რომელსაც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისია განსაზღვრავდა. „შრომის უნარის ხარისხის დაკარგვის პროცენტულ განსაზღვრასთან ერთად, თუ ამის საფუძველი არსებობს, დგინდება ინვალიდობის ჯგუფი და განისაზღვრება დამატებითი დახმარების სახეები. დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდება ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი აქვს შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული აქვს თუ არა ინვალიდობის ჯგუფი“ – მითითებული იყო დადგენილებაში. გარდა ამისა, დამქირავებელს ეკისრებოდა ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებული ისეთი ხარჯების ანაზღაურება, როგორცაა წამლების შეძენა, პროთეზირება, დაზარალებულის მოვლა, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და სხვა.

ზიანის ანაზღაურების ფარგლების შესახებ №53 დადგენილება კონკრეტულ ჩანაწერს არ შეიცავს და იგი მიუთითებს, რომ „დამსაქმებელს უფლება აქვს „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის N48 ბრძანებულების მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური „ზიანის ანაზღაურების სარჩოს“ ნაცვლად გასცეს ერთჯერადი კომპენსაცია ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიმღებთან შეთანხმებით“.

ზიანის ანაზღაურების სარჩოს ნაცვლად ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა იმთავითვე დასაქმებულის უფლების დარღვევას არ წარმოადგენს. როგორც ვიცით, სარჩოს არსი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზარალის კომპენსირება და არსებობისთვის მინიმალური გარანტიების შექმნაა. იმ შემთხვევაში, როცა ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი სამუდამო და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება, ერთჯერადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის დროს აუცილებელია სამართლიანი ბალანსის დაცვა. ვინაიდან მიღებული ტრავმის გამო დაზარალებულის ხარჯები იზრდება, ხოლო შემოსავალი მცირდება. ამდენად, აუცილებელია გარკვეული სტანდარტის შემუშავება, რომელიც დაზარალებულს დამსაქმებლის თვითნებობისა და უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცავს.

ძირითადი პრინციპი, რომელიც №48 ბრძანებულებასა და №53 დადგენილებას განასხვავებს, უფლებამონაცვლობის საკითხს შეეხება. №48 ბრძანებულების თანახმად, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მის უფლებამონაცვლე ორგანიზაციას ეკისრებოდა. ხოლო 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არა ჰყავთ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა აღრიცხვას, ზიანის ანაზღაურების

მიმართა და სარჩოს მიღების გონივრული მოლოდინი ჰქონდა, თუმცა გადაწყვეტილების გამოტანის დროს ეს უკანასკნელი ძალადაკარგული იყო.

თუ №53 დადგენილების მიღებისა და ძალაში შესვლის თარიღებს დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ იგი უკუქცევითი ძალის მატარებელია და მის მიღებამდე არსებულ ურთიერთობებზე ვრცელდება. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს მხოლოდ მაშინ აქვთ უკუძალა, თუ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული. №53 დადგენილება კანონის ფორმალურ მოთხოვნას შეესაბამება, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით მის შინაარსზე, რომელიც ბენეფიციართა მატერიალურ მდგომარეობას აუარესებს.

წინამდებარე ანგარიშში განხილული საკითხი თავისი შინაარსით ახლოს დგას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში განხილულ საკითხებთან. დასახელებულ საქმეზე მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში შეტანილმა ცვლილებებმა მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.¹⁶² გადაწყვეტილებაში სოციალური უფლებების მარეგულირებელი სხვა საერთაშორისო აქტების პარალელურად სასამართლომ მიუთითა 1966 წლის „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-2 მუხლზე, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს „არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა არსებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.“

შეადარა რა სასამართლომ ცვლილების საფუძველზე მიღებული აქტი გაუქმებულს, მიუთითა: „როცა ლაპარაკია ტოლფას აქტზე, აქ მხედველობაშია ნორმატიული აქტების არა ფორმალური, იურიდიული ძალის თვალსაზრისით თანაფარდობა, არამედ მათი შინაარსობრივი ურთიერთმიმართება“. ამ განმარტებით, სასამართლომ განხორციელებული ცვლილებით ბენეფიციართა ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება დაადასტურა და უარყოფითად შეაფასა.

№53 დადგენილება სასამართლომ განმარტებაში მოცემულ ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ფორმალურად მთავრობის დადგენილებით უფრო მაღალი ძალის მქონე აქტი – პრეზიდენტის ბრძანებულება შეიცვალა. ხოლო მატერიალურად, №53 დადგენილება ვერ შეესაბამება №48 ბრძანებულებას მასში მოცემული გარანტიების თვალსაზრისით და სწორედ ამიტომ აუარესებს ბენეფიციართა მდგომარეობას.

ზემოთ მითითებულ გადაწყვეტილებაში საუბარი კერძო კომპანიების მიერ ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთათვის გასანევი შეღავათების შემცირებას შეეხო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

„სახელმწიფო არა მარტო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია. ქვეყანაში სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი სახელმწიფოს კიდევ უფრო ვალდებულს ხდის, დაიცვას მოსარჩელეთა და მათი მსგავსი კატეგორიის მოქალაქეთა ინტერესები“

№53 დადგენილების თანახმად, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრება ან ლიკვიდაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტას იწვევს.

¹⁶² იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის №1/1/126,129,158 გადაწყვეტილება.

აღნიშნული ნიშნავს, რომ:

- სახელმწიფომ ერთმანეთისგან გამიჯნა ლიკვიდირებული და ფუნქციონირებადი სანარმოები და დანესებულებები;
- სანარმოებსა და დანესებულებებს, რომლებიც ფუნქციონირებას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ, სარჩოს გაცემის ვალდებულება შეუნარჩუნდათ;
- სსიპ – სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი სარჩოს გაცემის ვალდებულებისგან გათავისუფლდა;
- სახელმწიფომ ვალდებულება იმ პირების წინაშე, რომლებმაც სანარმოო ტრავმის გამო შრომის და შესაბამისად, საარსებო საშუალებების დამოუკიდებლად მოპოვების უნარი დაკარგეს – ამოწურა.

არსებული მდგომარეობის, ისევე, როგორც სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლით დასტურდება, რომ სარჩოს მიღება უმეტესობა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაარსებულ ფაბრიკა-ქარხნებში იყო დასაქმებული. გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების გამო დასახელებულმა ფაბრიკა-ქარხნებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს. ტრავმამიღებულ პირთა მინიმალური სახსრებით უზრუნველსაყოფად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფომ თავის თავზე აიღო.

იმ სანარმო-დანესებულებათა სრულად ჩამოთვლა, რომლებიც ე.წ. „რეგრესის პენსიებს“ გაცემდნენ, პრაქტიკულად შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია ზოგიერთი სანარმოს ლიკვიდაციის თარიღის ან/და უფლებამონაცვლის დადგენა. სანარმო-დანესებულებებს შორის, რომელთაც ლიკვიდაცია შეეხოთ, არიან თბილგვირაბმენი, საქართველოს სამოქალაქო ავიაცია, გეოლოგიის დეპარტამენტი, ტყიბულის მაღარო, მარნეულის პურპროდუქტების კომბინატი, ქუთაისის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, ავეჯის კომბინატი „ივერია“ და ა.შ.

შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებულ პირთა სიმრავლით გამორჩეულ ერთ-ერთ სანარმოს ტყიბულის მაღარო წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩოს სახელმწიფო გაცემდა, მაღაროს გასხვისებით დაზარალებულთა მატერიალური მდგომარეობა არ შეცვლილა. იმავეს ვერ ვიტყვით №53 დადგენილებაზე, რომლის მიღებითაც დაზარალებულთა შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირდა.

თითოეულ პირს, რომელიც სახალხო დამცველს მსგავსი შინაარსის განცხადებით მომართავს, სხვადასხვა სახისა და ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანება აქვს მიღებული. თითქმის ყველა მათგანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არსებობისთვის საჭირო სახსრების დამოუკიდებლად მოპოვების უნარს მოკლებულია. შესაბამისად, მათი მატერიალური მდგომარეობა მძიმეა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ №53 დადგენილება არ ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე, აგრეთვე პროკურატურაში, სასჯელალსრულების დანესებულებებში, თავდაცვის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში დასაქმებულ პირებზე, რომელთა მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ზიანის ანაზღაურების წესი სპეციალური კანონით რეგულირდება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ „მუშაკათავის დასახიჩრების, პროფესიული დაავადების ან მათი შრომითი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ურთიერთცნობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირებით მსგავსი ვალდებულება არამხოლოდ საქართველოს მოქალაქეების მიმართ აიღო. შეთანხმების ძალაში შესვლიდან, ანუ 2004 წლიდან, სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ პირების მიმართაც აქვთ, რომლებმაც ზიანი საქართველოში მიიღეს, მაგრამ დღეისთვის დსთ-ს სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ცხოვრობენ. სწორედ ამიტოა გამოწვეული, რომ სახალხო დამცველს დაზარალების განვეის მოთხოვნით სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებიც მომართავენ.



განცხადებების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ ბენეფიციართა დიდ ნაწილს ზიანის ანაზღაურების სარჩო სასამართლოს გადანყვეტილებით უვადოდ ჰქონდა დანიშნული. შესაბამისად, თითოეულ მათგანს სარჩოს მიღების მუდმივი და გონივრული მოლოდინი ჰქონდა. მართალია, მხოლოდ მოლოდინი სახელმწიფოს ვალდებულებას არ წარმოშობს, მაგრამ მნიშვნელოვანია ამ საკითხის მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტება.¹⁶³

[...გასათვალისწინებელია, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს შესაბამის ვალდებულებებზე დაუშვებელია საუბარი, როდესაც ადამიანი უბრალოდ არ იჩენს ძალისხმევას და არ ახდენს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარის სრულ რეალიზაციას. ამ უფლებებით სარგებლობის წინაპირობაა, რომ ადამიანი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში განახორციელოს ყველა ღონისძიება, გამოიყენოს თავისი ქონება და შრომის უნარი, მისი თვალსაზრისით საუკეთესო გზით, რათა შექმნას პირობები, რომლებიც მისი ცხოვრების სათანადო დონეს უზრუნველყოფს. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს არა აქვს ადამიანების რჩენის, მათთვის მატერიალური რესურსების დარიგების, მით უფრო, მათი ფუფუნებით უზრუნველყოფის ვალდებულება. სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ისეთი გარემო, როდესაც პირებს ექნებათ საკუთარი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. დამატებითი დახმარების ვალდებულება კი ჩნდება მხოლოდ მაშინ, კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც პირი მისგან დამოუკიდებელი პირობების გამო, უუნაროა, თავად ირჩინოს თავი ან მის მიერ შექმნილი რესურსები არასაკმარისია არსებობისათვის.]

№53 დადგენილების შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია ყოფილი და არსებული პრაქტიკა. ხშირად ე.წ. „რეგრესის პენსიის“ გაცემა მძიმე ტვირთად აწევა საწარმოს. შესაძლებელია, ცვლილების განხორციელება სწორედ მენარმეთა ინტერესების დაცვით გამართლდეს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ №53 დადგენილებით სარჩოს ანაზღაურების მოვალეობა სრულად არ გაუქმებულა და ფუნქციონირებად საწარმოებს სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება შეუნარჩუნდათ, მსგავსი მსჯელობა ლოგიკას მოკლებულია.

სახალხო დამცველის განმცხადებელთა შორის იყვნენ ისეთი პირებიც, რომლებსაც სარჩოს გაცემა საწარმოს გაკოტრების/გადახდისუუნარობის რეჟიმში ყოფნის გამო შეუჩერდათ. მაგალითად, ავეჯის კომბინატმა „ივერია“ დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების სარჩოს გაცემა გადახდისუუნარობის რეჟიმში ყოფნის მოტივით შეწყვიტა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ავეჯის კომბინატის ქონება საგადასახადო დავალიანების გასტუმრების მიზნით აუქციონზე გაიყიდა, ხოლო 2009 წლის 02 მარტის განჩინებით საქმის წარმოება დასრულდა. განჩინების თანახმად, საწარმოს რეალიზაციის შედეგად მხოლოდ ნაწილობრივ დაიფარა საგადასახადო ინსპექციის უზრუნველყოფილი მოთხოვნა, რაც შემდეგი რიგის მოთხოვნის, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ზიანის ანაზღაურების სარჩოს მიღებას გამორიცხავს. დასახელებული მაგალითი კიდევ ერთჯერ აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართვა საწარმოო ტრავმამიღებულ პირთა სოციალურ უზრუნველყოფაში.

როგორც უკვე მივუთითეთ, №53 დადგენილებით გაუქმდა სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოები. გარდა ამისა, არათანაბარ მოპყრობას დაექვემდებარნენ ის მოქალაქეები, რომლებმაც ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩოს დანიშვნის მოთხოვნით სასამართლოს სხვადასხვა დროს მიმართეს. დადგენილებით 2007 წლის 1 მარტის შემდეგ აიკრძალა ახალი გასაცემლების დანერგვა N48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძველებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში.

¹⁶³ იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადანყვეტილება.

აღნიშნული ჩანაწერით:

- გაუარესდა საწარმოო ტრავმატიზმულ პირთა მატერიალური მდგომარეობა, რადგან სახელმწიფომ სარჩოს გაცემის ვალდებულება მოიხსნა;
- უფლების დაცვის ეფექტური მექანიზმის სტატუსი დაკარგა სასამართლომ, ვინაიდან დადგენილებით აღარ წესდება ახალი გასაცემლები, სამართალწარმოების მიმდინარეობის მიუხედავად;
- შეწყდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება. აღნიშნულით №53 დადგენილება წინააღმდეგობაში მოვიდა უფლებასთან საქმის სამართლიან განხილვაზე, რომელიც თავის თავში, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებასთან ერთად, მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასაც მოიცავს.

დასასრულ, მნიშვნელოვანია №53 დადგენილების გამოყენების პრაქტიკის შეფასება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მისი შინაარსისგან დამოუკიდებლად, საერთო სასამართლოები მართლმსაჯულების განხორციელებისას სწორედ №53 დადგენილების შესაბამის მუხლებს იყენებენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა საკასაციო საჩივარზე გამოტანილი განჩინება. სამოქალაქო ავიაციის დაახლოებით 50 მუშაკს ზიანის ანაზღაურების სარჩოს გაცემა №53 დადგენილების მიღებამდე რამდენიმე თვით ადრე შეუწყდა. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, სარჩოს გაცემის შეწყვეტა სამოქალაქო ავიაციის ლიკვიდაციით და უფლებამონაცვლის არარსებობით იყო გამოწვეული. უზენაეს სასამართლოს №53 დადგენილების გამოყენება სადავოდ არ გაუხდია. სასამართლომ კასატორთათვის 2007 წლის 01 მარტამდე პერიოდში სარჩოს ანაზღაურება საფუძვლიანად მიიჩნია, ხოლო შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიუთითა, ემსჯელა ჰყავდა თუ არა სამოქალაქო ავიაციას უფლებამონაცვლე და რამდენად ექვემდებარებოდა დაზარალებულთათვის დანიშნული სარჩო შეწყვეტას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ №53 დადგენილება საწარმოო ტრავმატიზმულ პირთა უფლებებზე მდგომარეობას არსებითად აუარესებს. სახელმწიფო კი, რომელსაც მსგავსი კატეგორიის პირების უზრუნველყოფა ევალება, სხვადასხვა (ეროვნული და საერთაშორისო) აქტით ნაკისრ ვალდებულებებს ჯეროვნად ვერ ასრულებს.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შესაბამისი რეკომენდაციის გაკეთება:

- მომზადდეს ახალი ნორმატიული აქტი, რომელიც საწარმოო ტრავმატიზმულ პირთა სოციალური დაცვის გარანტიებსა და უფლებებზე მდგომარეობას გააუმჯობესებს.

2009/2

დევილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებები

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოადგენდა სახალხო დამცველის ერთ-ერთ პრიორიტეტს. საპარლამენტო ანგარიშებში დევილებთან დაკავშირებული საკითხები მუდამ ცალკე თავს იკავებდა და გამოწვევის არც აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს.

დღესდღეობით დევილთა რაოდენობა საქართველოში მთელი მოსახლეობის დაახლოებით 6 პროცენტს შეადგენს¹⁶⁴.

კერძოდ, დღეს არსებული ოფიციალური მონაცემებით, სულ საქართველოში რეგისტრირებულია 249,365 დევილი (87,962 ოჯახი).

აქედან, 1990-93 წლების შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი – 233,453 (81,857 ოჯახი);

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად კი იძულებით გადაადგილებული პირი დაახლოებით 22,000 ადამიანია. აქედან, 15,912 პირს მინიჭებული აქვს დევილის სტატუსი.

იძულებით გადაადგილებული პირები განსახლებულნი არიან მთელი საქართველოს მასშტაბით. მათი ნაწილი ცხოვრობს კოლექტიურ ცენტრებში, ნაწილი – ახალ ჩასახლებებში, ხოლო ყველაზე მეტი დევილი სტატისტიკურად კერძო სექტორშია განსახლებული.

ამჟამად კვლავ მიმდინარეობს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სტატუსის მინიჭების პროცესი. საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესი მხარდაჭერის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა უზრუნველყოფილი იქნა ხანგრძლივი სარგებლობისათვის ვარგისი საცხოვრებლით. ისინი ასევე ჩართულნი არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების სახელმწიფო პროგრამაში და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი სოციალური პაკეტით. ასევე გრძელდება სახელმწიფოს მიერ იძულებით გადაადგილებულ

¹⁶⁴ დევილთა საკითხები – ზოგადი ინფორმაცია: http://www.mra.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=153

პირთა, დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის¹⁶⁵ სამოქმედო გეგმით¹⁶⁶ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. კერძოდ კი, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაციისა და პრივატიზაციის პროცესი, რასაც თან ახლავს გარკვეული ხარვეზები.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანები სხვადასხვა სახის პრობლემის წინაშე დგანან. მათ შორისაა: ინფორმაციის ნაკლებობა საკუთარი უფლებებისა და შედეგების შესახებ, შიში უსაფრთხოების ზონაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ხშირ შემთხვევაში უკიდურესი გაჭირვება. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ე.წ. „ახალი“ დევენილი მოსახლეობის ახალ საცხოვრებელ გარემოში ინტეგრაციისათვის.

მათი რიცხოვრივი სიდიდისა და ამ სფეროში არსებული პრობლემების მრავალფეროვნების გამო სირთულეს წარმოადგენდა სიტუაციის კვლევა და შეფასება. დევენილთა სიმრავლისა და მრავალმხრივი პრობლემების არსებობის გამო სახალხო დამცველი მოკლებული იყო სიტუაციისა და უფლებრივი მდგომარეობის სრული ანალიზის შესაძლებლობას. საქართველოში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მრჩეველსა და სახალხო დამცველს შორის გამართული ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახალხო დამცველის აპარატში დაწყებულიყო პროექტი სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა მიმართ არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

პროექტის მიზანია სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა მიმართ არსებული პრობლემების გადასაჭრელად. პროექტის ფარგლებში განხორციელდება არსებული მდგომარეობის მონიტორინგი და მომზადდება რეკომენდაციები დევენილების წინაშე არსებული სპეციფიკური პრობლემების გადასაჭრელად.

პროექტის ფარგლებში დასახული საქმიანობის განსახორციელებლად კონკურსის წესით შეირჩა 6 ახალი თანამშრომელი – პროექტის კოორდინატორი და 5 მონიტორი/კონსულტანტი. პროექტის მონიტორები წარმოდგენილები არიან: სახალხო დამცველის აპარატის გორის, ზუგდიდის, ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის ოფისებში. სახალხო დამცველის აპარატის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ისინი ატარებენ კონფლიქტით დაზარალებულ პირთა და დევენილთა მდგომარეობის სისტემატურ მონიტორინგს, ახდენენ კონკრეტული საჭიროებების, პრობლემების გამოვლენას და ეხმარებიან სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს იძულებით გადაადგილებულ პირებთან ყოველდღიურ მუშაობაში.

პროექტის ხანგრძლივობა საწყის ეტაპზე განისაზღვრა 6 თვით (2010 წლის იანვარი-ივნისი).

დამკვირვებლების მიერ მონოღებული მონაცემებისა და ექსპერტების ანალიზის საფუძველზე შედგება დეტალური ანგარიში იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. შეიქმნება მონაცემთა ბაზა, რომელშიც აისახება ინდივიდუალური თუ ზოგადი პრობლემა, პოზიტიური ძვრები და გამოიკვეთება აღნიშნულ სფეროში არსებული სხვა საჭიროებები.

¹⁶⁵ საქართველოს მთავრობის განკარგულება №47, 2 თებერვალი 2007 წელს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“;
¹⁶⁶ საქართველოს მთავრობის განკარგულება №403, 28 მაისი, 2009 წელი „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევენილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.



აღნიშნული პროექტის ფარგლებში 2010 წლის იანვარში ჩატარდა ტრენინგი პროექტის თანამშრომლებისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ტერიტორიული წარმომადგენლობების თანამშრომლებისათვის, სადაც მიმოხილული იყო საქართველოს კანონმდებლობა, გამოიკვეთა უმთავრესი პრობლემატული საკითხები ისევე, როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორების პოზიტიური ნაბიჯები.

დადებითი ტენდენციები

დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა პრობლემატური საკითხების მრავალფეროვნების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში დევნილთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის კუთხით სიტუაცია გარკვეულწილად უკეთესობისაკენ შეიცვალა. სახელმწიფოს მხრიდან გადაიდგა მრავალი დადებითი ნაბიჯი. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და მათი აქტიური ჩართულობა დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში, პროცესს გაცილებით გამჭვირვალესა და ბალანსირებულს ხდის.

გვსურს ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე პოზიტიურ საკითხზე, რომლებიც 2009 წლის მეორე ნახევარში განხორციელდა.

1. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით არსებობს საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც სახელმწიფო სტრუქტურების გარდა შედიან არასამთავრობო/სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები. ასევე პოზიტიურია ტექნიკური სამუშაო ჯგუფების შექმნა, სადაც პროფილის, თემისა და კვალიფიკაციის მიხედვით, მოხდა ორგანიზაციების შერჩევა, რომლებიც თავის მხრივ სამინისტროს აწვდიან რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის სხვადასხვა კომპონენტის პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს პროცესი აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას დევნილი მოსახლეობის მიმართ არსებული პრობლემების გადაჭრაში;
2. სამოქმედო გეგმის განახლება – ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ სამოქმედო გეგმა იქნება მუდმივად განახლებადი დოკუმენტი და სამთავრობო სტრუქტურებთან, დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე მოხდება მისი რეგულარული შეცვლა/შესწორება. ეს პროცესი დაეხმარება სამინისტროს დასახოს მის წინ მდგარი ამოცანების უფრო ეფექტურად განხორციელების გზები;
3. დამტკიცდა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სტანდარტები დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რაც დადებითი მოვლენაა და ხელს შეუწყობს ერთიანი სტანდარტის დამკვიდრებას. სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის პერიოდის ერთ-ერთ რეკომენდაციას სწორედ რეაბილიტაციის სტანდარტების შემუშავება წარმოადგენდა;
4. სამინისტროს ხელშეწყობით საკმაოდ ბევრი პროექტი მიმდინარეობს რომლებიც დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას ისახავს მიზნად. სამინისტროს მონაცემებით, ასეთ პროექტებში 25-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციაა ჩართული და როგორც განიმარტა, სამინისტრო წამყვან მაკოორდინირებელ როლს ასრულებს;
5. შეფერხების გარეშე გრძელდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კოლექტიური ჩასახლების ობიექტების რეაბილიტაციისა და პრივატიზაციის პროცესი.

ძირითადი პრობლემები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯისა, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული პირების უფლებრივი მდგომარეობის კუთხით არსებობს რიგი პრობლემური საკითხები.

1. ინფორმაციის/კომუნიკაციის ნაკლებობა

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად 2009 წლის მეორე ნახევარში ისევ ინფორმაციის ნაკლებობა რჩებოდა. ზოგადად ინფორმაციის ნაკლებობა და კომუნიკაციის პრობლემა არ წარმოადგენს 2009 წლის მეორე ნახევრის სპეციფიკურ პრობლემას. იგი აქტუალური იყო მანამდეც. სახალხო დამცველმა საპარლამენტო ანგარიშებში არაერთხელ გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ საკითხზე.

1.1. 2009 წლის მეორე ნახევარში ინფორმაციის გაცვლა აღარ წარმოადგენს პრობლემას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. თუმცა, აღნიშნული პრობლემა ისევ არსებობს და ინფორმაციის გაცვლის ხარისხი დაბალია სამინისტროსა და დევნილთა შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, შეიქმნა ცხელი ხაზი, რომელიც მუშაობს 24-საათიან რეჟიმში, გამოიცა სპეციალური ბროშურა დევნილთა უფლებებისა და სოციალური დახმარებების შესახებ, რომელიც დაურიგდა დევნილებს, თუმცა ამ კუთხით სიტუაციის გარკვეულწილად გაუმჯობესების მიუხედავად, პრობლემა მაინც რჩება.

ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის აპარატში ხშირია განცხადებები, რომლითაც დევნილები ითხოვენ ამა თუ იმ საკითხის დაზუსტებას. აგრეთვე მაღალია მიმართვიანობა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში შეტანილი განცხადებების უპასუხოდ დატოვების შესახებ.

ინფორმაციის ნაკლებობას ხშირად კომუნიკაციის ნაკლებობაც ერთვის თან. ამის გამო რიგ შემთხვევებში სახალხო დამცველი იძულებული ხდება, ასეთი ტიპის განცხადებების ავტომატური გადამისამართება მოახდინოს და ოფიციალური სახით გამოითხოვოს პასუხები დევნილთა მიერ სამინისტროში შეტანილ განცხადებებზე.

კომუნიკაციის პრობლემა ამ ეტაპზეც იჩენს თავს. სახალხო დამცველს ექმნება პრობლემა ასეთი ტიპის წერილებზე დროულად პასუხის მიღებასთან დაკავშირებით.

დევნილთა რიცხვობრივი სიდიდისა და პრობლემათა მრავალფეროვნების გამო შესაძლებელია, სამინისტროს აპარატისთვის გარკვეულ შემთხვევებში სირთულეს წარმოადგენდეს თითოეულ განცხადებაზე დროულად პასუხის გაცემა. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო არის სტრუქტურა, რომელსაც წამყვანი როლი აქვს დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში. შესაბამისად, მათი მხრიდან ბენეფიციართათვის კონკრეტული პრობლემის ირგვლივ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება უმნიშვნელოვანესია.

1.2 ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც ნაწილობრივ ინფორმაციის ნაკლებობას უკავშირდება არის ელექტროენერჯის გადასახადთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ახალი ჩასახლებების უმრავლესობაში გაჩნდა.

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ჩასახლებებს ელექტროენერჯიას ანვდის კერძო კომპანია „პრო ჯორჯია“. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ახორციელებს კომუნალური ხარჯების სუბსიდირებას კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებსა და ახალ ჩასახლებებში. სუბსიდია ელექტროენერჯიაზე არის თვეში 100 კილოვატი (ადამიანზე), ხოლო ბუნებრივი აირზე შეღავათს წარმოადგენს 70-100 ლარი ოჯახზე.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ სახელმწიფომ აიღო ვალდებულება გარკვეული პერიოდის განმავლობაში სრულად დაეფარა ელექტროენერჯიისა და ბუნებრივი აირის საფასური დევნილთათ-



ვის¹⁶⁷. დევნილთა ახალ ჩასახლებებში პრობლემამ თავი იჩინა 2009 წლის დეკემბრის ბოლოს და იანვრის დასაწყისში, როდესაც დევნილებმა მიიღეს გადასახადის ქვითრები. ქვითრებში ასახული იყო სამი თვის დავალიანების ჯამი ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი. დევნილთა განმარტებით, მათთვის არ იყო ცნობილი, კონკრეტულად რომელი თვიდან წყდებოდა სრული სახელმწიფო დაფინანსება, საიდანაც მათ წილობრივად საკუთარი სახსრებით უნდა გადაეხადათ გადასახადები. მათი განმარტებით, ასევე უცნობი იყო მათთვის განკუთვნილი დახმარების ოდენობა. მათთვის მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი ზემოაღნიშნულის შესახებ, როდესაც მიიღეს გადასახადის ქვითრები. ამ პრობლემის გამო დევნილებს გარკვეული პერიოდი შეწყვეტილი ჰქონდათ ელექტროენერჯის მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ჩართული იყო კერძო კომპანიასა და დევნილთა შორის მოლაპარაკებების პროცესში. საბოლოოდ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, დევნილებს 3 თვის განმავლობაში დაეფარათ ელექტროენერჯის დანახარჯი.

სახალხო დამცველმა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან 2010 წლის 1 მარტს №213/04-11 წერილით გამოითხოვა ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, პასუხი დღემდე არ მიგვიღია, რაც არ გვაძლევს საშუალებას, უფრო დეტალურად შევისწავლოთ საკითხი.

სხვადასხვა ჩასახლებაში არაერთგვაროვანი ინფორმაციის არსებობისა და პრობლემის ასეთი მასიურობის გამო შეიძლება ითქვას, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ დევნილები ზემოაღნიშნული საკითხის მიმართ კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობდნენ სათანადო მოცულობით.

მიგვაჩია, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ უნდა გააგრძელოს პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა სიტუაციის გამოსასწორებლად, ინფორმაციის ნაკლებობის დასაძლევად.

2. კომპენსაციების საკითხი

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთაგან 1,684 ოჯახმა (სულ 4,333 პირმა) დროებითი თავშესაფრის სანაცვლოდ სახელმწიფოსგან მიიღო კომპენსაცია 10,000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში. სახალხო დამცველის აპარატს განცხადებებით მიმართეს იმ დევნილებმა, რომელთაც მოითხოვეს კომპენსაცია კოტეჯების სანაცვლოდ, თუმცა მათი განმარტებით, დღემდე აღნიშნული თანხა არ მიუღიათ.

სახალხო დამცველმა 2010 წლის 1 მარტს №213/04-11 წერილით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია, დევნილებს შორის რამდენი ადამიანი/ოჯახი არის ამ ეტაპზე დარჩენილი კომპენსაციის გარეშე, არაა ცნობილი, როდის იგეგმება მათი დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, დღემდე აღნიშნულ წერილზე პასუხი არ მიგვიღია, რაც არ გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ მდგომარეობა.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფისას სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, პროცესი გაეხადა არჩევითი და დევნილთათვის მიეცა საშუალება, გაეკეთებინათ ინფორმირებული არჩევანი. კერძოდ, აერჩიათ დროებითი საცხოვრებელი – კოტეჯის სახით ან აელოთ კომპენსაცია (10,000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) და თავად ეზრუნათ დროებითი თავშესაფრის მოძიებაზე.

¹⁶⁷ საქართველოს მთავრობის განკარგულება №840, 11 ნოემბერი, 2009 წელი;
საქართველოს მთავრობის განკარგულება №771, 22 ოქტომბერი, 2009 წელი;
საქართველოს მთავრობის განკარგულება №784, 19 ნოემბერი, 2008 წელი;

ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად აზრს კარგავს. მაშინ, როდესაც კონფლიქტის შემდეგ წელიწად-ნახევარია გასული, დევნილთა გარკვეულ რაოდენობას, მათი განმარტებით, დღემდე არ აუღია კომპენსაცია.

აღნიშნულს კი მივყავართ არა ინფორმირებული არჩევნის ხარვეზთან, არამედ სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულების, იძულებით გადაადგილებული პირის დროებითი საცხოვრებლით დაკმაყოფილების პრობლემასთან.

შესაბამისად აუცილებელია სახელმწიფოს/საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დროულად იქნეს გაცემული კომპენსაციები იმ კატეგორიის დევნილებზე, რომელთაც კოტეჯის სანაცვლოდ არჩევანი ფულად კომპენსაციაზე შეაჩერეს.

3. ჰიგიენა/სანიტარიული პირობები/სპეციფიკური მედიკამენტებისა და საკვების ნაკლებობა

2009 წლის პირველ ნახევარში სახალხო დამცველის ანგარიშში დეტალურად აღინერა ჰიგიენისა და სანიტარიული პირობების პრობლემატურობა ახალ ჩასახლებებში.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით აღნიშნული საკითხი დღემდე პრობლემურია. როგორც წესი, ახალი ჩასახლებების უმეტესობიდან მაგ. საქაშეთში, შავშებში, მოხისში არ ხდება ნაგვის გატანა, რაც მთელ რიგ ახალ ჩასახლებებში სერიოზული ანტისანიტარიის რისკს ქმნის. მაგ. საქაშეთში დევნილებმა საკუთარი ძალებით გაჭრეს ორმო, რომელიც ნაგავსაყრელის ფუნქციას ასრულებს. ამავე სოფელში სერიოზულად დგას საკანალიზაციო სისტემის პრობლემა. კერძოდ, სველი წერტილები მოთავსებულია კოტეჯების შიგნით, თუმცა არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა.

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ზაფხულის მოახლოებისას. ვინაიდან მოსალოდნელია ინფექციებისა და დაავადების რისკის ზრდა.

2009 წლის მეორე ნახევარში უცვლელი დარჩა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა უზრუნველყოფა ადეკვატური საკვებით, მედიკამენტებით, ინვენტარითა და ჰიგიენური საშუალებებით.

კერძოდ, დიაბეტით დაავადებულ პირთა საკვებით/მედიკამენტებით უზრუნველყოფის საკითხი, ჩვილ ბავშვთა კვება/ჰიგიენის დაცვა.

დევნილებს არ აქვთ ხელსაწყო, რომელიც ზომავს სისხლში გლუკოზის შემცველობას. ამასთან, აღნიშნულ პრობლემას ემატება ისიც, რომ დევნილთათვის გათვალისწინებული საკვები, რომელსაც ისინი დახმარების სახით იღებენ, არ შეესაბამება დიაბეტებისათვის გათვალისწინებულ სტანდარტს. აღნიშნული დახმარების ძირითადი შემადგენლობა არის: თეთრი პური, შაქარი, მაკარონი/ბრინჯი, პურის თეთრი ფქვილი, რომელიც გლუკოზას დიდი ოდენობით შეიცავს. ხოლო თავად დევნილებს, მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, სპეციფიკური საკვების შესაძლებლობა ნაკლებად აქვთ.

4. კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა

2009 წლის მეორე ნახევარში განსაკუთრებულად მწვავედ დადგა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებულ პირთა უსაფრთხოების საკითხი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სახელმძღვანელო პრინციპები იძულებით გადაადგილების შესახებ“ 28-ე პრინციპში განსაზღვრავს, რომ შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებს აქვთ მთავარი ვალდებულება და პასუხისმგებლობა, შექმნან



ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით, უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.¹⁶⁸

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების საკითხებში 2009 წლის 14 იანვრის ანგარიშში¹⁶⁹ ერთ-ერთ რეკომენდაციას სწორედ იძულებით გადაადგილებული პირთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, ღირსეული დაბრუნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა წარმოადგენს.

თუმცა, ეთნიკური ქართული მოსახლეობის საკუთრების განადგურებამ ან მისაკუთრებამ ფიზიკურად შეუძლებელი გახადა იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელში დაბრუნების შესაძლებლობა. ამავე დროს, კონფლიქტურ ზონებსა და მათ გარშემო არსებული უსაფრთხოების არაეფექტური რეჟიმები ქმნის საშიშ გარემოს, სადაც პირები არ გრძნობენ თავს იმდენად უსაფრთხოდ, რომ დაუბრუნდნენ საცხოვრებელ ადგილებს და ისარგებლონ გადაადგილების თავისუფლებით.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს თავისუფალი გადაადგილების უფლება და ის სირთულეები, რომლებსაც პირები ამ უფლების განხორციელების პროცესში აწყდებიან.

2009 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ფაქტს, როდესაც ცხინვალის რეგიონის მახლობლად მაცხოვრებელი პირები ტყვედ აიყვანეს საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. იყო შემთხვევები, როცა პირები, რომლებიც ახალგორში ჩადიოდნენ ნათესავების სანახავად, დაკავებული იქნენ დე ფაქტო ხელისუფლების მიერ და გასამართლებულნი სხვადასხვა დანაშაულისთვის.

სახალხო დამცველს არაერთხელ მიმართეს გატაცებული პირების ნათესავებმა და სთხოვეს დახმარება მათ გათავისუფლებაში.

2009 წლის 4 ნოემბერს სოფელ ტირძისის საშუალო სკოლის ოთხი მოსწავლე გიორგი რომელაშვილი (დაბადებული 1995 წელს), ალექო ციბაძე (დაბადებული 1995 წელს), ვიქტორ ბუჩუკური (დაბადებული 1993 წელს) და ლევან ხმიადაშვილი (დაბადებული 1992 წელს) ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დეფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა დააკავეს. მათ საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და ტერორისტული აქტის მოწყობის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. 2 დეკემბერს ორი დაკავებული გაათავისუფლეს, ხოლო დანარჩენები – მოგვიანებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში რამდენჯერმე იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ბატონი თომას ჰამარბერგი. მოზარდთა გათავისუფლება სწორედ მისი დიდი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

2009 წლის 5 დეკემბერს სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი და სახალხო დამცველის რწმუნებული ქალაქ გორში შეხვდნენ გიორგი არჩვაძის მამას და ძმებს, რომლებმაც დაადასტურეს რომ გიორგი 2009 წლის 5 ივლისს, როდესაც ის ჯერ კიდევ 15 წლის იყო, გაუჩინარდა ქალაქ გორიდან, ხოლო გაუჩინარებიდან დაახლოებით 3 კვირის შემდეგ მან დარეკა ოჯახში და შეატყობინა, რომ იგი იმყოფებოდა ცხინვალში. დე ფაქტო ხელისუფლებამ გიორგი არჩვაძე საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დააკავა.

გიორგი არჩვაძის ცხინვალის ციხეში ყოფნის ფაქტი აგრეთვე დაადასტურეს ორ დეკემბერს ცხინვალის რეჟიმის მიერ გათავისუფლებულმა გიორგი რომელაშვილი და ალექო ციბაძე. ალექო ციბაძის თქმით, ის და გიორგი არჩვაძე ერთ საკანში იყვნენ მოთავსებული.

¹⁶⁸ პრინციპი 28 „ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს აქვთ უპირველესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა რათა შექმნან პირობები ისევე როგორც უზრუნველყონ საშუალება, რაც შესაძლებლობას მისცემს იძულებით გადაადგილებულ პირს დაბრუნდნენ თავისი ნებით, უსაფრთხოდ და ღირსეულად თავიანთ სახლებში, ან საცხოვრებელ ადგილებში, ან ნებაყოფლობით ხელახლა განსახლებულ იყვნენ ქვეყნის სხვა ნაწილში. მსგავსმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ და გააადვილონ დაბრუნებულ ან განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა რეინტეგრაცია.

¹⁶⁹ Report of the Representative of the Secretary-General on human rights of the internally displaced persons, Walter Kalin -Follow-up to the report on the mission to Georgia (A/HRC/10/13/Add.2), 14 January, 2009.

სახალხო დამცველმა მიმართა საქართველოს ხელისუფლებას და მოითხოვა გიორგი არჩვაძის გათავისუფლებისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა.

მოგვიანებით, გიორგი არჩვაძე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის შედეგად გაათავისუფლეს.

2009 წლის 22 ნოემბერს ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ დეფაქტო რეჟიმის სამართალდამცავებმა დააკავეს 1948 წელს დაბადებული ჯემალ მიდელაშვილი. აღნიშნულის თაობაზე სახალხო დამცველს 2009 წლის 9 დეკემბერს დაკავებულის მეუღლემ, მერი მიდელაშვილმა, განცხადებით მიმართა. ჯემალ მიდელაშვილი 2009 წლის 21 ნოემბერს შევიდა ახალგორში, იქ მცხოვრები მოხუცი მშობლების სანახავად. მერი მიდელაშვილის განმარტებით, მისი მეუღლე არის მე-3 ჯგუფის ინვალიდი.

ჯემალ მიდელაშვილი დღემდე პატიმრობაში იმყოფება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით მას უპრეცედენტო ბრალდება აქვს წარდგენილი – ოსი მოსახლეობის ეთნიკური წმენდაში მონაწილეობა.

2009 წლის 11 დეკემბერს სახალხო დამცველმა აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაწოდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია გატაცების კიდევ ერთი ფაქტი. კერძოდ , 2009 წლის 31 აგვისტოს ლამისყანაში მცხოვრები 6 პირი დააკავეს. მათ საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ედებოდათ ბრალი. მათი სასამართლო პროცესი 2009 წლის 3 დეკემბერს გაიმართა, თუმცა დღემდე არანაირი გადანყვეტილება არ არის მიღებული. გატაცებულები დღემდე პატიმრობაში იმყოფებიან.

სახალხო დამცველი მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას იყენებს, რათა აღნიშნული ფაქტების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს საერთაშორისო თანამეგობრობა და ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციები.

თუმცა აშკარაა, რომ ამჟამად არა მარტო უსაფრთხო დაბრუნების პრინციპი არ არის დაცული, არამედ ე.წ კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა მუდმივად დგას მათ მიმართ უკანონო ქმედებების განხორციელების საფრთხის ქვეშ.

უსაფრთხოება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა ერთადერთ პრობლემას არ წარმოადგენს. აღნიშნულ პირებს ასევე აწუხებთ სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. მართალია, სოციალური პრობლემატიკა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ამ ჯგუფის მიმართ არ იკვეთება, მაგრამ დაზარალებულთა განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ მეტი ძალისხმევა უნდა მოახმაროს აღნიშნულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას. მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა ეფექტურად გადაიჭრას ზემოაღნიშნული პრობლემები.

რეკომენდაციები

- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გადადგას პოზიტიური ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა მათთან დაკავშირებული გადანყვეტილებების შესახებ;
- სახელმწიფოს/საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დროულად იქნას გაცემული კომპენსაციები იმ კატეგორიის დევნილებზე, რომელთაც კოტეჯის სანაცვლოდ არჩევანი ფულად კომპენსაციაზე შეაჩერეს;
- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების დახმარებით აღმოფხვრას ნაგვის გატანასთან და სხვა სანიტარიულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემები;
- საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად გადადგას ეფექტური ნაბიჯები კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.



გაუმართა უფლებები

შესავალი

საქართველოში ბავშვის უფლებების დარღვევის ძირითადი ტენდენცია ბავშვების ზრუნვის ობიექტად აღქმასა და მათი უფლებების განზოგადებულად, დეკლარაციულად წაკითხვაში მდგომარეობს.

ხშირად სახელმწიფო უწყებების ღონისძიებები ბავშვის უფლებების დასაცავად გამსჭვალულია მოძველებული იდეოლოგიური ხედვით „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“ ან „ბავშვები ჩვენი მომავალია“ – პათოსით, რაც აკნინებს ბავშვის სოციალური და პოლიტიკური უფლებების სუბიექტად აღქმას. ბავშვის ხედვა შესაძლებელია განსხვავდებოდეს უფროსების მიერ მისთვის „საუკეთესოდ“ მიჩნეული გადაწყვეტილებიდან.

ბავშვის უფლება, „მოსმენილ იქნეს“ მისი აზრი და მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების ფორმირებაში, ერთ-ერთი ყველაზე რთულად გასაცნობიერებელი ფაქტია. სწორედ აღნიშნული წარმოადგენდეს მისი, როგორც უფლებების მატარებელ პიროვნებად აღქმის წინაპირობას.

„ბავშვის ქვემარტი ინტერესის“ გააზრება მოითხოვს არა ბავშვის ინტერესის შესახებ უფროსების ხედვის თავს მოხვევას, არამედ ბავშვის ინტერესების მოკვლევას და გარკვეულ შემთხვევაში უფროსების გაცხადებული თუ ფარული მოლოდინების რესტრუქტურისა.

მიგვაჩნია, რომ ბავშვის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება ბავშვის უფლებების გააზრებული კითხვით უნდა დაიწყოს.

ფარული ძალადობა სკოლაში

პრობლემის აღწერა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ბავშვის უფლებების დარღვევას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძოდ – საჯარო სკოლებში.

განმცხადებლები მიუთითებენ ბავშვების მიმართ სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მიერ განხორციელებულ ძალადობის ფაქტებზე. კერძოდ: განცხადებებში აღწერილია ბავშვთა მი-

მართ ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამამცირებელი მიმართვა, ბავშვის ნების წინააღმდეგ ქმედებების განხორციელების იძულება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ფსიქოლოგიურ (ემოციურ) ძალადობას განმარტავს როგორც: დამცირებას, ღირსების შეურაცხყოფას, უსაფუძვლო ბრალდებას, შეშინებას, მუქარას, დაცინვას და სხვა არაფიზიკური ფორმის უარყოფით დამოკიდებულებას¹⁷⁰.

ფსიქოლოგიური ძალადობის ექსპრესია ხშირად გულისხმობს არავერბალური კომუნიკაციით გამოხატულ ძალადობას, რომელიც თავის მხრივ შესაძლებელია არ კლასიფიცირდებოდეს არც ფიზიკურ და არც სიტყვიერ ძალადობად (მაგ. ჩაცინება, დამამცირებელი ინტონაცია, შესტიკულაცია და ა.შ.)

განმცხადებლები მიუთითებენ აღნიშნული ფაქტების უარყოფით ზეგავლენაზე მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე, ქცევასა და თავისუფალ განვითარებაზე. ამასვე მოწმობს ბავშვების მიერ დაწერილი ახსნა-განმარტებებიც.

განცხადებების შინაარსის თანახმად, კითხვებს ბაღებს სკოლის ადმინისტრაციის მიერ პრობლემის გადაჭრის სტრატეგია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია არა სიტუაციის მოკვლევასა და პრობლემების ანალიზზე, არამედ პრობლემის დროებით გადავადებასა და პასუხისმგებლობის აცილებაზე. კერძოდ, მიღებული საჩივრებიდან იკვეთება შემთხვევები, როდესაც სკოლის დირექტორი ითხოვს მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანას, რადგან ამ სკოლაში მას „გატეხილი აქვს სახელი“ ან არგადაყვანის შემთხვევაში ემუქრება უბნის ინსპექტორის გამოძახებით.

გარდა ამისა, განცხადებების უმრავლესობა მიუთითებს ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების პრობლემაზე. კერძოდ, ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური და ემოციური ძალადობის შემთხვევებზე მტკიცებულებების არქონა მოძალადეთა მიერ განმეორებითი ქმედების საფუძველი ხდება. ამავ დროს, საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება რომელიც გამოიხატება ძალადობის შეტყობინების „სირცხვილად“ შერაცხვაში. შიში მოძალადის დაუსჯელობასთან დაკავშირებით და დაბალი სამართლებრივი ცნობიერება – ყოველივე ეს ხელს უწყობს „ფარული ძალადობის“ ფაქტების არსებობას საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საერთაშორისო სტანდარტი

გაეროს გენერალური ასამბლეის 2000 წლის 57/90 რეზოლუციის თანახმად, გაეროს გენერალური მდივნის მიერ წარდგენილი ექსპერტის, პაულო სერჯიო პინეიროს, ძალადობის საკითხზე გლობალური კვლევის შედეგები და საპასუხოდ შემუშავებული რეკომენდაციის პაკეტი ცხადყოფს **ძალადობის ფარულ ფორმებზე** რეაგირების აუცილებლობას, მათ შორის – საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

„საზოგადოების მიერ პროტესტის არგამოხატვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დაფარული ძალადობის გასახანგრძლივებლად. ხშირად ბავშვები და მოძალადეებიც ნორმალურ და გარდაუვალ მოვლენად აღიქვამენ ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. დისციპლინის დამყარება ფიზიკური თუ სხვა დამამცირებელი სასჯელის, დაცინვისა და სექსუალური ძალადობის გზით აღიქმება ნორმად, განსაკუთრებით მაშინ, თუ შედეგად არ რჩება ძალადობის „ხილვადი“ კვალი ან მძიმე ფიზიკური დაზიანება... ძალადობა უხილავია იმ მიზეზითაც, რომ არ არსებობს ბავშვებისა და მოზრდილებისთვის დაცული, უხიფათო შეტყობინების გაკეთების შესაძლებლობა შესაბამის ორგანოებთან“¹⁷¹.

¹⁷⁰ ბავშვთა მიმართ ძალადობის კონსულტანტის ანგარიში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ჟენევა, 29-31 მარტი 1999. <http://whqlibdoc.who.int/hq/1999/aaa00302.pdf> გვ. 15

¹⁷¹ გაეროს გენერალური მდივნის მიმართვა: ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, ბავშვთა დაცვა გენერალური ასამბლეის 61-სესია, 2006, 29 აგვისტო. http://www.unicef.org/violencestudy/reports/SG_violencestudy_en.pdf გვ. 8-9



აღნიშნული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ მან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებების კომიტეტს წარუდგინა მტკიცებულებები ბავშვთა მიმართ ე.წ. ფარული ძალადობის ფორმების არსებობის შესახებ. მოახდინა უფროსების მიერ ძალადობის ნებისმიერი, თუნდაც ე.წ. მსუბუქი ფორმის გამართლების დაუშვებლად შერაცხვა და დაადასტურა ყველა ფორმის ძალადობის პრევენციის შესაძლებლობა. მიუღებელი გახდა ნებისმიერი კომპრომისი ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე განსაკუთრებით კი – ძალადობის გამართლება „კულტურული ტრადიციებით“ და „დისციპლინის ღონისძიებით“.

ფსიქოლოგიური ძალადობისა და ფიზიკური ძალადობის მნიშვნელობის გათანაბრება გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციით ხანგრძლივი პრაქტიკაა, რომლის მიხედვითაც: „ნებისმიერი სახის ძალადობა წინაპირობაა ძალადობის დანარჩენი ფორმების გამოწვევისათვის. ბავშვთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას ადგილი აქვს იქ, სადაც ბავშვებს ყოველდღიურად ამცირებენ და ზღუდავენ. რომელიმე ფორმის ძალადობასთან შეგუება კი, ხელს უშლის სხვა ფორმის ძალადობასთან ბრძოლას“.¹⁷² ფსიქოლოგიური ძალადობის ხანგრძლივი ეფექტი აღიარებულია ბავშვის თავისუფალი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვად.

„ბავშვის უფლებების კონვენციის“ მე-19 მუხლის („ბავშვთა დაცვა ყველა ფორმის ძალადობისგან“) თანახმად ძალადობის ცნების განსაზღვრებაში ცალკეა გამოყოფილი ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა, ასევე – დაუდევარი მოპყრობა და უხეში მოქცევა, უგულვებელყოფა.

„ბავშვის უფლებების კონვენციის“ მე-19 მუხლი სცილდება ბავშვის მიმართ „ცუდად მოპყრობის“ კულტურალურად და ხშირად სუბიექტურად განსაზღვრულ ცნებას, ისევე, როგორც „სასტიკი, არა-ადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის“ (მუხლი 37-ე) სფეროს და ხაზს უსვამს აუცილებლობას, რათა ბავშვები დაცულნი იყვნენ ყველა ფორმის – ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, რაც აძლიერებს ბავშვის, როგორც უფლებების სუბიექტის, ღირსების მატარებლისა და სრულფასოვანი პიროვნების აღქმას“¹⁷³.

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მიუთითებს ბავშვთა მიმართ ძალადობის დაუშვებლობისა და უსაფრთხოების მნიშვნელობაზე (მუხლი მე-20) თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამავე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული რეაგირება შემოიფარგლება ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის შემთხვევებით „... ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ (მუხლი 20).

გარდა ზემოხსენებულისა, პრობლემას წარმოადგენს ძალადობის ცნების აშკარა განსხვავებული განმარტება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ბავშვის უფლებების კონვენციის“ მე-19 მუხლს შორის. აღნიშნული სხვაობა კიდევ უფრო ცხადი ხდება, თუ მოვიყვანთ ძალადობის განმარტებას „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების“ შესახებ საქართველოს კანონიდან. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის თანახმად „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“. ფსიქოლოგიური ძალადობა კი ამავე კანონის მე-4 მუხლით განმარტდება, როგორც „შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.“

¹⁷² გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებების კომიტეტის 28-ე სესია, ფენევა, 24 სექტემბერი-2 ოქტომბერი, 2001, [http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/898586b1dc7b4043c1256a450044f331/e57900848420e9dec1256b65003d987e/\\$FILE/G0146392.pdf](http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/898586b1dc7b4043c1256a450044f331/e57900848420e9dec1256b65003d987e/$FILE/G0146392.pdf) გვ. 160

¹⁷³ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ. 249

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ ძალადობის განმარტება არ შეესაბამება საერთაშორისო დეფინიციას.


მნიშვნელოვანია ასევე, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების“ კანონის მიხედვით ძალადობის ერთ-ერთი ფორმის, „იძულების“, განმარტებაც: „აღამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგანაც თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება“ (მუხლი 4).

ძალადობის ამგვარად დაკონკრეტებული განმარტებები მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებების კონვენციის სრულფასოვნად ასახვისთვის ეროვნულ კანონმდებლობაში და ანებს მალაღსაძინებელ სტანდარტს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის რეგულირებისათვის.

სკოლისა და განათლების სამინისტროს როლი

არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სკოლებში ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირების შეუძლებლობა, ხოლო იდენტიფიცირების შემთხვევაში – მტკიცების სიძნელე.

ქვემოთ განვიხილავთ ბავშვის სამართლებრივი დაცვის მექანიზმს სკოლაში და ზემდგომ ინსტანციებში:



საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 38-ე მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად „... (სამეურვეო საბჭო), დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე.“

სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი“.

საანგარიშო პერიოდში შემოსული საჩივრების საფუძველზე იკვეთება ორი შემდეგი ტიპის პრობლემა: ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კომიტეტები არ ფუნქციონირებენ მუდმივი წესით და მათი შექმნა ხდება უკიდურესად გართულებულ კონკრეტულ შემთხვევებში, რაც შეიძლება გულისხმობდეს სპეციალური შემადგენლობის მოწვევას, ეს კი ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც „დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის ან სააპელაციო კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით“. მეორე შემთხვევაში არსებული დისციპლინური კომიტეტები არაეფექტურად ფუნქციონირებენ. კერძოდ: ვერ ახდენენ საკითხის სიღრმისეულ განხილვას და ხშირად დისციპლინური კომიტეტის წარმომადგენლებიც იზიარებენ სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას ბავშვის კლასიდან იძულებით გადაყვანის თაობაზე, პრობლემური საკითხის ბავშვის ქვეყნის ინტერესის გათვალისწინებით მოგვარების გარეშე.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების თანახმად (მუხლი 6, „ბ“), გენერალური ინსპექცია „თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენას“.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე სახალხო დამცველის ოფისის მიერ შემოსული საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი გადამისამართდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, საიდანაც დაბრუნებული პასუხები ყველა ერთმნიშვნელოვნად უარყოფს ბავშვთა მიმართ ფსიქოლოგიური თუ სხვა სახის ძალადობის ფაქტის არსებობას.

მიუხედავად გასაჩივრების სამეტაპიანი მექანიზმისა, უმეტეს შემთხვევაში ვერ დგინდება ძალადობის ფაქტები, რასაც ადასტურებს განმცხადებელთა უკმაყოფილება. ჩვენ მიერ გენერალურ ინსპექციაში გადაგზავნილი განცხადებების შესწავლის შედეგები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალური ინსპექციისაგან მოწოდებული ინფორმაციით 2008-2009 წლის განმავლობაში საგანმანათლებლო სკოლების შემონმების ფარგლებში მხოლოდ ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევებისათვის 2008 წელს 16 საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება, 2 საჯარო სკოლის დირექტორი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან; 2009 წელს 68 საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი გაფრთხილება, 77 საჯარო სკოლას მიეცა წერილობითი მითითება, 15 საჯარო სკოლის დირექტორი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, 20 მოსწავლის საქმე გადაეცა შესასწავლად სამართალდამცავ ორგანოებს. აღნიშულ სტატისტიკაში არ არის საუბარი სკოლაში ძალადობის ფაქტებზე, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ გენერალურ ინსპექციას არ მიუღია ძალადობის ფაქტზე ინფორმაცია, ან შესაძლებლობა არ აქვს, მოახდინოს მათზე სათანადო რეაგირება.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნებს, ძალადობის მოკვლევა/გამოძიება განხორციელდეს ბავშვთა მიმართ სენსიტიური მიდგომის წესით, რომელიც უპირატესად ბავშვთა ინტერესებს გაითვალისწინებს. ამავდროს, მიუთითებს, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევის უნდა მოჰყვეს მსხვერპლ-ბავშვთა რეაბილიტაცია და ფსიქოლოგიური თუ სოციალური ღონისძიებები.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სახალხო დამცველის ოფისში ბავშვებისა და მათი მშობლების მიერ მითითებული ძალადობის ფაქტები საჯარო სკოლებში წარმოადგენს კომპლექსურ მოვლენას, რომლის სრულფასოვანი მოკვლევისა და ბავშვის უფლებების დაცვისათვის სახეზეა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- საკანონმდებლო ბაზაში ძალადობის განმარტებისა და მასზე რეაგირების პროცედურის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტთან, რომლის გაუმჯობესებაც შესაძლებელია სხვა ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეაგირების პროცედურის ანალოგიით.
- რეფერალური სისტემის არაეფექტურობა.
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის საშუალებების არარსებობა.
- საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობა ძალადობის იდენტიფიცირებასა და მენეჯმენტის საკითხზე.

რეკომენდაცია

ყოველივე აღწერილიდან ბავშვთა მიმართ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის ფარული ფორმების სისტემურ დონეზე მოგვარებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ტერმინ „ძალადობის“ განმარტება, საერთაშორისო დეფინიციის შესაბამისად;

- მოხდეს ეფექტური რეფერალური სისტემის¹⁷⁴ შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა;
- მოხდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ბავშვთა მიმართ ყველა ფორმის ძალადობის აღმოფხვრის აუცილებლობასა და შეტყობინების კულტურის დანერგვისათვის;
- მოხდეს სპეციალური პროცედურების განსაზღვრა ბავშვზე ძალადობის იდენტიფიცირებისათვის.

ქუჩის ბავშვების გაუარესებული მდგომარეობა

პრობლემის აღწერა

2008 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ე.წ. ქუჩის ბავშვების მდგომარეობის სიღრმისეული კვლევა – საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ერთობლივი ინიციატივით¹⁷⁵. ამ კვლევამ საქართველოს 4 დიდ ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი – გამოავლინა 1600-მდე არასრულწლოვანი, რომლებსაც მძიმე სოციალური ან სხვა მდგომარეობის გამო არ გააჩნიათ თავშესაფარი, ან დღის ძირითად ნაწილს ატარებენ ქუჩაში. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ არ მომხდარა აღნიშნული პრობლემის შესწავლა. შესაბამისად, ვინაიდან არ არსებობს სახელმწიფოს მიერ ჩატარებული კვლევა და ამ ბავშვების აღრიცხვიანობის განსაზღვრისა, წინამდებარე თავში გათვალისწინებულია ის მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კვლევაშია მოყვანილი. ასევე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე სტატისტიკური მონაცემები საჭიროებს განახლებას, რაც გათვალისწინებულია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „გ“ პუნქტით, რომლის მიხედვითაც (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური) სააგენტო აწარმოებს ქვეყანაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზას“.

ტერმინი „ქუჩის ბავშვი“ მრავალი წელია საზოგადოებრივი დებატის თემა როგორც საზღვარგარეთ, ისე – საქართველოში. იგი ბევრისთვის დისკრიმინაციისა და სტიგმის მატარებელია, ხოლო სხვათათვის ე.წ. ქუჩის ბავშვების შესახებ არასწორი წარმოდგენის შექმნას უწყობს ხელს.

ზემოხსენებული კვლევის ფარგლებში განისაზღვრება „ქუჩის ბავშვის“ სამი კატეგორია:

1. ქუჩის ბავშვები – (ქუჩაში მცხოვრები ბავშვები), რომელნიც მოკლებულნი არიან ოჯახთან ყოველგვარ კავშირს; მუშაობენ, ცხოვრობენ და სძინავენ ქუჩაში;
2. ქუჩის ბავშვები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ ქუჩაში, მისდევენ ეკონომიკურ აქტივობას, საღამოს კი ოჯახში ბრუნდებიან და მთელი დღის მონაპოვარს უნანილებენ ოჯახს. ამ კატეგორიის ბავშვები შეიძლება დადიოდნენ სკოლაში;
3. ქუჩის ბავშვები, რომელთა ოჯახებიც ქუჩაში ცხოვრობენ;

როგორც მოყვანილი კატეგორიებიდან ჩანს, ქუჩის ბავშვების მხოლოდ 1 ჯგუფი წარმოადგენს ოჯახიდან მონყვეტილ ფენას, რაც კვლევის თანახმად სულ 35%-ია საერთო რაოდენობის. ხოლო დანარჩენი ორი კატეგორია უმეტეს შემთხვევაში მძიმე სოციო-ეკონომიკური პირობების მიზეზით ატარებს ცხოვრებას ქუჩაში.

¹⁷⁴ რეფერალური სისტემა – ბავშვთა ძალადობის შემთხვევების მოკვლევა და რეაგირება მოითხოვს სპეციალიზირებული მომსახურების ქსელს, რომელიც გულისხმობს იდენტიფიცირების შემდგომ შემთხვევის შესაბამის მომსახურებებში გადაამართებას – ქვეყნის შიგნით სააგენტოთა შორის ადმინისტრაციულად განერილი პროცედურების საშუალებით. მაგ. სოციალური სამსახური, განათლების დაწესებულებები, ჯანდაცვის მომსახურებები, სამართალდამცავი ორგანოები, და ა.შ. (ბავშვის უფლებების იმპლემენტაციის სახელმძღვანელო გვ. 268)

¹⁷⁵ „ნუ დამიძახებ ქუჩის ბავშვს“ კვლევა. (2008) ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“, გაეროს ბავშვთა ფონდი, USAID, ეისითი – მარკეტინგული კვლევა და კონსულტაცია, [http://www.unicef.org/georgia/Street_children_survey.eng\(1\).pdf](http://www.unicef.org/georgia/Street_children_survey.eng(1).pdf)



ქუჩის ბავშვების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების სახალხო დამცველისადმი მომართვის საფუძველია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2009 წელს სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებაში განხორციელებული ცვლილება (2009 წლის 23 მარტის №118/ნ ბრძანება „ბავშვზე ზრუნვა 2009 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“), რომლის შედეგადაც ქუჩის ბავშვები ფაქტობრივად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას სოციალური სამსახურების მიღებისა.

აღნიშნული ცვლილების შედეგად, როგორც თავად პროგრამის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციებმა განმარტეს, წყალში ჩაიყარა რამდენიმე წლის შრომა, რომლის განმავლობაშიც უცხოელი დონორების დახმარებით შეიქმნა საქართველოს მასშტაბით „ოთხი დღის“ ცენტრის ტიპის დაწესებულება, რომელიც სპეციფიკურად ორიენტირებული იყო ქუჩის ბავშვების საჭიროებებზე. ეს ორგანიზაციები გასული წლების განმავლობაში „ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის დახმარებით ახორციელებდნენ საქმიანობას, მაგრამ 2009 წლის ცვლილებამ ფაქტობრივად გამოორიცხა ქუჩის ბავშვების მიერ ამ სერვისით სარგებლობა, ვინაიდან ამ ბავშვების მშობლების სრულ უმეტესობას არ გააჩნია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახის სტატუსი. ამის მიზეზებია: ორგანიზებულობის ნაკლებობა, ოჯახების მიერ საცხოვრებელი ფართის არარსებობა, რომელიც წარმოადგენს ბარიერს ოჯახის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოხვედრისა და შესაბამისად სოციალური დახმარების პროგრამას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის მონაწილეობის მისაღებად. (აღნიშნული პრობლემა დეტალურად აღწერილია წინამდებარე ანგარიშის „უფლება საცხოვრებელზე“ თავში.)

შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით, ქუჩის ბავშვები დარჩნენ დღის ცენტრის სერვისის გარეშე. მათ შორის, სპეციალურად ამ კატეგორიის ბავშვების საჭიროებაზე დაფუძნებული დღის ცენტრები დღეს სხვა ბავშვებს უწევენ მომსახურებას. ხოლო ქუჩის ბავშვებისათვის სახელმწიფო სოციალური სერვისის ერთადერთი წყარო სადღეღამისო თავშესაფარია, სადაც მხოლოდ 40 ბავშვისთვისაა ადგილი.

საერთაშორისო სტანდარტი

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვების უფლებების დაცვას კონვენციის წევრი სახელმწიფო უპირველესად ბავშვის ოჯახთან რეინტეგრაციის გზით უნდა ცდილობდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რეკომენდებული არაა მისი ცხოვრება საკუთარ ოჯახთან, კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს, შექმნას მშობლიური გარემოს ტოლფასი ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებები, რომელთა ყველაზე ნეგატიური ვერსია – დიდი ზომის რეზიდენციული დაწესებულებაა. თუმცა, ვიდრე სახელმწიფო გადანაცვებს კონკრეტული ბავშვის მოთავსებას ამგვარ დაწესებულებაში, რომელიც აღიარებულია ბავშვის აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე ნეგატიურ გარემოდ, სახელმწიფოს ამონურული უნდა ჰქონდეს შემდეგი შესაძლებლობები: ბავშვის ცხოვრება ბიოლოგიურ ნათესავებთან სახელმწიფოს მხარდაჭერით, მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა, მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლი.

სახელმწიფო პროგრამა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ქუჩის ბავშვებზე ორიენტირებული სახელმწიფო ზრუნვის სქემაში, სახელდობრ: 2009 წლის 23 მარტის №118/ნ ბრძანებაში („ბავშვზე ზრუნვა 2009 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“) მიზნობრივი ჯგუფი „ქუჩის ბავშვები“ (მიუსაფარი ბავშვები) მოხსენიებულია მხოლოდ ერთგან – მე-16 თავში, სათაურით: „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“. სხვა არანაირი მომსახურება 2009 წლის „ბავშვზე ზრუნვის“ პროგრამაში არ არის კონკრეტულად ამ ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმილი და განხორციელებული. ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ამ პროგ-

რამის მიზანია „18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა“, სადაც მათ უზრუნველყოფენ კვებით, განათლებით, პროფესიული უნარ/ჩვევების სწავლებით, პირველადი სამედიცინო დახმარებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით.

საინტერესოა, გაავანალიზოთ აღნიშნული პროგრამის ლოგიკა: თავშესაფრით უზრუნველყოფა იმთავითვე გულისხმობს ქუჩის ბავშვის ცნების სპეციფიკურ გაგებას, რომელიც გარდაუვლად მოიაზრებს მის მიერ ოჯახის არქონას. რაც ენიშნავს ბავშვის სპეციფიკურ სტატუსს. შესაბამისად, ამ პროგრამის მიხედვით ქუჩის ბავშვების 2/3 რაოდენობა მიზნობრივად დატოვებს თავის ოჯახს და თავშესაფარში გადავა. აღნიშნული ლოგიკა ენიშნავს ბავშვებს როგორც გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის, ისე ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ძირითად პრინციპს საქართველოში, ვინაიდან „დღეისათვის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა მომსახურების სფეროში პრიორიტეტს წარმოადგენს დენსტიტუციონალიზაცია. დენსტიტუციონალიზაცია წარმოადგენს პროცესს, როდესაც გრძელვადიანი ინსტიტუციური მზრუნველობის ფორმის ჩანაცვლება ხდება ალტერნატიული მომსახურებებით. აღნიშნული პროცესის პრიორიტეტულობა აღიარებულია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეც, ვინაიდან წარმოადგენს ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის საფუძველს.“¹⁷⁶

საინტერესოა ასევე „დროებითი თავშესაფრის“ ცნება პროგრამის მიზანში. დროებითობა ოჯახის არმქონე ბავშვების შემთხვევაში გულისხმობს, რომ ისინი გადავლენ გრძელვადიან ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში. ოჯახის არსებობის შემთხვევაში კი, ვინაიდან ბავშვთა სარეაბილიტაციო მომსახურება არ გულისხმობს მათ ოჯახებთან მუშაობას, სავარაუდოდ, ისევე ქუჩას დაუბრუნდებიან.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გაუგებარია „დროებითი“ თავშესაფრის არსი აღნიშნულ პროგრამაში.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ გასულ წლებში არსებობდა ქუჩის ბავშვებისათვის სხვა, არამიზნობრივ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა. კერძოდ, ისინი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით ახერხებდნენ დღის ცენტრის პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, რომელიც ოჯახის ყოლის შემთხვევაში მათ ხელს უწყობდა, ოჯახთან კავშირის განწყვეტის გარეშე მიეღოთ არაფორმალური განათლება, წინარე პროფესიული უნარები, მინიმალური საკვები, სოციალური ინტეგრაცია და ა.შ. დღის განმავლობაში ხდებოდა პრევენცია მათ მიერ ტოქსიკომანიის, მათხოვრობისა და სხვა პათოლოგიური ქცევების განხორციელებისაგან.

თუმცა 2009 წლიდან ამავე ბრძანების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „... [დღის ცენტრის მომსახურების მიღებისას] თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ იმ ოჯახების წევრებს, რომელთა სარეიტინგო ქულა ვაუჩერის გაცემის დღისთვის არ აღემატება 100 000-ს.“

ამგვარი ცვლილება ორი ნეგატიურ ალტერნატივისკენ უბიძგებს ქუჩის ბავშვს და მის ოჯახს: ა) მოხდეს ბავშვის განთავსება ბავშვთა რეზიდენტულ დაწესებულებაში და ფაქტობრივად ხელოვნურად განწყდეს კავშირი ბავშვსა და ოჯახს შორის, რაც სრულიად ენიშნავს ბავშვის უფლებების კონვენციას. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი ცხადად მიუთითებს, რომ „წვერი სახელმწიფოს ვალდებულებაა, მხარი დაუჭიროს ქუჩის ბავშვების რეინტეგრაციას საკუთარ ოჯახებთან/ნათესავებთან ან განათავსოს ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებაში, ბავშვის მოსაზრებებისა და სურვილების გათვალისწინებით“.¹⁷⁷ ან, ბ) დატოვოს ისინი ქუჩაში.

დღევანდელ სიტუაციაში, სამწუხაროდ, ორივე ალტერნატივა მეტ-ნაკლებად გამონაკლისის გარეშე სრულდება.

¹⁷⁶ 2009 წლის პროგრამა „ბავშვთა ზრუნვა“ – მე-12 მუხლი, მე-2 პუნქტი.
¹⁷⁷ ბავშვის უფლებების კომიტეტი, 25-ე სესია 2000 სექტემბერი-ოქტომბერი [http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/\(Symbol\)/CRC.C.RUS.CO.3.En?Opendocument](http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/CRC.C.RUS.CO.3.En?Opendocument)



გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თავად გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი საქართველოს მესამე პერიოდული ანგარიშის დასკვნით კომენტარებში მიუთითებს ქუჩის ბავშვების მიმართ რეკომენდირებულ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელების ვალდებულებაც აქვს ქვეყანას, კერძოდ რეკომენდაციაში მითითებულია „...კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამჟამად მიმდინარეობს კვლევა ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებით, მაგრამ მას აშფოთებს ის გარემოება, რომ არ არსებობს სტრატეგიული ღონისძიებები, რომლებიც მოაგვარებდა ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვების მდგომარეობას. კომიტეტი განსაკუთრებით შეშფოთებულია ამ ბავშვების მძიმე მდგომარეობით იმ რისკების, მათ შორის ტრეფიკინგის რისკის გამო, რომლებიც მათ ემუქრებათ.

რეკომენდაციები

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს საქართველოს სახელმწიფოს:

- დაამკვიდროს ქუჩის ბავშვებისთვის რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის სამსახურები, კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად მათი შეხედულებების გათვალისწინებით და უზრუნველყოს მათთვის ადეკვატური კვება, საცხოვრებელი, აუცილებელი ჯანდაცვა და განათლების შესაძლებლობები;
- ჩაატაროს კომპლექსური კვლევა ქვეყანაში ქუჩაში ბავშვების არსებობის მასშტაბის, ბუნებისა და მიზეზების შესაფასებლად, რათა ჩამოაყალიბოს პრევენციის ეროვნული სტრატეგია.
- უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის თავშესაფრები როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვა კუთხეებში;
- შეიმუშაოს შესაძლებლობის შემთხვევებში ოჯახის გამთლიანების კენ მიმართული სტრატეგია ბავშვის ქვამარიტი ინტერესის გათვალისწინებით...¹⁷⁸

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ბავშვის უფლებების კომიტეტში 2008 წლის 26 მაისს საქართველოს მესამე პერიოდული ანგარიშის მოსმენისას, როგორც დისკუსიის დეტალურ ჩანაწერში იკითხება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლისგან დაიდო დაპირება ზემოაღნიშნული კვლევის საფუძველზე ქუჩის ბავშვებისათვის ალტერნატიული სერვისების განვითარებასთან დაკავშირებით¹⁷⁹, თუმცა, როგორც ანალიზისას აღინიშნა, მას შემდეგ ამ ბავშვებისათვის სიტუაცია მხოლოდ გაუარესდა. ვინაიდან ქუჩის ბავშვებისთვის არ განვითარებულა ახალი სოციალური სერვისები და ამავე დროს მოხდა მათი გამოთიშვა სერვისებიდან. არ მომხდარა მათი მონაცემების შეგროვება სტატისტიკისა და საჭიროებების დასადგენად.

საქართველოს მე-4 პერიოდულ ანგარიშის გაკეთება 2 წელიწადში უწევს, ვფიქრობთ, დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს აღნიშნული სიტუაცია და განხორციელდეს კომიტეტის რეკომენდაციები ზედმინეწით აღსრულება.

თუმცა მანამდე საჭიროა, ქმედითი ნაბიჯები გადადგას სახელმწიფომ – ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც ქუჩის ბავშვებს კვლავ მისცემს შესაძლებლობას სოციალური სერვისებით სარგებლობისა.

ბავშვის ქვამარიტი ინტერესი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პრაქტიკაში

შესავალი

„ბავშვის უფლებათა კონვენციის 21-ე მუხლის თანახმად „სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია ან ნებადართულია შვილად აყვანა, გაშვილება უნდა მოხდეს ბავშვის ყველაზე ქვამარიტი ინტერესების

¹⁷⁸ ბავშვის უფლებების კომიტეტის ორმოცდამეხრე სხდომა, წვერი ქვეყნების პერიოდული ანგარიშების განხილვა, დასკვნითი რეკომენდაციები 2008 წლის 6 ივნისი, http://www.justice.gov.ge/?sec_id=240&dang_id=GEO

¹⁷⁹ ბავშვის უფლებების კომიტეტის 48-ე სესია, წვერი ქვეყნების პერიოდული ანგარიშების განხილვა [http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/\(Symbol\)/CRC.C.RUS.CO.3.En?Opendocument](http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/CRC.C.RUS.CO.3.En?Opendocument).

გათვალისწინებით და კომპეტენტური ორგანოების ნებართვით, ბავშვის კეთილდღეობის მყარი გარანტიებს არსებობის შემთხვევაში“.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შვილად აყვანის პრაქტიკა და მისი განხორციელების ანალიზი ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვის კუთხით.

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი

სანამ უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის“ კონცეფცია და მისი განსაზღვრება ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით.

ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიზეზითაც, რომ ბავშვის უფლებების კომიტეტი საქართველოს მესამე პერიოდული ანგარიშის დასკვნით რეკომენდაციაში აღნიშნავს:

„კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ მონაწილე სახელმწიფოს კანონებსა და ბავშვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არ არსებობს პროცედურები ბავშვების ჭეშმარიტი ინტერესების (მე-3 მუხლი) დასადაგენად, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვების შვილად აყვანის სფეროებში“.

ბავშვის უფლებების კონვენცია „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის“ განსაზღვრებისას ეყრდნობა კომპლექსურ ხედვას, რომლის თანახმადაც ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი უნდა განისაზღვროს როგორც ხანმოკლე (სიტუაციური), ისე ხანგრძლივი პერსპექტივით. ამ ცნების განსაზღვრება მომდინარეობს მთლიანი კონვენციის შინაარსიდან, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავად ბავშვის გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ვინაიდან ბავშვი წარმოადგენს არა მხოლოდ დაცვის ობიექტს, არამედ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სუბიექტს¹⁸⁰.

ბავშვის უფლებების კომიტეტი 38-ე სესიის დასკვნით რეკომენდაციაში აღბანეთის მიმართ აღნიშნავს¹⁸¹: ...სამწუხაროა, რომ (სახელმწიფოს მიერ) ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის განსაზღვრა ხდება მხოლოდ უფროსების გადაწყვეტილებით, რომელიც ბავშვებთან მცირე ხარისხის კონსულტაციას გულისხმობს“.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ საქართველოს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის პრაქტიკაში შეინიშნება ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვის თვალსაჩინო პრობლემა:

ბავშვის თანხმობა გაშვილებისას

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დასადაგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვის აზრის გამოხატვის ხელშეწყობასა და მის გათვალისწინებას ბავშვის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი აწესებს შვილად აყვანასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. კერძოდ, პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ „აკრძალულია 10 წლის ან 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვის გაშვილება მისი თანხმობის გარეშე“. – აქედან გამომდინარე, სოციალური მუშაკი, გასაშვილებელ ბავშვზე დასკვნის მომზადების დროს, თუ ბავშვი 10 წელზე ნაკლებსაა, არ ითვალისწინებს ბავშვის აზრს და რაც მთავარია, მის სურვილს გადამწყვეტი

¹⁸⁰ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ 160.
¹⁸¹ ბავშვის უფლებების კომიტეტის 38-3 სესიის დასკვნითი რეკომენდაცია, 2005 წლის 31 მარტი [http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/898586b1dc7b4043c1256a450044f31/7d5e3444b12ac33dc1257018004dd14c/\\$FILE/G0540844.pdf](http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/898586b1dc7b4043c1256a450044f31/7d5e3444b12ac33dc1257018004dd14c/$FILE/G0540844.pdf)



მნიშვნელობა არ ენიჭება. ამას ადასტურებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოფიციალურად მოწოდებული სტატისტიკა. 2009 წლის განმავლობაში გაშვილდა:

- 0-იდან 5 წლამდე ასაკის 72 ბავშვი;
- 5-იდან 10 წლამდე ასაკის 20 ბავშვი და
- 10 წლიდან 18 წლამდე ასაკის 18 ბავშვი.

აქედან გასაშვილებელი ბავშვის ნება გათვალისწინებული იყო 11 შემთხვევაში და ისიც მხოლოდ 10 წელზე ზემოთ ასაკის მქონე ბავშვების მიმართ.

აღნიშნული მონაცემი ცხადყოფს, რომ საქართველოში ბავშვის აზრის გათვალისწინება ფაქტობრივად არ ხდება გაშვილების დროს.

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-12 მუხლი უზრუნველყოფს ბავშვის უფლებას, „თავისუფლად გამოთქვას შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომლებიც მას ეხება. ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ამ მიზნით ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას“. – გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „კონვენცია არ აწესებს ასაკის ქვედა ზღვარს ბავშვის მიერ თავისუფლად გამოხატვის უფლების რეალიზებისათვის. ცხადია, რომ ბავშვებს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება ძალიან ადრეული ასაკიდან შეუძლიათ და ასეც იქცევიან. შესაბამისად, კონვენცია მხარს არ უჭერს ბავშვის მოსაზრების გათვალისწინების შეზღუდვას ასაკობრივი ზღვრის მიხედვით“¹⁸².

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კონვენციის თანახმად, „ბავშვის აზრისათვის შესაფერი წონისა და მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია ორმაგ კრიტერიუმზე: ასაკი და სიმწიფე (განვითარების დონე). მხოლოდ ასაკის განხილვა კრიტერიუმად მიუღებელია. ბავშვის უფლებები ეწინააღმდეგება ბავშვის თანამონაწილეობის შეზღუდვად მხოლოდ ასაკობრივი კრიტერიუმის დაწესებას. რაც შეეხება სიმწიფეს – იგი ზუსტად განსაზღვრული არ არის. სიმწიფე გულისხმობს ბავშვის შესაძლებლობას მიხედეს და შეაფასოს განსჯისათვის.

გამოტანილი საკითხი. ეს უკანასკნელი ვალდებულებას უდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირს ბავშვისათვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდებაზე“¹⁸³.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბავშვის თანამონაწილეობის შეზღუდვა შეილად აყვანისა და შვილობილობის პროცესში ასაკის საფუძველზე (10 წელი) წარმოადგენს ბავშვის უფლებების კონვენციის პრინციპის დარღვევას.

ბავშვის უფლება – „მოუსმინონ“

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესია, იგი დაცული იყოს პირად ცხოვრებაში უკანონო ჩარევისაგან.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: „მშვილებლისა და გასაშვილებლის (თუ გასაშვილებელი 10 წლის ან მეტისაა) მოთხოვნით სასამართლო სხდომა შეიძლება იყოს ღია, ხოლო ინფორმაცია – საჯარო.“ „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის ნაწილის განმარტების შედეგად ირკვევა, რომ კანონმდებლის მიზანია, 10 წელზე ნაკლები ასაკის მქონე ბავშვის გაშვილების დროს მხოლოდ

¹⁸² ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ. 153.

¹⁸³ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ. 155.

მშვილებელს მისცეს უფლება, თავისი სურვილის შესაბამისად გაასაჯაროს შეილად აყვანის ინფორმაცია და სასამართლო სხდომა გახადოს ღია, ისე, რომ ბავშვის თანხმობა საჭირო არ არის.

ევროპის სასამართლოს განმარტებით¹⁸⁴, არასრულწლოვნის უფლებები მიმაგრებულია მის კანონიერ წარმომადგენლებზე – მშობლებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელია ვისაუბროთ მშვილებელსა და ბავშვს შორის, როგორც დედასა და შვილს შორის არსებულ კავშირზე, ვინაიდან მშვილებელსა და ბავშვს შორის კავშირი მიმართულია სამომავლო ურთიერთობისათვის და სასამართლო სხდომის ჩატარების მომენტისათვის ამ სუბიექტებს შორის არ გვაქვს პირდაპირი ოჯახური კავშირი, რადგან მშვილებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ არის მშობელი აღნიშნული ბავშვისა. ევროპული სასამართლო პირადი ცხოვრების დაცვისთვის ასაკობრივ ზღვარს არ ანებს, შესაბამისად, აღნიშნული მუხლის არსებობით ირღვევა ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც გარანტირებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლით – „არცერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი, ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნორმისა და პრაქტიკის არსებობა არღვევს ბავშვის უფლებათა კონვენციით გარანტირებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

ბავშვის იდენტობის შენარჩუნება

ბავშვის გაშვილებისა და მინდობით აღზრდის პროცესში **მშვილებლის** მოთხოვნით, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მოტივით ბავშვს შეიძლება შეეცვალოს სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და განსაკუთრებული მიზეზის არსებობისას – დაბადების თარიღი...

მშვილებლის მოთხოვნით ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში იგი მიეთითება ნაშვილების მშობლად.

თუ გასაშვილებელი ბავშვი 10 წლისა ან 10 წელზე მეტისაა, სახელის, გვარის, დაბადების ადგილისა და დაბადების თარიღის შესახებ დაბადების აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად მშვილებლის მითითების შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის აზრს.

მოცემული რეგულაცია გარკვეულწილად ეწინააღმდეგება „ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის თანახმადაც „მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.“¹⁸⁵

„შეილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი 23-ე მუხლი ბავშვის იდენტობის შეცვლის უფლებამოსილებას (თუ ბავშვი 10 წელზე ნაკლები ასაკისაა) აძლევს მშვილებელს და მხოლოდ მშვილებლის ინტერესების დაცვას წარმოადგენს. ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს იდენტობა გამოხატული სახელით, გვართა და სხვა მონაცემებით, უგულებელყოფილია.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა ახალი ზელანდიის სახელმწიფოს, როგორც კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს, მისცა რეკომენდაცია, კონვენციასთან შესაბამისობაში მოეყვანა ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა გაშვილებული ბავშვის სახელის გვარისა და იდენტობის განმ-

¹⁸⁴ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ 155.

¹⁸⁵ ბავშვის უფლებების კონვენციის მე-8 თავი.



საზღვრელი სხვა მონაცემების შეცვლას და მოუწოდა სახელმწიფოს უზრუნველყო გაშვილებული ბავშვისთვის სახელის შენარჩუნება¹⁸⁶.

მშობლის უფლება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესია, იცხოვროს მშობლებთან ერთად ბუნებრივ, ოჯახურ გარემოში.

„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი ანებს ჩამონათვალს, თუ როდის შეიძლება მიენიჭოს ბავშვს გასაშვილებელის სტატუსი და გაშვილდეს. ჩამონათვალში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ა“ ქვეპუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება პირს, რომლის მშობელიც (მშობლებიც) სასამართლომ ცნო ქმედუწაროდ...“ .

აღნიშნული მუხლის მიზანი პროცესების გამარტივებაა, მაგრამ გამარტივებას მშობლის უფლებების გაუმართლებელი დარღვევა არ უნდა მოჰყვეს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ორი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველი, თუ როგორ ხდება საქართველოს კანონმდებლობით პირის ქმედუწაროდ აღიარება და რა შედეგებთან არის ის დაკავშირებული და მეორე, პირის ქმედუწაროდ აღიარება შეიძლება თუ არა გახდეს მისი უფლებების შეზღუდვის საფუძველი.

საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ განასხვავებს უწარობის 4 დონეს. ესენია: მსუბუქი, ზომიერი, მნიშვნელოვანი და მაღალი. მონიფულის ქმედუწაროდ ცნობა შეიძლება მოხდეს, თუ დადგენილია ნებისმიერი მათგანი, მსუბუქის გარდა¹⁸⁷. უწარობის კომიტეტი, რომელიც აწარმოებს უწარობის შეფასებას, ვალდებულია, გამოიკვლიოს დინამიკა, სტრუქტურა და ფაქტორები მონიფულის ქმედუწარობის შეზღუდვისა. კომიტეტმა უნდა დაადგინოს კავშირი ქმედუწარობის შეზღუდვასა და დიაგნოზს შორის. კომიტეტმა ასევე უნდა განსაზღვროს პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგაც სტატუსი გადაისინჯება¹⁸⁸. კომიტეტი არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური რეაბილიტაციური პროგრამების განვითარებაზე¹⁸⁹. ქმედუწარობის სტატუსი უნდა გადაისინჯოს ყოველ ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ, რაც დამოკიდებულია ქმედუწარობის შეზღუდვის დონეზე. მაღალი დონის ქმედუწარობაზე მხოლოდ ერთხელ ყოველ ორ წელიწადში. ზოგიერთ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელია, რომ რეაბილიტაცია მოხდება, შესაძლებელია ქმედუწარობის სტატუსი დადგინდეს ისეთი მოკლე ვადით, როგორცაა 6 თვე¹⁹⁰. საბოლოო გადაწყვეტილებას პირის ქმედუწაროდ აღიარების თაობაზე იღებს სასამართლო.¹⁹¹

პირის ქმედუწაროდ აღიარება და შემდგომ ბავშვის გაშვილება, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იწვევს ბავშვსა და მშობელს შორის სამართლებრივი კავშირის გაწყვეტას, რის შედეგადაც ბავშვი კარგავს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობებისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლისა და ნათესავების წინაშე (მაგ. მემკვიდრეობა, მშობლის რჩენის ვალდებულება) ისევე, როგორც მშობლებს არაკანონიერად ერთმევათ მშობლის უფლება ბიოლოგიურ შვილზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოფიციალურად მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით, 2009 წლამდე ქმედუწაროდ აღიარებული ორი პირის არასრულწლოვან შვილებს მიენიჭათ გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და განხორციელდა მათი გაშვილება.

¹⁸⁶ ბავშვის უფლებების კომიტეტის 43-ე სესია, 2003 წლის 27 ოქტომბერი [http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/898586b1dc7b4043c1256a450044f331/73f172e77b12c842c1256df20033829f/\\$FILE/G0344655.pdf](http://www.unhcr.ch/tbs/doc.nsf/898586b1dc7b4043c1256a450044f331/73f172e77b12c842c1256df20033829f/$FILE/G0344655.pdf)

¹⁸⁷ საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“, 10 მუხლი.

¹⁸⁸ საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ 46-ე მუხლი.

¹⁸⁹ საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ მე-9 მუხლი.

¹⁹⁰ საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ მე-12 მუხლი.

¹⁹¹ „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თვისუფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა. აღნიშნული აკისრებს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას – არ ჩაერიოს და პოზიტიურ ვალდებულებას – პატივი სცეს პიროვნების კერძო და საოჯახო ცხოვრებას. მსგავსი ვალდებულებები და მოვალეობები არსებობს პიროვნების დაქორწინებისა და ოჯახის დაფუძნების უფლების პატივისცემის მიმართ.

კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს ართმევს მშობლის უფლებას. აღნიშნული ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების სტანდარტს, კერძოდ, „შეზღუდული შესაძლებლობის პირთა კონვენცია“ 23-ე მუხლში დეტალურად ასახავს საერთაშორისო შეთანხმებას საოჯახო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეფექტური და სათადარიგო ზომები, რომ ამოძრკვეონ დისკრიმინაცია ქმედუუნარო პირების მიმართ, ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებას, ოჯახს, მამობას, დედობას...“ მეორე პუნქტის თანახმად, „...მონაწილე მხარეებმა უნდა გაუწიონ შესაბამისი დახმარება ქმედუუნარო პირებს თავიანთი ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებში.“ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვი დაშორდეს მშობლებს, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. არცერთ შემთხვევაში ბავშვი არ უნდა იყოს დაშორებული მშობლებს, ბავშვის ან მშობლის ქმედუუნარობის გამო“.

მართალია, საქართველოს სახელმწიფოს, როგორც კონვენციის ხელშემკვერელ მხარეს, არ მოუხდენია აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, მაგრამ ხელის მოწერიტ ქვეყანამ გამოავლინა ნება, გაიზიაროს კონვენციის დებულებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ სასურველია, გაითვალისწინოს „შეზღუდული შესაძლებლობის პირთა კონვენციის“ მაღალი სტანდარტები და მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მის დებულებებთან. შესაბამისად, მიუღებელია პირის ქმედუუნაროებთან წარმოადგენდეს საფუძველს, ქმედუუნაროდ აღიარებული მშობლის შვილს მიენიჭოს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და გაშვილდეს.

რეკომენდაციები:

- შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დადგენისათვის კონკრეტული რეგულაცია;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქალაქო სასამართლოებმა, რომლებიც უფლებამოსილი არიან, საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანონ ბავშვის გაშვილებასთან დაკავშირებით, გაითვალისწინონ ბავშვის უფლებების კომიტეტის საქართველოს მესამე პერიოდულ ანგარიშზე გაკეთებული დასკვნითი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია: „(სახელმწიფომ) ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის პრინციპი შეიტანოს ყველა პროგრამაში, სტრატეგიაში, სასამართლო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვაში, მათ შორის, ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაში“;
- სასურველია, საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდეს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს მუხლი, რომელიც შვილად აყვანისა და გაშვილების პროცესზე უფლებამოსილ ორგანოს დააკისრებს ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით მისი აუცილებელი თანამონაწილეობის უზრუნველყოფას გაშვილების პროცესში;
- სასურველია, საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო ნორმებს შეუსაბამოს ქმედუუნარო მშობლის უფლებების რეალიზაცია ადგილობრივ საკანონმდებლო ბაზაში.

ბავშვთა მდგომარეობა სააღმზრდელო დაწესებულებებში

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის შესრულების მიზნით სახალხო დამცველის აპარატთან ჩამოყალიბდა სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც 2009 წლის 8-20 თებერვალს 21 ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების მონიტორინგი განახორციელა (დეტალური ანგარიში იხილეთ შესაბამის თავში).



მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი დარღვევები, რომლებიც არა მხოლოდ კონკრეტული დანესებულებების, არამედ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის პრობლემებსაც წარმოადგენს.

წინამდებარე ანგარიში განიხილავს ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებების არსებობისა და ფუნქციონირების წინაპირობებს და სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებს.

არასისტემატიზირებული ნორმატიული ბაზა

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა არასისტემატიზირებული ნორმატიული ბაზის პრობლემატური საკითხი. სააღმზრდელო დანესებულების ხელმძღვანელებს უდიდეს პრობლემას უქმნიდა ბავშვის მიმართ განსახილველი ყველა საკითხისა თუ პრობლემის ნორმატიული დასაბუთება, ბავშვთა სამზრუნველო დანესებულებების შესახებ სისტემატიზირებული ნორმატიული ბაზის არარსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეგულირების პრობლემას ქმნის.

ბავშვზე ძალადობის, ბავშვის დანესებულებიდან გაყვანის, ჯანმრთელობის პრობლემების, ბავშვისა და მშობლის უფლებებისა და ვალდებულებების, სოციალური სამსახურის ვალდებულებების, დანესებულების ხელმძღვანელისა და პერსონალის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია არ არის თავმოყრილი ერთ ნორმატიულ დოკუმენტში. რესურსები გაბნეულია სხვადასხვა კანონსა და ბრძანებაში (მაგალითად, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები, „სამოქალაქო კოდექსი“, „სისხლის სამართლის კოდექსი“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი და ა.შ.), ან საერთოდ არ რეგულირდება (მაგალითად, ბავშვზე ძალადობა). დანესებულებებს არ აქვთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ერთიანი ე.წ. ტიპური ნებსება (დებულება), რომელიც დაარეგულირებს ბავშვზე სამზრუნველო დანესებულებებში არსებულ ყველა საკითხს და დეტალურად აღწერს ბავშვის უფლებებსა და დანესებულების ხელმძღვანელთა/მომსახურე პერსონალთა მოვალეობებს. ასევე, დაარეგულირებს დანესებულების ურთიერთობას სამართალდამცავ ორგანოებთან თუ საჯარო სკოლებთან, სადაც ბენეფიციარი ბავშვები იღებენ განათლებას. დანესებულებებს აქვთ საკუთარი დებულებები, რომლითაც მხოლოდ ზოგადად ნებსრიგდება დანესებულების საქმიანობა, შესაბამისად, ბავშვზე ზრუნვის პროცესში მონაწილე პირებს არ შეუძლიათ მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები ბავშვის მიმართ ან ხშირ შემთხვევაში არ არიან ინფორმირებულნი, რომ კონკრეტული პრობლემა მათი მოსაგვარებელია. არის საკითხები, რომლებიც საერთოდ არ არის დარეგულირებული დებულებებით, მაგალითად, ბავშვზე ძალადობა.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების განხორციელების პირობების ნაკლებობა

2009 წლის 26 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №281/ნ ბრძანებით ყველა სააღმზრდელო დანესებულებისთვის დამტკიცდა „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“, რომელთა განხორციელებაც სავალდებულოა დანესებულებისთვის, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა სააღმზრდელო დანესებულებების მიერ „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ ვერდაკმაყოფილები მაღალი ხარისხი, რომელიც პირდაპირი წესით აისახება ბავშვებისათვის დაბალი ხარისხის ზრუნვის მინოდებით. თუმცა, ჩვენი ანალიზისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად ჰქონდათ აღნიშნულ დანესებულებებს ობიექტური შესაძლებლობა ზემოხსენებული სტანდარტების დაკმაყოფილებისათვის არსებული დაფინანსებისა და ადამიანური რესურსების პირობებში.

2008 წლის მაის-ივნისში ევროკავშირის მხრდაჭერით განხორციელებულ „ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი“ ფარგლებში ჩატარდა კვლევა „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პილოტირება“ – „ეისითი მარკეტინგული კვლევა და კონსულტაციის“ მიერ. კვლევის ძირითადი არსი მდგომარეობდა ბავშვზე ზრუნვის მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების მიერ სტანდარტების განხორციელებადადობისა და ტექსტის აღქმადობის შეფასებაში. მიუხედავად სტანდარტების პოზი-

ტიურად შეფასების ზოგადი ტენდენციისა, სტანდარტების სრული უმრავლესობის განხორციელებადობის შეფასებისას სერვისის მენეჯერები აღნიშნავენ რომ მათ ხელს შეუშლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე, ადამიანური რესურსების სიმცირე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა და ა.შ.¹⁹²

იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული კვლევის საფუძველზე არ გაძლიერებულა ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები ნაკლებ სავარაუდოა, გვექონდეს „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ განხორციელების მოლოდინი ამ დაწესებულებებში.

2008 წელს ევროკავშირის „ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტის“ მხარდაჭერით განხორციელდა „ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ერთეულის ღირებულების კვლევა“, რომელიც მიზნად ისახავდა გამოველინა არსებული დაფინანსებისა და რეკომენდირებული მინიმალური დაფინანსების პაკეტები ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის. როგორც მონაცემებმა აჩვენა, 2008 წლის მდგომარეობით (მას შემდეგ ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსების ზრდა არ მომხდარა) ერთეულის ღირებულებას, ანუ აქტუალურ დაფინანსებას წარმოადგენდა ერთ ბენეფიციარზე საშუალოდ 10,612 ლარი დღეში. როდესაც კვლევის ფარგლებში ეს მონაცემი შედარდა არასამთავრობო სექტორის მიერ ანალოგიური სერვისის ერთეულის ღირებულებას აღმოჩნდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იმავე ტიპის სერვისზე იხარჯება 1.5-ით მეტი თანხა – ერთეული ღირებულება – 15,901.

აქედან ლოგიკურია დასკვნა სახელმწიფო ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსების სიმცირეზე, რომელიც კიდევ ერთი მიზეზია მათ მიერ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების ვერგანხორციელებისა.

მიუხედავად ბავშვთა კეთილდღეობის ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდისა, 2004 წელს ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება შეადგენდა 6,7 მილიონს, 2009 წლისათვის კი ამ თანხამ 17,58 მილიონ ლარს მიაღწია შეიმჩნევა რესურსების არაპროპორციული გადანაწილება. ქვეყნის მიერ ბავშვზე ზრუნვის პრიორიტეტად აღტერნატიული სერვისების გამოცხადებამ (რაც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნასთან) ბავშვთა ინსტიტუციებში ზრუნვის შესაბამისი ხარისხის მიღწევა მეორეხარისხოვან ამოცანად აქცია. აღნიშნული ტენდენცია აისახა საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წელს დამტკიცებული ბავშვთა კეთილდღეობის 2008-2011 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმაშიც.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გაკვირვებას აღარ იწვევს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემები, რომლებიც „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ ხშირ დარღვევაში გამოიხატება. უფრო მეტად კი საკითხი დგება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ყველა ბავშვის უფლებების თანაბრად დაცვის უზრუნველყოფაში და დეინსტიტუციონალიზაციის მიუხედავად, ჯერ კიდევ ინსტიტუციებში დარჩენილი ბავშვების ხელშეწყობაში.

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებიდან ხაზს გავუსვამთ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს (დეტალურად იხილეთ მონიტორინგის ანგარიში):

ძალადობა ბავშვების მიმართ – სისტემური პრობლემის ლოკალური შედეგი

სისტემურ პრობლემას წარმოადგენს დაწესებულებებში ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები, რაც პრაქტიკად არის დამკვიდრებული. ბავშვის დასჯა „ცუდად მოქცევისას“

¹⁹² „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პილოტირება“ კვლევა. (2008). „ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის პროექტი“ ევროკავშირის მხარდაჭერით, „ეისითი მარკეტინგული კვლევა და კონსულტაცია“.



განხილულია დისციპლინის ერთ-ერთ მეთოდად. ძირითადად მძიმე ფიზიკური დასჯა/ძალადობა ვაჟ ბენეფიციარებზე ვრცელდება, თუმცა გოგონებიც ხშირად ხდებიან მცირე ან მძიმე ძალადობის მსხვერპლნი (დეტალურად იხილეთ მონიტორინგის ანგარიში).

აღსანიშნავია, როგორც დაწესებულების შიგნით (ლოკალურად), ისე ზოგადად, არ არსებობს სისტე-
მური ხედვა, რომელიც მიმართული იქნებოდა ძალადობის პრევენციისკენ. არ არსებობს სისტემა
ძალადობის შედეგად დაზარალებული ბენეფიციარის უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ძალადობის შესახებ სამზრუნველო დაწესებულების დებულება ითვალისწი-
ნებს მხოლოდ დეკლარაციულ ჩანაწერს, კერძოდ, რომ ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ყველა
ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, მაგრამ კონკრეტულად რა უნდა განახორ-
ციელოს ხელმძღვანელმა პირმა, ძალადობის ფაქტის აღმოჩენის დროს განერილი არ არის. საკითხი
მარტივდება იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ძალადობის ფაქტი ფიზიკურად გამოხატული ფორმით
და ის შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ რა რეგულირებაა საჭირო მაშინ, როცა ძალადობა მისი
სიმძიმით არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს გაურკვეველია. ასეთი შემთხვევა კანო-
ნის რეგულირების მიღმა დგას, რაც, ერთი მხრივ, არღვევს ბავშვის საყოველთოდ აღიარებულ
უფლებას, დაცული იყოს ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, ხოლო მეორე მხრივ, მზრუნველს
უძნელებს ბავშვის ძალადობისგან რეალურ დაცვას.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების¹⁹³ დანერგვაზე ჩატარებულ სპეციალურ კვლევაში¹⁹⁴ მონაწილეთა
მხრიდან ასევე შეფასდა ძალადობისგან დაცვის სტანდარტიც, რომელიც აერთიანებს ზრუნვასა და
მეთვალყურეობას და ძალადობისგან დაცვას. აღნიშნული სტანდარტი დადებითად არის შეფასებული,
თუმცა საჭიროებს გარკვეულ დაზუსტებებს. კერძოდ, მონაწილეთათვის, ერთი მხრივ, სირთულეს
წარმოადგენს ძალადობის შემთხვევების აღმოჩენა და დაფიქსირება. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ
სერვისის შიგნით სტანდარტი განხორციელებადაც, იგი მაინც ვერ აღწევს თავის საბოლოო შედეგს
– ბენეფიციარის ძალადობისგან სრულფასოვნად დაცვას, რისი მიზეზი შესაბამისი სტრუქტურების
გაუმართავი და არაკოორდინირებული მუშაობაა: „ინფორმაცია მიეწოდება შესაბამის სტრუქტუ-
რებს, მაგრამ რეაგირება არ ხდება“¹⁹⁵.

კვლევიდან ირკვევა, რომ ქცევის მართვის არაძალადობრივი გზების შესახებ პერსონალი დამატებით
ინფორმაციას საჭიროებს: „როდესაც ბავშვი არ იღებს ქცევის წესებს, როგორ ვმართოთ ამ შემთ-
ხვევაში მათი ქცევა, მით უმეტეს, ჩვენს შემთხვევაში ეს რთულია. გაუგებარია, როგორ უნდა გან-
ხორციელდეს „დაცული არიან ბავშვების მხრიდან დაშინებისაგან, როგორ უზრუნველყოთ ეს, გაუ-
გებარია. მაგრამ თუკი ამასაც იმ ტრენინგზე მოვისმენთ და გავიგებთ, კარგი იქნება“.

ძალადობრივი ფაქტის განხორციელების შემდეგ მომხმარებლის პირველადი ფსიქოსოციალური და
სამედიცინო დახმარების აღმოჩენაც დამატებით ცოდნას საჭიროებს. ამავდროს კი ბენეფიციარის
სრული ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისთვის არ არის საკმარისი სერვისის რესურსი.

ასევე, სტანდარტის მიხედვით სერვისის მიმწოდებელმა „გონივრულ ვადებში“ უნდა შეატყობინოს
მაგ. ბავშვის დაკარგვის შესახებ შესაბამის ორგანოს ან ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს. ამგვარი
ფორმულირება აძლევს სერვისის მენეჯერს თავისუფლებას, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვე-
ტილება აღნიშნულ ვადასთან დაკავშირებით, თუმცა კვლევის მონაწილეები მაინც საჭიროდ მიიჩ-
ნევენ დადგენილი იყოს კონკრეტული დროითი პერიოდი, რადგან მათთვის ნაკლებად სასურველია
სრული პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას.

¹⁹³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 281/6 2009 წლის 26 აგვისტო ქ.
თბილისი, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ

¹⁹⁴ „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პილოტირება“ კვლევა. (2008). „ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის
პროექტი“ ევროკავშირის მხარდაჭერით, „ეისითი მარკეტინგული კვლევა და კონსულტაცია“.

¹⁹⁵ „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების პილოტირება“ კვლევა. (2008). „ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ხელშეწყობის
პროექტი“ ევროკავშირის მხარდაჭერით, „ეისითი მარკეტინგული კვლევა და კონსულტაცია“.

დარღვეული განათლების უფლება

აღსანიშნავია დაწესებულებებში ბენეფიციართა განათლების უფლების დარღვევები, რომელიც შემდეგში გამოვლინდა:

- ტანსაცმელის, ფეხსაცმლის ან სკოლამდე მისასვლელი ტრანსპორტის არასებობის გამო ბავშვები ვერ იღებენ განათლებას. ასევე, ბენეფიციარებს არ აქვთ იზოლირებული ან კეთილმოწყობილი კუთხე, სადაც შეძლებდნენ მეცადინეობას;
- დაწესებულებებში არიან ბავშვები, რომელთაც უჭირთ ან საერთოდ არ იციან წერა-კითხვა. აღნიშნული პრობლემის მქონე ბენეფიციარებისთვის უმეტეს დაწესებულებაში არ არის სპეციალური და დამატებითი წრეები.
- რიგ დაწესებულებებში არის ბენეფიციართა მხრიდან არათანაბარი ხელმისაწვდომობა განათლების უფლებაზე, კერძოდ – კახეთის რეგიონში არსებულ (კაჭრეთი, ლაგოდეხი) ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებში აზერბაიჯანულენოვან ბენეფიციართა წილი საკმაოდ მაღალია. ორივე ინსტიტუციაში განთავსებულმა აზერბაიჯანულენოვანმა ბენეფიციარებმა არ იციან ქართული, თუმცა უნვეთ სრულიად ქართულ გარემოში ცხოვრება და სწავლა. აღმზრდელებმა, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ აღნიშნულ ბენეფიციარებთან, არ იციან აზერბაიჯანული. კომუნიკაციის ფაქტობრივად არარსებობა ხელს უშლის ბავშვის განვითარებას, სწავლას, ინტეგრაციას, აყენებს მას არათანაბარ პირობებში. ბენეფიციარები არ არიან უზრუნველყოფილი მათთვის გასაგებ ენაზე შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელოებით, კლასგარეშე ლიტერატურით ან სხვა მასალით. არაქართულენოვან ბენეფიციარებს არ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ საკუთარ ენაზე, უფრო მეტიც – ისინი სკოლის მასალას გადიან ქართული სახელმძღვანელოებით, ანუ იმ ენაზე, რომელიც მათ საერთოდ არ ესმით.

ბავშვის უფლებათა კონვენცია აღიარებს უმცირესობათა უფლებებს და მიუთითებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს ვალდებულებაში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვს მიანოდოს განათლება მშობლიურ ენაზე¹⁹⁶, ამავე დროს უნდა მოხდეს ადგილობრივი ენის სწავლების წახალისებაც. აღნიშნულ საკითხზე გაეროს ბავშვთა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა შემდეგ სახელმწიფოებს: მაროკოს, პარაგვაის, ინგლისს, ესტონეთს, რითაც მოუწოდა, რომ შექმნან სასკოლო მასალები და გამოიყენონ უმცირესობათა განათლების მიღების უფლების უზრუნველსაყოფად.¹⁹⁷ ასევე მოუწოდებს კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს, განავითარონ ორენოვანი სწავლება სკოლებში, აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაცია გაუკეთდა პანამის სახელმწიფოს. უნდა მოხდეს მასწავლებლების გადამზადება, რათა მათ შეძლონ უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებთან ურთიერთობა (რეკომენდაცია მიეცა ფინეთის სახელმწიფოს ბოშა ბავშვებთან დაკავშირებით).¹⁹⁸

ქვეყანაში ეროვნული, ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების მდგომარეობა ეროვნული კანონის რეგულირების ფარგლებს გარეთაა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს სპეციალური ნორმები უმცირესობათა შესახებ. ვხვდებით კანონებში დეკლარაციულ ჩანაწერებს იმის შესახებ, რომ აკრძალულია უმცირესობათა წარმომადგენლების დისკრიმინაცია (საქართველოს კონსტიტუცია, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი).

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ კონვენცია საქართველოს, როგორც ხელშემკრელ სახელმწიფოს, ავალდებულებს „უზრუნველყოს ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირობისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს“¹⁹⁹.

¹⁹⁶ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ. 464

¹⁹⁷ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ. 464-465

¹⁹⁸ ბავშვის უფლებათა კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ. 427

¹⁹⁹ ეროვნული უმცირესობათა დაცვის კონვენცია, მე-12 მუხლი.

საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 8 მაისის №348 განკარგულებით, დამტკიცდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად, „სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სანყის ეტაპზე აუცილებელია ეროვნული უმცირესობების მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, დაეუფლონ ქართულ ენას, და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციის მხარდაჭერი პროგრამების განხორციელება. ამ მიმართულებით დასახულ ამოცანათა ჩამონათვალში შედის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა; აღნიშნულის მისაღწევად გეგმაში განვიხილავთ რიგი ღონისძიებების/პროგრამებისა, რომელთა განხორციელებაზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი არიან პასუხისმგებელი.

მიუხედავად სამოქმედო გეგმის არსებობისა, კახეთის ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებში მცხოვრები არაქართულენოვანი ბენეფიციარები სკოლებში განათლებას ქართულ, ანუ მათთვის სრულიად უცხო ენაზე იღებენ და არ არიან ჩართულნი არცერთ დამხმარე პროგრამაში.

არასათანადო ცხოვრების დონე

ინსტიტუციებში ბავშვებს ცხოვრება უწევთ ისეთ გარემოში, რომელიც ყოველდღიურად მოიცავს რისკის შემცველ ფაქტორებს. აღნიშნული გამოიხატება შენობებისა, საცხოვრებელი პირობების სავალალო მდგომარეობასა და სერვისების არარსებობაში (გათბობა, განათება, სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძები, სასმელი წყალი, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება და სხვა), ასევე – კონკრეტული, ინდივიდუალური საფრთხის შემცველი გარემოებები.²⁰⁰

ბავშვის განვითარებისთვის ალიარბული აუცილებელი პირობები – ხელშეწყობა სწავლაში, სათამაშოები, გართობა, სიტბო და მზრუნველობა, ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული სამზრუნველო პირობები; ბავშვის ეტაპობრივი განვითარების გეგმა (ინდივიდუალური გეგმა, – შეფასება, რეკომენდაციები, კონკრეტული მიზნების დასახვა, მიღწევების, პრობლემების მუდმივი აღრიცხვა/შეჯამება და სხვა) და შესაბამისი განვითარების ინდიკატორები – ასევე დეფიციტური და იშვიათია.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაწესებულებაში ბენეფიციართა ასაკის და ინტერესების შესაბამისი წიგნების არსებობას. მართალია, რიგ დაწესებულებებში შენარჩუნებულია ბიბლიოთეკები, თუმცა იშვიათად გვხვდება ახალი, თანამედროვე წიგნები. ასევე, სათამაშოების რაოდენობის, ხარისხის, მრავალფეროვნებისა და ასაკთან შესაბამისობის ხარისხით ვერცერთი დაწესებულება ვერ დაიკვეხნის.

ადმინისტრაციასა და აღმზრდელებს ბავშვზე ზრუნვად მიაჩნიათ მხოლოდ ისეთი ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორცაა: კვება, ჩაცმა და სასკოლო ნივთებით უზრუნველყოფა. შესაბამისად ზემოჩამოთვლილი გარემოებები ყურადღების მიღმა არის დარჩენილი, თუმცა მთელ რიგ დაწესებულებებში მოზარდი გოგონები არ არიან უზრუნველყოფილნი ელემენტარული ყოველდღიური მოხმარების საგნებით (ჰიგიენური პაკეტები, ჰიგიენური საშუალებები), რის გამოც კვირაში რამდენიმე დღეს აცდენენ სკოლას.

²⁰⁰ სურამის ბავშვზე ზრუნვის დაწესებულების ბენეფიციარები დადიან ახლომდებარე სოფლის სკოლაში, შესაბამისად ყოველდღიურად უზღებთ ცენტრალური მაგისტრალის (თბილისი-ქუთაისი-ბათუმი) მინიმუმ დღეში 2-ჯერ გადაკვეთა. 2009 წელს დაწესებულების ერთ-ერთი აღსაზრდელი ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა.

ბავშვის აზრი უმეტეს ინსტიტუციებში თითქმის საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ხოლო იმ ბავშვთა მიერ გამოთქმული შეხედულებები, რომლებიც, მიუხედავად ამ გარემოებებისა, მაინც ცდილობდნენ იქონიონ და გამოთქვან საკუთარი აზრი – ალიქმება „ინტრიგნობად“, უზრდელად, უფროსებისადმი უპატივცემულობად, აგრესიად და ა.შ. შესაბამისად, „ბავშვის ხმა“ დაკარგულია. აღმზრდელებთან, ადმინისტრაციასთან და დანესებულების სხვა წარმომადგენლებთან ბენეფიციარებს არ აქვთ ნდობა, უმეტესად პრობლემებს თავადვე წყვეტენ ან მათ გადაჭრას მეგობრებსა და ოჯახის წევრებს (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ანდობენ. არ გამოიყენება დამკვიდრებული პრაქტიკაც, ბავშვის სურვილების, წინადადებებისა თუ საჩივრების დეკლარირებისა (შიდა მექანიზმი, როდესაც ბენეფიციარებს ანონიმურად შეუძლიათ მიმართონ დირექციას, პერსონალს ნებისმიერ საკითხზე). პრობლემურია ბავშვის პირადი ინფორმაციის პატივისცემა და დაცვაც. ხშირ შემთხვევებში თუკი პერსონალს ხელი მიუწვდა ასეთი სახის ინფორმაციაზე (ჩანაწერები ბავშვზე, ზეპირი ინფორმაცია და სხვა) ან ბენეფიციარმა საკუთარი სურვილით გაანდო/გაუზიარა მას პირადი ინფორმაცია – ასეთი ინფორმაცია არ იმალება და საჯაროდება. არ არსებობს შემაკავებელი ფაქტორი და მექანიზმი, რომელიც დაიცავდა ბავშვს აღნიშნული გულგრილობისა და უპატივცემულობისგან. ეს ყოველივე კი აღრმავებს ისედაც არსებულ გაუცხოებას ბავშვსა და აღმზრდელს/მზრუნველს შორის, შესაბამისად, აღმზრდელს წარმოდგენა არ აქვს, თუ რაზე ნერვიულობს ბავშვი, რა ანუხებს ან ახარებს, რაც თავისთავად ართულებს და არაფექტურს ხდის მუშაობის პროცესს.

არ არსებობს თამაშისა და დასვენებისთვის აუცილებელი გარემო და მონყობილობები. ასევე, ფაქტობრივად არ ხდება (საუკეთესო შემთხვევაში წელიწადში 1-2-ჯერ) ბენეფიციართა კულტურულ და გასართობ ღონისძიებებზე დასწრების უზრუნველყოფა. თითქმის ყველა დანესებულებებში მოქმედებს წრეები თუმცა, ბენეფიციარები ხშირად საკუთარი სურვილისა და ნიჭის სანიშნაოდ გეგოდ არიან ჩართულნი წრეებში, ხოლო თვით წრეების საქმიანობაც იშვიათად არის შესაბამისად დაგეგმილი, რაც გულისხმობს სათანადო განმავითარებელი, სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას. დაუგეგმავი და სპონტანურია შაბათ-კვირების, დასვენების დღეებისა და არდადეგების საკითხიც – არ ხდება აღნიშნული დროითი რესურსის (როდესაც ბავშვები სკოლაში არ არიან) ათვისება, თუნდაც შიდა ღონისძიებების, სპორტული შეჯიბრებების, ინტელექტუალური თამაშების ორგანიზების კუთხით. დანესებულებათა უმრავლესობას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი, თუმცა როგორც შიდა, ისე გარე სპორტული მოედნები მოუწყობელი და აღუჭურავია.

კონვენციის 25-ე მუხლი მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში განთავსებული ბავშვებისათვის, რადგან აწესებს სახელმწიფოსგან ბავშვის დაცვის მექანიზმებს მონიტორინგის გზით, რაც გულისხმობს შემდეგ საკითხებს: ბავშვზე ზრუნვის დანესებულებისა და სერვისების მონიტორინგი და ბავშვის ინდივიდუალური პროგრესის შეფასება; მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ დრომდე არ ხორციელდება ბავშვთა სააღმზრდელო დანესებულებებში სტანდარტების დანერგვის რეგულარული მონიტორინგი შესაბამისი უწყების მიერ.

სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ფაქტები ადასტურებს ბავშვთა სამზრუნველო დანესებულებების შეუსაბამობას კონვენციის მოთხოვნებთან, რაც საჭიროებს აუცილებელ და გადაუდებელ რეაგირებას სახელმწიფოს მხრიდან.

რეკომენდაციები:

- მოხდეს ყველა იმ კანონისა/კანონქვემდებარე ნორმატიული მასალის ერთ დოკუმენტში (კანონში) ასახვა, რომელსაც შესაძლოა წესდება, დებულება ან თუნდაც ბავშვზე სამზრუნველო დანესებულებების კანონი ეწოდოს, რითიც მოხდება შიდა კანონმდებლობის სისტემატიზირება. პარალელურად აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის მიერ დღემდე დაურეგულირებელი საკითხების მონერიგება. შედეგად, ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი დანესებულებები ინფორმირებულნი იქნებიან საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში.



- შეიქმნას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების“ განხორციელების ობიექტური პირობები ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში. ასევე რეგულარულად განხორციელდეს ამ სტანდარტების სრულფასოვანი მონიტორინგი.
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ერთობლივად მოხდეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვებისათვის ღირსეული საცხოვრებელი და განათლების პირობების შექმნა, საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერა.
- აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოხდეს უკვე ჩატარებული კვლევების მონაცემების გამოყენება, რათა მათ მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა შეძლონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული ხასიათის, ასევე ახალი, აკადემიურად გამართული და პრაქტიკული ღირებულების მატარებელი კვლევების ჩატარება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისთვის, თითოეული ადამიანის თანდაყოლილი თანასწორობისა და ღირსების განხორციელებისათვის.

სახალხო დამცველის ოფისში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების²⁰¹ საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, თავიანთი უფლებების დარღვევისას სახალხო დამცველს ხშირად მიმართავენ. ამის მიზეზი მის მიმართ გამონატყული მაღალი ნდობა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მანდატია.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა დაცვის სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქართველოს მთავრობის მიერ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ დამტკიცება და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოს“ შექმნა. მიუხედავად ამისა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა არასახარბიელოა. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ სფეროში გატარებული ცვლილებები არ ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ ხედვას, ხოლო ნაწილობრივ იმით, რომ ისინი სიტუაციურ ანალიზზე დაყრდნობით არ არის შემუშავებული. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცვლილებების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის სიმცირე და ხშირ შემთხვევაში მისი აზრის უგულებელყოფა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში საუბარი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სამთავრობო „სამოქმედო გეგმის“ პროექტის ხარვეზებზე. 2009 წლის 15 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №978 განკარგულებით დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“. მიუხედავად სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებული რეკომენდაციებისა, სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტში არსებითი პოზიტიური ცვლილებები არ შესულა, რის გამოც კვლავ აქტუალურია ის პრობლემები, რომლებიც სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშია ასახული.

²⁰¹ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპატარში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების თემაზე 35 განცხადება შემოვიდა, რომელთაც საერთო ჯამში 150-მდე პირი აწერდა ხელს.



წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს 2009 წლის ივლისიდან 2010 წლის 1 იანვრამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობას. ასახულია სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

აღნიშნული ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემები საქართველოს რეგიონებში;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამები;
- საქართველოს კანონმდებლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში;
- გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიკაციის პროცესი;

1. რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკური პრობლემები:

საქართველოში 140 125 სახელმწიფო პენსიის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია რეგისტრირებული.²⁰² მათგან დიდი ნაწილი რეგიონებში ცხოვრობს.²⁰³

რეგიონებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე მდგარი პრობლემების უკეთეს შესწავლის მიზნით სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებში მოაწყო მრავალი მაგიდების ციკლი თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და მათი სოციალური ინტეგრაცია“. მრავალი მაგიდა საქართველოს 6 ქალაქში (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ახალქალაქი, გორი და თელავი) გაიმართა. აღნიშნული შეხვედრებისას გამოიკვეთა რეგიონებში არსებული როგორც ზოგადი და სისტემური, ასევე ინდივიდუალური პრობლემები, რომლებზეც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.²⁰⁴

1.1. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კოორდინაციის არარსებობა სამოქალაქო სექტორთან

მრავალი მაგიდის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრისას როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობის ბიუჯეტში გათვალისწინებული სოციალური კომპონენტის დაგეგმვა არ ეფუძნება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროების კვლევას. ამის გამო ეს პროგრამები არ არის გათვლილი სამიზნე ჯგუფების რეალურ და/ან პრიორიტეტულ საჭიროებებზე. სამოქალაქო საზოგადოება არ არის ჩართული ბიუჯეტის დაგეგმვისა და პროგრამების შემუშავების მონიტორინგის პროცესში. პროგრამები ხშირად ხორციელდება შესაბამისი მონიტორინგის გარეშე, რის გამოც ხარვეზები ინერციით გადადის შემდეგი წლის პროგრამებში.

²⁰² მონაცემები აღებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდიდან (<http://www.ssa.gov.ge/index.php?id=860&lang=1>);

²⁰³ <http://www.ssa.gov.ge/index.php?id=860&lang=1>; რეგიონული განაწილება: – საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი რეგისტრირებულია იმერეთსა (30063) და თბილისში (28647) პირი, ყველაზე ნაკლები რაოდენობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა რეგისტრირებულია გურია (5150); რაჭა-ლეჩხუმსა (2090) და მცხეთა-მთიანეთში (3103). სხვა რეგიონების სტატისტიკური მარჯვენალები შემდეგია: კახეთი 11621, სამეგრელო-ზემო სვანეთი 15557; სამცხე-ჯავახეთი 5721; ქვემო ქართლი 10093; შიდა ქართლი 13060; აჭარა 15020;

²⁰⁴ გარდა ამ ქვეთავში მოყვანილი პრობლემებისა, რეგიონებში გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარემოზე ხელმისაწვდომობაზე, ამასთან დაკავშირებით იხ. მე-5 თავი.

გარდა ამისა, ხშირად ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განხორციელებული ღონისძიებების ნაწილი ერთჯერად ხასიათს ატარებს და არ ემსახურება კონკრეტული გრძელვადიანი ამოცანების ან მიზნის მიღწევას.

1.2. ინკლუზიური განათლება, მასწავლებლების კვალიფიკაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა ინკლუზიური განათლების დანერგვა. აღნიშნული პროცესი, ქ. თბილისის გარდა, საქართველოს ცხრა რეგიონის ცხრა სკოლას მოიცავს,²⁰⁵ რაც უკანასკნელ წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სფეროში ყველაზე ქმედითი ღონისძიებაა. თუმცა, აღნიშნულ 6 რეგიონში გამართული მრგვალი მაგიდის მიმდინარეობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მშობლებისა და სკოლის მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ ამ მხრივ გარკვეული პრობლემები კვლავ არსებობს. დაბალია ინკლუზიური განათლების ფარგლებში დასაქმებული პედაგოგების კვალიფიკაციის დონე. ისინი საჭიროებენ სპეციალურ მომზადებასა და ტრენინგებს.

1.3. სოციალური პროგრამების შესახებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირებულობა

რეგიონებში, სადაც სახალხო დამცველის აპარატმა მრგვალი მაგიდები გამართა, დაბალია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინფორმირებულობის დონე იმ მომსახურებაზე, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს. მათ მწირი ინფორმაცია აქვთ სახელმწიფოში არსებული ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების შესახებ. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ისეთ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ. ინფორმაციის ნაკლებობას ასევე ემატება ენობრივი ბარიერი, რაც კიდევ უფრო ართულებს საქართველოს რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენის პრობლემები

კვლავ პრობლემურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დადგენა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მონოდეტული ინფორმაციით²⁰⁶ საქართველოს ქალაქებში (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ახალქალაქი, გორი და თელავი) არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია ნებისმიერი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარება, მათ შორის ფსიქიატრიული კუთხით.²⁰⁷ მიუხედავად ამისა, ახალქალაქში გამართულ შეხვედრაზე მონაწილე პირებმა განაცხადეს, რომ რეგიონში არსებული სამედიცინო ფსიქიატრიული დაწესებულებები თავს იკავებენ ფსიქიკური დაავადების მქონე პირებისათვის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებისგან, რის შედეგადაც შშმ პირები იძულებულნი არიან, მიაკითხონ ქ. თბილისში მდებარე სამედიცინო დაწესებულებებს. რაც ბუნებრივია, დამატებით ხარჯებთან და სხვა სირთულეებთან არის დაკავშირებული.



²⁰⁵ http://inclusion.ge/Read_More.aspx?NewsID=39 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტი თბილისის ათი სკოლისთვის.
²⁰⁶ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის 19 თებერვლის №01-10/04/2281 წერილი;
²⁰⁷ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2010 წლის 19 თებერვლის 01-10/04/2281 წერილი;

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამები

2.1. დღის ცენტრები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 23 მარტის N118/ნ ბრძანებით („ბავშვზე ზრუნვა 2009 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“) განსაზღვრული იყო დღის ცენტრების ქვეპროგრამა²⁰⁸. განხორციელებული ცვლილებების²⁰⁹ შედეგად ქვეპროგრამა შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:²¹⁰ დღის ცენტრების ქვეპროგრამის მიზანია „ოჯახურ გარემოში მცხოვრებ შშმ პირთა ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა.“ საერთო ჯამში ამ მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს 828 ადამიანს.

2010 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრების მომსახურების მისაღებად, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსთან ერთად, კრიტერიუმად განისაზღვრა ოჯახების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი სარეიტინგო ქულა.²¹¹ „ბენეფიციართა შერჩევა ხდება სოციალური მუშაკების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული საბჭოები შეისწავლიან სერვისის მიმღების მდგომარეობას და შეარჩევენ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც ესაჭიროება დღის ცენტრის ტიპის მომსახურება, რის შედეგადაც შერჩეულ ბენეფიციარებს გადაეცემათ მომსახურების მისაღებად განკუთვნილი ვაუჩერი.“

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურად ეხმარებიან** როგორც ფინანსებით /პენსია, დახმარება და სხვა/, ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით, მათ შორის, უზრუნველყოფენ ავტომობილებით, სავარძელ-ეტლებით, საპროთეზორთოპედიული ნაკეთობებით, სპეციალური შრიფტის ნაბეჭდი გამოცემებით, ხმის გამაძლიერებელი აპარატურით და სიგნალიზაციით, აგრეთვე სამედიცინო, **სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელებითა** და საყოფაცხოვრებო მომსახურებით.“

როდესაც სახელმწიფო პირის სოციალური რეაბილიტაციის უფლებას აღიარებს, მის მიერ განხორციელებული ქმედებები უნდა იყოს ქმედითი. ხოლო თუ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებების შემდეგ პირისთვის პრაქტიკულად არაფერი იცვლება, უფლება არარეალიზებული რჩება. დღის ცენტრების ქვეპროგრამას ამ კუთხით გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რომლებსაც ქვემოთ შევჩერდებით.

²⁰⁸ შშმ პირთა დღის ცენტრების ქვეპროგრამის მიზანია ოჯახურ გარემოში მცხოვრებ შშმ პირთა ინდივიდუალური განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. დღის ცენტრები საქმიანობა მოიცავს: ინდივიდუალური აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამის შედგენას; საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას; საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფას როგორც ცენტრებში, ისე ბენეფიციართა შესაძლებლობის გათვალისწინებით მათ გარეთაც; საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას. მომსახურების მიღების შედეგად ბენეფიციარებს გამოუმუშავდება საყოფაცხოვრებო, შრომითი და სოციალური უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს გარემოში მათ უკეთ ადაპტაციასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

²⁰⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 23 მარტის N118/ნ ბრძანებაში („ბავშვზე ზრუნვა 2009 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“) 2009 წლის 16 ნოემბერს და 30 დეკემბერს შევიდა ცვლილებები, რომლებიც შეეხო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრების ქვეპროგრამას. მოგვიანებით, 2010 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობის №22-ე დადგენილებით დამტკიცდა „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესი და პირობები“, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა ზემოაღნიშნული საკითხები.

²¹⁰ აქ და შემდგომ მოყვანილი ყველა მონაცემი ეყრდნობა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვარს №22-ე დადგენილებასა და 2009 წლის 18 დეკემბერის №01-10/04/15097 და 2010 წლის 15 იანვრის №01-10/04/372 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილებში არსებულ მონაცემებს.

²¹¹ იხ. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის N 51 დადგენილება „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“;

დღის ცენტრების დაკომპლექტებისას სიღარიბის ზღვარს, როგორც ბენეფიციართა შერჩევის უპირობო კრიტერიუმს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონკრეტული სერვისით მომსახურების აუცილებლობას განსაზღვრავს არა ადამიანის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ყოფნა, არამედ პირის შესაძლებლობების შეზღუდვის სპეციფიკურობა, ხარისხი და მისგან გამომდინარე რეალური საჭიროებები.

ამას გარდა, დღის ცენტრების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობა არ არის საკმარისი, მიუხედავად იმისა, რომ სერვისით ამჟამად გათვალისწინებულია 828 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მომსახურება (ბავშვი და სრულწლოვანი ერთად). თუ გავითვალისწინებთ შშმ პირთა საერთო რაოდენობას (დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია 140 000-ზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომსახურების მიმღებთა რაოდენობა არაადეკვატურია.

დღის ცენტრების ქვეპროგრამით არ ხდება რეგიონების სრული გეოგრაფიული დაფარვა. ამჟამად საქართველოს 70-მდე თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს შორის მხოლოდ 12-ში არსებობს დღის ცენტრის ტიპის მომსახურება. დანარჩენებში კი დღის ცენტრების სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა არ არის, რაც საბოლოო ჯამში, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციარებს. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად სახელმწიფომ უნდა მოახდინოს აღნიშნული მომსახურებით ბენეფიციართა უზრუნველყოფა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2009 წლის განმავლობაში 650 ბენეფიციარი უფასოდ იღებდა დღის ცენტრებით გათვალისწინებულ სერვისს. ცვლილებების შედეგად 490 ადამიანს შეუძარჩუნდა დაფინანსება, ხოლო 160 ადამიანი თანადაფინანსებაზე გადავიდა, რითიც ამ უკანასკნელთა მდგომარეობა გაუარესდა. ადამიანის უფლებები სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, საკუთარი ქმედებით არ გააუარესოს კონკრეტული პირის მდგომარეობა. ჩვენს შემთხვევაში პირმა სრულად უნდა შეინარჩუნოს კონკრეტული ბენეფიტი, რომელიც სახელმწიფოს მიერ ეძლეოდა და რომელიც მას კეთილსინდისიერად ჰქონდა მოპოვებული. ამგვარი მოლოდინი საკუთრების უფლებით არის დაცული.^{21,22}

დღის ცენტრების მონიტორინგს მომსახურების დამკვეთი და დამფინანსებელი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, კერძოდ სოციალური დაცვის დეპარტამენტი განახორციელებს, რაც გულისხმობს დღის ცენტრების მიერ განეული მომსახურების, ასევე ორგანიზაციული და პროცედურული საკითხების შეფასებას, შედეგების გაანალიზებასა და რეკომენდაციების შემუშავებას. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე სამინისტრო აქცენტს კონკურენციაზე აკეთებს და მიუთითებს, რომ „მომსახურე ორგანიზაციის არჩევაში ბენეფიციარებისთვის მინიჭებული თავისუფლება, დღის ცენტრებს შორის კონკურენციისა და შესაბამისად მათი მომსახურების ხარისხისთვის, საუკეთესო წინაპირობაა; ხაზგასასმელია, რომ მხოლოდ კონკურენცია სერვისის ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიად ვერ გამოდგება, რადგან მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში, (თელავი, გორი, გურჯაანი, ზესტაფონი, ოზურგეთი, ქარელი, თერჯოლა და სამტრედი) მხოლოდ ერთი დღის ცენტრი მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ცვლილებათა ერთ-ერთ მიზეზად მითითებულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტერესების მაქსიმალური დაცვა. მიუხედავად ამისა, სამინისტროს არ აქვს ზუსტი მონაცემები, ამჟამად საქართველოში რამდენი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რომელსაც ესაჭიროება დღის ცენტრების მომსახურება. აუცილებელია სახელმწიფომ ნებისმიერი სახის ცვლილების განხორციელებამდე გამოიკვილოს არსებული ვითარება და მხოლოდ ამის შემდეგ, გამოვლენილი საჭირო-

^{21,22} „პრინციპები, რომლებსაც მოიცავს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი [საკუთრების უფლება], ასევე რეგულაციური, როდესაც საქმე ეხება სოციალურ და კეთილდღეობის ბენეფიტებს.“ Moskal v. Poland, Application no. 10373/05, 15 September 2009, General principles on the applicability of Article 1 of Protocol No. 1, §§ 38-40.



ებებიდან გამომდინარე, გადადგას ნაბიჯები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილებები და საჭიროებები ერთმანეთთან დიდი ალბათობით დისონანსში მოვა, ისევე, როგორც ამ უკანასკნელ შემთხვევაში.

2.2. გადასაადგილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა²¹³

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს [...] უზრუნველყოფენ სავარძელ-ეტლებით.“ არსებობს ორი ტიპის სავარძელ-ეტლები, სტანდარტული და ელექტრონული. ზოგიერთი პირისთვის, შეუძლებელია სტანდარტული ეტლების გამოყენება, რაც მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, კონკრეტული პირები საჭიროების შემთხვევაში უნდა აღიჭურვონ ელექტროეტლებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №442/ნ ბრძანებით დამტკიცებულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტით“ (მუხლი 23) განსაზღვრულია მხოლოდ სტანდარტული ტიპის (არაელექტრონული) სავარძელ-ეტლების შექმნა, იგი არ ითვალისწინებს ბენეფიციართა ელექტრონული ეტლებით უზრუნველყოფას.²¹⁴

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია. თუმცა, პროგრამა რეალურად უზრუნველყოფს მხოლოდ იმ პირთა სოციალურ ინტეგრაციას, რომლებსაც გადაადგილება შეუძლიათ სტანდარტული ტიპის სავარძელ-ეტლით. პირებს, რომელთაც ესაჭიროება სპეციალურად ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სავარძელ-ეტლები, სახელმწიფო, იმის გამო რომ ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ეტლით, ფაქტობრივად უარს ეუბნება სოციალურ ინტეგრაციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ჯგუფის ინტერესი თანაბარია. მათ ანალოგიური მიზნებისათვის ესაჭიროებათ ეტლი. შესაბამისად თანასწორობის პრინციპის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია რომ სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით, რათა თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილი იყოს ელექტროსავარძელ-ეტლით.

3. ხელმისაწვდომი გარემო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს გარემოს ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

ქ.თბილისში არსებული შუქნიშნებიდან მხოლოდ 28 ობიექტი არის აღჭურვილი უსინათლო და ნაკლებად მხედველი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი ხმამაღლა მოლაპარაკე ხელსაწყოთი. ყველა მათგანი დამონტაჟებულია 2008 წლამდე. ხოლო, 2008-2009 წლებში ქ.თბილისში მიმდინარე ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების ფარგლებში ქუჩებსა და მაგისტრალზე დამონტაჟებული 32 შუქნიშნიდან არცერთი არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ქვეითად მოსიარულეების მიწისზედა გადასასვლელი ხიდეები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის არ არის აღჭურვილი შესაბამისი ესტაკადებით ანდა ლიფტებით. ერთადერთი, რაც ეტლით მოსარგებლე პირებისათვის არის ხელმისაწვდომი „უსაფრთხოების კუნძულებია“.²¹⁵

²¹³ ამ საკითხზე მსჯელობა იყო სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში. მითითებული პრობლემების ნაწილი ბენეფიციართა სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა რჩება საკითხები, რომელთა მნიშვნელობის გამო კვლავ განვიხილავთ ამ საკითხს წინამდებარე ტექსტში.

²¹⁴ აქ და შემდგომ მოყვანილი ყველა მონაცემი ეყრდნობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №442/ნ ბრძანებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მონაცემებსა და 2010 წლის 13 იანვარს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს №04/1-57 წერილში არსებულ მონაცემებს.

²¹⁵ მონაცემები ემყარება ქ.თბილისის მერიის №06/167-1 და №06/11112-1 წერილებს;

როგორც საქართველოს რეგიონებში (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ახალქალაქი, გორი და თელავი) მრავალი მაგდის²¹⁶ მიმდინარეობისას ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რეგიონებში მწვავედ დგას ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის პრობლემა. ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სრულიად მოუწყობელია; არ არსებობს ხმოვანი შუქნიშნები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული, ტროტუარებზე არ არის ბილიკები და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი არის მათთვის ხელმისაწვდომი.

ამ საკითხზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით მივმართეთ ხუთი თვითმმართველი ერთეულის (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, ახალქალაქი, გორი და თელავი) ადგილობრივ ხელისუფლებას და მოვითხოვეთ ინფორმაცია 2007-2009 წლებში თითოეულ ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებში, როგორცაა სავალი და სამანქანო გზების შეკეთება, შუქნიშნების დამონტაჟება, რამდენად ხდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროების გათვალისწინება. დღეისთვის ველოდებით პასუხებს, რომლის შედეგადაც მოხდება სიტუაციის ანალიზი და ადგილობრივ თვითმმართველობებს მიეცემათ შესაბამისი რეკომენდაციები.

აუცილებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დამოუკიდებლად არსებობისა და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის საშუალება მიეცეთ, სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყველა შესაბამის ზომას, რათა მათთვის, სხვების თანახმად, უზრუნველყოს ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტისა და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა საშუალებების ხელმისაწვდომობა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განსაკუთრებულ დაბრკოლებებს ქმნის კიბის საფეხურები, ტროტუარები, ბორდიურები, ქუჩის ნიშნები და შუქნიშნები. რის გამოც, ისინი ხდებიან სხვა პირებზე დამოკიდებულნი გადაადგილების პროცესში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2006)5 ავალებს ნევრ სახელმწიფოებს, „ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის დამხმარე მოწყობილობების და ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებას, რათა გაუმჯობესდეს გარემოს ხელმისაწვდომობა და შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს მიეცეთ თანაბარი შესაძლებლობები, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ცხოვრებაში. ამ გვარი პრაქტიკა უნდა დაინერგოს ახალ მშენებლობაზე და თანდათან გავრცელდეს არსებულ შენობებზე.“²¹⁷ გარემოს ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე საუბრობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 48/96 რეზოლუცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესები“-ს შესახებ. იგი სახელმწიფოებს მიუთითებს, რომ მატერიალური გარემოს დაპროექტებისას და შექმნისას, ამ პროცესის დასაწყისიდანვე, გათვალისწინებული იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მატერიალური გარემოს მისაწვდომობის მოთხოვნები.²¹⁸

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად „დაუშვებელია დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა [...] მშენებლობა და რეკონსტრუქცია, თუ ეს ობიექტები და საშუალებები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს“.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, ხელმისაწვდომი, ბარიერის გარეშე მონყობილი გარემოს სახით, შესაძლებელს გახდის მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას და აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ საქმიანობაში.

²¹⁶ ის: პირველი ქვეთავი: რეგიონებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკური პრობლემები;
²¹⁷ ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია REC (2006)5 „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ევროპაში 2006-2015“, 2006 წელი, 5 აპრილი, მუხლი 3.6.3;
²¹⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 48/96 რეზოლუცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესები“, 1993 წლის 20 ოქტომბერი;



თუმცა მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ვალდებულება სახელმწიფოს მიერ ჯეროვნად არ სრულდება. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N 978 განკარგულებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად გათვალისწინებულია ხელმისაწვდომი და მონყობილი გარემოს უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ამ კუთხით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებრივ მდგომარეობას.

4. კანონმდებლობა

4.1. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს. აღნიშნული კანონით ასევე დარეგულირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა) სკოლაში სწავლა. თუმცა კანონის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით კანონი საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ზოგიერთ შემთხვევაში ეყრდნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი სამედიცინო მიდგომას. კერძოდ, კანონში გამოყენებული ტერმინები, როგორცაა ავადმყოფი, კორექციული სწავლება და ა.შ. („ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ე“ პუნქტი, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი) არ შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკას,²¹⁹ რომელიც აქცენტს აკეთებს არა სამედიცინო, არამედ სოციალურ მიდგომაზე.

ამასთან, კანონში გამოყენებული ტერმინები და მათი განმარტებები ხშირ შემთხვევაში მოძველებულია ან საჭიროებს შეცვლას, რადგან ისინი სრულად ვერ ასახავენ ინკლუზიური განათლების არსს (მაგალითად: 21¹-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-2 მუხლის „უ“ პუნქტი და ა.შ.). ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამორჩენილია კანონის ტრიალიდან (მაგალითად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განმარტება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ა.შ.).

კანონი არასათანადოდ არეგულირებს გაზრდილი ვაჭრით დაფინანსების სისტემას. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლში (ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა) საუბარია მოსწავლის უფლებაზე საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიიღოს ზოგადი განათლება. თუ ამ უფლების რეალიზება შეუძლებელია სტანდარტული ვაჭრის მეშვეობით, სახელმწიფო ასეთ მოსწავლეებს უზრუნველყოფს გაზრდილი ვაჭრით. გაზრდილი ვაჭერი გამოიყენება მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის, სპეციალური, კორექციული ან ენობრივი უმცირესობის სკოლის ან კლასის ფარგლებში. ამ ნორმაში არსებობს რამდენიმე ხარვეზი. მათგან უმთავრესი არის ის, რომ კანონი ხელმისაწვდომობას უკავშირებს მხოლოდ გეოგრაფიულ მდებარეობას და მშობლიურ ენას მაშინ, როცა განათლების უფლებით სარგებლობის ხელმისაწვდომობის პრობლემას სხვა ბევრი, მათ შორის შესაძლებლობის შეზღუდვიდან გამომდინარე ფაქტორი წარმოშობს. ზემოაღნიშნული ფაქტორები კი, სამწუხაროდ, არ არის ასახული კანონში.

კანონით არ არის განსაზღვრული სკოლის ვალდებულება, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესზე, რათა გათვალისწინებულ იყოს მათი ინდივიდუალური საჭიროებები. კანონი ასევე არ იცნობს ჟესტების ენას, ბრაილის მეთოდისა და მის ანალოგების გამოყენების შესაძლებლობას საჯარო სკოლაში.

²¹⁹ იხ. საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის №604-III დადგენილება, თავი პირველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული აძნელებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების უფლების სრულ რეალიზებას. გაეროს ბავშვთა უფლებათა დაცვის კომიტეტის ზოგადი კომენტარის (№9) შესაბამისად, გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს აქვთ განათლების ისეთივე უფლება, როგორც ყველა სხვა ბავშვს, ამ უფლებით სარგებლობენ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე. ამიტომ იმისთვის, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის იყოს გარანტირებული, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვის პიროვნული განვითარება, ნიჭი და მენტალური და ფიზიკური შესაძლებლობები.²²⁰ კონვენცია აღიარებს, რომ საჭიროა სკოლის სისტემის მოდიფიკაცია და ჩვეულებრივი მასწავლებლებისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების შექმნა, რომ მათ შეძლონ, ასწავლონ განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და მათი განათლების მხრივ მიაღწიონ დადებით შედეგს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების მიღება ადრეულ ასაკში მნიშვნელოვანია, რადგან მათი სპეციალური საჭიროებები სწორედ ამ ინსტიტუციებში ვლინდება. სკოლებში არ უნდა არსებობდეს ბარიერი, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს იმ ბავშვის ხელმისაწვდომობა განათლებაზე, რომელსაც შეზღუდული აქვს მოძრაობის შესაძლებლობა. განათლების უფლებით სრულიად სარგებლობისათვის ბევრ ბავშვს სჭირდება პირადი დახმარება რათა სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ასწავლონ ბავშვებზე ორიენტირებული, ინდივიდუალური სასწავლო სტრატეგიით, ხელმისაწვდომი სასწავლო მასალით, მონყობილობით და დამხმარე საშუალებებით, რაც სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს თავისი რესურსის ფარგლებში.

4.2. საგადასახადო კოდექსი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საქართველოს კანონი „საგადასახადო კოდექსი“ გათვალისწინებულია გარკვეული საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, 168-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით წელიწადში 3000 ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრებიან:

- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
- მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იმავე გადასახადით წელიწადში 1500 ლარამდე შემოსავლის შემთხვევაში არ იბეგრებიან I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

4.2.1 ტერმინოლოგია

„სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის“ შესახებ კანონის თანახმად, შეიცვალა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსის სახელწოდება და „I, II და III ჯგუფის“ ნაცვლად მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა ტერმინები: „მსუბუქად გამოხატული“, „ზომიერად გამოხატული“, „მნიშვნელოვნად გამოხატული“ და „მკვეთრად გამოხატული“.

შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის ტერმინოლოგია საჭიროებს მოდიფიცირებას. იგი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2.2 შეღავათების დისკრიმინაციული ხასიათი

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი²²¹ და მასში შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვაც მოიაზრება.

²²⁰ Article 28, 29 of the Convention on the Rights of the Child; the Committee’s general comment (2001) on the aims of education)
²²¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მეორე კოლეგია, გადაწყვეტილება №2/1-392 შოთა ბერიძე და სხვა 67 მოსარჩელე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პუნქტი 2;



თანასწორობის პრინციპის დარღვევა სახეზეა, როდესაც კანონმდებელი გარკვეულ უფლებას ანიჭებს არა ყველა პირს, რომელთაც ესაჭიროებათ ამ უფლებით სარგებლობა, არამედ გამოყოფს პირთა გარკვეულ წრეს და დანარჩენებს უარს ეუბნება ამ უფლებით სარგებლობაზე. თანასწორობის პრინციპი ირღვევა. როდესაც არ არსებობს განსხვავებული მოპყრობის გონივრული და ობიექტური გამართლება.²²²

საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლი საგადასახადო შეღავათების შემდეგ კატეგორიზაციას ახდენს:

1. ერთი მხრივ, პირებს ერთმანეთისგან მიჯნავს შეზღუდული შესაძლებლობების წარმოშობის დროის მიხედვით. ანუ მათ, ვინც ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა (მიუხედავად შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხისა) და მათ ვისაც შესაძლებლობები ზრდასრულ ასაკში შეეზღუდათ (ამ შემთხვევაში საგადასახადო შეღავათები მხოლოდ ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ენიჭება).
2. მეორე მხრივ, პირებს ერთმანეთისგან შესაძლებლობების შეზღუდვის ფორმის მიხედვით განასხვავებს, ანუ მათ, ვინც მხედველობის პრობლემების გამოა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მათ, ვისაც სხვა რაიმე მიზეზით შეეზღუდა შესაძლებლობა.

ამგვარი მიდგომა არათანაბარ სიტუაციაში აყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რადგან ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს თანაბარი სუბიექტები და მათ შორის არათანაზომიერი დიფერენციაცია. თანასწორობის უფლების განხორციელებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, პირს რა მიზეზით შეეზღუდა შესაძლებლობა, ისევე, როგორც რა ასაკიდან აღენიშნება მას შესაძლებლობების შეზღუდვა. ბუნდოვანია რა არსებითი, გონივრული და ობიექტური მიზეზები აქვს ამგვარ დანაწესს.

4.2.3. შეღავათების ოდენობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებულია შემდეგი სახის შეღავათები. ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აგრეთვე მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება კალენდარული წლის განმავლობაში 3000 ლარამდე; ხოლო სხვა I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება კალენდარული წლის განმავლობაში 1500 ლარამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ 2009 წლის I, II და III კვარტლის მონაცემებით²²³ საქართველოში სახელმწიფო მმართველობის დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი მერყეობს 857-დან 874 ლარამდე, საქართველოს საგადასახადო კოდექსით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები არასაკმარისია. შეღავათები იმდენად მაინც უნდა გაიზარდოს, რომ საშუალო თვიური ანაზღაურებების პირობებში წლის განმავლობაში დაგროვილი საერთო ოდენობა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზღვარზე ნაკლები არ იყოს.

²²² ECHR, CASE "RELATING TO CERTAIN ASPECTS OF THE LAWS ON THE USE OF LANGUAGES IN EDUCATION IN BELGIUM" v. BELGIUM, Application no 1474/62; 1677/62; 1691/62; 1769/63; 1994/63; 2126/64, 23 July, 1968, § 10; აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N2/1-392, 31 მარტი, 2008 წელი, § 2; აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, მოქალაქეები: „ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელენორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, N2/7/219, 7 ნოემბერი, 2003; აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქეები – უტა ლიპარტელიანი, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ლაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ N1/2/213,243, 16 თებერვალი, 2005;

²²³ მონაცემები ეყრდნობა სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2010 წლის 15 მარტს №281-ოვ ნერილით მონოდებულ ინფორმაციას;

4.2.4. დამსაქმებლების საგადასახადო წახალისება

საგადასახადო კოდექსში არ არის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი იმ დამსაქმებლებსთვის, რომლებიც სამუშაოდ დაიქირავებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. რადგან დასაქმება შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის საზოგადოებაში ინტეგრაციის ერთ-ერთი წინაპირობაა. შრომა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიული თვითრეალიზაციისა და განვითარების საშუალებას.²²⁴

დაუსაქმებლობის პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემთხვევაში, რამდენადაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკურ გარემოსთან ურთიერთობისას ხვდებიან დაბრკოლებები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უმრავლესობა დაუსაქმებელია, ისინი კი, ვინც მუშაობენ, ძირითადად იღებენ არაადეკვატურ ანაზღაურებას ან დასაქმებულები არიან არაფორმალურად, რაც სოციალური დაცვის ნაკლებ გარანტიას იძლევა. ასეთი ვითარება ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, დამოუკიდებლად ნორმალური სტანდარტების შესაფერისად იცხოვრონ.²²⁵

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულია უფლება, „დაცული იყო უმუშევრობისაგან“.²²⁶ 32-ე მუხლის მიხედვით კი „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში“. შრომის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმტკიცება ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც სოციალური სახელმწიფოს არსს, რომლის უმთავრესი ამოცანაა ადამიანის ღირსეული ყოფის უზრუნველყოფა. საქართველოს კონსტიტუციის პრემბულის მიხედვით კი სოციალური სახელმწიფოს შექმნა ერთ-ერთ მიზნადაა გამოცხადებული.

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის მიხედვით, სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი დასაქმების ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირთა ინტეგრაციას.²²⁷

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესების მიხედვით, [...] სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ჩართვას შრომის თავისუფალ ბაზარში, ამგვარი მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით, როგორცაა [...] საგადასახადო შეღავათების დაწესება [...] იმ საწარმოთათვის, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ქირაობენ სამუშაოდ.²²⁸

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები შრომით ბაზარზე სხვებთან შედარებით არსებითად უთანასწორონი არიან. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ისინი არ განიხილოს სხვა პირებთან მიმართებით თანასწორად და გაითვალისწინოს დროებითი (ჯგუფებს შორის არსებითი თანასწორობის მიღწევამდე) პოზიტიური მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმებას. თუ სახელმწიფო ზოგიერთ შემთხვევაში პოზიტიურად არ ჩაერევა და არ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ძირითადი უფლებებით სარგებლობას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგად გარანტიებს შეიძლება დაეკარგოს პრაქტიკული მნიშვნელობა.

4.3. შეზღუდული შესაძლებლობების მოქნე პირთა დეფინიცია

2009 წლის 10 ივლისს საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა „შეზღუდული შესაძლებლობების

²²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, „მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, N2/2-389, 26 ოქტომბერი, 2007, §20;
²²⁵ Disabilities, Handbook for Parliamentarians, №14-2007, პპ. 85-86;
²²⁸ Standard Rules on the Equalization of Opportunities for Persons with Disabilities, A/RES/48/96, 85th Plenary Meeting 20 December 1993. Rule 7



მქონე პირთა უფლებათა დაცვის შესახებ” კონვენციას, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამებოდეს კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განმარტების სწორი ფორმულირება.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს წარმოადგენენ ის პირები, რომლებსაც გარკვეული დროის განმავლობაში გააჩნიათ ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური ან სენსორული ნაკლოვანებები, რომლებმაც სხვადასხვა ბარიერთან შეხებისას შესაძლოა, ხელი შეუშალოს პირებს სხვებთან თანასწორ პირობებში სრულად და ეფექტურად იმონაწილეონ საზოგადოებაში.

საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის №604-III დადგენილებით დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია იზიარებს გაეროს კონვენციის მიდგომას.

მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის“ შესახებ მე-2 მუხლის მიხედვით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი არის ადამიანი, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური დეფექტის შედეგად დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები, ჯანმრთელობის მეტ-ნაკლებად მოშლის გამო, რაც განაპირობებს პროფესიული შრომის უნარის სრულ ან ნაწილობრივ დაკარგვას ანდა ყოფა-ცხოვრების არსებით გაძნელებას“. აღნიშნული განმარტება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების განმარტებისას ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ნაკლოვანებებზე, მაშინ, როცა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცნების ვექტორი გარემოსკენ არის მიმართული.

4.3.1. ტერმინი „ინვალიდი“

საქართველოს კანონმდებლობა, ზოგადად, აღიარებს ტერმინს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი მოხსენიებულია ტერმინით „ინვალიდი“.

უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სწორი დასახელება, რათა დამოკიდებულება ამ პირების მიმართ განპირობებული იყოს არა თანაგრძნობით, არამედ აღიქმებოდნენ, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები,

ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ ბავშვთა უფლებათა კონვენციაზე გაკეთებულ ზოგად კომენტარში აღნიშნულია, რომ ბავშვებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს არა ის შესაძლებლობა, რომელიც მათ შეზღუდული აქვთ, არამედ სოციალური, კულტურული და ფიზიკური გარემო, რომელიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდება²²⁹. აქედან გამომდინარე, პრობლემას წარმოადგენს არა პირების შეზღუდული შესაძლებლობები, არამედ გარემო, რომელიც არ არის მორგებული თითოეული ინდივიდის საჭიროებებზე. სწორედ ამიტომ პირის შესაძლებლობაზე აქცენტის გაკეთება გაუმართლებელია.

გაეროს სტანდარტული წესების მიხედვით, უარი ითქვა ტერმინზე „ინვალიდი“, რამდენადაც ამ ტერმინის ქვეშ მყოფი პირი შეიძლება აღქმული იყოს როგორც ადამიანი, რომელსაც არ აქვს უფლება, იყოს სამართლის სუბიექტი.²³⁰

²²⁹ Committee on the Rights of the Child, Forty-third session, General comment #9, §5, 2006;

²³⁰ Report of the Committee on Economic, Social and Cultural Rights, General Comment #5, §4

შესაბამისად, საჭიროა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი, საგადასახადო კოდექსის ტერმინოლოგია, შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.

4.3.4. სტიგმა

ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებლობაში გამოყენებული კონტექსტი სტიგმატიზირებულია. ამ მხრივ საყურადღებოა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება, პროფესიული მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება [...] ინვალიდური სასწავლო გეგმით [...].“

როგორც აღვნიშნეთ, პრობლემას წარმოადგენს არა უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესაძლებლობები, არამედ გარემო, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. სწორედ ამიტომ კონკრეტული საგანმანათლებლო თუ სხვა პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რასაც ვერ აკმაყოფილებს კანონში გამოყენებული ტერმინი „ინვალიდური სასწავლო გეგმა“.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: *„სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ დაცვასა და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინვალიდური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისთვის“;*

კანონში გამოყენებული ტერმინი „ინვალიდური განვითარება“ გარდა იმისა, რომ ლახავს თავისუფალი განვითარების არსს, არის სტიგმატიზირებული. „ინვალიდური განვითარების“ გაგება შეიძლება, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის იმის უზრუნველყოფა, რომ თავისი შესაძლებლობები განავითაროს, არა როგორც ყველა დანარჩენმა ადამიანმა, არამედ როგორც ადამიანმა, რომელსაც მინიჭებული აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონეს სტატუსი.

4.4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 178¹ მუხლის მიხედვით 300-დან 500 ლარამდე ჯარიმდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, აგრეთვე მისი თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისაგან თავის არიდება. ამავე კანონის 178² მუხლის საფუძველზე კი ობიექტების მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებლობისთვის აწესებს ჯარიმას 500-დან 800 ლარამდე.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლება გარემოს ხელმისაწვდომობაზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს გარკვეულ პასუხისმგებლობას ამ უფლებების შეზღუდვისთვის, თუმცა დღესდღეობით, უფლებების დაცვის ეს მექანიზმი არ მუშაობს. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კანონის 239 მუხლის 45-ე ნაწილი მიუთითებს, რომ 178¹-179² მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები.

თუმცა არ არსებობს აქტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანოა უფლებამოსილი. ამის გამო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებუ-



ლია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გარემოს ხელმისაწვდომობაზე უფლების დაცვის აღნიშნული სამართლებრივი გარანტია დღემდე არ მუშაობს.

5. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ კონვენცია და მისი ფაკულტატიური ოქმი, რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 10 ივლისს, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში. კონვენციაზე ხელმოწერით, საქართველომ გამოხატა ნება, შეუერთდეს მას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ. თუმცა კონვენციის პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარდგენა ჯერ არ მომხდარა. „აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტთან და მთავრობასთან. კონსულტაციები ითვალისწინებს კონვენციის ყველა მოთხოვნის დეტალურ შესწავლას, რომელიც შესაძლოა მომავალში დაუკავშირდეს საკანონმდებლო და საბიუჯეტო ღონისძიებების განხორციელების საჭიროებას,“ – აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ წერილში.²³¹

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან იმის შესახებ, თუ კონვენციის ხელმოწერიდან დღემდე რა ღონისძიებები გატარდა კონვენციის რატიფიცირებისათვის.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის პასუხიდან ირკვევა, რომ ჩვენი წერილი გადაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.²³² საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გვაცნობეს: „ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია შეთანხმების პროცედურებს გადიოდა სხვადასხვა დაინტერესებულ სამინისტროში და ამჟამად მისი რატიფიცირებისთვის წარსადგენად მომზადება მიმდინარეობს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისაში.“²³³ სამწუხაროდ, ამომწურავი პასუხი ვერც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მივიღეთ. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ დაიშურებს ძალისხმევას და გაატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ კონვენციისა და მისი ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირებისათვის.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

- კანონმდებლობაში დაინერგოს შესაძლებლობების შეზღუდვის რანგირების უნიფიცირებული მიდგომა;
- საგადასახადო შეღავათების რანგირება განისაზღვროს ობიექტური და გონივრული კრიტერიუმებით და არა შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზისა და წარმოშობის დროის მიხედვით;
- არსებულიდან ადეკვატურ ოდენობამდე გაიზარდოს საგადასახადო შეღავათების ოდენობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დამსაქმებელთათვის განისაზღვროს საგადასახადო შეღავათების დაწესების შესაძლებლობა;

²³¹ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის №2/4 წერილი.

²³² საქართველოს მთავრობის კანცელარიის №19/69 წერილი.

²³³ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს №01-10/04/2842 წერილი.

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის“ დეფინიცია შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტთან.
- საკანონმდებლო აქტებში ტერმინი „ინვალიდი“ შეიცვალოს ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“;
- საკანონმდებლო აქტებში სტიგმატიზირებული და ღირსების შემლახავი ტერმინები შეიცვალოს თანამედროვე და ნეიტრალური შესატყვისებით;
- არსებული შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოს ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

საქართველოს მთავრობას

- არსებული პრობლემების²³⁴ გათვალისწინებით გადაიხედოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010-2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“, უზრუნველყოს ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა; 2010-2012 წლებისთვის შეიქმნას თითოეული წლის ცალკე სამოქმედო გეგმა.
- ბენეფიციართა რაოდენობისა და საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით ხელახლა განსაზღვროს დღის ცენტრების ქვეპროგრამის შინაარსი, კერძოდ:
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის პირებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ დღის ცენტრების სერვისით;
- დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ადეკვატურად აისახოს სერვისი მიმღებთა რაოდენობა;
- ყველა ის პირი, რომლებიც სარგებლობდნენ დღის ცენტრების მომსახურებით 2009 წელს უპირობოდ სრული დაფინანსებით, გათვალისწინებული იქნება ქვეპროგრამაში (ამასთან, ამან გავლენა არ უნდა მოახდინოს ბენეფიციართა საერთო რაოდენობაზე);
- ზუსტად განისაზღვროს ბენეფიციართა ჩარიცხვის წესი და საბჭოების როლი ამ პროცესში;
- პროგრამების ცვლილებების დროს უზრუნველყოფილი იქნეს ბენეფიციარებისა და მათი წარმომადგენლების ჩართულობა;
- განისაზღვროს დღის ცენტრების სათანადო მონიტორინგის სისტემა;
- ქვეპროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესში უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმის შექმნა. პრობლემის გადაჭრისას გაითვალისწინოს ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებული პრობლემები;
- უზრუნველყოს ეფექტური მექანიზმის შექმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დასადგენად ადგილობრივ დონეზე;
- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამაში“ შევიდეს ცვლილებები, რომლებიც გაითვალისწინებს კონკრეტული პირების ელექტროსავარძელ-ეტლით უზრუნველყოფას;
- საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 239-ე მუხლის 45-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნას ორგანო ან უკვე არსებულ რომელიმე სამსახურს დაეკისროს ამავე კოდექსის 178¹-179² მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენის უფლებამოსლება.

²³⁴ პრობლემები და რეკომენდაციები სრული სახით შევიძლიათ იხილოთ საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის პირველი ნახევრის ანგარიში.



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- უზრუნველყოს სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლების მომზადება და მათთვის კვალიფიკაციის ამაღლება;
- ინკლუზიური განათლება ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი გახადოს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტებს

- ეტაპობრივად დაიწყოს ფიზიკური გარემოს ადაპტაცია. ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნები და საჭიროებები;
- ადგილობრივი ბიუჯეტის სოციალური მიმართულების დაგეგმვისას ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებმა ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან. სოციალური კომპონენტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ ჩატარებული მონიტორინგისა და კვლევის შედეგები. სოციალური ბიუჯეტი დაგეგმოს განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების ან მიზნის მისაღწევად.

რეპრესირებული უფლებრივი მდგომარეობა

2007 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში სახალხო დამცველმა დაწვრილებით მიმოიხილა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვის პრობლემები და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, თუმცა დღემდე ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელიც 1998 წლის 1 იანვარს ამოქმედდა. იგი ძირითადი ნორმატიული აქტია, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის დადგენილ შეღავათებს და მათი სოციალური დაცვის გარანტიებს. რეპრესირებულთა უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“.²³⁵

1. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა სოციალური გარანტიები

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს პოლიტრეპრესირებულებისა და მათი ოჯახების წევრების შემდეგ სოციალურ გარანტიებს:

- ა. ყოველთვიური სახელმწიფო პენსია;
- ბ. საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების ღირებულების 50%-იანი ფასდაკლება, თუ აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება; რაც შეეხება ელექტროენერჯის საფასურს, კანონში დაზუსტდა, რომ პოლიტრეპრესირებულებს და მათ ოჯახებს მხოლოდ 30 კვტ/სთ ელექტროენერჯია მიენიჭებათ უფასოდ (45 კვტ/სთ, თუ ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირია);
- გ. სოციალური დახმარებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დღეისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური შეღავათები, რომლებიც კანონშია გაწერილი, აღარ მოქმედებს. კერძოდ, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით აღნიშნული შეღავათების მოქმედების ვადა განისაზღვრებოდა „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე. რომელიც 2009 წლის 29 დეკემბერს ამოქმედდა.

²³⁵ „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №7975/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება. (არაოფიციალური თარგმანი)



შესაბამისად, კანონით რეპრესირებულთათვის გარანტირებულია მხოლოდ სახელმწიფო პენსია და სოციალური დახმარებები.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისთვის პენსიის ოდენობას წარმოადგენს 50 ლარს. მისი გარდაცვალების შემთხვევაში – მისი, აგრეთვე პოლიტიკური რეპრესიის გამო გარდაცვლილი პირის შვილისთვის (18 წლის ასაკამდე) და შრომისუუნარო მეუღლისთვის, მშობლისთვის, შვილისთვის (ნაშვილებისთვის) – 45 ლარი“;

რაც შეეხება სოციალურ დახმარებას, საქართველოს მასშტაბით არსებულ სოციალურ დახმარებებს, რომლებზეც კანონი საუბრობს, არ აქვს საერთო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსთან. ისინი მოქმედებს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის და კანონში არსებული ჩანაწერი ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს გამონაკლისს მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის.

„სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული „საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობის, მისი დანიშვნისა და გაცემის წესი და პრინციპები“ მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებსა და მათი ოჯახების შრომისუუნარო წევრებზე ყოველთვიურად 7 ლარის ოდენობის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის გაცემას ითვალისწინებს.

2. კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-8 და მე-9 მუხლები პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა ქონებრივი მდგომარეობის აღდგენასა და მათთვის ფულადი კომპენსაციების გაცემას ცალკე კანონის რეგულაციის სფეროდ ასახელებს. კერძოდ, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით“. ხოლო მე-9 მუხლი განსაზღვრავს, რომ: „პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, აგრეთვე მის პირველი რიგის მემკვიდრეს შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია, რომლის ოდენობას და გაცემის წესს ადგენს კანონი“.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული კანონი 1998 წელს ამოქმედდა, დღემდე არ განხორციელებულა არანაირი ღონისძიება მე-8 მუხლის მესამე ნაწილში და მე-9 მუხლში აღნიშნული კანონების მისაღებად. თორმეტი წელი კონკრეტული საკანონმდებლო აქტის მისაღებად შეიძლება განხილული იქნეს, როგორც შეუსაბამოდ ხანგრძლივი პერიოდი. აშკარაა, რომ მე-9 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები, რომლებსაც კანონი ანიჭებს რეაბილიტირებულ და რეპრესირებულ პირს, საკმაოდ დიდ მატერიალურ ხარჯებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს უკავშირდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-8 მუხლის ჩანაწერი, რომელიც მშრალ და ბუნდოვან განმარტებას იძლევა – არ არის განსაზღვრული, რა ფორმით უნდა მოხდეს რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენა.

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს ამ ხნის მანძილზე არ განუხორციელებია არანაირი ქმედითი ღონისძიება ამ კუთხით. აღნიშნული პრობლემა გახდა ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი საქმეში „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“.

აღნიშნულ საქმეზე 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ 6 ხმით ერთის წინააღმდეგ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლთან დაკავშირებით დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა²³⁶.

გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ, განმცხადებლებს, როგორც დევნილი მშობლების შვილებს და როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთ, გააჩნდათ თუ არა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით და მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებები და ამგვარი უფლებების არსებობის შემთხვევაში შეძლეს თუ არა ამ უფლებებით სარგებლობა.²³⁷

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მორალური კომპენსაციის ოდენობისა და მისი გადახდის წესის შესახებ კანონების მიუღებლობა უშლის ხელს პირველი ოქმის პირველი მუხლით დაცული საკუთრების უფლების განხორციელებას.²³⁸

საქართველოს მთავრობას, როგორც კი გააკეთა საბჭოთა რეჟიმის დროს რეპრესირებული მოსახლეობის მორალური და ფინანსური დახმარების არჩევანი, ევალებოდა, სულ მცირე, საქართველოს მიმართ პირველი ოქმის ძალაში შესვლიდან, აქტიური ანალიტიკური სამუშაოების წარმოება განმცხადებელთა განუსაზღვრელი ვადით გაურკვევლობაში ყოფნის თავიდან აცილების მიზნით, რის წინააღმდეგაც მათ არ ჰქონდათ არანაირი სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება.²³⁹

სასამართლომ დაასკვნა, რომ მრავალი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ტოტალური უმოქმედობა არ შეიძლება გამართლდეს სავარაუდო საზოგადოებრივი ინტერესით²⁴⁰.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვს საერთო ხასიათის ღონისძიებების გატარებას ეროვნულ დონეზე. რაც სწრაფად უნდა გატარდეს, რათა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებულმა პირებმა შეძლონ ამ დისპოზიციით გარანტირებული უფლებით ეფექტური სარგებლობა²⁴¹. ზოგადი ღონისძიებების გატარებისათვის სახელმწიფოს მიეცა 6 თვიანი ვადა.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სახელმწიფომ გადადგას კონკრეტული და ქმედითი ნაბიჯები ზემოაღნიშნული კანონით გარანტირებული უფლებებით სარგებლობისათვის აუცილებელი პროცედურების გასაწერად. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მსგავსი გადაწყვეტილებების რეპრესირებულთა სასარგებლოდ გამოტანა, რაც არასახარბიელო შედეგებს მოუტანს ქვეყანას.

რეკომენდაცია

■ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-9 მუხლით გათვალისწინებული კანონთა პროექტების შემუშავება და დროული მიღება.

²³⁶ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი, მუხლი 1: „ნების დაცვა – ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვენ და იმ პირობით, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონითა და საერთაშორის სამართლის ზოგადი პრინციპებით.“

²³⁷ „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“ – პარაგრაფი 42.

²³⁸ იქვე, პარაგრაფი 71;

²³⁹ იქვე, პარაგრაფი 75;

²⁴⁰ იქვე, პარაგრაფი 76;

²⁴¹ იქვე, პარაგრაფი 85;



საქართველოს სასაზღვრო დამცველის აპარატი

საქართველო, თბილისი 0105, მაჩაბლის ქ. 11

ტელ.: 92 24 70, 92 24 77 ფაქსი: 92 24 70

ცხელი ხაზი: 99 58 98

ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge